

პბთლუცატრუბო ყვლა ძეყცხსა. შუბთციბ

საქუბ. ფუნა

114  
1925

05  
გაქცხული  
შეზლირთხას  
2-73



საქუბ. ფუნა  
1925

1936



407

მს 4 (12)

უკველთერიუბი სახხატვრო სალიბერატურო  
და სამეცნიერო ჟურნალი

ა ვ რ ი ლ ი

ბზილისი 1925 წელი

სარედაქციო კოლეგია: {  
ვ. ბახტაძე.  
მ. ქახიანი.  
დ. რუხაძე.

გამომცემელი: {  
სამართვალის კოლმე-განათ-  
ლების მთავარ-მართვალთა.

# მსატკრული ლიტერატურა

საქართველო  
რუსეთი  
დასავლეთი

## გაიხუი კოუსტავს.

მაისი პირველი. მაისი შვიდი.  
მაისი საერთოდ — გაზაფხულის თვე ბედნიერი.  
თვით დედამიწა — უეჭველად ჩემზე ხნიერი —  
მას წინ უხვდება ღიმილით და ზეიმიით დიდით.

ო, პოეტებო, ჩვენი ბედი ბეწვზე ჰკიდია!  
ფლეგმით ვაგაფხეთ რუსთაველის გამზერა ფართო.  
მაისის პირველს თამარობა არ არის მარტო,  
შვიდი მაისი ჩვენ სრულებით არ გაგვიგია!

*Handwritten signature*

შებლი შეუკრავთ ჰოეზიის ლევიონერებს,  
სურთ ძვირფას თვლებად რომ აქციონ წვეთები შხამის,  
და გაზაფხულის სინარული დაუთმონ ლამის  
მხოლოდ ბელურებს, ვარდის ბუჩქებს და პიონერებს.

გზები გახსენით' ვაარღვიეთ ახალი გზები,  
თორემ გაძნელდა საარაკოდ ლექსების წერა,  
თორემ დაბოლოს სულს დაჰვიარავს დახრილი ფრთებით  
არწივის ნაცვლად წყურვილისგან დამბრჩელი ძერა!

მაისი 1925 წ.

*Handwritten signature*

## პირველი მისი.

ისევ მისი-მწვანე და რბელი...  
(ო, მე ამ ტყემას კელავ ვუბრუნდები!)  
ისევ დღეების ჩქარი სირბილი, —  
როგორც წყრიალი უნდერველების.

მანსარდზე მძიმეთ ირწევა ქარი.  
შუე — ვით ცერბური — კირჩხიბზე წვება  
და ტყდება ლურჯი ცის მინაქარი —  
ბროლზე დაქცეულ სისხლის წვეთებათ.

ქუჩა — დროშებით წითლად ირთება  
მილიარდების ხმების შერბევით ..  
დღეს სიხარული გვაწევს ტვირთებათ:  
ბაირალები ისწიეთ ზევით!

ჩვენ გადავლახეთ დღეები მწარე  
და მდულარება ხოლინკის, ლენის...  
პოდან — განვამდის შონა მღვიძარე  
შორიდან საღამოს უგზავნის ლენის.

მწამს: დაიქცევა ჭვეანა ძველი,  
ცას ჩამოანგრევს სამუშის ქროლა —  
და ეს იქნება: — „უკანასკნელი  
და გადამწვეტი, მედგარი ბრძოლა“!

მისი 1925 წ.



# გერკვილას ტყვია.

მე საწყალი პოეტი,—  
რომელიც დავიბადე ნაღის ქვეშ  
და ხაშის პერანგის ამოას  
ფეხები დახეთქილი მქონდა ქვიშით,—  
როცა გაეარდა მერკვილას ტყვია  
გადაუდგეტი იღბალს კაპოეტს  
და მომენატრა სხვა კის კამარა.  
მაშინდელი სიხარული ისევ მატყვია. —  
თუმცა მაციებდა  
(რა დასამალია!  
რევოლუციონერობა არ მქონია დანაბედები)  
როცა ეაწყობდი პროკლამაციებს,  
მაგრამ მიტაცებდა უცხო აზალი  
და მერკვილას ტერორისტი დები  
რომლებიც სისხლიან თითებით ქსოვდენ რევოლუციის კვარის  
ეხლა საქართველო მზის წალკოტია  
(ეს აღსარება არაეინ გაიყვიროს)  
გულს აღარ სერავს სეედის წალკატი  
და მინდა ვიყვირო:  
ეი პოეტებო!  
თუ ხარო რაინდები  
და ჩემსავით გიყვართ  
ს. ს. ს. რ.  
ჩამოიგლიჯეთ თვალზე ბინდები  
და მზიანი სურვილი გქონდეთ ბილიკათ,  
თორემ თქვენს ლექსებს ხავსი მოედება  
და პოეზია ნაღის ქომაგი  
გახდება კრული.  
თუმცა დღეს წითელი ორდენის მაგიერ  
კირკის აფიშები გაქვთ მკერდზე მიკრული  
მაგრამ  
დრო არის რომ სული გქონდეთ ბროლის  
და იყოთ მაგრათ  
როგორც მერკვილას ტყვია ნასროლი.

## სოფელი

გულს მიხალისებს სოფელი,  
მიწაზე დავერა ბარისა.

### გ ა ი ს ო ბ ა

როცა პირველი მაისი დგება,  
წითლად გეგვილში უაყაჩო ჩნდება,  
გლესს უხაროან, დღესასწაულობს  
და თავის ზეიმს თვით მეთაურობს!

ორლობის გზებზე და გვიარდინზე  
ზღვა ხალხი იძვრის,—სად ქუჩდებიან?  
შრომის სუფევას მღერით გვამცნობენ,  
მტკიცე ფიცს სდებენ, ძმობილდებიან!  
წყულუნი გულისაც დაამდებიან!

როგორც ხოხობი ამოფრენილი,  
ეგრეც დროშები გაიშლებიან,  
ჯგუხა მიუძღვით ზღლდაკოერილი  
მას სხვა გლეხებიც თან მიყეებოან.  
ეხ, ამ დროს წყულუნი დაამდებიან!

სოფლის ბოლოზე, ერთს ძველ მუხასთან  
მწვანე მინდორი ხალხს ველარ იტევს;  
მამაპაპების ღმერთი დასტოვეს,  
აღარც მორწმუნე თაყენს სცემს ქრისტეს.

ცალხელა ტუხამ, ომში დაქრილმა,  
სიტყვა მგზნებარე გულში იზრახა  
და ყრილობაზე წამოიძახა:



„ის გლები იყო, გლებისთვის მოკვდა,  
 „მას მკერდზე დროშა გადააბიეს;  
 „აქ, ამ მუხასთან ჩაფლეს გინებით,  
 „ნათესავს არც კი დაამარხვინეს;  
 „მოვსულღვართ, მტერი დავეგმოთ, დაეძრაბოთ,  
 „გამარჯვება კი მის ძვლებს ჩაეძაბოთ!  
 „ეს იყო ჩვენი ძმადგანაფიცი.  
 „მას კიდევ ილოქმა! და კიდევ ფიცი!

ათასმა ჯუბად ხმა მისცა ტუხას.  
 და ფიცი ამცნეს ზეცას და მუხას.  
 შემდეგ დალაგდნენ, სუფრები დართეს.  
 შუა ადგილას დროშა აღმართეს  
 და ღამის-თვეა გმირს გაუმართეს!

### ნიუნობა სოფლად.

სიძემ ნახა დღეობაში,  
 ქალმაც თვალი გაუშტერა;  
 სხვამ შენიშნა, დაჰკრა ტაში!  
 თუ რა მოხდა—ბერს არ სჯერა!

მრე ხინჯელამ ჩაიმღერა  
 და მით სიძე გაღიმიტერა.

კოჭლი გიქო ყველას აქებს,  
 ენას არ ღლის, დალაქლაქებს  
 თან ჩურჩულებს:

დაიწიშნა!

დერეფანში ზურნა უკრავს.  
 ყრმამ საყულო გადაიხსნა...  
 თამაშობენ... ზოგიც ბუქნავს.  
 გოგოებსაც გული მოსდით:  
 „ის არჩია! სხვები რისხა!“

ერთი ვაჟი თავს იწონებს.  
 გამოვიდა წრეში წყნარად;  
 ჩოხის კალთას აქ ისწორებს  
 შემდეგ სრიკას უსვიმს ჩქარად  
 მან პატარძალს უყო თვალი  
 გააწითლა ოდნავ ქალი.





ცეცხლი გვერდზე ჩაუარა,  
აკონდება ძველი დარდი;  
წინად ერთხელ თვისად სცნობდა,  
ებლა სხვა ჰყავს გულის ფანდი.

მაინც იწვევს საციკვად  
მძიმე-მძიმედ არხვეს ხელებს;  
სიძე მაინც მშვიდათ სუნთქავს,  
მას ვერაფერს გაახელებს.

და სიმამრი გრძელდება  
იპატიებს ჯეკ სტუმრებს;  
შუაქაცმა ცხვარი დაჰკლა,  
ქვებში ხრავს ინდაურებს!

### შველი და მონადირე.

გადმოხტა შველი. მიარღვევს ფერდობს.  
ხან შეჩერდება, ხან გვერდი-გვერდობს.  
იგი თამამი მწვანეზე ცელტობს.

შეფოთილ ბუტქებს არ ერიდება,  
ნეტა რა ხიფათს გადგიცდება?

კობტა კაბუკი თუში ქებია  
დაბლა ლელეში ჩასაფრებია.

შეასწრო თვალი, მიახწვეს მიზანს.  
ის არ გააცდენს აღებულს ნიშანს.

მაგრამ რა მოხდა? გაშეშდა მკლავი!  
ოხერა ამოხდა გულმოსაკლავი.

მას მოავგონდა მიჯნური ელი.  
კორდზე რომ შეხვდა, როგორც დღეს შველი.  
შუბლი შეემყო ჯიკა-ივებით.  
მტერმა მოუკლა შურსძიებით.

ფიქრმა წაიღო თუში ქებია.  
მას თავი თვისი მოსძულებია.  
ეს აქ უმანკოს ჩასაფრებია!



მას მოაგონდა მიჯნური ელი.  
თოფი ძირს დასდო, გადარჩა შველი!

### გლეხის სიგლერა

უმაღურო ბატონო,  
მითხარ, რას შედეგები?  
ჩემი არის მინდორი,  
ჩემი არის ყანები!

მახსოვს შენგან შიმშილი,  
ამიკრემოვ თვალები;  
შენ გამძარცვე და მე დღეს  
აღარ შემებრალები!

უმაღურო, გამშორდი,  
ჩემი არის ყანები.

მე არ მინდა ბატონი,  
ფუელი ჩემსავე დიდებას;  
ვერ ვიკისრებ ხელახლიდ  
შურვზე წამოკიდებას.

უმაღურო, გამშორდი,  
მითხარ, რას შედეგები?  
ჩემი არის მინდორი,  
ჩემი არის ყანები!

### მწყემსის უარები

ხვადი თეოზე ღამეს ათენებს,  
ფეხის ხმა მუხავრის მას არ აფეთებს.  
თუ ოდნავ შეჰყუფს, თაქს მიანებებს,  
ძილს არაოდეს გადაამეტებს,  
ფარებს ფარულად თვალყურს ადევნებს  
მტერს სცნობს შორიდან,  
რისხვას აგემებს.

მწყემსი ამღგარა დილა-ადრიან.  
ჭროლად შეჰყურებს ამინდს ავდრიანს.  
ცხვარი სძოვს ბალახს ცივს და ნამიანს,  
მეგობრად ხვადი მისდევს ნამდიანს.

მარტი ხანდახან გამოიდარებს,  
მეცხვარე ჯანლის თექას იფარებს.  
ბატონებს ჯერ გარედ ვერ გამოუშვებს,  
სანამ ჰქრის ქარი და წვიმას უშენს!

## ელვისოს კარი

შრომით დაღლილა ყველა  
მაგრამ მღერიან ისე,  
რომ სიყვარული ნელა  
სულს ყვაეილებით მივსებს...

მესმის სინღერა ნაზი:  
თავსაფრიანთა წყეების...  
მებევევა უსურვაზად  
ბრძოლის ჰანგები-მწველი...

„დაქანცულ მუშა ქალებს  
ვერ შეგვაშინებს ჯაფა  
სიკოცხლეს გვიბრწყინვალებს  
ელვისოს ჩქერი-სწრაფი...“

ვეთანაშებით გრძნობას  
დღეს რომ დამღვარა ყალყზედ...  
იკვები დაიძონა...  
ოცნება შეგვიყვარებს...

სრიალებს სწრაფად ღვედი ..  
ეი—ელვისოს ქარო!  
შენა ხარ ჩენი ბედი,  
ჩენი სიკოცხლის წყარო ..

დაჰკარი, დაჰკა მაგრად  
სიკოცხლის ბულსს და მაჯას...  
ღამე გატყდა და გაჰქრა..  
გაჰქრა სევედა და ტანჯეა...



დღეს წითელია ფიქრი,  
 ფ ქოი მოეარის და მზისა...  
 და ჩვენც იქეთკენ მიეჭპრით  
 ჩიტები მაისისა...

არა გვაქვს ცეცხლი განა?!  
 დიახ... ცეცხლიც გვაქვს, სულიც...  
 და ამ ცეცხლს ეაკვანა  
 ეს ჩვენი სოცეარულიც...

ვმუწაობთ... ოფლს ვღვრით, თან მკლავს  
 ვაძლივთ სიმტკიცეს რკინის...  
 ვეთაშაშებოი ვარსკვლავს...  
 ვარსკვლავიც ჩვენ გვიცინის...

ეი, ელვისოს ქარო!  
 იქროლე ისევ, ისევ...  
 რომ უფრო შეგიკვაროთ,  
 ხედავ? რა გრძნობით გისმენთ...

შენა ხარ ჩვენი სული  
 და მარგალიტი გზისა...  
 ამ შენი სოცეარულით  
 ვინ რას დაგვაკლავს, გვიზავს?!

ო, ასე მესმის ცეცხლის  
 ხმები, სიმღერა, ჯადო...  
 ოცნების ფრთები მესმის,  
 რომ აველას ეს გაეანდო...

უკვდავებია ცეცხლის  
 ხმებით დამთვრალი ქარი,  
 თითქოს გრგვინავდეს მუხი,  
 თითქოს რეკავდეს ზარი.

თითქოს პოეტი მზისა,  
 თითქოს პოეტი ურზი,  
 მივალწევე ბრძოლის მიზანს  
 ყალყზედ წამომდგარ ქუჩის...

## ნაკრძკ ჰშირის დალეგასტი.

83-ში შენ აქ იყავ ჯერ ახალგაზრდა  
თბილისი ასე რომ არ იყო—დამეთანხმები,  
ქუჩები ქუჩებს დღეინდებურს ხომ სულ არ გავდა  
და არც დაქროდა გამაღებით რადიოს ხმები.

ო! მაშინ გქონდა მწარ ნალველით აღვსილი გული.  
ახალ-გაზრდობას იტარებდი ტანჯვით-წამებით;  
შრომობდი დღე-ღამ, რომ გეშოვა ვირვანქა პური  
და მოსვენებას არ გაძლევდა ფიქრთა წამები!..

სიმატილეს გულში ჩაიკლავდი-ვის რას ეტყოდ!  
ჯალათთა ხროვა გეხვეოდა ისე ვით ბუზი,  
მწველფელთ ცხოვრების შენამზერი სხვა გზას ნატრობდი  
დარბოდი ასე ფეხ-შიშველი, დაგლეჯილ ჩოხით.

მოგბეზრდა მაშინ ეს ცხოვრება—ესტუმრე სოფელს—  
და სიღარიბე იქაც დაგხვდა კბილების ღრქენით;  
შრომობდი დღე-ღამ, დაგკინოდენ ქალ-ბატონები  
და შენს მეგობრად გვაედა მხოლოდ მოშავო ცხენი...

905-ს იყო, რომ აფეთქდა ძველი ქვეყანა  
ააყირავეს ეინდარმების საბუღარები;  
ხედავდი — ასტყდა საშინელი გმინვა და სროლა  
და ვიწრო ხევი რომ აივსო დაქრილთ გვამებით.

და შენც იბრძოდი; გადახვეულ ჩოხის კალთებით  
სულთა-მხუთავეს დაედევნე წალდით და თოხით,  
უსამართლობის გაქარწყლებას იძახდენ ხმები  
და შრომის ჯარი მწკრივდებოდა ათ-ათასობით.



ერყნეშუნი  
ხიზუიქოთიჯი

მაგრამ ცხოვრების გარდატეხამ შესცვალა ეს დრო —  
შეჩერდა ბრძოლა — გულ-ნაწყვეტი ჩავეო ხმლები;  
შენ დაკოდელი იძახოდი «გვლალატობ ბედო!»  
და საპასუხოთ გაისმოდა შევ-რაზმელთ ხმები.

დიდ ოქტომბერიო იყო ეს დრო დანაპირები  
კვლავად აზეირთდა — ახმაურდა ცისფერი მდელთ;  
ჯალათთა სისხლით კვლავ შეღებებ შენ დანის პირი  
წითელ-ფარჩაში გახვეული გწამს საქართველო!..

და იმის შემდეგ რაც რომ მოველთ მძლე დიქტატურით  
იცი ბიძია! — გამარჯვება წილად გხვდა გლეხებს;  
მტერი, დაღლილი — სასიკვდილოთ გამზადებული —  
ჩვენს წინააღმდეგ კრინტის დაძვრას ველარ ახერხებს.

შენ დღეს მოხველი აქ თბილისში — რუხ კაბალაბით,  
უსმენ თელიბეს მოხსენებას სულთ და გულთ;  
და ამბობ «ეს დრო ძირ-მომპალი მომკედარა ახით» —  
რომ ჩვენ გვეკუთვნის ეს დროება უფლებით სრულით.

შენ გატარებენ ამ ქუჩებზე და ვიბარია  
გლებთა სასახლეს ვერ აშორებ მოღუშულ თვალებს;  
ხარ დელეგატი ახალ სოფლის და რაც კარგია —  
წარმოკვეთისში ინახულე გამოუფენაზე...

შენ არ იცოდი თუ ტრაქტორი როგორი იყო  
თუ მიწა მისგან უნიშროთ მოიხენებოდა. —  
მიხვალ სოფელში — გადასძახებ «ბიჭო! პეტრიკო!  
მანქანებს გვაძლევს დღეს მთავრობა. საქმე კარგადაა?»..

მე იქ გისმენდი ყრილობაზე — თქვენი პოეტი  
თქვენთან აღზრდილი. მიხაროდა — შენ, გლეხი ასე  
რიბიანი ხმით შეკითხვებზე უპასუხებდი.  
ხარ დელეგატი! ახალ სოფლის სიღარბაისლე!..

## გათენებამდის ქალაქში.

დაღამდა... მთვარე ცას არ ევლება.  
ავტომობილი თვალებს ანათებს.  
სახლები სადღაც ჩაიმალება  
ბნელი სიჩუმე იპყრობს სარდაფებს.  
ამ დროს ქვესკნელი თითქოს შეინძრა:  
სახეს დაეცა ელექტრო ზქერი  
ქალაქს სიბნელე წუთით გადასძვრა  
და ყოველ წერტილს თვალში ჩასცქერი.  
თუ მზე აღარ სჩანს, თუ მზემ დაგვტოვა,  
ცას გადაეკვრა ბნელი წყვილიაღი  
მიწა ამხედრდა და ამოთოვა:  
სხივთა ნამქერი მრავალ ფერადი  
უცებ დაეცა რკინის კარები,  
ვიღაც გამოდის—რჩება ქარხანა  
გული ცეცხლში აქვს ნათაკარები  
და იმის სულში არის ქვეყანა.  
ჰეი ძვირფასო!—მოხვალ დაღლილი  
შუბლზე ეღვარებს სიცოცხლის გრძნობა  
შენი სისხლია ყველგან დაღვრილი  
და არც შენ იცი მტრების დანდობა.  
ფეთქავს ქალაქის ყოველი კუნთი,  
ღამის ფარნები ტოკავს, ლაღლაღებს,  
დღმილს არ ითმენს არც ერთი წუთი  
და ფარანთ შუკი დილას დაბადებს.

## ლისაგონის ტუსაღები.

პიესა სამ მოქმედებათ.

მომხმედი პირები:

პედრო

ნიკოლო

ხტეფანო

პეტრონიო

კარლო

ჟუან

იოან

მიქელე—ლისაგონის ციხის უფროსი

ფლორენსა

პირველი ტუსაღი

მეორე ტუსაღი

მესამე ტუსაღი

მეოთხე ტუსაღი.

პირველი ზედამხედველი

მეორე ზედამხედველი

პირველი ჯალათი

მეორე ჯალათი

მესამე ჯალათი

მეოთხე ჯალათი

პირველი ზეინკალი

მეორე ზეინკალი

მეფე

პირველი გამომძიებელი

მეორე გამომძიებელი

გუგავა—მონათ გაყიდული სამეგრელოდან.

პრეფექტი

პირველი მთვრალი

მეორე მთვრალი

მესამე მთვრალი

კამერჯერი

მინისტრი

ეპისკოპოსი

გვარდიელი





დედოფალი  
 მემკვიდრე 12 წლის ვაჟი—მეთის მემკვიდრე  
 პირველი ფარეში  
 მეორე ფარეში  
 ანტონიო  
 პირველი დაქრილი  
 მეორე დაქრილი  
 პირველი მძიმეთ დაქრილი  
 მეორე მძიმეთ დაქრილი  
 მესამე მძიმეთ დაქრილი  
 ვაჟარი  
 პირველი მემამბოხე  
 მეორე მემამბოხე  
 პირველი ორატორი  
 მეორე ორატორი  
 მესამე ორატორი  
 მეთხუთე ორატორი  
 ინვალიდი  
 ქალბატონი  
 ყოფილი შანა ყმა  
 პირველი რაზმელი  
 მეორე რაზმელი  
 მესამე რაზმელი  
 მეოთხე რაზმელი  
 მეხუთე რაზმელი  
 ბარონი  
 მემკვი ქალი  
 ორი ზანგი—მეთის მკველნი  
 სატუსალოს საკანის მეთაურები  
 ტუსალი მამაკაცები  
 ტუსალი ქალები  
 მონები—სხვა და სხვა ეროვნების და რასის  
 ქალაქის დარაჯები  
 ჯალათები  
 სასახლის დარაჯები  
 გვარდიელები  
 მემამბოხენი  
 მსუბუქათ დაქრილები  
 მძიმეთ დაქრილები  
 ჰედროს რაზმი  
 ანტონიოს რაზმი  
 მთვრალი კაცები  
 ორატორები  
 შავი ქაშით ავადმყოფები  
 ინვალიდები  
 შეშლილები  
 მოხუცები  
 მუნჯი ბავშვები  
 მდაბიო ხალხი  
 (მოქმედება სწარმოიბს 1755 წელს ქ. ლისაბონში)



ეროვნული  
წიგლმწიფისა

**მოქმედება პირველი.**

(უზარმაზარ საპრობილის ერთ ერთი საკანი მესამე სართულზე. თაროებზე წევს ოთხი პატიმარი. იატაკზე ზის ნიკოლო, სტეფანო, პეტრონიო. ერთმანეთს უცქერიან. ცალკე პატარა თაროზე წევს იოან. ფანჯარასთან დგანან: პედრო, კარლო და ეუანი. ისინი გაიყურებიან უკუნ სიბნელეში, თან სინჯავენ, როგორ ირყევა ფანჯარაზე რკინის მოაჯირი. იატაკზე მსხდომნი სიხარულით ბრწყინავენ, როდესაც მოაჯირი შეირყევა.)

აინთო! პედრო

სიგნალები! ნიკოლო (მღელვარებით)

ჩაქრა! კარლო

(ეურადღებით გაიყურებიან)

კიდევ აინთო! პედრო

ისინი გვანიშნებენ, რომ გზა გახსნილია თავისუფლებისაკენ! ნიკოლო

კიდევ ჩაქრა! ეუანი

ეს ლამე... სხვანაირია... სტეფანო

ო, ო! პედრო

მესამეჯერ აინთო! კარლო

აღთქმული ნიშანია! ეუანი

პედრო

ქვეით დარაჯები ამოწყვეტილია! ამ სიბნელეში ჩვენ გადავეშვებით აქედან ბაწრებით და...

**1 ტუხალი**

და ჩემი ტანი ბაღაბზე რბილათ გაგორდება, ხა! ხა!

იოან

არა მჯერა.



ს ს ს..

შ ტუხალი

კარლო

იქ ჩვენი ბიჭები დგანან.

პეტრონიო

ეს სხვა ლამია!

კარლო

მაშ დარაჯები ამოწყვეტილია?

ჟუან

იქ სიბნელეში სხვანაირი სიჩუმეა.

პედრო

ბაწრები ჩქარა! ჩქარა! ბაწრები

კარლო

როგორ ანათებს.

პედრო

თორმეტი წელიწადია ვუკდი მე ამ საპურობილეში შავ სინათლეს!

ჟუან

როგორ ანათებს!

პედრო

ცეცხლი ანგელოსივით გვაყურებს ხომლიდან.

ჟუან

იმ ხომლზე დგას ყაჩაღების მთავარი რაზმი. მოამზადეს ყველაფერი და გველიან.

პედრო

იმ ცეცხლის გვერდით მე მელანდება მათი ბელადის ანატონიოს სახე. იმ ცეცხლის კიაფში მე ვცნობილობ ანატონიოს სულს!

კარლო

რომელმაც ანათემის პასუხად ხმალი იშიშვლა ეკლესიის წინააღმდეგ.

ჟუან

ეს მან შენი რჩევით ჩაიდინა, პედრო.

პედრო

ჩქარა, ბაწრები!

(სტეფანო და პეტრონიო ბაწარს ბაწარზე ასვენიან).

სტეფანო

ის ცეცხლს უკიდებს კათოლიკეთა ტაძრებს, დიდებულთა სასახლეებს. ის ხმალის გლწარებით დასცინის ანათემას. შენ კი პედრო ამის გამო შეგიპყრეს და საუკუნე ციხე მოგისაჯეს.



კარლო

პრინციპალი

და ლისაბონის მუზეუმის გამგე, მეცნიერი, დოსტაქარი და პორტუგალიის მეფის მეგობარი შეიქნა ლისაბონის ციხის პატიმარი.

1 ტუსალი

ხა, ხა, ხა, ხა!

იოან

ეს კარგია!

2 ტუსალი

ნეტავ მთელი ქვეყანა ლისაბონის სატუსალოში ჩაჯდებოდეს, მაშინ შეც არ დამწყდება გული.

პედრო

ქვეყანა სატუსალო არის! მაგრამ, საკანის თანამცხოვრებნო, მე არა მართო ამ სატუსალოდან გაიყვანო თქვენ.—ცეცბლი, რომელიც ხომლიდან გვიცქერის, ნაპერწკალია უდიდეს ხანძარის, რომელსაც მე დაეანთებ ქვეყნის განსანთავისუფლებლად.

სტეფანო

ბაწარი ნზად არის.

კარლო

მაშ მოეხსნათ მოაჯირი?

პედრო

მოხსენით!..

(კარლო და ეფანი ეცემიან ფანჯრის რკინებს და აძრობას იწყებენ. რკინა გახმაურდება)

კარლო

ჩუმათ!

(ნელა და ენერგიულად განაგრძობენ რკინების აძრობას, პედრო სინჯავს ბაწარს).

1 ტუსალი

უცნაური ბაწარია!

2 ტუსალი

რატომ—თუ კი ღორის ჯაგარისაგან სწნავენ ბაწარს, ნუ თუ ქალის თმისაგან არ დაიწნება!

1 ტუსალი

მადლი ქალს, რომელიც ამ სატუსალოს ზემო სართულში ჩაჯდა იმ მიზნით, რომ მეგობრების თმისაგან დაეწნა ბაწარი და ჩვენს საკანზე გადმოეშვა.

IV ტუსალი

უბონება იმ ჯამბაზის სულს, რომელმაც მუცლით მოიტანა ეს ქლიბები.

8 ტუსალი

ის, არა თუ ქლიბს, მთელი ხანჯალს ყლაპავდა და უკანვე იღებდა პიერნალი „მნათობი“ № 4 (12).



რიდან—ამისთვის ცირკში მას ჯამაგირს აძლევდნენ. შემდეგ კაცს შეშლავდა და რამდენიმე წელს ანტონიოს ბრბოში იმალებოდა. ანტონიოს მას წინაშეაღება მისცა გადაეყლაბა რამდენიმე ქლიბი და ეცადა პედროსთან მოხვედრილიყო საკანში. ცდა გამართლდა—ამ საკანში მან სამი ქლიბი შემოიტანა მუკლით, მაგრამ ვერც ერთი ვერ ამოიღო. ჯამბაზი ბოლომდე ვერ გამოდგა მოხერხებული და მისი უკანასკნელი საქმე თვითონ პედრომ შეასრულა.

## II ტუსალი.

ის გამოლაღრა პედრომ კბილებით და ფრჩხილებით და ამოართუა მუკლიდან ქლიბები.

## III ტუსალი

რასაკვირველია ეს ჯამბაზისათვის საზარალო შეიქნა, მაგრამ თუ ის არა, ეს რკინის მოაჯირი ეხლაც გადაუტრეკელი იქნებოდა და ამდენი წლის სამზადისი უქმად ჩატარდებოდა.

## I ტუსალი

ო, ნეტავი თუ კიდევ ვიხივებ ღამით, ძვლისტარიან დანით ხელში, გზატკეცილებზე.

(კარლო და ენანი ფანჯრიდან რკინის მოაჯირს მოხსნიან)

## პედრო

გადაუშვით ბაწრები, თან უყურეთ.— როდესაც სამჯერ მოსწევენ ბაწარს, იცოდეთ...

## I ტუსალი

თავისუფლება!

## იოან

არ მჯერა...

## II ტუსალი

სს...

## იოან

ქალის თმა არათერში არ არის გამოსადეგი. მე გეტუნებითრ რომ ეს ცდა სხვა თოკზე, საბრძობელაზე, ჩამოგვკიდებს; მე მოხუცი ვარ, არა უშავს რა, კაზგა ხანია აქ ვხივარ. ორმოცდა ათი წელიწადია ამ თაროზე ვაგდევარ. მეყოფა.

## II ტუსალი

აი-და მოთმინებაც! მე მხოლოდ ათი წელი ვხივარ ამ თაროზე და ღამის არის ჭეად გადავიქცე.

## იოან

თქვენამდე ამ საკანიდან საბრძობელაზე არა ერთი გამისტუმრებია, თავისუფლების გზაზე კი აქედან ფეხი არ გადადგმულა... ეჭვი არაა რამდენიმე წუთის შემდეგ ციხის ზედამხედველი გაპარვის განზრახვის ოქმს შეგვიყენებს. რა გაეწყობა! მე შენ ზეტყვი ცოლშვილზე არ დამორჩეს ხათრი!

## I ტუსალი

აჰი ამბობდი თითქო ცოლშვილი გყავდა.



ერქენულში

იოანე  
იმ დროში? მერე, ეძიე შენ ადამ და ევას კვალი! ვინ ჰქვამდა ჩვენი ციხის ზედამხედველი ჩემი შვილი-შვილია. ეძიე ადამ და ევას კვალი. სად წავიდე. არც ვფიქრობ სადმე წავიდე აქედან.

### II ტუხალი

მე სამჯერ ვარ გაპარული სატუსალოდან. ათი წელიწადია ეზივარ ამ საკანში. ჩემი ვაეი თხუთმეტი წლისაა და უკვე ზის. ის ამ ციხის მეორე სართულში ზის. ჩემი სული შეჩვეულია ყოველგვარ წამებას.

### III ტუხალი

ჩვენ არაფერი არ გვეტყინება, არაფერი არ გვეწყინება!

### IV ტუხალი

სახრობელა ჩვენთან ერთად დაახრობს იმ გველსაც, რომელსაც იმედი ჰქვია. იცით რა არის ჩემი თავისუფლება?

### I ტუხალი

ჩვენი თავისუფლება არის შურისძიება.

### IV ტუხალი

ღიამ!

### ჟუანი (იხედება ფანჯარაში)

ისინი შავი ლანდებივით დადიან—შენ ჰხედავ მაა?

### კარლო

ვხედავ!

### პედრო

სამჯერ მოსწევინ ბაწარს და მაშინ გადავალთ.

### II ტუხალი

მას შემდეგ, რაც მოაჯირი მოაშორეს ფანჯარას, —თავისუფლების ჰაერი შემოდის—სხვანაირად ვსუნთქავ.

### იოანე

როდის იყო ეს ფანჯარა ურკინოთ. მე ვბრაზდები რომ ვერ ვხედავ რკინის მოაჯირს,—მას ორმოცდაათი წელიწადი დაშტერებოდა თვალში... ჩემს თვალში პატარა ქვეყანა გამოიცვალა.

### IV ტუხალი

ო, ქვეყანა სხვანაირია იქ, მწვანე ტყეში, სადაც ყოველი ხე მფარველია, ყოველი ფოთოლი—პატარა კალთაა...

### III ტუხალი

მე პირველად ოცდახუთი წლის წინად გავიპარე სატუსალოდან. მაშინ ბევრი ვიარე... ამათ ვეძებდი შვებას. რამდენიმე თვეს დამყვებოდა ნახევრად შიშველი ცოლი, მშვიერ ბავშვ აკიდებულს. ბოლოს მოგებრდა ჩემთან ზეტიალი—წამებ-ხება. ვინმე თუხუე მოვატყრეს გადაეცა. ორი წლის ქალიშვილი დავტოვე. ის გაზრდილა. მერე საროსკიპოში წესულა... ეხლა დანაშაულით ზის აქ, ამ ციხეში.



ზევითა სართულში. მართალი სიტყვა პედრომ: მთელი ქვეყანა მან ჩინდა და ეს ასეა, ჩვენთვის ცხოვრება იქაც აკრძალულია.

### I ტუსალი

მე ვიცი.

### II ტუსალი

ჩასაკვირველია არც ერთ ჩვენთაგანს არ უნდა ბედნიერება.

### კარლო

ჩვენ არა ვართ ქალები, რომ ბედნიერება ვინატროთ.— ჩვენ გვინდა თავისუფლება.

### IV ტუსალი

ეჰ, მე რომ მოვეყე ჩემი თავგადასავალი, ჩემი წამება, უდროოთ დამკჩნარა სიყვარული...

### I ტუსალი

გაპენტე კიდევ შენი სიცრუეები! გვეცალია შენი ზღაპრების მოსასმენად!

### IV ტუსალი

თქვენ ყველაფერი სიცრუეთ გეჩვენებათ. მთელი ღამე მოსმენთ, თვალგბო გეცრემლებათ და მერე სიცრუეთ მიგაჩნიათ.

### II ტუსალი

აშკარაა— შენი ამბები სულ შეუღარებელია.

### IV ტუსალი

თქვენ იცით ჩემი წამება? იცით რა სისხლი მივიარდებო თაქში?

### I ტუსალი

განა ჩვენ ვინმე გაგვაკვირვებს თავისი წამებით!

### კარლო

გიცნობთ. გვახსოვს პედროს წინააღმდეგ შეთქმულობა.

### პეტრონიო

განა მე ივირჩიე ის მასხარა საჯანის თავათ? ის ყველას გართობდათ, სულ ხარხარებდით... და როდესაც პედრო შემოვიდა, განა თქვენ ყველანი არ ჩურჩულებდით, თითქო პედროს სული, ყველას, ლოდით დაგაწვით საჯანში და დაემარხათ!

### კარლო

პედროს მოკვლაზე ვინ დაეთანხმა მასხარას?

### პეტრონიო

(მიუთითებს ნიკოლოზე)

განა ნიკოლოც არ იყო იმ მასხარას მარჯვენა ხელი?

### კარლო

ნიკოლომ თვითონვე მოიბანა პირი... მან თავის ხელით დააბრჩო მასხარა... და პედრო იცნო ჩვენი საჯანის თავათ.



რა დროს ეგებები!

**ნიკოლო**

**ეუან**

მას აქვთ ხომ გამოვიცვალეთ. ამ საკანის სახელი არის: დაღერემილი საკანი.

**იოან**

ეუან! შენ მხოლოდ სამი წელიწადია ზიხარ აქ... შენ თან შემოიტანე ბა-  
ლახის, ტყის და ჭურჭის სუნნელი. თავისუფლების სუნნელი ჯერ არ მოვშო-  
რებია და ისევ მიდიხარ.. მიდიხართ ეველანი... სულ ეველანი... მაგრამ რო-  
გორც კი იყნოსეთ თავისუფლების შესაძლებლობა ავშალეთ ერთმანეთს, მო-  
იშხამეთ.

**ნიკოლო**

ჩვენ არ ავშლილვართ, ტყელია მოხუცო.

**კარლო**

ჩვენ მხოლოდ მოგონების თვალი გადავავლეთ ამ საკანს, სადაც მარტო  
შენ რჩები მუდმივო ტუსალო... გული კი ვწყვეტა, ისე იწყველები!

**ნიკოლო**

ხომ გაიგონე?... ჩვენ შორის იყო პედრო როგორც კირი. მან შეგვეერთა  
ერთმანეთთან, ისე როგორც ქვებს აერთებს კირი. არ დაეშლებით. ამ და-  
ღერემილ საკანიდან წავალთ ჩვენ ისე მჭიდროთ როგორც ციხისკედელი.

**სტეფანო**

ეს მართალია, გეფიცებით ჩემი მატრონას კაბის ნახევს! (გაწლის ხელში  
კაბის ნახევს) გეფიცებით უოველი შენი სიტყვა არის ქეშმარიტება.

**იოან**

რაც ჩვენთვის საფიცარია—არ არის წმინდა. ასე სთქვა ერთმა ბრძენმა,  
რომელიც ამ საკანიდან პირდაპირ სახრობელაზე წაიყუანეს, თქვენ მაწინ და-  
ბადებულიც არ იქნებოდით.

**ეუან**

ამ საღამოს როგორღაც გამოკოცხლდა ეს მოხუცი.

**კარლო**

ფანჯრიდან თავისუფლების ჰაერი მისაც მოხვდა.

**პეტრონიო**

(დაცინვით)

მოშხანა.

**სტეფანო**

ბებერო, რათ არ არის წმინდა ჩემი საფიცარი! (ბრაზით) რადგან ის როს-  
კიპი იყო, შენა გგონია მას სისხლი აკლდა და აქ გული არ ჰქონდა?!

**ნიკოლო**

(სტეფანოს)

დაწყნარდი.





### სტეფანო

მე ეს შევლევებ იმ მრუში კაცის სისხლით, რომელიც თავის ოქროებით მექიშპებოდა სიუცარულში... რა ვიცი, იმ ქალმა ამდენ ხანს საროსკიპოში ეგებ სისხლიც დაჰკარგა, გულიც დალია... შეიძლება ის ვერც ვიცნო... სამაგიეროთ კარგად ვიცნობ ამ კაბ-ს ნაბევს... თუთხმეტი წლის განმავლობაში მე ებანდი ამ ნაბევს ჩემს ცრემლებში, რადგან ის კაცი ჭრილობიდან გაიკურნა. მე კი... ო, მე გავალ აქედან!.. ა? გავალთ? ა, ნიკოლომ როგორ სთქვა?

### უფან

ამ დაღვრემილ საკანიდან ჩვენ წავალთ ისე მჭიდროთ, როგორც ციხის კედელი.

### უველანი.

(მოწონების ნიშნად აქნევენ თავს)

### ნიკოლო

საქმას გესლი დაანთხია დაცივნებ ჩვენზე. ჩვენ არ გვინდა ჰკუის დამრიგებელი — შეგვიძლია გიყი მივიღოთ წინამძღოლად.

### III ტუსალი

ქვეყანა დიდი სატუსალოა.

### ნიკოლო

ჩვენი სული თავისუფლების და სიმართლისთვისაა შექმნილი და რადგან იგი ქვეყანას არ მოერგო გზა დაგვებნა.

### მედრო

თქვენ მკიდით და გშოიდათ. იბრძოდით და მონები იყავით. თქვენი მოთმინება საღლაც გაწყდა და აი დაგესაჯეს.

### III ტუსალი

ჩვენ საშინლად დაგესაჯეს.

### კარლო

ჩვენ გვინდოდა მხოლოდ აუცილებელი. გვინდოდა ბრძოლა, მაგრამ დაგვატუსაღეს.

### სტეფანო

ჩვენ ისე გავგაუბედურეს, რომ ვერა ძალა ვერ აღგვადგენს.

### კარლო

ზოგიერთ თქვენგანს, ძლიერ ცოტა, სრულიად უმნიშვნელო სიმართლედ უნდოდა, მაგრამ, ამისთვის, რა უზომოა სასჯელი. ეხლა ჩვენ ცოცხლები არა ვართ. ჩვენ არა გვაქვს სხვა ნდომა. ჩვენ — მხოლოდ შური ვიძიოთ!

### ნიკოლო

მე მინდა თავისუფლება! ო, ბავშვს დაშაქრული არ მონატრებია ისე, როგორც მე თავისუფლება.



პეტრონიო  
ნიკოლო

ყოველი ჩვენგანი თავისუფლების ნდომაშია წასული. შეიძლება შოვიპოვით...  
მაგრამ ჩვენს სიცოცხლეს მაინც რა გაახარებს. ყველა ჩვენგანისათვის გამჭარალა  
წმინდა სანთელი.

კარლო

პედრო.

(ქველანი მოიხედავენ პედროსკენ)

ნიკოლო

მას უნთია დიდი ვარსკვლავი.

პეტრონიო

ქვეყანა უნდა გარდაქმნას.

სტეფანო

და, როდესაც სძინავს და ესიზმრება, მისი სუნთქვა ადუღებული ქვა-  
ბივითაა.

ჟუან

დიდია მიზანი!

სტეფანო

და დიდი ბრძოლაა მის გზაზე.

კარლო

პედრო ლმობით ისმენს ჩვენს მოგონებას. მაგრამ, თუ, იშვიათად თავისი  
მოქყვა, აწუხებს ეს კედლები და გაბრაზებით იხედება ირგვლივ.

ნიკოლო

როდესაც ჰზოდავს ქვებივით ამოაქვს მის სუნთქვას სიტყვები: „ტომას  
მიუნცერ“.

სტეფანო

(ხმადაბლა. ამხანაგებს)

კიდ ვ ვერ გავიგეთ ამის მნიშვნელობა.

ჟუან

(პედროს)

ნუ თუ არ უნდა გავიგოთ რას ნიშნავს „ტომას მიუნცერ“?

პედრო

ის იყო მაცხოვარი არა ჯვარით, არამედ მახვილით. მისი სიცოცხლე ერთ  
დროს აიწია რკინის უროთ უსამართლო გერმანიაზე.

(დუმბილია. იხედებიან ფანჯრისკენ)

ჟუან

პედრო ურიცხვს გაიყვანს ბრძოლაში... ისინი სიკვდილსაც კი სხვაგვარად  
შეხედებიან. მაგრამ ჩვენ... აი, ჩვენ!?

კარლო

როდესაც ჩვენ გავალთ აქედან, ჩვენთვის მთელი ქვეყანა იქნება როგორც  
უტხოეთი. გვეყოლება იქ მეგობრად და ნაცნობათ მხოლოდ გალესილი დანა და



ბნელი ღამე... განა ეს სიცოხლე იქნება! ო, არა, ჩვენ მკვდრებს ვერ ვხედავთ...  
დამარხვა დააეიწყუდათ—მეტე არაფერი!

ნიკოლო

პედრო რას ფიქრობს?

პეტრონიო

სდუმს.

კარლო (პედროს)

შენ მოახერხებ ჩვენს გაყვანას ამ ცოცხალთა სასაფლაოდან. მაგრამ ჩვენ მაინც მკვდრები ვიქნებით რა ამოიღებს ჯკანვე ჩვენს დანებს ადამიანთა გულებში ჩარკობილს, ისე უმაზნოთ. რა დამშვიდებს ჩვენს სინდისს. ან, პედრო, რა ამოიღებს ჩვენს ნაღველს ამ კედლებიდან... შეგიძლია ჩაგებრო ჩვენ სიცოცხლე? ჩვენი შფოთი აქციო ბრძოლად?

პედრო

მე რამდენჯერმე მილაპარაკებია თქვენთან. და თქვენ ყოველთვის გულდასმით მისმენდით, მაგრამ არც ერთხელ არ გავიცხადებიათ, რომ იბრძოდებთ.

ნიკოლო

ჩვენ მხოლოდ დღეს გვეხსნება ხელ-ფეხი.

ფუან

ჩვენ მხოლოდ ახლა გვშორდები შენ... და ჩვენ არ შეგვიძლია... გესმის... არ შეგვიძლია დაგშორდეთ!

ხტეფანი

მანამდე რა უნდა გვეთქვა. ტყვილა რად უნდა გვეთქვა.

ყველანი

მანამდე რა უნდა გვეთქვა. ჩვენ ტყვილა რად უნდა გვეთქვა!

იოან

(მოშორებით უნაწილოთ დგას)

ეწყობიან...

პედრო

კი,—მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ირწმუნოთ ჩემი, დაიჯეროთ?!

ყველანი

გეფიცებით!

პედრო

თქვენ შეგიძლიათ გამყვეთ შიშველნი ქარ-ყინვაში და გჯეროდეთ ჩემგან, რომ ის აპრილის თბილი ნიაყია, ან რომყვეთ ცეცხლში და გწამდეთ, რომ ის თოვლიყით გრილია?... ჩემს წინადადებაზე ასწევთ ხელს ვარსკვლავების მოსაყრეყად, დარწმუნებულნი ჩემგან, რომ ისინი ზეთის ხილზე უფრო ახლოა?!—, შეგიძლიათ დამიჯეროთ, ისეთი უბრალო ჭეშმარიტება, რომლის წარმოთქმაც სიგიყეთ ჩაითვლება?

პეტრონიო

შეგიძლია. ჩვენ ყველაფერი შეგიძლია....



ერკონული  
გინჯლიჩისა

**ნიკოლო**  
ჩვენ არა ვართ მოწაფეები, ჩვენ არ გვინდა ჭკუის დამრიგებელი, საკმაოდ აგვზარდა ცხოვრებამ. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ წინამძღოლად სიგიჟეც!..

**ჟველანი**

ვიბრძოლოთ—მედგრად.

**უუანი**

ო, ბაწარი მოსწიეს!

**ჟველანი**

ვინ არის?

**პედრო**

ანტონიო!.. მე აეტეხე ეკლესიის წინააღმდეგ. მე ვასწავლე წარმატებით ბრძოლა. იზრდება მისი ლაშქარი. აწვება ზეაღივით და ანგრავს ძველ ტაძრებს. ამისათვის შემიპყრეს მე და მოსათარგუნავედ ჩამსვეს აქ. მაგრამ ჩემი სული უფრო აღიგზნა. შეპხედით ამ კედლებს. განა ისინი საცაა ფხვნილებად არ წაიქცევიან!? ასე მოუჭირა ამ კედლებს ჩემმა ფიჭრებმა. ო, აქ მე უფრო მოვძლიერდი და გავიგე, როგორ ცოტა ვასწავლე საბრალო ანტონიოს. რა არის ეკლესია? ეკლესია მხოლოდ პატარა ეპიზოდია, ცხოვრებისა. არა გჯერათ? საჭიროა ბრძოლა ქვეყნის სრულიად გარდასაქმნელად. საჭიროა ჟველაფერი მოისპოს და ახალი აშენდეს, ერთი ნემსიც-კი რომ დაჩქეს ძველი ქვეყნიდან ის, იცოდეთ, ახალი კაცობრიობის გულში იქნება ჩარჭობილი. ამისათვის, საჭიროა, ყოველი მოფიქრება, ყოველი ამოსუნთქვა ხმლის მოქნევისთან იყოს დაკავშირებული. თქვენ უნდა იქცეთ მებრძოლებათ. თქვენთვის სისხლი უნდა შექარი იყოს, ცრემლები კი ბედნიერება. დაუზოგავი უნდა იყოს თქვენ!

**ჟველანი**

ექნებით!

**პედრო**

შეგინლიანთ თქვენ ბრძოლაში შესვენების დროს, ოულიანი შუბლი ბავშვის სისხლით მოიბანოთ?

**ჟველანი**

ჩვენ ჟველაფერს ვიქით რასაც გვეტყვი!

**პედრო**

ეს დასაშვებია, რადგან მომავალი კაცობრიობა ბავშვზე უფრო მშვენიერი იქნება.

**კარლო**

იყო მხოლოდ ღმერთი, მაგრამ სიკვდილის მეტი არაფერი გააჩნდა მას ჩვენს სანუგეშებლად.

**ნიკოლო**

რა გამოიტანდა უკან ამ კედლებიდან ჩვენს მრავალ წლებს.

**პეტრონიო**

გვყავდა ქალები და ისინი სიღარიბემ ბატონებს დააწოვია. ვაჟებიც გყავდა—ისინი სიღატაკემ ციხეებს შეაქანა. და, როდესაც ჟველაფერი ინება ღმერთმა, მერე ჩვენ ლოცვა დაგვაიწყდა.



შესამეჯერ მოსწიეს ბაწარი.

**ჟუან.**

**პედრო**

(გადიხედავს ფანჯარაში)

დარაჯები ამოწვეტილია. ციხიდან გასასვლელები ანტონიოს რაზმელებს უჭირავთ... ქალაქს სძინავს.

(ყველანი მივიარდებიან ფანჯარას და მღელვარედ იცქირობენ. ზოგიერთები ჩურჩულებენ: \* ა ნ ტ ო ნ ი ო ს რ ა ზ მ ი ! \* )

**პედრო** (ადის ფანჯარაზე)

ქვეყანაე! იქმნება მეხი შენი გასალვიძებლად!

(გადაჰყვება ბაწარს)

**ჟუან**

ო, ო!

**კარლო**

(ადის ფანჯარაზე. ჟუანს)

შენ მე მომყვები!

(გადაჰყვება.)

**ჟუან**

ისინი ლანდებივით დადიან, არც ერთი არ იღებს ხმას!

(სწრაფად ადის ფანჯარაზე. ნიკოლოს)

სიჩქარე, სიჩქარე!

(გადაჰყვება ბაწარს)

**ხტეფანო**

(გადიხედავს)

ისინი ფუსფუსებენ, რა საშინელად წრიალობენ!

**ნიკოლო**

(ადის ფანჯარაზე. პეტრონიოს)

ჩქარა მომყევი!

(გადაჰყვება ბაწარს)

**პეტრონიო**

(თვალს ადევნებს)

იქ რალაც ხმაურობაა.

**ხტეფანო**

**II ტუსაღა**

რა!

(შოისმის ხმაურობა.)

**ხტეფანო**

გაიგეს!

**პეტრონიო**

(მღელვარედ)

არა!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**პეტრონიო**

(სწრაფად აღის ფანჯარაზედ გადაჰყვება ბა-  
წარს მოისმის ხმაურობა და იარაღის ჩხარუნია.)

**სტეფანო**

**ჰველანი**

**სტეფანო**

(აეარდება ფანჯარაზედ და გადაჰყვება ბაწარს  
ისმის საყვირების ხმა. იარაღის ჩხარუნია,  
ხმაურობა.)

**I ტუსალი**

(აეარდება ფანჯარაზე და გადაჰყვება).

**II ტუსალი**

ქალაქის ღრიანცელიც ისმის!

(გაისმის თოფის სროლა)

**III ტუსალი**

ომია ჩვენს ციხეში.

(2, 3, 4 ტუსალები ერთად აეარდებიან ფანჯ-  
არაზე)

**II ტუსალი**

(იმ წუთში, როდესაც უნდა გადაჰყოლოდა ბა-  
წარს ინსტიქტიურად დაიდებს ხელს გულზე.  
გმინვით).

დავიჭერი!

(ჩაიკეცება).

**III ტუსალი**

ოო, უკვე თენდება. ძნელია გაქცევა.

(გადიხედავს)

გაათრებულნი იბრძვიან.

(გადაჰყვება ბაწარს).

**II ტუსალი**

(ლამობს ავიდეს ფანჯარაზე. წაიქცევა)

მძიმეთ დავიჭერი, ოო, მძიმეთ!

**IV ტუსალი**

(აღის ფანჯარაზე)

მოსინათლდა! ანტონიოს რა ხმელები იბრძვიანი აგერ—ჩვენებიც! პედროო!...

(გადაჰყვება ბაწარს)

**II ტუსალი**

(მოიკრებს ძალას და გადაეყრდნობა ფანჯარას)



მოდის მტრის აუარებელი ჯარი—ესენი კი ერთი მუცლისკენ მუცლები. ოჲ კიდევ ჯარები! (გაისმის ხალხის გუგუნე) თვითონ შეფე მოვიდა; ხალხი სანახაობითაა გატაცებული. მტერი მხნეა გამარჯვების მოლოდინში. ხალხი ხრიალობს... ჯარებმა ბრძანება მიიღეს დაიხიონ და დაიხიეს... ისინი გაიყენეს და ჩვენები ასკდებიან დახურულ გასასვლელებს, ვერა!.. (ისმის ხალხის ღრიალი) მეფე უფრო ზევით ავიდა და იქიდან იხედება. (იჭურება შემკრთალი და გაცეზული) ააჰ! (მოისმის ხალხის მძაფრი ხრიალი) ლომი შემოუშვეს! იგი დაერია ჩვენებს! ციხის უფროსი მიქელო ხარხარებს! (ისმის ლომის ღმუილი. ჰყვირის ნერვიულად) ამოდით! (ამოდის ბაწრით ფანჯარაზე პირველი ტუსალი. ის ჯდება ფანჯარაზე, ძლიერ ითქვამს სულს. ამოდის მე-4 ტუსალი. ყველანი მღელვარედ გაიყურებიან ფანჯარიდან, ისმის ლომის ღმუილი).

### ყველანი

(მღელვარედ)

პედრო!

### I ტუსალი

ო, შეიშალა პედრო!

(ამოდის ბაწრით ფანჯარაზე ეუანი)

### ეუანი

(სასოწარკვეთილებით)

პედრო!

### IV ტუსალი.

ის ლომზე მიდის საბრძოლველად!

### ყველანი

ის შეიშალა!

### ყველანი

დაეტაკა შეშლილი პედრო! შეშლილი!

### III ტუსალი

მშვიერმა ლომმა დაიხია და დაილო უზარ მახარი ხახა!

(ისმის ლომის ღმუილი)

### ეუანი

ვისა.ვის ვინახავთ თავს.

### II ტუსალი

განა ეს კედლები ლომის კბილებზე ნაზია!

### ყველანი

პედროსთან!

(სწრაფად გადაეშვებიან ბაწრით პირველი და მეოთხე ტუსალი და ეუანი.)



პეტრონოვი  
ნიკოლოზი

**II ტუსალი**

(ცდილობს, მიგრამ ვერ ააქვს ტანი ფანჯარაზე გადაიხედავს. ისმის ლომის ღმუილი)

პედრო გადაუდგა ლომს და არ ანებებს ამბანაგებს. ო, სცემს მას, და ღმუის ლომი. (ისმის ხალხის ენტუზიაზმით ახმაურება.) ოო, ლომი ატირდა პედროს წინაშე. და ულოკავს ხელებს! (ღრიალებს) საკვირველება! (იმის ხმას ჰფარავს ურიცხვი ხალხის ყრიაშული, რომლის განუწყვეტელ გრვეინვაში ამოდიან ბაწრით ფანჯარაზე ნიკოლო, ეუანი, I ტუსალი და მე-4 ტუსალი.)

პედრო!

ყველანი (ჩასძახიან)

ჩსინი ომობენ?!

ნიკოლო

არა, — ლომი და პედრო ჰკოცნიან ერთმანეთს!

ეუანი

ამოდი!

ნიკოლო

(სხენაირი ილტაცებით გადაიყურებიან. ამოდის ფანჯარაზე პედრო, ებევიან ხელებზე)

**I ტუსალი**

ჩვენ ყველაფერი გეჯერა!

ნიკოლო

(ფანჯარაში)

ხალხს უკანვე ერეკებიან. მეფე გაფითრებული ზის.

(ყვირით)

როდესაც მიხვიდეთ სახლში და მოჰყვეთ ეს ამბავი, — გერცხვენოდეთ თქვენ თქვენი თავისა!

პედრო

(იხედება ირგვლივ)

სად არის კარლო?

ნიკოლო

აი. ის ამოდის!

პედრო

(გადიხედავს)

პეტრონო, სტეფანო, რაზმელები... როგორ მშვიდათ წვანან თავის სისხლში! თქვენ ზედავთ?

(ნერვიულად ხელის გაქანებით გადაჰყურებს ფანჯარას)





როგორ საამუროია საკლთარ სისხლში განსვენება! ისწავლენი  
 ყველანი

ოოპ!

### I ტუხალი

ნიკოლო

კარლო! (გაისმის მძიმე ტულაშანი)

### III ტუხალი

ის დაასკდა მიწას, ტვინი ქეებზე გადაანთხია!

პედრო

ასე ვუყვარვართ ჩვენ დედამიწას!

(გაისმის ხალხის ხანგრძლივი ხარხარი)

ნიკოლო

(ფანჯარაში)

იხარხარეთ, იხარხარეთ. შემდეგ, როდესაც სახლში მიხვიდეთ მოლუვეით  
 სტუმრებს ეს ამბავი, და ურთოდ იცინეთ... მაგრამ გახსოვდეთ, რომ თქვენთვის  
 თვით ქრისტეს ჯვარცმაც სერიი იყო!...

(გაისმის საყვირების ხმა. ჩოჩქოლია)

### I ტუხალი

რა ხდება!

იოან

(თაროდან)

მე აკი ვთქვი, რომ ოქნს შეგვიყენებენ მეტქი!

ჟუან

ხალხი დაიშალა. ისინი თითქოს კიდევ მიიშალნენ.

### III ტუხალი

ესენი ვინ არიან!

ჟუან

ციხის დარაჯებმა დაიკავეს თავის ჩვეულებრივი პოსტები... მაგრამ ისინი  
 ვინ არიან?

(საკანის კარები იღება, შემოდის უზარ მახარი  
 ჯალათი, ნახევრად მოშიშვლებულ მკლავებით  
 და მხარზე ნაჯახით, თან მოჰყვება ორი გამონ-  
 ძიებული, რამდენიმე ციხის ზედამხედველ-  
 ზედამხედველები უზმოდ ახდენენ გულმოდგინე  
 ჩრტყას. დუმბილია)



**ზედამხედველი**

თმის ნაწნავებისაგან დაწნულ ზაწრის და ამ სამი გადამოქცეული მსახიობის მეტი—ვერაფერი აღმოვაჩინეთ.

**II გამომძიებელი**

შეგიძლიათ! (ზედამხედველნი მიდიან)

**I გამომძიებელი**

ჩვენ ვიცით ყველაფერი. ყოველ თქვენგანს, მაინც ვვალევა, დაწერილობით გადმოგვეს, ყოველივე, გულის სიმართლით.

**პედრო**

გულის სიმართლით შეგიძლია დაწერილებით გადმოქცეთ მხოლოდ ზიზღი-

**II გამომძიებელი**

პო, რას იტყვი.

**I ტუსალი**

მეტს არაფერს.

**II გამომძიებელი**

თითქმის ნახევარი საუკუნეა ზიზართ აქ და მაინც კიდევ ვერ გამოსწორდით, იმდენად რომ განათლებულ და ჰუმანიურად შემოსულ კაცთან ილაპარაკოთ. არა უშავს რა, თქვენთან მოლაპარაკებებიც გვეშოვება!

**I გამომძიებელი**

(ჯალათს)

გაიყვანე ესენი. იხზარე ყოველგვარი საშუალება.

**ჯალათი**

აბა, წამოდი!

(კარებში გამოჩნდება კიდევ სამი უზარმაზარი ჯალათი. მას მიჰყავს ტუსალები. II ტუსალს, დაკრილს, ხელით გაათრევენ. საკანში სტოვებენ მხოლოდ პედროს და იოანს, რომელიც სულ გაუნძრევლად გდია თაროზე).

**I გამომძიებელი**

ჩვენ ჯერ შეგეკითხებით...

**პედრო**

(გააწვეტინებს)

მე არაფერზე არ ვიპასუხებთ.

**I გამომძიებელი**

მაშ ვის უპასუხებთ თუ არა ჩვენ?

**პედრო**

(წუნარად)

ღმერთს... მაგრამ...

(ხმა მაღლა)



მე მას მრავალ წელიწადს ვეძახოდი, მე ვუყვიროდი, მან წავიწველა...  
 ის არ მეხმაურებოდა, და ეხლა, რომ მოვიდეს კიდევც... (ძღუღუღაოდ)

მე არ დავიჯერებ რომ ის ღმერთია.—არა! მე არავის არ ვუბასუხებ!

## II გამომძიებელი

დავაწვეთ მთავარ კითხვას.

### I გამომძიებელი

არის ერთი კითხვა. აქ არის მეფის უზენაესი, უსასტიკესი დავალება. ვიტყვი გულახდილად ის გონებას დაჭკარგავს, თუ არ გამოარკვია რად მოღბა შენს წინაშე და მოთვინიერდა მეფის სამხეცოს ბებური ლომი?

პედრო (შეკრთება)

რა სტქვი?

## II გამომძიებელი

ჩვენ იმას სრულიად არ მივაქცევდით ყურადღებას მაგრამ...

პედრო

(ნერვიულად იცინის)

დედოფლის პატარა ლომი?

### I გამომძიებელი

მისმა უდიდებულესობამ, გამოსაკდელად იმისა, მიზეზი ლომის ხასიათის ცვლილებაშია თუ არა, ბრძანა და შეუშვა ლომთან სამხეცეს მომვლელი. ლომმა მომვლელი წამში გახლიჩა. მიუშვეს ცნობილი მხეტთა მომწვრთნელი, მაგრამ ისიც წამში გახლიჩა ზვიადმა ლომმა. მაშინ მეფე აკანკალდა და მოიხმო ეპისკოპოსი, მაგრამ ეპისკოპოსმა დაარწმუნა, რომ შენ წმინდანი არა ხარ. შენ რატომ ჰღელავ ასე.

## II გამომძიებელი

დამშვიდდი.

პედრო

მაშ ასე... ის ასე უცნაურად მიადგა სინამდვილის კვალს.

(ნერვიულად იცინის)

### I გამომძიებელი

პედრო!

## II გამომძიებელი

დამშვიდდით. თქვენ ხომ იტყვით, გვიბასუხეთ!

პედრო

აა! აღელვებულია! იშლება! მან მიაგნო! ეხლა ის დაიჯერებს სიმართლეს, რომელიც აქამდე მხოლოდ სიგიჟეთ მოეჩვენებოდა. ალბად ჰქონდა სხვა გვებიცი, მაგრამ მე რა ვიცოდი, მე ვიჯექი აქ ოთხკედელში. ზოლოს მაინც მოვიდა სიამე! ეხლა ჩემგან მხოლოდ დასტური უნდა.

## II გამომძიებელი

თქვენ ისეთი პატოსანი ხართ.



**პედრო ჩაფიქრდება)**

არა. მე ვეტყვი მხოლოდ მას! თქვენ წადით!

**გამომძიებლები**  
(აღშფოთებულნი)

როშავ!

**I გამომძიებელი**  
ძვირფასო, ის ზამ გამომძიებელი არ არის?

**II გამომძიებელი**  
ან თქვენი ციხის ზედამხედველი!

**I გამომძიებელი**  
ჩვენ ავიხსენით რა სასტიკად გვევალება. ვინმართ ყოველგვარ საშუალებას.

**II გამომძიებელი**  
არ ნახულს, არ ვაგონილს.

**პედრო**

აბა შენზედეთ ერთი, რა ჯოჯოხეთია ჩემს თვალებში: ჩენთვის სასაცილოა თქვენი ნახულიც და არ ნახულიც.

**გამომძიებლები**  
(ძრწოლით)

მანც ვიხმართ!

**პედრო**

დამშვიდდით, რად ჰძრწოთ. პირობით—თქვენი ბედი, რომ არ გიშვლთ—ეს ხსნა თქვენთვის.

**გამომძიებლები**

როგორ!

**პედრო**

ისეთია ეს საიდუმლო, რომ საკმაო ვაიგონოთ და, იმავე საათში, საიდუმლოს შენახვის მიზნით—მოკლულნი იქნებით.

**გამომძიებლები**  
(შემკრთალნი)

ოჰ!

**პედრო**

ეს, წინდაწინვე იქნებოდა გადაწყვეტილი.

**გამომძიებლები**  
(კანკალობენ)

ოჰო, ჰო, ჰო!

**I გამომძიებელი**

აკი ვითხარი, რომ მეფე რალაც ზედმეტად გეწყალობს.

**II გამომძიებელი**

აშკარაა, რატომ შეგვარჩიეს ამ საქმისთვის ორივე ათვალისწინებული გამომძიებლები.



ქართული  
წიგნების  
კავშირები

**I გამოშვებული**  
(ტირირით)

ხსნა არ არის!

**II გამოშვებული**

კოლი მყავს ტოროლსავით მშვენიერი, ის უბედური!  
(სტირია)

**პედრო**

კმარა! ბინძური ცრემლები დასერის საკანს, რომელშიც იმდენი წამება და ნაღველი დაღვრილა. გადაეცით მეფეს, რომ მე, საიდუმლოს მხოლოდ მას ვეტყვი. ვერაინ ამომათქმევინებს თუნდ ერთ სიტყვასაც, რიტომ რომ მე მინდა ამ საიდუმლოსთან ერთად გადაესცე მეფეს...

**I გამოშვებული**

ვეტყვით.

**II გამოშვებული**

დავარწმუნებთ, რომ მის ვეტს არავის, ქალისაგან შობილს, არ გაუნხელ...  
(ისინი მიდიან წუწუნით: „თუ დაგვიჯერა“...  
შემოდის ციხის ზედამხედველი. ორი ზეინკალი. ზეინკლები აკეთებენ ფანჯარაზედ რკინის მოაჯირს, ზედამხედველი სინჯავს ნამუშევარს).

**I ზეინკალი**

(გეორგს)

იქ რას სდგამენ ეზოში?

**ზედამხედველი**

თქვენ იქით ნუ იყურებით, თქვენი საქმე აკეთეთ.  
(ზეინკლები მუშაობენ)

**II ზეინკალი (პირველს, ჩემად)**

სახრჩობელებს სდგამენ. მე ჩემი შვილის გაკვირება მალაპარაკებს, ის ტუსალია.

**II ზეინკალი**

ჩემი—მამა... მაგრამ იგი არც მახსოვს, ერთი წლის დავრჩენილვარ, ორ-მოცდა ათი წელიწადია აქ ზის.

**ზედამხედველი**

ვინა! 50 წელიწადს ამ სატუსალიოში მხოლოდ (მიუთითებს იოანზე) ამან გასძლო. ძლიერ მოთურგნულია. მეფეს ვინტერესება გამოსკადოს რამდენი წელი შეუძლიან შეასრულოს უხუცესმა ტუსალმა... მაგალითად ვთქვათ შვასრულა ასი წელიწადი, მაშინ ის იქნება ისტორიული ტუსალი. ხა, ხა, ხა ამიტომაც საწამებლად არ ვაპყავდ.

**I ზეინკალი**

(უცქერის იოანს)

50 წელიწადიც კარგი ბიჭობაა!.. რა გქვია შენ?



რა ვიცი... სულ ერთი არაა იოანე განა...

იოანე

II ზეინკალი

(უცქერის იოანეს)

ღმერთს გეფიცებით ეს ჩემი მამაა! რა გქვიან, სტევი.

იოანე

შენ რა გქვიან!

II ზეინკალი

პეტრონიო გარსეა.

იოანე

მე—იოანე.

II ზეინკალი

ჩემი მამა!

იოანე

(გადმოდის თაროდან უელის, ათვალეგრებს, რაღაც უხერხულობას გრძნობს.)

ჰმ! რა ვიცი... ასე ყოფილა და... საკვირველი ამბავია!

II ზეინკალი

(ღრმად)

ეხ, საცოდავო!

(ცრემლი ადგება თვალზედ)

ზედამხედველი

ეს რომ გაიგონ, კიდევ დამსჯიან—რა ვიცოდი, თუ შენ ამის შვილი იყავი.

II ზეინკალი

მე თვითონ არ ვიცოდი!

(იოანე ადის თაროზე)

ზედამხედველი

ყველა დადუმდით. აი ეს... მაგრად, უფრო მაგრად, ასე!

I ზეინკალი

თუ რამე აკლია ეხლავ მიგვითითე. შემდეგ არაფერი დაგვებრაღდეს.. თორემ საცოდავი ჩემი შვილიც სულ ტყუილად, გაუგებრობითა ზის....

იოანე

(II ზეინკალს)

ეხლა მაგალითად, რომ გამიშვან სატუსალოდან, ესთქვათ გამაგდეს აქედან,—შენ უნდა მარჩინო?

II ზეინკალი.

ეხ, რომ იცოდე რამდენი მყავს სარჩენი, რამდენი წერაღ-შვილი! რა გაეწყობა, შენც მე უნდა გარჩინო!

იოანე

ჰო!



(ვერ სძლებს თაროზე. ჩამოვარდნილი სწრაფობს. უცქერის შეილს, უვლის ანლოს, უხეობულად. რალიცის სწრაფად იღებს ჯიბეში. აღის თაროზე, ისევე ჩამოდის)

**ზედამხედველი**

დაეტეე მოხუცო თაროზე!

იოან.

მე ორმოცდაათ წელიწადს დაეტეე ზედ, მაგრამ... ეხლა... მეც ადრესად-  
ლაც ვყოფილვარ... (შეილს) კარგად გააკეთე! (დუმობდა)

**ზედამხედველი**

(II ზეინკალს)

რა უღიბლო საათზე შემხვდი. რა ვიცოდი თუ, შენ ამის შვილი იყავი.

II ზეინკალი

მე თვითონაც არ ვიცოდი!

**ზედამხედველი**

ეს ამბავი არსად წამოქცდეს თორემ...

II ზეინკალი.

მესმის.

(მაშა და შვილი წამდაუწუმ უცქერიან ერთ-  
მანეთს)

I ზეინკალი.

შხათა!

**ზედამხედველი**

(სინჯავს მოაჯირს)

მოაჯირი მაგარია!

II ზეინკალი

შენც კარგად დააკვირდი.

**ზედამხედველი**

მაგარია... მაშ—აიბარგეთ.

(ზეინკლები კარებიდან მიიხედავენ. იოან არ  
აშორებს თვალს შეილს)

II ზეინკალი

მოხუცო... მოხუცო... (თავს უქნევს, ზედვე მიჰყვება ზედამხედველი, კარე-  
ბი იხურება)

იოან

(წრიალებს. მივიარდება კარებს)

შვილი... ჰმ. იგი კიდევ... ვერ ვკითხე. ვერაფერი მითხრა იმ ქვეყნისა...  
(წრიალობს ხან თაროსთან, ხან კარებთან)

(კარები გაიღება, ჩქარი ნაბიჯით შემოდის II  
ზედამხედველი, უხმოდ გაჰყავს იოან. კარები



იხურება და ისევ იღება, ~~დღესასწაული~~ შეხოდის  
ოთხი შეიარაღებული სახე დახრილი ხანგი და  
ერთი ვილაყ, თავით ფეხამდე შავ მანტიასი  
გაბეველი. შავოსანი გაჩერდება შუა ადგილის,  
შემოიხსნის მანტიას—ის შეუფა.)

**მეფე**

(უყურებს გრძოლით)

ოო, პედრო!

**პედრო**

აფრიკელმა პრინცმა მოიტანა ძველ ეგვიპტეს დედოფლის საურე და გად-  
მოშვა მე, როგორც მუზეუმის გაბეგეს... იმავე ლატაკმა პრინცმა მოუყვანა მემ-  
კვიდრის მუზეუმს ლომის ლეკვი. შენ მაშინ, ჯერეთ მემკვიდრე, ექსპედიციამ  
გაგიტაცა შორეულ კუნძულზე. მოხუცი მეფე კი ავადმყოფობამ ხანგრძლივად  
დააწვინა. მეუფის ავადმყოფობის გამო, და, რადგან, შენც შორს იყავი, ძალა  
უფლება შენმა მუქლემ აიღო ხელში და მისი გზა გამოეყო იეზუიტების ვხას...  
პატარა ლომი წამოიზარდა, ის უკვე იცავდა დედოფლის კარებს შეთქმულ მო-  
წინააღმდეგებისგან.

**მეფე**

დედოფლის ნაბიჯები საკვირვოიდან აწყვეტილის ნაბიჯებს ჰგავდა. ეჭვი-  
რომ ის ვილაყს ეზარებოდა—უცნობს.

**პედრო**

დედოფლის მოწინააღმდეგენი ემყარებოდნენ ათას წლების მიერ გაფითრე-  
ბულ პერკამენტებს. მაშინ შემეზიზლა მუზეუმიც... იჩინა თავი არეულობამ.  
ამდროს დაბრუნდი შენ... და რამდენიმე დღის შემდეგ დაბატუსაღე.

**მეფე**

შენს შესახებ არაფერი არ ვიცოდი. შენ დაგსაჯე მხოლოდ ანტონიოსთან  
პეგობრობისთვის.

**პედრო**

შენ ჩამოდი ჩვეულებრივი მეფეა ძე. დედოფალმა შენგან რამდენიმე დღეს  
იმ ლომის შემწეობით დაიკვა თავი... მაგრამ მას შემდეგ, რაც მე დაბატუსაღეს,  
ლომი დასვედიანდა, გაბრაზდა. დედოფალი შეშინებული განშორდა თავის სა-  
სვენებელს... ის გამოეტეცა გამოაშჸარავებულ მზეცს, მაგრამ ამასთანავე გამოაშ-  
ჸარავედა მისი დედოფლური ბუნება და ჩაუვარდა ხელში ცბიერს, ელასტიურ  
მხეცს—მეფეს... ეს მოხდა ჩემი დატუსაღების მომეოლ დღეებში... შემდეგ ამ  
ყრუ კედლებმა გამოამყო მე მთელს ქვეყანას... თუმცა ამავე ლოდებმა, კედლებმა  
სრულიად გადამცა ნე მომავალს.

(კოტა დუმილია.)

**მეფე**

რაუ გაბელდა ლომი მას შემდეგ, რაც შენ დაგიკირეს! (კოტა დუმილია.  
გაისმის მოჩვენებული ხმა: „ის ემყარებოდა ვილაყ უცნობს“) შენ იცნობდი  
დედოფალს?





პედრო

(მეფე უცქერის და თრთის)

ლომი ჩემს მკლავზე გაიზარდა. მუდამ მხედავდა დედოჯალთან. ვუყვარდი. ურველოვის: მე მხედავდა მხოლოდ ლომი.

მეფე

(ნერვიული სიმშვიდით)

შემდეგ... ამით არ ესმის ჩვენი ენა. ილაპარაკე.

პედრო

მე გული მაქვს არა იმისთვის, რომ შენს წინაშე ავიხადო... მაგრამ (ძლიერად) მე მოვითხოვ ჩემსას!

მეფე

(კანკალებს)

პო, რას!

პედრო

ის ვაგი, რომელსაც მემკვიდრეს ეძახით... ის — ჩემია!

მეფე

(გითევით)

ის შენია! შენია! მოგვკრი მას, მაგრამ ჩემი ხელებით ჩამოვგლეჯ სახიდან სილამაზეს, ჩაქუჩით აუემლორევე ტეინს, რომლითაც ისე ნათლად აზროვნობს. დამახინჯებულს მოგიყვან შენ, აქ, რომ ამ კედლებში იჯდეთ თქვენ, ორივე, სამუდამოთ, სამუდამოთ... და შესცქეროდე შენს მახინჯს, შერყეულ და მოშხამულ შეილს!

პედრო

ოო, მაშინ ამ კედლებში ხეიმი იქნება! მუდამ! მაშინ ეს კედლები ჩემთვის ღვინოთ გადაიქცევა!.. ადუღდება გიჟ სიხარულით!

მეფე

ა, ის არ არის შენი?

პედრო

(ძლიერად)

ის ჩემია! ჩემი სისხლია!

მეფე

(აკვირდება)

რად იმეტებ დასამახინჯებლად!

პედრო

მისი გული თქვენებურად სძვერს. ჩემს თვალში ის დამპალია, სკირდება მაგრად დაწიხვლა, რომ გამოირწყეს ბაღლამი; მისი ტვინი მრუდეთაა განსწავლული, და საჭიროა, რომ შეირყეს. — სხვა ვერაფერი ვერ იხსნის გარყვნილებისაგან მის აზროვნებას.

მეფე

როგორ შეერყევია ამ კედლებს? — სულმდაბალი!



ერკენულნი  
გეზლიქითქა

**მედრო**

არა! ჩემი სული ამ კედლებს არა ადამიანური აღგზნებით, ო, როგორ საშინლად, შეებრძოლა! მკერდში ამოიწვებოდა გრძნობა, მაგრამ ეს კედლის ქვები წლების განმავლობაში სენივით გადადიან გულში და აქცევენ მას ქვათ და ამიტომ ჩემი კული ღვივდება ათასჯერ, მაგრამ არ იფერფლება. მე შეზიზღება ეს რუხი კედლები და ყოველი ახალი დღე სიძულვილის წონაზე იწონება... მაგრამ მე შეიყვარს ეს კედლები, იმისთვის რომ მან მასწავლა მე ამდენი სიძულვილი მისადმი, მასწავლა, რომ მთელ ქვეყანაზე, ცხოვრების ყველა კუნტულეში, ყოველგან, აღმართულია ასეთი კედლები და მე გადავწყვიტე, რომ დაინგრეს, დაიწვეს ცეცხლით ძველი ჭიკუცა!

**მეფე**

(დაცინვით)

ახალი წამება ხომ უფრო გავაფთრებს.

**მედრო**

ო, ვიცი, არა გაქვთ იმდენი მადლი, რომ ის მოიყვანოთ აქ... მაგრამ თუ კი ამას არ იქვთ, მოჰკალით იგი... ისე, თქვენებურად, საიდუმლოდ...

**მეფე**

ყველაფერი გადაწყდება ისე, როგორც ღმერთს უნდა, მაღალ ღმერთს შენისთანებისათვის ჯოჯოხეთი აქვს, მაგრამ ჯერ არ მინდა გადაგვი... ჯერ მე მინდა...

(ჭყვირის)

მიქელო!

(შემოდის ციხის უფროსი)

**მიქელო**

(წარუდგება)

თქვენო უდიდებულესობავ! რამდენი ხანია ვაწამებთ და არაფერი გამოვიდა.—ჯერ ვათქმევინეთ, როგორ იშოვეს კლიბები, ან ვინ მისცა მათ თმის საბელი!

**მეფე**

დადუმდი, უნიკო! თქვენ არ იცით ადამიანის წამება!

**მიქელო**

ღმერთს, დიდება მის სახელს, მოუკია ყველა ადამიანისათვის ისეთი ხორცი, რომლის ყოველი ნაწილი გრძნობიერია. ღვთისაგან ყველაფერი მხადაა მოცემული და ჩვენ მისი მადლით ვსარგებლობთ.

**მეფე**

მერე? ნაყოფი სადაა,—ნაყოფი!

**მიქელო**

მოგახსენებთ, თქვენო უდიდებულესობავ, დღევანდელი დღე, რალაც სასწაულებით მიდის, აქ ასეთი ამბავია. იქ მთებიდან, გუგუნი მოისმის... მთების გუგუნია. და ზღვა საშინლადაა აღელვებული. ხალხი სალოცაყად მირბის.



ქართველთა  
წიგნების კავშირი

მეფე  
არ ეციო. დამანახვე, ვნახავ, როგორ აწამეთ ისინი!

**მიქელო**

(დაბრის თავს)

თქვენო უდიდებულესობაე!

(ციხის უფროსი სასწრაფოდ შეაღებს კარს. მეფე იცქირება ნახევრად შეღებულ კარებში).

**მეფე**

(გაოცებული)

და მაინც არა სთქვეს არაფერი!

**მიქელო**

ხმა არ გაიღეს,—ერთი კრინტი!

**მეფე**

განა მათი ხორცი ცოცხალი არ არის!

**პედრო**

ხორცი მეტად ცოცხალია! მაგრამ, ხორცის გარდა, ცოცხალია მათი სულიც. (მეფე ეხვევა შავ მანტიაში. შემოაქცავეთ ყველა ტუსაღები, ისინი ძლივს აბიჯებენ ძლივს დგანან. გამხდრები არიან და გალურჯებულნი.)

**მიქელო**

ამათ შორის ერთი დაკრძილი იყო. ის წამების დროს გარდაიცვალა.

**მეფე**

დღესვე შეჰყარე ყველა ჯალათები, შეიმუშავეთ ამათი წამების გეგმა და წარმოიდგინე. ესენი აწამეთ წლობით. მთელი წლის ყოველი წუთი ამათ-თვის უნდა წარმოადგენდეს სიკვდილის წყურვილს.

**მიქელო**

ნესმის, თქვენო უდიდებულესობაე! დღესვე გაეთიშვე ამათ ერთმანეთისგან. ხეალ შეუდგები წამება ... თან ვეცდები დიდხანს არ შეიშალონ.

**პედრო**

(მიდის მეფისკენ აღზნებული)

მე ვითხოვ ჩემსას! მოიყვანეთ იმ ჯოჯობეთში, რომელსაც ჩემთვის ამზადებთ. მხოლოდ თვითონ ნუ იქნება მწამებელი, ნუ იქნება სატანა! მე მიიწა ჩემი,—ჩემი სისხლი!

**მეფე**

(კანკალით)

შენ აწამე ესენი ისე!.. არ შეწყდეს ამათი წამება შემდეგაც, როდესაც ტანჯვით შეიშლებიან.

**მიქელო**

მე ვაწამებ შეშლილებსაც.



ერყენულნი  
ზინჯიქითიანი

**მეფე**

ყველაფერი საიდუმლოდ შეინახე...

(მეფე, ზანგები და მიქელო მიდიან, კარები მაგრად იხურება.)

**პედრო**

რამდენ საშინელებას ინახავს ეს კედლები! როდესაც ლისაბონის მკედარი ტუსალები მიაქვთ საფლავეში, თანვე წამება რომ ჩააყოლონ, იცოდეთ, საფლავეები ვერ შეინახავენ ამდენს!

**ფუანი**

ლისაბონის ციხე დგას შიშველი, მრუშვიით, შუა ქალაქში და უსირცხვილოდ აუწევია თავი ცისკენ. მის შვენით სდულს ჯოჯოხეთი. მისი საშო იღებს ცოცხლებს და ჰხადებს მკედრებს.

**I ტუსალი**

ჯოჯოხეთია ამ ციხის კედლებში: არა ჯალათთათვის, არამედ სუსტთათვის, არა მდიდართათვის, როგორც სწერია საბარებაში, არამედ ლატაკთათვის.

**III ტუსალი**

ლისაბონის ციხეს ირგვლივ აქვს წრეთ მაღალი კედელი და ძირი მისი მიწაზეა, მაგრამ შიგ ტანჯვას არა აქვს საზღვარი. წამებისათვის აქ უფესკრულია. (ძრწის)

**ნიკოლო**

რაც აქ ცრემლი დადინებულა! აქ თითო კოკა ცრემლიდან თითო მისხალი თოფას წამალი რომ დარჩენილიყო ნალეკათ, მაშინ ლისაბონის ციხე ისე მძლავრად აფეთქდებოდა, რომ შეძრავდა მთელ ქვეყნიერებას.

**იოან**

(ცახცახებს, ასკდება კარებს)

იქ... იქ!...

**I ტუსალი**

როგორ გამოცოცხლდა მოხუცი, ის თითქმის მკედრეთით აღსდგა.

**III ტუსალი**

ის ახალ წამებისთვის გაცოცხლდა. (დუმლილია)

**ფუანი**

პედრო სდუმს... მან იცის, ჩვენი მხსნელი მხოლოდ სიკვდილია.

**ნიკოლო**

არა აქვს იარაღი—სწუხს. მაინც უნდა მოვიფიქროთ, მოვახერხოთ სიკვდილი, სანამ გაგვთიშავენ.

**იოან**

მე მაქვს. (ამოიღებს ჯიბიდან დანას). აჰა!

(ყველანი სიხარულით მივლენ მასთან)

**ყველანი**

იარაღი!

**პედრო**

მომეცით, მომეცით დანა!



ერყენული  
ბიზლიჩისიქა

მე ეს იმას ამოვართვი ჯიბედან. ის ერთი წლის დიეტოვე; ის პატარა ტომარაში იყო გახვეული და ჩემს მკლავებზე მშვიდათ იძინებდა. მე მეტი შვილი არ მყოლია. მას შემდეგ ვზივარ აჰ... ვწვიარ სულ. მე მან გამაცოცხლა და მომცა დანა.

მომეცი

პედრო

ჩემია.

იოან

(აძლეეს დანას)

პედრო

(წარბ შეკმუნული მივა ფანჯარასთან და გადაადგებს დანას)

ყველანი

პედრო!

I ტუსალი

მას კიდევ უნდა? წამება?

III ტუსალი

(სასოწარკვეთილი)

შეიშალა!

პედრო

ჩვენ კიდევ უფრო შევიშლებით, მაგრამ უკან არ დაიხევით!  
(III ტუსალს სისხლი წასკდება პირიდან.)

III ტუსალი

სისხლი წამსქდა პირიდან!

(წაქცეულს დასცქერის I ტუსალი)

I ტუსალი

შენ აღბად მალე გარდაიცვლები.

ყუანი

(პედროს)

რა ჩაიღინე!

პედრო

მე გასწავლეთ თქვენ უღმობელობა თავისთავის მიმართ.

იოან

(ჩამოყრის ბელებს)

ეს ასე!

პედრო

ძველი ქვეყანა უნდა დაინგრეს.

ნიკოლო

მაგრამ ჩვენ ყველაფერს ვშორდებით... იმ წამებას რა მიზანი ექნება?..

პედრო

მიზანი! ლისაბონის ციხეში აღარებული წამებულთა. მათ სრულიად არა აქვთ მიზანი, მაგრამ იმათ წამებაშიც ისეთივე ამაფეთქებელი ძალაა ძველი ქვეყნის მიმართ, როგორც თქვენს და ჩემს ძარღვებში.



ქართული  
გიგლიჩიძის

პედრომ გვასწავლა, რომ თუ წამება სიკვდილზე უფრო მძიმეა, ჩვენ არ უნდა დაეიხიოთ უკან სიკვდილით.

ჟუანი

I პატიმარი

მაგრამ, მაინც, საიპო იყო იმ გაღვსილი დანის გამოსმა ყელში. პედროს ეგებ სხვა საქციელი ჰქონდეს; ჩვენ კი ერთს მოვისვენებდით და...

პედრო

შეიძლება თქვენში მეტიც იყოს ვიდრე ჩემში, ის მფეთქავი ნივთიერება, რომელზეც დაგლეჯს სიძველეებს, როდესაც ამისთვის დრო დადგება.

I ტუსალი

(III ტუსალზე)

ამას უკვე მოუსვენია.

(ყველანი იყურებიან მკვდრისაკენ)

ჟუანი

(მიდის ახლო)

როგორ უცხად გაქცეულა.

I ტუსალი

მე აკი მაშინვე ვსთქვი, რომ მალე გარდაიცვლებოდა.

იოან

(მიდის და ჯვარედინად უწყობს ხელებს, თან ჯვარის ნიშანს უსახავს გულზე)

ნიკოლო

არ უნდა ჯვარი, მოხუცო,—ეს ებრაელი იყო.

იოან

სულ ერთია, განა ჭრისტე მავათგან არ მოვიდა?

ნიკოლო

მერე რაა, რომ მავათგან მოვიდა?

(ინძრევა საკანი, ყველანი დაბარბაცდებიან)

პედრო

იმდენი წამების შემდეგ მან ქვეყანას მოუტანა მოთმინება. მან სიყვარული მოაუღო ქვეყანას თავზე, მაშინ როდესაც ცეცხლი უნდა შეზოგოიდებია.

(საკანი მძლავრად შეინძრევა. პატიმრები დაეცემიან)

ჟუანი

საკანი მეორედ შეინძრა. რაა მიზეზი!

პედრო

მან აღიარა, რომ ღმერთია და სიყვარულის მეტი არა ჰქადარა—რა თავის ღმერთს ბუნებას. ის გაეკრა ჯვარზე იმისთვის, რომ თავის თავის მიმართ ოდნაეც არ ყოფილიყო უღმომბელი.

(საკანი უძლიერესად შეირყევა. გარეთ ჩოჩ-ქოლია)

I ტუსალი

ციხის უფროსის ხმა!



ჟუან

მერე, განა მისი ხმა არღვევს ციხეს!

ნიკოლო

პედრო, შენ ლაპარაკობდი ქრისტეზე.

პედრო

ის არ იყო მებრძოლი. ამისთვის იყო საჭირო საშინელი უღმობელობა თავის თავის მიმართ. არა, ის შეეცადა თვითონ ყოფილიყო სიმაართლედ: ის კიდევ იქცა სიმაართლედ და წაეიდა იქ... მაგრამ შენი ამაღლება, ღმერთო, — რა სიმკაცრე იყო!

(ისევ შეირყევა საკანი. გარედან მოისმის ნგრევის ხმა. ხმაურობაა)

პედრო

(ფანჯარასთან)

მიწა ინძრა! თქვენ (დაიხვეს მღელვარედ) გაიგონეთ!

(კიდევ შეინძრევა საკანი, მოისმის ნგრევის გრილი და შორეული ყვირილი.)

პედრო

ნუ თუ გიკვირთ!

(გონს მოდიან, მივარდებიან ფანჯარას, ყვირიან „ოჰოო! კედელი მონგრეულა!“)

იოან

შებედეთ! ნუთუ ეს ლისაბონია! მე ვერ ვცნობილვ მას.

(ირყევა საკანი. ისმის ნგრევითა ხმა და ღრიან-ცელი. უკანასკნელი მძლავრი ძვრა მოსწყვეტს ტუსალებს ფანჯრიდან. მხოლოდ პედრო შეჩება რკინის მოაჯირს. ტუსალები დაეცემიან. სდგებიან. ბარბაცობენ.)

პედრო (ხარხარებს)

მიწის ხახაში სცვივა საესე სახლები... ქუჩა.

(ირყევა საკანი. ისმის გრილი, გოდება)

ნიკოლო

ოო, ეკლესიებიც!

პედრო

მოინელებს—მიწას მაგარი ეუჭი აქვს.

(ირყევა საკანი. ციხის ეზოში გაისმის ღრიან-ცელი... მთელი ციხე ღრიალებს)

I ტუსალი

ციხის ეზოს შემოეცალა კედლები!

ნიკოლო

არც დარაჯებია!

ჟუან

აი, ციხის უფროს მოჰყავს ახალი დარაჯები.

(საკანი ირყევა. მთელი ციხე ხანხარებს)



**ყველანი**

დაეცა სახრჩობელა. (ხარხარობენ.) რა კარგ დროს!

**ნიკოლო**

მან ვასრისა ზედამხედველნი.

გარბიან!

**ეუან**

**იოან**

ყოჩალ, სახრჩობელავ!

**I ტუსალი**

შეხედეთ ქალაქს!

**პედრო**

თქვენ ხომ ასე გესიზმრებოდათ სამართალი!

(ირყევა საკანი. ნგრევის ხმა. მოისმის კივილი და ხარხარი)

ხარხარობს... ლისაზონის ციხე!

**ეუან**

დაინგრა!

**I ტუსალი**

დაინგრა!

**ნიკოლო**

დაინგრა ყველაფერი!

(ტუსალები ინსტიქტიურად ეცემიან მოაჯირს და კარებს).

**პედრო**

საკმაოა ეს კედლები დაირღვეს და აქედან წავა უდიდესი აფეთქება... აქ არის დაგროვილი...

(საკანი ირყევა და სკდება ჰერი. ციხე ღრიალებს. ისმის მიწის გუგუნე, ზღვის ღრიალი. ურავანები და ადამიანთა კივილი).

**პედრო**

დედამიწა!

**ტუსალები**

(ასკდებიან კარებს)

ოო, კარები!

**I ტუსალი**

გააღეთ!

**იოან**

გააღეთ!

**ეუანი**

გააღეთ!

(მძლავრად ირყევა საკანი)

**პედრო**

(ხარხარებს)

არ დასცხრება!





(საკანი უპლიერესად შეინძრება ციხის შინაგანი კედლები, თვალწინ იშლება მრავალი საკნები, როდესაც ნგრევა შეწყდება, ისმის დაჭრილთა გმინვა და გადარჩენილების ღრიალი. აუარებელი ტუსალები ღრიალით, ზოგიერთები ხარხარით ეგებებიან ამ მოვლენას, ასკდებიან ფანჯარის მოაჯირებს და ჰყვირიან)

#### ზოგიერთები

მირბიან ყველანი! მირბიან ყველანი!

(ხარხარობენ)

ჩქარა! აქედან გასასვლელი!

(კიდე იწყება მიწის ძვრა)

#### ხმები

სადაცაა გაინგრევა კედლები და გაეაღო.

ჩვენს საკანში სამი მოკვდა... ჩვენსაში ექვსი გასრისა, ჩვენი საკანის მოთვე 'გასრისა კედელმა.

მოკვდა ჩვენი საკანის მეთაური—რა ვაქვაცი!

კარგათ კი გავალთ? ვინც ვავალთ ვავალთ.

მერე? ქვეყანა დიდია!

ერთი (ეძებს)

ბიჭებო, თავი დაშეკარგა!

მეორე

რა დროს შენი თავგია!

ერთი

მომპარეთ თქვე სახე ძალღებო, ო, რა თავგი.

მესამე

რა საქმე გააპირე შენი თავით!

ერთი

ის იყო ჩვენი საკანის ანგელოზი!

ხმები (ფანჯარიდან)

ქალაქი ყანყალობს. ინგრევა, რად ჰკვივიან ასე მწარედ.—სტყვიათ.

(ინძრევა მიწა და საკანს კიდე გამოენგრევა შინა კედელი. ყვირილია).

პედრო(საკნების სიღრმეში)

გამიგონეთ!

ნიკოლო

(თავს დადგომია | ტუსაღს, რომელიც ვერ ღებია).

ძლიერ დაშავდი?

იოან

ეს აქედან ვერ გაგყვება.



**I ტუსალი**

გამიყვანეთ. (ძლივს) მე მინდა გარეთ მოვკვდე, — ქუჩაში.  
**იოან**

კარგი. მხოლოდ ცოტა გასძელი — ცოცხლად!

**ფუან**

(I ტუსალი კვდება)

თავი დაგიკრა!

(გრეუა. მტერი იწმინდება. ახლად ჩამონგრეულ კედლის იქით გამოჩნდებიან ჯალათები და ბაწრებით შებოკილი ტუსალები. მათ დანახვაზე ყველანი გრგვინავენ, შუოთავენ, ხარბარობენ).

**პედრო**

ლისაბონის ციხის პატიმარო! თქვენ იმდენი გაწამეს, იმდენი ვსაჯეს, სე-მართლის სახელით. ნუ თუ თქვენ ვერ ისწავლეთ რა არის სამართალი!

**ყველანი**

ვისწავლეთ!

(მივარდებიან ჯალათებს)

**პედრო**

დაგლიჯეთ!

**ყველანი** (აიტაცებენ ხელში ჯალათებს)

დავვლიჯეთ!

**ჯალათები**

შეგვიბრალეთ! იწამეთ ღმერთი! ჩვენ საცოდავი ადამიანები ვართ! ჩვენ სილატაკემ გავვაჯალათა... სისუსტემ! ჩვენზე სუსტი ქვეყანაზე არაფერია!

**ერთი**

შევიბრალეთ!

**პედრო**

არ შევიბრალეთ!

(შგლეჯენ ჯალათებს. ზოგნი ჰკებენ)

**პედრო**

დაჰკინეთ, სისხლით დაიგეშეთ, იმიტომ რომ ამ კედლების იქით თქვენ მოგელის ქვეყანაზე არ ნახული იმები, — სამართლისათვის!

**თითქმის ყველანი**

ვინ არის ეს!

**იოან**

ეს არის პედრო!

**ხმა**

ეს არის დიდგვამილი საყანის მეთაური

**ყველანი**

გაუმარჯოს!

**პედრო!**

კედლების გარეთ თქვენ დაიპყრებთ მეტ სამართალს. ეს კი თქვენი პირ-ველი სამართალია!



## I საკანის მ-თაური

ეროვნული

ეს სიტყვა მომწონს! ერთი საკანის მეთაური მეც ვაბნობ (მეც ვაბნობს) ჩემო ბიჭებო!

## I საკანის ტუსაღები

(ასწვენ მოკუმშულ ხელებს)

აქა ვართ!

## II საკანის მეთაური

მე ვიყავი ღვთის მსახური. (იცემს გულში ღონიერ ხელებს) მე ვეძებდი სიმართლეს! მე ვფურცლავდი სახარებას! ახლა საკანის მეთაური ვარ! ჩემიანებო, თქვენც დაირტყით ღონიერ გულებზე ხელი და დაიფიცეთ, რომ არაფერს არ ჩამორჩებით!

## II საკანის ტუსაღები

(იცემენ გულზე ხელს)

დადგა დრო ჩვენც ვეძიოთ სასუფეველი!

## პედრო

თქვენ დახსნით ქველი ქვეყნის ძარღვებს, თქვენ სისხლის ტბებიდან ამოიყვანთ ახალ ცხოვრების მხეს!

(ისტერიულად გაიციუნებს—საკანიც ინძრევა)

## III საკანის მეთაური

ჩემი საკანის დევებო, რომელი თქვენგანი არ მოითხოვს ერთხელ თავის მხეს!... მას დავახრჩობ ჩემი ხელებით!

## III საკანის ტუსაღები

ჩვენც გავიმართებით და შემოვირტყამთ ოკროს ქამრებს!

## ზოგიერთები

როდისღა გავალთ!

დარაჯები გაიქცენ, მაგრამ ვასაელებები დახურულია!

## პედრო

აიღეთ ქვები, ამოიღეთ რკინები ნანგრევებიდან და გაარღვიეთ გასასვლელი.

## აგელანი

ოჰო! სწორია!

(ირჩევენ რკინებს და სცემენ გასასვლელს)

1-ხმა

პური შენ მომპარე!

2-ხმა

არა, ეს პური მკვდარს ამოვართვი ჯიბიდან.

3-ხმა

რა ქურდობა გაახშირეთ! ვინ ამომართვა საფარცხელი!

4-ხმა

(აჯავრებს)

ავარცხელი! რა სუფთა აზნაურია!



ქართველი  
წიგნწერების  
კავშირები

3 ხმა

დიახ. მქონდა. ვის ჯიბეში აღმოვაჩინო ნაქურდალი!

**პედრო**

ტუსაღებო, ნაქურდალი კარების გარეთაა. ყველაფერი, რაც კედლების გარეთაა—ნაქურდალია.— თქვენ მოგპარეს მთელი ქვეყანა!

**საკანის მეთაურები**

ეს ასეა!

**ყველანი**

მართალია! მართალია!

**ვინმე**

უფრო მაგრად დაურთოთ გასასვლელებს.

(ამის შემდეგ მიწის ძვრა სულ შეუწყვეტელია. ინგრევა ქერი, იქიდან სცვივა ზოგი მკვდარი, ზოგი ცოცხალი პატიმარი. ამიერიდან განუწყვეტლად მოისმის დედამიწის გუგუნო, ზღვის ღრიალი, ურაგანები და ბრბოს ყვირილი)

**პედრო**

აღსრულდა! დედამიწა ჯოჯოხეთიდან იწვევს ცეცხლს ქვეყნის გასაწმენდათ.

**ყველანი**

ჯოჯოხეთი იყო—ლისაბონის ციხე!

**პედრო**

თქვენ გაღურთოვანებს ეს მრისხანე მოვლენა, იმიტომ რომ ეს სამართლიანია!

**საკანის მეთაურები**

ეს სიმართლეა! სიმართლე!

**პედრო**

თქვენ უყურებდით ცას, მაგრამ თქვენი ცრემლი, სისხლი, თქვენი მშვიერი შვილები და მშობლები სცვიოდნენ მიწაში. არ მოგხედათ ზეცამ, სანამ დედამიწა არ აადულა თქვენმა საცოდაობამ. და, ეხლა, ამ გრივანებში თქვენ ცნობილობთ თქვენს შვილებს და ცრემლებს.

**ყველანი**

ვცნობილობთ! ვცნობილობთ!

(მალლიდან გადმოდიან, ტანისამოსისა და თმების ბაწრებით ნახევრად შიშველი ქალები. მათ ეგებებიან ერთუზიაზმით.)

**ხმები**

ქალები! ქალები! ქალები!

**იოან.**

ღმერთო, ორმოცდა ათი წელიწადია არ მინახავს ქალის სახე!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ქალები.

(არ იკარებენ კაცებს, ჯგუფდებიან და კაცებს იგერიებენ ქვებით).

თქვენ, მსუნაგებო!

ერთი ქალი

ჯერ გავიდეთ აქედან! მერე!

ერთი ტუსალი

მიგვიკარეთ. არა უშავს... თექვსმეტი წელია თქვენი თმისთვის არ მომიკიდია ხელი.

ფლორენსა

(გამოდის ქალების წყებიდან ეუნიასკენ)

ძმაო!

ეუან

ფლორენსა!

ფლორენსა

(პედროსკენ)

პედრო, ეს მე მოგიწყვეთ! თმების ბაწრები მე ჩამოღწევი თქვენს საკანზე... მაგრამ... იქიდან დავინახე როგორ უიღბლოთ დათავდა...

პედრო

ნუ ვნალელობთ. წინ ბოძოლა, წინ გამარჯვებაა! (ტუსალებისკენ) კიდევ ვერ გაარღვიეთ!

მომუშავენი

(უფრო კარგად მოურთავენ)

მალე!

ზოგიერთები

(ქალებისკენ)

პური არ გინდათ?

ქალები

მოგვეცი!

(რამდენიმე ტუსალი ეძებს ჯიბეში პურს, ვინც ნახულობს, ის აძლევს ქალს და ინტიმიურად ემასლათება. მიწის ძვრა, მიწის გუგუნო, ზღვის ღრიალი ნატულობს და გაისმის საზარლად.)

მომუშავენი

(სიხარულით, ღრიალით)

გავარღვიეთ, გავარღვიეთ!

პედრო

თქვენ რას იქით ეხლა!



დავეხმარებით დედამიწას!

ყველან

ხაკანის მეთაურები

როგორ ღრიალებს ზღვა, როგორ გუგუნებს დედა მიწა!

პედრო

ეს—ახალი დრო იბადება. დედამიწა ჰბადებს ახალ დროს—სიმაართლის ზეიმს! ო, მას უჭირს, ის თითქო ტყვილეებით შობს! მაგრამ იცოდეთ, დედა-მიწა მაინც შობს ახალ დროს! ლისაბონის ციხის ხარხარი იჭნება მისი პირველი მუნთქვა!

ყველანი

(ხარხარით)

გაუმარჯოს

(მღერიან. ზოგი ჰყუფს ძალღივით; ყველანი აჯავრებენ ყოველგვარ ცხოველებს და ფრინველებს. ამატებულ გუგუნში მძლავრად დარტყამს მიწის ძვრა და მთელი ციხე კედლებიანად ეცემა. კვილია, ღრიალი და ხარხარი.)

პედროს ხმა

შე გამოვედი: გამოდით ნანგრევებიდან!

აღტაცებული ხმები

გაუმარჯოს!

პედროს ხმა

სიამრთლემ მაინც გაიმარჯვა კედლებზე! ოო, რა ურიცხვი მოდიხართ!

ხმები

ეს ვინ არის!

ხმები

საკანის მეთაურნო ეს პედროა!

ხმები

შემოკრებით მის გარშემო!

*შეიქმნის პოსტაჟი*

ხმები

გაუმარჯოს! (ისმის თოფის სროლა!)

პედროს ხმა

შემოკრებით!

(ეშვება ფარდა)

## მ უ ს უ ს ი.

სირბილანთ მიხამ სამხედრო ბეგარა მოიხადა და თავის სოფელს დაუბრუნდა.

ეს ამბავი იმავე საღამოს კარით-კარს მოედო. გასათხოვარი ქალები ამბობდნენ:

— ქა, გაიგე? სირბილანთ მიხა დაბრუნებულა.

— ნეტავი მართას, რომ მაგისტანა შეილი დაუბრუნდა.

— სოფელსაც გაამხიარულებს, თორემ უმაგისოდ ჩვენი ქალები დაობლეს-ბულებივით დაბორიანდნენ.

— მაშ ხეალ დიდი ლბინი იქნება.

— იქნება; მაშა! კარგად დასჭიმე შენი დაირა.

— ჯილაურიანთ ფეფელო ისე მოიპრანჭება, რომაა...

— ვერ მივართვი ბადრიჯანი. იმისი მამა პეტრე ისეთი კაცი არ არის, რომ სირბილანთ ქვრივს ქალი მისცეს.

— რალა დროს მიცემაა, ქაა! იმის მამას თაველიდანთ სოლოსთვის მოუცია სიტყვა. ამბობენ, იმ კვირას ნიშნობაც იქნებაო.

— მუსუსი არ დაანებებს. აი, დაიხსომე ჩემი სიტყვა.

გათხოვილი დედაკაცები უფრო გაბედვით ტიტინებდნენ:

— დაბრუნდა ქალების მუსუსი.

— აქაურობას აიკლებს.

— ნეტა ვის აიჩემებს ახლა?

— ვისაც მოინდომებს. მე შენ გეტყვი, არ აპყვებიან?

— ჯირითის დრო გაუვიდა. წარამარა ხელის ვაკერას აღარ აბატიებენ-დღეს, ან ხვალ ეგვეც მოიკიდებს ერთ გოგოს და დაწყენარდება.

— ქაა, რას ერჩით საწყალ მუსუსას. ხუმრობა უყვარს, თორემ აქამდე ერთი ქალიც არ გაუფუჭებია.

— ვიცი როგორც თავდება ავეთი ხუმრობა. მაგისტანა ხუმრობით გუშინ თვედორეს თვკლე დალოგინდა.

ბიჭები ფუსფუსში ქალებს არ დაუვარდებოდნენ:

— ბიჭო ღინდილ, ფრთხილად იყავი. მოვიდა ჩვენი სულთამხუთავი.



ქართული

— ვინა, მუსუსი? მე რა მიშავს, შეილოსა. მე სოფო დავაგვიტყუა...  
— თავე. ვაი ტიტუსა, თორემ...  
— ვისა, მენაა? ისეთი სახრე ვაქამო ი შენ მუსუსასა რომაა...

— შენ თუ სახრე იცი, მუსუსმა ისეთი მარგილის ტრიალი იცის, რომ ერთი დაკვრით შენ ლაბა კამენს კისერს მოსწყვეტავს.

— მე სხვების შიში არა მაქვს. ვაი თავიდავანთ სოლოს, რომ ფეფელოს დანიშნა დაავიანა, თორემ ჩვენ რა გვიშავს.

— ვინა, პეტრე ჯილაური უნიფხო მუსუსას ქალს მიათხოვებს?

— არ მიათხოვებს.

— არც მიათხოვებს და არც ახლო მიიკარებს.

— არც მიათხოვებს და კარგებსაც მისცხებს.

— რა იცით, რომ მუსუსი ფეფელოს დაადგამს თვალს? იმის მეტი ქალი აღარ არის?

— იმიტომ, რომა ფეფელო მუსუსის მეზობელია და ერთად არიან შეზრდიანი.

— შენ ისა სთქვი, რომ ფეფელოზე ლამაზი გოგო ახლო-მახლო არ მოიძებნება.

— ფეფელო წინათ სხვებს არა სჯობდა. ეხლა კი, სანამ მუსუსი ქალაქში იყო, ისე დამშვენდა და გაიშალა, რომ ეხლა მუსუსი მაგას ხელს აღარ გაუშვებს.

— ეგ კი მართალია. თუ მუსუსმა ქალს თვალი დაადგა, რვა უღელი ხარკამეშიც რომ მიიბა, ხელიდან ვეღარ გაავდებიან.

მეორე დღეს სოფლის ნაპირას გახურებული ღზინი იყო. დაირას ბრაგუნი გაჰქონდა. ბუზიკა ქყვიტანებდა. გოგო-ბიჭები ტაშით ხელებს იმტყრევდნენ. იქვე მახლობლად ბავშვებსაც ცალკე წრე გაემართნათ და დიდების დაირა-ბუზიკის აპყლოდნენ.

უცებ ქალებში ჩურჩული, წივილ-კივილი და სიცილი ასტყდა:

— მუსუსი! მუსუსი!

— მუსუსი მოსულა, მუსუსი!

სირბილიანთ მიხა ქალებს ვენახიდან მიეპარა და ისე დაერია კაბებს, როგორც მგელი ფარებს. თავალუნული მუსუსი ქალებში მთვრალი დათვივით დაბოროილებდა. ხან ერთ ქალს მიასკდებოდა, ხან მეორეს გაჰკრავდა ხელს, ხან მესამეს საკოცნელად წაეტანებოდა და მეოთხეს დალუნულ თავით დაეტაკებოდა. დაფრთხალი ქალები ჭივილ-ხივილით ერთმანერთს აწყვდებოდნენ. შორით დაბრუნებულ ხუმარას ძველებურად დაუხედნენ: მხიარული მუშტებით, მეგობრული სიღებით და დაჰ-ძმური ლანძღვით:

— უი, შენ კი გაგისკდა ეგ გოგრა თავი, აჰა!

— მეზი კი დაგაყარე მაგ ჯაგარა თავში, აჰა!

— დაიკარგე, შე წუნკალო, შენა!

ქალები წიწილებივით გაითანტნენ. ბიჭებმა მხიარული ყაყანი ასტყეს:

— მუსუს, გამარჯვება!

— მუსუს, გეყოფა, ბიჭო!





ქართული  
ენებისათვის

— მუსუს, გამოდი ბიჭო, ერთი ჩვენც დაგვენახვე. დაირა და ბუზიკა ერთის წუთით გაჩუმდნენ. თავდიდანთ სოლომ და იმისმა საბედომ ფეფელომ ცეკვა შესწყვიტეს და შუა წრეში შესდგნენ. ფეფელო ქალებისკენ წამოვიდა. მუსუსმა სწორედ ამ დროს მოჰკრა თვალი ფეფელოს. ორი ნახტომით წინ აეტუზა, ორივე ხელი გაშალა და დაიძახა:

— დაირაჲ, დაჰკა!

დაირა ისევ აბრაახუნდა, ბუზიკაც კვლავ ატიკტიკდა, ხოლო გოგო-ბიჭებმა ისე ააბრაგუნეს ხელები, რომ ტაში სოფლის ბოლოს მისწვდა.

ფეფელო მიმინოსავით გაეარდა. მუსუსი ქორივით დაედგენა, თავდიდანთ სოლო ჯერ ნაწყენ ბატივით გაჰყვა ორივეს, მერე ჩამორჩა, მიიხედ-მოიხედა და, თავჩაღუნული, სათამაშო მოედინიდან გავიდა.

— განი! განი!—დაიძახეს ატეთ-იქიდან და გაბეღებულ ქალ-ვაჟს სანადვარდო ადგილი მისცეს.

— ერთი დაბე! ერთი დაბე ამასა!—წამოიძახა ერთმა.

— ბიჭოს! ვერ უყუტებთ ამასა!—გაიკვირვა მეორემ.

მერე ყველანი აყაყანდნენ:

— ე რეები უსწავლია მუსუსის?

— შეხე, რა სკოლნია ქალაქსა!

— ერთი დაბე, როგორ ათამაშებს ფეხებსა!

მუსუსი ადრეც კარგი მოთამაშე იყო, მაგრამ ეხლა ყველას პირები დააღებინა. ისეთის რბევით უვლიდა განიერ წრეს და ისე შარდად ათამაშებდა ფეხებს, როგორც უწინდელი გაწყებილი აზნაური.

მუსუსი აჩრდილივით დასდგედა თანშეზრდილ ფეფელოს და გაოცებით დაჰყვიტოდა თვალებს ერთის წუთითაც არ არიდებდა თერამეტი წლის ქალს.

ანცი, გიგმაეი და თხელი ფეფელო ორიოდვე წელიწადში უცნაურად გარდაქმნილიყო, ან ხელმეორედ დაბადებულყო. დაბალი ტანი აეყარნა და დასრულებულიყო. თქობებში გაშლილიყო და მკერდი გაესწორნა. კუბრივით შავი თმა, ღვედის სისქე ნაწნავებად დაწული, ბარძაყებზე სცემდა. თხელ ჩითში შეხვეული, აფუფეული ჭბუბები თრთოლვით ირბეოდნენ. შავგვრემანი, აღანძული და მეტყველი პირისახე ისე ხშირად ეცვლებოდა, როგორც სწრაფად ნაფურცლი წიგნი.

უცნაურ ცვლილებით და ღელვით გარდაქმნილი მიხა-მუსუსი იმ წიგნის წაკითხვას ვერ ასწრებდა. შისი თვალი და გული მიიჯაჭვეს ფეფელოს მოქნილმა ტანმა და შავმა თვალებმა,—შაეი ქლიაეის ოდენა თვალებმა, სადაც უწინდებურად ერთად ჩაწულთიყვენენ ალერსიანი ელვა, ქალური გინი, ცუდლუტობა და სიბარული.

— ჩემია, ჩემი!—გადასწყვიტა გულში მუსუსმა და იმავე წამს ფეფელოს წასწორილა:—ჩემო ფეფელი, ჩემო გოგონი!

ფეფელომ მაღლიერი თვალები შეანათა და მკლავებიდან გაუსხლტა.

— ტაშ-ტაშ! ტაშ-ტაშ!—ჰქუხდნენ გოგო-ბიჭები.

მუსუსი უმაღ წამოეწვია ქალს, მკლავი კვლავ ფრთისავით გადააფარა კისერზე და ისევ ჩასწორილა:



ქართული  
საბავშვო ჟურნალი

— გენაცვალე მაგ თვალეებში, გოგონი!  
ფეფელომ ჩემის სიცილით ჩაიციანა, ლონანოს თვალეებში მუსუსის ნაკვერ-  
ცხლის თვალეებს კვლავ სანთლებივით შეანათა და ისევ განზე გაუფარდა.

მუსუსი მესამეჯერ მიაფრინდა და ყურში ჩაუწვეთა:

— ჩემი ხარ, გოგონი, ჩემი!

პასუხად ისევ სიხარულის სიცილა მოესმა და თანხმობის ცუცხლმა დასწვა.  
დაირა, ბუზიკა და ტაში დაილაღნენ. დაულაღავი და აღმურ-მოდებული  
მუსუსი კი მაინც დასდევდა წითლად აღეწილ გოგას და ჩემის ხმით ჩასძა-  
ხოდა:

— ჩემო ფეფელო!.. ჩემო პეპელავ!.. ჩემო გოგონი!.. ჩემი ხარ! ჩემი! ჩემი!  
ბოლოს, აღანძელი და ოფლის მარგალიტებით შეკურებული ფეფელო  
ქალებში შეერია და მიიძალა. ხოლო მუსუსიმ ქუდი მოიგლიჯა, რამდენჯერმე  
შემოტრიალდა, შესდგა და დაიძახა:

— აქა მშვიდობა! გამარჯვება, ქალებო! გამარჯვება, ბიჭებო!

— გაგიმარჯოს, მუსუსი, გაგიმარჯოს! მშვიდობაში შენი დაბრუნება!  
და ყველანი უაყანით ყიეინით და ეივილ-ბივილით შემოეხვიენენ თა-  
ვიანთ პირველს: ხუმარას, მოლხინეს, მოქიდავეს, მომღერალსა და მოსარჩლეს.  
ერთმანერთი მოიკითხეს და ჩაათვლიერეს. ბიჭებმა მუსუსს ქალაქის ამბე-  
ბი გამოჰკითხეს და სოფლისა უამბეს. ზოგმა ძველებურად ლაზღანდარობა და-  
იწყო, მაგრამ მუსუსი აღარ აპყვა: წელანაც ძალიან მიჰქარა, რომ უწინდელი-  
ვით ქალებს ძერასავით დაუქოლა და წიწილებივით დაჟანტა. გაიფიქრა:

— აღარ შემშვენის. ნაქალაქარი ვარ. მასხრობა არაფერს მომიმატებს.  
დამაკლებს კიდევაც. არც ფეფელო მომიწონებს.

გონებაში ფეფელოს სახელი ბოლოს ახსენა, ნამდვილად კი მხოლოდ ფე-  
ფელო ახსოვდა და მარტო იმის ფიქრში იყო, რომ ფეფელოს თვალსა და გულ-  
ში დაებუნდა და ფეხი მოეკიდნა.

ერთხელ კიდევ გადაძხედა ქალებს. ფეფელო აღარსად სჩანდა. ოდნავ გა-  
იღიმა. გულში გაუხარდა. იცის, იცის მუსუსმა ძველი ხერხი, ადრეც ასე ეშმა-  
კობდნენ: ლხინის გათავებამდის არასოდეს არ დაჩრებოდნენ. ჯერ ფეფელო და  
მისი ბიძაშვილი თეკლე გაიპარებოდნენ, მერე მუსუსი გაჰყვებოდა და თეკ-  
ლეს ლობეს ნიადგებოდა. ფეფელო თეკლესთან უცდიდა. იქიდან ერთად წავი-  
დოდნენ, ორლობებს ჩაჰყვებოდნენ და განგებ ვზას გაიგრძელებდნენ. ფეფელო  
და თეკლე ეხლაც ერთად გაპარულან.

მუსუსი განაპირდა. უცებ თავდიდანთ სოლოს პირის-პირ შეეხება. აპხედ-  
ჩაპხედა და თავით-ფეხებამდე გაზომა: იგივე დონდლო, უნდლიო, აყვია და ქი-  
ანი „ფხაქა!“

— გამარჯვება, მუსუსო!

— გაგიმარჯოს, სიკო. მაგრამა... შე ზოგისთვის მუსუსი ვარ, შენთვის კი  
მიხა ვარ.

— ვითომ რათაო?— იწყინა სიკომ.— ქალაქში რომ იყავი, იმიტომა?



— იმიტომა თუ ამიტომა, შენი საქმე არ არის. მე მიზანმიმართულად ვიბრუნებ შორს და ვათავდა.

და ზურგი შეაქცია. მერე ისევ მობრუნდა. ბატის და ქორის თვალები ერთხელ კიდევ დაეტანენ ერთმანერთს. ღერღებმა ქორს ვერ გაუძლო და პირი იბრუნა.

— ვაი, დედასა! სად არის სამართალი!— გაიფიქრა მუსუსმა. — ამან უნდა წამართვას ფეფელო? მე ლატაკი ვარ, ეს კი სიმდიდრით პირველი კაცია სოფელში. შავრამ, დედა არ მომიკვდება...

თავი დაჰლუნა, მიუხე-მოუხეია, ვენახი გადასჭრა და თეკლეს ლობეს მიაღდა.

ფეფელო გამოეგება. ორივენი უსიტყვოდ დაადგნენ ნაცად გზას— შორსა და მიყრუებულს.

ფეფელო თავალუნული მიდიოდა. პირსახეზე ღიმი ჟთამამებდა. ყბედო მუსუსი უცებ დამუნჯდა. აღარ იცოდა, საიდან დაეწყო, რა ეთქვა, ან როგორ ეთქვა.

ბოლოს, ორღობეში რომ შევიდნენ, ფეფელომ აღმაცერად აპხედა და გადიკისკისა.

— რა გაცინებს, გოგო?

— ქალაქმა დაგამუნჯა?

— ქალაქმა კი არა, შენ დამამუნჯე.

— შენა? მე დაგამუნჯე?

— ჰო, შენა, შენ დამამუნჯე.

— როგორ, ბიჭო? რით დაგამუნჯე?

— ისე დამამუნჯე, რომა... იმით, რომ... იმიტომ, რომ...

აირია, აბორძიკდა და ალულლულდა. ბოლოს, სიტყვას რომ თავი და ბოლო ვეღარ უბოვნა, გაწითლდა და გაჩუმდა.

ისევ ფეფელო მიეშველა. ერთხელ კიდევ გადიკისკისა, მკლავში მხარბ გაჰკრა და ჩაიფრუტუნა:

— მართლა დამუნჯებულხარ! ხა-ხა-ხა! ხი-ხი-ხი!

მუსუსი მოიღრუბლა. შესდგა და ფეფელოს მკლავში ხელი მოუქცია:

— ფეფო... ფეფელო! ჯერ ეს მითხარი, სიკოს შენგან რა უნდა? მითხარი, სიკოს რა უნდა მეთქი შენგან?

დუმოლის შემდეგ ფეფელომ თავის მკერდს უპასუხა:

— რა ვიცი... ჩემი თავი უნდა... აღბად ჩემი თავი უნდა.

— შენა?... შენ რა უთხარი? რა ნება მიეცი?

ქალმა თავი ასწია, ვაჟს თვალეზში თვალი გაუყარა, გაიღიმა და ჰკითხა:

— აბა, თუ ბიჭი ხარ, გამოიციანი.

ფეფელოს პასუხი მუსუსმა იმისივე თვალეზში, პირსახეზე და ხმაში ამოიკითხა, ამოიკითხა და გაიბადრა:

— უარი, არა?

— მაშ არა და...



— შენ კი გენაცვალე მაგ თვალეებში, ჩემო გოგონი, ჩემო გოგონი...

— ისე ცივად ვაფიქრებ, რომაა...

— დედა შენი ტასო რას ამბობს?

— არც იმას უნდა.

— პეტრე?

— მამა ჩენი? აბა, რა გითხრა. მამას შენც იცნობ. სიკო მდიდარიყო. მარტო ის არის შენი ტოლიო. სიკოს დასტური მისცა.

— ნიშნობა როდის იქნება?

— არც როდის. რა ვქნა, როგორ შევითხები შენა? განა ვინა გგონივარ, რომ ცინგლიან სიკოს გავყვე?

— უჰ, შენი კირიმე, შენი, ფეფელო! ეგრე, გენაცვალოს მიხა, ეგრე! ისე დაუხვდი, როგორც კაცი. დანარჩენი მე ვიცი. ხო იცი, შენს იქით გზა არა მაქვს... არც არავის დავანებებ. ჩემი ხარ, ჩემი!

შესდგნენ და მიიხედ-მიიხედეს. არაეინ მოსჩანდა. მკლავები თავისთავად ჩაებლართნენ, მკერდები ერთმანერთს მიეკვრნენ და ცხელმა ტუჩებმა ერთი მეორე თვითონვე მოსძებნეს. ორივეს სული შეუფუბდათ. ერთის წუთით ამოი-სუნთქეს და ხელმეორედ შეერთდნენ.

— კარგი... გეყოფა... ვაიათავე. დავგინახავენ.—აბუტბუტდა ფეფელო.

მაგრამ მუსუსმა ვერ გააიათა. ერთხელ კიდევ მოითქვა სული და ერთხელ კიდევ დასწვდა ფეფელოს ციცილიან ტუჩებს.

— კარგი, ბიკო... გეყოფა მეთქი! მგონი ვილაყ მოდის. გამიშვი... გონს მოდი... ვილაყ მოდის მეთქი!—იძახდა შეშინებული ქალი და ფართხალებდა. მაგრამ მუსუსი გონს ვერ მოვიდა.

— დაიცა, დამაცა... ერთი კიდევ... ერთხელ კიდევ.—ბურტყუნებდა გონ-წასული მიხა და მშიერ მგელივით ეტანებოდა შიშისგან გამოფხიზლებულ ფე-ფელოს.

ალერსი ბლარძუნად გადაიქცა, ბლარძუნი—ბრძოლად.

— ხელი გამიშვი მეთქი, შე გიკო, შენა! რა ვქნა, რამ გავაგია!—აუმაღ-ლა ხმის ფეფელომ, როცა ბადიანთ მელანა გვერდით აეტუზა.

მუსუსმა ტუჩებით გააჩუმა ფეფელო.

— გაამოს, შეილებო, გაამოს!—აჩიფჩიფდა ამ დროს ღობის ძირში უკ-ბილო მელანა.

მუსუსმაც დაინახა მელანა და მისი შხამიანი სიცილიც გაიგო, მაგრამ თათქოს ვერც დაინახა და ვერც რამე გაიგო: ხელიდან გასხლეტილი ქალი უმაღვე დაიჭირა და კელავ ჩაიბლუჯა.

— ბარაქალა, დღევანდელი ქალ-ვაეებო, ბარაქალა! ერთი დამიხედეთ ამ უნამუსოებს, ამათ!—აკაკინდა მელანა და ჩატეხილ ღობეს გადმოალაჯა.—ცის-მარე დღეს შუა სოფელში ჩაბუტებულან და აღარავის ერიდებიან. იიფ!

— მიხა, გამიშვი!.. გამიშვი მეთქი! რა ვქნა, რა ღმერთი გავიწყრა, ბი-კო!—ატირდა ფეფელო.

— არ გესმის, შე უნამუსო, შენა!—კრუხივით მივიარდა მუსუსს მელანა



და გაძვალეზული ხელით საკინძი ჩამოჰკლოჯა.—ხელი გაუშვი მწვენი მწვენი ჩაჩა-  
ლო, შენა!

და გაანჩღებულ ქორს ვარია რომ ვერ გაავადებინა, თვისი გამხმარი  
კლანკები ცხვირ-პირში ჩაუყარა.

გაწეწილი ფეფელო გამოსხლტა და, აღეწილი, თვალცრემლიანი და თავ-  
ჩალუნული, სირბილით ლობეს მიეფარა. ხოლო გაფითრებული და მოსულიერე-  
ბული მუსუსი ნელნელა ფხიზლდებოდა: მითითოღვარე ხელით თვალებს იფშე-  
ნეტდა და გოაცებით შესცქეროდა გაკაპასებულ მოხუცებულს, რომელიც გამხ-  
მარ კლანკებს თვალების წინ უტრიალებდა და შხამიან ცოფს პირში აყრიდა:

— უუი, შე ამოსავარდნო, შენა! შე კინტოვ, შენა! უნამუსო! სალახანა!  
ჯიბგირო! მეზი კი დაჯაყარე მაგ თავზე! შხამიდ დედა შენის ამაგი შენზე. შხა-  
მად! შავი ქვა და ნაცარი ცხელი მაგ მურდალ თავსა, აჰა! ეგენი გასწავლეს  
ქალაქში? დაიცა... დამაცა... ნახავ, როგორ მოგჭრი მაგ ტურტლიან თავს მთელ  
სოფელში, ნახავ! უნამუსოვ! ყაჩალო! სალახანავ!

ლობეს გადააღაჯა, ერთბელ კიდევ მოტრიალდა, ქოქოლა მიაყარა და  
ერთბელ კიდევ მოაძახა!

— აი, გავიხნეს ეგ მურდალი ხელები! შხამიდ ამოგივიდეს საწყალი მარ-  
თის რძე! დაგიბრშაედეს ეგ თვალეზი, აჰა!

მერე გატრიალდა და ლასლასით წაეიდა, თან ჩიბრ-ხელებს ჰაერში იქ-  
ნევდა და უკბილო პირს აკმაკუნებდა:

— უნამუსო!.. კინტო!.. ჯიბგირო! პირშავო!.. ყაჩალო!..

შერცხვენილი მუსუსიც მოტრიალდა და ბარბაციით წამოვიდა.

სალამოს ეამზე მართა სოფლიდან დაბრუნდა, პირზე ხელი მიიღო და  
შვილს უთხრა:

— შვილო, ეს რა დაგემართა?

— რა დამემართა, დედი?—უითომ ვერ გაიგო მუსუსმა.

— ის დაგემართა, რომ საჭყეცნოდ თავი მოიჭერი, ბადიიანთ მელანამ  
მთელ სოფელს მოსდო შენი და ფეფელოს ანბავი.

— მოსდო და მოსდოს! კისერიც მოუტენნია! მერე რაო?

— მერე ისა, გენაცვალოს ჩემი თავი, რომ ვასათხოვარ ქალს თავი მოს-  
ჭერი.

— ფეფელოსა? მერე რაო? ფეფელო ჩემია.

— ვინ მოგცემს ფეფელოს, რომ, აგრე დაიჩემე? პეტრეს აღარ ვკითხები?

— პეტრეს შენა ჰკითხე.

— ვკითხავ, გენაცვალოს დედა შენი, მაგრამ რა გამოვა?

— მერე ვნახავ, რაც გამოვა.

— ფეფელო სიკომ უნდა დანიშნოს, პეტრეს პირობა აქვს მიცემული.

— ვერ დანიშნავს.

— რატო ვერ დანიშნავს?

— იმიტომ, რომა... ფეფელოს არ უნდა.



— ვიცი, რომ არ უნდა. სიკომ ბელგა მოუტანა, მაგრამ შეფუთვით არ აიღო. დღესაც ი ბელგა ტასოს უდევს სკივრში.

— არც აიღებს. ფეფელო ჩემია, მორჩა და ვათავდა! ვნახავ, წინ ვინ გადამიდგება.

მართას თან უხაროდა შვილის სიმტკიცე და ღინი, თანაც იკვირ თავს იქნედა.

— ღმერთმა ჰქმნას, რომ შენ ბედნიერებას მოვესწრო, შვილო. მაგრამ პეტრე სხვა კაცია. შენისთანა ლარიბს ქალს არ მისცემს.

— ეხლა ლარიბების დროა. მოვეტეხავ!

— პეტრეს ვერ მოსტეხავ. კერპია, ჯიუტია.

— იმაზე კერპი მე ვარ. შენ ცოტა დამაცადე. დანარჩენი მე ვიცი.

წამოიღა და მგლის ნაბიჯით გამოვიდა.

სთქვა: „შენ ცოტა დამაცადეო, დანარჩენი მე ვიციო.“ მაგრამ მუსუსმა ნამდვილად არ იცოდა, საქმეს როგორ მოუვლიდა, პეტრეს ურჩობას როგორ მოსტეხავდა და ლამაზ ფეფელოს როგორის გზით შემოიყვანდა თავის პატარა ოჯახში.

მუსუსის ქონი პეტრეს ქვითვირის სახლს ისე ჰქონდა მიკრული, როგორც ნავაგის ყუთი თეთრსა და სუფთა კედელს. უკან ორივე ოჯახს ბალები ჰქონდათ: მუსუსს ერთი დღიური, პეტრეს კი ხუთი დღიური. ბალებსაც და ეზოებსაც მიჯნად ძეძვის ღობე ჰქონდა ვავლებული.

მუსუსი ბაღში გავიდა და ღობეს ჩაჰყვა. დერეფანში პეტრეს ცოლი ტასო და ფეფელო საქმობდნენ. ფეფელომ მუსუსს თვალი მოჰკრა, ჯერ თვალებით დაუბღვირა, მერე გაუღიმა, გაუცინა და პირი მიიბრუნა. როცა ერთხელ კიდევ მოიხედა, მიხამ თავის ქნეცით და თვალებით ვენახისკენ ანიშნა და წავიდა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ორივენი ჩატეხილი ღობის ორივე მხარეს იდგნენ.

— არც კი გცხვენიან, — იბუტებოდა ფეფელო, — სოფელში თავი მომკერი.

— არაფერიც არ მოგკერი. — ღიმილით იმართლა თავი მიხამ. — შენ ჩემი ხარ. ამას ხვალევე მთელ სოფელს მოვდებ, ჩემი ხარ და ამიტომ...

— შენი ვარ, მაგრამ ი დედაკაცთან რად შემარცხვინე? მთელ სოფელს მოსდო.

— მაშ ჩვენი საქმე იმას გაუკეთებია.

— ეგ ჩვენი საქმე კი არ არის, ჩემი შერცხვენაა.

— შენ ეს მითხარი, პეტრემ გაიგო?

— ღმერთმა დაგვიფაროს, რომ გაიგოს.

— დედა შენმა ტასომ?

— გაიგო.

— შერე? რა გითხრა?

— ძალიან დამტუქსა. ჯერ თქვა: ი მუსუსი ძალად დაგწყებდა კონასაო. დაგემუქრა, პეტრეს უნდა უთხრაო. მე გამოვეტყდი და ვუთხარი, რომა... რომ მე... მე თვითონ მივეცი მეთქი ნება.



პეტრე

— ყოჩაღ, ქალო! გენაცვალე მაგ ყანყრატოში. — და ყელზე დაეჭრა ცუცქა-  
ცუნა. — მერე, მერე?

— ჯერ არ დაიჯერა. მერე მომდგა და ისე განზადა, რომა... მე ჩემ სიტყვაზე  
შევედექი და აღარ ჩამოვედი.

— უჰ, შენი ჭირიმე, შენი, პეპელაჯანი!

— ნელ-ნელა მღობა და ჩემ მხარეს გადმოვიდა.

— მართლა გადმოვიდა?

— მართლა, მაშ! ვენაცვალე დედა ჩემსა, ესნის ქალის გოლის ანზავი.

— შეც ვენაცვალე ტასოსა. სცოდნია დედის-ერთას ყაიდა.

დედები შეიღებს აჰკენენ. ორივემ დასტური მისცეს, მაგრამ კერპი პეტრე  
გარდუვალ ლობესავეთ აიტუხუბოდა ლარიბი მუსუსის და მჭითვიანი ფეფელოს  
შუა. ეს ყველამ იცოდა.

„რას აპირებს მიხა — მუსუსი?“ ჯერ არ იცის. მოიფიქრებს. პეტრეს ფეფე-  
ლოს თავს მოსთხოვს, მაგრამ თუ პეტრე მართლა გაჯიუტდა, მუსუსი სხვა მხრით  
მოუვლის. საიდან მოუვლისო? მოუვლის, მაგრამ როგორ და საიდან, ეს მერე  
გამოჩნდება.

— ვიცი, რომ მამა შენი ჯიუტი კაცია, მაგრამ არც მე ვარ დონდლო.

„ჯიუტი კაცი“ — ცალთვალა პეტრე სწორედ ამ დროს გამოვიდა ვაზები-  
დან. მეტად მაღალი და გამხმარი ბებერი იყო. თავზე კრელი ხელსახოცი ჰქონ-  
და აკრული, ხელში ორთითი ეკირა. ადამიანისთვის თუნდ პირის-პირ რომ  
შეეხებინა, გაშლილ ხელს უგვევლად წარბზე მიიდებდა და ახელილ თვალს და-  
იჩრდილავდა. ლაპარაკში ძუნწი იყო. სიტყვას არაფის ეტყოდა, რომ ზედ ერ-  
თი კოკა შხამი არ დაეყოლებინა.

შვილს და მუსუსს მოულოდნელად თავთ წაადგა, ერთი ხელით თვალი  
დაიჩრდილა, ნაოჭად გადაქცეული გაცრეცილი ტუჩები აცმაცუნა და გადმოაგ-  
დო:

— იიი, თქვე ცინგლიანებო, თქვენა! რეებს მიჰქარავთ აქა?

— არაფერი, მამილო. აი, მიხა ქალაქიდან დაბრუნდა და... ანბები მოი-  
ტანა. — აურ-დაურია ფეფელომ და თავი ჩაპლუნა.

— გამარჯვება, ძია პეტრე! — მხიარულად მიესალმა მუსუსი.

პეტრემ მუსუსს ხმა არ გასცა, ფეფელოს მხარში ხელი წაავლო, მოატრი-  
ალა და ერთად-ერთი მოწამლული სიტყვა მიუგდო:

— წადი!

ფეფელომ იცოდა თავის მამის მოკლე სიტყვების ძალა და ფასი; ამიტომ  
უმაღვე სახლისკენ გასწია. სანამ ფეფელო სათივეს მიეფარებოდა, პეტრე ქა-  
ლის ზურგს შესცქეროდა და გათეთრებულ ტუჩებს აცმაცუნებდა. მერე მუსუსს  
მოუტრიალდა, თავით ფეხებამდის ზიზღითა გაზომა და იმასაც ერთი სიტყვა  
მიუგდო:

— წაეთრიე!

მუსუსი თავის ბალში იდგა. პეტრეს გამხმარ პირისახეში გაულიმა და მი-  
სი მოტბილება სცადა:



— როგორა ხარ, ძია პეტრე?

პეტრემ პასუხი არ გასცა.

— როგორც ვეტყობა, ისევ ყოჩაღად ყოფილხარ.— განაგრძო მუსუსმა.

პასუხად ისევ დღშილი, ტუჩების ცმაცუნნი და ზიზლი მიიღო.

იქვე სათივესთან ძეძვი ეყარა. პეტრე დინჯად მიტრიალდა, ორთითით ერთი კონა ძეძვი აიღო და მუსუსის ცხვირის წინ დინჯად ჩამოაყვია ლობის მარჯილს. მერე მეორედ და მეხუთედაც მიტრიალდა და კიდევ ხუთი კონა ჩამოაყვია, თან ისეთის ბრაზით ურტყამდა ორთითს იმ ძეძვს, თითქო გველს ჰკლავდაო. ჩატეხილი ლობე თავისს სიმალღებზე აამაღლა, ორთითი მხარზე გაიღო და მთვარეულის ნაბიჯით სათივეს მიეფარა.

\* \* \*

გულამღვრეული და თავჩაქინდრული მუსუსიც გამობრუნდა, ლობეს გამოჰყვია და პეტრეს ეზოში შეიხედა. დერეფანში სიკოს ზურგს მოჰკრა თვალი.

სიკო და პეტრე ერთ კარებში შევიდნენ. თითქმის იმავე დროს მეორე კარებიდან ფეფელო გამოვიდა. მოდიოდა და თავსაკრავს იკრავდა. უცებ მოიხედა, ლობის გადაღმა მუსუსის თავი დაინახა და გაუღიმა. გაუღიმა და ცერათითით გაამხნევა: „ნუ გეშინიან, მაგრად ედგვეარ სიტყვებო“.

— ყოჩაღად, ფეფელო, ყოჩაღად!— მიამახა მიხამ და თვითონაც სოფლის გზაზე გავიდა.

ფეფელო ჩქარის ნაბიჯით ალბად თეკლესთან მიდიოდა, ალბად აყვია სიკოს ემალებოდა. შორიდან ერთხელ კიდევ მოიხედა და გაიღიმა, ცერათითით ერთხელ კიდევ გაამხნევა და ნაბიჯს მოუჩქარა.

სახლიდან ფეფელოს დედა ტასო გამოვიდა, მიიხედა-მოიხედა და მუსუსს ჰკითხა:

— მიხა, ფეფელოს ხომ არ გაუვლია ამ გზაზე?

— არა, არ გაუვლია.

— დიდი ხანია, რაც იქა სდგეხარ?

— ერთი საათი იქნება.

ტასო შებრუნდა. სახლიდან რამდენჯერმე მოისმა მისი ხმა:

— ფეფო!.. ფეფელო!.. ქალო, ფეფელო!

\* \* \*

ის ლობე კიდევ ორ ალაგას იყო ჩატეხილი. ფეფელო და მუსუსი ხან ერთ ჩატეხილ ალაგს მიადგებოდნენ, ხან მეორეს.

ტასო მუხლუნებდა, მართა კი თავის მიხას ემარებოდა.

ზოგჯერ გადაკერით იტყოდა პეტრეზე:

— ი ჰირშავი ბებური ტყეში მიდის.— ან კიდევ:

— ი წუწკი ყანაში წავიდა.

იმ დღეს „წუწკი“ პეტრე სიმინდის სათობნელად წავიდა, რომელიც ვენახის ბოლოზე ჰქონდა.

მუსუსი უმაღვე ლობეს ჩაჰყვია და ჩატეხილიდან მეზობლის სხლს გადაჰხედა. მალე იმ ჩატეხილს მეორე მხრიდან ფეფელო მოადგა.





— ფეფელო, გამარჯვება!

— გაგიმარჯოს, მიხო!

— როგორა ხარ, გოგონი?

ორივემ მიიხედ-მოიხედეს. შერე ლობზევ გადაგულდნენ და ერთმანერთს ტუჩებით მიესალმნენ.

— გოგონი, როგორა ხარ მეთქი?

— ეჰ, ნულარ მკითხავ.—ამოიოხრა ფეფელომ.

ერთხელ კიდევ გადაეულდნენ და გულები ისევ ტუჩებით მოიოხეს. მუსუსი მხრებში წასწვდა ფეფელოს.

— გეყოფა... გამიშვი, თორემ მაშინდელი ანბავი არ დაგემართოს.

— ნუ გეშინიან,—დაამშვიდა მუსუსმა,—მაშინ რალაც ახირებული ანბავი დამემართა. ეხლა თავს შევიმაგრებ. ერთი კიდევ და...

და ერთმანერთს ერთხელ კიდევ გადასწვდნენ.

შერე მუსუსმა ჰკითხა:

— მიანბე, რალა, ფეფელო: პეტრე რას ამბობს?

— ძალიან ჯავრობს და მემუქრება.

— რას ამბობს, რა მინდაო?

— იცის ჩვენი შეხვედრა. მოიშაღეო, თორემ ძალით გავათხოვებო.

— ძალითაოო? შერე, სიკო გაჰბედავს ძალით შენს წაყვანას?

— ვერ გაჰბედავს. ესეც იცის. ამიტომ ამბობს: ვინმე თავზე ხელაღებულს ვავატანო.

— თუ ეგრეა, ჩემზე ხელაღებულს სადღა იშოვნის?\*

— დედამაც ეგრე უთხრა. მაგრამ მამამ აიჩემა: ოღონდ სირბილიანთ მიხა ნუ იქნება დი ვინც უნდა იყოსო, თუნდ თათარიო, თუნდ ოსიო, თუნდ ხეესურიო. დრო მიდის. ვინ იცის, რა მოიგონოს ი ბებერმა. შენ ვერაფერი მოიგონე?

— კაცი უნდა მოვეჯგზავნო.

— უარესად გაანჩხლდება. მაინც სცადე, თორემ...

მიხამ სიტყვა აღარ გაათავებინა: ლობზევ გადაიწია და ჩაეხუტა.

მუსუსმა უკებ მწარედ დაიკენესა. დაიკენესა და გველნაკებნივით მოსწყდა ფეფელოს. იფნის სახრემ ბეჭები ცხელი შამფურავით დასწვა.

— იიი, შე ცინგლიანო, შენა!—შხაშიან სიხარულით დააყოლა სახრეს პეტრემ და აკანკალებული ზელი ერთხელ კიდევ ასწია.

მუსუსი დროზე გაუსხლტა. პეტრე სახრეს ჰაერში აკანცარებდა და ჩიფჩიფებდა:

— ანდე, შეკამე? იიი, შე წუწკო, შენა! აქეთ მოდი, აქეთ მოიწი. შე უნიფხოვ, შენა! მოიწი, მოიწი. ორიოდე კიდევ, უნდა გაჰამო. იიი, შე სალახანავ, შენა!

— რას მერჩი, პეტრე? ისეთი რა მოხდა, რომ ეგრე გამიმეტე?—ლიმილით ჰკითხა მიხამ, თან ნაქრავ ალაგს იფხანდა და ტკივილისგან ოღნავ იღროიჯებოდა.



— ერთი დახე! ერთი დახე ამ ცინგლიანსა! გაიკვირვა შენ კეო, წუნკალო! თავი დაანებე ი გოგოს, თორემააა...

— ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს. თავი გაიმართლა მუსუსმა.

— ერთი დახე, ერთი დახე ამ ნაცარქექიას!

— რათა ვარ ვითომ ნაცარქექია? ბიჭი არა ნჯობია ამ სოფელში. პირველი მოჭიდავე შე ვარ...

— ერთი უყურე, ერთი უყურე ამ ქარაქუცას! იიი, შე ტუტრუცანავ, შენა! კიდაობით უნდა აცხოვრო შენი ცოლი?

— ისე ვთქვი, თორემაა... მუშაობაშიც ვერავენ მაჯობებს.

— ზედ არ გეტყობა?! იიი, შე მასხარავ, შენა! აქეთ მოიწი, მოიწი. ორი-ოდეც რომ გატამო, მაშინ მოხვალ ქუთაზე.

— არც ეგრება საქმე, ძია პეტრე! ამას წინათ ვითქვამს ჩვენზე: სირბილანთ ოჯახი რა ოჯახიაო, ერთი ვაეკაცი გარეთ მუშაობსო, მეორეს ჯერ რძე არ შეტვრობია პირზეო. მართალია, ჩემი ძმა თედოი სამუშაოზეა წასული. სამაგიეროდ მე დაუბრუნდი სახლს. ხუთიოდე წელიწადში ოჯახს ფეხზე დაავყენებ და...

— იიი, შე წუნკო, შენა! შენი აშენებული ოჯახი შენ დაგენგვანება. დაშეკარგე აქედან, შე უნიფხოვ, შენა! მეორედ აღარ დაგინახო ი გოგოსთან, თორემ მაგ თავს წიწილასავით მოგწყვეტავ. წადი, წაეთრიე!

გამბრუნდა და ისე წავიდა, თითქო სხვისი ფეხე'ი ჰქონდა მიბმულიო.

— ძია პეტრე!.. ერთი სიტყვა კიდევ უნდა გითხრა... ძია პეტრე! ძია პეტრე!

„ძია პეტრე“ მოტრიალდა, მუსუსს თვალებით ზიზლი შეასხა და ბალღამივით ვადმოანთხია:

— იიი, შე წუნკალო, შენა! დაიკარგე, მეთქი! წაეთრიე! იიი, შე უნიფხოვ, შენა!

გატრიალდა და წავიდა.

მუსუსი ზურგს იფხანდა და ფიქრობდა.

ცოტა ხნის შემდეგ პეტრემ ორთითი განოიტანა და ძეძვი ასწია. შორიდან შხამიანი ბებერი მოძრავ საფრთხობელას ჰგავდა, რომლისთვისაც ვიღაცას თავზე ძეძვის კონა ჩამოეცვა.

კარგა ხანს იარა იმ საფრთხობელამ. კარგა ხანს ისმედა მისი ორთითის ბრახუნი და ძეძვის ლაწუნი. ბოლოს, ორგან ჩატეხილი ღობე ამოავსო და წავიდა.

ფეველო ისევ თეკელსთან გაქცეულიყო.



მუსუსი მასხრობის გუნებაზე აღარ იყო, მაგრამ სხეებმა გაამასხარეს. სოფელში ვერ გაივლიდა, რომ აქეთ-იქიდან სიცილი არ აეტუნათ.

ზოგნი ლახლანდარობით ენებს იფხანდნენ:

— ბიჭო, მუსუსი, როგორ იყო, რომ ი ორლობეში მელანამ შენ და ფეველო ძლივს გაგაშველათ!



— მუსუსი, ერთი გვითხარი, რა გემო აქვს პეტრეს სახეობის ზოგნი კი თავიანთ მიხვას ესარჩლებოდნენ და შეელას აძლევენ:

— ბიჭო, მუსუსი, მოდი მოვიფიქროთ რამე.

— რა მოვიფიქროთ?

— ი ცინგლიან-სიკოს მავისთანა ქალი არ უნდა გავატანოთ.

— არც გავატან, მაგრამ პეტრე როგორ დავიყოლიოთ?

— არც როგორ. ქალი ხო შენ ნებაზეა?

— ჩემ ნებაზე.

— მაშ მოვიტაცოთ.

— შეც ვიფიქრე. მაგრამ არ ივარგებს. სად უნდა წავიყვანო?

— თიანეთისკენ გავიყვანო.

— ეგ ადვილია. მერე ხომ უნდა სახლში დავბრუნდეთ? პეტრე ისეთი კაცია, რომ ან მე მომიკლავს, ან თავს შემომაკლავს. სხვა გზა უნდა ვეძებოთ.

— კაცები მიუგზავნე. ცდა ბედის მონახეფრეაო.

მეორე დღეს შათირაანთ თევდორემ ძალიან შორით მოუარა პეტრეს. სიტყვა ხევსურეთის ბილიკივით გაავრძელა და დახლართა. ბოლოს, როგორც იყო, მიხვას სახელი ასხენა. პეტრე შეიშშუნა, პირი ააცმაცუნა და თევდორეს მოკლედ მოუპრა:

— თევდორე, თუ სტუმარი ხარ, ე არაყი დალიე, მაგრამ სირბილიანთ წუწკებ ხმა აღარ ამოიღო. თუ მაჰანკლობა გიკისრნია, ეხლავე მომშორდი.

— კაცო პეტრე, რათ იწუნებ ეგრე რიგად ი ბიჭსა?

— უნიფხო მასხარას ქალს არ მივცემ.

— მასხარა კი არა, მზიარული ბიჭია.

— მასხარაა, ლახლანდარა, ქარაქუცა. ი ცინგლიანი ქალის შემნახველი არ არის.

ტყუილად ცდილობს თევდორე. პეტრე უარესად კადდება და ბრახდება. როგორ! დიდმა პეტრემ, პეტრე ჯილაურმა მასხარას უნდა მიათხოვოს ქალი?! სირბილაშვილებს უნდა დაუმოყვრდეს?! იმოდენა ჯაფით ნაშოგნი ქონება სირბილიანთ მიხვას უნდა დაულოცოს?! უწინამც კუმბოში ჩაწოლილა ბებერი პეტრე, სანამ ლახლანდარა მუსუსს თავისს ქონებას და ფეფელოს დაუთმოვს. არა, უნიფხო მიხვასთვის არ გაუზრდია პეტრეს ერთად ერთი ქალი!

— შენს დედაკაცს ტასოს მაინც ჰკითხე. მარტო შენ ნუ აიღებ ქალის ცოდოს.

— ვინც ცოდოს ჰკუთას ჰკითხავს, იმას ქალზე მეტი ჰკუთა არა აქვს.

— ფეფელოს შენი სიკო არ მოსწონს.

— მერე, ფეფელოს ვინა ჰკითხავს?

— ფეფელოს მიხა ჰყვარებია.

სიყვარულის გახსენებაზე პეტრე ფეხზე წამოიჭრა და ისე აიშალა, რომ სიმწარისაგან კარგა ხანს ხმა ვეღარ ამოიღო. მხოლოდ ტუჩებს აცმაცუნებდა და გრძელს ჩხირ-თითებს ჰაერში აფათურებდა. მერე შხამი და ბალღამი გადმოანთხია:



— იიი, შე ტუტრუცანავ, შენა! შენც ი ქალა-ბიჭებსე *ქვეყნობაში!* წადი, დამეკარგე აქედან! იიი, შე უნამუსოვ, შენა! წადი მეთქი, *გაგზავნა* კტქაან!

— რათა მლანძღავ სტუმარსა, შე კაი კაცო, შენა? შენი ხნის კაცი ვარ, არ მერგება. მე წაველ, მაგრამ ერთს მაინც გეტყვი.

თვედორე წამოდგა. პეტრემ თოხს დაავლო ხელი და ვენახისკენ წაიდა.

— ერთი რამე მაინც უნდა გითხრა.—პეტრეს ზურგს ეუბნებოდა თვედორე და ქუდს ხელში სჭმუტუნებდა. ყური მიგდვ, მეტრე!

მაგრამ პეტრე თავის გზით მიდიოდა.

— ისე მოკვდები, რომ ქალის ცოდოს და ქვეყნის წყეულის თან წაიღებ.—მაყოლა პეტრეს ზურგს თვედორემ.—ჩემს გალანძღვას კი არ შეგაჩენ.

პეტრემ არც კი მოიხედა, ეზო გადასჭრა და სათივეს მიეფარა.

\* \* \*

პეტრე და ტასო ფეფელოს სოფელშიც აღარ უშეგებენ. რამდენჯერმე თავის ბიძაშვილთან—თეკლესთან გაიარა, მაგრამ ეხლა მარტო ველარკ იქ მიდის. დედას თვისი ქალი კაბის კალთაზე ჰყავს მიკერებული. თუ ტასო გავა სოფელში, ფეფელოსაც თან წაიყვანს. თუ ფეფელო მოინდომებს ნათესავეების ნახვას, დედაც უკან მისდევს.

გაქყარეს ფეფელო და მუსუსი.

სიკომ სოქვა:

— სანამ ქალი თანახმა არ გახდება, ძალით არ წაიცივან!

ელის მას აქეთ ბებერი პეტრე ფეფელოს თანხმობას. წარა-მარა ბუხლუნებს და ქალს ზიზლის შორეულში აბანავენს:

— იიი, შე ქარაფშუტავ, შენა! კკლა თვალში გქონია. გეტყობა, ნამდვილი ქალი ჰყოფილხარ.

ფეფელო მართლა ნამდვილი ქალი იყო,—ქალის თვალით, კეყით, ხასიათით და სისხლით. პეტრეს კი უნდოდა, რომ ყინული ცხელი ყოფილიყო, ცხელი კი—ცივი; რომ ფეფელოც პეტრეს ჰგვანებოდა, რომ საგულეს თერამეტი წლის ცხელი და ქალური გულის მაგივრად ფეფელოსაც საშოცი წლის ჩვირი სდებოდა.

დღე არ გავიდოდა, რომ ფეფელოსთვის არ მიგდო:

— აღარა ვნახო ი ცინგლიანთან, თორემაა...  
ზოგჯერ მუქარასაც დააყოლებდა:

— რაკი სიკოს ყადრი არ გკოდნია, შენს თავს ვინმე ხევსურს, ოსს ან თათარს მიუვკლებ. გადი, გაეთრე აქედან, შე ქარაქუცივე შენა! დაიკარგე, შე ციმიფაე, შენა!

ფეფელოს ნატვრაც ეს იყო: წაიდა და დაიკარგებოდა, მაგრამ ეზოს მაინც ვერ გასცილებოდა, რადგან მამისგან სასტიკად ჰქონდა აკრძალული.

ბევრჯერ დაავლო ხელი პეტრემ სახრეს, მაგრამ ტასო ფრთხილად იყო. მამა-შვილს უმაღლე შუაში ჩაუვარდებოდა, მოქნეულ სახრეს საკუთარ ხელებს და ზურგს შეუშვებდა, მაგრამ გასათხოვარ ქალს არ დააკრევენებდა.

პეტრე ბრაზით დამუნჯდებოდა, სახრეს დაამტკრევედა და იქაურობას მოქეზბალი „მნათობი“ № 4 (12).



შორდებოდა. მაგრამ შორს არსად მიდიოდა. იქვე ახლოს სადმე დასვენდებოდა და ჩემ-ჩემად ცალ-შვილს უთვალთვალებდა: ეწინოდა ბებერ ველას ცოლის ლილატის, თრითინა—მუსუსის შემოპარვისა და წიწილა—ფეფოს „გაფუჭებისა“.

თრითინა—მუსუსის ძილი გაუფრთხა. ღღე და ღამე პეტრეს სახლ-კარს დას-ტრიალებდა და თავის ვარიას უთვალთვალებდა.

იმავე ღღეს, როცა მუსუსმა პეტრეს ცივი უარი შეიტყო, სამჯერ შემოუ-რა გაბრაზებულ სანატრელ საქათმეს, მაგრამ ფეფელოს თვალისკვერ მოჰკრა. შერე ისევ ვენახში შევიდა და ღობეს დაჰყვა.

იმ ღობეში ერთი ბალის ხე იდგა, ის ხე მიხას და პეტრეს სანახევროდ ითვლებოდა. როცა ბალი დამწიფდებოდა, ერთად მოჰკრეფდნენ და მოსავალს შუაზე გაჰყოფდნენ.

მუსუსი იმ ხეზე აცოცდა. პეტრეს კარ-მიდამო ჩულის გულივით მოსჩანდა. კარგა ხანს იჯდა ხის ტოტზე და ფეფელოს გამოჩენას ელოდებოდა. ბოლოს ფეფელოც გამოჩნდა. მუსუსმა რამდენჯერმე დაუსტვინა.

ფეფელომ ნიიხედ-ნიიხედა. ხეზე ასული მუსუსი დაინახა და ფრთხილად იმისკენ წამოვიდა.

შუკბ მუსუსმა პეტრეს მოჰკრა თვალი. ისევ დაუსტვინა, ფეფო ხელის ქნე-ვით უკანვე გააბრუნა, თვითონაც ჩამოცოცდა და მიიშალა.

ათიოდე წუთის შემდეგ მუსუსს ვენახიდან ჩახა-ჩუხი მოესმა. ჯერ ყუ-რი არ ათხოვა, შერე გავიდა და დაინახა: ბალის ხე სთრთოდა.

მიხა პეტრეს მიუხედა და თვითონაც ათრთოლდა. კომპალს ხელი დასტაცა და გაიქცა.

სანამ მიიბრუნდა, ქაქა-ჭუქი მოესმა. შესდგა, ზევით აიხედა და დაინახა: მალალი ხე შეზანზარდა. ჯერწელ-წელა გადმოიხარა, შერე წამოვიდა და შუილით და ლაწა-ლუწით მუსუსის ეახებში ჩამოწვა.

რამდენიმე ნახტომით მოჰრილ ხესთან გაჩნდა. ხის ძირში ღობე აყრილი დაუხვდა. ხე შიგ ძირში იყო მოჰრილი.

— პეტრე, ეს რა ჰქენი, კაცო?

პეტრეს ცული მხარზე გაედო და არხეინად მიდიოდა.

— კაცო პეტრე, ეს რა ჰქენი მეთქი?

პეტრე დინჯად მოტრიალდა და დინჯადვე უპასუხა:

— მეორედ აღარ ახვალ მაგ ბალზე.

— ნახევარი ხომ ჩემია. რატომ არ მკითხე?

— შენისთანა ბლარტს რომ კითხვა დაეწუწუო, შენსავით უნიფხო დაერჩები

— ე ზარალი რომ მომაცენე?

— ე ხე შენი იყოს. შუა კაცებს დაუძახე. რამდენსაც იტყვიან, ორჯერ

მეტს მოგცემ. ეხლა კი დამეკარგე მანდიდან!

ორთითი აიღო და აშლილი ღობე ხელახლად ამოავსო.

მუსუსმა ესეც მოითმინა. გულში კი სთქვა:

— ეხლა კი გავივებ შენი ხერხი. მეტი გზა არა მაქვს. კარგი ჰყუა დაპარი-



ვა ტიტემ. ოღონდ როგორმე ხელთ ვიგდო ფეფელო თუნდ ზარბაზნის და...  
მერე რალას იტყვი? სიკაც მაშინვე მომშორდება.

მაგრამ ფეფელო ხელთ ვერ იგდო. პეტრეს არ ეძინა. ფეფელოს სადარა-  
ჯოდ თავისი ცოლი ტასო არ იკმარა და შორეულ სოფლიდან ახალი გუშაგი  
გამოიწერა,—თავისი ქვრივი და სოფიო,—ისიც პეტრესავით პირქუში, ჰაშარი,  
ანხლი და უკმები.

უწინაც პეტრეს მეზობლობას ცეცხლის მეზობლობა სჯობდა, ელა კი დორ-  
ბლიანი მოხუცი დღე და ღამე შარზე იდგა და განგებ ჩხუბის საბაბს ეძებდა.

მუსუსი უსიამოვნებას ერიდებოდა, რადგან იცოდა, რომ დამწყვედულ ფე-  
ფელოს ნახვისთვის უფრო ციხის დარაჯის მიძინება სჯობდა, ვიდრე მისი გა-  
ხელება.

„უნდა ავტყარდე,—გადასწყვიტა მუსუსმა,—თორემ ხიფათი მატულობს. ან  
უცებ გაათხოვებს, ან გაჰგზავნის სადმე“.

და სიფხიზლეს მოუმატა. იმავე საღამოს მეზობლის კარმიდამოს შემოუარა.  
საბზელთან სიბნელეში პეტრეს წააწყდა.

— იიი, შე წვინტილიანო, შენა! — მიაძახა მაშინვე პეტრემ და შინდის ჯოხი  
მოუქნია.

მუსუსი ჯოხს გაუსხლტდა. პეტრე ჩანჩალოთ და ხრინწიანი ყვირით დაე-  
დგინა:

— აქ რას დაწანწალებ, შე წუწუკო, შენა!

გაქცეულ მუსუს ის ჯოხი წვივებში სდრუხა და ზედ მიაყოლა:

— იიი! ენდე... შეჰამე?! მოგხვდა?! იიი, შე ღამის ქურდო, შენა!

აკოკლებული მუსუსი სახლში დაბრუნდა. მართამ ჭკითხა:

— რა დაგემართა, შეილო?

— არაფერი. სიბნელეში წავეიქცი.

მეორე დღით მართამ უთხრა:

— გადი, შეილო, ი ვენახში ვილაცის ღორი შემოსულა. გადი, გააგდე.

მუსუსი ფეხათრევით გავიდა. პეტრეს დიდი ღორი ღრუჭუნით გაიქცა,  
ღობეს გაჰყვა, ლაწა-ლუწი ასტეხა და დაიკარგა. ღობის ძირში მუსუსი ღო-  
რის ნარღვევს წააწყდა. გაიღიმა, თითქოს რაღაც აზრს მიჰკვლია, კიგო ამოი-  
ლო და ნარღვევი გააფართოვა. მერე თეკლესთან გაიქცა, რაღაც უთხრა და  
დაბრუნდა. თეკლე უკან გამოჰყვა.

მუსუსი ძართან აიტუხა. თეკლე ფეფელოსთან შევიდა. მალე გამოვიდა,  
მუსუსს თავი დაუქნია და ისეც თავისს გზას გაუდგა-

მუსუსმა ის დღე ძლივს დააღამა.

შუალამემ რომ მოატანა, მუსუსი ფრთხილად წამოდგა და ფეხაკრევით  
გავიდა. ღორისგან გატეხილ ადგილს მიაგნო, დაწვა და თავი ხერხელში შეჭყო.  
ეკალი თავსა და პირსახეს სჩხელეტდა. დაჩხელეტილ ხელეებით ნარს იშორებდა  
და თითო გოჯით მიიწვედა. ძლივს გაძვრა და ღობის ძირში ჩაიკუცქდა.



პეტრეს ძალი უფით გამოქანა, მაგრამ მუსუსი იცნო, მუსუსის ქვეშეით მიესალმა და თვითონაც იქვე ჩაუტყდა.

ეამი ოდნავ მიიზღახნებოდა. სათივეს გვერდით ცხენმა დაიჭიხვინა. იქვე ძროხამ დაიღმულა. საქათმეში და სოფელში მანლებმა პირველი ყვილი ასტეხეს. მერე ყოველივე მისწედა.

უცებ სათივეს უკნიდან კარების ფრთხილი კრავუნე ნოისმა.

მუსუსმა ყურები სცქვიტა. საკუთარი ვულის ცემა ესმოდა.

ძალი მზიარული წამეტუნით გაიქცა. რამდენიმე წუთის შემდეგ სათივეს ძირში ქალისა და ძაღლის ლანდები გამოჩნდნენ.

ფეფელომ ნაბიჯს უმატა, მერე გამოიქცა და მუსუსს მკლავებში ჩაუფარდა.

მაგრამ იმავე წუთს წელანდელი კრავუნე მოესმათ,—ნელი და ფრთხილი.

— ვაიმე, გამიგეს.—წაიჭურჩულა ფეფელომ.—გამიშვი... გამიშვი მეთქი, ბაკო! არ გესმის? გამიგეს მეთქი, მოდიან.

ხელიდან ძლივს გაუსხლტა და გაიქცა.

— ხეალ, ხეალ ამ დროს, ფეფელო!—ჭურჩულით მიადახა მუსუსმა და თხუნელასავით ხერულში შესძერა, თან ოდნავ ლაწა-ლუწი ასტეხა.

მერე ფეფელოს ბუტბუტი მოესმა:

— რა ექნა, რა გინდათ ჩემგან? ვარეთაც აღარ გამოვიდეთ?

სოფიოს ჩიფჩიფი ველარ გაიგო.

\* \* \*

მეორე დღეს მუსუსი ხან ვენახს დაეძგერა, ხან სიმინდს სთობნიდა, ხან ღრემს აკოწიწებდა და ხან კიდევ უსაქმოდ დაბორიალებდა.

— შეილო, რა დაგემართა? რათა ხარ დღეს ეგრე მოუსვენარი? ჰკითხა მართამ.

— არაფერი.—მიუფლო მიხამ და სათივეს ეცა.

ის დღევ ძლივს დაღამდა. სანამ შუალამე შოატანდა, მუსუსს ლელვისგან კინალამ გული წაუფიდა. რამდენჯერმე წამოდგა და ნახევარი დოქი წყალი დასცალა. თავიბირი მაინც ვერ დაიციხრო. ისე ეწეოდა, თითქო ცეცხლი ჰქონდა მოდებელიო. გულის ტეხას რომ ვეღარ გაუძლო, დერეფანში გავიდა, ანთებულ თავიბირზე წყალი გადისხა, ოდნავ გაგრილდა და რამდენიმე წუთის შემდეგ გუშინდელ ხერელს მიადგა.

დიღბანს იღვა ლობის ძირში და მშვიერი მგელივით ჰაერს სუნავდა.

სრული სიჩუმე იღვა. ზოფათი არსად მოსჩანდა. მუსუსმა დაიჩოქა და თავი ხერელში შესდო. მერე გაწეა და მზრებიც შეიტანა. კიდევ გაიწია და თეძოებამდე შეძერა. თავი უკვე მეორე მზარეს გაიტანა. ერთი კიდევ გაიწია და...

უცებ რალაცამ დაიჩახუნა.

მუსუსმა ოდნავ დაიგმინა და უკან გაიწია, მაგრამ ხელები გაშვერილი დარჩა.

— იიი, შე წუნკალო, შენა! ენდე! დაგიკირე ტურასავით თუ არა, შე წუკწო, შენა?! მოისმა სათივესთან ბებერი ქოფაკის მზანარევი სიხარული.



ხელეზ-გაშვერილი მუსუსი უკან იწევედა, თევზივით ზნაობდა და ეკლით თავპირს იკაწრავდა, მაგრამ ამაოდ პეტრეს მახეს მკვლად წყვეტდა ჩაბღუჯვილი ორფეხა ნადირი. რკინის სალტები ძალის კბილებივით ჩაეჭიდნენ მაჯებში. რამდენსაც გაიწევედა მუსუსი, იმდენად უფრო მაგრად უჭერდა წვეტიან კბილებს რკინის უსულო ძალს.

სიხარულით აყეფებული პეტრე თავთ წაადგა. ხითხითებდა და ჩიფტიფებდა:

— ენდე! ენდე, შე მურდალო, შენა! იიი, შე ციმჭიავ, შენა! აღარც ეხლა მოიშლი სხვისი ქალების დიენას? ხიიი-ხი-ხი-ხი... ნუ ფართხალობ, შე წუნკალო, შენა!

გრძელი და განიერი ორთითი კისერში გაუყარა, წვერები მიწაზე ჩატრკო და გაბმული ნადირი კისრითაც მიწას მიაბა.

პეტრეს ხმაზე ძალღიჯ მოეარდა და ანჩხლის ყეფით მუსუსს თავთ დაადგა

— ეხლა დამაკა... დაიკა... ისეთი სერიი გაჩვენო, რომ შენი მოწონებული.—დაემუტრა პეტრე და ძუნძულით გაიქცა.

განაბული მუსუსი მიწაზე ფიცარივით პირქვე იყო გაკრული. ორთითით მირკობილი კისერი უკენსდა, ღვედებივით დაქიმული ხელები დაუდუნდა, ყურებში წივილი და შხუილი აღვარდა, ცხვირპირი მიწით გაეცენა და სულის მოთქმა გაუბნელდა. ჯერ გაქაჩულ ნადირივით ოდნავ ბლუოდა, მერე ხრიალი ამოუშვა, ბოლოს მიყუჩდა და ნიიბნიდა.

თავთ ძალღიჯ ედგა და იღრინებოდა. მუსუსს თითქოს სცნობდა კიდევაც და ვერც სცნობდა. მერე ძალღიჯ გაჩუმდა. მუსუსის თავი დასუნა, იქვე ჩაწვა და ისიც მიხასავეთ გაინაბა.

ქერივი სოფიო, — პეტრეს ასლი, — კარით კარამღე დარბოდა და იძახოდა: — ქაა, ქურდი დავიჭირეთ. არ გინდათ ნახოთ? მოდიეთ, სერიი ნახეთ. მელასავეთ ხაფანგშია გაბმული.

ტასოს ჭრაქი მოჰქონდა. პეტრეს თვალკრემლიანი ფეფელო მოჰყავდა. სამივენი ღონემიხნდით მუსუსს თავთ წაადგნენ.

— ენდე, ნახე შენი საბედო. — სოქვა პეტრემ და ფეფელო წინ წამოაყენა.

— შენ პირშავო, შენა, ეგეთი მეზობლობა გავვიწიე? მართლა საჭურდავად შემოიპარე? — ჰკითხა მუსუსს ტასომ და ჭრაქი თავთან დაუდგა.

— ტყუილია, ტყუილი! — ამოიკენესა ფეფელომ: — მიხა ქურდი არ არის.

— მაშ რითვინ შემოიპარა ჩემ ეზოში? — შეუტია ფეფელოს პეტრემ. — თქვი, რითვინ შემოიპარა მეტკი?

— შე რა ვიცი... აბა საიდან ვიცი. — ბორძიკით წაიჩურჩულა ფეფელომ. იმასობაში ათიოდე მეზობელი გამოვიდა.

— ეროპაა! ე კარგი კაბუეტი დაგიჭირიათ. — სოქვა ერთმა.

— ბიჭოს! ე რა მსხვილფეხა ნადირი გაბმულა! — გაიკვირვა მეორემ.

— ბიჭო, მუსუსი, ე როგორ დაგემართა, შენ უნამუსოვ, შენა! — უსაყვედურა მესამემ.





ქართული  
ენებისათვის

მუსუსი სდუმდა. არც ინძოვდა და არც ხმას იღებდა. ვილაყამ სთქვა:

— რა ექნა, რატომ ხმას არ იღებს? ემანდ არაფერი დეემართოს ამ ბიკსა.

— ძალი კოკლობით არ მოკვდება. — გაამხნევა მოქმელი პეტრემ და მიწიდან ორთითი ამოაძრო. მერე მუსუსს შეუტია: — შენ ეი, ცინგლიანო, აქეთ გამოდი!

«ცინგლიანი» არც კი გაინძრა.

— ბიკო, შენ გეუბნები! აქეთ გამოძვერი მეთქი!

მუსუსმა თაეი ოდნავ შეანძრია.

— ყური ნუ მოიყრუე, შე თხუნელავ, შენა! — შეუტია პეტრემ და ორივე ხელით კისერში დასწვდა. დასწვდა, გამოსწია და ცხვირპირით მიწა ააქექინა. გამოიტანა და გულალმა გადააბრუნა.

მუსუსს პირისახე შეთხუზნილი ჰქონდა. თავს ისე აკანტურებდა, თითქო კისრის ძარღვები დაწყვეტილი ჰქონდაო, და პირსაც უწყლო თევზებით აღებდა.

— ვაი მე, დედილო... ვაიპე. — წამოიძახა ფეფელომ და ჩაიჩოქა.

— წყალი! ჩქარა წყალი! — დაიძახეს აქეთ-იქიდან და აფუსფუსდნენ.

ტასო ფეფელოს მიეშველა. სოფიო წყლისთვის გაიტკვა.

მუსუსმა თვალები გაახილა და ისევ დახუტა.

— იიი, შე ტურდო, შენა! — გადაასხა შიშნარევი წხამი პეტრემ. — შენ უნდა მომატყო? გეუბნეით, ძალი კოკლობით არ მოკვდება მეთქი.

— კაცო, პეტრე, ე ხელები მაინც აუხსენი, შე კაი კაცო, შენა. — უთხრა ერთმა.

— აუხსენი, აუხსენი. — ურჩიეს სხვებმაც. სულ ერთია, ვერსად გაიტყევა-პეტრე მოლბა. ხაფანგი გახსნა და მაჯებიდან რკინის კბილები მოაშორა. კეკემ წყალი მოარბენინა. ფეფელოს და მიხას პირსახეზე შეასხეს და ორივენი მოასულიერეს.

— ორთითმა უყო ალბად. — განმარტა ერთმა. — ისე ჩაუტირა ყურის ძირებში და კისერში, რომ სისხლი შეღუბა.

მეორემ ფეფელოს გადახედა და წაიბუტბუტა:

— რა ძალა ჰქონია სიყვარულსა.

ტასომ და სოფიომ გონს-მოსული ფეფელო წაიყვანეს.

— აბა, ეხლა გვითხარი, შე წუწყო, შენა, რის მოპარვის აპირებდი? — დაიწყო გამომიება პეტრემ.

მიხა სდუმდა და გაშტერებულ თვალებს პეტრეს არ აშორებდა

— თქვი მეთქი, შე ყაჩაღო, შენა! — კვლავ შეუტია პეტრემ. — რა უნდა მოგეპარნა?

— სთქვი, ბიკო, სთქვი! სთქვი, ნუ გცხვენნიან, რა უნდა გაგეტანა აქედან? — ჰკითხეს აქეთ-იქიდანაც.

— არაფერი. — ძლიეს ამოიხრიალა მიხამ და წამოჯდა.

— როგორ თუ არაფერი? მაშ რისთვისინ შემოიპარე?



ქართული

მუსუსი სდუმდა.

— თქვი მეტქი, შე ძაღლის ლეგო, თორემ ძალით ვაძაგებ შენს პეტრემ და ორთითი კვლავ კისერში ჩაუტდება.

მუსუსი კვლავ სდუმდა.

— დაანებე თავი, პეტრე! — სთქვა ერთმა და ორთითი მუსუსის კისერს მოაწორა. — სულ ერთია, ვერსად წაგვივა. მერე იტყვის.

— წამო, წამოეთრიე! — დასწავდა მიხას კისერში პეტრე. — წამოეთრიე მეტქი, შე უღლეურო ზღარტო, შენა! იიი, შენი ქოქი კი ამოწყდეს, აჰა! ადექი მეტქი! მუსუსმა წამოიწია, მაგრამ ვერ გასწორდა. ერთი იღლიაში შეუჯდა და წამოაყენა.

მუსუსმა წელან თვალი მოჭკრა ფეფელოს. ეხლაც თვალი მოავლო იჭაურობას, მაგრამ ფეფელო აღარსად იყო. ფეხები ძლივს აითრია და წელმოწყვეტილივით გაძვრა ორ კაცს, რომელნიც იღლიებში ჰცვანდნენ შემსხდარნი. საბზელში შეიყვანეს დოქარები გადაურახეს. ისე იყო დაბუთილი და დათენთილი, რომ უმაღვე ბზეზე მიწვა და ბურანში წავიდა.

ისიც კი ვერ გაიგო, რომ ხუთიოდე წუთის შემდეგ პეტრე ბუტბუტით დაბრუნდა, იჭაურობა ქრატით შოანათა, მერე გარედან კარებს ბოქლოში დაადო და წყველა-მუქარით გავიდა.

\* \* \*

მეორე დღით პეტრემ მუსუსი ძლივს გააღვიძა:

— იიი, შე ტურავ, შენა! ადექი! აათრიე ე დასამიწებელი თავი!

მუსუსი უმაღვე გამოფხიზლდა. წუხანდელი ამბავი გაახსენდა.

— რა გინდა ჩემგან?

— ის მინდა, რომ ი ქალს თავი უნდა დაანებო.

— მერე?

— მერე არაფერი. ი ქარაქუცას პირში უთხარი, თავს განებებ თქო. მერე აქედან ირიოდე კვირით დაიკარგე, ხანამ ქორწილს არ გავათავებ.

— თუ არ წავედი?

— თუ არ წახველი, ძალით წაგიყვანენ. ქურდი ხარ. ხელებს შეგიკრავთ და ციხეში ვაგვზანით.

— შე ქურდი არა ვარ.

— წუხანდელი?

— წუხანდელი? წუხელი... შენც იცი, საქურდავად არ მოვსულვარ.

— მეც ვიცი რისთვისაც მოდიოდი. მაგრე იტყვი სამართალში?

— რატომ არ ვიტყვი?

— იიი, რა მურღალი ჰყოფილხარ! თითქო ფეფელო მიყვარსო, შე წუწკო შენა! მაშ ი ქალს არ დაინდობ? საქვეყნოდ თავს მოსკრი?

— თუ შენ არ მინდობ, არც მე დაგინდობ. სულ ერთია, ჩვენი ამბავი მთელმა ქვეყანამ იცის.



პეტრეს ეს გარემოება გაზომილი არ ჰქონდა. ტურნები ააცმაკუნდა და ატოკდა  
ნერე ჰკითხა:

— მაშ ეგრე იტყვი?  
— თუ არ გამიშვებ, ეგრე ვიტყვი.  
— მაშ არც ქალს ანებებ თავსა?  
— ო ვანებებ.  
— მაშ კარგი. შენი ოხტიდან მაინც ამოვალ. დაცა... დამაცადე... აქ  
მომიცადე...

და ბურტყუნით კარებისკენ წავიდა.  
მუსუსმა რამდენიმე ნახტომით გზა უყელა:  
— იცი, რას გეტყვი, ძია პეტრე? აქამდის შენი პატივი მქონდა. ვამბობდი,  
უფროსი კაცია, დაეუთმობ შეტკი. ეხლა კი გათავდა\* ეხლა შენ შენთვისა და ნეც  
ჩემთვისა. ვინც ბურთი გაიტანოს, მინდორიც იმისი იქნება.

და კარებისკენ გამოსწია.  
პეტრე კალთაში წასწვდა:  
— სად მიხვალ, შე ყაჩაღო შენა! შენ დაქერილი ხარ და აქედან ვერსად  
წახვალ.

მუსუსმა კალთას ხელი გააშვებინა:  
— ვინა, შენა? შენა ხარ ჩემი დამჭერი? როცა მაგის ნებას მოგკემენ, მაშინ  
დამიჭირე. ჯერ კი იქნება შე დაეაქერიო შენი თივი ჩემი დამწვედევისთვის.  
პირლია პეტრე ბრაზის ცახცახმა აიტანა.

კარებში მართა გამოჩნდა. თავთ ქოქოლა დაიყარა და აწუწუნდა:  
— ზი მე, შეილო, ე რა ამბავია ჩემ თავზე? შენ ქურდობას გაბრალებენ?  
— კარგი, დედი, კარგი! არაფერსაც არ მამბრალებენ. წამო, წავიდეთ.  
მაგრამ წასვლა ეგრე ადვილი არ იყო. აქეთ-იქიდან სიცილით და ლაზლან-  
დარობით სოფლის ბიჭები შორბოდნენ:

— ბიჭო, მუსუსი, ე რა დაგეშართა?  
— მუსუსი, ხაფანგით დაგიჭირეს, ბიჭო, წუხელი?  
სიცილი ხითხითად გადაიქცა.  
— ე რა დიდი ნადირი დაუჭერიათ, და!  
— ვინ დაგიგო, ბიჭო, ი მახე, პეტრემ თუ ფეფელონ?  
— ფეფელოს რომ დეევო, ეს ორფეზა მგელი აქ კი არ ეყოლებოდა დამწ-  
ვედიული.

მუსუსი ამბანაგების სიცილს აყვავა.  
— ეხლა კი წავიდა შენი დრო. — უთხრა თანდილამ და მხარზე ხელი დაა-  
დო. — ე ხელები ალბათ ისე დაგიდუნდა, რომ ბალღიც წაგაქცევს;  
და მუსუსს მოულოდნელად სარმა გამოჰკრა. მუსუსი გულალმა გაიჭიმა. ხედ  
სიცილი დაეყარეს.

მუსუსი უმაღვე ფეხზე წამოიჭრა, თვალის დახამამებზე თანდილას საკინძე-  
ში მისწვდა და კისრულით წამოიღო. თანდილამ ჰაერში ორივე ფეხი აათამაშა  
დამორივით გულალმა მიწაზე გაიშალა.

მუსუსი ისევ წამოვარდა, პავლეს მოგვერდი ჰქრა და სამ ნაბიჯზე ისე მოისროლა, რომ პავლემ ბაყვანი მოიღო. მერე დანარჩენებს დაეხრი: დამა ვარეთა სარმით გაშლა, ცუკა შიგნითა სარმით მოსტება, ცხვირა ჩოქელათი გადაიტანა. რომ წამოდგა, პირისპირ სიკოს წააწყდა. შესდგა, პირი მოიღუშა, თავით ფეხებამდის გაზომა და ყინულის ხმით ჰკითხა:

— შენ აქ რა გინდა?

სიკო გაშრა და აირია:

— მენა?

— ჰო, შენა, შენა!

— მე არაფერი... ისე მოვედი. სხვები მოდიოდნენ და მეც წამოვედი.

— გეგონა, მუსუსას ხელები დაამტკრიესო და ეხლა მეშველებათ, განა! ვერ მოვართვი!

ერთხელ კიდევ აბღ-ჩახედა და გამოტრიალდა. გამობრუნდა და დაინახა: მხარზე კოკა-შედგმული ფეფელო საბზელთან იდგა და მუსუსს გვერდულათ გამოსცქეროდა. პეტრე ფეფელოსკენ მთეარეულიყვით მოდიოდა, სახრეს აცანცარებდა და ჩიფჩიფით პირს აცმაცუნებდა:

— იი, შე უნაქსოვ, შენა! რას უცქერი იწვინტილიანსა, იმას!.. დაიცადე... დამაცადე.

მუსუსმა პეტრესკენ გაიწია, მაგრამ ფეფელომ მამის ბუტბუტი დროზე გაიგო, მიბრუნდა და სირბილით საბზელს მიეფარა.

პეტრემ წამოსული მუსუსი დაინახა, სახრე ჰაერში აღმართა და დაემუქრა:

— იი, შე ყაჩაღო, შენა! დაიცა... დამაცა... მე შენ გაჩვენებ სეირსა!

— ფეხებსაც ვერ მომჭამ!— მიამახა მუსუსმა და გაიცინა.

სხვებმაც გადინახარეს. ცხვირამ მუსუსს მკლავში ხელი გაუყარა და სთქვა:

— წამო, მუსუსი, წამო ჩვენთანა.

— წავიდეთ, წავიდეთ!— მიამახეს სხვებმაც.

და პეტრეს კალოდან დაიძრნენ. მიდიოდნენ, იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ. მოწამული ბებერი კი ისევ იმ ალაგზე იდგა, ჰაერში სახრეს აცანცარებდა, უკბილო პირს აცმაცუნებდა და ჩიფჩიფებდა:

— იი, თქვე სალახანებო! იი, თქვე ციმფიებო, თქვენა!.. დაიცადეთ... დამაცადეთ.

მერე საბზელთან ატუზულ სიკოს მიუბრუნდა:

— წამო, საქმე გავათავოთ.

იმევე სალამოს, როდესაც დაბნელდა, თეკლე სირბილიაანთ სახლში შემოიპარა და მიხას ჭურჩულიო უთხრა:

— ბიკო, მიხა, ხვალ დილით ფეფელოს ათხოვებენ.

— რას ამბობ თეკლე?

— ჰო, ბიკო, ჰო! ხვალ დილით ჯვარს გადასწერენ. ფეფელომ შემოგიკთვალა: თუ შაგიძლიან რამე, მიშველეო.

მუსუსი ამას არ მოელოდა. იცოდა, რომ პეტრეც და სიკოც ფეფელოს



მარტო მუსუსი

თანხმობას უცდიდნენ და იმედოვ ჰქონდათ, რომ დღეს თუ ხელს შეეწყობა ხავდნენ.

მუსუსმა იცოდა, რომ მისი ფეფელო არ მოედრიკებოდა და ნებაყოფლობით მიხას სიკოზე არ გასცვლიდა. ამიტომ მუსუსი გულმშვიდად იყო და ბუდის წყალობას იმედით და მოთმინებით ელოდებოდა.

მუსუსი მოჭრილივით ჩამოჯდა თონის ნაპირზე.

ეხლა კი კვანძი გაიშალა. ბუდის ღიმილი მარტო ღიმილად დარჩა. მუსუსი მოსტყუდა. ფეფელოს ხელს აყვია სიკოს ჩაბარებენ. ტკბილი სიხარლი გათავდა. მაშ ესე: მიხა ახლოც ვეღარ მიეკარება ფეფელოს, ვეღარ ჩაეხუტება განიერ შერდში, ვეღარ დასწვდება მთრთოლვარე ტურებით აღმურიან ტურებს და ავირვარებულ თვალებს ვეღარ ჩაუნათებს ფეფელოს ორს უძირო ზღვას,— შავს, ხავერდიანს და ათასის ელვით დასერილს. მიხას მაგივრად ხელს სიკო გახდის კაბას, სიკო გაატიტვლებს და...

— რას მეტყვი, ბიჭო?

მუსუსი დამწვარივით წამოხტა.

რას ეტყვის თეკლეს მიხა? ეხლავე გინდა პასუხი? ერთის წუთითაც არ შეიძლება დაყოვნება, განა! ჰო, ჰო, იცოხ მიხამ, ესმის მიხას. ესმის, რომ დავკიანება არ შეიძლება, თორემ... მაშ ესე: თეკლე! შენ წინ დაბრუნდი და პასუხს იქ მოუცადე. მაღლობელი, დაჰო თეკლე ერთგულ დობისთვის. მიხა ხელმოკლე ბიჭია, მაგრამ შენს სამსახურს მაინც არ დაივიწყებს. კარგი, კარგი. მაშ მაღლობაზე მერე ვილაპარაკოთ. აბა, თეკლე, გასწი წინისკენ. მიხაც იქით მიდის.

ოტა ხნის შემდეგ მუსუსმა თვისი ძმა-ბიჭები იპოვნა:

— ბიჭებო, თქვენი თავი დამჭირდა.

— გვიმსახურე, მუსუსი!

— ხელს ფეფელოს ათხოვებენ.

— მართლა, ბიჭო?

— რას ამბობ, კაკო?! აკი სიკომ შეუთვალა პეტრეს, სანამ ქალი ნებით არ წამომავება, მე მაგის წამყვანი არა ვარო?

— ვგრე შეუთვალა. მაგრამ პეტრემ დღეს თურმე მზითევი მოუმატა და დაითანხმა.

— მუსუსი, არ დასთმო!— დაიძახა ერთმა.

— არ დაანებო, ბიჭო, თორემ ღუნიაზე თავი მოგტყრება.— მხარი მისცა მეორემ.

— მოვიტაცოთ!— გამოსთქვა საერთო სურვილი ნესამემ.

— მეც მაგითონ მოვედი.— სთქვა მუსუსმა.— ძმა ძმითინაო, ამ დღით-ვიწაო.

ნახევარი საათი იწურა ზღვას, — ფიცხად და აღზნებით. მერე სიბნელეში გაიფანტნენ.

მიხამ თეკლეს დასაბარებელი დააბარა და თავის გზით გაიქცა.



მამლებმა მეორედ იყიველეს. სამგზავროდ დამზადებული მუსუსი პეტრეს საბზელოში დაბორილებს და ფეფელოს უტდის. ფეფელომ დრო უნდა იხელოს, სახლიდან გამოიპაროს და საბზელოს მოვიდეს. აქედან ხუთიოდე წუთში ზეშატის ჰალაში ჩაეღენ. სამი ძმა-ბიჭი მიხას და ფეფელოს იქ უტდიან ცხენებით და საგზალით. შესხდებიან და უმაღლე შეერევიან ბუჩქნარს. მერე ტყეში შეეღენ და ისე მიიმალეებიან, რომ მთელი სოფელიც ვერ იპოვნის.

ყოველივე მხად არის, ოღონდ ფეფელო გამოვიდეს. ფეფელოც მოვა, უეჭველად მოვა. აქანდისაც მოვიდოდა. მაგრამ იგვიანებს, საცაა ინათლებს. ალბად ფეფელოს მარტოს ეზოშიც არ უწეებენ. ალბად ესე იქნება, თორემ აქამდის...

იქნება ფეფელომ მართლა ვერ მოახერხოს ასიოდე ნაბიჯის მანძილზე გამოპარვა? იქნება მართლა ასე დატრიალდა მუსუსის საქმე? მერე, რა უნდა ჰქმნას მუსუსმა? როგორ მოიქცეს? რა გზას დაადგეს? თუ ეგრეა, მაშ ორივენი დაღუპულან. მაშ მორჩა და გათავდა მათი სიყვარულიც და სიცოცხლაც!

შიშისგან და მოუთმენლობისგან ანთებული მუსუსი ხშირ-ხშირად გამოდის კალოზე და ღობეს გასცქერის. აკერ, იქიდან უნდა გამოჩნდეს ფეფელო. მაგრამ მთვარიან ღამეში ფეფელოს მაგივრად მუსუსმა ორი მამაკაცის აჩრდილი დაინახა. იმ აჩრდილებმა საბზელოს აუარეს და სიკოს ბაღის თავში მიიმალნენ. ალბად იქვე სადმე არიან ეხლაც. ამ ალაგს ფშატის ხევისკენ მიმავალი მუსუსი ვერ ასკდება. ორივენი სიკოს ბიძაშვილები არიან. პეტრემ და სიკომ ალბად ალღო აიღეს და აქა-იქ ერთი ღამით დარაჯები დააყენეს.

მამლებმა მესამედ იყიველეს. ცოტა ხანიც გავიდა.

ესა მტრედის ფერმა დაჰკრა. სოფელი ჯერ შეიშმუშნა, მერე ნელნელა აფუსფუსდა. ბედურა-ჩიტებმა ყიელი ასტებეს. ბატებმა ყიყინით რუსკენ გასწიეს. საღდაც ურმის კრიალი გაისმა. აქეთ-იქიდან ნახირის ბლავილი ასტყდა.

ყოველივე გათავდა! დაიღუპა მუსუსი! დროა თვითონაც გავიდეს საბზელიდან, თორემ...

უცებ ღობის ძირში თეთრი კაბა აფრიალდა. მორბის თავჩალუნული, ფეფელო. მორბის განალბებული და თბავაშლილი. მისი მარდი ფეხები დილის სინათლეზე სწრაფად ელავენ.

მუსუსს სიხარულის ერთანტელმა ჩაურბინა. უმაღლე საბზელიდან გამოვარდა და ფეფელოს გზა უყელა.

ჩქარა, ფეფელო, ჩქარა! მოუმატე სირბილს, მოუმატე! მოუმატე, თორემ საცაა მდევარი გაჩნდება. არ სძინავთ შავს ყორნებს და აეს ალქაჯებს. ეგრე-გნაცვალოს მუსუსი შეელის ფეხებში, ეგრე!

მორბის გაწეწილი და თავჩალუნული ფეფელო, მორბის და თეთრ კაბას მოაფრიალებს. მორბის და...

უნიდან შავი ყვავის ჩხავილი მოსდევს:

— მიშველეთ, ჰააა!.. გაიქცა! გაიქცა!.. სადა ხარ, პეტრეეე!.. მიშველეთ, ჰა-ა-ა, მიშველეთ-ეთ!



ეროვნული  
გენერაციონალი

მუსუსი ფეფელოს გზაზე დაუხედა.  
 აბა, ფეშატის ხევისკენ! მოუმატე ნაბიჯს, ფეფელო, მოუმატე! მიჰყე მიხა, მიჰყე! არ ჩამორჩე, არ წაიქცე, თორემ... საცაა ორლობეც გათავდებია... ხვეიც აქვია... ცხენები... ქალა... ტყე... აბა, ფეფელო, მიჰყევი მუსუსს, მიჰყე! ეგრე. გენაცვალოს მისი თავი, ეგრე!

აი, ორლობეც თავდებან. მაგრამ...—ღმერთო დიდებულო!—ეს რა ამბავია?! სოლო და სანდრო, სიკოს ბიძაშვილები ორლობის ბოლოში აიტუხნენ. გზა გადასტურეს და თოფები მოიშარჯვეს.

— უი მე, დამიდგა თვალეში!

— ნუ შეშინდი, ფეფელო! დაებრუნდეთ! აბა, გამოიქვცი!

პირი იბრუნეს და უკანვე გაიქცნენ. ქვეით ისევ სოფიოს ჩხავილი ისმის, იწეწება და იგლიჯება. გზა ჯერ თავისუფალია. თუ დიდ გზაზე გავიდნენ, შეიძლება იქიდანაც ჩაუხვიონ ფეშატის ხეში. აბა, აჩქარდით! გასწიეთ!

კალოზე რომ ჩაირბინეს, გზის თავშიც ორი ლანდი გამოჩნდა: სიკო და პეტრე ყვირილით და მუქარით მორბოდნენ:

— იიი, თქვე წუწუკებო, თქვენა!

— დედას გიტირებ, მუსუსო, დედასა!

ფეფელომ დაიკვნესა:

— ვაი მე, დედა!

შესდგა და პირსახეზე ხელეში აითარა. მუსუსმა მიაჯაში ხელი დასტაცა და აითრია:

— აქეთ წამოდი, აქეთ! ჩქარა, ჩქარა!

ერთი წუთის შემდეგ მოწყვეტილი ფეფელო საბზელში შეაგდო, თვითონაც მიჰყვა, სქელი კარები მიაჯახუნა და ურდული გაუყარა.

იმავე წამს კარებს გარედან ოთხი კაცი დაეტაკა.

ერთმანერთს აღარ აცლიდნენ:

— იიი, შე ცინგლიანო, შენა! ებლა სადლა წამიხვალ?

— ბიჭო, მუსუსი, გაალე კარები! სულ ერთია, ხელში მყევხარ.

— მუსუსი, დაგენებდი, ბიჭო!

სოფიო, ტასო, მართა და ხუთიოდე მეზობელიც მოცვიდნენ და საბზელში ტუტუტანებიდან იცქირებოდნენ.

ფეფელო ბზეზე ჩამოვდა და შერცხვენილი პირისახე კალთაში ჩაიმალა. მუსუსი დიდს კუნძს დაექიდა, კარებთან მიაგორა, შეუყუდა და გააბაგრა.

გარეთ გვილ-ხივილი და ყაყანი მატულობდა. სოფელელები მორბოდნენ და საბზელს ფუტკაროვით ედებოდნენ.

— იიი, შე წუნკალო, შენა!—ჩიფჩიფებდა პეტრე.—ე კარებს რომ ამბარებ, ვითომ რა მიხნდაო?

— ალბად საბზელში უნდა დასახლდეს.

— ოლოდაც, ოლონდაც უნდა დაესახლდე!— მიაძახა შეგნიდან მუსუსმა. მერე ერთი გრძელი და სქელი ჭიგო მოიშარჯვა და გარეთ გასძახა:

— აბა, შემოვიდეს. ვისაც მკლავი აქეს



მტერთა ბრახი და შექომაგება სიხარული ერთად შემოვიღე მისი მხარეში.  
— ერთი დახე ამასა!.. ერთი დახე ამ წუწქსა ამას! კიდევაც რომ იშუქ-  
რება! — დაიძახეს ზოგიერთებმა.

— ეგრე, შენი ქირი მე, ეგრე! — მიიძახეს მეორეებმა.

მიხას გული მიეცა. გამხნეველა და გაიჭიმა:

— აბა, რომელია მანდ ვაჟკაცი? ვისაც თავი მოსძულებია, ჯერ ის შე-  
მოვიდეს.

ქარებთან აღშვითების ყიფინამ იფეთქა.

— ჯერ ნეფე შემოვიდეს, ნეფე! — გასძახა მუსუსმა. — ბიჭო, სიკო! უკან ნუ  
დგები, შემოდი, თუ ბიჭი ხარ! შემოდი და შენი დედოფალი წაიყვანე. ისე  
გაგაგორო, როგორც წიწილა, შე ფუტუროვ, შენა!

— უუჰ, შენი ქირი მე, შენი! — მოესმა მეორე მხრიდან მუსუსს მეგობარ-  
თა ზვილი. — ეგრე, გენაცვალე, ეგრე!..

მერე ერთმანერთში აირია მტერთა და მოსარჩლეთა მუქარა, განხნევება,  
ყაყანი და წივილი.

ერთნი გაიძახოდნენ:

— შეამტერიეთ ქარები!..

— დაიჭირეთ ეს ყაჩაღი, ესა!..

— დროა ლაგამი ამოვდოთ ამ მუსუსს, ამას!..

— სოფელი აიკლო...

— ქალები გარეთ ვეღარ გამოსულან...

— გზას აღარავის აძლევს, ეს წუწქი; ესა...

მეორენი პირველებს კრიკაში უდგნენ:

— თავი დაანებეთ!..

— რა გინდათ მაგ საწყლებისგან? ერთმანეთი მოსწონთ, რას გადაეკი-  
დეთ მაგ უბედურებს?..

— დროება გამოიცივალა: ვისაც ვინ მოსწონს, იმას გაჰყვება.

— შევარცხენე სიკოს ვაჟკაცობა, აჰა!

— ხო ზედავს, რომ ქალს არ მოსწონს. მზითვევის გულისთვის თავს რად  
ირცხვენს?

— ისედაც თავსაყრელი აქვს.

— მეტის მეტად გაიბერა, ევ ობობა, ევა!

— მსუნავი!.. ხარბი!.. გაუმადლარი!.. დროა ცოტა ქონი ჩამოვითალოთ!

— მაგის ქონებას რომ პეტრეს ქონება მიემატოს, ყველას შეგვკამს.

— რა ბევრს აღაპარაკებთ! მიდი!.. დაჰკა!..

ყიფინას და ყაყანს მოუმატეს და ერთმანერთზე მიიწიეს. ჰაერში კომბლე-  
ბი და სახრებები აღიპართა.

სოფლის ხელისუფალნი ჩაეროვნენ. მოჩხუბრებს შეუტიეს და ვააშველეს.  
მერე იწურჩულეს და გადასწყვიტეს:

— სანამ ქალი გათხოვილი არ არის, დედ-მამის მორჩილი უნდა იყვეს.  
ძალადობა და მოტაცება არ შეიძლება. ამიტომ ფეფელო დედ-მამას უნდა  
ჩაეპაროთ.





კვლავ ყაყინში და ღრიამულში იფეთქა. ხალხის უმრავლესმა ხელს შექცევას მიემხრო. მიხას მომზრენი, ათიოდე ახალგაზრდა, დაიხრჩუნ და შექცნული მიუყრდნენ.

სოფლის თავი კარებს მიადგა, ახალგაზრდები ჭეჭრუტანებს ეცნენ.

— ბიჭო, მუსუსი, კარები გააღე!— დაუძახა სოფლის თავმა.

— არ გაეაღებ!— მტკიცედ უპასუხა მუსუსმა.

ძმ-ბიჭებმა აჭეთ-იჭიდან პასუხი მისცეს:

— უჰ, შენი ჭირი მე, შენი...

— არ გაულო, არ გაულო!

— ეგრე, გენაცვა, ეგრე!

სოფლის თავმა ერთხელ კიდევ უბრძანა:

— ან კარი გააღე, ან ქალი გამოგშვი.

— არც კარს გავიღებთ და არც ქალს დავაგინებთ.— ისევე გადაპრით უპასუხა მუსუსმა.

მეგობრებმა ისევე შესძახეს:

— ეგრე, მუსუსი, ეგრე!

— არ დანებდე, ბიჭო, არ დანებდე!

— მაშთუ ეგრეა, — გააფრთხილა სოფლის თავმა, — კარებსაც დეამტკრევთ და შენც დაგიჭერთ.

— ფეხებსაც ვერ მომჭამთ!— გამოსძახა მიხამ და კეტი მოიმარჯვა. — ჯერ სიკო მოუშვით, სიკო! სიკო, სადა ხარ, შე ხაშმო, შენა!

— აქა ვარ, შე ყაჩაღო, შენა! — ხმა მისცა ვადიდგულელებულმა სიკომ.

— შენ შემოდი, შე ქალაჩუნაგ, შენა!

— გამიშვით, მაგისი დედა და მამა!

სიკო გათამამდა და კარებს დაეჯახა.

კეტ-მომარჯვებული მუსუსი ძეგლივით იდგა და მომწვანო თავლებს აბრაილებდა.

სიკოს სხეებიც მოეშველნენ და კარებს ერთად დაეძგერნენ.

კვლავ ერთიამული და აყალმაყალი ასტყდა

მუსუსის დედა მართა საბზელს გარსშემო ურბენდა და წუწუნებდა:

— ბიჭებო, უშველეთ!.. უშველეთ, თქვენი ჭირი მე, თქვენი!.. ქალებო, თქვენც ხმა ამოიღეთ, გენაცვალებო, თორემ აქ სისხლი დიიღვრება.

პეტრეს და სოლიო ძართას კულში დასდევდა და კაქკაპივით ჩხავოდა:

— ქაა, ეს სადაურია, რა ექნა? ძალაზეა? ქალს არ ვაძლეეთ, მორჩა და გათავდა! ე ბიჭ-ბუჭები გააჩუმეთ, თორემ ყველას ციხეში დავაღობთ.

საბზელის კარები მხრებით ვერ დასძრეს. პეტრემ ურმის ღერძი მოიტანა და გესლით აჩიფჩიფდა:

— იიი, შე გველის წიწილაგ, შენა! ეხლა რაღას იტყვი?.. მომეცალეთ. გზა მომეცით.

სიკომ და სოლომ ის ღერძი გააქანეს და კარებს დაიჯახეს. კარებმა დაიკვნესა. ირგვლივ უნებური სიჩუმე ჩამოვარდა.



მუსუსმა თავი ჩაჰქინდრა და კეტი დაუშვა. ფეფელო გულსაშლილი იჯდა. მუსუსის მოდუნება მეგობრებსაც გადაედოთ. აქეთ-იქიდან გულსაშლილი ხმები მოისმა:

- საწყალი მუსუსი...
- ეჰ, ზედი არა ჰქონია...
- ან რას უნდა გახდეს ერთი ბიჭი?

კარებს ერთხელ კიდევ დაატაკეს ლერძი და ერთი ვიწრო ფიციარტ შეანკრიეს. აქეთ-იქიდან კვლავ დაუმახეს:

- ბიჭო, მიხა! ვააღე კარები, სანამ არ შემოვამტვრიეთ.
- ბიჭო, მუსუსი! ნუ ახირდი, ბიჭო!

მუსუსი მოტყდა. ან რას გაიტანს იმოდენა ხალხში? ორიოდეს თავს გაუჩეხავს, სიკოს უეჭველად გააგორებს. მაგრამ მერე? შეჰკრავენ და დაამწყვდევენ. ეხლა კი ყოველივე გათავდა. იმედის ყუნწივ ალარ მოსჩანს. სადაც არის, გაჰყრიან სამუდამოდ ფეფელოს. პეტრე ჯერ სცემს ფეფელოს და მერე იმ აეყია სიკოს ხურჯინივით ჩააბარებს.

— დაიცა, გეყოფა! — შეუტია სიკოს სოფლის თავმა. — თვითონვე გააღებს კარებს.

და ისევ მუსუსს მიუბრუნდა:

— ბიჭო, მიხა! გეყოფა ხუმრობა. ვააღე კარები, თორემ ერთს მოვაწვევებით და მეტიც არ უნდა.

მუსუსმა თვალელები მოიფშენიდა და გაიღიმა. მხრებში გასწორდა, გაიღიმა და თვალეები ისე ააბრიალა, თითქოს ახალი რამე მოიგონა და გასაქცევი გზა იპოინაო.

უცებ მიტრიალდა, ფეფელოს დაუჩოქა და ცხარედ ატურჩულდა:

— ... სხვა გზა არა გვაქვს... ჰო, ჰო, აქვე... ეხლავე...

უცებ ბზეზე გულალმა გადააგორა და შეებრძოლა.

გარეთ კივილის შადრევანმა ამოხეთქა. ვინც განზე იდგნენ, ისინიც საბძლის წწილებს ეცნენ და ზედ მიაკვდნენ.

დედაკაცები აკრახდნენ. ქორისგან დამფთხალ ქათმებივით დარბოდნენ, თავპირსა და მუხლებში ხელებს იცემდნენ და კაკანებდნენ:

- უი შე, დამიდგა თვალეები! ეს რა ამბავია, ქაა!
- ეაი, სირცხვილო! ქააა, ამაზე მეტი შერცხვენა იქნება სოფლისააა?
- გააფუტა! გააფუტა! — ბუტბუტებდა გულწასული მართა.

— უშველეთ, კაცებო, უშველეთ! — გაჰკიოდა ფეფელოს მამიდა სოფიო და ხელებს ასავსავებდა. — უშველეთ, თქვე უღმერთოებო თქვენა, თორემ დაიგვიანებთ. უი შე, დამიდგა თვალეები! უი შე, მომიკვდა თავი!

გიჟური ხარხარი, სირცხვილის წყნუტუნნი, აღშფოთების ღმუილი, მოშველების ძახილი და გამხნეების ყიჟინა გაერთიანებულ ღრიალად გადიქა და მთელს სოფელს მოედო.

ახალგაზრდების ტრიამულმა დედაკაცთა წვილი და მამაკაცთა ღმუილი შთანთქა:



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

— გაიმარჯვა! გაიმარჯვაა!

— გათავდა! გათავდა!

სოფლის-თავს საბუნელის წნელებში ჩაეყო თავპირი და იძახდა:

— დაჰკარით!.. გასტეხეთ, თორემ დაიგვიანებთ. ჩქარა, თორემ დაიგვიანებთ!

სიკომ და სოლომ ათიოდეჯერ დააჯახეს ღერძი. კარებს ქაქა-ჭუჭი გაჰქონდა, მაგრამ მუხის ფიცარი არ სტყდებოდა.

სოფლის-თავმა წნელებიდან ცხვირ-პირი ამოიღო, მოტრიალდა, ხელი ჩაიქნია, ღრმად ამოიხრა და უიმედოთ გადმოაგდო:

— გათავდა... დაიგვიანეთ.

სიკოს და სოლოს ღერძი ხელიდან გაუვარდათ. თვედორემ სიკოს პირში მიახალი:

— ეხლაც წაიყვან ფეფელოსა?

სიკომ ნათესაეებს გადააშენდა. ყველანი თავჩალუნულნი იდგნენ, თითოეო ყველანი ქურდობაში დაიჭირესო. სიკომაც თავი ჩაჰქინდრა. მერე მოტრიალდა და ლასლასით წავიდა. ნათესაეებიც კუდამოძეებულ მგლებივით გაჰყვნენ.

პეტრე სიძეს ჩანჩალით გამოუდგა. დიდხანს აცმაკუნა პირი. მერე ხრინ-წიან მამალივით ამოიხრიალა:

— კაცო, სად მიხვალ?

სიკო მოტრიალდა.

— მე გატეხილი ქოთნის მუშტარი არა ვარ.—გადმოუგდო მწარე ღიმილით და ისევ გატრიალდა.

პეტრე ჩასაძვრენ სოროს ეძებდა, მაგრამ სორო არსად იყო. ისევ საბუნელისკენ წამოვიდა, რადგან გზა იქით ჰქონდა. გათითრებული მოხუცი ცახცახით მოათრევდა სხვის ფეხებს, შორათოღვარე ძელის თითს აკანკალებდა და ზაფრანის ფერ ტურებს შოშინას ბლარტივით აცმაკუნებდა:

— დაიცადე... დამაცადე...— ისეთის ნელის ჩურჩულით იმტკრებოდა, რომ თვისი ხმა თვითონაც ძლიერ ესმოდა.

მუსუსი კალოზე იდგა. გარსშემო ნახევარი სოფელი ფურტკარით ეხვეოდა. მართამ, თეკლემ და ორმა ახალგაზრდა ბიჭმა ფეფელო ძალით გამოიყვანეს საბუნელიდან. პირსახეზე ხელსახოცი ჰქონდა აფარებული. სტირდა და ხელებს იქნევდა.

— აბა, ბიჭებო!—დაიძახა თანდილამ.—ნამდვილი ნეფე-დედოფალი წაიყვანოთ.

და მაყრული შემოსძახა.

ასიოდე ხმა უმაღლე მიეშველა.

შუაში მფეფე-დედოფალი ჩაიყენეს და მაყრულის სიმღერით მუსუსის საბლისკენ გასწიეს.

„მოედვიართ, მოგვიხარიაან, მოგვეყავს წითელი ბოხობიი...“

მათი ახალგაზრდული გუგუნი სოფელს აზანხარებდა.

სიხარული, სიცილი და ლალი ოხუნჯობა კარით კარამდის ისმოდა.

ახლად ამოსული მზეც იცინოდა და მაყრიონს თვალბში ჩასცქეროდა.

## უიზველი წელი.

(„ГОЛЫЙ ГОД“).

რ. მ. მ. ბ. ი.

(გაპარბელება). \*

II.

### ორდინინების სახლი.

ქვით ნაშენი ქალაქი. და არავინ იცის ვის ვისით: თავად ორდინინებს ეწოდათ გვარად ქალაქის სახელი, თუ ქალაქ ორდინინს ეწოდა თავადთა გვარი.—თავადი ორდინინები პაპკოვებს დაემოყვრენ.

სარკესთან საათი—ბრინჯაოს მწყემსები: ქალ-ვაჟი (როგორღაც გადარჩენ)—აქ, დარბაზში რეკავს ნახევარს შუშის წკრიალივით დანჯღრეული ხმით, როგორც რომანტიული მეთვრამეტე საუკუნე, მის დედის, არინა დავიდოვნას, საწოლი ოთახიდან საათისავე გუგული უხმაურება, —გუგული იძახის თხუთმეტჯერ და გუგული იგი ჰყივის, —როგორც ახია, ზაკამიე, სათათრეთი. მესამე საათი რეკავს ტაძარში: დონ-დონ-დონ!..—მერე უზარმაზარ სახლში ისევ მუღდროება დგება, სადაც ზამთრის სინოტივის შემდეგ გამზმარი იატაკი გატკაცუნდა. სახლთან შემოსავალში ანთია თარანი, ნახევრად ჩამონგრეულ ქერს ანათებს და სინათლე ტყდება მინის კანკელში (ისიც გადარჩა). მოწითალო ფერით თანაბრად ენთება ფანჯარასთან გლების პაპიროსი. და ფერად მინებით აქრულებული ფანჯრები მკერივად და სამუდამოდ არიან ჩაქენილნი ჩარჩოებში. ამ ორი წლის განმავლობაში, რაც გლები აქ არ იყო, სახლი დაქანდა უბსკრულისაყენ, —დიდი სახლი, რომელიც შენდებოდა საუკუნეთა განმავლობაში, ჩამოინგრა, გაიკრიცა, დაიშალა. თუმცა კაენის დალი უკვე კარგა ხანია, რაც დამწეული ჰქონდა.

\*) „მნათობი“ № 3 (11).



თანაბრად ენთება პაპიროსი სარკმელში. გლებმა ყური მარჯვნივ შეკლის-  
ძველ სახლს. ამ სახლში გაატარა მან თავისი სიყრმე, რომლის მოგონებაც ისე  
ბრწყინვალე და ნათელი იყო და ახლა ჩაჰქრა რევოლიუციის უკუნეთში.  
გულში ტკივილია:—ალარ ოცნებობს მხატვრობაზე, შორეულ ნათელ ასულზე  
და არც ლოცულობს. კედლებზე, დარბაზში, ჰკიდია უჩარჩოო ძველებური პორ-  
ტრეტები. იქვე დგას უზარმაზარ ბულდოგით აღრენილი ყვითელი როჯალი  
და შირშები; შირშებს იქით გლების ვიწრო ლოჯინია. დარბაზში სინოტივია,  
უკაცრიელობა და საღებავებისა და წებოს სუნი,—მხატვარის სუნი. ამღვრეუ-  
ლად იტკირებიან გამობუნებული, წახდენილი სარკვეები. მთავარე სარკმელში  
მწუხარეთ შემოანათა საალიონო მიბნედილი სხივები, ღამეა,—სიფიზლეა სა-  
პირო!

ისევ რეკავს საათი,—მეთრამეტე საუკუნე, და მას აზიის გუგული ეხმა-  
რება, და მაშინვე, ამ საათების წყრილისა და ტაძრის საათის დარეკვის შემ-  
დეგ, ქვემოდ საბოში შემოსასვლელ კართან ფრთხილად აწკარუნდა ხარი. მე-  
რე ისევ სიჩქნე, ღამეა,—სახლს სძინავს, გლებმა აანთო სანთლის ნაშწვი, —აპარ-  
პალდა წითელი ალი და უკან მიასკდენ ღამის ფერმკრთალი ლურჯი ღანდებ-  
ბი,—განათდა გლების სახე, აბურდული თმები, ოდნავ მოღუნული თხელი ცხვი-  
რი, მაღალი შუბლი,—და მისი სახე ხატიდან გადმოსულ წმინდანის სახეს მო-  
ავადდა.

დედის საწოლ ოთახიდან, ოდნავ შეღებულ კარებში, ისმის დედის, პაპკო-  
ვის ასულისა და ელენე ერმილოვნას ხვიჩნა, და შემოდის იქიდან უსუფთაო  
სხეულის მძიმე სუნი. მამის ოთახში,—ქუქურტუანიდან ხედავს გლები,—სახა-  
ტესთან ბეეტავს ხატის კანდელი, წმინდა სანთლები და გლები შესცქერის სა-  
ხატეს წინ დანხოზილ მამას,—მზურვალედ ლოცულობს, მოსჩანს ხალათში მისი  
განზნარი ზურგი და მზრებზე დაყრილი თითქმის მთლად გათეთრებული თმე-  
ბი. გამოჩნდა მამის სახე: მის თვალებში, მოღუნულ ცხვირში, ოდნავ ღიად  
დარჩენილ ბაგებში, აწეწილ ქალარა თმებში,—არის რაღაც ექსტატიური—ან  
და, იქნებ, შეშლილობაც. მთელი ცხოვრება თავაღებულ ნავარდში გაატარა:  
მამამ, თავადმა ორდინინმა, ახალგაზღობაშივე ფეხზე დააყენა, წელში გამართა  
პაპკოვების ფულით, თავისივე სურვილს გარეშე, წაქცეული სახლ-კარი და ხე-  
ლიდან წასული მამა-პაპეული აელა-დიდება,—და რევოლიუციის პირველ გაზაფ-  
ხულზე, როდესაც მოდიდებული მდინარენი ვერ ეტკოდენ კალაპოტებში, გად-  
მოდიოდენ და წალეკვითა და განადგურებით ემუქრებოდენ ყოველივეს.—  
უეკრად შესცვალა თავისი ცხოვრება: ღოთი თვალი შედგა მარტვილად და  
დღედაღამე ვანუწყვეტილ ლოცულობდა.

სახლის შემოსასვლელთან ჩადის განიერი კიბე. იქ ცივა და დგას ზამთრის,  
სინოტივისა და დამპალი ქურჭების სუნი. გვერდით მარჯვნივ და მარცხნივ,  
გადის კარები საუკუნაოებში,—მძიმე რკინის კარები შვიდი უზარმაზარი კლი-  
ტულებით: აქ ინახებოდა პაპკოვების ის აელა-დიდება, რომელსაც აგროვებდენ  
(იქნებ, ნაძარცვიც იყო?) სიუკუნეთა განმაელობაში და ახლა ეს ტონება განია-  
ვებულა და გატანილი—ბაზარში და უტილიზაციისა და კომუნალურ მეურნეო-



ბის განყოფილებებში.—მკრთალად ანათებს სახეთელი. გლუბეკ ალფინს სახეიანო შემოსასვლელის პირველ კარს და იქიდან გკითხება მეორე კარში:

— ვინ არის?

პასუხი არ არის. ჩამოვარდა სამარისებური დუმილი, და ისმის როგორ ჰგალობს ბალში იადონი.

— მანდ ვინ არის?—თქვენა ხართ, გლუბ ევგრაფოვიჩ?—გკითხება კარებს უკან ქალის ხმა.

— მე ვარ, თქვენ ვინ ბრძანდებით?

— ეს ჩვენ ვართ: მე, მარფუშა,—და ეგორ ევგრაფოვიჩი.

— ეგორუშკა?!..

გლუბი საჩქაროდ აღებს კარებს, რომ შეხედოს თავის უფროს ლეიძლ ძმას, იაგორს.

...და კარებს უკან დადის დამთვრალი იენისის ღამე.

იაგორი მთვრალია. ხმას არ იღებს. სისხლით გაბერილი თვალები უაზროდ იცქირებიან, მაგრამ მის თვალებში შინაც გამოსჭევივის ის განუყრელი სიბრძნე და ახლა, ამას გარდა, დარცხვენაც. ტანთ მხოლოდ დაწეწილი პერანგი აცვია და ფეხშიწველია, იაგორის უკან დგას მარფუშა,—შორეული შთამომავალი შორეულ საბატონო ყმებისა. იაგორს საზიზღარი სუნი ასდის—დენატურატისა და ოფლის. იგი ეკვიანად და მორცხვად უპასუხებს ძმის მხურვალე კოცნას.

— ეგორუშკა, გენაცვალე!..—ამბობს გლუბი და ძმას გულში იკრავს. იაგორი ჩუმადაა.

— რატომ ხარ ჩუმი? არ გიხარია?

— მრცხვენია, ძამია!..—ლაპარაკი უჭირს,—მრცხვენია, რომ მე და შენ ასე შეეხვდით ერთი მეორეს! ნუ მკოცნი, ძამია, ნუ, არაა სასიამოვნო ჩემი კოცნა! ნუ მკოცნი!.. არ მეწყინება!.. არც ვაგამტყუნებ!..

მაგრამ გლუბი ხმას არ იღებს, კიდევ უფრო მაგრა იკრავს მკერდში ძმის გამხდარ მკერდს და ჰკოცნის ტუჩებში, შუბლში.

— რომ იკოდე, როგორ გამეხარდა შენი ნახვა, იაგორ!..

— ძამია!.. მე მოვბარე პალტო ნატალიას და არაყში ვავყიდე. მე მოვიპარე!.. არ მინდოდა სახლში დაბრუნება, მაგრამ მარფუშამ მომავნო, ოო, როგორ მრცხვენია!.. დედას სძინავს?.. ბორისს?.. მძულს ბორისი, მეზიზღება!.. მარფუშამ მომნახა... იქ, შეძავებთან ვიყავე...

გლუბი, რომელმაც ჯერ ქალი არ იცის, დარცხვენით აწყვეტინებს იაგორს:

— რას ამბობ იაგორ?.. ასე, როგორ იქნება!..—ამბობს ის ისე, როგორც ამბობენ ხოლმე კდემამოსილი ვაჟები და ძმის მაგიერ ბოდით უცქერის მარფუშას. მარფუშას, ნამუს ახდილ ქალიწვილს, ესმის მისი: მეტად გაწამებულად გამოიციქირება მისი თვალები, დაქანცულად და ამიტომ ძლიერ კარგად ამბობს:

— ახ, ბატონო, გლუბ ევგრაფოვიჩ!.. ნატალია ევგრაფოვნას ეაკეტია წა-



ღებული... რა ექნათ, აჲ მე ჩემსას მიუცემდი, მაგრამ არ ვიცნო (ან ვაპყრობის) დო... თქვენ რომ მოელაპარაკებოდეთ ნატალია ევგრაფოვნას, ქალბატონ ძრინა დაეიდოვნას რომ არ უთხრას... იორემ ქალბატონი არინა დაეიდოვნა—ცოცხლად გაგლეჯს...

გლებმა საჩქაროდ უპასუხა.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, მოელაპარაკები! რა თქმა უნდა!..

— გლებ, დედას სძინავს?

— კი, სძინავს!

— დედის მეშინია!..

იაგორი მხარზე დაეყრდნო. გამზდარი ტანი შეციებულევით კანკალებს, სანთელი ანთია.

— გლებ, მე იქ ვიყავი... იქ გარყენილება... გაბრწყინლება... შენ მე ახლა შეემაჩერე. შენ გგონია, არ მესმის? შენ—უბიწო აღამიანი. მაგრამ მეც ვიცი რა არის უბიწოება,—ამბობს იაგორი და მერე წყნარად უმატებს:—ეხ, რა კარგია ახლა როაალის დაკვრა...

მამის ოთახთან იაგორი წუთით შეჩერდა, შეიხედა მის ოთახში და ჩურჩულით ამბობს, პატეების თხოვნით, თუ სიცილით, ძნელია გარჩევა:

— ვერ მოვითმინე, საშიზლორეობა ვერ დავთმე! მე და ის ერთად ვლოთობდით. ნაშინ მე მხოლოდ ესეამდი, მაგრამ უბიწო ვიყავ. გესმის?

დედის ოთახთან გაელისას მოიკუნდა და ფრთხილად ჩაიარა. დარბაზში გლებმა იაგორს თავისი ტანისამოსი მისცა. სანთელი ანათებს მოლბერტზე დადგმულ ღვთიშობლის სურათს, გლების ხატვით სახეს და იაგორის შიშველ ტანს,—გლებმა (შეგნებულად?)—დაუშალა იაგორს ღვთიშობელი. იაგორი კარს მიეყრდნო, თავი უძღურად ჩაჰკიდა, ჩუმადაა, თითქოს რაღაცას იგონებს, მერე წყნარად ამბობს.

— გმადლობ, ძამიავ!.. შენ ხარ ჩემი ძმა!.. ბორისი,—ის არაა ჩემი ძმა!.. იცი, ბორისმა აჰხადა ნამუსი მარფუშას... ჩუმადა იყავ და იცოდე... ჩვენ ერთად ესეამდით. მერე მე ჩამკეტა ოთახში და თვითონ მარფუშასთან ჩავიდა ძირს, შე ყველაფერი მესმოდა...

ისევ სიჩუმე. მერე ისევ ამბობს:

— ოჰ, რა კარგია ახლა როაალზე დაკვრა... მაგრამ—სძინავთ!.. იძინე ძმაო, ძილი ნებისა! მე კი არ შემიძლია!

ისევ სიჩუმე. ისევ ბეტრავს გლების პაპიროსი. გარეთ მოდის იენისი და სახლში ჩაწეა ზამთარი.

სადეხებურებ ნაკლულ და ჩამონგრეულ კიბით იაგორი წყნარად ჩადის ძირს, ნახეარ სარდაფში—სარდაფში, სადაც ვერცხლად და მძიმედ არიან ვაშლილი ნოტიო კედლები და შერთლად ილანდება რიკულებიანი სარკმელი, ავურის ფილაქანთან ვიწრო დერეფანში დვას ცარიელი ზანდუკები და ცარიელ ზან-







თებს. გლებთან შეშობის ბორისი, მორკმული ვაჟაკი, ბატონი...  
ლი, განებივრებული, ზანტი სიარულით, როგორც ეს უძილობით შეწუხებულ  
ლამით მოხეტიალე ადამიანს სჩვევია.

— გძინავს გლებ?... ასანთო...

— ინებეთ!

ბორისი პაპიროსს უკიდებს. გაკრულმა წუმწუმამ ვანათა მისი გაპარსული  
ფაფუკი, მსუქანი სახე და ნეკზე აენთო ძვირფასი ბეჭედი. მერე გლების გვერ-  
დით ჩამოჯდა ლოგინზე და მძიმე სხეულ ქვეშ აპრიალდა ლოგინის ფიკარი,—  
ზის ჩვეულებრივად წელში გამართული, საფუძელიანად, როგორც ის ამას კატ-  
კოვისეულ ლიციში მიეჩნეოდა მოსკოვში.

— ვერაფრით ვერ მივეცი თავი მორფეის,—ამბობს დაღვრემილი ბორისი—  
გლები არ უპასუხებს, ზის წელში წაბრილი და, მუხლებზე ხელებს დაწ-  
ყობილს, თავი მისკენ დაუბრია.

ჩუმად არიან.

— ბორის! იაგორმა ახლა მე ერთი სისაძაგლე მიანბო. და-ეს სისაძაგლე  
შენ ჩავიდენია,—ამბობს გლები.

— მართასთან, არა?... ეგ არაფერია!..—უპასუხებს ბორის წუნარად და  
დაღლილი იღიმება.

— ეს სისაძაგლე.

ბორის ჩუმად არის, მერე თავისი ჩვეულებრივ დამცინავ ლინილს იცი-  
ლებს და ამბობს დაფიქრებით:

— რასაკვირველია! მაგრამ ეს არაფერია, მე უფრო მეტი სისაძაგლე ჩა-  
ვიდინე ჩემი თავის წინაშე! გესმის,—მე უწმინდესი სანუკუარი დავკარგე! ჩვენ  
ყველამ დავკარგეთ.

ბორისი და გლები ერთხანს ჩუმად არიან, მთვარემ განელო თავისი გზა,  
სხივები ლოგინა დააყარა, და ბორისის სახე ვანათდა მომწვენაროდ, მოლანდების  
ფრად, რომელიც ლამით ძაღლებს უსაზღვრო ნაღვლით აკმეფლებს ხოლმე.

ბორისი განუწყვეტლივ ეწევა პაპიროსს.

— სოქეი, ბორის.

— გაზაფხულზე, ერთბელ შემთხვევით ვიდექ ორლოვის სერზე და მდი-  
ნარე ვალოგას გაეცქეროდი, გაზაფხული იყო და მოდიდებული ვალოგა მოს-  
დებოდა მთელ არე-მარეს, ცა ლურჯი იყო, სიცოცხლე სდულდა ირგვლივ და  
თვით ჩემში. მახსოვს, მთელი ქვეყანა შინდოდა გულში ჩამეკრა! მაშინ მეგონა,  
რომ მე ვიყავ ცენტრი და ყველა რადიოსები ჩემგან გადიოდენ, რომ მე ყვე-  
ლაფერი ვიყავ. მერე მე ვნახე, მივხვდი რომ ცხოვრებაში არავითარი რადიო-  
სები არ არის, რომ, საზოგადოდ, რევოლუტია და ყველაფერი მხოლოდ ჰად-  
რაკის პაიკებია ცხოვრების კლანჭებში.

ბორისი წუთით გაჩუმდა, მერე ისევ დაიწყო შხამიანად:

— აი ამას ვერ ურიგდები, მე მძულს ყველაფერი და მეზიზღება ყველა,  
ვინც უნდა იყოს. არ შემიძლია! არ მინდა! შენც მძულხარ, გლებ, შენი უბი-  
წოებით... მარტუშა? არის, უეჭველად არის ნამდვილი სიყვარული. მარტუშას



და იავორს უყვარდათ ერთი მეორე?...—მიჭარვია!—რუსეთი, კახეთი, ქვემო ქართლი... ვაჭრები სახლებს ავლადიდებთ სტენიდან და აი შენ მოდი და უბიწო, კლემამოსილი დიბადე,—ეშვაცმა წაილოს ასეთი უბიწოება. შენ იქნებ იცი, რომ ჩვენ სეაეებს, მემძორეებს გვეძახებენ და იცი შენ თუ არა, რომ შპორი გაბრწილ ლეშს ჰქვია, ლეშს, ტყავი რომ გადაეყვლიფება ხოლმე! მაგრამ, ჰო, ჩვენ ხომ თავადები არა ვართ! თავადებისაგან დარჩენ ვაჭრის შვილები, ვაჭრუკანები!..

ბორისი გაჩემდა და მძიმედ სუნთქავდა. გლებიც ჩემად იყო, კარგა ხანს იყო ღუმლილი.

— ბუმერანგი. შენ იცი, რა არის ბუმერანგი?—ეკითხება განუსაზღვრელ ნაღვლით ბორისი.—ეს ისეთი იარაღია, რომელსაც პაპუსები შუბივით ისწორიან და იგი გატყორცნილი უკანვე ბრუნდება. ცხოვრებაშიც ყველაფერი ასეა მოწყობილი... ბუმერანგივით... გლებ, მე საკმაოდ ვგრძნობ ფიზიკურ ძალას ჩემში და ისეთ ძალასაც, რომელიც სხვის აინტლებს დამემორჩილოს... და ყველაფერი, რაც ჩაეიდინე, ყველაფერი უკანვე დანიბრუნდება! ოცდა ხუთი წლის ვიყავ, როცა პროკურორის ამხანაგად დამნიშნეს სასამართლოში... მე მიგზავნიდენ საიდუმლო ცირკულიარებს, რომ წესრიგი დამეცვა და ქვეყნისათვის პუგაჩოვშინა ამეშორებინა. და შენ ბრალსა სდებ ვინმეს?

— მე არავის ბრალდება არ შემიძლია! მე არ შემიძლია!..

— მე კი ვდებ! მე ბრალსა ვდებ ყველას! ყველა საძაგელია! ყველა!

თავადი ბორის გაჩემდა.

— ძამია... მე თუ არ შემიძლია?!

— მე არ ვიცი რომელია შენი გზა. მეც დაგეკარგა რწმენა. მე არ ვიცი...

— არც მე ვიცი.

— სახარება იკითხე.

— წავიკითხე! არ მიყვარს,—მოწყენით ამბობს ბორისი.

ბორისი წამოადგა ზანტად, მივიდა სარკმელთან, გასცქერის შორეულ აისს, ამბობს დაფიქრებული:

— ეს ღამეები იყო მილიონი წლების წინად, დღესაც ღამეა და მილიონი წლის შემდეგაც იქნება ღამე, შენ გლები გქვია, მე,—ბორისი. ბორისი და გლებ. ხალხის გადმოცენით ჩვენი სახელწოდების დღე მისის ორსაა, და მაშინ ტყეებში ჰჯალობენ ბულბულები მე ბევრი სისაძაგლე ჩამიდენია ზემს ცხოვრებაში; ქალებს ვაუბატიურებდი, ფულს ვტყუებდი, მამას ვცემდი. და შენ გამამტყუნებ, გლებ?

— მე არ შემიძლია! არ შემიძლია ვისიმე განსჯა!—უპასუხებს საჩქაროდ გლები.—ჩემი არს შურის გება, და მე მივაგოა... შენ ლაპარაკობდი ჩემს კდემამოსილებაზე. ყველაფერი ეს სიცრუეა, მტკნარი სიცრუე... სთქვა გლებმა, ბორის მიუახლოვდა და მის გვერდით გაჩერდა. გამთენიის ზანი და მთვარის უკანასკნელი სხივები ანათებს მათ.—ბორის, გახსოვდეს:—ჩემი არს შურის გება, და მე მივაგო.

— მახსოვს,—ბუმერანგი. არ მიყვარს შენი სახარება, ამბობს ბორისი და—



დგრემილი და სახე მოღუშული.— ბუმერანგი!.. ყველაზე საინტერესო დამარჩა. — ეს გამოვეალი სევდაა და სიკვდილი. ასე ვწყდებით მემორები, სვავები, აი სულ მალე კბილებიც ჩამცვივა, ყბები დამიღებება, ცხვირი ჩამენგრევა, ერთი წლის შემდეგ მშვენიერი თავადი, ქუდბედიანი იღბლიანი ბორისი, — აღარ იქნება!.. მაის'ში, — მაისში ბულბულები აჭაბუბდებიან ტყეებში. იცი, გლებ, — ყოველივე ეს მოსაწყენია და უნუგვშო! — ჩაპკინდრა თავი და მოღუშული უცქეროდა შუბლ ქვემოდან მთვარეს, მერე მოღუშულად და ზანტად ამბობს: — ძაღლები შეტყუებენ მთვარეს!.. იცი, გლებ, მე რომ სიფილისით ვარ ავად?

— რას ავბობ, ბორის?!.

— მხოლოდ არ ვიცი საიდან, — განთქმულ წინაპართა მსხვერპლი ვარ თუ... მამა არაფერს ნეუბნება.

— ბორის!..

ბორისი უეცრად გამოიცივლა. ჯიშინი ცხენივით ამაყად, როგორც ეს ლიკეიში ასწავლეს, კისერი მოიღერა და ოდნავი ღიმილით სთქვა:

— ეჰ.

— ბორა!..

— ყველაზე სასაცილო ის არის, როცა აღამიანი აეტიაციას დაიწყებს. კმარა, ჩემო კარგო ძამიავ, გვეყოფა, უკვე ძილის დროა!.. Adieu!..

და ბორისი ნელა მოშორდა გლებს. გლები გაცილებით პატარაა ბორისზე. — და ის, პატარა დგას ჩრდილში. ბორისი მტკიცე ნაბიჯით გადის თავაღებულ და დინჯი, მაგრამ გავიდა თუ არა დერეფანში, — თავი მოწყვეტით ჩაპკიდა, ნაბიჯს მოუკლო და ფეხებს ძლივს მიათრევს...

შევიდა თავის ოთახში, ბუხარს მიუახლოვდა მხარით, მისცივ ქაშანურ, გაკრიბებულ აგურებს მიეყრდნო, ჩვეულებისამებრ, რომელიც შარშანდელ ზამთრიდან შერჩა, ხელს უსვაშს ქაშანს და ებუტება — გულით, მუცლით, მუხლებით ცივ ლუმელს.

გარეთ ისევ ღამეა. და აღისფერ აისის შემდეგ დგება დილოცვილი იფნისის დილა. გლები ფიქრობს თავის თავზე, ძმებზე, ლეთიშობებზე, მთავარანგელოზ ვარაჩივლზე, რომლის სამოსელი მთლად ყვავილებით უნდა ყოფილიყო ამოქარგული, თეთრი შროშანებით... რვეოლუტია მოვიდა თეთრი ქარბუქით და დადგა გაზაფხული ქება-ქუბილით. და თუ თოთხნეტ წელს იფეთქა ომმა, —

(ჩვენში, რუსეთში იწვოდა, ირუჯებოდა წითელ ხანძრებად ტყეები და იალაღები, წითელ დისკოსავით ამოდიოდა და ეშვებოდა მზე ცისკიდურში).

— იქ, ევროპაში ბირეების, ტრესტების, კოლონიალურ პოლიტიკით და სხვ. მიერ გაჩენილმა, — თუ ასეთი ომის ცეცხლის გაჩენა შეეძლო ევროპას, მაშინ ნუ თუ ჯვარი არ უნდა დაესვას მთელ ევროპის კატელოკურ კულტურას?.. — ეს ევროპა აფრიალდა რუსეთში — იმპერატორ პეტრეს წყალობით (მაშინ აიქედა სამუდამოდ ძველი თეთრ ეკლესიების კარები): — ან იქნებ მაისის თქეშია



ჩვენი რევოლუცია? — განა მარტის მოდიდებული წყლები არ მარტის ნაკვეთი-  
მელმაც ორი საუკუნის განმავლობაში გადაკრული ტალი ჩამორჩეულსა და მჭიდრო  
ხომ არაერთი რღვევით არ არის, და არის მხოლოდ სახე — სამოსელი მთავარ-  
ანგელთს ვარაქიელისა თეთრი შროშანებით! — მხატვარი გლებ ორდინინი ჩა-  
მოვიდა აქ, სამშობლოში, არქეოლოგ ბაუდევთან ერთად, რომ არქეოლოგიური  
ვათხრა ეწარმოებინა.

ყველაზე ადრე მთელ სახლში დედას, კნენა არინა დავიდოვნა პაკოვის  
ასულს გაეღვიძა.

დილის ბინდები წვეებიან იატაკზე და ჭერში. სარკმელის რიკულებს იქით  
აღიონმა შემოქრა ზეცას. არინა დავიდოვნას ბნულ ოთახში ისევ ბნულა.  
ოთახში დგას აუარებელი შვაფები, შიფონაჟები, კამოდები და ორი ხის  
ლოგინი მძიშე რიდებით. კედლებზე, მკვალ ჩარჩოებში — ძლივს ირჩევან  
სიბნელეში — ჰქიდიო გამოხუნებული პორტრეტები და ფოტოგრაფიები. — სწორედ  
ხუთი წუთით ადრე, არინა დავიდოვნას გაღვიძებამდე, ფრთხილად დგება  
დაია ელენე ერმილოვნა პაკოვის ასული. პირჯერის წერით იცვამს ტანისამოსს,  
ივარცხნის შეთხელეებულ თმებს, — და შორიდებულად დასრიალობს ნაცრის ფერ  
დილით ოდნავ განათებულ ოთახებში. მთელ სახლს სძინავს, ელენე ერმილოვნა  
შემოსავლელ დერეფანში დახედავს ტანისამოსს და ფრთხილად შეაღებს კარებს, —  
და, როცა გუგული დაიძახებს, — იღვიძებს არინა დავიდოვნა, გოლიათურ თი-  
თებით პირჯერს გადიწერს და კნენას ლოგინიდან, მისი ფეხებისაგან მოდის  
ბინძურ და მსუქანი ტანის გულის შემომყრელი სუნი.

— წინდები ჩაიციოთ, დაია! — ეუბნება ელენე ერმილოვნა.

— გმადლობ, დაია! — უპასუხებს კნენა ბოხი ხმით, ომხიანად.

— კნენა პირს ძველებურად იბანს, — ტაშტზე. მერე ორივე მოხუცებული  
ლოცულობენ ხმამალა, კნენა ოხვრით, კნენისით სამჯერ დაეშვება მუხლებზე, —  
„გამთენია“, „მეუფეო, ზეცათაო“, „ამაო ჩვენო“, „მფარველი ანგელოზი“,  
„ღვთისმშობლო“, — ლოცულობს მოყვასისათვის, შორეულთათვის, ზღვაზე და  
ხმელეთზე მოგზაურთათვის. ელენე ერმილოვნა ჯერ ღრმად ჩაისუნთქავს და  
მერე წარმოსთქვამს ხოლმე ლოცვებს ხმამალა ბუტბუტით.

მარფუშა დარბის ოთახიდან ოთახში და ეძახის ყველას ერთ და იმევს,  
გაზიპირებულს:

— ნატალია ევგრაფოვნა, საავადმყოფოში გაგვიანდებათ, სამოვარი დულს,  
დედა-ბატონი ჯავრობს!..

— ანტონ ნიკოლაევიჩ, რიგში ჩადგამა დაგავიანდებათ, სამოვარი დულს,  
ბებია-ბატონი ჯავრობს!..

— ქსენია ლეონა! ბაზარში დაგავიანდებათ, სამოვარი დულს, ბებია-  
ბატონი ჯავრობს!

არინა დავიდოვნა მუხის უხარმხარ მავიდას უხის და პურს უღუფებათ



სკრის, არიგებს და თან ჩაის სევას. ელენე ერმილოვნა წყნარად უმბარბროდ მეთათე ფინჯანს ისხამს.

— ეგორ ევგრაფოვიჩი წუხელ შუალამით დაბრუნდა, მარტონკამ მოიყვანა, მერე გლებ ევგრაფოვიჩთან ბრძანდებოდა. მთელი ტანისამოსი არაყში გაუყიდა. გლებ ევგრაფოვიჩმა თავისი საკუთარი ტანსაცმელი უბოძა... კარი თვითონ გაუღო...—ელენე ერმილოვნა ამბობს ჩურჩულით:—ბორის ევგრაფოვიჩიც ბრძანდებოდა გლებ ევგრაფოვიჩთან, მერე იპასთან, კნიაშთან... ბატონი დილაამდის ლოცულობდა. ნატალია ევგრაფოვნა ღამის თორმეტ საათზე დაწვა, ბოლშევიკ არხიპკა არხიპოვთან იყო... ტონასაც ბოლშევიკების მხარე უჭირავს, ჭიჭა გასტეხა და მერე უშვერ სიტყვებით მაგინა...

— მაინც, როგორი სიტყვებით?—არინა დავიდოვნას ზემო ბაგე მძიმედ ადევს ჭკედა ტუჩს და ჭკედა კი ვადმოკიდებულ მსუქან ღაბაბს, მის ყვითელ თვალებში, რომელიც ოდესღაც თაფლის ფრად ანათებდა, ელავს სიმტკიცე და უტები ნება.

— მძორი დამიძახა, დაია...

— აჰა!..

— ლიდია ევგრაფოვნა თავისი ქალით და კატერინა ევგრაფოვნა „ვენეციიდან“ პირველის ნახევარზე დაბრუნდენ, ოლინკა კონცოვაც თან ახლდათ. ბალში რომანსებს, მღეროდენ.

— ოჰო!.. ღმერთო, შენ მიხსენ, შენი სახელის ჭირიმე!..

ბორკილებ აწყვეტილივით ახმარდა უზარმაზარ ფეხებით, გუგუნით, ზრიალით მთელ სახლში ანტონი.

— მარფუშა, ჩანთა სადაა?! რიგში უნდა ჩავდგი!..

სასადილო ოთახში ხმაურითა და ვაივავლაბით სევას ქერის ყავას, ქუჩი-ნავს, სტვენს, და მისი ფეხები მაგიდის ქვეშ რწყილისაგან შეწუხებული სეტტერის ლეკვივით მოძრაობენ მოუსვენრად, ელენე ერმილოვნა სამოეარს უხის.

— გამარჯობა, ტონა, დილა მშვიდობისა!—ესალმება იგი ანტონს.

— დილა მშვიდობისა, —უპასუხებს ბოხი ხმით შუბლშეკრული ანტონი.— მე ახლა ახალგაზღვრათა კავშირში მივდივარ ჩასაწერად! სხვა რა მოახსენეთ ბების?

— ი-ი-ი, არა გრცხეენია? არა გრცხეენია?..

— ვიცით? ვიცით! ცოტა ნაკლები პატივისცემა გქონდეს ბებისაგან, ჩვენ ვიცოდით, როგორ დავანაყავდით მაგ ცხვირ-პირს ყოველ დღე!

— ბრიყვო, რეგვენო!—მოკა დაიას მოვახსენო...

— აკი გუუბნებოდი, ჯაშუში ხარ მეთქი... დროა ჩეკაში იჯდე! იი ვეტყვი კავშირში და მოჩა და ვათავდა.

— მერე განა მე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგი ვარ?!.

— ეგ ჩვენ ვიცით!..—მარფუშა!.. სადაა ჩემი რიგში ჩასადგომი ჩანთა?...— და სახლში ისევ გაისმის ბრაბუნი, ხმაური, ხრიგინი.

ერეკნული

თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი, სულმათლად უცხოვრებულმა ქართველმა საზოგადოებრივმა ჯიქე შეასრულა თავისი სიმღერა, ჩემდება და ზუზუნებს ობობას კლანკებში მოქცეულ ბუზივით. კნენა იხურავს „შლახა-კაპოტს“ და მარფუშას და ქსენიას თანხლებით მიდის ბაზარში გამოკრულ ბოხებით, რომ გაჰყიდოს—ის ძველებური ტანისამოსები, ბეზიასაგან რომ დარჩა: ფიქები, რობრონები, ტაფურები, ბატონ-კობის დროის ნაქარგები, აცეტინის ფარანი და გრძელი ტოვრიტი. ბრუნდებიან ბაზრიდან და თან მოჰყვებიან თათრები ახალ კალონებში და გველა ერთად, სახლში მოსვლისთანავე, ეშვებიან საკუქნაოში. საკუქნაოში დგას თავგების სუნი და ნოტიო მძიმე ჰაერი. კედლებთან მიდგმულია ზინდუკები, კიღობნები, ჩემოდნები, იქვე ჰკიდია უზარმაზარი დაფანგებული ყაფანი. თათრები მკლავზე კოხტად გადაიწყობენ ხელით ნაშუშევარ, ძველებურ ზინდლებს, ვერცხლეულს, ფაიფურს, ულანების, გუსარების, კავალერგარდების, უბრალო სააზნაურო და სამოქალაქო ჩრჩილით შეკმულ მუნდირებს (თავად ორდინინებისას) და ბეკეშებს (ვაჭარ პაპკოვებისას), დაიწყებენ საქონლის დაწუნებას, ძაგებას, ოხრის ფასად შეფასებას და ნიშნად შეთანხმებისა ჩამოსართმევად ხელის გამოწოდებას. უცრად კნენა წააწყდება თავის მიეწეულს, ახალგაზრდობიდან დარჩენილ ნივთს, მწარედ ატირდება და ნივთს ცალკე გადასდებს, რომ შემდეგ გაჰყიდოს. მერე თათრები თავის ენაზე რალაცას იყაყანებენ, ცოტას ისინი მოუმატებენ, ცოტას კნენა დაუკლებს და შეთანხმების ნიშნად ხელს ჩამოართმევს (ხელი აუცილებლად უნდა ჩამოართვან), თათრები მიჩვეულ ხელით, სახელდახლოდ მოჰხევენ შთელ ნავაჭრს, გატენილ საფულეებიდან ათასიანებს გადმოთვლიან და სათითაოდ (აუცილებლად სათითაოდ) რივრივად გაველენ უკანა კარიდან და მთის კალთაზე დაეშვებიან,—მხეზე დაიწყებენ ბრწყინვას ახალი კალონები. კნენა კი დარჩება საკუქნაოში და გამოიტირებს ნაპოვ ნივთს და მასთან დაკავშირებულ წარსულს.

ზემო სართულში—მოდგმიდან ნოდგმამდე დაიღო წესად პაპკოვებისა და ორდინინების ოჯახში—ყოფილიყო ქალების განყოფილება. იქ ქალიშვილები ცხოვრობდნენ. იქ ოთახები ნათელია, კედლები დაბალი და შეთეთრებული. ოთხკუთხედი ფანჯრები მუდამ ღიაა. თერამეტი წლის იყო ღილია, როცა აქვე, ორდინინშივე, მისთხოვდა მემამულე პოლუნინს, მაგრამ მალე გაეყარა და მოსკოვში წაიღო, იქიდან პარიზში (პარიზში ქსენია შექცინა), გაეცნო და ცხოვრობდა ვიღაც კავალერგარდთან, მალე იმასაც განშორდა, მერე მოსკოვის სამმპერატორო დიდ თეატრის არტისტს დაუახლოვდა და საშუდამოდ მიეცა ბოგემურ ცხოვრებას,— სიმღერის სწავლა დაიწყო, ისწავლა კიდევ—ოცდასამი წლის შევიდა თეატრში მსახიობად, სადაც მისი ახალი ქმარი იყო. ამ ახალ ქმარსაც მალე გაეყარა, მაგრამ სცენისათვის თავი არ გაუნებებია და დანავადობდა ლეთისა და ანტრეპრენიორების შეწევნით მანამ, სანამ— ახლა ის დედასთანაა. მისმა უმცროსმა დამ, ნატალიამ, მასვე მიჰმამა, ისიც სულ მთლად ახალგაზდა ქალიშვილი გაეგზავრა მოსკოვში, მაგრამ თავისი ცხოვრება სულ





— კაროიკი. სამხებელმძღვანელი, ოფიცერი, პარტიული <sup>მედიკოსი</sup> კომუნისტი არაა.

— რამდენი წლის ხარ?

— ცხრამეტის. მალე ოცის ვიქნები.

— შენი ხნის რომ ვიყავ, კმრის შავი ეამივით მეშინოდა.

— აი, ოღონო კონცი თითქმის ყოველ თვე 'ვგრეა. ვილაც ბებია-ქალი ჰყავს... ძლიერ იაფად, შენ გიკვირს და ახლა კი ყველა...

— არა, უმძველად ექიმს უნდა მიმართო! არაერთარი ბებია-ქალი არ შეიძლება! აბორტი, საზოგადოდ, მეტად მავნებელი რამ არის, დღესვე წადი ექიმთან. ააბ!..— ოღონო კარგა ხანს ხმას არ იღებს, ჩუმიდაა, ხელებს იმტერებს და ჩურჩულობს: — ოხ, ისე ეს ვრძელი, დაუსრულებელი დღეები, სრულიად ზედმეტი და გამოუსადეგარი, დღე, როგორც უდაბნო.. დიახ! დიახ! მე კი მარტო ვარ, სულ მარტოთ მარტო! არის ზღაპარი დედოფალ ბაყაყზე, — რათ, რათ დასწვა ივან-ცარევიჩმა ჩემი ბაყაყის ტყავი?... ა, ჰო...

ღია ფანჯარას იქით, ბაღში, მოდის ივნისი. ქალაქში ივნისი მოდიოდა მუდამ ლამაზი, მუდამ უჩვეულო, თავისი ბროლის აისებით, დაცვარულ დიღებით, ნათელი დღე და ღამეებით. საქალებოს ანტრესოლებში დაბალი ოთახებია, თეთრი კედლები და ოთხკუთხედ ფანჯრებში ზუზუნობენ თავლით დატვირთული ფუტკრები. ყოველი ქალი—ჯერ კიდევ საბოლოოდ დაუტყლილი სიხარულია. თუმცა ნატალია... ამ დილით ნატალიამ განუცხადა დედას, რომ სახლს სტოვებს და სააეადმყოფოში გადადის საცხოვრებლად. დილით დედას იაგორი შემოეფეთა.

— იაგორ, აქ მოდი! მართალი მითხარ!

იაგორი წელა უახლოვდება დედას, გაჩერდა მის წინ, — მხრები ჩამოსცივდა, თავი ჩაჰკიდა და სევდა და ნალექი გამოიყურება მის თვალებში.

— გუშინ სვამდი, ხომ? ლოთობდი?

— დიახ! — უპასუხებს დაბალი ხმით იაგორი.

— ფული სად იშოვე? იაგორი ხმას არ იღებს.

— ფული სად იშოვე, მეთქი? მართალი მითხარ!

— მე... ნატალიას... ნატალიას პალტო გაეყიდე.

დედამ გოლიათური ხელი მოწყვეტით მოიქნია და იაგორს მწარე ალიყური გააწნა მკიფე ლოყაში.

იაგორი არ განძრეულა. იდგა.

— ესეც შენ! ახლავე ოთახში გასწი და გარეთ გამოსვლა არ გაბედო! არც როლის დაკვრა გაბედო, თორემ მე შენ გაჩვენებ!.. გასწი! ხმა არ ამოიღო!

იაგორი მილასლასებს წელში მოხრილი, მიწასთან გასწორებული და ოთახებში გაისმის ბორისის გაცოფებული ღრიალი:

— მე ვარ და არ გაეჩუძები!.. ახლა!.. დროა თქვენ თვითონ განუმდეთ!.. ტინი ამომჰამეთ თავში! კმარა!.. ელენე ერმილოვნა, ელენეა, გაიქეცე, შე ვირთხავ, შენა, იაგორთან და უთხარი რომ მე, გლები, ნატალია — პრიტესტს





ვაცხადებთ!.. მალე, შე ვირთხავე: დედა, გესმის, დედა, — ვაჭკმევს, ვაჭკმევს შენ, ვაჭკმევს!.. ფრთხილად!... თორემ!.. მართა! არაყი!.. დედა, შე ვაჭკმევს ქალო, ცხენკაცე გაიგე, მიხვდი შენი სპილენძის გამოთაყვანებული ტვინით, რომ ჩვენ ყველა შენი რობრონებით ჯანდაბას მიეღვივართ!.. ჯანდაბას, ჯანდაბას იქით მივექანებით!..აა-აბ!.. იაგორ, წადი, დაჯარ, დაჯარ მალე ინტერნაციონალი!

— ჩუმად, შე ბოლშევიკო! მე დედა ვარ, თუ არა შენი!.. მე შენ გაჩვენებ!.. ნე გაჭმევთ, მე გასმევთ!..

— რაა-აოო?! შენ გვაჭკმევ?! რას გვაჭკმევ შენ? — ნაპარავს გვაჭკმევ შენ, ნაძარცვს!.. მართა, არაყი მალე!..

კენინას ოთახში ბნელა, დგას აუარებელი შეაფები, შიფონაგერები, კამოდები და ორი ბალდახინიანი ლოგინი. მიბნელებულ კედლებზე რვაგალ ჩარჩოებში ჰქილია პორტრეტები და ფოტოგრაფიები. ფანჯრებზე ფარდებია ჩანოფარებული. კენინა ცხვირზე წამოდგმულ სათვალეებით ღია სეკრეტერთან დგას და მის წინ გადაშლილია საანგარიშო დავტრები: „სასურსათო“, „ჭურჭლის ზარალი“, „ხელზე მოსამსახურეთა ხელფასი“, „საკვლების“, „ტანისამოსის“, „ბავშვების“.

„ჭურჭლის ზარალში“ კენინა სწერს:

„ტონიამ გატეხა ერთი კიჭა“.

„ბავშვებისაში“:

„ეგორი დასჯილია, ნატალია გადირია, სახლს სტოვეებს და საივადმყოფოში მიდის საცხოვრებლად. უფალი იყოს მისი მსაჯული. ქსენიას სიჩქარად ათი მა...“

„საკვლების“ და „ტანისამოსის“ დავტარში კენინა თათრებზე და ბაზარში გაყიდულ ნივთებს სწერს და ჯამს „შემოსავალ-გასავალის“ საწარმოებელ დავტარში, საწემოსაველო სბოლიოში ათავსებს.

და კენინა სტირის. კენინა სტირის იმიტომ, რომ არაფერი ესმის, იმიტომ რომ მისი ფოლადის ნების ყოფა, მისი სიმდიდრე, მისი ოჯახი — დასუსტდა, სულზეა მისული და გაიფანტა ხელში მომწვედველ წყალივით.

— აი იმ ტურნურში, დღეს რომ გაყვიდე, — ეუბნება ცრემლმორეული ელენე ერმილოვნას, პირველად ენახე დედა-კენინა, ეს ჩემი პატარალობისას იყო. მაშინ თმაში იასამანი მქონდა გარკობილი, მიუხედავად იმისა რომ იანვარი იყო!

მალე კენინა უკვე აღარ სტირის. იგი კალმით ხელში, იდაყვით დავტარზე დაყრდნობილი, დგას სეკრეტერთან და უაპობს დიდი ხნის წარსულს.

— იყო ჩვენში ერთი მემამულე, გვარად კამინინი, სამსახურიდან გადამდგარი პოლკოვნიკი, მონადირე, ათგოჯიანი. დაბრუნდა მამულში, არავის გაჰყარებია... სოფელში ორი ახალგაზდა გლეხის გოგო ბიყვანა, ორივე დები, და ორივეს ერთად იწვენდა ლოგინში. მთელი კვირეები ლოთობდა გაბმით, ან და ტყეში მიდიოდა სანადიროთ. არავის ეყარებოდა!.. ერთი მღვდელი გყავდა, სიმთვრალის დროს ქადაგობა იცოდა, უზარმაზარი რიგი იყო ხოლმე კარიბჭესთან..



მამა ქრისტეფორე. მამა ქრისტეფორე ეწვია კამინინს საქართველოში დასაქმებული, დასაქმებული...  
 ლად. კამინინმა სამაგიერო გადაუხადა, წირვას დაესწრო, მოისმინა სალეთო  
 საგალობელი, იტირა, მერე მამა ქრისტეფორეს საკურთხეველში შეუვარდა, —  
 —საკურთხეველში!... და მერე ისევ თავის გოგოებთან დაბრუნდა სახლში. ერ-  
 თხელ მე შემხვდა გზაში და კინაღამ ჰკუთხე შეიშალა, ორივე გოგო გაავდო,  
 დაწნარდა, მემამულეებთან ნაცნობობა დაიკაფა, სმას თავი გაიანება, ბალებზე  
 დადიოდა. მე წერილებს მწერდა... და ერთხელ ბაღში მოვიდა, შიშველ ტანზე  
 ქურქი ჰქონდა მოხურული, მერე ისევ ლოცვა დაიწყო, გოგოები ისევ დაი-  
 ბრუნა..

კნენინა და ელენე ერმილოვნა ობრავენ.

— დროება წახდა დაია... დროება, — ამბობს ოხვრით ელენე ერმილოვნა.

— მართალს ამბობ, დაია! უწინ ასე არ იყო... უწინ.

— თქვენი მუშა ისევ გადუღდა ამ ცხოვრებას, დაია!

— თავად ორდინინებს ასე სჩვევიათ. მამა-ორდინინიც ასე... თავადმაც  
 ასე იცოდა...

— ისევ შეილები, ზრუნვა... ანტონ ნიკალაევიჩმა ისევ მაგინა უწმაწური  
 სიტყვებით...

— მაინც?

— ჯამში მიწოდა, დაია!..

ისევ დადის ოთახიდან ოთახში მარუშა და ამბობს მოწყენილ და თავ-  
 მობრუნებულ სიტყვებს:

— სუფრა გაშლილია... პირველს მალე გამოვიტან... დედა-ბატონი ჯაყ-  
 რობს...

უბემა, ცხუნვარე მზემ შემოანათა დარბაზის მალალ თალიან ფანჯარაში  
 და განათებული უხარმაზარი ოთახი უდაბნოს დაემსგავსა. გლებმა თავისი ეს-  
 კიზები კუთხეში მიდგა და შირმა ჩამოაფარა: იქ, კედლისკენ პირშებრუნებულ  
 მოღებრტზე დგას ლეთიშობელი. გლები შირმის უკან ფანჯარაზე ჩამოჯდა,  
 დარბაზში მყუდროებაა, პაპიროსის ბოლი ლურჯად ეხვევა კერში. კარი იღება.  
 ნელა შემოდის იაგორი და თეხაკრფით როაალს უახლოვდება.

— გლებუშკა, გენაცვალე, მეტი მოთმენა აღარ შემიძლია. მომიტევე.

— დაუკარ, ეგორუშკა, დაუკარ.

იაგორმა დააყენა მოდერატორი და უკრავს თავისთვის რაღაც სეკდიანსა  
 და კდებამოსილს.

— ეს გლებუშკა ნატალიასთვის შევთხზე. მისთვის... დედის მეშინია...  
 გაიგონებს...

— არაფერია, დაუკარ, გლებუშკა, კიდევ დაუკარ.

— იცი, გლებ!.. იცი... მე მინდა. ძლიერ მინდა, ოო, როგორ მინდა,  
 რომ მთელ ქვეყანაზე, მთელი ქვეყნის გასაგონად უმოდერატოროდ დავაგუგუნო  
 ინტერნაციონალი!.. და — და შიგ „გრეტბენის“ შელოდია შევაპარო, ისევე, რო-



გორც ეს პეტრე ვერხოვენსკიმ ჩაიღინა დოსტოევსკის „ეშმაკის“ გულერ-  
ნატორის ცოლთან სტუმრად ყოფნისას,—ეს დედასთვის იწინებოდა... და—  
ბორისისთვისაც! ა—ეხ!..

გლები ოცნებობს მთავარანგელოზ ვარაქიელზე, რომლის სამოსელი მთლიან  
თეთრ შროშანებში იყო,—და მწარე ტკივილით აგონდება დედა... დედის  
ბნელ ოთახში კედლებზე ჰკიდია გამოხუნებული, ოქროს ვარაყიან ჩარჩოებში  
ჩასმული პორტრეტები, ამურის ბარელაფეფიანი ჰერი, კედლები დამკვარტლული.  
დედის ოთახში მუხლ მოსხლეტილი გლები ემზობა ხელბეგაწედილი კნეინა დედის  
წინაშე და ჩურჩულობს უმწეოდ:

— დედა!.. დედა!..

სახლის შემოსაღელ კარში ზარი აუკარუნდა, მოაქვთ ლიღია ევგრა-  
ფოენასთან მოსკოვიდან მიღებული დეპეში:

„დეგრაძელობა ეკოცნი ბრილიანგს“.

ლიღია საჩქაროდ აგზავნის მარფუშას საპასუხო დეპეშით. და საკუქნაოე-  
ბიდან გამოაქვთ ბოხჩები, ჩემოდნები.

## ორი საშუარი, მოხუცები

თაკარა მზემ დაღვარა მიწაზე სიცხე და პაპანაქება. სენაკის კარბთან შა-  
ვი ბერი ზის, მზეზე ფიცხდება და ლიღინებს თავისთვის ძველ რუსულ სიმღე-  
რას. ბნელ სენაკს ოდნავ ანათებს კედელში მალა გამოჭრილი სარკმლები, რო-  
მელზედაც დგას ბალასინას ყვავილები. ბნელაა კედლები. ქალაღებს შორის  
დევს პურის ნატები და დოჭით წყალი. სენაკი მოშორებითაა, კოშკის თაკთან  
კუთხეში, ხავსი მოსდებია. მალალ სკამზე მაგიდასთან ზის დახავსებული ხუცე-  
სი და იქვე მის პირდაპირ ზის აგრეთვე ვლუბ ევგრაფოვიჩი. შავი ბერი მღე-  
რის თავისთვის,—

М-ах, во сѣбсоту, да день печальный!..

მზე სწვავს ყველაფერს და მტვერში დაქვარქნილი ბელურები ტიკტიკობენ.  
ხუცესის სახე: გაბურძვენილ წვერებში ცბიერი თვალეები ტიატობენ და მოსჩანს  
ერთად ერთი გაყვითლებული ბებერი კბილი. თავზე ერთი ღერი თმა-არა აქვს  
და თავის ტალა კუბოს სახურავს მიუგავს. ცბიერი ხუცესი ყურს უგდებს გლებს.

— ჩვენი უდიდესი ოსტატები,—ამბობს წყნარად გლები,—რომელნიც და-  
ვინიბზე, კორრეჯიოზე და პერუჯინოზე მალა დვანან,—არიან ანდრეი რუმ-  
ლევი, პროკოფი ჩირინი და ის უცნობი მხატვრები, რომელთა სურათები დღეს  
გაფანტულია ნოვგოროდში, პსკოვში, სუზდალში, კოლომნაში,—მონასტრებში  
და ეკლესიებში, რა საუცხოოვ ხელოვანი, რა ვასაოცარი ოსტატები იყვნენ! რო-  
გორ საკვირველად ხსნიდენ და მარტავდენ მხატვრობის ურთულეს ამოცანებს!..  
ხელოვნება გამირული უნდა იყოს. მხატვარი, ოსტატი—ღვაწლმოსილებით უნდა  
იყოს დაჯილდოვებული და ღვაწლს მუდამ ღიადსა და შვენიერს უნდა ირ-



ჩვედეს,—განა არის რამე ქრისტეზე და ღვთიშობელზე დიადი? —  
 ბით ღვთიშობელი. ჩვენმა უდიდესმა ოსტატებმა მოგვეცეს ღვთიშობის ქო-  
 გორც უტკებესი საიდუმლოება, როგორც დედობრივობის ღვთიური საიდუმლოე-  
 ბა,—და, საზოგადოდ, დედობრივობა. ტყუილ უბრალოდ კი არ ეთაყუანებიან  
 ჩვენი დედაკაცები ღვთიშობელს: ის მიუტყეებს, ის იგრძნობს ცოდვებს, დედობ-  
 რივობა აგრძნობინებს.

— რევოლიუციამ მელაპარაკე, შვილო ისა სჯობია, რევოლიუციამ,—  
 აწყვეტინებს სიტყვის ხუცესი,—შენ ის მითხარი, რა აზრისა ხარ სახალხო  
 აჯანყების შესახებ?—ხედავ—პურს?—კიდევ არიან ისეთები, რომელთაც მო-  
 აქვთ ცოტ-ცოტა! როგორ ფიქრობ, ოცი წლის შემდეგ, როცა ყველა მღვდლები  
 დაიხოცება, რა იქნება?.. ოცი წლის შემდეგ!...—და ხუცესი იღიმება ცბიერი  
 წერილი თვალებით.

— ძნელია მაგის თქმა, მეუფე... მე დიდხანს ვიყავ საზღვარ გარეთ,  
 მოწყვეტილი ყველაფერ მშობლიურს და აუტანელ ობლობას ვგრძნობდი, იქ:—  
 ხალხი კატელოკებით, სერთუგებში, სმოკინგებში, ფრაკებში, ტრამვაი, ავტომო-  
 ბილები, მეტროები, ცამდიარები, ირვვლივ პეწი, ბრწყინვა, ოტელები რესტორნე-  
 ბით, ბარებით, აბანოებით, თხელ სიფრიფანა საცვლებით, ღამის მოახლეებით,  
 რომელნიც შენოდთან ოთახში სრულიად დაუფარავად, უსირცხვილოდ, რომ და-  
 აკმაყოფილონ მამაკაცის ყოველგვარი არაბუნებრივი, აებორცი მოთხოვნისა,  
 —და რა საშინელი უთანასწორობაა, ჩაგვრა და როგორი მეშინობაა ადათებ-  
 ში, ვერ წარმოიდგენთ! იქ ყოველი მუშა აქციებზე ოცნებობს, ასევეა გლეხიც,  
 ყველაფერი მკვდარია, ყველაფერში მექანიკაა გაბატონებული, ტენიკა, კომ-  
 ფორტი, ვეროპიული კულტურის გზა პირდაპირ ომისაკენ მიემართებოდა, მხო-  
 ლოდ მას შეეძლო დაენთო თითხმეტ წელს ომის ცეცხლი. მექანიკურ კულტურ-  
 რას დააეიწყდა სულიერი კულტურა. ევროპის უკანასკნელ დღეების ხელოვნება:  
 მხატვრობაში—ან პლაკატი ან ისტერიული პროტესტი, ლიტერატურაში—ან  
 დღეგაქტივების ბირვა, ან ველურების თავგადასავლები და შემთხვევები, ევ-  
 როპიული კულტურა ჩიხში მოექცა. ამ უკანასკნელ ორი საუკუნის განმავლო-  
 ბაში, პეტრე დიდიდან მოყოლებული, რუსეთის სახელმწიფოებრივობა ამ კულ-  
 ტურის შეთვისებას მოუნდა. გოგოლის რუსეთი იბრძობოდა დახუთულ ჰაერში.  
 რევოლიუციამ რუსეთი დაუპირისპირა ევროპას. შემდეგ, მაშინვე, რევოლიუცი-  
 ის პირველ დღეებისთანავე, რუსეთი თავისი ყოფით, ზნე ჩვეულებით, ქალაქე-  
 ბით,—მეჩვიდმეტე საუკუნეს დაუბრუნდა და მეჩვიდმეტე საუკუნის ბჭებე იღგა  
 პეტრე დიდი...

(— პეტრე! პეტრე!—გაუსწორა ხუცესმა და პირველი ხმოვა-  
 ნი „ე“ ხმის აწევით წარმოსთქვა).

— ...იყო ხალხური მხატვრობა, ხუროთმოძღვრება, მუსიკა, თქმულება იუ-  
 ჯანია ლაზარეესკააზე. მოვიდა პეტრე დიდი,—და უხარმახარი ლოდით  
 ჰამოწვა ლომონოსოვი თავისი ხოტბით, შუშას რომ უძღვნა,—და გაპქრა ნამ-  
 დელი ხალხური შემოქმედება...



(— Эх, во судьбу!—ლიონებს მზეზე გაფრთხილებრი  
თავისთვის).

— ...რუსეთში დადგა უსიხარულო დღეები... რუსეთის ინტელიგენცია არ გაჰყვა ოქტომბერს. არც შეეძლო, რომ გაჰყოლოდა, პეტრე დიდის შემდეგ ევროპა უზარმაზარ კოშმარივით დააწვა რუსეთს, ქვეშ კი, ყალბზე ამდგარ ცხენ ქვეშ, ცხოვრობდა ჩვენი ხალხი, ისევ ისე, როგორც ათასი წლის განმავლობაში, ინტელიგენცია პირველი იყო პეტრე დიდის და დარჩა განზე. ამბობენ რომ რუსეთის ინტელიგენციის მამათმთავარი რადიშჩევიცა. სიცრუეა, არ დაიჯეროთ,—პეტრე დიდია, რადიშჩევიცა ინტელიგენციამ თავისი ცოდვათა მონაწილეა დაიწყო, ინანიებდა და ეძიებდა მშობელ დედას, რუსეთს. ყოველი ინტელიგენტი ინანიებს ცოდვებს და ყოველ მათგანს გულწრფელად შესტყევა გული თავის ხალხისათვის, მგვრამ არც ერთი მათგანი არ იცნობს, ვერ გრძნობს თავის ხალხს. რევოლუცია, სახალხო აჯანყება, არ იყო საჭირო—ეს სხვისია, აქ არაა რუსული ბუნება. სახალხო ამბოხებით—ხელისუფლება იგდეს ხელში და თავის სამართალს აწესებენ—წმინდა რუსები, წმინდა რუსულს, ლეთის მადლით! მუტიკური რუსეთის მთელი ისტორია,—სექტანტობის ისტორიაა. ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში,—მექანიკური ევროპა, სექტანტური, თუ მართლმადიდებელი რუსეთი?..

სიცხემ მოუჭირა. გლები გაჩუმდა და ხუცესმა სულწასწრებით დაიწყო:

— სექტანტობა? სექტანტობა, ხომ?... სექტანტობა მოდის არა პეტრე დიდიდან, როგორც შენ ამბობ, არამედ მწველბლოზიდან!... სახალხო აჯანყებაო.—ამბობ შენ?—ეს ბუგაჩევიწინაა, რაზინოეწინა? სტეპან ტიპოფეევიჩ რაზინი პეტრე დიდიდან იყო. რუსეთიო,—ამბობ, არა?—რუსეთი ფიქციაა, შირატი, იმიტომ რომ რუსეთია: კავკასია, უკრაინა, მოლდავია!.. ველიკოროსია,—უნდა თქვა,—ეს: მდინარე ოკას, ვოლგას, კამის სანაპიროებია!—შენ რა ხარ ჩემი?—შვილიშვილი, თუ ძმისწული?—ყველაფერი ამერია თავში, ყველაფერი ამერია! შენ იცი, როგორი სიტყვები შემოვიდა ახლა? გვიუ, გუფუხ, გაუ, ნაჩევაკ, კოლხოზ,—ეს ეშმაკეულთა მოვლინებაა. ყველაფერი აირია, თავს ველარ ვართმევ!..

ხუცესი, არქიეპისკოპოსი სილიბისტრო, ყოფილი თავადი და კავალერ-გარდი, ალაპარაკდა, მულოტი თავი კუმბოს თავს მიუგავდა. სკამით სულ ახლოს მიიწია და სასტიკი თვალეში, რომელიც, აბურჭნილ წვერებიდან ანათებდა, გლებს მიაჩერდა.

— როგორ შეიქმნა ველიკოროსიის სახელმწიფო?—ჩვენი ისტორია დაიწყო კიევის რუსეთის დანგრევით,—ხალხი გაურბოდა პაქანიგებს, თათრებს, თავადთა შორის ატეხილ ომებს,—გარბოდა ტყეებში და რჩებოდა ათასგვარ საზინელებათა პირისპირ,—და ასე სახელმწიფოებრივობის შიშით შეიქმნა ნელ-ნელა, თანდათანობით ჩვენი სახელმწიფო,—მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებრივობის, ისე ეწინოდათ როგორც ეამის, აი! მერე, როცა ხელისუფლება დამყარდა,—აჯანყდნენ, დაიწყეს სექტანტობა, მწველბლობა, გადიხვეწენ დონს გაღმა, უკრაინაში, მაიკზე. იქნებ იმიტომ კენესოდა იგი თათართა ტატარშინას



და ნემენცთა ტატარშინას კირთების ქვეშ, რომ მას არ უნდოდა იგი ეტნოგრაფიულად, ვერ ითმენდა მას თავისი სახელმწიფოებრივობისადმი წინააღმდეგ განწყობილების გამო! გადინებენ დონსა და ააიკს გაღმა და მერე იქიდან დაიძრენ ამბოხებულნი, აზავთებულნი, ყიყინით, დრტვინვით მოვიდნენ მოსკოვში და აიღეს ძალა-უფლება, დაიწყეს საკუთარი სახელმწიფოს შენება და აშენებენ კიდევ! ისე აშენებენ რომ ერთი-მეორეს ხელი არაფერში შეუშალონ, არ შეაწუხოთ, ისევე, როგორც სოკოები ტყეში. აბა თვალი გადაავლე ამ მუეიკურ ისტორიას: როგორც ტყის ბილიკი მისდევს ათასი წელიწადი, სამუკუნეები, ვერანი და უზნავი ადგილები, საყანეები, კორდები,—ათასი წელიწადი. ეს არის სახელმწიფო ქუსახელმწიფოოდ, მაგრამ იზრდება, მრავლდება სოკოსავით. სარწმუნოება კი იქნება მუეიკური. მაშინ, კივიდან დაძრულნი, მიდიოდნენ ტყეებით, მინდორ-ველებით, ბილიკებით სოფლის გზებით და, როგორ გგონია, რა მიჰქონდათ თან?—სიმღერები, სიმღერები მიჰქონდათ თან, ჩვეულებები და ადათები გამოიტანეს ათას წლებიდან შეუღაზავად, ბარაქიანი და ნოყიერი სიმღერები, წესები და ადათები, რომლის მიხედვითაც ძროხა ოჯახის წევრია, იაბო ცხენი ძმია ჰირვარამში, აღდგომა დღეს ქალებს იტაცებდნენ და მიჰყავდათ უღრან ტყეებში საქონლის ღმერთთან, ეგორთან და ლაკლობდენ, თაყვანს სცემდნენ. მართლმადიდებელი ეკლესია კი მოჰყვა მეფეებს, ძალმომრეობით, დამყარდა უცხო ხელისუფლების შემწყობით და ხალხმა ზურგი შეაქცია მას, სექტანტობისაკენ, მკითხავებისაკენ საითაც გინდა იქით: დონისაკენ, ააიკისაკენ ჰქნა პირი, ვერ შეურიგდა ხელისუფლებას, აბა თვალი გადაავლე რუსულ ზღაპრებს. ერთ სიტყვას თუ ნახავ მართლმადიდებლობაზე, იქ ყველაფერია: ქაჯები, როკაპები, ალები და არავითარ შემთხვევაში ღმერთი საბათი.

და ნაცრისფერი, სულ პატარა ხუცესი ზითხითებს, ცბიერად იცინის და თან თვალების ოდნავი მოხუკებით, რომელნიც მაცდურად კინათობენ გაბურძენილ წვერებში, ლაპარაკობს:

— ხედავ პურის ნატეხს?— იმათ მოაქეთ! აი! ხი-ხი! შენ ხომ ჩემი შეილი შეილი ხარ? არაეის უთხრა! არაეის! მე ყველაფერი ეს ნათქვამი მაქვს ჩემს ისტორიაში. წმინდა ნაწილები ამოიღეს—ბზე და თივა აღმოჩნდა... ყური მიგდე. სექტანტები რწმენის გულისათვის ცეცხლში მიდიოდნენ, მართლმადიდებელნი ხალხს ეკლესიაში კისრით მიათრევდნენ, როგორც გინდა ისე მოიქცე, მხოლოდ ყველაფერი მართლმადიდებლობის წესისამებრ გწამდეს! ახლა დადგა დრო მუეიკებისა, ხელისუფლება მათ ხელშია, მართლმადიდებლობა სექტად იქმნა აღიარებული, ყველაფერი გათანასწორებულია, ყოველივე! ხი-ხი-ხი!.. მართლმადიდებელთა სექტა! ი-იხი-ხი-ხი-ხი! სექტაში კისრით ხომ ვერ წამათრევ!.. ათასი წლის განმავლობაში ბატონობდა მართლმადიდებლობა, ახლა იღუპება, იღუპება,—იხი-ხი-ხი!—დაიღუპება. ოც წელიწადში არ იქნება, პირწმინდათ მოისპობა, გაწყდება მღვდლები და მოკვდება მართლმადიდებლობაც. ბერძნულ-რუსული, მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც იდეა, მწვალებლობის მოვლინებისთანავე მოკვდა. და წაელენ ბტქნითა და დაელურით, ანაფარდებთან ეგო-



რიები, ქაჯები, კინკები, როკაპები, ან და თვით ლევ ტოლსტოი და რენიცი... შილიკებზე, ტყეებში, შარა-გზებზე. და ამის შემდეგ მაინც დაბარაკობენ სარწმუნოებრივ აღზნებაზე!.. ხედავ ბურის ნატებს?..—ეს მოაქვთ იმათ,—სამ ვეღღშაპის ზურგზე რომ ცხოვრობენ, მართლმადიდებელ ქრისტიანებს; თავის სიგრძე სანთელს რომ ანთებენ,—ახლა თანდათან კლებულობენ, ისე აღარ მოაქვთ. და, აი, შე, მართლმადიდებელი მწვემსთმთავარი, ფეხით დაედივარ, ფეხით... იბი-ბი-ბი!..

ნაცრისფერი, დაღუული ხუცესი იცინის შიარულად, ცბიერად, აქანავენს კუმოს სახურავივით ტიტყულ თავს და აპაქუნებს გაბურძენილ წვერებში ცრემლმორეულ თვალებს. სენაკის კედლები მაგარია და გულჩახურული. ზის გლები სიბნელეში ხატიდან ვადმოსული წმინდანის სახით. კუთხეში სახატეში ხატის ბნელ სახეებს წარბი შეუკრავთ და ღუმლია. სდუმს გლებიც, ხმას არ იღებს. გარეთ გაეარეარებული მზე სწვავს დედამიწას და მზეზე გაფიცებული ბერი ღიღინებს თავისთვის. სენაკში გრილა და სინესტია.

— ... Да эа!.. нельзя в подюшке работать!..

— მაშინ, რაღაა რწმენა, მეუფევე?

— იდეა, კულტურა,—მიუგო ხუცესმა,—არ იცინის.

— ღმერთი?

— იდეა, ფიქცია!—და ხუცესმა ისევ დაიწყო მაკდური ხითხითი.—მეუფევე, უსამღედლოესო, მომმართავ, არა?..—გამოტეინდი, ხომ?.. გამოტეინდი... ახალგაზდა კი აღარა ვარ... ოთხმოცი წლის ვარ!.. აღარ მწამს!.. კმარა, რაც ვიტყუეთ!.. საკმაოდ ვტენთ წმინდა ნაწილები ბზითა და თივით... შენ?..—შვილიშვილო?...

— მეუფევე!..—და ხელებგაწვდილ გლებს ხმა აუკანკალდა,—თქვენ ლაპარაკში რომ შეეცვალოთ სიტყვა სიტყვებით:—კლასი, ბურჯუაზია, სოციალური უთანასწორობა—ბოლშევიზმი გამოვა. მე კი უბიწოება, ქვეშარტები მინდა, მე მინდა ღმერთი, რწმენა, გარდუვალი სამართალი... რა საკრთა სისხლი?..

— აა, ა! უსისხლოდ?—ყველაფერი სისხლითაა, ყველაფერი სისხლშია, აღისფერ სისხლში! წითელი დროშაც! ყველაფერი ამერია, გადამერია, ვერ გაიგე?.. გესმის ზუზუნობს რევოლიუცია,—როგორც როკაპი ქარბუქში! ყური მიგდე:—გვიიუთ, გვიიუთ!.. შოოიაა, შოოოოიაა!.. გააუ. და ქაჯი როყინობს:—გლავ-ზუმ! გლავ-ვბუმ!.. როკაპები დაქტიან:—კვარტ-ხოზ! კვარტ-ხოზ! ქაჯი ცოფდება: ნან-ევაკ, ნან-ევაკ! ხმუ!.. ქარიც, ნაძვებიც, თოვლიც:—შოოიაა, შოოოიაა... ხმუუუ!.. ქარიც:—გვიიუუუ... გესმის?..

გლები ხმას არ იღებს, მხოლოდ ხელებს იმტვრევს. მეუფე ზის და ხითხითებს მაკდურად, ტოკავს მაღალ სკამზე,—არქიეფისკოპოსი სილიბისტრო, ერის კაცობაში თავადი კირილ ორდინინი, შეშლილი მოხუცი.

თაკარა ზეცამ დაღვარა თაკარა გეალვა, უძირო ზეცა წაირღვნა სილურჯში და უსაზღვროებაში, დღე აყვავდა პაპანაქებაში,—სალამოთი იწნება ყვითელი დაისი და ტაძრის საათი რეკს:—დონ-დონ-დონ!..



თავადი ბორის ორდინინი ბუხართან გაჩერებულა და განიერ მარჯვენა ხელს მარჯვენა ხელს დასაყრდენად აკრავს და გრილდება, თავადის კაბინეტში დგას წიგნის წაკითხვით ცარიელ რაფებზე, — წიგნები საბჭოში გადაიტანეს, — და თავალკრემლიანი ჩრჩილით ამოკმულ ქუთუთობებიანი დათვი კბილს ზღრპენს დიუნის კუთხიდან ცარიელ რაფებს. სუფრა გადაფარებულ პატარა მრგვალ მაგიდაზე არაყი დგას. თავადს არ უყვარს პატარა ტიქებით სმა. ბორისმა ზარის ღილს ბუხარის ათეშქაში მოაჭირა და დარეკა. შემოდის მარფეში, თავადი კარგა ხანს ჩუმადაა, მერე შებლი შეიკრა და ამბობს:

— დაასხით არაყი და ევორ ევგრაფოვიჩს მიართვით!..

— ბატონო!..

— ხომ გესმისთა?! უთხარი, რომ ორ მაისის სადღეგრძელო დალიოს... შეგიძლიათ უთხარათ, რომ ჩემი მოკითხული არაა... მამგრამ, უთხარ უშეშველად ორ მაისისთვის დალიოს!.. შეგიძლიათ გადაღვროთ კიდევ, ოღონდ მე ნუ გამიმხელთ... ორ მაისის სადღეგრძელო!.. წადით!..

თავადი ბორისი ისხამს არაყს, დიდხანს უცქერის ამღვრეულ სასმელს და მერე სვამს.

— გაუმარჯოს ორ მაისს!..

მერე ისევ ლუმელთან გაჩერდა, სვამს ჩუმადა, ნელა, განუწყვეტლივ. ოთახში ჩამოწვა ყვითელი ბინდები. სმა გაათავა და თავადი ბორისი დაიძრა ადგილიდან, მიდის და სკდილობს არ წაბორძიკდეს. სახლი ბინდებში ჩაიძირა. პატარა ლამაზა ოდნავ ანათებს დერეფანს და იმღვრევიან კედლის სარკეები. დედა, კენინა არინა დავიდოვნა, ზის ელენე ერშილოვნასთან ერთად და მთელი დღის ზრუნვით დაღლილი ისვენებს.

— ორ მაისს... ორ მაისს... დედა, ორ მაისს ბუბულები ამღვრდებიან, ორ მაისს, პირველ მაისს, შრომის დღესასწაულის შემდეგ, ჩვენი დღეობაა... ღამეები მაშინ ლურჯია, ფირუზივით ლურჯი და გრილი, ნამიანი, უხვი და მშფოთვარე... ორ მაისს, მთვრალ და კლემანოსილ მაისის ღამეს... მერე... — მერე უკუნეთი! ღამე!.. — დაპარაკობს თავადი ბორის.

— რას მიედ-მოედები! — ეკითხება დაეკეებული დედა.

— ელენკა, დედასთან მარტო დამტოვე, სათქმელი მაქვს. თავისუფლებაზე, თანასწორობაზე!..

— ეს რას ჰგავს, პა?! — არ წახვიდე, დაია!..

— როგორც გინებოს, დედა, როგორც გინებოს!.. საოცარია, შენ უნდა მძულდე, მადამ ჰაკოვია, და მამაჩემი კი მძულს! არ მესმის. Addio.

მამის ოთახი სექტანტების სალოცეზა ჰგავს. წითლად შემკული კუთხე და ხატებით შეფენილი კედლები. სახატედან სასტიკად იცქირება ბნელი ქრისტე, ხატის კანდლები და წმინდა სანთლები ოდნავ ბუტბუტავენ, სახატეს წინ დგას პატარა ანალოე და ზედ აწვეია წმინდა წიგნები. ოთახში მეტი არაფერია, მხოლოდ უკანა კედელთან გამართულ საწოლის წინ დგას გრძელი სკამი, რომელზედაც მამას, თავად ევგრაფს, სძინავს. ზეთის, საკმევლის და თათლის სანთლის





სუნია ირგვლივ. ოთახში საეკლესიო ბინდებია ჩაშვებული, ~~ქვემოთ~~ დღე-დღამე ფარდებია ჩამოფარებული, რომ ოთახში მზის შუქს ~~არ~~ შეუძლებს და არ იყოს ნატვრა და დარდი დღის სინათლეზე.

მამა გრძელ სკამზე მოკუნჭულა, გამხდარი ხელი თავ ქვეშ ამოუდვია და სძინავს. ბორისმა მხარში ხელი მოჰკიდა და ფრთხილად შეარყია, თავადი-მამა, ვერ კიდევ ძილიდან გამოურკვეველი, იღიმება სათნოდ და ბორისისთვის არც შეუხედავს ისე ამბობს:

— ძილმა წამილო, ხომ? ძილმა წამილო? არა? ქრისტე მაცხოვარი მომიტეებს!

უეცრად შვილი დაინახა და ოდნავ შემკრთალი შეეკითხა:

— რომ აღმაშფოთო, იმიტომ მოდი ხომ? ბორაა? რომ აღმაშფოთო და სულის მუდროება დამირღვია, არა?

— არა, მამა! ლაპარაკი მინდა და იმიტომ.

— ვილაპარაკოთ, ვილაპარაკოთ!.. მკითხე რაც გინდა, მე მზად ვარ! ქრისტე მოგვიტეებს!..

— ლოცულობთ, არა, მამა?

— ელოცულობ, ბორა! ელოცულობ!

მამა ფეხებმორთხმული ზის და ცივად ანათებს მისი თვალები. თეთრი თმები და წვერ-ულვაში გასწეწვია. ლაპარაკობს ხმა დაბლა, სულწასწრებით და ჩაცვენილ ტუჩებს აცმაცუნებს.

— მერე—გამშვიდებს ლოცვა?

— არა ბორა!—მოკლედ და მშვიდობიანად უბასუბებს მამა.

— რატომ?

— მართალს გეტყვი, მართალს გეტყვი!.. ქრისტე მაცხოვარო მაპატივე! ცოდვები მაწეც, შვილო, ცოდვები!.. და განა შესაძლებელია საკუთარი თავი შეავდრო უფალს?! მრჩენია თავის შევედრება! თავის შევედრება ცოდვაა, ბორა, ცოდვა!.. მე მხოლოდ შენ თავს ვავედრებ უფალს, იაგორს, გლებუშკას, ლიდიას, ყველას, ყველას, დედას, ფიციკოპოს სილიბისტროს, ყველას ვავედრებ... ყველას მაგიერ ელოცულობ!..—და მამის თვალები აენთო სიგიჟით,—იქნებ ექსტაზითაც?—ჩემი ცოდვები ისევე ჩემთნაა! ვერ ვიშორებ! აი აქვია, აქ, ირგვლივ!.. დიდი ცოდვები, მეტად დიდი და საშინელი... საკუთარი შეცოდებათა გამოსყიდვა შეუძლებელი შეიქმნა ჩემთვის. შეცოდება, შვილო, შეცოდება!.. სიამაყე და მედიდურება არ მოძღვეს ნებას!.. მედიდურება!.. და ცეცხლის გენა მომეღლის—მეშინია, ბორა, მეშინია!.. საშინელება, საშინელება მიპყრობს მე ცოდვილს!.. მხოლოდ მარხულობით ვინუგეშებ თავს... რა არის მზეზე ულამაზესი?—და მე მას არ ვხედავ, ვერ დავინახავ... ხანდახან მომინდება მარხილით გაჭროლება მოყინულ გზაზე, დათრობა და სხვა... ცდუნებანი არ მასვენებენ,—უარს ვყოფ, ვიჯმნი!.. სიკვდილისაკენ მიჭირავს თვალი. ქრისტე მაცხოვარო, მიხსენ მე ცოდვილი ყოველგვარ შეცოდებისაგან!..—და აკანკალებული ხელით რამდენჯერმე სწრაფად იწერს პირჯვარს.—ქრისტე, შენ მიხსენ!..



ერკენული

— ახლა მარხილში ვერ ჩაჯდები, მამა,— ზაფხულია და ჭაჭაქსაქსანტად შეიღმა.

— ქრისტე დამიხსნის!

ბორისმა შუბლი შეიკრა და ისე უსმენს.

— მომიტევე, მამა, ერთი რამ მინდა გკითხო. თვალები აგებიათ? თუ აგებია? პა-პკო-ეებს რომ დაემოყვრე?!

მამამ საჩქაროდ უპასუხა:

— ამეხილა, შეილო, ამეხილა!.. ბორა!.. მე ვიხილე ქვეყანა გაზაფხულზე, ეგრძენი მისი განუსაზღვრელი მშვენიერება, ღვთის ტეშმარიტება, სიბრძნე და შემეშინდა ჩემი შეცოდებების, ყველა ცოდვები ერთად დამაწვა მთელი სიძიმით და თვალები ამეხილა, ბორა, ამეხილა.

— მაშ ა-ასე, — ამბობს მძიმედ ბორისი და წარბშეკრული თვალებს მამას არ აშორებს, — ქვეყანაზე, სანამ შენ სულს ჰპატიობ, ხალხი თავის სამართალს აწყობს, სამართალს ღვთის შეუწყვენელად, ღმერთი ჯანდაბას იქით გაგზავნის, გადაადგეს უეარგის ნივთივით!.. თუმცა... თქვენ, იქნებ იცით, იქნებ შემთხვევით გაგიგონიათ სადმე, რა არის პროგრესიული დამბლა?..

მამის სახე ეღვის სისწრაფით შეიცვალა და ზარდაცემული, საცოდავი უკან მიაწყდა.

— ისე?.. ისე, გინდა შემამფოთო?.. — ბუტბუტებს ოდნავ გასაგონად. — არ ვიცი...

შეილი მძიმედ წამოდგა და წელში გაიმართა.

— ყური დამიგდე, მამაჩემო! ნუ იპრანჭები... ქირივით მეზარება, როცა იგრინებთან?.. ხომ გესმის!? მიპასუხე!..

— არ ვიცი!

— მიპასუხეთ, მეთქი!

თავად ბორისმა წვერებში მოჰკიდა ხელი და დაიწყო:

— მე სიფილისი მაქვს, მამაჩემო, ათაშანგი! იაგორსაკ. კონსტანტინე, ევგრაფი, დიმიტრი, ოლლა, მარიამ, პრასკოვია, ლაუდმილა ბავშობაშივე დაიბოცენ, ვითომდა საყმაწვილოთი. გლეხი — გადაგვარებული, ლიდიაც ასევე, მხოლოდ ნატალია არის ადამიანი... მიპასუხე, მოხუცო!..

მამა მოიკრუნჩხა, აკანკალებულ, გამხმარი ხელებით ბორისს ხელში ჩააფარინდა და ტირილი დაიწყო, — ზღუქუნობდა პატარა ბავშვივით.

— არ ვიცი, არ ვიცი!.. — იძახდა იგი გაბოროტებით. — წადი, გამზორდი, ბოლშევიკო!

— თავს ნუ იკატუნებ, წმინდანო!

ბატების წინ ერთო წმინდა სანთლები და ბეტბუტადენ ზეთის კანდლები. საკმეველისა და ზეთის სუნი სდგას ირგვლივ. თავადი ბორისი მალე დაბრუნდა თავის ოთახში, გაჩერდა ღუმელთან და ბუტბუტის გრილ ქაშანური აგურებს მიეხუტა მკერდით, მუცლით, მუხლებით და იდგა ასე გაუნძრევლად.

და —

— დ ა ს კ ვ ე ბ ი . —

ლიდია ევგრაფოვნას ოთახში სანთელი ენთო, გახსნილი ბოჩები იატაკზე ეყარა, სკამებზე, მაგიდებზე ეწყო საცვლები, ტანისამოსი, უფლო წიგნები, საკუთაფები, ნოტები. მაგიდაზე დევს დაკმუჭენილი დებეშა, — ლიდია იღებს და ხელახლა კითხულობს:

„დღევრძელობა ეკოცნი ბრილლინგს.“

ტუჩები აუკანკალდა და დებეშა ხელიდან გაუფარდა.

— დღევრძელობა. ვსვამ სადღევრძელოს! სვამს ჩემს სადღევრძელოს! დედაბერი!.. გლებს!..

აწყრივად ზარები. ისტერიკა. გლები მაინც არაა. მარფეშა წყალზე მირბის.

— დედაბერი, დედაბერი! ყველაფერი ზედმეტი, უსაჭიროო! სვამს სადღევრძელოს. სადღევრძელო! ხა-ხა!.. მომცილდით, გამეცალეთ!.. მე მარტო ვარ, სულ მარტო... მიტოვებულნი!..

ლიდია ევგრაფოვნა წევს, შუბლზე სველი პირსახოცი ატვს დაფარებული, ტუჩები უკანკალებს და თვალები დაუხუტავს. დიდხანს იწვა ლიდია უმოძრაოდ, შერე საკუთაფიდან პატარა ბრჭყეილა შპრიცი ამოიღო, კაბა წამოიხადა, საცვალი გადიწია და ბაყვში მორფი შეიშხაპუნა. რამდენიმე წუთის შემდეგ ლიდიას თვალები ნეტარებით აუწყლიანდა, — ტუჩები მაინც უკანკალებს.

ყვითლად დაბინდდა.

კატერინა ქალაქში იყო. მორბოდა შეწინებული. ტუჩმიკვნიტილი და რილისაგან თავს ძლივს იკავებდა, შემოვარდა ლიდია ევგრაფოვნას ოთახში. გაოცებული და ზარდაცემული უტკერის თვალებ მიხუჭულ წამოწოლილ ლიდიას.

— მე... მე... ექიმმა მითხრა... შთამომავლობითი... სამარცხვინო სენი...

— ზართლა?.. უეჭ?.. ჩურჩულებს ოდნავ გასაგონად ლიდია, ისე, თითქოს არაფერი იყოს და თან ჭერში იტკირება დამშვიდებული, უაზრო თვალეებით.

დღე აყვავდა მზეში, გვალვაში საღამოთი ვეითელი ბინდები ჩამოწვა. ტაძრის ზარები რეკენ მშვიდათ, როგორც კიტეეში: დონ! დონ! დონ! და ყაზარმებში დაპკრეს დაისის განგაში.

გლები ნატალიას, ბალის უკან, ძველ ტაძართან შეხებდა, — სააეადმყოფოში მიდიოდა, მას არზიპოვი აცილებდა. არზიპოვი მაშინვე გამოეთხოვა.

— ნატალია, შენ სახლს სტოვებ, არა? — შეეკითხა გლები.

— დიახ. მივდივარ სახლიდან.

— ნატაშა!.. ხომ იცი, რომ ოჯახი გადაშენების გზაზე დამდგარი, როგორ შეიძლება ასეთი სისასტიკე. შენ ერთი ხარ მხოლოდ ჯანმრთელი მთელ ოჯახში. ძნელია სიკვდილი, ნატაშა, ძნელი!



გაგანაგანა

— სულ ერთია, ოჯახი მაინც გადაშენდება, იგი მკვდარად ამბობს: — რამე უნდა გააკეთო, რომ მოკვდე. სტუდენტობის დროს, ქალიშვილობაში, მეტად ბევრს ვოცნებობდი. აი, ამ კაცის მამამ, ახლა რომ მახლდა, თავი მოიკლა, შეიღმა იცოდა, რომ მამა თავს მოიკლავდა. რას ფიქრობდენ, რას განიცდიდენ ისინი სიკვდილის წინ, — ისინი, — მამა და შვილი? ალბად შვილი სცდილობდა ფიქრებს მისცემოდა, რომ ტანჯვა არ ეგრძნო.

გიყვარს არხიპოვი?

— არა.

— როგორც... როგორც ქალიშვილს?

— არა. მე არაფერს არ ვიყვარს. მე არ შემძლია სიყვარული. მე ხომ ქალიშვილი არა ვარ. საკმაოდ მოებუციდი ამისთვის. სიყვარული შეუძლებელია. ეს წამებაა და საძაგლობა.

— რატომ?

— ქალიშვილობისას, კურსებზე რომ ვიყავი, მე ვოცნებობდი უცხო ვაჭზე. შეგხვდი, შემიყვარდა, დაფუხლოვდი და უკვე ფეხშიმედ ვიყავ, როცა მიმატოვა. ასე დავრჩი მე ფრთაშერუჯულ პეპელასავით და გადავწყვიტე, რომ ჩემი საქმე წასულია, ყველაფერი გათავდა. მაგრამ ახლა ვიცი, რომ არაფერიც არ გათავებულა. ეს სიკოცხლეა. სიკოცხლე ნამდვილი და არა ისეთი, რომანტიზმის სენტიმენტალურ სალაპურებში რომ აქვთ წარმოდგენილი. მე, ალბად, გათხოვდები. ქმარს არ ვუღალატებ, — მაგრამ სულს კი არ მივცემ, არამედ სხეულს, რომ შვილი შემეძინოს, მართალია, არ მექნება ოჯახური მყუდროება, მაგრამ სამაგიეროდ ნაწუსი და პატიოსნება იქნება, მე მეტად ბევრი ვისწავლე და ვიმეცადინე, რომ რომანტიულ ხვადის ძე ვიყო, მე შვილი მინდა, გლებ, შვილი, ეს რომ სიყვარული იყოს, მაშინ ჭკუა ამემღერეოდა.

— სიყმაწვილე, პოეზია?

— როცა ქალი ბავშვია, მაშინაა მისთვის სიყმაწვილეც და პოეზიაც. სიყმაწვილე კარგი რამეა. მაგრამ, როცა ქალი ორმოცი წლისაა, მაშინ იგი სრულიად გასაგებ ბუნებრივ მიზეზების გამო არ არის ყმაწვილი.

— რამდენი წლის ხარ, ნატაშა?

— ოცდა რვის. მე კიდევ ვიცოცხლებ. ყველა, ვინც ცოცხალია, უნდა წავიდეს.

— სად?

— რევოლუციაში. ეს დღეები არ განმეორდება.

— შენ... შენ, ნატალია...

— მე ბოლშევიკი ვარ, გლებ! ახლა შენ უკვე კარგად იცი გლებ, ისევე როგორც მე, რომ ყველაზე ძვირფასი ქვეყანაზე პური და ფხსაცმელია. ის ყველა თეორიებზე ძვირფასია, იმიტომ რომ უპუროდ და უხელოსნოდ შენც მოკვდები და შენი თეორიებიც. დეე გლეხებმა და მუშებმა თვით განაგონ თავის მიერ შექმნილი ღირებულებები.



თარგმანი

სალამოთი ორდინინების სახლს ირველივ მუდროგებაა, მხარე მუქი მსახრ-  
მაზარი, ობრით ნაღები სახლი და ახლა მწვანე ფერგადაკრული, გაკრეცილი,  
ნიწაში ჩამჯდარი—გამოიკჭირება ბოროტ მოხუცივით. როცა გლები და ნატალია  
სახლის საზეიმო შესასვლელ კარებთან შეჩერდნენ, გლებმა სთქვა:

—ძნელია სიკვდილი, ნატაშა! შენ ალბად ყურადღებას მიაქცევდი, რომ  
ჩვენ სახლში სარკეები გამოხუნდნენ, ფერი დაკარგეს და რომ ისინი შეტად  
ბევრია ჩვენს ოთახებში. მე შიში მიპყრობს ყოველ წუთს, როცა ჩემ სახეს  
ვხედავ შიგ. ყველაფერი დაიხსხვრა, ყველა ოცნებები.

როცა ისინი ქვის კიბეზე აღიოდნენ და საკუქნაოს რკინის შეიდგლიტულ  
მიძმე კარებს ჩაუარეს,—ზევით, სახლში ვილაკამ გაისროლა. და მაშინვე სროლის  
შემდეგ, დარბაზიდან მთელ სახლში გაისმა გამარჯვების ინტერნაციონალი—და  
მის გუგუნში ბილწად უმსგავს მოტივით შეიპარა «აუბერხარდ უნდ კუნი-  
გუნდ».

(გაგრძელება იქნება).

თარგმანი დემნა შენგელაიასი.

## ღმერთებს სუპრიათ.

(გავრძელება) \*

VII.

მოქალაქე გამლენის ქერივმა ძველებურ გამოთქმის თანახმად ერთხელ განაცხადა: „ჩვენ იმდენ წაბლს ვსჯამთ, რომ ლამის წაბლის ფერი გავხდეთ“. ამ დღეს, 13 ივლისს, მან და მისმა ვაჟმა სადილად წაბლის ნახარში სჭამეს. როცა თავიანთ ღარიბ ტრაპეზს ათავებდნენ, ერთმა მანდილოსანმა კარები შემოაღო და უცებ ატელიე გაავსო თავისი ხმაურობითა და თავისი სურნელებით. ევარისტმა მოქალაქე როწმორისა იცნო. მხატვარს ეგონა, რომ მას ალბად გზა დაებნა და თავის ძველ მეგობარს, მოქალაქე ბროტტოს ეძებსო: ის ფიქრობდა მისთვის ყოფილი აზნაურის ქერი ეზენებინა ან ბროტტოსთვის დაეძახნა, რათა ამ ტურფა ქალს არ დასჭირებოდა ვიწრო კიბეზე აცოცება; მაგრამ გამოირკვა, რომ ქალს მოქალაქე ევარისტ გამლენთან ჰქონდა საქმე; მან განაცხადა, ბედნიერი ვარ, რომ შეგვხდით და გთხოვთ მოსამსახურეთ მიგულოთო.

ისინი სრულიად უცნობნი არ იყვნენ ერთი მეორისათვის: რამდენჯერომე შეხედნენ ერთმანეთს დაეიდის ატელეში, კრების ტრიბუნაზე, იაკობინელებთან, რესტორატორ ვენუასთან: ქალმა მხატვარს ყურადღება მიაქცია მისი სილამაზისა, ახალგაზრდობისა, საინტერესო გარეგნობისათვის.

ქალის ქუდი ზიზილპიპილებით იყო შემკული, როგორც მესტიერეს ქარახსა და ჯილით მორთული, როგორც ელჩის თავსაკრავი; ამასგარდა მოქალაქე როწმორისას პარიკი გაეკეთებინა, პირზე შეეცხო, ხალები მიეკრა, მუშკის სურნელება შეეცმია; მისი კანი მაინც ქორფა იყო ამდენი ხელოვნური ღონისძიების მიუხედავად: ეს განძაფრებული მოდის გრძნობა მხოლოდ ცხოვრების წყურვილს ააშკარავებდა ამ საშინელ ციებ-ცხელებიან დღეებში, როცა ხვალინდელი დღე გამოურყვეველი იყო. მის კორსაჟს დიდი გადანაცეკი და დიდი არშიები ჰქონდა; ზედ უზარმაზარი ფოლადის ლილები ბრჭყვიალებდნენ; თვით კორსაჟის ფერი წითელი იყო სისხლივით და კაცს არ შეეძლო გაერჩია მსხვერპლების ფერებს ატარებდა ის ქალი თუ ჯალათისას, იმდენად არისტოკრატსა და რევოლიუციონერსა ჰგავდა ის ერთსა და იმავე დროს. მას თან ახლდა ახალგაზრდა სამხედრო პირი დრაგონის ფორმაში.

ქალს ხელში გრძელი სადაფის ჯოხი ეჭირა, ის მაღალი იყო, ლამაზი,

\*) „მნათობი“ 3 (11).



სრული, საესე მკერდიანი; მთელი ატელიე შემოიარა, ხან და ხან იქნის ტარიან ლორწეტი იქტირებოდა თავის ნაცრისფერი თვალებით და მხატვრის ტილოებს შინჯავდა, იცინოდა, გაკვირვებას გამოსთქვამდა და მხატვრის სილამაზით აღტაცებული მას ეპირფერებოდა, რათა მისგან სამაგიერო მიეღო.

— ეს რა არის, იკითხა მან, ეს კეთილშობილი და მგრძობიარე სურათი? ვინ არის ეს ნაზი და მშენიერი ქალი ახალგაზრდა ავადმყოფის გვერდით?

გამიღენმა უპასუხა, რომ ეს სურათი წარმოადგენდა „ორესტს, რომელსაც მისი და ელექტრა უფლის“, და თუ ის მას დაამთავრებდა, შეიძლება ეს ნაწარმოები ყველაზე ნაკლებ უფარვისი ყოფილიყო მის სურათებს შორის.

— ეს სიუჟეტიო, დაუმატა მან, ევრიპიდის „ორესტიდან“ არის ამოღებული. ამ ტრაგედიის ძველ თარგმანში ერთი სცენა წაეიკითხე, რომელმაც აღტაცებაში მომიყვანა: ახალგაზრდა ელექტრა თავის ძვირფას ძმას ტანჯვის ლოკინზე წამოაყენებს! ტურებზე დორბლს მოუწმენდს თვალბზე თმას გადაუწმენდს და სთხოვს მოუსმინოს სანამ ფერიები სდუმან... ამ თარგმანის კითხვისა და ხელახლა გადაკითხვის დროს, ვეგრძენი, რომ თითქო ნისლი მიფარავდა ბერძნულ ფორმებს; ვერ შევსძელ ამ ნისლის გაფანტვა. წარმოვიდგინე, რომ დედანის ტექსტი უფრო ნერვიული და უფრო მძლავრი უნდა ყოფილიყო. რადგან მინდოდა რომ ამის შესახებ ზედმიწევნით წარმოედგინა მქონოდა, წავედი პროფესორ გაილთან, რომელიც იმ დროს (ეს იყო 91 წელს) ბერძნულს ასწავლიდა კოლეჯ დე ფრანსში და ვსთხოვე ეს სცენა სიტყვა სიტყვით აეხსნა. პროფესორმა ეს შეასრულა ჩემი თხოვნისამებრ და მე დავრწმუნდი, რომ ძველები ბევრად უფრო უბრალონი და ფაილიარულნი არიან, ვიდრე ჩვენ წარმოვიდგინა. მაგალითად, ელექტრა ორესტს ეუბნება: „ძვირფასო ძმაო, რადენი სიხარული მომანიჭა შენმა ძილმა! გინდა ზეზე წამოდგომა რომ გიშველო?“ ხოლო ორესტი უპასუხებს: „ჰო, მიშველე, ამიყვანე, დორბლი მომწმინდე თვალბსა და ტურებზე. მკერდზე მკერდი მომაკდე, სახეზე დაბლანდული თმა მომაშორე: რადგან ის თვალბს მიფარავს“... მე გავიმსკვალე ამ ახალგაზრდა და ცხოველი პოეზიით, ამ ძლიერი და გულუბრყვილო გამოთქმით და ეს სურათი დავიწყე, რომელსაც ხედავთ, მოქალაქე.

მხატვარი, რომელიც ჩვეულებრივ თავდაქერილად დაპარაკობდა თავის ნაწარმოების შესახებ, ახლა ალარ ათავებდა. ის გაათამამა ნიშანმა, რომელიც მას მოქალაქე რომშიორისამ გაუყეთა თავისი ლორწეტის მოძრაობით და განავრძობდა:

— ჰენეკენმა ოსტატურად დახატა ორესტის მძვინვარება. მაგრამ ორესტი უფრო თავისი მწუხარებით გვაღელვებს, ვიდრე თავისი მძვინვარებით. რა უცნაურია მისი ბედისწერა! მშობლის სიყვარულმა, ლეთაებრივ ცნებების მოჩილებამ ისეთი დანაშაული ჩაადგინა, რომელიც ღმერთებმა უნდა განუტყვეონ, მაგრამ ადამიანები არასოდეს არ აპატიებენ. მან ბუნება გადალახა, უადამიანობა გამოიჩინა, ნაწლებები ამოიგლიჯა, რათა შებლაღული უფლების გულისათვის შური ეძია. ის ამყი რჩება თავისი საშინელი და ამასთანავე სათნოებით

საესე დანაშაულის სიმძიმის ქვეშ... აი, რა მინდოდა ძმისა და დის უკუფი  
დამენახებინა.



ის მიუახლოვდა ტილოს და სიამოვნებით დააცქერდა.

— ზოგი ერთი ნაწილი თითქმის საესეებით დამთავრებულია, სტქვა მან მაგალითად ორესტის თავი და ხელი.

— ეს საუცხოვო სურათია... და ორესტი თქვენ გავს, მოქალაქე გამლენ.

— თქვენ გგონიათ? ჰკითხა მხატვარმა სერიოზული ღიმილით.

გამლენმა სკამი შესთავაზა და ქალი დაჯდა. ახალგაზრდა დრაგონი ფეხზე იდგა მის გვერდით, ხელი მისი სკამის ზურგზე ჰქონდა დაყრდნობილი. ეს იმის მაჩვენებელი იყო რომ რევოლუტია მოხდა, მიტომ რომ ძველი რეჟიმის დროს მამაკაცი არასოდეს თითითაც არ შეეხებოდა ქალის სავარძელს. აღზრდა ზრდილობის მტკიცე ზღუდეებს ჰქმნიდა: იმ აღამიანებს სწამდათ, რომ თავის დაქერა საზოგადოებაში განსაკუთრებულ ფასს აძლევს ფარულ ხალვათობას და სანამ მოკძალვებას დაჰკარგავდე, მისი ქონაა საკირო.

ლუიზა მამე დე რომარი, მეფის იეგერთა ლეიტენანტის ქალი, პროკურორის ქვრივი და ფინანსისტ ბროტტო დეზილეტის ოცი წლის ერთგული მეგობარი, ახალ პრინციპებს მიეყვდა. 1790 წლის იელისში მან სხვებთან ერთად მიწა სთოხნა მარსის ველზე. მისმა გარკვეულმა მიდრეკილებამ ამ ქვეყნიურ ძლიერებისადმი ის ფელიანებიდან ერონდელებსა და მონტანიარებამდე მიიყვანა, ხოლო კომპრომისის სული, ძლიერი საზოგადოებრივი ინსტინქტი და ინტრიგის გენია მას არისტოკრატებსა და კონტრრევოლუტციონერებთან აკავშირებდა. ის მეტად გავლენიანი პიროვნება იყო, დადიოდა ქალაქის განაპირა დუქნებსა, თეატრებსა, მოდის რესტორანებსა, სათამაშო სახლებსა, საღონებსა, ყურნალების ბიუროებსა, კომიტეტების მისაღებ ოთახებში. როვოლიუტციამ, მას განახლება, გასართობი, ღიმილი, სიხარული, საქმეები, მომგებიანი ანტრეპრიზა მოუტანა, ეს ქალი პოლიტიკურ და სააშკო ინტრიგებს აბამდა, ჭნარს უკრავდა, პეიზაებს ხატავდა, რომანებს მღეროდა, ბერძნულ ცეკვის ასრულებდა, ვახშმებს მართავდა, ღამაზ ქალებს პატიკობდა, როგორც გრაფ ბოფორტის მეუღლე ან მსახიობი ქალი დეკუანი, მთელი ღამეები ოცდათერთმეტს, ბირიბის ან წითელსა და შავს თამაშობდა და მაინც დროს პოულობდა, რომ თანაგრძნობა გამოეჩინა მეგობრებისადმი. ის ცნობის მოყვარე იყო, მოძრავი, თავქარიანი, კარგად იცნობდა მამაკაცებს, მაგრამ ვერ იცნობდა ბრბოს, მისთვის ისევე უცხო იყო ის შეხედულებანი, რომელთაც ინაწილებდა, როგორც ის შეხედულებანი, რომელნიც იძულებული იყო უარ ეყო; ამ ქალს არაფერი გავებოდა საფრანგეთში ნომხდარ ამბებისა, მაგრამ მომქმედი იყო, თამაში, გაბედულებით აღსაესე, როგორც საფრთხის უკოდინარობის, ისე თავის მომხიბვლელობის უსახლერო რწმენის გამო.

მას რომ მხედარი ახლდა, ახლად იყვავებული ყმაწვილი კაცი იყო, ავაზის ტყავით შემკული სპილენძის მუხარაი და აღისფერი ზონრით მორთული ჯილა მის ქერუბინისებურ თავს ჩრდილაედა და ზურგზე გრძელ და საშინელ ფაფარს შლიდა. ბავშვის ეილეტის მსგავსი ზედატანი წელამდე არ აღწევდა, რათა მისი ღაზათიანი





რკალი არ დაემალა. წელზე უზარმაზარი ხმალი ერტყა, რომელიც მისი ნისკარტის მსგავსი ვადა ბრქვევიალებდა. ბაცი ლურჯის ფერი მსრულს მჭიდროდ ეკროდა მოჭინლ კუნთებს და მუქი ლურჯი ფერის სტრაში თეძოებზე მდიდარ არაბესკებს ჰხატავდა. ის მოცეკვავეს ჰგავდა, რომელიც თითქო დავიდის მოწაფეს შოერთო, რათა რომელიმე პიესაში, მაგალითად „სკიროსის აქილესში“ ან „ალექსანდრეს ჭორწილში“ სამხედრო ან სააშოკო როლი შეესრულებია.

გამლენს ბუნდოვანად გაახსენდა, რომ ის სადღაც ნახული ჰყავდა. მართლაც ეს ის მხედარი იყო, რომელიც თხუთმეტი დღის წინათ ხალხს სიტყვის ეუბნებოდა ნაციის თეატრის ბალკონიდან.

მოქალაქე როშნორისამ ის დაასახელა:

— მოქალაქე ანრი, წვერი რევოლიუციური კონიეტეტისა ადამიანის უფლებების სექციიდან.

ქალი ამ ვაგს მუდამ თან ატარებდა თავის კაბის ქვეშ, როგორც სიყვარულის სარკეს და სამოქალაქო გრძნობების ცოცხალ მოწმობას.

მოქალაქე როშნორისამ ქება შეასხა გამლენის ტალანტს და ჰკითხა ხომ არ დასთანხმდებოდა პლაკატის დახატვას ერთი მოდების მკერავი ქალისთვის, რომელიც მას აინტერესებდა. იქ შესაფერი სიუჟეტი უნდა ყოფილიყო დახატული მაგალითად ქალი შარფს შინჯავს ფსიხეის წინაშე ან ახალგაზრდა მუშა ქალი ილღიაში ქუდის კარტონს ატარებს.

ასეთი თანრის სამუშაოს შესასრულებლად მას ფრაგონარის შეილი, ახალგაზრდა დიუსი და აგრეთვე ვინმე პრიუდომში დაუსახელეს; მაგრამ ამჯობინა მოქალაქე ევარისტ გამლენისათვის მიემართა. მოქალაქე როშნორისამ მაინც გარკვეული არაფერი სთქვა ამ საგანზე და ადამიანი იგრძნობდა, რომ ეს დაკვეთა იმისთვის მოიგონა, რომ ლაპარაკი დაეწყო. მართლაც სულ სხვა საქმისთვის იყო მოსული. მოქალაქე გამლენისაგან სამსახურის გაწვევას ითხოვდა: იცოდა, რომ მხატვარი კარგად იცნობდა მარატს და უნდოდა ეთხოვა ენახებოდა ხალხის მემობარი, რომელთანაც მოლაპარაკება უნდოდა.

გამლენმა უპასუხა, რომ თვითონ ძლიერ პატარა პიროვნება იყო და არ შეეძლო ვინმე მარატისთვის წარედგინა, მაგრამ ამ შემთხვევაში შუამავალი არც იყო საჭირო: თუმცა მარატი მუშაობით იყო დატვირთული, მაინც ისეთი უბილავი ადამიანი არ იყო, როგორც ზოგიერთი ფიქრობდა.

შემდეგ გამლენმა დაუმატა:

— ის თქვენ მიგიღებთ, თუ უზედური ხართ: ნიტომ რომ მისი დიდი გული მას მისანდობათ ხდის უზედურთათვის და მგრძნობიარეთ ტანჯულთა მიმართ. ის თქვენ მიგიღებთ, თუ შეგიძლიათ ისეთი რაიმე გაუმქლავნოთ, რასაც მნიშვნელობა ექნება საზოგადოების ხსნისთვის: მარატმა თავისი დღეები მოლაპარაკებების გამოაშკარავებას შესწირა.

მოქალაქე როშნორისამ უპასუხა, რომ ბედნიერი იქნება თუ მარატის სახით სახელოვან მოქალაქეს მიესალმება, რომელმაც წარსულში დიდი სამსახური გაუწია ქვეყანას, მომავალში შეეძლო კიდევ მეტი გაეწია; მას უნდოდა ეს კანონმდებელი კეთილგანმზრახველ ადამიანებთან დაეახლოვებინა, მდიდარ ფილან-



ტროპებთან, რომელნიც საღსარს მისცემდნენ რათა მარატს, <sup>მარკონტინის</sup> ცხარე სიყვარული დაეკმაყოფილებინა.

— სასურველია, დაუმატა ქალმა, რომ მდიდრები მოვიშველიოთ საზოგადოებრივი წარჩინების საქმისთვის.

მართლაც მოქალაქე რომშიორისამ ბანკირ მორპარდტს აღუთქვა, რომ ასადილებდა მარატთან ერთად.

მორპარდტმა, რომელიც შვეიცარიელი იყო ისევე როგორც ხალხის მეგობარი, კავშირი გააბა კონვენტის რაევდენიმე დეპუტატთან, ეიულიენტან (ტულუზიდან), დელონესთან (ანგერიდან) და ყოფილ კაპუცინ შაბოსთან, რათა სპეკულიაცია ეწარმოებია ინდოეთის კომპანიის აქციებით. თამაშობა მეტად უბრალო იყო და იმაში მდგომარეობდა, რომ აქციები 50 ლივრამდე ეცემოდნენ მტაცებლური წინადადების წყალობით, რათა შემდეგ 4000 ან 5000 ლივრამდე ასულიყენენ დამამშვიდებელი წინადადების წყალობით. მაგრამ შაბო, ეიულიენი, დელონე დღის სინათლეზე გამოიყვანეს. იქვე ჰქონდათ ლაკრუასი, ფაბრ დეგლანტინისა და თვით დანტონისა. აგიოტაჟის მეთაური, ბარონ დე ბაცი ახალ მონაწილეებს ეძებდა კონვენტში და ბანკირ მორპარდტს ურჩია მარატი ენახა.

ეს აზრი კონტრევოლიუციონერ სპეკულანტებისა ისეთი უცნაური არ იყო, როგორც კაცს პირველად ეჩვენებოდა. ეს ადამიანები ყოველთვის სცდილობდნენ ხელისუფლებას დაახლოვებოდნენ, მარატი კი საშინელ ძალას წარმოადგენდა თავისი პოპულარობით, თავისი კალამით, თავისი ხასიათით. გირონდელების მზე ჩადიოდა, დანტონისტები ქარიშხალმა დასცა და აღარ იღვნენ მმართველობის სათავეში. რომესპიერი თუმცა ხალხის კერპათ ითვლებოდა, მაგრამ იქვიანი და გადაჭარბებულად რიგიანი იყო და არავის იკარებდა. საქირო იყო მარატის ქსელში ჩაბმა, მისი კეთილ განწყობილების უზრუნველყოფა იმ დღისთვის, როცა ის დიქტატორი გახდებოდა; და რომ ის მართლა დიქტატორი გახდებოდა ამის უტყუარი ნიშანი იყო მისი პოპულარობა, მისი პატივმოყვარეობა, მისი ნიჭი დიდი ღონისძიების გამოყენებისა, და შეიძლება მარატი წესიერებას, ფინანსებს, კეთილდღეობას აღადგენდა. რაედენჯერმე ის შებრძოლებია ფანატიკოსებს, რომელთაც მის წინააღმდეგ თვეი მოჰქონდათ ზედმეტი პატრიოტიზმით; ბოლო დროს ის დემაგოგებს აზხელდა თითქმის ისევე ხშირად, როგორც ზომიერებს, თუ წინათ ხალხს აგონებდა, რომ ჩარჩები მათივე დექნებში ჩამოეხაზოთ, ახლა მოქალაქეებს მშვიდობიანობისა და გონიერებისაკენ მოუწოდებდა; ის სახელმწიფო კაცი ხდებოდა ზოგიერთი ხმების მიუხედავად, რომელსაც მარატის შესახებ აურკლებდნენ, ისევე როგორც რევოლიუციის სხვა ადამიანების შესახებ. ეს ოქროს მოყვარული ადამიანები მარატს მოუსყიდველ პიროვნებათ სთვლიდნენ, მაგრამ ისიც იცოდნენ რომ ის გულზედადი და დანდობილი იყო: მათ იმედი ჰქონდათ, რომ გადაიბირებდნენ პირფერობისა და კიდევ უფრო კეთილ განწყობილი ფამილარობის შემწეობით, რომელსაც თავიანთ მხრით ყველაზე მეტად მომხიბლველ პირფერობათ სთვლიდნენ. იმათ იმედი ჰქონდათ რომ მარატის წყალობით ყველა იმ ღირებულებათა აწვევაზე და დაწვევაზე ითამაშებ-



დნენ, რომელთა ყიღვა და ვაყიდვა უნდოდათ და მას აიძულებდნენ — მათი ინტერესებისთვის ემსახურნა ისე, თითქო საზოგადო ინტერესს ემსახურებოდა.

თუმცა მოქალაქე რომშორისა ჯერ კიდევ სიყვარულის პასაკში იმყოფებოდა, მაგრამ მაინც მაღალი სტილის მაქანკალი იყო და ამიტომ მიზნად დაისახა, კანონმდებელი ფურნალისტი ბანკირებთან დაეახლოვებია; მისი გიგური ფანტაზია მას უხატავდა სარდაფის ადამიანს, სექტემბრის სისხლით გათხუპნილი ხელებით, ჩაბმულს ფინანსისტთა პარტიაში, აგიოტაგით გატაცებულს მგრძობიარობისა და გულწრფელობის წყალობით. გადავარდნილს სპეკულიანტების, ჩარჩების, უცხოელი ემისრების, კრუპიეების და საექვო ყოფაქცევის ქალების საზოგადოებაში, რომელიც თვით ამ მანდილოსნისთვის ასეთი ძვირფასი იყო.

ქალი დაეინებით ითხოვდა, რომ მოქალაქე გამლენი ხალხის მეგობართან წაყოლოდა; მარატი იქვე ცხოვრობდა კორდელიერების ქუჩაზე, ეკლესიის მახლობლად. ცოტაოდენი ყუყანის შემდეგ მხატვარი დასთანხმდა.

ღრავონი ჰანრიც მიიწვიეს, მაგრამ არ გაჰყვა; მოიმიზეზა, რომ დამოუკიდებლობის შენარჩუნება უნდოდა თვით მარატის მიმართ, რომელმაც უმკველად სამსახური გაუწია რესპუბლიკას, მაგრამ ახლა სუსტდებოდა; ვანა მან გაზეთში თავის შეკავება არ ურჩია პარიზის ხალხს?

და ახალგაზრდა ჰანრიმ მგლოდიური ხმით და ოხვრით გამოიტირა რესპუბლიკა, რომელსაც ყველაზე საიმედო ადამიანები ღალატობდნენ: დანტონი უარყოფდა მდიდრების დაბეგვრას, რომესპიერი პერმანენტული სექციების იღვას ეწინააღმდეგებოდა, მარატი სულმოკლე რჩევა-ღარიგებით ანელებდა მოქალაქეების აღფრთოვანებას.

— ეჰ, წამოიძახა მან, რავდენად სუსტი არიან ეს ადამიანები ლეკლერთან და ეაკ რუსსოსთან შედარებით! რუ! ლეკუს! თქვენ ნამდვილი ხალხის მეგობრები ხართ.

გამლენს არ გაუგონია ეს სიტყვები, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს შეურაცყოფილად იგრძნობდა; ის მეორე ოთახში იყო ლურჯი ტანისამოსის ჩასაცმულად.

— თქვენ უნდა იამაყოთ თქვენი შეილით, უთხრა მოქალაქე რომშორისამ მოქალაქე გამლენის ქვრივს: მას დიდი ნიჭი და დიდი ხასიათი აქვს.

მოქალაქე გამლენის ქვრივმა დაამოწმა ეს აზრი, მაგრამ მაინც თავისი გულზეიალობა არ გამოუჩენია ამ მაღალი წოდების ქალის წინაშე; ამ დედაიაცს ბავშვობიდანვე ჩაგონებული ჰქონდა, რომ ღარიბთა უპირველესი ვალდებულება თავმდაბლობაა მდიდრების წინაშე. მას ჩივილი უყვარდა, მიზეზიც ჰქონდა ამისთვის, შენსუბუქებასაც პოულობდა ამ გზით. თავის გაჭირებას დაწვრილებით უამბობდა ყველას, ვისი დახმარების იმედიც ჰქონდა, ქილბატონი დე რომშორისა ასეთ ადამიანად მიაჩნდა, ამიტომ ხელისშემწყობი მომენტი გამოიყენა და სულის მოუთქმელად ყოველივე უამბო. დედისა და შეილის სასოწარკვეთილება, აუტანელი შიმშილი. სურათებს აღარაფერ ყიდულობდა; რვეოლიუციამ თითქო დანით დაჰკლა ვაჭრობა, სანთავგე ცოტა იყო და მიუწოდომელ ფასებში იყიდებოდა...



დღედაცი ცდილობდა რაც შეიძლება ჩქარა ეამბო ყოველივე ღმერთ შვილს არ მოესწრო, რადგან იცოდა რომ ის ამაყი იყო და არ შეეწყობოდა მისი ჩივილს. ის ცდილობდა გული აეჩუყებია ამ ქალისთვის, რომელსაც მდიდრათ და გაუღუნინათ სთვლიდა და დააინტერესებინა თავისი შვილის ბედით. ამასთანავე გრძნობდა, რომ ევარისტის სილამაზეც შევლოდა ამ კეთილშობილი ქალის გულის მონადირეებაში.

მართლაც მოქალაქე როშმორისამ მგრძნობიარობა გამოიჩინა: ის აიღლევა ევარისტისა და მისი დედის ტანჯვამ, შეეცადა საღსარი მოეძებნა მათი ხეუდრის შესამსუბუქებლად. აღუთქვა, რომ თავის მდიდარ მეგობრებს მხატვრის სურათებს აყიღვინებდა.

— საფრანგეთში ფული კიდევ მოიპოვება, სთქვა მან, მხოლოდ დამალულია.

კიდევ მეტი: რადგან ხელოვნება უკვე დაღუპული იყო, ევარისტს ადგილს უშოვიდა მორბარდტსა ან ძნათა პერრეგოებთან, ან კიდევ ნოქრათ მოაწყობდა ჯარის ერთერთ მოიჯარადრესთან.

შემდეგ მან მოისაზრა, რომ ასეთი სამსახური შეუფერებელი იყო ასეთი ხასიათის მჭონე ადამიანისთვის, და ერთი წუთის დაფიქრების შემდეგ წამოიძახა:

— საჭროა კიდევ რაედენიმე მსაჯულის დასახელება რევოლიუციურ ტრიბუნალში. მსაჯულობა, მაგისტრატობა, — აი რა შეეფერება თქვენს შვილს. მე კავშირი მაქვს საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტთან; ვიცნობ უფროს რომესაიერს; მისი ძმაც ხშირად სადილობს ჩემსას. მათ მოველაპარაკები. ვათქმევიანებ ავრეთვე მონტანესა, დიუმასა, ფუკიესთვის.

აღლევებულმა და მაღლიერმა გამლენის ქვრივმა თითი მიიღო პირზე: ატელიეში ევარისტი შემოდიოდა.

მხატვარმა და მოქალაქე როშმორისამ ბნელი კიბე ჩაიარეს: ქვის და ხის საფეხურები ძველის ძველი ნაგავით იყო დაფარული.

ახალ ხიღზე რომ მივიდნენ, მზე ჩადიოდა; პიედესტალი, რომელზედაც წინათ ბრინჯაოს ცხენი იდგა და ახლა ეროვნული დროშებით იყო დაფარული, გრძელ ჩრდილს ისროდა. ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილ ბრბოში ნელი ლაპარაკი გაისმოდა. შემუთოებელი ხალხი სდუმდა, მხოლოდ დროგამოშვებით ოხერა და წყრომის ძახილი ისმოდა. ზოგიერთი მოქალაქე ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ტიონეილის, ყოფილი დოფინის ქუჩისკენ; გამლენმა, რომელიც ერთ ერთ ამ ჯგუფს მიუახლოვდა, ყური მოჰკრა, რომ მარატი მოეკლათ.

ნელ-ნელა ეს ამბავი დადასტურდა და გამოირკვა: ის ეანაში მოეკლა ერთ ქალს, რომელიც კანიდან მოსულიყო ამ მიზნით.

ზოგიერთი ფიქრობდა, რომ მკვლელი გაიქცა, მაგრამ უმრავლესობა ამბობდა, რომ ის დაჭერილი იყო.

ბრბო უმწყემსო ცხერის ფარას ჰგავდა; ეს ადამიანები ფიქრობდნენ: აღარ არის მარატი, მგრძნობიარე, ჰუმანიური, ქველმოიმედი მარატი, რომელიც ხელმძღვანელობას გვიწყევდა, არასოდეს არ შემცდარა, ყოველივეს წინასწარ ხედავდა, ყოველივეს ანგლავინებდა!... რა ექნათ? დავკარგეთ ჩვენი



მრჩეველი, ჩვენი დამხმარე, ჩვენი მეგობარი. ეს ხალხი თითქმის გერმანულად საიდან მოდიოდა თავდასხმა, ვინ მართავდა ამ დამნაშავე ქაჯებს? ჩვენს წინაშე მოთქმა:

— მარატი იმავე დამნაშავე ხელებში მოჰკლეს, რომელთაც ჩვენი განადგურებაც უნდათ. მისი სიკვდილი იმის ნიშანია, რომ ყველა პატრიოტებს ყელები უნდა გამოსკრან.

ხალხში სხვადასხვანაირად ლაპარაკობდნენ ამ ტრაგიკული სიკვდილისა და მსხვერპლის უკანასკნელი სიტყვების შესახებ; ჰკითხვობდნენ მკვლელის ამბავს: იცოდნენ მხოლოდ რომ ის ახალგაზრდა ქალი იყო მოლაღატე ფედერალისტების მიერ გამოგზავნილი. დედაკაცები კბილების ღრმებით და ხელების მტკრევით დამნაშავეისთვის სატანჯველს ამზადებდნენ და, რადგან ვილიოტინა მეტად ლმობიერი საშუალება იყო, გვემას, ძელების დამტვრევას, აყუწვას მოითხოვდნენ და კიდევ ახალ-ახალ წამებს იგონებდნენ.

შეიარაღებული გვარდიელები სექციისკენ ვილაც მამაკაცს მიათრევდნენ, რომელსაც მტკიცე სახის გამოამეტყველება ჰქონდა. მისი ტანისამოსი დაფუთილი იყო. სისხლის ღარები ფერმკრთალ სახეზე ჩამოწურწურებდა. მას ეთქვა, რომ მარატმა ასეთი ბედი დაიმსახურა, რადგან მუდამ ძარცვა-გლეჯისა და მკვლელობას იწყვედა. მილიციელებმა ეს კაცი ძლივს გამოგლიჯეს გააფთრებულ ბრზოს. ხალხი მას მკვლელის თანამოზიარედ სთვლიდა და მუქარა ისმოდა მისი ვატარების დროს.

გამლენი გაშეშებული იყო მწუხარებისაგან. ორიოდ ცრემლი შრებოდა მის აგზნებულ თვალებზე. ის იტანჯებოდა როგორც შვილი, როგორც პატრიოტი; ხალხის სიბრაღული გულს უტყუშავდა.

ის ფიქრობდა:

ლემელტიესა და ბურდონის შემდეგ მარატი მოჰკლეს!... ვხედავ, როგორია პატრიოტების ბედი: ისინი იულიტებიან მარსის მინდორზე, ნანსში, პარიზში, და ალბათ ყველანი დაიღუპებიან“. გაახსენდა აგრეთვე მოლაღატე ვიმპფენი, რომელიც ცოტა ხნის წინათ სამოცი ათასი როიალისტის ურდოს სათავეში პარიზისკენ მოდიოდა და მამაც პატრიოტებს რომ ვერნონთან არ შეეჩერებიათ, ცეცხლითა და მახვილით გაანადგურებდა გმირულ, განწირულ ქალაქს.

რავდენი საფრთხეა კიდევ მოსალოდნელი, რავდენი კრიმინალური პროექტი, რავდენი ღალატი: მხოლოდ მარატის სიბრძნეს და სიფხიზლეს შეეძლო ამის გაგება და გამოაშკარავება! მისი სიკვდილის შემდეგ ვინ გამოამტკიცებდა კიუსტინს, რომელიც უქმად იმყოფება ცეზარის ბანაკში და უარს ამბობს ალყა შემორტყმული ვალანსიენის მიწვევებაზე, ბირონს, რომელიც უმოქმედობას იჩენს ქვედა ვანდეაში და მტერს ხელს არ უშლის რომ სომიური აილოს და ნანტზე იერიში მიიტანოს, დილონს, რომელიც სამშობლოს ყიდის არგონებში?..

მხატვრის გარშემო ნელ-ნელა საშიში მღელვარება მატულობდა:

— მარატი აღარ გვეყავს; არისტოკრატებმა მარატი მოჰკლეს!

როცა გამლენი მწუხარებითა, სიძულვილითა და სიყვარულით აღსავსე გულით წავიდა, რათა უკანასკნელი პატივი ეცა თავისუფლების მოწამისთვის,



მას ვიღაც ხნიერი გლეხის დედაკაცი მიუახლოვდა და ჰკითხა: — მისი ძალიან მოკლე-  
ლი ბატონი მარატი მღვდელი ხომ არ ყოფილა სენ პიერ დე კრუადას.

VIII

დღესასწაულის წინა დღით, წყნარ და ნათელ საღამოს ელოდი ევარისტ-  
თან ხელი ხელ გაყრილი ფედერაციის მიწოდებაში სეირნობდა. მუშები საჩქა-  
როდ ათავებდნენ ბოძების, სტატუების, ტაძრების, გორაკის, საკურთხეველის  
აგებას. უზარმაზარი სიმბოლოები, ხალხური ჰერკულესი, რომელიც კეტს იქ-  
ნედა, ბუნება, რომელიც დაუშრეტელ მკერდით მსოფლიოს კვებავდა, უცებ იმარ-  
თებოდნენ დამშეული, ტერორით დამურთხალ სატახტო ქალაქში, რომელიც  
ყურს უგდებდა ხომ არ მოისმოდა მოს გზიდან ავსტრიელების ზარბაზნების ხმა.  
ვანდამ ნანტის დამარცხების ლაქა ჩამოირეცხა რადენიმე ბრწყინვალე გამარ-  
ჯვების შემწეობით. რევოლუციურ პარტიზ რკინის, ცეცხლის და სიძულვილის  
რკალი ეხვია. ამისდა მიუხედავად ქალაქი დიდებულად ხედებოდა პროვინციული  
კრებების დებუტატებს, რომელთაც კონსტიტუცია მიიღეს, თითქო ისინი დიდი  
იმპერიის მბრძანებლები ყოფილიყვნენ. ფედერალიზმი დამარცხებული იყო:  
ერთი განუყოფელი რესპუბლიკა უვლა მტრებს და დამარცხება.

ევარისტმა ხელი გაიშვირა ხალხით გაჭედილი ველისკენ და სთქვა:

— აი იქ დაახვეტია ხალხი ურცხვება ბაიიმ 91 წლის 17 იელისს სამ-  
შობლოს საკურთხეველთან. ამ ხოცვა-ლეტის მოწმემ გრენადერმა პასაევანმა,  
შინ მისვლისთანავე ტანსაცმელი შემოიგლიჯა და დაიყვირა: „მე დავიფიცე,  
რომ თავისუფლებასთან ერთად მომკედარიყავი; თავისუფლება აღარ არის; მე  
კვდები.“ და ტყვია იქრა თავში.

ამავე დროს მხატვრები და მშვიდობიანი ბურჟუები დღესასწაულის სამ-  
ზადისს უტკეროდნენ და მათ სახეზე ცხოვრების სიყვარული გამოჰკრთოდა,  
რომელიც ისეთივე სვედიანი იყო, როგორც თვით მათი ცხოვრება: უდიდესი  
მოვლენები სათანადოთ მცირდებოდნენ, როცა მათ თავებში შედიოდნენ და  
ისევე უგვანნი ხდებოდნენ, როგორც თვით ისინი იყვნენ, ცოლქმრებს ხელში  
აყვანილი მიჰყავდათ და წინ მიურბოდნენ პაწია ბავშვები, რომელნიც დედმა-  
მებზე ლამაზები არ იყვნენ და, როგორც სჩანდა, არც უფრო ბედნიერები იქ-  
ნებოდნენ; ხანდახან წარმოსადეგი და ლამაზი ახალგაზრდა ქალი გაივლიდა,  
რომელიც ყმაწვილებში გულის ფანტკალს იწვევდა, ხოლო მოხუცებულებში სი-  
ნანულს, რომ ტკბილმა ცხოვრებამ განვლო.

სამხედრო სკოლის მახლობლად ევარისტმა ელოდის ეგვიპტური ქანდაკე-  
ბანი ანახეა, დავიდის მიერ დახაზულნი აგვისტის ეპოქის რომაული მოდელე-  
ბის მიხედვით. მათ ყური მოჰკრეს, როგორ წამოიძაბა ერთმა შეპუდრულმა ბე-  
ბერმა პარიზელმა:

— კაცს ეგონება, რომ ნილოსის ნაპირებზე იმყოფებაო.

უქანასკნელი სამი დღის განმავლობაში, როცა ელოდის თავისი მეგობა-  
რი არ უნახავს, „მხატვარ ამურში“ სამწუხარო ამბები მოხდა. მოქალაქე ბლე-  
ში დაასმინეს საყოველთაო უზრუნველობის კომიტეტში, რომ ჯარს უვარგის



საქონელს აწვდიდა: საბედნიეროდ გრავიურების გამყიდველს კარგად აცნობდნენ მის სექციას: შუბების სექციის ზედამხედველობის კომიტეტმა მისი მატრიოტიზმი დაამოწმა საყოველთაო დაზღვევის კომიტეტის წინაშე და ის სრულიად გაამართლეს.

ელოდი აღელვებული იყო, როცა ეს ამბავი მოჰყვა. შემდეგ დაუმატა:

— ახლა დამშვიდებული ვართ, მაგრამ იმ დროს ძალიან შევშფოთდი. მამაჩემი კინალამ სატუსალოში ჩასვეს. საფრთხე რომ კიდევ რაედენიშე საათი გაგრძელებულიყო, თქვენთან მოვიდოდი, ევარისტ, და გთხოვდით, რომ გეშუამდგომლათ თქვენს გავლენიან მეგობრებთან.

ევარისტმა არაფერი უპასუხა. ელოდისთვის ძალიან ძნელი იყო ამ დუმილის სიღრმის გაზომვა.

ისინი ხელი ხელ გაყრილი მიდიოდნენ სენის ნაპირას. ფრთხილად სიალერსო სიტყვებს ეუბნებოდნენ იულიასა და დესენპარეს ენით: კეთილი ქანკაი სიყვარულის გამოხატვისა და შეფერადების საშუალებას აძლევდა.

ქალაქის მართველობამ სასწაული მოახდინა და დამშუულ ქალაქში ერთი დღის განმავლობაში ყოველივე ბლომად იყო. ინვალიდების მოედანზე, მდინარის ნაპირას, ბაზრობა გაიმართა: ვაეები თავიანთ ფანჩატურებში ძებვებს, დაფნით შემზადებულ ღორს, ნანტერის ნამცხვარს, ტკბილ კვებებს, ოთხგირვანი პურებს, ლიმონადს და ლენოს ჰყიდდნენ. ზოგიერთ ადგილას პატრიოტული სიმღერები, კოკარდები, სამყუროვანი ზონრები, სპილენძის ძეწკვები და ყოველგვარი სათამაშოები იყიდებოდა. ევარისტი უბრალო ოქრომჭედელის ფანჩატურთან გაჩერდა, ამოიჩინა ვერცხლის ბეჭედი, რომელზედაც ფულარში გახვეული მარატის თავი იყო გამოხატული და ელოდის წამოაცვა ხელზე.

ამავე საღამოს გაღვნი გამზარი ზის ქუჩაზე წავიდა, მოქალაქე რომშორისას, რომელმაც საჩქარო საქმისთვის მიიწვია. მხატვარი ქალმა საწოლ ოთახში მიიღო, ნახევრად გახდილი, სავარძელზე იყო წამოწოლილი.

მოქალაქე ქალის მიხვრა მოხვრა, დაფერფლილ ვნებას ხატავდა, მის გარშემო კი ყოველივე მის სილაზათესა, სიცელქესა და ნიკს მოწმობდა: არფა ნახევრად გაღებულ კლავესინის ახლო, გიტარა სავარძელში, ამოქარგული სატინის მატრია; მაგიდაზე დაუმთავრებელი მინიატურა, წიგნები, ქალღლები ეწყო; ბიბლიოტეკა თითქო დარბეული იყო მწვენიერი ხელის მიერ, რომელსაც ცოდნა ისევე სწყუროდა, როგორც გრანობა. ქალმა სტუნარს ხელი გაუწოდა საკონცნელად და უთხრა:

— გამარჯვება, მოქალაქე ნაფიცო მსაჯულო!... სწორედ დღეს უფროსმარობესპიერმა პრეზიდენტ ერმანის გადასაცემად წერილი გადმომცა, რომელშიც დაახლოვებით შემდეგი სწერია: „მიგითითებთ მოქალაქე გამლენზე, რომელიც აღსანიშნავია თავისი ნიჭითა და პატრიოტიზმით. თავის თავს ვალდებულად ესთვლი პატრიოტი გიჩვენოთ, რომელიც მტკიცედ ადგია რევოლიუციურ ხაზს. იმედია შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებთ და სარგებლობას ნოუტანთ რესპუბლიკელს“... ეს წერილი დაუყოვნებლივ პრეზიდენტ ერმანს გადაეცემა.



მან მეტად ზრდილობიანად მიიღო და მაშინვე ხელი მოაწყო დაწესების კალაღდს. ეს საქმე გათავებულა...

გამლენი ცოტა ხანს სდუმდა. შემდეგ ქალს უთბრა:

— მოქალაქის ასულო, თუმიცა პურის ნატეხიც არ მაქვს რომ დედაჩემს მივსცე, პატროსნებას გეფიცებით, რომ ნათციის თანამდებობას ნხოლოდ იმისთვის მივიღებ, რომ რესპუბლიკას ვემსახურო და მის მტრებზე შური ვიძიო.

ქალმა იფიქრა, რომ მადლობა ცოტა არ იუოს ცივი იყო, ხოლო კომპლიმენტი მშრალი. მას ეჭვი შეეპარა, რომ გამლენს თავაზიანობა აკლდა. მაგრამ ამ ქალს ახალგაზრდობა ისე უყვარდა, რომ ადვილად აპატიებდა ცოტაოდენ სიმშრალეს. გამლენი ლამაზი იყო, თავი ღირსეულად ეჭირა. „თანდათან გამოიწრთობა“ — იფიქრა ქალმა. და სავაზშმოდ მოიპატიოა: ის სტუმრებს ყოველ საღამოს ღებულობდა თეატრის შემდეგ.

— ჩემთან ჭკვიან და ნიჭიერ ადამიანებს შეხედებით: ელვეიუს, ტალმას, მოქალაქე ვიეტს, რომელიც ღეჭსებს სწერს დაკეთილ რითმებზე გასაოცარი ისტატობით. მოქალაქე ფრანსუამ თავისი „პამელა“ წაგვიკითხა, რომელსაც ამ წუთში „ნაციის თეატრში“ ამზადებენ. ამ ნაწარმოების სტილი ლაზათიანი და წმინდაა, როგორც ყოველივე რაც მოქალაქე ფრანსუას კალამს დაუწერია. პიესა ამაღლელებულია: ჩვენ ცრემლები დაგვადვრეგინა. პამელას როლს ახალგაზრდა ლანეის ქალი შეასრულებს.

— თქვენს აზრს დიდათ ვაუასებ, მოქალაქის ასულო, უპასუხა გამლენმა: მაგრამ „ნაციის თეატრი“ ნაკლებ ნაციონალურია. სავალალოა, რომ მოქალაქე ფრანსუამ თავისი პიესები ისეთ სცენაზე უნდა გამოიტანოს, რომელიც ლაიამ შებღალა თავისი უბადრუკი ღეჭსებით: საზოგადოებას ჯერ არ დაეიწყნია „კანონთა მეგობრის“ მიერ გამოწვეული სკანდალი.

— მოქალაქე გამლენ, ლაიას სიამოვნებით გითმობთ, ის არ არის ჩემი მეგობარი.

თუ მოქალაქე როშმორისან თავისი გავლენა გამოიყენა, რომ გამლენი მნიშვნელოვან პოსტზე დაენიშნებინა, ეს გულკეთილობით როდი მოსვლია: მას იმედი ჰქონდა რომ ასეთი დავალების შემდეგ მხატვარი დაუახლოვდებოდა და სამსახურს გაუწევდა იმ შეპთხევეაში, თუ ქალს რაიმე საქმე ექნებოდა სასამართლოში: ეს კი ადვილი მოსალოდნელი იყო, მიტომ რომ ის ბევრ წერილებს ავზავნიდა საფრანგეთსა და უცხოეთში, ასეთი მიწერმოწერა კი მაშინ საეჭვოდ იყო მიმჩნეული.

— თეატრში ხშირად დადიხართ, მოქალაქე გამლენ?

ამ წუთში ოთახში შემოვიდა დრაგონი ჰანრი, მომხიბლავი როგორც ყმაწვილი შატილი. წელში ორი უზარმაზარი დამბაზა ერქო.

ახლად მოსულმა ხელზე აკოცა მშვენიერ მოქალაქე მანდილოსანს: ქალმა კი უთბრა:

— აი, ეს გახლავთ მოქალაქე ევარისტ გამლენი, რომლის გულისთვის მთელი დღე გავატარე საყოველთაო უზრუნველობის კომიტეტში. ის კი მადლობასაც არ მეუბნება. მოდით ვალანძლეთ ამისთვის.





— ეჰ, მოქალაქის ასულო, წამოიძახა მხედარმა, თქვენ ნახვრტყენთ კანონ-მდებლები ტიულერში. რა დამაღონებელი სანახაობაა! ჭანსა... სასქსსკალი ხალხის წარმომადგენლები დესპოტისთვის მორთულ ზაღებში უნდა ისბდნენ? იგივე ხომლი, რომელიც კაპიტების შეთქმულებასა და ანტლანეტის ორგებს ანათებდა, დღეს ჩვენ კანონმდებლებს უნათებს. თვით ბუნებაც კი შეშფოთდება.

— მეგობარო, მიულოცეთ, მოქალაქე გამლენს: ნაფიც მსაჯულად დაინიშნა რევოლიუციურ ტრიბუნალში.

— მომილოცავს მოქალაქე! სთქვა ჰანრიმ. დიდათ მიხარია, რომ თქვენი ხასიათის ადამიანს ასეთ თანამდებობას აძლევენ. მაგრამ მართალი ვითრით, ნაკლებ ვენდობი კონვენტის ზომიერი წევრების მიერ შექმნილ მეთოდიურ სამართალს, ამ უწყინარ ნემეზიდას, რომელიც შეთქმულებს იცავს, მოლაღატეებს ინდობს, ძლივს ბედავს ფედერალისტებთან შებრძოლებას და ეშინია, რომ აესტრიელი ქალი სამართალში მისცეს. არა, რევოლიუციური ტრიბუნალი ვერ იხსნის რესპუბლიკას. დიდათ დამნაშავენი არიან ისინი, ვინც დღევანდელ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ხალხური სამართალის აღურთოვანება შეაჩერეს!

— ჰანრი, სთქვა მოქალაქე რომშორისამ, მომაწოდეთ ის ფლაკონი...

გამლენს შინ დედა და მოხუცი ბროტო დახედნენ, რომელნიც პიკეტის პარტიას თამაშობდნენ მზრჩოლავ სანათურთან. დედა მისი „მეფეს ტერს“ უცხადებდა შეუშორებლად.

გაიგო თუ არა, რომ მისი ვაჟი ნაფიცი მსაჯული გახდა, ალტაცებული დედაკაცი მოეხვია: წარმოიდგინა რომ ეს დიდი პატივი იყო ორივესთვის და ამიერიდან ყოველდღე საჭმელი ექნებოდათ.

— ბედნიერი ვარ და ვამაყობ, რომ ნაფიცის დედა ვარ, სთქვა მან. სამართალი კარგი რამ არის, აუცილებელიცაა ამ ქვეყნად: თუ სამართალი არ ყოფილიყო, სუსტი ადამიანები ყოველთვის შევიწროებულნი იქნებოდნენ. და მწამს, რომ შენ სამართლიანად განსჯი, ჩემო ევარისტ: ბავშვობიდანვე სამართლიანი და კეთილი იყავი ყოველ საქმეში. უსამართლობის ატანი არ შეგეძლო და ძალმომრეობას მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდი. უბედური ადამიანები გებრალბოდა, სიბრალული კი საუკეთესო სამკაულია მსაჯულისათვის... მითხარი, ევარისტ, როგორ გეცვათ ამ უზენაეს ტრიბუნალში?

გამლენმა უპასუხა, რომ მსაჯულებს შავი ფრთით მორთული ქუდი ეხურათ, მაგრამ ფორმის კოსტიუმს კი არა, ჩვეულებრივ ტანისამოსს იცვამდნენ.

— უკეთესი იქნებოდა, რომ წამოსასხამი და პარიკი ჰქონოდათ, სთქვა დედაკაცი: უფრო პატიესაცემი შეხედულება იქნებოდათ. შენ თუმცა ხშირად დაუდევრად გაცვია, მაგრამ ლამაზი ხარ და თვითონ ამშვენებ ტანისამოსს; ჩვეულებრივ ადამიანს კი რაიმე სამკაული სჭირია, რომ მნიშვნელოვანი გამოჩნდეს: უკეთესი იქნებოდა რომ ნაფიც მსაჯულებს წამოსასხამი და პარიკი ჰქონოდათ.

ამ დედაკაცს გაგონილი ჰქონდა, რომ ტრიბუნალის ნაფიცი მსაჯულის თანამდებობა შემოსავლიანი იყო; თავი ვერ შეიკავა და იკითხა საკმაოდ იძლე-



ვიან თუ არა ჯამაგირს, რომ მსაჯულს სათანადო მდგომარეობაში მოქალაქეებს საზოგადოებაში.

დიდათ კმაყოფილი იყო, როცა გაიგო, რომ ნაფიცი მსაჯულები სდომამაში თვრამეტ ლივრს ღებულობდნენ, სახელმწიფოს საწინააღმდეგო დანაშაულობანი კი მით აიძულებნათ ხშირად დასწრებოდნენ სხდომებს.

— მოქალაქეც, თქვენ დიდი და საპასუხისმგებლო თანამდებობით ხართ აღჭურვილი. გილოცავთ, რომ თქვენი სინდისის სინათლით გააწუქებთ ისეთ სამსჯავროს, რომელიც შეიძლება ყოველ სამსჯავროზე მტკიცე და უკოდელი იყოს: შიტომ რომ ის კეთილსა და ბოროტს ეძებს არა თავის თავად, არამედ რეალურ ინტერესებისა და გამოაწკარავებულ გრძობების თელსაზრისით. არჩევანი უნდა მოახდინოთ არა კეშმარტებასა და შეცდომის შორის: მათი გამოარკვევა შეუძლებელია ადამიანის ხსტი გონებისთვის. არჩევანი უნდა მოახდინოთ სიძულვილსა და სიყვარულს შორის, რაიცა თითქმის თავის თავად ხდება. თქვენ გულის კარნახის მიხედვით გაასამართლებთ და იმედი უნდა იქონიოთ, რომ არ შეესდებოთ; შიტომ რომ გადაწყვეტილება სწორი იქნება, თუ იმ ვნებათა ღელვის გაუწევთ ანგარიშს, რომელიც თქვენთვის წმინდა კანონია. მაგრამ ბოლოს ეს სულ ერთია, თქვენი პრეზიდენტი რომ ვყოფილიყავი, ბედს კამათელს გადაეწყვეტინებდი: სამართლის საკითხში ეს ყველაზე უტყუარი საშუალებაა.

## IX

ვეარისტ ვაღენს სამსახური უნდა დაეწყო 14 სექტემბერს, ტრიბუნალის რეორგანიზაციის დროს. ეს სასამართლო ოთხ სექციით იყოფოდა, თვითველში თხუთმეტი ნაფიცი უნდა ყოფილიყო. სატუსალოები სავსე იყო; საზოგადოებრივი ბრალმდებელი თვრამეტ საათს მუშაობდა დღეში. ჯარების დამარცხებას პროვინციების აჯანყებას, შეთქმულებას, ლალატს—კონვენტმა ტერორით უპასუხა. ღმერთებს სწყუროდათ.

ახალი ნაფიცი მსაჯული პირველ დღესვე სადარბაზოდ ესტუმრა პრეზიდენტ ერმანს, რომელმაც ის მოხიბლა ტკბილი ენითა და თავაზიანი მოქცევით. პრეზიდენტი რობესპიერის თანამემამულე და მეგობარი იყო, მის შეხედულებებს ეთანხმებოდა და როგორც სჩანდა, მგრძობიარე და სათნო ადამიანი იყო. იმ ადამიანური გრძობებით იყო გამსჭვალული, რომელიც დიდხანს არ ჰქონიათ მოსამართლეებს დიუპატისა და ბეკარიამდე. მას თავი მოჰქონდა იმით, რომ იურიდიულ სფეროში ზნე ჩვეულების დარბილებას შეუწყო ხელი წამებისა და სამარცხენო ან სასტიკი სასჯელის მოსპობით. უხაროდა, რომ სიკვდილით დასჯა, რომელიც წინათ ხშირად მცირედი დანაშაულისთვის იმარტებოდა, იშვიათი გახდა და მხოლოდ მძიმე დამანაშავეების დასასჯელად იყო დარჩენილი. თავის მხრივ, რობესპიერივით, მზად იყო სავსებით მოესპო ეს სასჯელი გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე საზოგადოების მშვიდობიანობას შეეხებოდა. მაგრამ სახელმწიფოს ლალატით მიაჩნდა ისეთი დანაშაულის დაუსჯელად დატოვება, რომელიც ეროვნული სუვერენობის წინააღმდეგ იყო ჩადენილი.



ყველა მისი ამბანაგები ასევე ფიქრობდნენ: რევოლუციური-ბრალმძებნილი შთაგონებული იყო ძველი მონარქიული იდეით სახელმწიფოს განხორციელების შესახებ. აბსოლუტური ხელისუფლების რვა საუკუნის ისტორიამ ჩამოაყალიბა ეს მაგისტრატები და თავისუფლების მტრებს ისინი ღვთაებრივი უფლების პრინციპების მიხედვით ასამართლებდნენ.

იმავე დღეს ევარისტ გამლენი წარუდგა საზოგადოებრივ ბრალმძებელს, მოქალაქე ფუკიეს, რომელმაც ის თავის კაბინეტში მიიღო, სადაც მდივანთან ერთად მუშაობდა. ეს იყო ღონიერი მამაკაცი, ტლანქი ხმითა და კატის თვალვით; მის ფართო ნაყეავილარ, ტყვიისფერ სახეზე ნათლად სჩანდა ის განადგურება, რასაც კარჩაკეტილი ცხოვრება იწვევს ჯანმრთელ ადამიანში, რომელიც სუფთა ჰაერისა და ენერგიული ვარჯიშობისთვის არის შექმნილი, მის გარშემო საქმეების ზეინი იყო ამართული საფლავის კედლებივით, და ეტყობოდა, რომ ბრალმძებელს უყვარდა ეს საშინელი ქალაქის გროვა, რომელსაც, თითქო მისი დაღრწობა უნდოდა. მისი სიტყვები შესაფერი იყო ბეჯითი მაგისტრატისთვის, რომლის ინტერესი არ სცილდებოდა სამსახურის წრეს. მას არაყის სუნი უდიოდა; მაგრამ როგორც სჩანდა მხოლოდ ჯანის შესამაგრებლად სვამდა, თავი კი ყოველთვის ფიზიკური ჰქონდა და მისი საუბარი ყოველთვის ერთნაირად ნათელი და ერთნაირად მოსაწყენი იყო.

ბრალმძებელი სასახლის პატარა ბინაზე სცხოვრობდა ახალგაზრდა ცოლითა და ტყუპი შვილებითურთ. ამასგარდა ოჯახში ძალუა ჰენრიეტა და მოსამსახურე პელაგია ჰყავდა. ის ნახად და გულკეთილად ეპრობოდა ამ ქალებს. ერთი სიტყვით, მოქალაქე ფოკიე საუცხოვო მეოჯახე და მოსამსახურე იყო, თუმცა არც ბევრი იდეები ჰქონია, არც ფანტაზია.

გამლენმა ერთ გეარო გულისტკივილით შეამჩნია, რომ ახალი წესწყობილების მაგისტრატები სულითა და ქცევით ძალიან ჰგავდნენ ძველი წესწყობილების მაგისტრატებს. ეს ადვილი ასახსნელიც იყო: ჰერმანი წინათ მთავარი ადვოკატის თანამდებობას ასრულებდა არტუას საბჭოში; ფუკიე პროკურორად იყო შატლენში. მათ ძველი ხასიათი შეინარჩუნეს. მაგრამ ევარისტ გამლენს სწამდა, რომ რევოლუციისაში ადამიანები ხელახლად იბადებოდნენ.

სასამართლოდან გამოსვლისას გამლენმა სასახლის გაღვრეი განვლო და პაწია მალაზიების წინ შეჩერდა, სადაც ლამაზად სხვა და სხვა საქონელი იყო გამოფენილი, მან გადაფურცლა მოქალაქე ტენოს ქალის მალაზიის წინ გამოფენილი ისტორიული, პოლიტიკური და ფილოსოფიური წიგნები: „მონობის ბორკილები“, „გამოკვლევა დესპოტიზმის შესახებ“, „დედოფლების დანაშაული“. „მადლობა ღმერთს, იფიქრა მხატვარმა: ეს ნამდვილი რესპუბლიკური ნაწერებია“. შემდეგ იკითხა, ბევრი იყიდებოდა თუ არა ასეთი წიგნები. გამყიდველმა ქალმა თავი გააქნია:

— არაფერი იყიდება ვარდა რომანებისა და სიმულერებისა.

შემდეგ უთითდან პატარა წიგნი გამოიღო:

— აი, საუცხოვო საკითხავი წიგნაკი. ევრისტმა სათაური წაიკითხა: „მონაზონი პერანგში“.



მეზობელ მილაზიაში გამლენმა ფილიპ დემი დაინახა, რამდენიმე წელიწადი წინილად იდგა მოქალაქე სენ გორის ასულის სურნელოვან ფლაკონებსა, ჰუდრის კოლოფებსა და პარკებს შუა და ამ მშვენიერ ქალს ნახად სიყვარულს უმღავენებდა; ჰპირდებოდა, რომ მის სურათს დახატავდა და საღამოსთვის ერთი წუთით მოსალაპარაკებლად იწვევდა ტიულერის ბაღში. დემი ლამაზი იყო. რწმენა გადმოდიოდა მისი ტუჩებიდან და მის თვალბშიც გამოჰკრთოდა. მოქალაქე სენ გორის ასული ესიტყვოდ უსმენდა, მხად იყო დაეჯერა და თვალებს ძირს ჰხრიდა.

რათა თავის საშინელ თანამდებობას უფრო ახლო გასცნობოდა, ახალმა ნაფიცმა მსაჯულმა გადასწყვიტა დამსწრე საზოგადოებაში შერეულიყო და ტრიბუნალის სხდომას დასწრებოდა. კიბე აიარა, სადაც დიდძალი ხალხი იჯდა, როგორც ამფითეატრში და პარიზის პარლამენტის ძველს ზღაღში შევიდა.

ვილაც გენერალს ასამართლებდნენ. იმ დროს, მოხუცი ბროტოს სიტყვების მიხედვით, „კონვენტი მისი უდიდებულესობის, პრიტანეთის მეფის მთავრობასავით, დამარცხებულ გენერლებს ასამართლებდა, მიტომ რომ მოლაღატე გენერლების გასამართლება არ შეეძლო; ეს უკანასკნელნი ხელში არ უფარდებოდნენ“. ეს ბროტოს აზრით იმიტომ კი არ ხდებოდა, „რომ ყოველი დამარცხებული გენერალი აუცილებლად დამნაშავე ყოფილიყო: ყოველ ბრძოლაში ერთი გენერალი მაინც ხომ უნდა აუცილებლად დამარცხებულიყო. მაგრამ გენერლების გასამხნეველად არაფერი იყო ისე საჭირო, როგორც ერთი მათგანის დასჯა სიკვდილით...“

ამ თავქარიანი და უჯიათი სამხედრო პირებიდან, რომელთაც ხშირად ხარისებურ თავის ქალაში ჩიტისებური ტვინი ჰქონდათ, რავდენიმე კიდევ მჯდარა დამნაშავეს სკამზე. ამ გენერალსაც, როგორც სჩნდა, ბევრად მეტი არ ესმოდა ალყებისა და იერიშებისა ვიდრე მსაჯულებს, რომელნიც მას ჰკითხავდნენ: ბრალმდებელი და დამცველი იზნეოდნენ ნამდვილ და სათადარიგო ჯარსა, შეიარაღებულსა, მარშსა და კონტრმარშსა, და მოქალაქეების ბრბო, რომელიც ყურს უგდებდა გაუგებარ და დაუსრულებელ კამათს, ამ ჭკუათხელი მხედრის იქით ხედავდა ზღუდე მოშლილ და გათიშულ სამშობლოს, რომელიც უთვალავ სატანჯველს განიცდიდა; და ეს ადამიანები შეხედვით და ხმით ავგონებდნენ ნაფიც მსაჯულებს, რომელნიც წყნარად ისხდნენ თავიანთ სკამზე, თავიანთი განაჩენი რესპუბლიკის მტრისთვის დაეცათ თავში კეტავით.

ევარისტი ამას მძაფრად გრძნობდა: ამ უზადრუცი ადამიანის სახით იმ ორი საზიზღარი ურჩხულის განადგურება იყო საჭირო, რომელნიც სამშობლოს სწეწავენდნენ: აჯანყებისა და დამარცხების სულის. რა მნიშვნელობა ჰქონდა იმის გამორკვევას, დამნაშავე იყო ეს სამხედრო პირი თუ არა? ამ დროს, როცა ეანდვა ხელახლა გათამამებული იყო, ტულონი მტერს ნებდებოდა, რენის არმია უკან იხვედა, ჩრდილოეთის არმია ცეზარის ყოფილ ბანაკში იყრიდა თავს და შეიძლებოდა იმპერატორის ჯარებისა, ინგლისელების და ჰოლანდიელების მიერ განადგურებულიყო, — მხოლოდ ერთს რასმეს ჰქონდა მნიშვნელობა: გე-



ნერლებს უნდა ან გამარჯვების მოპოება ესწავლათ ან დაიხრებოდნენ, გამ-  
ლენი ერთხანს უცქეროდა ამ მიხრწნილ და გამოტყინებულ მხედარს, რომელიც  
სასამართლოში ისევ იზნეოდა, როგორც ჩრდილოეთის მინდვრებში დაიბნა და  
რომ სხვებივით არ დაეყვირა: „სიკვდილი მაგასო“, საჩქაროდ დასტოვა სხდომის  
დარბაზი.

სექციის კრებაზე ახალ ნაფიც მსაჯულს პრეზიდენტმა ოლივიემ მიულოცა;  
მან გამლენი ბარნაბელთა ძველ საკურთხეველზე, რომელიც სამშობლოს საკურ-  
თხეველად იყო გადაქცეული, დააფიცა, რომ თავის სულში ყოველგვარ ადამიან-  
ურ სისუსტეს ჩაახშობდა კაცობრიობის წმინდა სახელის გულისთვის. გამლენმა  
ხელი ასწია და ფიცის მოწმედ თავისუფლებისთვის წამებული მარატის დიდებ-  
ული აჩრდილი მოიწვია; ხალხის მეგობრის ბიუსტი ეკლესიის ერთ ერთ სვეტ-  
თან იდგა, ლებელტიეს ბიუსტის პირდაპირ.

გაისმა ტაშისა და დრტინების ხმა ერთსა და იმავე დროს. კრება აღელვებ-  
ული იყო. ეკლესიის შესავალში სექციის წევრების ერთი ჯგუფი იდგა, შუბე-  
ბით შეიარაღებული და ღრიალებდა.

— რესპუბლიკელებს არ შეეფერება, სთქვა პრეზიდენტმა, რომ თავისუფ-  
ალი ადამიანების კრებაზე შეიარაღებულნი მოდიან.

და განქარვულება გასცა, რომ მაშინვე თოფები და შუბები ყოფილ სალა-  
როში დაეწყით.

კათედრაზე, რომელიც ტრიბუნად იყო გადაქცეული და წითელი ჩაჩით  
დავეირგვინებული, მოქალაქე ბოვიზაგი ავიდა, ზედამხედველობის კომიტეტი-  
დან; ის კუზიანი იყო და ცოცხალი გამოჩეკვლეუბა და ამრეხილი ტუჩები  
ქმონდა.

— გენერლები გვალატობენ და ჩვენს ჯარებს მტრებს აბარებენ. იმპე-  
რატორის არმია ჩვენს ცხენოსან ჯარს პერონისა და სენ კენტენისკენ ახეინებს,  
ტულონი ინგლისელებს გადაეცა, რომელთაც იქ თოთხმეტი ათასი კაცი გად-  
მოსხეს. რესპუბლიკის მტრები შეთქმულებას აწყობენ თვით კონვენტის კედ-  
ლებ შუა. სატახტო ქალაქში უთვალი შეთქმულება ეწყობა ავსტრიელი ქალის  
განსათავისუფლებლად. ამ წუთში, როცა მე ვლაპარაკობ, ხმა დადის რომ კა-  
პეტის ვაფი ტამპლიდან გაიქცა და ტრიუმფით შევიდა სენკლუში: მისთვის  
ტირანების ტახტის ამართვა სურთ. სანოვაცის გაძვირება, ქაღალდის ფულის  
დაცემა იმ მანევრების შედეგია, რომელსაც ჩვენსავე ოჯახში, ჩენი თვლების  
წინ უცხოეთის აგენტები ახდენენ. საზოგადოების ხსნის გულისთვის მოქალაქე  
ნაფიც მსაჯულს მოვეუწოდებ შეუბრალებელი იყოს შეთქმულთა და მოღალატე-  
თა წინააღმდეგ.

როცა ორატორი ტრიბუნიდან ჩამოდიოდა, აქა იქ ხმა გაისმა: „ძირს რე-  
ვოლუციური ტრიბუნალი! ძირს ზომიერნი!“

ახლა ტრიბუნაზე მოქალაქე უფროსი დიუპონი ავიდა, მსუქანი, დაეღვა-  
ლოცებიანი, ღურგალი ტიონვილის მოედნიდან, რომელსაც ერთი კითხვის მი-  
ცემა უნდოდა მოქალაქე მსაჯულისთვის, და გამლენს ჰკითხა, როგორ მოიქცე-  
ვა ბრისოს მიმდევრებისა და კაპეტის ქერივის საქმეში.



ვერისტი გაუბედავი იყო და არ იცოდა საჯაროდ ლაპარაკი მისგან აღ-  
შფოთებამ მასში შთაგონება გამოიწვია. თუხუ წამოდგას სვეტიცხოვეს და  
ყრუდ სთქვა:

— მე მაგისტრალი ვარ. მხოლოდ ჩემს სინდისს ვაფუწვევ ანგარიშს. ყო-  
ველი ალტჰმა წინააღმდეგი იქნებოდა ჩემი ვალდებულების გრძობისა. მე ტრი-  
ბუნალში უნდა ვილაპარაკო და ჩუმი ვიყო სხვაგან. ამიერიდან თქვენ ვეღარ  
გიცნობთ. მე მოსამართლე ვარ: ვერ ვიცნობ ვერც მტრებს, ვერც მეგობრებს.  
კრება, რომელიც ვათიშული, მერყევი და ცვალებადი იყო, როგორც ყო-  
ველი კრება, თანაგრძობით შეხედა გამლენის სიტყვებს. მაგრამ მოქალაქე უფ-  
როსმა დიუპონმა განაახლა იერიში; გამლენისთვის ვერ ეპატიებია, რომ სწო-  
რედ ის თანამდებობა მიიღო, რომლის მიღება მას უნდოდა.

— მე მესმის, მომწონს კიდევ მოქალაქე ნაფიცი მსაჯულის მოსაზრებები.  
ამბობენ, რომ ის პატრიოტია: ჩის სინდისს მივანდოთ იმის გადაჭრა, შეუძლია  
თუ არა მას იუდეუს ტრიბუნალში, რომელიც რესპუბლიკის მტრების გასანად-  
გურებლად აიის შექმნილი, მაგრამ ინდოვს მათ. არის ისეთი მდგო-  
მარეობა, რომელსაც ყოველი ნამდვილი მოქალაქე უნდა გაეკეცეს. განა დამტკი-  
ცებული არ არის, რომ ტრიბუნალის მრავალი წევრი მოყიდული იყო დამნაშა-  
ვეების ოქროთი და პრეზიდენტმა მონტანემ თაღლითობაც კი ჩაიდინა, რომ  
კორდეს ქალისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა?

ამ სიტყვებმა დარბაზში მძლავრი ტაშისცემა გამოიწვია. თაღები კიდევ  
ძანძარებდნენ, როცა ტრიბუნალზე ფორტიუნე ტრიუმფერი ავიდა. ძალიან გაზბა-  
რიყო ბოლო დროს. ფერმკრთალი სახე კიდევ უფრო აძლიერებდა ლოყების სი-  
წითლეს; ქუთუთოები დაწითლებული ჰქონდა, თვალები შუშას მიუგავდა.

— მოქალაქეებო, სთქვა მან სუსტი და ცოტა არ იყოს მორთოლარე ხმით,  
რომელიც მაყურებელს გულის სიღრმეში სწვდებოდა; შეუძლებელია რევოლუ-  
ციურს ტრიბუნალზე იქვის შეტანა ისე, რომ იმავე დროს იქვე არ შეიტანოთ  
კონვენტსა და საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტზე, მიტომ რომ ტრიბუნალი ამ  
დაწესებულებებიდან გამომდინარეობს. მოქალაქე ბოვიზაგმა შეგვაშფოთა, როცა  
გვითხრა, რომ პრეზიდენტმა მონტანემ საქმის წარმოება შესცვალა დამნაშავეის  
სასარგებლოდ. რატომ აღარ დაუმატა ჩვენს დასამშვიდებლად, რომ მონტანე  
საზოგადოებრივი ბრალმძღვლის მოთხოვნით გადააყენეს და დაატუსაღეს?.. განა  
არ შეიძლება საზოგადოების ხსნისთვის ზრუნვა ისე, რომ ყოველგან იქვე არ  
ვსთესოთ? განა კონვენტში სრულიად აღარ არიან ნიქიერი და ლირსული წევ-  
რები? განა რომესპიერი, კეტონი, სენ ეიუსტი პატროსანი ადამიანები არ  
არიან? საყურადღებოა, რომ უმკაცრეს სიტყვებს ისეთი პირები ამბობენ, რომელ-  
თაც არასოდეს უბრძოლიათ რესპუბლიკისთვის! სწორედ ასე უნდა ელაპარაკ-  
ნათ იმ შემთხვევაშიც, თუ უნდოდათ რომ ხალხისთვის რესპუბლიკა შეეძლე-  
ბინათ. მოქალაქეებო, ნაკლებ ვიხმაუროთ და მეტი ვაკეთოთ! საფრანგეთის ხსნა  
ზარბაზნებით შეიძლება და არა ყოფივით. ამ სექციის სარდაფები ჯერ კიდევ  
სანახევროდ არ არის გაწმენილი. მოქალაქეებს კიდევ დიდძალი ბრინჯაო მო-  
ეპოება. გავახსენოთ მდიდრებს, რომ თუ თავიანთ თავის დაზღვევა სურთ, პა-



ტრიოტული შემოწირულება უნდა შემოიტანონ. თქვენი ხელშეწყობის იმედი უნდა იქონიონ ჩვენი სახელოვანი ჯარისკაცების კოლენმა და ქალებმა. სხვათა შორის ერთს ჯარისკაცს, ჰუსარ პომიეს (ოგიუსტენს), რომელიც წინათ იერუსალემის ქუჩაზე, მეთავე ნომერში ლენინის სარდაფის მორბედი მოსამსახურე იყო, კონდესიან ექვსი ავსტრიელი ცენოსანი დასხვია თავს, როცა ცენტები მიჰყავდა წყლის დასაღვებად: პომიეს ორი მოუკლავს, ხოლო სხვები ტყვეთ წამოუტყვანია. მოვითხოვ, სექციამ გამოაცხადოს, რომ პომიემ (ავგუსტინმა) თავისი ვალი შეასრულა.

ამ სიტყვას ტაში დაუკრეს და სექციონერები დაიშალნენ „რესპუბლიკას გაუმარჯოს“ ძაბილით.

გამლენმა, რომელიც ტრიუბერთან ერთად მარტო დარჩა ეკლესიაში, მას ხელი ჩამოართვა და უთხრა:

გმადლობ. როგორ ხარ?

— შე ძალიან კარგად, ძალიან კარგად! უპასუხა ტრიუბერმა და ნახველს სისხლი ჩაეყოლა ცხვირსახოცში. რესპუბლიკას ბევრი მტერი ჰყავს შიგნით და გარეთ; ჩვენს სექციაშიც საკმაოდ მოიპოვებიან. იმპერიებს ყვირილით კი არა, რკინით და კანონით აარსებენ... ლამე მშვიდობისა, გამლენ: რადენიმე წერილი მაქვს დასაწერი.

და ტრიუბერმა ტუჩებზე ცხვირსახოცი მიიღო და ყოფილ სალაროში შევიდა.

მოქალაქე გამლენის ქვრივი ამიერიდან უკეთ იკეთებდა კოკარდას თავსახურაზე. ამასთანავე როგორც ნაფიცის დედას შეეფერებოდა, ერთბაშით ბურჟუაზიული სერიოზულობა, რესპუბლიკური თავმომწონობა და ღირსეული მიხერა-მოხერა შეიძინა. მოკრძალება მართლმსაჯულების წინაშე, ალტაცება, რომელსაც მასში ბავშობიდანვე მსაჯულის მანტია იწვევდა, ღვთაებრივი ბრძოლა, გამოწვეული ამ ადამიანების მიერ, რომელთაც ღმერთმა ამ ქვეყანაზე სიცოცხლისა და სიკვდილის უფლება გადასცა, ეველა ეს გრძნობები ამ დედაკაცის თვალში პატივსაცემად და წმინდათ ხდიდა მის ვაჟს, რომელიც აქამდე თითქმის ბავშვად მიაჩნდა. მას გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ მართლმსაჯულება არსებითად უცვლელი რჩებოდა რევოლიუციის მანძილზე, როგორც კონვენტის კანონმდებლებს სწამდათ, რომ სახელმწიფო უცვლელი იყო რეჟიმების განადგურების მიუხედავად. და ამ დედაკაცს სწამდა, რომ რევოლიუციური ტრიბუნალი ისეთივე დიდებული დაწესებულებაა, როგორც წინანდელი სასამართლოები იყო.

მოქალაქე ბროტო ახალგაზრდა მავსტრატის მიმართ გაკვირვებასა და ძალდატანებულ მოკრძალებას იჩენდა. მოქალაქე გამლენის ქვრივივით ის მართლმსაჯულების თანდათანობით განვითარებას აღიარებდა; მაგრამ ამ დედაკაცის წინააღმდეგ რევოლიუციური ტრიბუნალებიც ისევე სძულდა, როგორც ძველი წესწყობილების სასამართლოები. რადგან თავისი აზრის აშკარად გამოთქმისა ეშინოდა, ხოლო სრულიად დადუმებას ვერ ახერხებდა, პარადოქსებით ლაპარაკობდა.



კობდა. ვამლენს ეს პარადოქსები იმდენად ესმოდა, რომ ნათლად შეგნება რაკ-დენად აკლდა ბროტოს მოქალაქეობრივი შეგნება.

— უზენაესი ტრიბუნალი, რომელშიც თქვენ ჩქარა მონაწილეობას მიიღებთ, უთხრა ბროტომ ერთხელ ვამლენს, საფრანგეთის სენატის მიერ იყო დაწესებული რესპუბლიკის გადასარჩენად; და რასაკვირველია ეს ღირსეული იდეა იყო, მოსამართლეების შექმნა საკუთარი მტრებისთვის. იმ ხალხის სულგრძელობა მესმის, მხოლოდ პოლიტიკა ვერ განიგია. მათი მხრით, უფრო გონიერი იქნებოდა, რომ თავიანთი შეურიგებელი მოწინააღმდეგენი სიბნელეში დაეხოცათ, ხოლო დანარჩენნი საჩუქრებით და დაპირებით მიემხროთ. ტრიბუნალი კაცს თავში ნელა ურტყამს და უფრო აშინებს, ვიდრე აზიანებს: უწინარეს ყოვლისა მაგალითით მოქმედობს. თქვენი ტრიბუნალის შეუსაბამობა იმაშია, რომ ის სცდილობს ერთმანეთში მოარიგოს მის მიერვე დაშინებული ადამიანები და დახლართულ ინტერესებითა და გათიშულ გრძნობებით ვაშკვალულ—ელემენტებისგან დიდი საზოგადოება შექმნას, რომელშიც თანხმობით უნდა იმოქმედოს. თქვენ შიშს სთესავთ: ხოლო შიში უფრო უწყობს ხელს გმირების წარმოშობას ვიდრე ვაჟაკობა. გისურვებთ, მოქალაქე ვამლენ, რომ არასოდეს თქვენ წინააღმდეგ არ მომართულიყოს შიშის მიერ გამოწვეული სასწაული!

გრაეიორმა დემიიმ, რომელიც ამ კვირაში ერთ ახოვან და შავვრემან გამყიდველ ქალით, ფლორათი, იყო გატაკებული, მაინც ორიოდვე წუთი იპოვა თავის ამხანაგის მისალოცაჲდ; გრაეიორმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ასეთი დანიშნა დიდათ სასახელო იყო ხელოვნებისთვის.

ელოდის შეუგნებლად სძულდა ყოველივე რაც რევოლუციის ენებოდა, ხოლო საზოგადოებრივი თანამდებობის ეშინოდა როგორც საშიში მოქიშისა; რომელსაც შეეძლო საყვარლის გული გადაებირებინა: მაგრამ ისიც გრძნობდა მოკრძალებას მაგისტრატის წინაშე, რომელიც მოწოდებული იყო დიდმნიშვნელოვანი საქმეები გადაეწყვიტა. ამას გარდა ევარისტის დანიშნვა ნაფიცი მსაჯულის თანამდებობაზე ქალის გარშემო ბედნიერ ატმოსფერას ქმნიდა, რაცა მას დიდათ ახარებდა: მოქალაქე ეან ბლესი ატელიეში მივიდა ტიონვილის ქუჩაზე და მამაკაცური სინაზით გადაჰკოცნა ახლად დანიშნული ნაფიცი მსაჯული.

როგორც ყველა კონტრრევოლუციონერი ის მოწინააღმდეგეობით ეპყრობოდა რესპუბლიკის დაწესებულებებს და მას შემდეგ რაც ერთხელ დაბეზლებულ იქმნა, რევოლუციური ტრიბუნალი მასში პატივისცემასა და შიშს იწვევდა. როგორც თვალსაჩინო და საქმეებში გართულ პიროვნებას, ეან ბლესს არ შეეძლო სრულიად დამშვიდებული ყოფილიყო: მოქალაქე ვამლენი ამიერიდან საკირო ადამიანად მიაჩნდა. და ბოლოს გრაეიურების გამყიდველი ლოიალური მოქალაქე იყო.

მან ხელი გაუწოდა მხატვარმა ვისტრატს, თავი გამოიჩინა გულთბილ და პატრიოტ კაცად, რომელიც ხელოვნებას და თავისუფლებას ეტრფის. ვამლენმა მეგობრულად ჩამოართვა ხელი.

— მოქალაქე ევარისტ ვამლენ, სთქვა ეან ბლესმა, თქვენს მეგობრობასა





და თქვენს ნიქს მივმართავე. ხვალ ორი დღით სოფელში უნდა წავიყვანოთ: თქვენ დახატაეთ, ხოლო ჩვენ ვისაუბრებთ.

რაედენჯერმე წელიწადში გრავიურების გამყიდველს ორი ან სამი დღით სოფელში მიჰყავდა მხატვრები, რომელნიც მისი კარნახით პეიზაჟებსა და ნანგრევებს ხატავდნენ. მას კარვად ესმოდა რა მოსწონდა საზოგადოებას: მგზავრობიდან მოტანილ ესკიზებს მხატვრები ატელიეში ამთავრებდნენ და შემდეგ მოქალაქე ბლეზი ამ სურათებს მოგვებით ჰყიდა. ამავე ესკიზების მიხედვით ის უკეთდა კარებისა და სარკეების კარნიშებს, რომელიც თითქმის უფრო ძვირად იყიდებოდა ვიდრე ჰუბერ რომერის დეკორატიული ნაწარმოები.

ახლა მოქალაქე გამლენი იმისთვის მიჰყავდა, რომ ფაბრიკები დაეხატვი-ნებინა ქალაქ გარედ: მის თვალში ნაფიცი მსახულის თანამდებობამ გაზარდა მხატვარი. ამ მოგზაურობაში კიდევ ორი მხატვარი იღებდა მონაწილეობას, გრავიორი დემაი, რომელიც კარგ ესკიზებს აკეთებდა და უცნობი ფილიპ დიუბუა, რომელიც მშვენიერად მუშაობდა რომერის ეანრში. წინანდებურად მოქალაქის ქალი ელოდი თავის მეგობარ მოქალაქის ქალ აზართან ერთად მიჰყვებოდა მხატვრების საზოგადოებას.

ჯან ბლეზმა კარვად იცოდა თავისი ინტერესების შეკავშირება თავის სიამოვნებასთან და ამიტომ აგრეთვე მოქალაქე ტევენინის ასული დაჰპატია, ვოდვეილის მსახიობი ქალი, რომელიც მის კარგ მეგობრად ითვლებოდა.

## X

შაბათს, დილის შვიდ საათზე მოქალაქე ბლეზმა, რომელსაც შავი სამკუთხედი ქუდი ეხურა და წითელი ვილეთი, ტყავის შარვალი და გადმოკეცილი ყვითელი ჩექმები ეცვა, მათრახის ტარით დააკაჟუნა ატელიეს კარებზე. მოქალაქე გამლენის ქვრივი მოქალაქე ბროტტოს ესაუბრებოდა, ხოლო ევარისტი მალალ თეთრ ყელსახვევს იკრავდა პატარა სარკის წინ.

— კეთილ მგზავრობას გისურვებთ, ბატონო ბლეზ! სთქვა ქვრივმა. რადგან პეიზაჟების დასახატავად მიდიხართ, რად არ გინდათ ბატონი ბროტტოც თან წაიყვანოთ? ისიც ხომ მხატვარია.

— ძალიან კარგი! სთქვა ჯან ბლეზმა, მოქალაქე ბროტტო, წამოდით ჩვენთან ერთად.

როცა ბროტტო, რომელსაც საზოგადოება და მხიარულება უყვარდა, დარწმუნდა, რომ ზედმეტი არ იქნებოდა, — ის დასთანხმდა.

ელოდიმ მვითხე სართულში აირბინა და გადაჰკოცნა მოქალაქე გამლენის ქვრივი, რომელსაც დედას ეძახოდა. ახალგაზრდა ქალი თეთრ ტანისამოსში იყო გამოწყობილი და ლაიანდის სურნელებას აჰმევედა.

მოედანზე მათ ორცხენიანი ძველი ეტლი უცდიდა. როზა ტევენინი შიგ იჯდა თულიენა აზართან ერთად. ელოდიმ მარჯენი მსახიობი ქალი დასეა, თვითონ მარცხნივ დაჯდა, ხოლო წერწეტი ეთულიენა შუაში ჩაისვა. ბროტტო უკანა სკამზე დაჯდა მოქალაქე ტევენინის ასულის პირდაპირ; ფილიპ დიუბუა მოქალაქე აზარის ასულის პირდაპირ; ევარისტი ელოდის პირდაპირ. დევის



ტოლა ფილიპ დემი კი მეეტლის გვერდით მოთავსდა; გრავიორის მსგავსად უცნაურ ამბებს უყვებოდა ამერიკის შესახებ, სადაც ხეები, მისი სიტყვით, ძებვებსა და კუპატებს იბამდნენ.

მოქალაქე ბლენი, როგორც საუცხოვო კაეალერი, ცხენზე იჯდა და მტვრიანი ჰაერის თავიდან ასაცილებლად ეტლს წინ უსწრებდა.

რავდენადაც ეტლი ქალაქის განაპირა ქუჩებს სცილდებოდა, იმდენად მოგზაურები იფიწყებდნენ ყოველდღიურს საზრუნავს: მინდერებისა, მცენარეებისა და ცის დანახვაზე მათი აზრი მომღიშარი და ნაზი ხდებოდა. ელოდი ოცნებაში წავიდა: წარმოიდგინა რომ წიწილების გასაზრდელად იყო გაჩენილი და ვითომ სადაც სოფელში სკობერობდა მდინარის ნაპირას, ტყის მახლობლად, ევარისტთან ერთად, რომელიც ვითომ მომრიგებელი მოსამართლე იყო.

გზის განაპირ ჩამწკრივებული ხეები თითქო ეტლის შესახვედრად მობოდნენ. სოფელში გაელისას ეზოს მცველი ძაღლები ყუფით თავს ესხმოდენ ეტლს და ცხენებს ფეხებზე ეცემოდნენ, ხოლო ზოგიერთი ქუჩაში გაწოლილი მეძებარი ზანტად დგებოდა; ქათმები უცებ იფანტებოდნენ, ბატები კი მკვიდროდ შეეგუფულნი წენარად მიდიოდნენ. შეთხუპული ბავშვები ეტლს ცნობის მოყვარეობით უცქეროდნენ. თბილი დილა იღგა, ცა ნათელი იყო. დამზარული ნიადაგი წვიმას უტდიდა. მგზაურები ჩამოხტნენ ვილუჯის მახლობლად. როცა დაბაში იყვნენ, დემი ხილის გამყიდველ ქალთან შევიდა ალუბლის საყიდლად, რათა ქალებისთვის პირი გაესველებინა. მაგრამ გამყიდველი ქალი ლამაზი იყო: დემი აღარ ბრუნდებოდა. ფილიპ დიუბუფამ სახუმარო სახელი დაუძახა, როგორც ჩვეულებრივ მეგობრები ეძახოდნენ.

— ჰეი, ბარბარე!.. ბარბარე!

ამ წვეულ სახელის გაგონებაზე გამელელებმა ყურები აცქვიტეს, ხოლო ფანჯრებში თავები გამოჩინენ. და როცა მოქალაქეებმა დუქნიდან გამოსული ახალგაზრდა, ლამაზი მამაკაცი დაინახეს, გახსნილი ყილეტით, ფრიალა ყელსახვევით მდევისებურ მყრდზე, ალუბლის კალათით ხელში და ჯობზე წამოცმული სერთუკით, ის გამძვებულ ეირონდელად მიიღეს: სანკიულოტები თავს დაესხნენ კიდევ და პროტესტების მიუხედავად მუნციპალიტეტში წაყვანას უპირებდნენ, თუ ბებერ ბროტტოს, გამლენს და სამ ახალგაზრდა ქალს არ დაემორჩებიათ, რომ ამ მოქალაქეს ფილიპ დემი ერქვა და გრავიორიც იყო და ნამდვილი იაკობინელიც. მაგრამ მაინც საჭირო აღმოჩნდა, რომ საეკვო პირს მოქალაქეობის მოწმობა ეჩვენებინა, რომელიც მას შემთხვევით აღმოაჩნდა, რაც დიდით გასაკვირალი იყო ამ დაუდევარი ადამიანისგან. ამის შემდეგ დემიმ თავი დააღწია სოფლის პატრიოტებს, ისე რომ არაფერი დაჰკლებია, გარდა არშიებიანი სახელურისა, რომელიც მიწვე-მოწვევის დროს მოჰგლიჯეს; ეს დანაკლისი კი ადვილი ასატანი იყო. ნაციონალურმა გვარდიელებმა ბოდიშიც კი მოიხადეს და ტრიუმფით წაყვანაც დაუპირეს მუნციპალიტეტში.

განთავისუფლებულ დემის ქალები გარს შემოეხვიენენ. გრავიორს ფილიპ დიუბუა არ უყვარდა, იკენეულობდა, რომ ის თაღლითობდა; ზემოდან გადახედა და მწარე ღმილით უთხრა:



— დიუბუა, თუ კიდევ ბარბარე მიწოდენ, ბრისოს დაგაქრეწენ. თუ ბატარა ტანის, მსუქანი და სასაცილო კაცია; ქონიანი თმა და ოფლიანი წველები აქვს. ყველას ეგონება, რომ ურცხვი ბრისო ხარ, ხალხის მტერი; და აღწვითებული რესპუბლიკელები პირველ ბოძზე ჩამოგკიდებენ... გესმის თუ არა?

მოქალაქე ბლენზა ის იყო ცხენს წყალი დააღვინა და ყველას არწმუნებდა, რომ მან მოაგვარა საქმე, თუმცა ცხადი იყო, რომ საქმე უმისოთ მოგვარდა.

მგზავრები ეტლში ჩასხდნენ. გზაში დემაი ასწავლიდა მეეტლეს, რომ სწორედ ამ ლონგიუმოს მინდორზე ერთ დროს მთვარის მცხოვრებლები ჩამოვარდნენ. ფორმითა და ფერით ისინი ბაყაყებს წააგავდნენ, მხოლოდ უფრო მაღალი ტანისანი იყვნენ. ფილიპ დიუბუა და გამლენი ხელოვნებაზე ლაპარაკობდნენ. დიუბუა, რენიოლის ბოწაფე, რომში იყო ნამყოფი. მის ნანახი ჰქონდა რაფაელის მიერ შესრულებული კედლის მხატვრობა, რომელსაც ყველა შედეგრებზე მაღლა აყენებდა. გაკვირვებული იყო აგრეთვე კორნეციოს კოლორიტით, ანნიბალ კარრაჩის გონებამახვილობით და დომინიკინის მონახულობით, მაგრამ სტილის მხრით შეუდარებლად მიაჩნდა პომპეო ბატონის სურათები. რომში ყოფნის დროს ბატონ მენაეოსა და მადამ ლებრენტან დადიოდა; ორივენი რევოლუციის მოწინააღმდეგენი იყვნენ; ამიტომ მათ შესახებ არაფერს ამბობდა. მაგრამ ის აქებდა ანჯელიკა კაუფმანს, რომელსაც გემოვნებაც ჰქონდა და ანტიური ხელოვნების ცოდნაც.

გამლენი სწულდა, რომ ფრანგული ხელოვნების დაგვიანებულ აღორძინებას ასე ჩქარა დიდი დაჭყეითება მოჰყვა. ამის მიზეზად სთვლიდა საზოგადოების ზნეჩვეულებებსა და აკადემიას, რომელიც თავის მხრით ზნეჩვეულებების გამომატველი იყო. მაგრამ აკადემია საბედნიეროდ მოსპეს და დავიდა და მისი სკოლა ახალი პრინციპების მიხედვით თავისუფალი ხალხის შესაფერ ხელოვნებას ჰქმნიდა. ახალგაზრდა მხატვრებში გამლენი პირველ რიგში ჰენგენსა და ტოპინოლებრენს ასახელებდა. ფილიპ დიუბუა დავიდზე მაღლა თავის მასწავლებელს, რენიოლს აყენებდა და აგრეთვე ახალგაზრდა ფერარზე ამყარებდა დიდ იმედებს.

ელოდი ქათინაურებს უძღვნიდა მოქალაქე ტევენენის ასულის წითელი ხავერდის ქუდს და თეთრ კაბას. მსახიობი ქალი თავის მხრით თანამგზავრების ტანისამოსს აქებდა და ამტკიცებდა, რომ ტანისამოსი მით უკეთესია, რაც ნაკლებ არის შემკობილი.

— საუკეთესო სამკაული უბრალოებაა, ამბობდა მსახიობი ქალი. ამას ჩვენ თეატრში ვტყობილობთ, სადაც ტანისამოსმა ყველა მოძრაობა უნდა გამოაშკარავოს. ამაშია მისი მშვენიერება, მეტი არც არის საჭირო.

— თქვენ მართალი ხართ, ჩემო კარგო, უპასუხა ელოდემ. მაგრამ ჩაცმადახურვაში არაფერი არ ჯდება ისე ძვირად, როგორც უბრალოება. თუ ზიზილ-პიპილებიან კაბას ვიცვამთ, ეს ყოველთვის ცუდი გემოვნების ბრალი როდია; ხან და ხან ეს ეკონომიის გულისთვისაც ხდება.

ქალები დიდი ინტერესით ლაპარაკობდნენ შემოდგომის მოდებსა, სწორ კაბებსა, მოკლე ტალიებზე.



— რადენად იმახინჯებენ ქალები თავს, რომ მოდას „მისცემენ“ სიტყვა ტვეენის ქალმა. ადამიანმა თავის სხეულის ფორმების მიხედვით უნდა ჩაიცვას.

— მშენიერი მხოლოდ ერთი რამ, სიტყვა გააღწემა: ქსოვილის უბრალოდ მოსხმა ტანზე და დანაოჭება. გამოჭრილი და შეკერილი ტანისამოსი საშინელია. ეს აზრი უფრო შესაფერი იყო ვინკელმანის წიგნისთვის, ვიდრე ადამიანისთვის, რომელიც პარიზელ ქალებს ებაძებოდა და ამიტომ უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

ჩქარი, მსუბუქი სიტყვები ფრთაშესხმული მიმოქროდნენ მოლაპარაკეებს შორის, შლიდნენ ან აფრიალებდნენ ნატიფ ქსოვილებს, ზოლიან ფლორანს, პეკინს, სიცილიენს, გაზს, ნანკინს.

ბებერი ბროტო უსმენდა და მელანქოლიური სიტყვებით ოცნებობდა სეზონის თხელ ქსოვილებზე, რომელნიც მომხიბლავ სხეულის ნაკეთებს ჰფარავენ, ორიოდ წელიწადს სცოცხლობენ, კვდებიან და ხელახლა იბადებიან მინდვრის ყვავილებივით. და მისი თვალები, რომელნიც ხან ამ სამ ახალგაზრდა ქალს შესცქეროდნენ, ხან ხნულებში ამოსულ გვირილისა და ყაყაჩოს ყვავილებს, ცრემლებით ინამებოდნენ.

ცხრა საათისთვის ორანჯის მიალწიეს და „ზარის“ სასტუმროში ჩამოხტნენ, რომელიც კოლქმარს პუატრინებს ეჭირათ. მოქალაქე ბლესს მოესწრო კიდევ თავისი ტანისამოსის გაწმენდა და ქალებს ეტლიდან ჩამოსვლას შეელოდა. სადილის დაკვეთის შემდეგ, მთელი საზოგადოება ყუთებითა, კარდონებით, მოლბერტებითა და ქოლგებით ქვეითად გაემგზავრა იმ საუცხოვო ადგილებისაკენ, სადაც ორე და ივეტი ერთდებიან და საიდანაც სჩანს აწვევნილი ღონეთუმოს ველი, სენის ნაპირები და სენეენევივის ტყე.

გან ბლესი მხატვრების ჯგუფს მეთაურობდა და ყოფილ ფინანსისტს ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ელაპარაკებოდა, ევარისტმა უცებ ბუნების სიყვარული იგრძნო: თვალები ცრემლებით ვესებოდა, როცა მომკვლებს ხედავდა, რომელნიც ძნებს ჰკრავდნენ; გულა თანხმობის და სიყვარულის ოცნებით ჰქონდა აესილი. დემაი ქალებს თმაში მინდვრის ყვავილების მტვერს აყრიდა. სამივე ქალს, როგორც ქალაქის მცხოვრებლებს თაიგულები უყვარდათ და მინდორში საროს ყვავილის, პიტნის, მტრედის ფერის, მელისკულის, ერთი სიტყვით მთელი იმ ფლორის შეგროვებას შეუდგნენ, რომელსაც ზაფხულის მიწურული იძლევა. თან-გაკ რუსსომ ბოტანიკის მოდა შემოიტანა მოქალაქე ქალების საზოგადოებაში: ამიტომ მათ ყველა ყვავილების სახელები და მნიშვნელობა იცოდნენ. ელოდის ხელში დაეფხმენა ნაზი ყვავილის თავები: მან ამოიხბრა:

— ეჭე ყვავილები კვდებიან კიდევ.

ყველანი საქმეს შეუდგნენ და შეეცადნენ ბუნება ისე გამოეხატათ, როგორც ზედადნენ: მაგრამ თვითველი ამა თუ იმ ოსტატის თვალებით ჰხედავდა, ფილიპ დიუბუამ პიუსერ რობერის განრის მიხედვით მიტოვებული ფერმა, მოკრილი ხეები, გამშრალი ხევი დახატა. ევარისტ გააღწემა ივეტის ნაპირას პუსსენის პეიზაჟები აღმოაჩინა. ფილიპ დემაი სამტრედოს წინ იჯდა და კალოსა და დიუპლესის მანერის მიხედვით მუშაობდა. მოხუცი ბროტო თავის



თავს ფლამანდიელების მიმბაძველად სთვლიდა და დიდის კულმინაციებით ძროხას ხატავდა. ელოდი ქოხის ესკიზს აკეთებდა, ხოლო მას შემდეგ მგეროვარს კეთლიენა ფერადებს უმზადებდა. ბავშვები ზედ ეკვროდნენ ელოდის და მის ესკიზს ხარბად უცქეროდნენ. ქალი მათ განზე სწევდა, და ხან და ხან შაქრის ყინულს აძლევდა. მოქალაქე ტევენენის ქალი ამ შეთხუზნილ ბავშვებს ასუფთავებდა, ჰკოცნიდა და თმებში ყვავილებს უკეთებდა. ის მათ ნელანქოლიურად ეფერებოდა, მიტომ რომ თვითონ დედობის სიხარული არ განეცადა და ამასგარდა ნაზი გრძნობის გამოხატვით თავისთავის გამშვენიერება უნდოდა.

მხოლოდ ერთად ერთი ტევენენის ქალი არ ხატავდა. ის სცდილობდა როლიას შესწავლას და კიდევ უფრო თავის მოწონებას. ხელში რვეული ეჭირა და მსუბუქი ნაბიჯით და მომხიბლავი სახით ხან ერთთან მივიდოდა, ხან მეორესთან. „არც ფერი აქვს, არც ფიგურა, არც სხეული, არც ხმა“, ამბობდნენ ქალები; ამისდამიუხედავად ის სიერცეს მოძრაობით, ფერადებით და ჰარმონიით ავსებდა. ეს ქალი შემეკნარი და ლამაზი, მიბნედილი და დაუღალავი იყო ერთსა და იმავე დროს და მთელი საზოგადოების სიხარულს წარმოადგენდა. თუმცა ცვალებადი გუნება ჰქონდა, მაგრამ მაინც ყოველთვის მზიარული, მგრძობიარე, ფიცხელი იყო, ამასთანავე ადვილად შემთვისებელი; მარილიანი ლაპარაკი იცოდა, გულზევიადიც იყო და თავმდაბალიც, გულწრფელიც და ყალბიც; და თუ ეს მომხიბლავი როზა ტევენენი კარგად ვერ აწარმოებდა თავის საქმეებს, თუ ის გაღმერთებული არ იყო, ამის მიზეზი ცუდი დროება იყო და აგრეთვე ის გარემოება, რომ პარიზში გრაციებს საჭურთხეველებს აღარ უგებდნენ და საქმეველს აღარ უკმევდნენ. ელოდი გრინასებს აკეთებდა და დედინაცვალს უწოდებდა, როცა მის შესახებ ლაპარაკობდა, მაგრამ ძალაუნებურად ეჭვემდებარებოდა მის მომხიბლავ გარეგნობას.

ერთ-ერთ თეატრში „ვიზიტანდინებს“ ამზადებდნენ; როზა ვახარებული იყო, რომ იქ ისეთ როლს შეასრულებდა, რომელიც მეტად ბუნებრივი იყო. ის ბუნებრივობას ეძებდა ყოველგან.

— განა „ჰამელას“ აღარ ვიხილავთ? იკითხა დემამ.

„ნაციის თეატრი“ დაეკტილი იყო, ხოლო მსახიობები სატუსალოებში ისხდნენ.

— განა ეს თავისუფლება? წამოიძახა ტევენენმა და მშვენიერი თვალები ზეკისკენ აღაპყრო.

— „ნაციის თეატრის“ მსახიობები არისტოკრატები არიან, სთქვა გამლენმა, და მოქალაქე ფრანსუას პიესა მავურებელში სინანულს იწვევს, რომ თავიდანაწარობამ პრივილეგიები დაჰკარგა.

— მაშ ბატონებო, სთქვა ტევენენის ქალმა, თქვენ მხოლოდ იმათი მოსმენა შეგიძლიათ, ვინც გეპირფერებათ?..

შტადლზეტ ყველამ შიმშილი იგრძნო და მთელი ეს პატარა საზოგადოება სასტუმროში დაბრუნდა.

ევარისტი ელოდის გვერდით იჯდა, იღიმებოდა და პირველი შეხვედრის დღეებს ახსენებდა:



— ორი ბარტყი ბუდიდან თქვენი ფანჯრის რაფაზე ზამთრულად მოკვეთ მათ ჰყვებადით; ერთი წამოიზარდა და გაფრინდა. მეორე მოკვდა მისი ბუდეში, რომელიც თქვენ გაუკეთეთ. „სწორედ ეს უფრო მეტად მიყვარდა“, სთქვით თქვენ. იმ დღეს თქვენ წითელი ლენტე გქონდათ თმაში, ელოდი.

ფილიპ დიუბუა და ბროტო კოტათი მოშორებით ისხდნენ და რომზე ლაპარაკობდნენ, სადაც ორივენი ყოფილიყვნენ, ბროტო 1772 წელს, დიუბუა კი აკადემიის უკანასკნელ დღეებში. და ბებერ ბროტოს პრინცესა მონდროგონეც გაახსენდა, რომელსაც ის სიამოვნებით გაუხიარებდა თავის გულის ტკივილს, მაგრამ ეს წუედლებელი იყო, რადგან ქალს გრაფი ალტიერი ისე დასდევდა როგორც ჩრდილი. ფილიპ დიუბუამ სთქვა, რომ ერთხელ სადილზე მიწვეულ იქმნა კარდინალ დე ბერნისთან, რომელიც მეტად თავახიანი მასპინძელი იყო ყოველთვის.

— მე ვიცნობდი კარდინალს, სთქვა ბროტომ, და ვამაყობ, რომ რადენიმე ხნის განმავლობაში დაახლოვებულიც ვიყავი მასთან: მას უყვარდა ნაძირალების მეგობრობა. მეტისმეტად სასიამოვნო ადამიანი იყო და თუკაც ზღაპრების გავრცელება ხელობად ჰქონდა გადაქცეული, მის ნეჭში მეტი იყო სალი ფილოსოფია, ვიდრე ამ თქვენი იაკობინელების თავში, რომელთაც ჩვენი გატენა უნდათ ზნეობითა და რელიგიით. რასაკვირველია მე ჩვენი უბრალო ხუცები შირჩვენია, რომელთაც არ ესმით რას ლაპარაკობენ და რას აკეთებენ, ვიდრე ეს გაცოფებული კანონმდებლები, რომელნიც გულმოდგინეთ თავებს გვკრიან გილიოტინაზე, რათა უფრო ბრძენნი და სათნონი გავხადონ და გვაიძულებენ თავიანი ესცეთ უზენაესს არსებას, რომელსაც ისინი თავის მსგავსად შეუტყმნია. წარსულ დროებაში დეზილეტების კარის ეკლესიაში მღვდელმსახურებას ასრულებდა ერთი საწყალი ხუცესი, რომელიც ჩვეულებრივ დაღვეის შემდეგ ამბობდა: „ნუ გავკიცხავთ კოდეილებს: ჩვენ, უღირსი მღვდლები, ხომ მათი შემწევობით ვცხოვრობთ!“ დამეთანხმეთ, ბატონო, რომ ამ ლოკუანის მკობხელს სალი აზრები ჰქონდა მართველობაზე. საჭიროა ეს შევიგნოთ და ადამიანები ვმართოთ ისე, როგორც ისინი არიან და არა ისე, როგორც ჩვენ გვინდა რომ იყვნენ.

ტვეენენის ქალი ბებერ ბროტოს მიუახლოვდა. მან იცოდა, რომ ეს კაცი ერთს დროს ფართოდ ცხოვრობდა და მისი ფანტაზია ამ ბრწყინვალე მოგონებით ამკობდა ყოფილი ფინანსისტის ახლანდელ სიღარიბეს. თვით ეს სიღარიბე ამ ქალს ნაკლებ დამამცივებლად მიაჩნდა, რადგან ყველას ეხებოდა და საზოგადოების გაკოტრებით იყო გამოწვეული. დიდის ცნობის მოკვარეობით და მოკრძალებით უტკუროდა, მიტომ რომ იმ ხელგაშლილა კრებების ნაშთად სთვლიდა, რომელთაც მისი უფროსი ამბანაგი ქალები აქებდნენ. და ამას გარდა დიდათ მოსწონდა ამ ადამიანის საქციელიც, მისი ყავისფერი რედინგოტიც, რომელიც ასეთი გახუნებული და ასეთი სუფთა იყო ერთსა და იმავე დროს.

— ბატონო ბროტო, სთქვა ქალმა, ცნობილია, რომ წინათ განათებულ დამებში, თქვენ მსახიობ და მოკვყევე ქალებთან ერთად რომელიმე მშენიერ პარკში მიტების ჩრდილში მიიპარებოდით და შორეული საღამურებისა და



ქიანურების ხმას ყურს უგდებდით... ეჰ, ისინი უფრო ლამაზნი იყვნენ, კოპერის და ფრანგული კომედიის ლმერთ-ქალები, ვიდრე ჩვენ ვართ, ბუჩავი ნაციონალური თეატრის მსახიობები.

— სრულიადაც არა, ქალბატონო, უპასუხა ბროტტომ, დარწმუნებული იყავით, რომ თუ იმ დროს რომელიმე თქვენი მსგავსი ქალი გამოჩენილიყო, ის როგორც უბაღლო მბრძანებელი გაისეირნებდა იმ პარკში, რომელიც თქვენ ასე მომხიბლავად გაქვთ წარმოდგენილი...

„ხარის“ სასტუმროს სოფლის ელფერი ჰქონდა. დეკის ტოტი ზევიდან დასცქეროდა დიდს ქისკარს, რომელსაც მგზავრი ნესტიან ეზოში შეჰყავდა, სადაც ქათმები ნაგავს ჰქენკადნენ. ეზოს ბოლოში ორსართულიანი სახლი იდგა, ხავს მოკიდებული კრამიტის სახურავითა და ვარდის ბუჩქებში დამალული კედლებით. მარჯვნივ დაბალი ლობის იქით შეკრებილ ხეების წიწვრები მოსჩანდა, ხოლო მარცხნივ თავლა იდგა საბძელითურთ. კედელზე კიბე იყო მიყუდებული. იქვე ახლო ფანჩატურის ქვეშ სამეურნეო იარაღები და ხის ჯირკვები ეყარა და ძველი კაბრიოლეტი იდგა, საიდანაც მამალი ქათმებს სდარაჯობდა. ეზოს ამ მხრივ გომური საზღვრავდა, რომლის წინ სახელოვან ძეგლივით ნაკელის გოგო იყო ამართული. დაბალი ტანის ჩამრგვალებული, ჩალის ფერ თმიანი გოგო ორთითით ატრიალებდა ამ ნაკელს. თეხები და ხის ფეხსაცმელები გათხუპული ჰქონდა. აწეულ ზედატანის ქვეშ ნათლად სჩანდა მსხვილი და მოკლე კლნები. ფილიპ დემაი გოგოს ინტერესით უცქეროდა. ის გააკვირა ბუნების ახირებულმა თამაშობამ, რომელმაც ეს დაბალი, ფართო არსება შექმნა. მაგრამ ამ დროს მოსამსახურეს სასტუმროს პატრონმა დაუძახა:

— ეი, ხის ნამორო, წადი, წყალი მოიტანე!

გოგო მოტრიალდა და წითური სახე და ფართო პირი გამოაჩინა; კბილები ჩაცვენილი ჰქონდა. ხარის რქა იყო საჭირო, რომ ეს მძლავრი კბილები დაეყრევივნენ. ორთითი მხარზე გაიღო და გაიცინა. კუნძებივით მსხვილი ტიტველი მკლავები მზეზე ბრწყინავდნენ.

სუფრა დაბალ ოთახში იყო გაშლილი. კედელზე ძველი თოფები ეკიდა, ბუხარში ქათმები იწეებოდა. ოთახი კირით იყო შეთეთრებული, სინათლე მხოლოდ კარების მწვანე შუშებიდან და ერთად ერთ ფანჯარიდან შემოდის: ამ ფანჯარასთან დიდდა თავის ჯარას ატრიალებდა. მას რეგენტის დროს არსიებიანი თავსახურავე ჰქონდა. სახეზე ბუხები აუდებოდნენ. მაგრამ დედაბერი ყურადღების არ აქცევდა. პატარობისას მას ენახა როგორ გაიარა ეტლით ლუი XIV. სამოცი წლის წინად პარიჟში ყოფილიყო. სუსტი ლილინით ახალგაზრდა ქალებს მოუყვა, რომ ქალაქის რატუშა, ტიულიერის სასახლე და სამარტენი ნახა. გაიხსენა, რომ როცა სამეფო ხიდს გადიოდა, ვაშლებით სავსე ნავს მოჰკრა თვალი. ნავი გადატრიალდა, ვაშლები წყალმა წაიღო და მთელი მდინარე თითქო გაწითლდა.

მან იცოდა რომ ცვლილებები მოხდა სამეფოში, განსაკუთრებით რა შუღლი სწარმოებდა იმ მღვდლებს შორის, რომელთაც შეფიცეს და რომელთაც არ შეჰფიცეს ახალ წესწყობილებას, იცოდა აგრეთვე რომ ომები სწარმოებდა,



შემშოლობა მძინვარებდა და ზეცა ცუდ ნიშნებს იძლეოდა. მარქსმა მან რომ მეფე მკედარი იყო. ის გვირახში გააპარეს, ხოლო მის მაგივრად კლასის ჩვეულებრივი ადამიანი მისცესო.

დიდედანთან კალათი იდგა, რომელშიც პაწია ენო პუატრინი იწვა, ტყვე-  
ნენის ქალმა ძეწნის კალათი ასწია და ბავშვს გაეცინა. პაწია ციებ-ციხელებით  
იყო დაუძღურებული და სუსტად კვნესოდა. ეტყობოდა რომ ის ძალიან ავად  
იყო; ექიმიც კი მოიწვიეს მოქალაქე პელპორტი, რომელიც კონვენტის დეპუ-  
ტატის მოადგილე იყო და ჯილდოს არ ლეზულობდა ექიმობისთვის.

მოქალაქე ტყვენენის ასული თავის თავს ყველგან შინაურულად გრძნობდა;  
არ მოეწონა მოსამსახურე გოგოს გარეცხილი ქურქელი და დაიწყო თეფშებისა,  
ჯამების და ჩანგლების წმენდა, მოქალაქე პუატრინისა წვეწის ხარწავდა, დროგა-  
მოშეებით გემოსაც უშინჯავდა, როგორც კარგს დიასახლისს შეეფერება; ტლო-  
დი ამ დროს ახლად გამოღებულ ოთხ ლივრინ პურს სკრიდა; გამლენმა ეს  
შეამჩნია და უთხრა:

— ამ რამდენიმე დღის წინათ ვილაც გერმანელის მიერ დაწერილი წიგ-  
ნი წაიკითხე, ძალიან კარგად ვადმოთარგმნილი. ავტორის სახელი აღარ მახ-  
სოეს. იქ ნაამბობია, რომ ლამაზი ახალგაზრდა ქალი, სახელად შარლოტა,  
თქვენსავით პურს სკრიდა, ელოდი, და ამას ისე ლახათიანად შვრებოდა, რომ  
მოთხრობის გმირს ვერტერს შეუყვარდა.

— და ეს ამბავი ჯგაჭისწერით მთავრდება? იკითხა ელოდიმ.

— არა, უპასუხა ევარისტმა: ვერტერის თვით მკვლელობით მთავრდება.

ნადიანად ისადილეს, რადგან ძალიან შიოდათ: მაგრამ საქმელი ნაკლები  
იყო, ეან ბლენი უცმაყოფილო დარჩა. ის ვასტრონომი იყო, კარგი ჭამა-სმა ცხოვ-  
რების მიზნად მიაჩნდა; საყოველთაო შემშლილი მის გაუმაძღრობას კიდევ უფრო  
ალიზიანებდა. რევოლიუციამ ყველა სახლებში ქვაბები პირქვე დაამხო; ჩვეუ-  
ლებრივმა მოქალაქეებმა არ იცოდნენ რა ექამათ. ეან ბლენივით მოხერხებული  
ადამიანები, რომელნიც საერთო სალატაკის დროს გამდიდრდნენ, რესტორა-  
ნებში დადიოდნენ და მუცელზე სქდებოდნენ ზედმეტე ჭამით, ხოლო ბროტო,  
რომელიც წაბლითა, და პურის ნამტვრევებით იკვებებოდა, ხანდახან გრიშო  
დელა რენიერთან შედიოდა ელისეის მინდვრის თავში. მას უნდოდა ფაქიზი  
ვასტრონომის სახელი დავსახურებინა და თუმცა სუფრაზე პუატრინის მიერ  
ლორის ჭონით მომზადებული კომპოსტო ედო, მაინც მეცნიერული სამზარეუ-  
ლოს რეცეპტებსა და ვასტრონომიულ დარიგებებს იძლეოდა, და რადგან გამ-  
ლენმა ვანაცხადა, რომ რესპუბლიკელი არაფრად სთელის ჭამა-სმის სიამოვნე-  
ბას, მან ამ ახალგაზრდა სპარტანელს შავი შეჭამადის ნამდვილი რეცეპტი  
მისცა.

სადილის შემდეგ ეან ბლენმა, რომელიც არასოდეს არ ივიწყებდა სერიო-  
ზულ საქმეებს, თავის მოხეტიალე აკადემიას სასტუმროს ესკიზები გააკეთებინ-  
ა; მას ეს ხაცისანი შენობა რომანტიულათ მიაჩნდა. როცა ფილიპ დემაი და ფი-  
ლიპ დიუბუა თავლას ხატავდენ, მოსამსახურე გოგომ ლორებს საკვები გამოუ-  
ტანა. ამ დროს დაბალი ზალიდან აქიმი პელიპორტი გამოვიდა, რომელიც პა-





წია პუატრინის გასაშინჯად მოსულყო, მხატვრებს მიუხედავად მისი წმინდა-  
შათის ნიქს, სასახლოს მთელი ერისთვის და შემდეგ შათი ცხარეობის გრძობაში  
ჩამდგარ გოგოს მიაპყრო:

— შეხედეთ ახ არსებას, ეს ერთი გოგო კი არ არის, როგორც შეიძლე-  
ბა თქვენ გვეგონოთ, ეს ორა გოგოა. ცოდეთ, რომ ნართაულად როდი ვლა-  
პარაკობ. მისი შენობის არაჩვეულებრივმა ზომამ გამაყვირვა. ერთხელ ვაგშინ-  
ჯე და დავრწმუნდი, რომ ყოველივე მისი ძვალი ორმაგი ოყო; თვითვეულ თე-  
ძოში, თვითვეულ მხარში ორ-ორი ძვალი ჰქონდა. ჩემის აზრით აქ ტყუბი ადა-  
მიანია შეკავშირებული ან უკეთ ესთქვათ შედუღებული. ძალიან საინტერესო  
შემთხვევაა. ეს ამბავი ბატონ სენტ-ილერს შევატყობინე; ძალიან მადლო-  
ბელი დარბა. ასე ბუნების უცნაურობას ხედავთ, მოქალაქეებო; ეს ხალხი ამ  
გოგოს „ხის ნამორს“ ეძახის. უფრო სწორი იქნებოდა „ხის ნამორები“ დაერ-  
ქვათ: მიტომ რომ ნამდვილად ორი გოგოა. ბუნებაშიც ბევრი რამ არის ახირე-  
ბული... ღამე მშვიდობისა, მოქალაქე მხატვრებო! ღამე ქარიშხალი იქნება...

სასტუმროს მხოლოდ ორი საწოლი ოთახი ჰქონდა—ორივე პირველ სარ-  
თულში. მარცხენა ოთახი უფრო ღამაში იყო: კედელზე ყვავილებიანი ქალა-  
დი იყო გაკრული, აგრეთვე ხელისგულის ოდენა მოვარაყული სარკე ეყიდა,  
რომელსაც ბუნები შეურაცხყოფას აყენებდენ ლუი XV ბავშვობის დროიდან.  
იქ ორი საწოლი იდგა ბუმბულებითა, ბალიშებითა და აბრეშუმის საბნებით. ეს  
ოთახი ქალებს დაუთმეს.

როცა დაძინების დრო მოვიდა, დემიამ და მოქალაქე აზარის ასულმა,  
რომელთაც ხელში შანდლები ეჭირათ, ერთმანეთს ღამე მშვიდობისა უსურვეს  
კიბეზე. გრავიორმა ქალს ხელში ქალაღდის ნაგლუჯი ჩაუდო; სთხოვდა, რომ,  
როცა ყველა დაიძინებდა, კერში ამოსულიყო მის სანახავად.

დემიამ როგორც წინდახედულმა და მოხერხებულმა კაცმა მთელი დღის  
განმავლობაში კარგად შეისწავლა ეს კერი, რომელიც ხახვის ყუთებითა, ვანხმა-  
რი ხილითა და ძველი სკივრებით იყო სავსე. იქ ერთი ძველი, კოკლი საწო-  
ლიცა და გამოთავშული თივის ლეიბიც შეამჩნია, რომელსაც თითქო აღარაინ  
ხმარობდა გარდა რწყილებისა.

მამაკაცებს მეორე უფრო პატარა ოთახში უნდა მოესვენათ, სადაც მხო-  
ლოდ სამი საწოლი იდგა. მაგრამ სიბარიტმა ბროტტომ გარედ დაიძინა თივა-  
ში. ეან ბლუზი კი სადღაც გაჭრა. დიუბუამ და გამლენმა ჩქარა ჩაიძინეს. დე-  
მაიცი ჩაწვა ლოჯინში; მაგრამ როცა სახლი ღამის სიჩუმემ მოიცვა და თითქო  
რუში წყალმაც კი დაიძინა, გრავიორი ადგა და ფეხშიშველი აპყვა ხის კიბეს,  
რომელმაც კრიალი დაიწყო. კერის კარი ნახევრად გაღებული იყო. ცხვირ-პირ-  
ში სულის შემუთავი სიციხე და დამპალი ხილის სუნის ეცა. ფეხბორებილ საწოლ-  
ზე „ხის ნამორს“ ეძინა; პირი ნახევრად დაღებული ჰქონდა, პერანგი აწეუ-  
ლი, ფეხები გაშლილი. ის უზარმაზარი ჩნდა. მთვარის შუქი სარკმელში შემო-  
დიოდა და ლაყვარდისა და ვერცხლის სხივებში ჰბანდა მის კანს, რომელიც  
ახალგაზრდობის და სიჭორფის ბრწყინვალეობა ჰქონდა ჭუჭყისა და ტალახის მიუ-  
ხედავად. დემიი ზევიდან დააწვა; ქალს გამოეღვიძა, შეეშინდა და ყვირილი და-



იწყო. მაგრამ როცა გაიგო, რას სთხოვდნენ მას, დამშვიდდა და მოკლედ განუცხადებდა, რომ სიამოვნება ეგრძნო, ხოლო საგნების სრული შეგნება კი არ ჰქონოდა...

დღემი თავის ოთახში დაბრუნდა და გათენებამდე იძინა ღრმა და შეუფოთებელი ძილით.

მეორე დღეც მუშაობაში გაატარეს. საღამოს მოხეტიალე აკადემია გზას გაუდგა პარიზისკენ. ხარჯების გასწორების დროს ეან ბლენზმა ქალაქის ფული ამოიღო: მოქალაქე პუატრინმა ჩივილი დაიწყო, რომ მხოლოდ „ოთხეუთხედი ფული“ ლა ჩნდა და საბთელის ანთება აღუთქვა იმ ხატს, რომელიც ყველ რგოლებს დააბრუნებდა.

მოქალაქე ქალებს ყვევილები შესთავაზა. „ხის ნამორი“ ოჩოფეხებითა და ზემოდ აწეული ქვედა ტანით კიბეზე იდგა, კუბუკიან და ჩასუქებულ კუნთებს აჩენდა და ვარდებს სჭრიდა დაუღალაყად. ვარდები წვიმასავეით. ნიაღვარივით, ნამქერივით ეშვებოდნენ ელოდის, ეთლიენის, ტევენენის ქალის გაშლილ კალთებში. ეტლი ვარდებით აივსო. შინ თაიგულები ილღიებით მიიტანეს და როგორც მათი ძილი, ისე მათი ვალეიძება სურნელოვანი იყო.

XI

7 სექტემბერს დილით მოქალაქე როშნორისა ნაფიც მსაჯულ გამლენთან გამეზგაურა. უნდოდა მისი ყურადღება მიექცია ერთი ნაცნობისადმი, რომელიც საეჭვოდ იყო მიჩნეული. კიბეზე ბროტო დეზილეტტს შეხვდა, რომელიც მას უყვარდა ბედნიერ დღეებში. ბროტოს გამოპროლი კარტონის ჯამბაზები მიჰქონდა გასაყიდათ, სათამაშოების ვაჭართან, კანონის ქუჩაზე: გრძელ ჯოხზე ჩამოეცო, როგორც მოარული გამყიდველები შერებიან. ის თავაზიანად ეპურობოდა ყოველ ქალს, თვით ისეთსაც, რომელმაც მის თვალში მიმზიდველობა დაპყარვა შეჩვევის გამო. ქალბატონი როშნორისა კიდევ უფრო ნაკლებ სანდომიანი უნდა ყოფილიყო ლალატისა, განშორებისა, ორგულობისა, გასუქების გამო. ამისდამიუხედავად ტალახიანი კიბის დაშლილ საფეხურებზე ისე შეხვდა, როგორც ერთს დროს დეზილეტტების სასახლის მარმარილოს ბალკონზე ხედებოდა და სთხოვა პატივი დაედო და ქერში სტუმრებოდა. ქალმა კიბე საკმაოდ მსუბუქად აირბინა და კრამიტის სახურავიან ქერში ავიდა, რომელსაც ერთად ერთი სარკმელი ანათებდა. ფეხზე დგომა შეუძლებელი იყო. სკამზე ჩამოჯდა, ცუდათ შეერთებულ კრამიტებს შეხვდა და გაკვირვებითა და გულის ტკივილით იკითხა:

— განა თქვენ აქ სცხოვრობთ, შორის? აქ დაუპატიებელი სტუმრებისა არ უნდა გეშინოდეთ. მხოლოდ ეშმაკი ან ზეადი კატა თუ გიპოვით.

— ჰო, ცოტა სივიწროეა, უპასუბა ყოფილმა აზნაურმა. ვერ დაგიმალავთ აგრეთვე, რომ ხან და ხან ჩემს სარეცელს წვიმა ასველებს, ეს ცოტა არ იყოს ხელს მიშლის. ნათელ ღამეებში მთვარეს ვხედავ, რომელიც ადამიანების სიყუარულის გამოხატულებასა და მოწმეს წარმოადგენს. შეცვარებულნი ყოველთვის



მთვარეს სცემენ თავყვანს, ქალბატონო, მიტომ რომ ეს საესკეუ ვერცხვანული და რგვალი მნათობი აშიც მის სასურველ საგანს აგონებს? გ ი ზ ლ ი მ ი თ ი ა

— მესმის, უბასუბა ქალმა.

— სეზონის მიხედვით კატები კარგ კონცერტს მართავენ ამ სახურავზე. მაგრამ სიყვარულს უნდა ვაპატიოთ მზავილი და სახურავზე ფიცის დიდება: უარესია რომ ადამიანების ცხოვრებას ტანჯვითა და დანაშაულით ავსებს.

ორივენი იმდენად ჭკვიანნი იყვნენ, რომ ერთმანეთს ახლადგაშორებულ მეგობრებით შეხვდნენ; და თუმცა ერთმანეთისთვის უცხონი გახდნენ, მაინც თავაზიანად და მეგობრულად საუბრობდნენ.

მაგრამ ქალბატონი დე როშმორისა მოწყენილი იყო. რევოლიუცია მას დიდხანს უღიმოდა და სასარგებლოც იყო, ახლა კი შემაწუხებელი და საზარალო გახდა; მის ვახშნებს ბრწყინვალეობა და მზიარულეობა მოაკლდა. მისი ქნარის ხმები აღარ ანხიარულდებდნენ მოღუშულ სახეებს. მისი სათამაშო მაგიდა მდიდარმა მოთამაშებმა მიატოვეს. ბევრი მისი მეგობარი საეჭვო გახდა და იმალეობდა; ფინანსისტი მორპარტტი დაჭერილი იყო და სწორედ მისი გულისთვის წავიდა გამლენთან სათხოვნელად. თვითონ ეს ქალი კი საეჭვოდ იყო მიჩნეული. ნაციონალურმა გვარდიელებმა მისი ბინა გაიხრციეს, კომოდის ყუთები გადაატრიალეს, იატაკის ფიცრები ამოიღეს, ლეიბები ხიშტებით გახვრიტეს. ევრაფერი აღმოაჩინეს, ბოდიში მოიხადეს და ლეინო დალიეს. მაგრამ უფრო გულმოდგინეთ რომ მოქცეულიყვნენ, მის მიწერ-მოწერას აღმოაჩენდნენ ემიგრანტ დესპილთან. ზოგიერთმა იაკობინელმა მეგობარმა ქალი გააფრთხილა, რომ მისი ფარული საყვარელი, ლამაზი მანრი, ისეთ გადაქარბებულ რევოლიუციონერობას იჩენდა, რომ მისი გულწრფელობა საეჭვოდ ხდებოდა.

ქალი ჩაფიქრებული იჯდა მუხლზე იდაყ დაყრდნობილი, ხელზე თავდაბჯენილი, მისი ძველი მეგობარი თივის ლეიბზე იყო მოთავსებული.

— თქვენ ამის შესახებ რას ფიქრობთ, მორის?

— შე ვფიქრობ, რომ ეს ადამიანები ფილოსოფოსსა და სანახაობის მოყვარეს მდიდარ მასალას აძლევენ დაფიქრებისა და გართობისთვის; მაგრამ თქვენთვის, ძვიფასო მეგობარო, უკეთესი იქნებოდა, რომ საფრანგეთის ვარემე ყოფილიყავით.

— მორის, ეს ჩვენ სად მიგვიყვანს?

— სწორედ ასეთივე კითხვა მომეცით, ლუიზა, ერთს დღეს, შერის ნაპირას, დეზილეტუს გზაზე, როცა ჩვენმა ცხენმა თავი აიშვა და ქენებით გაგვაქანა. რა ცნობის მოყვარენი ხართ ქალები! დღესაც გინდათ იცოდეთ, საით მივდივართ. მკითხავებს მიმართეთ. მე ხომ წინასწარმეტყველი არ ვარ, ჩემო ვარგო. თვით უჯანსაღეს ფილოსოფიას არ ძალუძს დახმარება გაგვიწიოს მოსაველის ცოდნაში. ეს ამბები გათავდება, მიტომ რომ ამ ქვეყნად ყოველივე თავდება. შეიძლება სხვა და სხვა ნაირი გამოსავალი წარმოვიდგინოთ. შეიძლება კოალიციამ გაიმარჯვოს და მოკავშირეები პარიზში შემოვიდნენ. ისინი შორს როდი არიან; მაგრამ მაინც ვეჭვობ, რომ აქ მოვიდნენ. რესპუბლიკის უარისკაცები ისეთი აღფრთოვანებით იბრძვიან, რომ არაფერს შეუძლია მათი დაც-



ბრობა. შეიძლება რომესპიერმა ჭკრივი დედოფალი შეერთოსა და მამოყვებო-  
რობა იკისროს, სანამ ლუი XVII მცირეწლოვანია.

— თქვენ ეს გვამთ? წამოიძახა ქალმა, რომელიც სიამოვნებით ჩაერეოდა  
ასეთს საინტერესო ინტრიგაში.

— შეიძლება კიდევ, რომ ვანდეამ გაიმარჯვოს და ნანგრევებისა და ცხედ-  
რების გროვანზე ხეცების მთაერობა დამკვიდრდეს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ,  
ძვირფასო მეგობარო, რა გაცლენა აქვს სამღვდლოებას ვაცების... უკაცრავად  
მე მინდოდა მუთქვა კაცების სასოგადოებაში. ჩემის აზრით ყველაზე უფრო მო-  
სალოდნელია, რომ რევოლუციური ტრიბუნალი იმ წესწყობილების დამშობას  
გამოიწვევს, რომელმაც ის შექმნა: ის მეტის მეტად ბევრ თავს ემუქრება.  
ამ დაწესებულებამ ბევრი ადამიანი დააფრთხო; ისინი გაერთდებიან და რე-  
კიშს დაამზობენ, რათა ტრიბუნალიც დაამზონ. თუ არ ვცდები თქვენ დაანიშ-  
ნიეთ ახალგაზრდა განმტყნებელი ამ სასამართლოში. ის სათნო ადამიანია: ის საზი-  
ნელი იქნება. რაც მეტს ვფიქრობ, მით უფრო ვრწმუნდები, ჩემო კარგო, რომ  
ეს ტრიბუნალი, რომელიც რესპუბლიკის სახსენლად არის დაწესებული, მას  
დალუბავს. კონვენტსაც უნდოდა შეფის მთაერობასავეით თავისი დღესასწაულე-  
ბი, თავისი საგანგებო სამსჯავრო ჰქონოდა და დანიშნული მოსამართლეები ჰყო-  
ლოდა, რომელნიც მასზე იქნებოდნენ დამოკიდებულნი. მაგრამ კონვენტის დღე-  
სასწაულეები დაბლა სდგანან შონარქიის დღესასწაულეებზე, ხოლო მისი  
უზენაესი სამსჯავრო ნაკლებ ვინიერია პოლიტიკურად, ვიდრე ლუი XIV  
უზენაესი სამსჯავრო იყო. რევოლუციურ ტრიბუნალში მდებალი სამართლია-  
ნობისა და უგუნური თანასწორობის გრძნობა ბატონობს, რაიცა მას ჩქარა სა-  
საცილოდ გახდის და მთელ ქვეყანასაც შეაძულებს. იკით თუ არა, ლუიზა,  
რომ ამ ტრიბუნალმა, რომელმაც ჩქარა საფრანგეთის დედოფალი და ოცდა-  
ერთი კანონმდებელი უნდა გაასამართლოს, გუშინ უბრალო მოსამსახურე ქა-  
ლი დასაჯა იმისთვის, რომ მას დაეყვირა: „გაუმარჯოს მეფესო!“ ალბად ამ  
მოსამსახურე ქალს ცუდი განზრახვა ჰქონდა და რესპუბლიკის განადგურება  
უნდოდა. ჩვენი შაფერთოსანი მოსამართლეები უილიამ შექსპირის ეანრს მის-  
დევენ, რომელიც ასე მოსწონთ ინგლისელებს და იმაში მდგომარეობს, რომ  
უძლიერეს ტრაგიკულ სცენებში ტლანქი ტაკი მასხარაობაა ჩართული.

— სტეფერივ როგორ ხარო, მორის, ჰკითხა ქალმა, ადრინდებულად ბედ-  
ნიერი ხარო თუ არა სიყვარულში?

— ეჰ, უპასუხა ბროტტომ, მტრედები თეთრ სამტრედში მიფრინავენ და  
დანგრულ კოშკზე არ სხდებიან.

— თქვენ არ გამოცვლილხართ... მშვიდობით ჩემო მეგობარო!

იმავე საღამოს დრაგონი ჰანრი დაუპატიებლად ესტუმრა ქალბატონ დე-  
როშმორისას. ქალი წერილს ბეჭდავდა, რომელიც ეერინონში უნდა წასულიყო



მოქალაქე როლინის ადრესზე, დრაგონმა იცოდა, რომ ეს წერილები ნამდვილად ინგლისში იგზავნებოდა. როლინი საფოსტო ეტლით ქალბატონ ღე როშმორის წერილებს ლეზულობდა და შემდეგ დიეპში აგზავნიდა თევზის ვაჭარი ქალის შემწეობით. ერთს ბარეის პატრონს ეს კორესპოდენცია ინგლისურ გემზე მიჰქონდა, რომელიც ამ ნაპირების მიხლობლად სტურადა. წერილებს ემიგრანტი, ბატონი დესპილი ლეზულობდა და საჭიროების მიხედვით სენ-ჯემსის კაბინეტს აცნობდა.

ჰანრი ახალგაზრდაც იყო და ლამაზიც: აქილესს მეტი მოხდენილობა და სიძლიერე არ შეუერთებია, როცა ულისის მიერ მიძღვნილი საჭურველი აისხა. მაგრამ მოქალაქე როშმორისა, რომელიც წინათ ასე მკრძნობიარედ ექცეოდა კომუნის ახალგაზრდა გმირს, ერიდებოდა მას შემდეგ რაც გააფრთხილეს, რომ ის დასმენილი იყო როგორც უკიდურესი რევოლიუციონერი და მამასადამე სახიფათო იყო მისთვის. ჰანრი თავის მხრივ გრძნობდა, რომ აგრე რიგად არ გაუჭირდებოდა ქალბატონ ღე როშმორის სიყვარულის დათმობა; მაგრამ არ მოსწონდა, რომ ქალი უწყურადღებოდ ექცეოდა. მას იმედი ჰქონდა, რომ საყვარელი ხელს შეუწყობდა ზოგიერთი ხარჯების დაფარვას, რომელიც მან რესპუბლიკის სამსახურის დროს გასწია. ბოლოს ვაემა ისიც იცოდა რომ ქალები ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებიან, ალგზნებულს სიყვარულს უცებ ცივს გულგრილობაზე სცვლიან და ადვილად სწირავენ, რასაც წინათ აღმერთებდნენ. ამიტომ მან იფიქრა, რომ მომხიზლავ ლუიზას ადვილად შეეძლო მისი თავიდან მოშორება და ციხეში ჩაგდება. კეთილგონიერება უქარახებდა ეს დაკარგული მშვენიერება ხელახლა დაეპყრო. ამიტომ ყველა ჯადო შეაჯერა, რომელიც დედაკაცის მოსახიზლველად გამოადგებოდა. ხან უახლოვდებოდა, ხან შორდებოდა, ხან ნაზად ეხებოდა, ხან გაფრბოდა, ერთი სიტყვით საბალეტო აზიკობის წესის მიხედვით იქცეოდა. შემდეგ საეარძელში ჩაჯდა და თავისი მომჯადოებელი ხმით, რომელიც ქალებს გულის სიღრმეში სწვდებოდა, ბუნება და განმარტობა უქო და წინადადება მისცა, რომ ერმენონვილში გაჰყოლოდა სასიერნოდ.

ამ დროს კი ქალი თავის ქნარს აელარუნებდა, თითქო მოწყენილიც იყო და მოუსვენრად განზე იქქირებოდა. უცებ ჰანრი მოიღუწა, სხარტად წამოიღვა და განაცხადა, რომ ჯარში მიდიოდა და რავდენიმე დღის შემდეგ მობეჭვი იქნებოდა.

ქალს არც ეჭვი გამოუთქვამს, არც გაოცება, მხოლოდ თავი დახარა იმის ნიშნად, რომ ეს გადაწყვეტილება მოიწონა.

— თქვენ მილოცავთ, არა?

— დიახ, გილოცავთ.

ქალი ახალ მეგობარს უცდიდა, რომელიც უსაზღვროდაც მოსწონდა და მეტს სარგებლობასაც მოუტანდა; სრულიად არ ჰგავდა ამ ახალგაზრდა კაცს: ნამდვილი მირაბო იყო მკედრეთით აღმდგარი. ნამდვილი დანტონი იყო გაშალაში-ნებული და მოიჯარადრის სახით მოვლენილი, ნამდვილი ლომი იყო, რომელიც



ყველა პატრიოტებს სენაში გადაყრას უპირებდა. ყოველს ვაგონებას ელოდა და თრთოდა.

წყნების ხმის  
შეზღუდვა

რა კი ქალმა ჰანრი სხვაფრივ თავიდან ვერ მოიშორა, დადუმდა, დაამთქნარა, შემდეგ ნოტები გადაფურცლა, შემდეგ კიდევ დაამთქნარა, როცა დაინახა, რომ ვაჟი წასვლას არ აპირებდა, უთხრა რომ სხვაგან მიდიოდა და საპირფარეოში ოთახში შევიდა.

ვაჟმა აღელვებული ხმით დაუძახა:

— მშვიდობით, ლუიზა!.. გნახავთ თუ არა ოდესმე?

ამ დროს მისი ხელები ფათურობდნენ საწერი მაგიდის გამოღებულ ყუთში.

როცა დრავონი ქუჩაში გავიდა, მოქალაქე როლინისადმი მიმართული წერილი გახსნა და დიდის ყურადღებით წაიკითხა. ის შეიცავდა საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის საინტერესო სურათს. ლაპარაკი იყო დედოფალსა, ტენენის ქალსა, რევოლუციურ ტრიბუნალზე; გულკეთილი ბროტო დეზილეტის ზოგიერთი კონფიდენციალური სიტყვაც იყო შიგ ჩართული.

კითხვა გაათავა და წერილი ჯიბეში ჩაიღო: ცოტა ხანს ყოყმანობდა; შემდეგ, როგორც გამზედავ კაცს შეეფერება, რომელიც ფიქრობს, რომ დაგვიანება არ ვარგა, ის ტიულერისკენ გაემართა და საყოველთაეო თავდაცვის კომიტეტის მისაღებ ოთახში შევიდა.

ამავე დღეს სამ საათზე ევარისტ გამლენი ნაფიცი მსაჯულების სკამზე დაჯდა. თოთხნეტი ამხანაგის გვერდით; ეს უბრალო, პატოსანი, პატრიოტულად განწყობილი ადამიანები იყვნენ, მეცნიერები, არტისტები ან ხელოვნები: ერთი მხატვარი იყო, ერთიც მხაზავი—ორივენი მეტად ნიჭიერი ადამიანები; ერთი დოსტაჰარი იყო, ერთი შერტკმე, ერთიც ყოფილი მარკიზი, რომელმაც მრავალი საშუალებით დაანტიკა თავისი მოქალაქეობრივი გრძნობა; ერთი შესტამბეცერია, რადენიმე წვრილი ვაჰარიც, ერთი სიტყვით პარიზის ხალხის ყოველი ნიმუში იყო გამოფენილი. ისინი მუშურ ან ბურჟუაზიულ ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი, კუთხიანი ქუდი თვალებზე ჩამოეფხატათ ან რგვალი ქუდი კეფაზე დაედოთ ან კიდევ წითელი ჩაჩი ყურებზე ჩამოეცვათ. ზოგიერთს ეილეთი, სეროთუცი და შარვალი ეცვა, როგორც ძველი რეჟიმის დროს, ზოგიერთს კარმანიოლი და ზოლებიანი შალვარი სანკიულოტების მსგავსად. ფეხზე ზოგს ჩექმები ჰქონდა, ზოგს ამზინდიანი ფეხსაცმელი, ზოგს ოჩოფეხა. ერთი სიტყვით მამაკაცური სამოსელის სრული გამოფენა იყო. ისინი რადენჯერმე ნამყოფი იყვნენ სბდომებზე, თავისუფლად ისბდნენ და გამლენს ეხარბებოდა მათი სიმშვიდე. მას კი გული უძგერდა, ყურები უწყრილილბდა, თვალები ებლანდებოდა. გარშემო კი ყველაფერი ნაცრისფრად ეჩვენებოდა.

სასამართლოს ბოქაულმა გამოაცხადა, რომ ტრიბუნალი მოდისო: სამი მსაჯული შემოვიდა და პატარა ესტრადაზე მოთავსდა, მწვანე მაგიდასთან. მათ დიდი შავი ფრთით შემკული ქუდები ეხურათ, სააუდიენციო მანტიები ეცვათ და სამფეროვან ლენტებზე მძიმე ვერცხლის შედალები ეკიდათ. ესტრადის ქვემოლ საზოგადოებრივი ბრალმდებლის თანამშემწე იჯდა, მათსავით ჩაცმული. მდივანი ტრიბუნალსა და ბრალმდებლის სკამს შუა დაჯდა. თუმცა ამ ადა-



მიანებმა ჩვეულებრივი პოზა მიიღეს, ქალღმერთს ფურცლებს უჭარბებდა, უჭარბებდა და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, მაგრამ გამლენი მათ უცქეროდა და ფიქრობდა, რომ ისინი არავის ჰგვანან, უფრო ლამაზნი, სერიოზულნი და საშიშნი არიან ვიდრე ჩვეულებრივი მომაკვდავი.

მსაჯულების უკან კედელზე იდამიანის უფლებათა ფიცარი იყო მიკრული; მარჯვნივ და მარცხნივ ძველ ფეოდალურ კედლებთან ლეველტიე სენ ფორვის და მარატის ბიუსტები მიედგათ; ნაფიც მსაჯულების პირდაპირ, ზალის სიღრმეში საზოგადოებისთვის ტრიბუნა იყო ამართული. პირველ რიგში ქალები ისხდნენ, მათ უკან საფეხურებზე მამაკაცები მოთავსებულნი იყვნენ, რომელნიც ისე სხვადასხვანაირად იყვნენ გამოწყობილნი, რომ მთელ ბრბოს უცნაური მხატვრული ელფერი ჰქონდა. მარჯვნივ შემოსავალთან მოაჯირის უკან მთელი კუთხე ფეხზე მდგომ მაყურებლებს ექირათ. დღეს იქ ხალხი ცოტა იყო. საქმე, რომელსაც ეს სექცია არჩევდა, ბერს არავის აინტერესებდა და როგორც სწნდა სხვა სექციები ამავე დროს უფრო მნიშვნელოვან საქმეებს არჩევდნენ და საზოგადოებას იზიდავდნენ.

ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს დაამშვიდა გამლენი, რომელსაც თითქმის გული მიხდიოდა და დიდი სხდომების გაეარვარებულ ატმოსფერას ვერ იტანდა. მისი ურადლება წერილმანი საგნებისკენ იყო მიპყრობილი; ის ბაზას ამჩნევდა მდივნის ყურში და მელნის ნაღვენთს ბრალმდებლის პორთფელზე; ის თითქო გამადიდებელ ზეშაში ხედავდა უხეიროდ გამოჭრილ ანტიურ სვეტის თავებს, რომელიც ჯინჯრისა და დეკის ფოთლებით მოჩუქურთმებული გოტიურ ბოძებს აგვირგვინებდა. უფრო ხშირად ბრალმდებლის ცარიელ სავარძელს უცქეროდა; ეს სავარძელი ძველი ფასონისა იყო, წითელი ხავერდი ჰქონდა გადაკრული და სახელურებზე გახეხილი იყო. ყველა კარებში შეიარაღებული გვარდიელები დგნენ.

ბოლოს ბრალმდებელი გამოჩნდა. მას გრენადერები ახლდნენ, მაგრამ, ხელფები თავისუფალი ჰქონდა კანონის მიხედვით. ეს იყო ორმოცდაათი წლის კაცი, გამხდარი, ხელი, შავგვრემანი, მელოტი, ჩავარდნილი ლოკებით, თხელი და ჩალურჯებული ტუჩებით, ძველი მოდის სისხლის ფერ ტანსაცმელში გამოწყობილი. ეტყობოდა აციებდა; თვალები ძვირფას ქვებით უბრწყინავდა, ლოკები თითქო გალაქული ჰქონდა. დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ძარღვიანი ხელები მუხლებზე დაიწყო. მას მარი ადოლფ გილერგი ერქვა და ბრალმდებლობდა, რომ ბოროტმოქმედება ჩაიდინა ფურავის მიწოდების საქმეში. საბრალმდებლო ოქმში მრავალი მძიმე ფაქტები იყო ჩამოთვლილი. თუმცა აბსოლუტურად დამტკიცებული არც ერთი არ იყო. დაკითხვის დროს გილერგმა უარყო ამ ფაქტების უმრავლესობა, ხოლო დანარჩენი თავის სასარგებლოდ ახსნა. ცივად, გარკვეულად და მოხერხებულად ლაპარაკობდა, ეტყობოდა ისეთი ადამიანი იყო, რომელთანაც მარტინა და მინც სასიამოვნო არ არის საქმის ქონა. ყველა კითხვაზე მზამხარეული პასუხი ჰქონდა. როცა მსაჯული შემაპირებულ კითხვას აძლევდა, მისი სახე წყნარი რჩებოდა, ხოლო მისი სიტყვა დამაჯერებელი



ბელი იყო, მაგრამ მკერდზე დაკრფილი ხელები იკუმშებოდნენ. გამ-  
ლენმა ეს შეამჩნია და მეზობელს წასჩურჩულა:

— შეხედეთ მის ცერებს!

პირველმა მოწმემ გამანადგურებელი ფაქტები ჩამოსთვალა. მთელი ბრალ-  
დება მის ჩვენებაზე იყო დაფუძნებული. სხვა მოწმეებმა პირობით, ბრალდებუ-  
ლის სასარგებლოდ მისცეს ჩვენება. ბრალმდებელის თანაშემწეც ხარბდ ილაპა-  
რაკა, მაგრამ გაურკვეველი შთაბეჭდილება დასტოვა. დამცველის ტონი დამა-  
ჯერებელი იყო და ბრალდებულს საზოგადოების თანაგრძნობა მოუპოვა, რომე-  
ლიც თვითონ მან წინათ ვერ მოიპოვა. სხდომა შეწყვეტილი იქმნა და ნათიცი მსა-  
ჯულეები სათათბირო ოთახში შეიკრიბნენ. იქ, რთული და დახლართული კამათის  
შემდეგ, თითქმის თანასწორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი მხრით იყვნენ გულგრილი,  
ნელთბილი, ქუთა დახედული ადამიანები, რომელთაც თითქმის არავითარი ვნე-  
ბათა დღევა არ ასულდგმულვებდა, ხოლო მეორე მხრით გრძნობის ადამიანები,  
რომელნიც საბუთებს ყურს არ უდებდნენ და გულის კარნახით სჯიდნენ. ეს  
უკანასკნელნი ყოველთვის გამტყუნებას მოითხოვდნენ; ესენი კეთილი, წმინდა  
რეგულიტიონერები იყვნენ: მხოლოდ რესპუბლიკის გადარჩენაზე ოცნებობდნენ  
და სხვა რამისთვის თავს არ იწუხებდნენ. მათმა ყოფაქცევამ გამლენზე ძლიერი  
შთაბეჭდილება მოახდინა, მხატვარი თავის თავს მათს ბანაკში სთვლიდა

„ეს გილერგი, ვაიძვერა ავაზაკი უნდა იყოს, რომელიც საეკულიაციის ეწე-  
ოდა ჩვენი ცენოსანი ჯარის ფურაქით. მისი გამართლება მოლაღატის განთა-  
ვისუფლებას უდრის, სამშობლოს გაყიდვას, ჯარის განწირვას.“ და გამლენი  
თითქო არაქათ გამოლელულ ცენებზე რესპუბლიკის ჰუსარებს ჰხედავდა, რომელ-  
თაც მტრის ცენოსანი ჯარი სცელავდა... „მაგრამ თუ გილერგი უდანაშაულოა“..

უცებ მას ეან ბლენი გაახსენდა, რომელსაც ასეთივე ორგულობა ედებო-  
და ბრალად საკვების მიწოდების საქმეში. ალბათ ბევრი სხვაც გილერგივითა  
და ბლენივით მოქმედობს, რესპუბლიკის დამარცხებას და დალუგვას უწყობს  
ხელს. საჭიროა მაგალითის ჩვენება. მაგრამ თუ გილერგი უდანაშაულოა?..

— უტყუარი საბუთები არა გვაქვს, სთქვა გამლენმა ხმა მალა.

— უტყუარი საბუთები არასოდეს არ გვაქს, უპასუხა ნაფიცთა თავ-  
მჯდომარემ, კეთილმა და წმინდა პატრიოტმა და მხრები შეიშუშნა.

ბოლოს შვიდმა წევრმა გამტყუნების სასარგებლოდ მისცა ხმა, რეამ კი  
გამართლებს.

ნათიცი მსაჯულეები ზალაში შემოვიდნენ და სხდომა ხელახლა დაიწყო.  
წევრები ვალდებულნი იყვნენ თავიანთი განაჩენი დაესაბუთებიათ; რიგ რიგო-  
ბით გამოვიდნენ და ცალიერი სავარძელის წინ ილაპარაკეს. ზოგიერთმა ენა-  
წყლიანობა გამოიჩინა, ზოგიერთმა მოკლედ ილაპარაკა, ერთმა-ორმა გაუფებარი  
სიტყვები წარმოსთქვა.

როცა გამლენის ჯერი მოვიდა, ის წამოდგა და სთქვა:

— ასეთ დიდ დანაშაულს, როგორიც არის სამშობლოს დამცველთათვის  
გამარჯვების საღსარის წართმევა, ფორმალური დამამტკიცებელი საბუთები  
სჭირია, რაიცა ჩვენ არ გვაქვს.





ხმის უმრავლესობით ბრალდებული უდანაშაულოდ იქნა გამოცხადებული. გილერგი ხელახლა შემოიყვანეს სასამართლოს ზალაში, მაყურებლები კეთილ განწყობილი გუგუნით შებედნენ. ახლა ეს სულ სხვა ადამიანი იყო. მისი სახე დარბილებულიყო, ტუჩებს სიციცხლის ელფერი მისცემოდა. უკვე პარტე-საცემი ვარგვობა ჰქონდა: თვალები უმანკოებას ხატავდა. პრეზიდენტმა აღელვებული ხმით განაჩენი წაიკითხა: ზალაში მჭუხარე ტაშისცემა გაისმა. თანდარ-ში, რომელიც გილერგს თან ახლდა, მას გადაეხვია. პრეზიდენტმა დაუძახა და ძმურად აკოცა. ნათეცმა მსაჯულებმაც გადააკოცნეს. გამლენი ცხარე ცრემლით სტიროდა.

სასახლის ეზოში, რომელსაც მიმავალი დღის უკანასკნელი სხივები ანათებდა, ზრბო ღრიალებდა და ღელავდა. ტრიბუნალის ოთხმა სექციამ წინა დღით ოცდაათს კაცს სიყვილის განაჩენი გამოუტანა. დიდი კიბის საფეხურებზე დედაკაცები იხხდნენ, წინდებს ქსოვდნენ და საბარგო ეტლების წისვლას უცდიდნენ. მაგრამ გამლენი ძირს ჩამოდიოდა მოსამართლეების და მაყურებლე-ბის ტალღასთან ერთად, არაფერს ხედავდა, ყურს არაფერს უგდებდა. და მხოლოდ სამართლიანობისა და ადამიანობის აქტზე ფიქრობდა, რომელიც ეს იყო შეასრულა. თავის თავს ულოცავდა, რომ უმანკოება გამოიყვანა და უდანაშაულო ადამიანი გაამართლა. ეზოში გაფითრებული, თვალცრემლიანი, მომღიმარე ელოდი მივიარდა, გადაეხვია და მის მკერდზე გაინაბა. შემდეგ მიბნედილი ხმით უთბრა:

— ევარისტ, რა მშვენიერი ხარო, რა კეთილი, რა სულგრძელი! იმ ზალაში თქვენი ვეჯაკუჭი და ტკბილი ხმის ზგერამ მთელი ჩემი არსება გამსჭვალა მაგნეტიური ტალღებით. გათვალისწინებით, როგორ იჯექით სკამზე. თქვენს შეტს ვერავის ვხედავდი. თქვენ კი, ჩემო მეგობარო, არ გიგრძნიათ ჩემი სიახლოვე? თქვენთვის არაფერს უნიშნებია ჩემი იქ ყოფნა? ტრიბუნაზე ვიყავი, მარჯვნივ, მეორე რიგში. ღმერთო ჩემო! რა ბედნიერებაა კეთილისაქმის გაკეთება. თქვენ იხსენით ეს უბედური, უთქვენოთ ის დაილუბებოდა. თქვენ ის კაცი ცხოვრებას, თავისიანების სიყვარულს დაუბრუნეთ. ამ წუთში ალბათ გლოცავთ. რა რიგ ბედნიერი ვარ და ვამაყობ, რომ თქვენ მიყვარხართ, ევარისტ!

ისინი ხელგაყრილი მიდიოდნენ. ერთმანეთზე მიკრულნი და თავიანთ თავს ისე თავისუფლად გრძნობდნენ, თითქო მიღრინავდნენ.

„მხატვარ-ამურისკენ“ შეუხვიეს. როცა ორატორიას მიუახლოვდნენ, ელოდიმ სთქვა:

— მაღაზიაში ნუ გავივლით.

ქალმა ვაეი ეზოს კიშკარში გაატარა და თავის ბინაში აიყვანა. ხელის ჩანთიდან დიდი რკინის გასაღები ამოიღო.

— კაცს სატუსალოს გასაღები ეგონება, სთქვა მან; ევარისტ, თქვენ ჩემი ტუსალი იქნებით.

სასადილო ოთახი გაიარეს და ქალის ოთახში შევიდნენ.



ვეარისტმა თავის ტუჩებზე ელოდის აღვზნებული ტუჩების სიტყვებელ იგრონო; ქალს ხელი მოხვია და მკერდზე მიიკრა. თავგადაბრილი, მიბნედილი თვალებით, გაშლილი თმით, წელში გადაზნექილი, თითქმის სანახევროდ გონება მიბნედილი ქალი ვაჟს ხელეგბიდან გაუსხლტა, კარებთან მივიარდა და ურდული გასწია...

გვიან იყო უკვე, როცა მოქალაქე ბლენის ასულმა თავის საყვარელს ბინის კარი გაუღო და სიბნელეში ხმადაბლა უთხრა:

— მშვიდობით, ჩემო საყვარელო! ამ დროს მამა ჩემი ბრუნდება. თუ კიბეზე ხმაურობა გაიგონო, ჩქარა ამოდი ზევეთა სართულში, დაიკადე სანამ დარწმუნდები, რომ ველარ დაგინახავს. ქვემოთ სამჯერ შეკარე ქალის ფანჯარაზე დააკაუნე და ქუჩის კარს გაგიღებენ. მშვიდობით ჩემო სულიკო!

როცა ვაჟი ქუჩაში გავიდა, მან დაინახა, როგორ გაიღო ელოდის ფანჯარა, და როგორ მოსწყეიტა ჰაწია ხელმა წითელი მიხაკი, რომელიც მის ფეხებთან დაეცა სისხლის წვეთივით.

(გაგრძელება იქნება).

თარგმანი ფრანგულით გ. ქ.

კრიტიკა, მკატვრობა  
≡≡ და მემუარები ≡≡

## ჩემი სხოვრების გზაჯად.

ეს მოგონებები იწერება იმ მოსაზრებით, რომ რომელიმე მკვლევარმა ზეენი წარსული ცხოვრების სურათის დასახატავად შეიძლება ამ სტრიქონებშიაც იპოვოს გამოსადეგი რამ მასალა. თუ ეს ასე იქნა, მაშინ ამის დაწერაც გამართლებული იქნება და დამწერიც დიდათ დაკმაყოვილებული.

ნაშრომს კი ვუძღვნი მათ ხსოვნას, ვინც გული სიყვარულით გამითბო, მასწავლა ადამიანის პატივისცემა და ნდობა.

### I.

ამ მოგონებებს ვიწყებ ჩემი დედულის შესახებ მოგონებით. მოკლე მონაგონებში არაფერი შეფერადებული არ იქნება, იქნება მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გადუხრელათ ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში.

დედული ჩემი არის პატარა სოფელი ხომული, რომელიც მდებარეობს ქუთაისიდან წყალტუბოსკენ მიმავალ გზაზე. ქუთაისიდან ამ სოფლამდე ექვსი კერსია. დედა ჩემი, კესარია, იყო ხომულელი შეძლებული აზნაურის ნიკოა ლოლობერიძის ერთად ერთი ქალიშვილი. ბაბუა ჩემი (დედის მამა) თავის შესახებდაობით ქვემო იმერული აზნაურის, ტიპიური წარმომადგენელი იყო: მაღალი, წვრილი, ხმელი სახით, მუდამ ფაფანაკით თავზედ, შავი ჩოხით, ხანჯლით შავ ქაშარზედ, გადაკიდებულ ხმლით, გვერდზედ ჩამოკიდებულ ნაქარვი ქისით, რომელშიც თუთუნის და მოკლე ჩიბუხი ეწყო. ამასთან დინჯი, დარბაისელი, ვანსხევებული მოლაპარაკე, თუმცა ენა ებორძიებოდა. შნოიანი კაცი იყო მოხუცებული, მაგრამ ყოველ ამასთან მან არ იცოდა არც წერა, არც კითხვა და არც ეხერხებოდა ქალაქის ფულის დათვა.

დიდ ფართოთ გამოიღო ეზოს მხარეს იდგა დიდი ორ სართულიანი სახლი. ქვედა სართული ქვეთკირის ზედა კი, ფართო აივნისანი, ხის. მოშორებით იდგა დიდი, გრძელი ისლით დახურული საშხარელო, მის გვერდით საქონლის სადგომი, შემდეგ თავლა; პატარა სახარჯო სიმიდისათვის ზულა, ამას მიუყვებოდა საქათმე, საბატე, საღორე; იქით თორნე, შარანი და სანადირო ძაღლების სახლი. განაპირზედ იდგა ორი ორ-ორ სართულიანი ხულები, მუდამ სავსე სიმიდით, ლომით, პურიით, და ფეტკით; ეზოს შორეულ კუნძულში მოზრდილა



შენობა — კამბეჩების სადგომი. ეზოს გადაღმა, მოკრულ წაბლანაშენებში და ცხვრის ფარები. აქაურობა პირდაპირ ბაზარს ვაგდა. ყოველ სასაღამო საათსავე სულ ქონებას რასაკვირველია ბევრი მომწვლელი ხელი ევირვებოდა და ასე-დაც იყო, — სამზარეულოში აფარებელი მოსამსახურე ხალხი ფუსფუსობდა და ტრიალობდა; ამათთან ტრიალობდნენ ორივე ოჯახის შვილებიც, ჩემი ბიძები. სხვანაირი მოხერხება და თავიანობა იყო საჭირო ოჯახის საქმის გასაძლოლათ. რადგან ბებია ჩემი სუსტი ქალი იყო ჯანით, ეს დავისრებული ქონდა ბიკოლა ჩემს; მას ქონდა ჩაბარებული ოჯახის შინაურული საქმის ხელმძღვანელობა და იგიც საოცარი მოხერხებით და მარჯვეთ უძღვებოდა მას. ჩემი, მოკლედ ლაპარაკს ჩვეული, უბრალოდ ჩაცმული, მოძრავი იგი დიდიდან შეუღამემდი საქნარში იყო ჩაბჭული, თითქო დაღალვა მისთვის არ არსებობდა. ყველაფერი ოჯახის საქმე მას ეკითხებოდა და მის დაუკითხავათ არაფერი გაიცემოდა, არაფერი განათხივრდებოდა.

— ჩიქოვანის ქალმა იცის! უამისოთ ვერაფერ ხელს ვერ ახლებდა ოჯახის ქონებას. ქმარიც და მახლიც დიდი მორიდებით იყვნენ მასთან, ბაბუა ჩემი განსხვავებული პატივისცემით ეპყრობოდა მას. ჩვენ, ბავშვებს, თან გვეშინოდა ბიკოლა ელისაბედის, თან გვიყვარდა ღრმა სიყვარულით; მან წერა-კითხვაც იცოდა და ყველა შვილებს ნასწავლი ჰქონდათ წიგნი. ბიძა ჩემმა, როგორც უფროსმა ისე უნცროსმა, წერა-კითხვა არ იცოდა. წერა-კითხვის გარდა ბიკოლა თავის ქალიშვილებს ასწავლიდა მეოჯახობას, მუდამ საქნარში ყავდა ისინი ჩაბჭული და იხმარებდა ოჯახის მოვლაში. მისი უფროსობა არ შენოკლებულა არც მაშინ, როცა მეორე ჩემმა ბიძამ ცოლი შეირთო, ლორთქიფანიძის ქალი; ახალი ოჯახის რძალი, ხალისიანი, თავდაბალი, ტკბილ შემზღვლომი ადამიანი იყო; მასთან ყველა უფრო თამამად და გაბედულათ იყო და ყველას ძრიელ უყვარდა. ამასაც დიდი მორიდება ჰქონდა უფროსი რძლის და შორჩილი, მიმყოლი ამხანაგი იყო მისი. წერილმანი საქმე ოჯახის უფროსის დაუკითხავად სწყდებოდა უმეტეს ნაწილად, ხოლო უფრო რთული კი მოხსენდებოდა ნების დასართავად.

საცხოვრებლად ბაბუას განსაკუთრებული ტუნქული ჰქონდა. ეს იყო ზედა სართულში ამყვან კიბის მახლობლად დაბლა სართულის — პალატის ოთახი. პატარა, ბუხრიან ოთახში ერთ კედელთან საწოლი იყო, მეორე კედელს ჩაყოლებული ვიწრო, ჩამოსაჯდომი ტახტი; სინათლე შემოდინოდა პატარა, მღლად დატანებულ ფანჯარიდან. ამ ოთახში ცხოვრობდა მოხუცებული და მის ნება დაურთავად შიგ ვერაფერ შევიდოდა. შვილებიც კი კარზედ მიდგომით ელაპარაკებოდნენ მეტ შემთხვევაში. ამ ოთახში სჭამდა სადილს მოხუცებული, რახვდაც უნდა შეკითხოდნენ წინდაწინ! ვახშამსაც აქ გაშლიდნენ, ესეც მისი დაკითხვით და ნება დართვით. დაბალ ვიწრო სუფრახედ, სადილ-ვახშამზედ, მოსხდებოდნენ მხოლოდ უფროსები; ბავშვებს აქ ადგილი არ ჰქონდათ; მხოლოდ მე ვიყავი გამონაკლისი, — მე ყოველთვის ამათთან ვსადილ-ვახშამობდი ბაბუას მახლობლად მჯდომი. სინათლე იყო მხოლოდ ვახშამზედ; ინთებოდა ქონის სანთელი, რადგან მაშინ ნავთი ხმარებაში არ იყო და ლაშკა არ იცოდნენ. თუ მოსარი-



დღეები ვინმე იქნებოდა ვახშამზედ, მოუცილებდნენ ქონის საფრთხიდან დასაცავად ქართოვილის სანთელს. სხვა დროს ოთახი ინათებოდა ბუხარში ანთებულ ცეცხლის ალით.

ზაფხულის დღეებში მოხუცებული მეტწილად გარეთ იყო; სახლის წინ ყოფილ ტარაელის ქვეშ იჯდა გაშლილი ჩოხით, ახალახის საყულო შეხსნილი, ტიტველა ფეხებზედ ფოსტლებით; გვერდით ედვა ქისა თუთუნით და გრძელ ტარიანი ჩიბუხი. მოხუცებული იჯდა მარტოდ, სანამ ვისმეს არ მიიხმობდა. მე ყოველთვის მომიჯენდა გვერდით, მეძახოდა „რუსო, რუსო“ და მესიყვარულეზოდა. ბიძა ჩემებს ისეთი მორიდება ჰქონდათ მოხუცებულის, რომ თუ სფერაზედ არა, ისე მასთან არ დაჯდებოდნენ. საყვარელი სამყოფი ჩემთვისაც და სხვა ბავშვებისათვის იყო სამზარეულო სახლი, სადაც, როგორც ვსთქვი, იუარებელი ხალხი ფუსფუსობდა. მიყვარდა აქ ყოფნა, აქ შუა ცეცხლის პირას მოყაყანე ხალხში გარევა. რა ხლაპარს, რა არაკს, რა ამბავს, ხუმრობას არ გაიგონებდი ხოლმე! ვუჯგუტი მუხლებზედ ხან ერთს, ხან მეორეს და ვუსმენდი ამათ დაუთავებელ ლაპარაკს. განსაკუთრებით დიდძალი ხალხი მოიყრიდა თავს სამზარეულოში, როცა ღვეზილებს აცხობდნენ ან დიდ ჭადის-ჭადს. ამ დღეს სოფლებიდანაც ბევრი მოდიოდა, რადგან ღვეზილის გამოცხობას სხვანაირი ხელი ეჭირებოდა. ღვეზილი-ეს დიდი ხაჭაპურია, ყველით და მოხარშული კვერცხებით გატენილი, არშინი, არშინზედ მეტიც დიამეტრში, სამი ოთხი გოჯა სისქით. ამის გამოსაცხობათ კეთდებოდა თხელი ყავრისაგან ერთგვარი კალაპოტი, რომელსაც ჩადგამდნენ გაქიატებულ ნაკვერცხალში და ჩადებდნენ შიგ ვეება ხაჭაპურს; ცოცხს ზემოდან დააფენდნენ ნემოს და წაყრიდნენ ნაკვერცხალს. ღვეზილის გამოცხობას განსხვავებული მოხერხება ეჭირებოდა და კარგი, გამოცდილი ხელი. გამოცხეარი ღვეზილი დიდის მოწინებით გადაქონდათ საკუჭნაო ოთახში შესანახათ. ამგვარივე ამბავი იყო დიდი ჭადის-ჭადის გამოცხობაზედაც. დიდ ღვეზილებთან და ჭადის-ჭადთან აცხობდნენ პატარეცხალს და ამ პატარებს უხვად ატანდნენ მომხმარებელ სოფლიდან მოსულებს. გაცემა ყოველთვის დიდი იყო; მთხოველი მუდამ მრავალი იყო და უარით მთხოვნელის გაბრუნება ოჯახს არ სჩვევია, მაგრამ ამ დღეს უფრო უხვი გაცემა იყო ხოლმე. ეს დღეები სხვანაირად მიყვარდა, რადგან სამზარეულოში უფრო მეტი ხალხი ტრიალობდა, უფრო მეტი ტრიაშული და სიცოცხლე იყო. მაშინ აქ უსათუოდ უხედავდით და ვეხვეოდით ვინც სოფელში გვიყვარდა, რადგან ამ დღეს უსათუოდ იცოდნენ მოსვლა. ამათში მასსოცს განსხვავებით გვიყვარდა სიცოცხლით სავსე, მხიარული, ხალისიანი, ოხუნჯი თედორია პაპავა. ამის დანახვა არა თუ ჩვენ, ბავშვებს გვეგვრიდა სიამოვნებას, ბაბუაც კი, როგორც მოჰქარავდა თედორიას თვალს, წამოიძახებდა ხოლმე: — თედორიეს დამიძახეთ!

მიიხმობდა თედორიას, ესეც ნოშორებით დაუდგებოდა წინ და თავისი ხალისიანი ენით ემუსაიფებოდა მოხუცებულს, რომელიც როგორც ეტყობოდა დიდათ სიამოვნობდა ამასთან ლაპარაკით.

განსხვავებულად მიყვარდა ბაბუას ოჯახში გაზრდილი გლეხი შოშიელა კინწრიაშვილი. ჯანით სუსტი იგი ვერ ეწეოდა საჭირო მუშაობას და ღარიბი



ოჯახის პატრონი იყო. ბაბუას ოჯახიდან დიდი ხელის წყობაჲ ჰქონდაჲ მას; მაგრამ იგი მაინც საწყლად იყო. დედა ჩემი რომ მივიდოდა ჰანგანს სხსტანს კუსათუოთ შემოივლიდა ფანცხავეებს, პაპავეებს და შოშიელასათვის მიჰქონდა საჩუქრები; ყველას გვიყვარდა წყნარი შოშიელა, ყველას გვეცოდებოდა, მაგრამ დედა ჩემს განსაკუთრებით, რადგან პატარაობისას ერთად იზრდებოდენ. შოშიელას უფროსი ძმა სესელია, მოურავად ჰყავდა ბაბუა ჩემს. კაცი ესეა, გაიძვერა, მოჭარბული ენით მოლაპარაკე, რისი წყალობით მოხუცებული ხელში ყავდა ჩაქერილი; მისი რჩევის გამგონი და დამჯერი. ვერც შეილება და ვერც რძალი ვერას ეუბნებოდენ მოხუცებულს ხათრით, რადგან იცოდენ რომ ეს საწყენად დაურჩებოდა მას; კულლუტი, ნობერხებული მოურავი კი ამით სარგებლობდა, სტყუებდა ბატონს რაც ებრიანებოდა. ამ განონაცინცლავით დაბოლოს მან იყიდა წყალტუბოს მიხლობლად მშენიერი მალლობი ადგილი, ამართა ზედ სამი სახლი და გააჩალა მდიდრული ოჯახი. მოხუცებაში იგი ისე ირჯებოდა როგორც მისი ნაბატონარი—იჯდა გრძელტარიანი ჩიბუხით ხელში და იმსახურებდა შეილებსა და რძლებს. თავის ეშმაკობით მან ერთ დღეს წაჰკიდა ბაბუა და უნცროსი ბიძა ჩემი, —უფროსი მკედარი იყო. მოხუცებულ მამას ვაჟო შეილი და ცალკე მოსახლეობა გაიწყო. მოხუცებული შეწუხდა შეილის გაშორებით, ჯავრს მიეცა და ამ ჯავრმა მოტეხა და კიდევ ვადაიტანა. გაიძვერა სესელიამ რამოდენინე ხნის შემდეგ მოირიგა ბიძა ჩემი თავის მოხერხებული ქცევით და ისევ ახლობელი კაცი შეიქნა ორივე ოჯახებში. ბიძა ჩემმა, რასაკვირველია, ვერ მოახერხა ისეთი ოჯახის გამართვა, როგორც ჰქონდათ, ძველ ოჯახსაც უმძიმდებოდა თავის შენახვა, თუმცა ამისათვის ძრიელ მაცადინობდა ახალი პატრონი, სამსახურში მყოფი ჩემი ბიძაშვილი და კიდევ ერთგვარად უძღვებდა ახალ-ახალ მოთხოვნილებათ, სანამ ცოცხალი იყო დაუღალავი ოჯახის ნაზღვილი მუშა—ბიკოლა ჩემი; მისი სიკვდილის შემდეგ არავინ აღმოჩნდა მისებური მომქმედი, მოსაქნარე და შეძლებულმა, მდიდრათ ყოფილმა ოჯახმა იცვალა ფერი, ჩამოიქვეითა და უკან უკან მისრიალობდა.—

## II.

მეორე ბაბუა ჩემი, სოფელ სიმონეთში მცხოვრები ღარიბი აზნაური იყო. ღარიბმა მაინც მოახერხა თავის მრავალრიცხოვანი ოჯახის შენახვა, დაათხოვა ყველა ქალიშვილები და ორ უფროს ვაჟს ერთგვარი სწავლაც მიიღებინა ქუთაისში. მოხუცებულს ურჩებოდა უნცროსი ვაჟი სამსონი, მამა ჩემი, —და რომ მისი სიკვდილის შემდეგ პატარას ყოლებოდა გულითადი მომვლელი, —მზრუნველი, მან მიიწვია მეზობელი გლეხი დათიკა გიორგაძე თავის ცოლით, მამობილათ მოჰკიდა შეილს და მისი ბედ-იღბალი. იმათ ჩააბარა. ამათაც სავსებით გაამართლეს მოხუცებულის იმედი და ნამდვილი დედ-მამობა გაუწიეს შეილობილს. ყოველნაირად უწყობდენ ხელს ადრე ობლად დარჩენილს, შეაძლებინეს ესწავლა და ორკლასიანი სასწავლებელი გაათავებინეს ქუთაისში; დაეხარენ სამსახური ეშოვნა და კიდევ იშოვია—სამაზრო სამმართველოში შევიდა ვადამწერათ. იცოდა ღამაზი როგორც ქართული ისე რუსული წერა. მუყაითი, მო-

ხერხებული კარგათ გაუძლეა თავის სამსახურს, და ცოცხალმა კოლეგის რეგისტრატორის ჩინით დაჯილდოებულმა ყმაწვილმა იძღვნი მოახერხა, რომ თავი მოაწონა მდიდარ მებატონეს და შეერთო მისი ერთად ერთი ქალი-შვილი ცოლად. დედამილ-მამობილმა მცირე მიწის მქონებელ შვილობილს ცოლის მოყვანაზედ საჩუქრათ თავს გადააგდეს ოთხ ქცევამდე მიწა, სამოსახლო და საყანე; მზითვით აღებულის ნაწილით აყიდვინეს ადგილი, აყიდვინეს სახლი, მოუტანეს, დაუდგეს ნაჩუქარ ადგილში; მოუწყვეს ხულა, ბელელი, სამზარეულო, საბძელი—ერთი სიტყვით ყველაფრით გაუმართეს ოჯახი და ძმას გამოყოფილი გადმოიყვანეს ახალ სამოსახლოზედ. ერთ დღეს მამობილმა ძროხა მოუყვანა დედა ჩემს.

— კესა, ძროხა არა გყავთ—ეს კი მოდგმის ძროხაა, გყავდეთ თქვენ; მოუარე და საქონელი მოიშენეთ—უთხრა დათიკამ და დაულოცა ნაჩუქარი. ძროხა მართლა და მშვენიერი გამოდგა და შემდეგში დიდძალი საქონელი მოშენდა მისგან.

დღე არ გაივლიდა ისე, რომ მამობილს თვალი არ გადაეგლო შვილობილის ოჯახისათვის, რომელიც ქუთაისში განაგრძობდა მსახურობას; ის იყო ჩენი ოჯახის მეთვალყურე, მოჯამავარების დამრიგებელი და ხელმძღვანელი. მასთან ერთად ხშირად ამაში მონაწილეობას ღებულობდა მისი უნცროსი ძმაც, ივანე, ესეც დათიკასავით კეთილი გულით განწყობილი ჩენი ოჯახისადმი. უშეილო დათიკამ ნამდვილ შვილათ მიიჩნია თავისი შვილობილი და სამაგალითო პატიოსნათ აუსრულა ბაბუა ჩემს მისი იმედი, რომ უნცროსი შვილი უპატრონოთ არ დარჩებოდა დათიკას ხელში. სიკვდილამდი იგი მომვლელი იყო ჩენი ოჯახის. ეს დალოცვილ ბუნების ადამიანი მარტო ჩენთან არ იყო ასეთი გულკეთილობით, —იგი იყო ნამდვილი კაცთმოყვარე ადამიანი, რომ იტყვიან; მზა ყოველი გაჭირვებულის შესაწყევრად და მომხმარედ და ამის განო დიდი პატიოსცემა ჰქონდა დამსახურებული სოფელებისაგან; ყველას უყვარდა იგი და დიდს პატივს სცემდა მის ოჯახს. იგი ნამდვილი მშვენება იყო სოფლის; მშვენიერი იყო თავის სულიერი განწყობილებითაც და გარეგნულობითაც: მალალი, ფართე მზარ-ბეკიანი, ტანწვრილი, სასიამოვნო სახით, მოგრძო გაეთორებული თმით, მოძრავი, რიზიანი ხმით მოლაპარაკე, მზარული ადამიანი, ქეიფის მოყვარული. გაკვირვებასა ვარ ახლა, რომ განახსენდება ის ვეებერთელა ზის კათხები იგი რომ სკლიდა ხოლმე ერთი აღებით ხელში, და არასოდეს არავითარი ჩხუბის მახსოვარი არ ყოფილა არავინ, არავის ახსოვდა, რომ იმ სუფრაზედ, სადაც დათიკა იჯდა, აყალ-მაყალი მომხმარეყო, რაც რომ გადარეული სმა ყოფილიყო.

— იალა! დამახებდა ხოლმე და თავის დიდ ბოზოხს ჯერ მალლა შეაგდებდა და შემდეგ ძირს დააბერტყებდა. ყოველ კვირა-უქმე დღეს მათ დიდ სახლის ფართე ბალკონზედ უსათუოთ მრავლად თავშეყრილი სტუმრები იყვნენ—სმაში და სიმღერაში გართულნი.

ქეიფიც უყვარდათ ორივე ძმებს და მუშაობაც. ორივენი სამაგალითო მუშები იყვნენ და ამიტომაც ოჯახიც ყველაფრით სავსე, რის გამო თავათაც კარგათ ცხოვრობდნენ და შეძლება ჰქონდათ სავსებით გამოეჩინათ თავიანთი





გულგუთილობა და ყოველი გაქირვებულ-სათვის შესაწევად მზადყოფნა. ამ დროს უფრო ნადით იკოდენ ყანების დამუშავება და დათვრება. სახეობები იყო ნადის თავში ჩამდგარი თოხით, მის გვერდით ყოველთვის მისი ძმა იყან და მათი გუგუნე ნადურის თქმაში. ვინეორებ ქეიფიკ იკოდენ ორივე ძმებმა, მუშაობაც და ადამიანის მიხედვაც,—რამაც შეაყვარა მათი თავი და მათი ოჯახი არა თუ მეზობლებს, სოფლის გადაღამაც. ამ ადამიანმა ისე გაატარა თავისი გრძელი სიცოცხლე—იგი მოკვდა ღრმა მოხუცებული—ისე რომ სასამართლოში ფეხი არ შეუდგამს არც მომჩივანათ, არც მოწმეთ,—გადანეტებით ეჯავრებოდა ყოველგვარი შფოთი და არვე-დარვევა. ერთხელ ბიძა ჩემს და მამაჩემს დაეა აუტყდათ, ბიძა ჩემმა უთხრა დათიკას მოწმეთ უნდა დაგასახელოო.

— შენ სულს დაენაცვლოს დათიკა გიორგაძე... რაც გნებავს ის მიყავი და მაგას ნუ მიზამ! — შევედრა დათიკა—დაანებეთ თავი საჩივარს, სასამართლოში სიარულს, ჩვენ მოვაგვარებთ საქმეს, ჩვენ მოვსპობთ თქვენში შმოთს და უსიამოვნობას!

ცოლიც თავისი შესაფერისი ჰყავდა დათიკას. მელანა ჩიხლაძის ქალი (როგორც მას უწოდებდნენ) დიდი პატივისცემით იხსენიებოდა სოფელში. დიწვი, დარბაისელი იგი ცნობილი იყო როგორც ექიმი ქალი და მისი წამლებით მრავალი ხალხი სარგებლობდა და დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი:

ჩვენს ახალ მოსახლეობას დიდი და ერთგული მეთვალყურე და მზრუნველი ჩვენს გაღიაშიდაც ჰყავდა. იგი დარჩა ბიძა ჩემთან, არ მოშორდა ძველ სამოსახლოს. იგი იყო გურული ქალი, ბაბუა ჩემისაგან გურიაში ნაყიდი. დროთა განმავლობაში იგი ისე შეეთვისა და შეუერთდა ახალ ოჯახს, რომ როცა ერთხელ ძმები მოუვიდა გურიიდან და უთხრეს სამშობლოში დაბრუნება, მან მტკიცე უარი განაცხადა და არ მოშორდა თავის გაზრდილებს—ბიძა ჩემს და მამა ჩემს და ჩვენ—პატარებს. დღე არ გაივლიდა რომ ჩვენი ახალი ოჯახი უნახავი დარჩენოდა. თუ რამე არ მოეწონებოდა, დედი ჩემისათვის დარიგება მზათ იყო და მისგან შეწყრომასაც არა ერთხელ ჰქონებია ადგილი. პატივისცემა და მორიდება მისი ისეთი იყო, რომ როცა ბიძაჩემი ქუთაისში გადვიდა საცხოვრებლად, გადიას ხათრით სახლი ვერ გაყიდა სოფელში და გადიას უქირავა მოსამსახურე გოგო და ყველაფერი ისე იყო როგორც წინად. მოხუცებული (სანდომისა ერქვა სახელათ) ჩვენ ყველას განსხვავებული სიყვარულით გვიყვარდა და მასაც ღრმად საყვებულად გულით ვუყვარდით. ამ სიყვარულმა მოუსპო კიდევაც მას სიცოცხლე:—ბიძა ჩემს მოუკვდა ოცი წლის ვაჟი; მშობლებზედ არა ნაკლებ იჯავრა და იმწუხრა მან ყმაწვილის დაკარგვა, გაზრდილის გადაცვალება და მოხუცებულმა ჯაფისაგან მოკლე ხანში დალია სული.

ჩვენ ოჯახში ცხოვრობდა ჩვენთან შემოთვისებული მოხუცებული, რომლის ხსოვნას დავიწყებას ვერ მივსცემ. ეს იყო ჩვენი ნაყმევი—სიმონა აშოლტია. სიმონას ვაჟი არ ჰყოლია, ჰყავდა სამი ქალიშვილი, სამივე გათხოვილები იყვნენ. ამავმა მოხუცებულმა ვერ გახსლო ვერც ერთთან; მოვიდა ჩვენთან და დედა ჩემს სთხოვა მიეღო ოჯახში, მიეცა მისთვის საცხოვრებელი ბინა. არც დედამ და არც მამამ უარი არ უთხრეს მოხუცებულს. მუშაობა აღარ შეეძლო სიმონას,



მაგრამ ხეხილის მვენა კარგად რომ იცოდა—მას არ იშლიდა ვერც ერთად ეზო-გარემო ანუ სა და მხარე-დარგული ხეხილით. დიდი გამოცდილების, ფხიზელი გონების პატრონი, ქკიანი, მშვენიერი მოლაპარაკე, ყოველთვის სუფთათ ჩაცმული—იგი უნებლიეთ მისადმი პატივისცემას იწვევდა მის მცნობში. მას ქონდა მიჩენილი თავისი კუთხე; ზამთარში იჯდა ყალიონით პალატის ბუხრის პირას, მისგან ნაგულზე ადგილას, რომელს არავენ არ დაიკავებდა მისი ხათრით, სიმონამ აუარებელი ლექსი იცოდა, ზღაპრის წნოიანი მომყოლი იყო, იცოდა ათასი სხვადასხვა არაკები, ნათქვამები, ძველი ამბები; იცოდა ვახტანგ მეფის კანონები და მრავალი მუხლი და შესაფერ ლაპარაკში მოჰყავდა ხოლმე. ყოველთვის მიყვარდა მისი ლექსის თქმა, არაკის და ამბების, ბავშობაშიაც და მანინაც, როცა წამოვიხარდე. მისგან გაგონილი რამოდენიმე ლექსი,—სოლოღას ლექსი, იენე კეთელის, კუნძულელის ერთხელ კიდევ ჩავიწერე და შემდეგ გახეთ „ივერიანი“ გაგვხაენე დასაბეჭდათ. ოცდახუთი წელიწადი იცხოვრა მან ჩენს ოჯახში, დიდ პატივისცემაში ყოფილმა დედი ჩემისაგან. მოკვდა ღრმა მოხუცებული, ოთხმოცდაათი წლის, სიკვდილის ორი წლის წინ დაბრმავებული.

დიდი ნაწვალები უყვდა საწყალი სიმონა ბაბუა ჩემს. სამივე მისი ქალი-შვილი გატანებული ყავდა მშითავად თავის ქალიშვილებისათვის. ვერ მოითმინა ამყმა სიმონამ ასეთი შეუბრალებლობა და, რადგან ახლოს ვერ ვლირსა შებრალებას,—გასწია მეფის მოადგილესთან საჩივლელად. იმდენი ახერხა მან რომ ბორჯომში მყოფ ვარანკოვს ჩაუვარდა ვეხებში და მოუყვა თავის გამწარებას. ვარანკოვმა შეიბრალა სიმონა და ბრძანება გამოუგზავნა ქუთაისის გუბერნატორს სიმონასათვის დაებრუნებინა მისი ქალიშვილები. ქალიშვილები კი დაუბრუნეს, მაგრამ უფროსები ძალიან შემოღწყრენ.

— წამაელო ხელი, ბორჯომიდან დაბრუნებულს,—გამწარებული იტყოდა ხოლმე სიმონა,— წამაელო ხელი მაზრის უფროსმა, მიზანდარი იყო, და ციხეში შენადლო,—რავა შეაწუხე მეფის მოადგილეო; შენისთანა კაცისაგან რას არ უნდა მოელოდო! ორ თვემდი ვყავდი კარჩაკეტილში.

საჩივრის ასლი, ვარანკოვს რომ მიართვა, სიმონას მუდამ თან ჰქონდა და არა ერთხელ გადაუკითხვინებია ჩემთვის.

შემოთვისებული გვეყავდა მამაჩემის შეილობილი ქალიშვილი მართა, ჩენთან მდგარ მოჯამაგირეთ გლახუა პაპიძის და; საოცარი ტკბილი, მშვიდობიანი მოსაქმე ადამიანი. და-მა უქონებო გლებები იყვნენ. კარგა ზანს იყო შვილივით მიღებული მართა ჩენს ოჯახში და როცა ჩვენებმა ვაათხოვეს, იგი ხშირად მოდიოდა ხოლმე როგორც თავის სახლს; ამგვართვე სიკვდილამდე ჩენთან კავშირი არ შეუწყვეტია არც ძმას, როცა იგი დაესიდა მეზობელ გლეხს და მოჯამაგირეობას გაანება თავი.

მოჯამაგირეობათ გვეყავდენ ჩენი მეზობლის ლევანა გიორგაძის შვილები. ექვსი ვატი ჰყავდა ამ ლევანას და ყველანი რიგ-რიგობით ჩენთან იდგენ,—სიცოცხლით საესე ბიჭები, მუყაითი მუშები, ოჯახის ერთგულნი. დრომ გაიარა, ეამმა, მაგრამ ჩენი სიყვარულიანი ურთიერთობა დღესაც არ დარღვეულა და



მე, მით ხელში გაზრდილი დღეს მოხუცი, ისინი ღრმად მომხრეობდნენ, მაგრამ კარმაგები, ისევ თბილი სიყვარულით ეხედებოდათ ხოლმე ქართ-მხენის.

ჩვენს ახლოს მეზობლად ცხოვრობდა „საიქიოს ნამყოფი“ გლეხი—ლევანა სირბილაძე—შესამჩნევი პიროვნება. ღარიბი, ნაკლები მუშა ლევანი, რომ იტყვიან, რიხიანი ყაზახი იყო. ფაფანაკი თავზედ,—ბოზობს არ იხურავდა, არც ყაბალახს იკეთებდა,—რამოდენიმე მედლით მაღალ გულზედ, გვერდზედ საითუთუნე ტისით, მაღალი ჯოხით ხელში, რიხიანი ხმით მოლაპარაკე—არ შეიძლებოდა რაც დიდი შეყრილობა ყოფილიყო ის არ შეგვემჩნიათ, მასზე უკრადლება არ მიგვექციათ. უკვარდა ლაპარაკი და ლაპარაკობდა როგორც ნამდვილი ორატორი, მოხერხებული სიტყვის პატრონი იყო. ბევრი ამბები იცოდა ლევანამ. დიდი ნამყოფი გლეხი იყო. ხშირად იტყოდა—დიდი ხნის სიცოცხლე მაქვსო, რადგან საიქიო მაქვს მონარბიო. „საიქიოს ყოფნის“ ამბავი არა ერთხელ მომიყოლინებია ლევანასათვის და მისი ეს ნაამბობი თითქმის სიტყვა-სიტყვით შეტანილი მაქვს ჩემს მოთხრობა „მსხვერპლ“-ში.

მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა ღარიბ ლევანას, მაგრამ იგი უღარდებოდა იყო; არაფერ საზოგადო საქმეს არ აკლდებოდა. ქეიფიც კარგი იცოდა და კარგი მომღერალიც იყო. ვაეი ერთი ჰყავდა ლევანას; ოსმალეთთან ჩხუბის დროს მთავრობამ რომ ქართული დრუჟინები გამოიწვია, ლევანამ თავის ერთგულობის დასამტკიცებლად, ეს ერთად ერთი თავისი ვაეი ჩხუბში გაგზავნა. ღარიბ ოჯახს თავი გამოჰქონდა ქალიშვილების წყალობით, განსაკუთრებით ორი უფროსების. სიცოცხლით სავსეთ ყველაფერი ემარჯვებოდათ, ხელსაქნარის მკოდნენი იყვნენ, ქსოვდნენ შშენიერ ნოხებს, შალებს და ამგვარებს; წერაკითხვაც კარგათ იცოდნენ და ლექსის გამოთქმა, რასაც არა ერთხელ უსიამოვნებაში გაუბამს ცქრილა ქალიშვილები. უფროსი და, ეკა, ჩემი გამზრდელი იყო. ახლაც მახსოვს მისგან ოსტატურად ნაამბობი ზღაპრები.

საზოგადოთ მეზობლობა ძალიან შემოკრებილი ჰყავდა დედაჩემს. ჩვენი სახლის უკანა ბაღკანზედ ხშირად იცოდნენ მეზობლის ქალებმა თავის მოყრა; მოდიოდნენ თავიანთ ხელსაქნარით და სალამომდი იყვნენ ხელსაქნარში და მუსაიფში გაბმულნი. ზაფხულობით კვირა-უქმე დღეს თითქმის მთელი მეზობელი გლეხები ჩვენს ეზოში იყვნენ თავშეყრილნი; დასხდებოდნენ ან ნიგვზის ჩრდილში ან კინცხის ქვეშ და იყვნენ ერთ სიცილში, ოხუნჯობაში და ხან საქმიან ლაპარაკში. შობა ახალწელიწადს ზალა სავსე იყო ხალხით, მეზობელ-სტუმრებით. განსაკუთრებით მრავლად იყრიდნენ თავს ნათლილებას,—დედას ჰყავდა დიდალი ნათლულები და ნათლიმამები მრავლად მოდიოდნენ ძღვნით, რასაკვირველია დედაც უხედებოდა შესაფერისად; ამათთვის იზღებოდა უხვი სუფრა; იყო ხოლმე ტკბილი მოღუნა მთელი დღის განმავლობაში. ზამთრობით ზალის ბუხრის ცეცხლის პირას მრავლად ისდნენ და შეეპყოდნენ ჩაის ეკლესიაზე წასელამდი. ნაჩიებს ამით თანხლებით დედა ჩემი და მე მივიდიოდით ეკლესიაზედ. თავის კეთილი გულის გამო, ადამიანის მოსიყვარულე გულის პატრონა, დედამ, ახლო მეზობლების გარდა, სხვაც ბევრი მოკეთე, მოსიყვარულე და პატივისმცემელი მოუპოვა ჩვენს ოჯახს. მამაც, რომელიც სამსახურში



იყო ქუთაისში, გულითადი მომხმარე იყო, როცა რომელიმე სარეზოვანს ქვეზე მიმართავდა მას. ამან შეაყვარა ჩემი თავი ჩვენს მეზობლებს და ტკბილ სიყვარულში გამატარებინა ჩემი ბავშობა. მე რომ ეზოდან ფეხს გადავდგამდი—სახლში პირდაპირ დატივრთული მოვდიოდით ხოლმე მე და ჩვენსა გოგოთ მდგომი, ელისაბედი;—არ იქნებოდა რომ ჩემს დამნაზღვრელს ან ქოჩორა ვარიკა არ ეჩუქნა, ან კვერცხები, ან ვაშლი, ბია, ჩურჩხელა, ტკბილკვერი და ამგვარები. ამ სიყვარულიანობის წყალობით ჩემი გულიც ადამიანის სიყვარულს ეჩვეოდა და სწავლობდა.—

### III

პირველი სწავლა დედაჩემმა დამაწეებინა. შემდეგ, რაკი საჭირო იყო რუსული ენის ცოდნა, მამაჩემმა მიმიყვანა ერთ რუსის ოჯახში რუსულის სასწავლებლად. ცოლქმარი იყო და ჰყავდათ ჩემი ტოლი პატარა ქალიშვილი; კაცი „ლეკარი“ იყო, ექიმი; ცოლი გარუსებული ლეკის ქალი. ამის მამობილს, პოლკის კომანდირს, ლეკებთან ჩხუბის დროს აყრილ სოფელში ენახათ ბავში. წამოყვანა, ეშვილა და თავის ოჯახში გაეხარდა; შემდეგ მიეთხოვებინა ამ მკურნალისთვის, იაკოვ ივანიჩ ივანოვისათვის.

კარგათ მიმიღო ორივემ, დიდათ მომეფერენ, მაგრამ მე მაინც ჩემი ვქენი—მეორე დღეს, დილით ადრე გაპარვას დავადექი და კარს კიდევაც გადავაბიჯე ფეხი, მაგრამ კიბეზედ მტაცეს ხელი და დამაბრუნეს მტირალი.

ვერავითარმა მოაფერებამ ვერა გააწყო რა ჩემთან; ქალმა ქართული იცოდა და ქართულათაც მესიყვარულებოდა, მე მაინც მწარედ მოვსიტყვამდი; მოვიდა მამა ჩემიც, მაგრამ ვერც ამან დამაწენარა. გამაბრუნეს სოფელში რამოდენიმე ხნით. შემდეგ ჩამოსვლაზედ დედაც ჩამომყვა და როგორც იქნა დამამაგრეს ამ ახალ ოჯახში. ორივე ცოლქმარი დიდის სიყვარულით მეპყრობოდენ და სულ მოკლე ხანში მიმიჩვიეს. ოჯახის უფროსი ხალისიანი კაცი იყო; მუდამ გვათამაშებდა ბავშვებს და ისე შემიტყუეს, რომ ჩემი საკუთარი ოჯახი თითქმის დამავიწყებინეს. დიდი ამაგი დამდევს ამ ივანოვმა და მისმა ცოლმა, ვარჯერა ნაუშოვნამ—მათ სულ მოკლე ხანში შემასწავლეს ენაც, წერა და კითხვაც. დამაჯენდა ხოლმე იაკოვ ივანიჩი საკითხავად და გვერდით მომუდარი ხან მეხუმრებოდა, ხან მაკინებდა და მავყარებდა სწავლას. ამის გამო არასოდეს სწავლაზედ დაჯდომა არ შემზარებია—ის კი არა—მეხალისებოდა კიდევ.

იმ ბინაზედ, სადაც მამაჩემი იდგა, და სადაც მე ხანდახან მივდიოდი და ვრჩებოდი ხოლმე რამოდენიმე დღე, ვხვდებოდი გიმნაზიის მოსწავლე ყმაწვილს, გვარათ ჩიქოვანს, ლეჩხუმელი იყო. ამ ყმაწვილმა მშვენიერი ქართული კითხვა იცოდა და ნახსოვს ერთზედ ძლიერ დამაინტერესა წანაკითხით—ეს იყო ილია ქაეკავაძის პოემა „კაკო“. ამან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ რომ, როგორც კი შევხვდებოდი ამ ყმაწვილს, არ მოვეშვებოდი, სანამ ან ისევ კაკოს ამბავს ან სხვა რამეს არ წავაკითხებდი. გულდასაწყვეტად ის მჭონდა, რომ საინტერესო ადგილას წყდებოდა კაკოს ამბავი და მისი გაგრძელება არ იყო.



როცა ერთრიგით მოვმავრდი სწავლაში, მაშა ჩემმა მინისტრმა მთავრობის მოსამზადებელ სასწავლებელში. აქ აზადებდენ ბავშვებს გიანაშიაში შესასვლელად. სასწავლებელი იყო ორ განყოფილებიანი. თვით სასწავლებლის გამგე, ანდრეი ივანიჩ მრეგლოვი, მშენებელი ტბილი, ბავშვების მოსიკეთე ადამიანი იყო, ჩვენც ძლიერ გვიყვარდა იგი. მასწავლებლებში თავხარს გვეყვოდა საღმთო სჯულის მასწავლებელი მღვდელი გვარად ზებედოვი. ვაი შემზღელ მოწაფეს—მღვდელი აყვირდებოდა, მოერეოდა ბრაზი და უმოწყალოდ უთხლანუნებდა სახაზავს გამოწვდილ ხელის გულზედ აბნეულ მოწაფეს. ხანდახან ბრაზ-მოჩუღი, მარცხენა ხელით ეკავა მარჯვენა ხელის განიერი სახელო და ამ მარჯვენა ხელით განურჩევლად ყურის ძირებს დაუსიებდა ცემით ხოლმე წინა პარტაზედ მგდომ მოწაფეებს. მკოდნეს, არ მკოდნეს ერთნირად ხედებოდა—ბრაზ-მოჩუღმა გარჩევა არ იკოდა. ჩემდა ბედით მე მოშორებით ვიჯექი და მოძღერის სახაზავი და არც მისი მძლავრი მარჯვენა არ განნიცდია.

ერთ დღეს მაშამ გამონიცხადა, რომ რუსეთში წასასვლელად გამოცდაზე უნდა წაყყოლოდი. ყოველ წლობით მთავრობას მიჰყავდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან ორმოც-ორმოცი თავად-აზნაურების ბავშვები სამხედრო სასწავლებლებში, კორპუსებში. მიჰყავდა ესენი იმ მიზნით, რომ გაერუსებინა და კიდევაც მიზანს აღწედა ხოლმე, რადგან რუსეთში, სამშობლოს მოწყვეტილი ბავში, ივიწყებდა ენას, ზნეს და ბრუნდებოდა ქართული გვარით, თორემ ერთიანად, თავიდან ფეხებამდი გარუსებული. თავად-აზნაურობა დიდი ხალისით აძლედა ბავშვებს მრავრობას, რადგან ის ზრდიდა თავის ხარჯზე და მშობლებს ანთავისუფლებდა ყოველი ხარჯისაგან შვილის აღსაზღვლად.

მე კარგათ ვიყავი შემზადებული და გამოცდაც კარგათ დავიჭირო. ამასთანავე მაშაჩემს ძლიერ ეხმარებოდა ნაზრის უფროსი, რომელს მეტად უყვარდა მშრომელი, დაუღალავი, ცოცხალი მოხელე, ეხმარებოდა რომ მე მომხედარიყავი რუსეთში გასაგზავნ ბავშვებში. მიზანს კიდევც მიიღწიეს და ცხრა წლის ბავში 1872 წლის კვირიკობის სვეში კიდევც გაგვამგზავრეს. თბილისიდან ჩამოყვანილ ბავშვებს, მოგვამატეს ქუთაისიდან და ორმოცდა ორი ბავშვი ჩაგვებარეს ჩვენ წასაყვანად დანიზნულ ვილაც შეხნიერებულ მაიორსა და ჩავვიყვანეს ფოთში, რომ ზღვით წავეყვანეთ რუსეთში. მე მაშა ჩემი არ მომშორებია, თან მიმყვებოდა და მპირდებოდა სოხუმამდი მიგყვებოდა. ემწლებოდა ერთად ერთი ვაჟიშვილის მოცილებვა. მაგრამ დასძლია თავს და ფოთში ჩამომშორდა ჩემდა ვაუგებრად. ჩვენი პარტია ამ წელიწადს იყო დანიზნული კიევის სამხედრო გიმნაზიისათვის. კორპუსი, ძეგლი, სალდათური კორპუსი, ის იყო მოშალეს, გადააკეთეს სხვანიირად, დაარქვეს სამხედრო გიმნაზია; ჩამოაცალეს ყოველი მხედრული, გარდა ტანისამოსის ფორმისა; სწავლა იყო რეალურ სასწავლებლის პროგრამის, შეიდ კლასიანი, ახალი ენებით, ნაკვლად ლათინური და ბერძნულისა, აღმზრდელები უმეტეს ნაწილად შტაცკები იყვნენ, უმაღლეს სწავლა მიღებულნი. მასწავლებელთა შორის ბევრი იყვნენ კიევის უნივერსიტეტის პროფესორები. ეს იყო ცნობილი ეგრედ წოდებული „მილუტინის სამხედრო გიმნაზია“. ჩვენ რომ მიგვიყვანეს დირექტორად იყო ახალგაზდა კაცი, ოცდათორ-



მეტი წლის გვარდიის არტილერიის პოლკოვნიკი, აკადემიური ინჟინერი, აკადემიური ინჟინერი გვარად იღშენოვი.

მაიორმა მიგვიყვანა გიმნაზიაში. აქ დანიშნული იყო ხელახლა გამოცთა. უზარმაზარ დარბაზში დაგვაყენეს და საწერი მოგვეცეს. ორმოცდაორ ბავშიდან დაგვტოვეს ოცდახუთი; სხვები გადაავზანეს პროგიმნაზიებში. დარჩენილებუ გაკვირვებულს განყოფილებებში, აღმზრდელებს ჩავვაბარეს. მე შენებდა აღმზრდელად ვინმე მიხაილ სტეპანიჩ ესიკორსკი. ეს ნამდვილი მამა აღმოჩნდა მისადმი მიბარებულ ბავშვებისათვის, განსაკუთრებით ჩვენთვის ქართველებისათვის. არ ვიცი თუ იმაზე მეტი სიყვარულობა და გულითადი მოპყრობა შეიძლება ის რომ გვეპყრობოდა და გვეტყვოდა. ვეცოდებოდით შორიდან. მოყვანილი ბავშვები და რომ არ მოგვეწყინა, ყოველ დღე ნასადილევს ორ-ორი მიყვადით თავის ოჯახში და საღამომდი ვყავდით გართობილი. ცოლქმარი იყო, შვილი არ ყოლიათ, და შვილებათ ჩვენ ვყავდით. გულის ფანქცალით ველოდებოდით როცა მოვიდოდა წაყვანის რიგი და ტკბილ მოფერება სიყვარულში გასატარებულ დღეს. მისი სიტყვა-დარიგება ჩვენთვის უძლიერესი კანონი იყო. ამას არღვევდა მხოლოდ ორი ბავშვი, ბექთაბეგოვი და მიტკევიჩი—დაწყყნარებული, გადარეული ცელქები. მოთმინებიდან გამოსულმა აღმზრდელმა გამოგვიცხადა, რომ განყოფილებას ესტოვებო და სხვაგან გადავდივარო. აღარ მოგვეყარა. ჩვენ ერთი დღე კი მოვითმინეთ, მეორე დღეს შეიქმნა ერთი ტირილი-ეივილი; აღიარეთ გაკვირვებულს არ ამხადებდა; განყოფილება სრულიად აირია და ვერას გზით ვერ დააწყნარეს, სანამ მესამე დღეს არ მოიყვანეს ესიკორსკი. ვახარებული ბავშვები შემოვებეიეთ გარშემო, კოცნით კინალამ მოვკალით და ცელქებს დავეშუქრეთ თუ რომ არ დაწყნარდებიან ცენა-ტეცებით დაგაწყნარობთქო.

სხვანაირათ გვეტყვოდა მეორე აღმზრდელი კურბატოვი. ამან ამოგვიჯინა და ყოველ დანახვანზედ გვიძახოდა ტატარჩუცებს. თავდაპირველში გვეოცა ეს, მეორე კი გვეწყინა, კურბატოვი თავისას არ იშლიდა და ძალზედ გვაბარანებდა ამ შემოახილით; ვილაკამ სთქვა რომ ჩვენ რუსებზედ უწინ გვაქვს მიღებული ქრისტიანობა—ტატარჩუცები საიდან ვიქნებითო. დაეიწყეთ ამის გამოძიება. დაეკითხეთ უფროს კლასებში მყოფ ქართველებს—ამათ ამის შესახებ პასუხი ვერ მოგვეცეს; ბავშვები არ დაწყნარდენ და ერთ დღეს მიინც ვაივით რომ ჩვენ, ქართველებს, ვაცილებით აღრე მიგვილია ქრისტიანობა რუსებზედ. და რადგან კურბატოვი თავისას არ იშლიდა აედექით და მივედით ჩვენ ჩვენ აღმზრდელებთან და ვეჭივლეთ კურბატოვს. კურბატოვი მოგვაშორეს, მაგრამ ჩვენი მწუხარება სხვა რამ იყო. ეს იყო—ჩვენ ვატყობდით ჩვენ თავს თუ როგორ გვავიწყდებოდა მშობლიური ენა, გვიძინდებოდა ქართული ლაპარაკი. ამით შეწყუბებულნი, ამის ასაცილებლად მოეფყრიდით ზოლზე თავს ერთხელ და ხან ზღაპრების მოყოლებით, ხან წაკითხვით ვეარჯიშობდით, მაგრამ დროს თავისი მოქპონდა და ჩვენც უფრო და უფრო გვიძინდებოდა მშობლიურ ენაზედ ლაპარაკი. წლის ბოლოს თითქმის გადავეჩვიეთ ქართულ ლაპარაკს. ამას ხელი შეუწყო იმანაც რომ მეორე წელიწადს თითქმის გავგანახებერეს—რადგან ბევრი გადაიყვანეს პროგიმნაზიებში—ისინი რომელთ უქირდათ სწავლა და რუსული



ქარგათ არ ეხერხებოდათ, რამოდენიმე აეთ ვახდა და გაქრებულა, ორი წლის განმავლობაში ძლიერ სუსტად ვიყავი, მაგრამ იღბლად გადავირი სიკვდილს. სამი წელიწადი ვიყავი ისე რომ მშობლები არ მინახავს, სამი წლის შემდეგ გაზაფხულზედ მომივიდა ფული და ეგ ზამენების შემდეგ გამოვსწიე სახლისაკენ კანიკულებზედ. ქართული უკვე დავიწყებული მქონდა. ორი კვირა ქუთაისში დავრჩი და რადგან დედაჩემმა რუსული არ იცოდა და მე ქართული—ამიტომ წავიყვანე თარჯიმნათ ჩემი თანატოლი ბიძაშვილი და წავედი სოფელში დედასთან. საღამო იყო ჩვენ რომ მივედით, მთლათ ეზო და ბალკონი საესე იყო თავშეყრილ მეზობლებით. სიბარულის ტირილით შემხვდა დედა, რომელიც მეტად დაავადმყოფებულიყო ჯავრისაგან ამ სამი წლის განმავლობაში. სათითაოთ გულში მიხუტებდენ ქალები და დედა ჩემი მახსენებდა ეს ბებია მელანაა, შენ გენაცვალე, ეს მარია, ეს ელენე, ეს მარია, ეს დავია და ასე ყველა თვალცრემლიანი, სიყვარულით მებეგოდა და შეაღერებოდა. დიდი გასაჭირი ადგა საწყალ ჩემს ბიძაშვილს, —მრავლად თავშეყრილი კაცები იძლეოდენ ათასს კითხვას და ყველასათვის პასუხი იყო საქირო გადასაცემათ. ერთმა იხიბუნჯა რომ ბავშვის დასამუნჯებლად ბარემ აქვე დავამწყვედედი ოთახში, რალა რუსეთში ავხაენიდი თქვე დალოცვილებოო—უთხრა დედა ჩემს. ამ ზაფხულში გვარიანათ გავიხსენე ენა და როცა გავბრუნდი გიმნაზიაში, თან წავიღე პატარა-პატარა წიგნები. აქედან შემდეგ ყოველ წლოვით საზაფხულო არდადეგებზედ ვბრუნდებოდი სახლში და თანდათან უფრო ვაბერებდდი ქართულ ლაპარაკს და ისე აღარ დამეიწყნია, როგორც ზოგიერთ ჩემს ამხანაგებს, რომელთ მშობლებს, რალაც მიზეზის გამო არ მიყავდათ შეილები გიმნაზიიდან. ამათ მშობლიური არა ახსოვდათ რა.

მეხუთე კლასში ვიყავი, მახსოვს, იმდროის მასწავლებელმა, გვარად ბერენშლაბმა, კითხვა მომცა მენიტერესება თუ არა ქართული ისტორია და შემპირდა ამის შესახებ წიგნს, რომელიც მისი ფიქრით მის წიგნებს შორის უნდა ჰქონებოდა. ამასთანავე უცაბედათ წავაწყდი იმდროინდელ ენციკლოპედიურ სიტყვარში, ტოლის სიტყვარი იყო, საქართველოს შესახებ. სიტყვარი შემდეგ ხელიდან არ გამიგდია—თუ რაც რომ იყო საქართველოს შესახებ ცალკე რეველში ამოეწერე და ამრიგად შევადგინე ჩემთვის მოულოდნელად მოკლე საქართველოს ისტორია. ეს ისტორია ერთ-ორ ამხანაგს ვაჩვენე, მაგრამ მაინც და მაინც ვერ დავაინტერესე და გულგრილად შეხვდენ; მე კი აღმეძრა სურვილი უფრო მეტი რამ გამეგო ჩემი ქვეყნის შესახებ. ერთ დრომდის ამის დამაკმაყოფილებელი არაივნ აღმოჩნდა. შემდეგ კი ბედმა გამიღიმა. ამ ხანებში კიევის უნივერსიტეტში სწავლობდა მხოლოდ ორი ქართველი სტუდენტი—ერთი საეკიმო ფაკულტეტზედ ხონელი პოლიკარპე ჩიკვიშვილი, მეორე ფარმაკევტი კოწია ლორთქიფანიძე. ამისათვის ეთხოვათ ვენახე გიმნაზიაში. ლორთქიფანიძემ მეც მნახა და კიევის სასულიერო აკადემიაში მოსწავლე სტუდენტებს ნიკო ლომაურს, მიხეილ ილურიძეს და ივანე გაფრინდაშვილსაც აცნობა ჩემი სამხედრო გიმნაზიაში ყოვნა. ერთ დღეს ეს სამნივე მოვიდენ გიმნაზიაში ჩემდა სანახავად. ჩემს სიბარულს საზღვარი არ მქონდა ამათ ვაცნობის



შემდეგ. განსხვავებულად მონესიყვარულენ, გამომკითხეს მდგომარეობა ჩემბაეი, სხვები იკითხეს და წასვლისას დაპირდნენ შემდეგ კვირისათვის „ჩემს“ საქაღმისაში წაყვანას. დაპირება შესრულებული იყო და გიმნაზიაში მომიყვანეს ისევ სამთავემ. ტკბილმა, ალურსიანმა ლაპარაკის კილომ, ლომაურის დამახასიათებელი თვისება რომ იყო, პირდაპირ მომხიბლა და შემაყვარა უზომოთ ეს ადამიანი. საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა აგრეთვე. ვატაცებით მოლაპარაკე ილურიძემ. მომიყვანეს გიმნაზიაში და თან წამომიღეს საკითხავად კვირეული გაზეთი „ივერიის“ მთელი წლის ნომრები, რომელში იყო დაბეჭდილი ილიას „დიმიტრი თავდადებული“. ლომაურმა ამხსნა ეს პოემა, მომიყვა დიმიტრის ისტორია და გახელებული სიხარულით დამტოვეს. იმ ღამეს არ დამძინებია; თავკევემ მდევა გაზეთის ნომრები და ხვალისათვის წასაკითხი „დიმიტრი თავდადებული“. შემწელებოდა კითხვა, მაგრამ ჩემს თავს ძალას ვატანდი და ისე ვერცვოდი საკითხს. მშველოდა და მიადვილებდა საქმეს ის, რომ ჩემი კეთილის მყოფელნი მუდამ კვირას ჩემთან იყვნენ და მიხსნიდნენ წაკითხულს. ხშირად მეც დავედიოდი აკადემიაში და აქ თავის ოთახში ლომაური გვიკითხავდა თავის ახლად დაწერილ ლექსებს; ერთხელ მახსოვს თავისი ტკბილი ხმით წაგვიკითხა თავისი მოთხრობა „ალი“, რამაც აუწყრელი სიხარული გამოიწვია ჩვენში. ლომაურს არა თუ მისი ორი ამხანაგი ესიყვარულებოდა და პატივს სცემდნენ, არამედ დიდ პატივს სცემდნენ აკადემიის რუსი სტუდენტებიც. შემდეგ წელიწადს ქართველ სტუდენტთა რიცხვმა იმატა აკადემიაში. მოვიდნენ გიორგი საძაგლიშვილი-შემდეგ ქათალიკოსი კირიონი და დავით ალადაშვილი, შემდეგ ეპისკოპოზი გიორგი. იმ ოთახში, სადაც საძაგლიშვილი იყო, მუდამ ყვირილი და ჩხუბი იყო. თურმე სტუდენტებს საძაგლიშვილი ედავებოდა ქართული კულტურის შესახებ — მალლა აყენებდა მას; რუს სტუდენტებს კი ეს არ სჯეროდათ და უარსუფდნენ. 1879 აკადემია დაასრულეს ლომაურმა, გაფრინდაშვილმა და ილურიძემ; ასე რომ კიევის უმაღლეს სასწავლებლებში იმ დროს იყო მხოლოდ ოთხი ქართველი სტუდენტი. 1880 მეც დავათავე სწავლა გიმნაზიაში და გადავედი მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში.

კარგ დროს მოვხედი ჩემდა იღბლად კიევის გიმნაზიაში; ყველაფერი ლიბერალურ გვეგზავდ იყო მომართული; სამხედრო მინისტრმა მილუტინმა სულ გადაასხვათურა წინანდელი კორპუსები, სწავლა მალლა დააყენა და კაზარმობა გამოდენა. ჩვენი გიმნაზია განსაკუთრებით კარგათ იყო დაყენებული. ახალგაზდა დირექტორი უცოლ-შვილო, დიდათ განვითარებული პიროვნება მთელ თავის ძალ-ღონეს იმას ახმარდა, რომ მინდობილი სასწავლებელი კარგათ დაეყენებინა, კარგი მასწავლებლები შეერჩია გიმნაზიისათვის; და ეს კიდევ მოახერხა; ჩვენი მასწავლებლები კიევის საუკეთესო პედაგოგები იყვნენ, მოწინავე ჯგუფისა; ბევრი მათგანი პროფესორებიც იყვნენ უნივერსიტეტიდან, — მათი მოწვევაც კი მოახერხა გიმნაზიის გამგემ. ჩვენ ვიცოდით რომ ესენი მოწინავე პარტიის წევრები იყვნენ, ვიცოდით რომ ყოველი ახალი მასწავლებელი ამათი მიმართულებისა იყო, რადგან თუ გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს თანახმობა არ იქნებოდა, ისე არავის მიიღებდნენ მასწავლებლად ან აღმზრდელად და ამიტომ მოს-





წავლეთა და მასწავლებელთა შორის დიდი ნდობა და კეთილმოკიდებულება სუფევდა. ბავშვებს გვასწავლიდნენ მუსიკას, ღურგლობას, წიგნის აკინძვას, უდის კეთებამს, ხარატობას, ჩუქურთმას. ყოველ კლასს ჰქონდა თავისი სიმბოიანი ორკესტრი — და ვუკრავდით სხვა და სხვა ოპერებიდან. მასწავლებლათ იყვნენ ორი პოლონელი მუსიკოსები, მამა და შვილი, და ბევრი მშვენიერა დამკვრელები ჩნდებოდა მოსწავლეთა შორის.

მოქცევა-მოპყრობა ნამდვილი კეთილშობილური იყო. არავითარ შეურაცხყოფას მოსწავლისას ადგილი არ ჰქონია; ყველაფერი მიმართული იყო იმისკენ, რომ ბავშვს მიეღო ნამდვილი განვითარება. ამ გიმნაზიებმა დიდხანს ვერ გასტანეს. ალექსანდრე მესამის მეფობის მესამე წელიწადსვე ისევ გადააკეთეს ძველებურ ყაიდაზედ, კორპუსებათ; შემოიღეს სამხედრო წყობილება, არა მხედრობაში მოსამსახურეს ადგილი არ ჰქონდა, ბავშვები იყვნენ ეფერიტორები, უნტერ-ოფიცრები, ფელდფებელები და ამგვარები. თუთხმეტი წელიწადი არსებობდა „მილუტინის სამხედრო გიმნაზიები“, მაგრამ თავისი კვალი ძრიელ დააჩინა რუსეთის სამხედრო ოფიცერთა შემადგენლობას. რაც მოწინავე და ლიბერალური შეხედულობის აფიცრობა იყო — ეს ამ გიმნაზიებიდან გამოსულები იყვნენ.

ამ ორმოცდაორ ბავშვში, ერთათ რომ წავგიყვანეს, გიმნაზია მხოლოდ ექვსმა გავათავეთ. სამმა სრულიად ქართული აღარ იყოდა, ერთი ძლივს ახერხებდა და ლაპარაკი, რომ იტყვიან ჩიქორთული, — ორს შეგვეძლო. სწავლის გასაგრძელებლად მე მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი ვიჩიე, რადგან პეტერბურგის ჰაეის მეშინოდა. სამხედრო სასწავლებელში პირველ ხარისხით გიმნაზია დათავებულები ვიგზავნებოდი სახელმწიფო ხარჯით.

1880 წლის მარტისთვის დამლევს ჩვენ უკვე მოსკოვში ვიყავით. ახლაკი იწყება სამხედრო სწავლა და სამსახურიც. მოსკოვის სამხედრო სასწავლებელი კარგი იმითი იყო, რომ აქ შენელებული დისციპლინა და სამხედრო მოთხოვნილება იყო, მაგრამ მისელის პირველ დღიდანვე ვიგრძენით განსხვავებულობა და მეტად არ გვექაშნიკა, განსაკუთრებით ჩვენ, კიეველებს. სასწავლებლის სათავეში იდგა განთქმული თავისი სასტიკობით გენერალი სამოხვალოვი. ტანდაბალი, მომხხო, თავმალა აწეული, მოკუმული ტუჩებით — იგი მეტის-მეტად არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა თავის შეხედულებითაც და აზას აუარესებდა რაღაც უცნაური კილოზედ სიტყვების სროლით — ლაპარაკი გაბმული არ იყოდა და არც ეხერხებოდა. ჩვენ, კიეველების, დანახვაზედ ნამეტანი ვაიბზიკა და ზურგშემოქცევით უსიამოვნოთ ისროდა ნაწყვეტ-ნაწყვეტათ შეკითხვის სიტყვებს. თურმე კიევის გიმნაზიაში ნამყოფი ათვალწუნებული ყავდა, ძალზედ ეზარებოდა როგორც „ლიბერალები“, უძახდა „ოტრიცატელნაია როჟა“-ს და თავისი სასტიკი მოპყრობით ლამობდა მორჯულებას და მისებურად გამოსწორებას. მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა სასწავლებელმა პირველ დღიდანვე და გულშეწუხებულმა ავიღე რვეული და გული ვიჯერე მიღებულ შთაბეჭდილებათა აღწერით. გულადულებულმა აეავსე მოზრდილა რვეული და კაპირებდი დრო გამოშვებით მეწერა ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობის ამ-



ბავი. მაგრამ ერთ დღეს გამოგვიცხადეს, რომ არც წიგნები და არც ჟურნალები უნდა გვეწვენიებინა ნების დასართოვლად გუნდის უფროსისათვის. ული და მივეუბნე ჩვენი გუნდის განყოფილების გამგე აფიცრს; ეს მეტად რიგიანი ახალგაზრდა გვარდიის აფიცერი კარგათ მიყურებდა და თავითაც სანდო ადამიანი იყო. რამოდენიმე დღის შემდეგ მან სიცილით მითხრა:—ეს რა გიწერიათ?.. გინდათ თავი დაიღუპოთ? მე იმ რვეულს თქვენ არ დაგიბრუნებთ არაფრისათვის, დაწყნარდით, დამშვიდდით და ისწავლეთ!..

მედიდური სასწავლებლის უფროსი არავის უყვარდა, სტულდათ კიდევ და თან ყველას ეწინააღმდეგებოდა. „ეპიშკა“ როგორც მას უძახოდნენ ნამდვილი სულთამაშუთადაც იყო. მისი ღირსება ის იყო, რომ მასწავლებელს მოსწავლისათვის გამოცდაზე უფრო ნიშანს არ დააწერიებდა და ისიც რატომ?— ჩემი სასწავლებლის მოსწავლემ არ შეიძლება არაფერი იცოდეს! ამბობდა იგი, როცა მოსწავლე კითხვებზე პასუხს ვერ მიუგებდა—საკიროა ისე კითხოთ, რომ მოსწავლემ შეიძლოს პასუხის მოკვება! ახირებული არსება იყო გადაყინებული გენერალი. მე გული იმითაც ვიჯერე, რომ სამასხრო ლექსი გამოუთქვია, რომელს ხმა შეურჩია ერთმა ჩემმა ამხანაგმა და დიდ მოწონებაში იყო. ამ ლექსს მღეროდნენ რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში. მეორე ამხანაგმა მთელი პიესა დასწერა „ეპიშკაზე“ და თავით თამაშობდა „ეპიშკას“ მოხდენილათ. სასწავლებელში დიდი ალიაქოთი იყო ამ პიესის ხელში ჩასაგდებათ, მაგრამ ვერ იპოვეს; ისე კი სასწავლებელი კარგათ იყო დაყენებული; მასწავლებლები თვალსაჩინო გვყავდა. მაგალ. ისტორიას გვიკითხავდა ცნობილი ისტორიკოსი კლიუჩევსკი, რომლის ლექციაზედ აუდიტორიაში უსათუოდ იყო ხოლმე თვით გენერალი, ინსპექტორი და მორიგი აფიცერი; ეს იმისათვის რომ კლიუჩევსკის არაფერი წამოცდებოდა მსმენელთა წინაშე; მაგრამ პროფესორი თავისებურათ კითხულობდა ლექციას. მათემატიკას გვიკითხავდა—ცნობილი პრევეალსკი; რუსულ სტუდენტებზე—გილიაროვ-პლატონოვი; საეკლესიო ისტორიას—ივანოვ-პლატონოვი, ცნობილი ლეთისმეტყველების მიგისტრი. გილიაროვ-პლატონოვს და „ეპიშკას“ ჩხუბი მოუვიდათ; გენერალი გაჯაფრდა იმაზე, რომ გილიაროვი თხზულებების საწერათ იძლეოდა ისეთ თემებს, როგორც პუგაჩოვი, სტენკა რაზინი და ანგვარებს. გენერალმა ამაში დაინახა არა სასურველი მიმართულება და მოინდომა მისი ამოფხვრა.

— ჩტო ეტო ვსიო ბუნტოვშიკი და ბუნტოვშიკი! ხოროშიხ ლიუდენი ნეტ რაზე? გულისობდა იგი და გილიაროვი დაითხოვა სასწავლებლიდან.

1881 წლის 1 მარტს მოკლეს ალექსანდრე მეორე. ჩვენს სასწავლებელში ეს გაეიგეთ მეორე დღეს დილას. ყოველთვის დილაობით ჩვენ ვდგებოდით როგორც კი ბარაბანით ჩამოვივლიდა სალდათი. ამ დილას რომ ბარაბანმა არ ჩამოვიარა, ყველა გაგვაოცა და მოკლე ხნის შემდეგ შექმნილ ფუსფუსიდან გაეიგეთ, რომ პეტერბურგში ხელმწიფე მოეკლათ. სასწავლებლის კარები დილიდანვე ჩაკეტეს; არც არავის ქუჩაში უშვებდნენ, არც ქუჩიდან სასწავლებელში. რამოდენიმე ხნის შემდეგ მთელ სასწავლებელს თავი მოუყარეს დიდ დარბაზში. მოვიდა გენერალი და აცრემლებულმა გადმოგვცა მეფის მოკვლა და



რიგრიგობით მიეყავდით შინა ეკლესიაში ახალი მეფის წინაშე, ახალი მისალე-  
ბათ. ერთ კვირაზე მეტი კარჩაკეტილში ვიყავით და სასწავლებლის გარეთაც  
ამ ხნის განმავლობაში არავის უშვებდენ.

რამდენიმე თვის შემდეგ სასწავლებელს მოუვიდა მოკლული მეფის მუნ-  
დირი, რაიც დიდის მოწიწებით ჩამოატარეს გუნდებში და შემდეგ შეიტანეს  
ეკლესიაში შესანახად, საგანგებოთ ამისათვის გაკეთებულ შეშებთან ყუთში.  
შალე ბრძანებაც გამოვიდა, რომ ნება ეძლეოდათ აფიცრობას ბაქენბარდის მაგი-  
ვრად მოეშვათ წვერი;—ეს რადგან ტახტზედ ასული ალექსანდრე მესამე წვერს  
ატარებდა. ჩვენმა ეპისკოპოსმა, ნიშნად ერთგულობისა და რადგან ამაღლის გენე-  
რალი იყო, მოუშვა წვერი, რის გამოც საოცარი სასაცილო შეხედულობის შეიქ-  
ნა უამისოდაც უხეირო შეხედულობის პატრონი.

ორი წლის სულთამბუთაი რეჟიმის შემდეგ 1882 წლის აგვისტოში გა-  
ეთათვე სამხედრო სასწავლებელი და გამოცხადდა ნარჩევ ადგილს სამსახური-  
სათვის ბათუმისკენ, რომელიც ამ დროს პორტო-ფრანკო იყო.

#### IV

1882 წ. სექტემბრის დამლევს პირველად ჩავედი ბათუმში. იქ იყო ის  
სამხედრო ნაწილი, რომელიც მე ვიარჩე სამსახურისათვის. ბათუმი მაშინ პორტო  
ფრანკო იყო; პატარა ქალაქი, ოთხი ათასი მცხოვრებით. ქალაქი, თუ კი შეიძ-  
ლებოდა ქალაქის სახელის წოდება, მდებარეობდა ზღვის პირად; ზღვის პირად-  
ვე იყო ბაზარი, პატარა დაბალი ქოხნახები ვითომ შალაზიები; რამდენიმე  
ქუჩა, ვიწრო და მოუკირწყლავი. ქალაქის გარეშემო იყო განუწერილი ფაქტები,  
რომლებშიაც ცხოვრობდნენ აუზახები და ზოგან ზანგები. ახლა რომ რკინის  
გზა მიდის ქალაქში, ეს ისეთი მოწორებული ადგილი იყო, რომ მარტოდ აქ გა-  
მოსვლა საშიშარი და სარიდებელი იყო დღისით, საღამოთი კი პირდაპირ შეუძ-  
ლებელი; გამხედავს არაფერი სიკეთე მოელოდა,—ან გამარცხდნენ, ან და-  
სკრიდნენ ანა და მოკლავდნენ ზოლმე. სადაც ეხლა კათოლიკეების ეკლესიაა, იქ  
იყო განიერი ტბა სავეს გარეული ფრინველებით და იქ იცოდნენ ზოლმე სანა-  
დიროთ წასვლა მონადირეებმა; ტბის გადაღმა, დასავლეთისკენ მისდევდა უდა-  
ბური ტყე. ზღვის პირზე ამართული იყო ორი დიდი ბატარგა—ბურუნ-ტამიე,  
რომელიც დღესაც არსებობს, ოღონდ გადაკეთებული, და მეორე სარი-სუ, რო-  
მელიც ათხარეს, როცა ნავთსადგურს დაუწყეს შენება. სარი-სუს ნახლობლად,  
პორტო ფრანკოს ხაზის გადაღმა აშენებული იყო როტშილდის ნავთის ქარ-  
ხნის შენობები. ქალაქის გარეშემო ადგილები ქაოპებით იყო დაფარული  
ძლიერ ნაკლებად იყო სოფლებიც და რაც იყო ისიც პატარები და მცხოვრებთა  
მცირე რიცხვით. მაშინ რკინის გზა არ იყო დათავებული, და მისვლა-მოსვლა  
სწარმოებდა ზღვით; ფოთიდან დადიოდა კვირაში რამდენიმეჯერ პატარა  
გემები და გადაჰყავდადმოჰყავდა ნიშნულ-მოშვლელი. ეს მისვლა-მოსვლა  
გამწიფებული იყო იმიტაც რომ, რაკი ბათუმი პორტო-ფრანკო იყო, ყოველ  
მგზავრის ბარგი ბათუმიდან გამგზავრების დროს უნდა გაეჭრიკათ საბაჟოში  
და შემდეგ ხელმოვრედ ფოთში მისვლისას. ეს იმისათვის, რომ კონტრაბან-



დით არ გამოეტანათ რაღაც ბოქსიდან. ბევრი არა სასიამოვნოდ შეხვედრებულა ადგილი. ბევრი სასაცილო ამბები მომხდარა; ნამეტურ ქალები აწარმოებდნენ კონტრაბანდისტობას; ბევრს იჭერდნენ, მაგრამ ბევრს ისე გაჰქონდა კონტრაბანდა, რომ საოცარი იყო მათი ამბავი.

1883 წლის ბოლოს რკინის გზის კეთებაც მომთავრდა და ბათუმის შეუერთდა ტფილისს. 1885 წელს კი პორტო-ფრანკო მოიშალა. რკინის გზის ნაპირებზე ქალაქის მახლობლად იწყეს ტყეების გაჩეხვა და აგარაკების შენება. გზა მიდიოდა უდაბურ ტყეში, კენჭს ადგილებში; ადგილები ციებიანი, ჯანმრთელობისათვის წაუწეოდა ჰეროიანი. მაგრამ ამას არ დაერიდნენ და არ შეუშინდნენ ზოგიერთი პირები და იწყეს აქ მოსახლეობა. მიწა მუქათა იშოვებოდა, ხშირად არც კი იცოდნენ თუ ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის ადგილი; მოწონებულ ადგილას კაფავდნენ და აწყობდნენ მოსახლეობას. განსაკუთრებით დიდი ადგილები შემოიფარგლეს ქუთაისის ვიშნაზის დირექტორმა სტოიანოვმა, სამსახურს გადამდგარმა პოლკოვნიკ ინკენერმა სალავცოვმა, ბათუმის ნოტარიუსმა გერენშტეინმა. ეჭვიმა ოლინსკიმ, მილიონერმა სიბირიაკოვმა და სხვებმა. ამათ მუხაჯირებისაგან შეისყიდეს დიდძალი ადგილები; მოიდგეს ფები და ოცნებით გატაცებულნი რომ გაშენებულ აგარაკებით დიდ ფულს შეიმძენდნენ აუარებელ ფულს ყრიდნენ ამ ადგილებში. მუხაჯირებს ეძახოდნენ იმათ, რომელნიც ტოვებდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს და მიილტვოდნენ ოსმალეთისკენ, ოსმალეთში დასასახლებლად. ბევრი ყალბი ნაყიდობა კეთდებოდა ამ მუხაჯირების სახელით, ბევრ უპატრონო ადგილს ახალი უცხო პატრონი უჩნდებოდა; ბევრს აცდნენდნენ ფულის შეტყუებით და ეშმაკურათ შეჩენით ხელიდან აცილდნენ ძველადანვე მოვლილ სამოსახლოს. საოცარი თარეში იყო მიწების შესაძენად. ვინ არ იყო ამაში ჩაბმული. საუფლისწულოს უწყებამაც ვერ მოითმინა და შეუდგა მიწების შეძენას და მოკლე ხანში დიდძალი ადგილები შეისყიდა; დიდძალი ადგილები შეისყიდა ცნობილმა ჩაის ვაჭარმა პაპოვმა, რომელმაც იწყა ჩაის პლანტაციების გაშენება და რამის მოყვანა. რამი—ეს ჩინური ქინძარია, რომლისაგან კეთდება საუკეთესო ქალაღი. ქალაღის ფულისათვის, ქალაღს ამ რამისაგან ამზადებდნენ და დიდ სარგებლობას იძლეოდა. იყვენ ისეთები რომ დაურიდებლად ითვისებდნენ მიწებს. გასაოცარი მოხერხებულები პიროვნება ამგვარობაში იყო ვინმე მებალე დილფონსი. ეს იყო პირველი პიონერი მოაგარაკე და მოაგარაკეთა წრის შემქმელი. სადაც მან ჩადგა ფები, იმ ადგილიდან მერე ვერ ამოღენეს; ადმინისტრაცია დიდი მოწინააღმდეგე იყო მისი, მაგრამ ვერას უშვებოდა. გასაოცარი მოხერხებით მან პირველმა ჩადგა ფები ეგრეთ წოდებულ „მწვანე ცხვირში“, ბათუმის მახლობლად, გვირახთან. მიიყვანა ფულიანი პირები, აყიდინა მიწები. შეადგინა მოაგარაკეთა ანხანაგობა; ჩაითრია გაცეფინიანი პირები, როგორიც იყო, მაგ. თავადი ბარიათინსკი, გენერალი პარაიკო-შიც, ეჭვიმ ტრიანტაფელიდის და სხვები პეტერბურგიდან და მოსკოვიდან. აუარებელი ფული ჩაიყარა ადგილების გასაწმენდათ და ბალეზისათვის მიწების გასამზადებლად. ციება ძლიერ ხელს უშლიდა მომუშაეთ, მაგრამ საოცნებო კომპავალის მომლოდინენი არ შინდებოდნენ და განაგრძობდნენ მუშაობას. ამ დალ-



ფონსმა შემოიღო პირველმა მანდარინების გაშენება; ზრდიდა ექვსი წელი მცენარეებს და მოკლე ხანში მთელი ის „ცხვირი“ მოჰქონა მდინარის მარჯვენა სანაპიროს. ახალგაზრდა, ლამაზი, მოხდენილი მოლაპარაკე, დაულილავი მუშა, მცოდნე თავის საქმის, უცნაური მოხერხებული—იგი დიდი ვაჟუნის მექონი იყო მოაგარაკეთა შორის, მისი რჩევის და სიტყვის გამკონი და აღმსრულებელი. წერილ მოაგარაკეთ არ იკარებდენ და მოჰყავდათ მდიდარი პირები. დიდი ენერჯია დაიბარჯა ამ საქმეში, ბევრი რამ ვაჟკეთეს დასახლებულებმა, დიდი მუშაობა იყო გაწეული და ამ მუშაობაში დალია სული მისმა ინიციატორმა; უმოწყალო ციებამ, რომელიც ვერას გზით ვერ დასძლიეს მოაგარაკეებმა, იმსხვერპლა თვით დალფონსი, კიდევ ყმაწვილი კაცი; მოუშორებულმა ციებამ იმსხვერპლა იგი. მისი სიკვდილის შემდეგ არავინ გამოჩნდა ნისებური ენერჯიის მქონე, მცოდნე და მოხერხებული კაცი, და მოაგარაკეთა წარმოება ისე ვეღარ მიდიოდა, როგორც დალფონსის სიცოცხლეში. ციება მეტად მძლავრობდა მთელი ზღვის ნაპირზედ. დიდად უშლიდა ხელს მოაგარაკეებს, მაგრამ იმათი რიცხვი არა თუ არ კლებულობდა—თანდათან იზრდებოდა და მთელი ზღვის ნაპირი სოფელ მახინჯაურიდან დაწყებული თითქმის ქობულეთამდე მოყვანილი იყო აგარაკებით. ვინ და საიდან არ ეტანებოდა აჭაურობას, ვინ არ ესახლებოდა და რა ოცნებას არ ეძლეოდა აჭაური ცხოვრების მოწყობის შემდეგ მთავრობა ამ მოსახლეებს ხელს არ უშლიდა დასახლებაში; ეტყობოდა ეს ნისთვის სასურველიც იყო—სასურველი, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები აეყარა და მათ ადგილას მკვიდრ რუსთა მოსახლეობა გაეჩინა. ოცი ვერსტის სიგრძეზე გაშენებულ აგარაკებში მხოლოდ ერთად ერთი აგარაკი იყო ქართულს რომ ეკუთვნოდა—ეს სევასტი ჭელიძის აგარაკი, ისიც პატარა აგარაკი; მოწადინებული იყვნენ ეს კაცი მისი აგარაკიდან გამოედუნათ, მაგრამ ისიც ჯიუტი და რკინა კაცი იყო და ვერ აჰყარეს.

ასეთი ამბავი იყო ბათუმის გარეშემო; თვით ბათუმში კი უფრო ნელი საკულოიცა იყო მიწების, რადგან პორტო-ფრანკოს არსებობა აშინებდათ ერთ რიგად. მაგრამ აქაც ჩნდებოდენ გაბედულები და იძენდენ ადგილებს განსაკუთრებით აფხაზებისგან, რომლებიც სტოვეზდენ თავიანთ ფაცხებს და მიეშურებოდნენ ოსმალეთისაკენ საცხოვრებლად. ფაცხების მაგიერ ჩნდებოდენ ასეული სახლები და პაწაწინა ქალაქი ნელა-ნელა იზრდებოდა.

როგორც წინად ვთქვეი, ბათუმი 1882 წელს მეტად პატარა ქალაქი იყო. მცხოვრებთა რიცხვი ოთხი ათასი, ესეც სამხედრო ნაწილების მითელით, სხვა და სხვა ეროვნებით აჭრელებული: ქართველი, რუსი, სომეხი, ბერძენი, თათარი, ოსმალე, აფხაზი, რომლებ შორის ბევრი ზანგები ერივნენ. აჭაურობას განაგებდა გუბერნატორი, იმ დროს სახელმქონე ადმინისტრატორი გენერალი სმეკალოვი. ქალაქის უფროსი კი, გროდონაიალიკი, ლევ ტოლსტოის ცოლის ძმა ბერსი იყო, რომელსაც ცოლად ჰყავდა ერისთვის ქალი, შესანიშნავი ლამაზი.

ქალაქში არავითარი გასართობი არ მოიპოვებოდა; ერთად ერთი თავმოყარულ ადგილად ჰქონდათ საზოგადო საკრებულო, სადაც თავს იყრიდა ხოლმე ერთი ნაწილი მოხელეთა ოჯახებისა. სასწავლებელი იყო ერთი სამოქალა-



ქრისტიანული და ქართველი შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლა. ეს უქანასკნელი გახსნილი იყო ბათუმის შემოერთების მეორე წელსვე იმ მიზნით, რომ აქ თავი მოეყარათ და ესწავლებინათ ქართველ მოსულმაწინების ბავშვებისათვის. სკოლა იყო მოთავსებული პაწაწუნა სახლში, მეტად ღარიბულად და საწყლად, თავის მიზანს დაშირებული, რადგან მუსულმან-ქართველები არ აბარებდნენ შვილებს, ვინაიდან ეწინააღმდეგებოდნენ ქრისტიანებს. ტფილისის გამგეობა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა ფულსაც ვერ აბარებდა საკმარისად სკოლას და მის შესანახავად ყოველ ღონეს ხმარობდა ბათუმის მეორე რიცხოვანი ქართველი საზოგადოება. დიდ დახმარებას უწყვედა ამ მხრივ ბათუმის პოლიცემისტრის დურმიზან ქურულის მეუღლე ქეთევანი. ეს უქანასკნელი არა თუ ამ სკოლას უწყობდა ხელს, იგი იყო ბათუმის ქართველი საზოგადოების თავმჯდომარე და სულის ჩამდგმელი. მისი ოჯახი იყო სადაც თავს იყრიდა ქართველები; მას დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული ქართველობაშიც და გარეშეთა მხრივაც. ყოველი ბათუმში ჩამოსული ინტელიგენტი ქართველი მოვალედ რაცხდა თავს ამ ოჯახში მისულიყო. ქართველ არტისტებს აქ დიდი ყურადღება ექცეოდათ და დიდათ ხელი ეწყობოდათ. ქართული სკოლა, როგორც ვსატყვი, ამ ოჯახის მხრულველობით არსებობდა. რასაკვირველია მეც, ყმაწვილი აფიცერი, მიმიყვანეს ქურულის ოჯახში და გააცნეს ჩემი თავი. ქეთევანმა პირველ გაცნობისთანავე მისაყვედურა რომ ქართული ძლივს მებერებოდა და დედისებური დარიგება მომცა მშობლიური ენა შემესწავლა. რამდენიმე ხნის შემდეგ საქმეში ჩამება იმართებოდა წარმოდგენა სკოლის სასარგებლოდ; იდგებოდა გიორგი ერისთვის „გაყრა“, მე დამაქირეს გაბრიელის როლი. გულმოდგინეთ შევეუდექი როლის სწავლას, მაგრამ ჩემი ჩიქორთული ქართული მეტად მიჭირებოდა საქმეს. ამის დასაძლევათ, ენის გასატეხად, ცალკე რეპეტიციები მქონდა ხოლმე; ჩამაჯენდა სავარძელში ქეთევანი და მათქმევინებდა როლა. ერთი ათჯერ-ხუთმეტჯერ უნდა გამემეორნა ჩემი მონოლოგი; გაწვალებული ვიყავი ასეთი სწავლით, მაგრამ არა ნაკლებ გაწვალებული იყო ჩემი მასწავლებელი, რომელაც შემომძახებდა ხანდახან, მოთმინება დაკარგული: „არ შეიძლება ასე ყმაწვილო, უნდა ისწავლოთ ქართული, ქართველი ხართ!“ მეც ძალიან მოწადინებული ვიყავი მესწავლა ჩემი ენა, მეტად მწყდებოდა გული, მაგრამ წარმატებაში ნელის ნაბიჯით წევდიოდი. ამ მზადების დროს ერთ რეპეტიციასზე აგვიტყდა ოჯახის პატრონი და როგორც პოლიცემისტური პიესის ცენზორობა მოინდომა. არ მოეწონა მოურავის ლექსი, ანდუყფარს რომ ეუბნება მოსამართლეზე: ასი თუმნითა სულსა-პალატას ხელით ეაქანებ,

და სუდიასა, აი იმ კუქანასა,

სულ ვათანაშებ ლეკურ ბუქანასა.

დაიჯინა—ეს ადგილი ამოშლიეთო, ამის ოქმის ნებას ვერ მოგცემთ, სამსახურიდან დამითხოვენო. დიდა შეტაკება მოუვიდათ ცოლქმარს ამის თაობაზე; ქეთევანმა ჩააჩუმა შეშინებული პოლიცემისტური. ლექსი არ ამოშლია.

იყო კიდევ ოჯახი, თავად იასე გურიელის, სადაც ნახავდით ქართველო-



ბას, მაგრამ ქართველ ნწერალს, ქართველ არტისტს აქ ვერ შევხვდებით როგორც ჟურლისას. ჩემი ნაწილის უფროსისასაც იყრიდა და ჩემთვისაც თავს ქართველობა, მაგრამ არა ისე ხშირად, როგორც ჟურლისას და გურიელისას. ჩემი ნაწილის უფროსი იყო პოლკოვნიკი ვეზირიშვილი; ცოლიდ ჰყავდა პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის და; უკანასკნელს არაფერში ეტყობოდა დიდებული ძმის ნათესაობა; თავით ვეზირიშვილი კი ახირებული ადამიანი იყო; თავის ნაწილს ისე უყურებდა, თითქო ეს მისი ყმები იყვნენ. სამსახურის შესახებ არა იცოდა რა. უყვარდა პარადობა და რადგან ბათუმში არაფერი გასართობი იყო, ყმაწვილი ქალები ჩააცვიდნენ ხოლმე ვეზირიშვილს გამოცყვანა ბათალიონი სავარჯიშოთ-საპარადოდ და უსრულებდა თხოვნას,--გამოჰყავდა როტები და ამით წინაშე ცერემონიალით არონიებდა წინ და უკან.

ღუნეთ მიმავალ ცხოვრებას ასიცოცხლებდნენ ხანდახან ჩამომსვლელი ქართველი არტისტები. მოდიოდნენ უფრო ზაფხულობით. თეატრი არ იყო მაშინ ბათუმში; წარმოდგენები იპართებოდა სამოქალაქო სასწავლებლის ეზოში მყოფ ერთ პატარა შენობაში, რომელშიც იყო მოწყობილი სცენა. ასიოდე მაყურებელი თუ დაეტეოდა, მეტი არ იყო დარბაზი. სხვა უყეთესი ბინა წარმოდგენებისათვის არსად მოიძებნებოდა და ამით კმაყოფილდებოდა საზოგადოება. ცოტაოდენი გამორჩენა იმისაგან ჰქონდა ტრუპას, რომ ბინა და შესანახი მუქთი ჰქონდათ, რაშიც ძლიერ ეხმარებოდა ჟურლის ოჯახი და პეტრე ღლონტის ოჯახი.

ერთ ამ დასის ჩამოსვლაზედ მე ვავეცი ჩამოსულ არტისტებს,—მარიამ საფაროვ-აბაშიძისას, ქეთო ანდრონიკაშვილისას, ვასო აბაშიძეს, სანდრო ყაზბეგს და ლადო მესხიშვილს. ჩემს სიხარულს, ამათი გაცნობის გამო, საზღვარი არ ჰქონებია. პირდაპირ მათი მოსამსახურე ვაყვანი. ერთხელ სცენაზედაც კი გამოვედი მათთან, როცა მოთამაშე დააკლდათ. დადგეს დავ. ერისთავის „სამშობლო“ და მოთამაშეს გოგია დიკეანი. ახლა წარმომიდგენია რა გოგია ვიქნებოდი ქართულის უბეროდ მოლაპარაკე, შიშით შეპყრობილი სცენაზედ გამოუცდელი ყმაწვილი. სანდრო ყაზბეგი თამაშობდა სიმონ ლეონიძეს. მესამე მოქმედებაში გატაცებით რომ მიმართავდა მტების ციხეში თავმოყრილ შემთქმელებს, მე შიშისაგან დაბნეულმა წამოვავლე ხელი ბაირალს და ვავედი სცენაზედ და სანდროს მივაჩხირე ბაირალი. გაოცებულმა სანდრომ სათქმელი არ შესწავიტა, გამომართვა ბაირალი, გაიტანა გარეთ, მეც უკან ვავეცი დარცხენილი, რომ ასე უდროო დროს შემოვიტერი სცენაზე და ასეთი სიბრძევე ჩავიდინე. ეს იყო და ამის შემდეგ არტისტებთან აღარ გამოვესულვარ სცენაზედ არასოდეს—ისე დამარცხენა ამ შენთხვევამ. წარმოდგენებს ქართველი საზოგადოება დიდის ხალისით ესწრებოდა—რაც გასაკვირი არ იყო, რადგან თამაშობდნენ ისეთი მსახიობები, როგორც მარ. საფაროვ-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე და ლადო მესხიშვილი. მესხიშვილს საუკარი ლამაზი ტკბილი ხმა ჰქონდა—ბარიტონი და მის მღერას დიდ აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი. მშვენიერი წკრიალა ხმა ჰქონდა საფაროვ-აბაშიძისასაც და, როცა ამითთან ჩამოვიდოდა ხოლმე ნატო ვაბუნი, მაშინ ესენი თამაშის გარდა, საზოგადოებას ხიბლავ-



დენ თავიანთი სიმღერებით. ძრიელ იზიდავდა საზოგადოებას, კეთილ ანდრონიკაშვილის ლექურა; ლექურს ანდრონიკაშვილისა განსხვავებული მოზღუნდნობით თამაშობდა. პირდაპირ გიტური ბანჯლებით ლექურის მოთამაშე იყო სანდრო ყაზბეგი. სტენაზედ ნიჭიერი — მწყობრი თამაშით, საუცხოო ცეკვით, სიმღერით ქართველი მსახიობები იზიდავდნენ ქართველ საზოგადოებას თეატრში და ხიბლავდნენ მაყურებელთ, რომელთა რიცხვი თან და თან მატულობდა. ვის არ გამოაღვიძებდა ლამაზი ცქიალა, საუცხოო კილოზედ მოლაპარაკე საფაროვი-აბაშიძისა, ან ნატოს თამაში — სიმღერა, ვასოს კომიკური თამაში და კუპლეტები, მესტიშვილის დანახვა და მოსმენა!.. ერთი ამხანაგი მყავდა, შეხნიერებული აფიკური სენინარიელი, ვინმე იაკობიძე, ვანო. ტანჯულ ცხოვრებას გავლილი იგი მუდამ მოღუშული იყო, გაუცინარი, იყო ან სამსახურში ან თავის ოთახში ჩაკეტილი, — არავის ეკარებოდა. ერთხელ ჩაეცვივდი და იმდენად შეეუწნდი, რომ ოთახიდან გამოვიყვანე და წარმოდგენაზედ წაიყვანე. თამაშობდნენ სხვათა შორის „გოდველის“ ბნელ ოთახში, კარცერში ჩადებულ მოსწავლე ქალიშვილის როლს ასრულებდა საფაროვი-აბაშიძისა. რომ იტყვიან მკვდარს გააცოცხლებსო, სწორედ ამდაგვარი იყო საფაროვის ქალის თამაშიც და მოღუშული, გაუცინარი ჩემი ვანო იაკობიძე კილამ ვადამერია. უსათუოდ მის სიცოცხლეში არ უცინია, რაც მან ამ საღამოს იცინა; გამხიარულდებულმა, ნასიამოვნებმა მთხოვა რომ კიდევ წაიყვანა, როცა ასეთი წარმოდგენა იქნებოდა, და როგორც შემხვდებოდა თუ არა ახითბითებული მოიგონებდა იმ „ეშმაკ, წყეულ“ მოთამაშე მსახიობს, რომელიც ისე უცნაურად თამაშობდა და მღეროდა. მას ერთ ხანაზედ მისი გოჭიც კი დაავიწყდა, გოჭი რომელიც ერთად-ერთი მისი გამართობი იყო.

როგორც ზემოთ ვსთქვი, ერთი დასის ჩამოსვლისას გავიცანი მსახიობად მყოფი სანდრო ყაზბეგი. მალალი, გამხდარი, ბეჭებში ცოტათი მოზრილი, მოკლე ჩოხით იგი ვერაფერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი გარეგნულობით; ამასთანავე თვალშიც კარგათ ვერ იხედებოდა — ეს ერთ ღროს თურმე შნოიანი, ლამაზი, კობტა ყმაწილი, ამ ხანებში სულ გამოცვლილიყო. არ დაიჯერებდით მისი მნახველი, რომ ეს იყო „ელგუჯას“ და „ნამის მკვლელის“ ავტორი. ლაპარაკიც კი შნოიანი არ იცოდა და სიტყვის წარმოთქმა სრულიად არ ეხერხებოდა. მასხვეს, ერთხელ ექიმ გიგო გაბაშვილის ოჯახში სუფრაზედ საზოგადოებაში სიტყვა წარმოსთქვა, მაგრამ ისეთნაირად, რომ მისმა მოსიყვარულე ექიმმა უთხრა:

— სანდრო, თუ გიყვარდნე შენებურად ჩემად სწერე და ხმამალა ლაპარაკს თავი გაანებე! ალბად ამ გარემოებათ, რომ გარეგნული შეგედულობა არ შეეფერებოდა მის მომხიბლავ ნაწერებს, იპოვა დამჯერნი, რომ სანდრო არ იყო ავტორი, დამწერი იმ ნაწარმოებთა, რომელთა დაამშვენეს ქართული ლიტერატურა. ბევრი სიმწარე უნახავს სანდროს, ბევრთაგან დიდი მწუხარება შეხვედრია, ბევრს ცხარე ცრემლით უტირებია, და სიკვდილის შემდეგ ისიც კი დააბრალებს, რომ სხვისი ნაშრომი თავის სახელით გამოაქვეყნაო. სანდროს ახლოს მცნობისათვის სრულიად მიუღებელია ის აზრი, რომ მას არ შეეძლო ისეთი





ქართული

საუცხოვო მოთხოვნების დაწერა, როგორც არის „ელგუჯას“ „მომღვარე“ და სხვა. პირიქით, სანდროს ახლო მეგობრი იუცხოველებს ამ აზრს, რადგან, როცა მაღალი ცეცხლით აინთებოდა სანდრო, იგი უცნაური სანახევრე იყო და გატაცებული აღელვებული მოღვაწეობდა და ამ დროს მისი მნახველი და მსმენელი ჩახვდებოდა მის დიდ ნიჭს და ტალანტს. განსხვავებული ბუნების კაცი იყო და წერაც განსხვავებული იყო. მოვიყვანო მისი „ელგუჯას“ დაწერის ამბავს, რაც თვით სანდროსაგან გამიგონია და რაც ამას წინა დამადასტურა ასოთ-ამწყობმა მოხელემა რუსი-შვილმა. „ელგუჯას“ თავდაპირველში თავდებოდა ახლანდელი პირველი თავის ბოლოში, ელგუჯას სიკვდილით. სტამბაში ასოთ-ამწყობებმა განაცხადეს, რომ ფელეტონს არ ამოვანწყობთ თუ გმირი ვაჟ-კაცის ელგუჯას ამბავი არ განაგრძობს სანდროს; ამისთანა ვაჟ-კაცს ასე ადრე არ მოვაკვლევინებთო, გაუგზავნეს რედაქციაში სანდროს მეტრანაჟი დიომიდე კილაძე და ორი ასოთ-ამწყობი, სთხოვეს, რომ ელგუჯა არ მოკვლა და მისი ამბავი გაეგრძელებინა.

— ელგუჯას ასე ადრე ვერ მოვაკვლევინებთო! მითხრესო, გადმოიწია სანდროს. — თან მეტის მეტად მიამა ასეთი ნომარტავო, სიტყვა სანდროს, თან კი გასაჭირში მაგდებდაო, ცოტა უკომანის შემდეგ, რაკი არ შეშვებოდენ, იქვე გადავაკეთო ფელეტონის ბოლო და ქვეშ მოვაწერე „გაგრძელება იქნება“. შიშვედ დაჭრილი ელგუჯა წაიყვანეს მოხარჩენად ვითომც ვადაღმა სოფელში. რამოდენიმე დღის შემდეგ მოთხოვნის გაგრძელებაც მზად მქონდა და პატარა მოთხოვნის მაგიერ დიომიდე კილაძემ და სტამბის ასოთ-ამწყობებმა დამაწერინეს დიდი მოთხოვნა; სიამოვნებით, სიცილით მითხრა სანდროს. და ეს მისი სიცილი, მისი შეხედულება მშვენიერი რამ იყო ამ დროს. მე ჩემი თვლით მინახავს როგორ სწერდა იგი თავის დრამას „ქეთევან დედოფალს“, როცა ბათუმის სასტუმრო „ევროპის“ ნომერში სცხოვრობდა. ბევრი უსამართლოდ ეჭვოდა სანდროს და ხან და ხან ცხარე ცრემლითაც ატირებდნენ მას. ერთხელ „დროება“-ში საოცარი ენით ვაღანძლა იგი, მიწასთან გაისწორა რომ იტყვიან, როგორც პიროვნება, როგორც მწერალი, — ილია ხონელმა. ძლივს დავაწყენარეთ საწყალი, ტირილი რომ აუტყდა ფელეტონის წაკითხვის შემდეგ.

— ალბად ვანო მაჩაბელი არ არის ტფილისში, — ის არ მისცემდა ნებას ასე რივად გავვლანძღე ხონელს. დღეს მლანძღავენ, მიწასთან მასწორებენ ზოგიერთნი, მაგრამ მე მწამს, რომ მოვა ისეთი დრო, როცა ჩემს სახელს სხვანაირად ახსენებენ, სიტყვა სანდროს.

ეს იყო მისი ღრმა რწმენა და მით ნუგეშობდა იგი.

ალტაცებულმა მისი მოთხოვნის „განკიცხული“-ს წაკითხვით მე მივსწერე წერილი და სანდროსაგან მივიღე მაგიერი, რომელშიც იგი მწერდა: ნეტავი შენისთანა თანამგრძობი შემატებულად მუადესო, ბევრი ისე მექცევა, თითქო არც კი ღირდეს ჩემი ნაწერის წაკითხვაო. რასაკვირველია ტფილისში ისეთებიც ყავდა სანდროს, რომლებიც დიდათ აფასებდნენ და ხელს უწყობდნენ მას ლიტერატურებაში. დიდად ემადლიერებოდა ვანო მაჩაბელს; დიდის სიყვარულით იხსენიებდა ილია ჭავჭავაძეს. ვანო მაჩაბელს დიდი ლაპარაკი მოუვიდა სანდროს



გაზეთში გალანძღვისათვის ხონელთან, რის შემდეგ ხონელმა დაიწყო წყევლა და შესწევითა გაზეთში მუშაობა. ილია ქაუქავაძემ ხელის მოსამართლად მისცა „ივერიაში“ დაბეჭდილი „განკიცხულის“ ამონაბეჭდი; ამგვირადღე მისცა რამოდენიმე ასი ამონაბეჭდი — „მომღერი“-ს. ეს მოთხოვნა უცნაურად უყვარდა სანდროს და განსხვავებული აღიღებებით ალაპარაკდებოდა ხოლმე, როცა მოთხოვნის შესახებ სიტყვა ჩამოვიარდებოდა. საყვარელმა ნაწარმოებმა დიდი მწუხარებაც გამოარონია სანდროს. ამონაბეჭდზე ილიამ ფასად მანეთი დააწერინა.

— გერვებაო! ეთქვა მას სანდროსათვის.

ილია მეუნარვამ გაზეთში მოათავსა მოთხოვნის გარჩევა; სწერდა რომ ნაწარმოები სუსტიაო და უიცივნებდა ავტორს, რომ ისეთი დიდი ფასი დაადო ასეთ სუსტ ნაწარმოებსო; და ფონებ, ნათქვამიც კჳონდა, რომ ეს მწერალს აღბათ სიხარბით მოსვლიაო. კარგავთ მახსოვს რა გამწარებული იყო ამ წერილით სანდრო; გულამომჯდარი ტიროდა ამის გახსენებაზედ. ამის შესახებ მან მეუნარვაის საუცხოვო საპასუხო წერილიც მისწერა.

— რა უნდათ ჩემგან?.. რა ვქენი ისეთი ცუდი, რომ ყოველგვარ სისამაგლეს თავზედ მახვევენ?! ამბობდა იგი გამწარებით.

გავიყვებით უყვარდა სანდროს სცენა, მაგრამ საუბედუროდ ძლიერ სუსტი მსახიობი იყო. სანაეიროდ ლეკურის გასაოცარი მოთამაშე იყო. უცნაური ღამაში რამ იყო მისი თამაში ორი ხანჯლით, — მაყურებელს თან ხიბლავდა მისი სიმარდე, თან შიშს ჰგვრიდა.

— სანდრო, თუ კაცი ხარ, თავი გაანებე მაგ ხანჯლებით თამაშს, — ფეხებს დაიჭრი ერთ დღეს და ეს იქნება! ვუბნებოდით ხოლმე, რაზედაც იგი მხოლოდ სიამოვნებით იცინოდა.

მეტად შევიწროებულ ცხოვრებაში იყო საწყალი სანდრო, მაგრამ წერას თავს არ ანებებდა. დაბოლოს დასწულებული იგი მოათავსეს მიხეილის სააქადემიოფოში. ამ დროს კიდევ გამოიცა მისი მოთხოვნები სამ ტომად. გამოცემული წიგნები მიუტანეს ავადმყოფს, მან გადაწალა, დააჩერდა თავის პორტრეტს, მერმე ამოხია იგი, წიგნის ფურცლებიც მიხი-მოხია და გადაყარა იქით. მოკვდა სანდრო ისე, რომ გრძობაში არ მოსულა. გამოსული მისი წიგნები კი საოცარი სისწრაფით ვრცელდებოდა და აყვარებდა ხალხს მის დამწერს.

## V

წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში მოიშალა „ნამესტნიკობა“ და მეფის მოადგილის მაგიერ დაინიშნა მთავარმართებელი. პირველი კავკასიის მთავარმართებელი იყო თავადი დუნდუკოვ-კორსაკოვი, ყოფილი ბულგარეთის კომისარი. ყოფილ მეფის მოადგილეს, მიხეილ ნიკოლოზის ძეს, ბრალად სდებდნენ, რომ მან აუშვა კავკასიის მკვიდრნი და ვერ გააყვავდა მტკიცედ რუსეთის პოლიტიკა.

დუნდუკოვ-კორსაკოვი ამის გამოსასწორებლად დაინიშნა და მის მართებლობის დროს რუსული პოლიტიკა საბატყად ტარდებოდა, — ადგილობრივი მცხოვრებლები საშინლად იჩაგრებოდნენ ამ პოლიტიკით.



ერთ წელიწადს საქართველოში ჩამოვიდა ყოფილი მეფის მონღოლთა მიხედვით ნიკოლოზის ძე. დაბინავებული იყო თავის მამულში, ბორჯომში და დიდათ ერიდებოდა იქიდან ვასვლას, რადგან დუნდუკოვს სწყინდა მისი აქ ყოფნა. ქალაქებიდან კი დეპუტატები მოდიოდნენ ბორჯომში და იპატიებდნენ მთავარს. სხვათა შორის ქუთაისმაც ვაგზავნა დეპუტატი და სთხოვა ქუთაისის სწევოდა. დიდი ყოყმანის შემდეგ მთავარმა თანხმობა განაცხადა და დანიშნულ დღეს კიდევ ეწვია ქუთაისს. ქალაქი დაუხვდა გულგამილიად და დაწვევითი ჰქონდათ საზეიმო ნადიმზედ გამოეთქვათ დიდი მთავრისათვის თავიანთი გულის წუხილი და გაეცნოთ ნისთვის ქვეყნის მდგომარეობა მის წასვლის შემდეგ. საზეიმო ნადიმზედ წარჩინებულ პირთა შორის იყვენ დიმიტრი ყიფიანი და ქალაქის თავი ლუკა ასათიანი. ამ უკანასკნელს დაავალეს სიტყვის თქმა და მისგან ვიცი ეს ამბავი. თავის სიტყვაში ასათიანმა თამამად აღნიშნა ქვეყნის შეწუხება, ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნისგანთა მიმართ უყურადღებობა და არსებული უპატივცემლობა ხალხისადმი. თამამად ნათქვამმა სიტყვამ ერთი აურ-ზაური გამოიწვია. საჩქაროდ მოითხოვეს ნათქვამი სიტყვის ტექსტი ტელიისში და ასათიანი ძლიერ გადაარჩინეს ქალაქის თაობიდან რომ არ გადაეყენებინათ. იმ დღიდან ამომიჩემაო, იტყოდა ასათიანი, ამომიჩემო და დუნდუკოვმა და დამიპირა კავკასიიდან გადასახლებაო; ხშირად საზეიმო წვეულებაზედ დაკინებით ამბობდა ხოლმე, რატომ ქუთაისის ქალაქის თავს არ ჰპატივობთ სიტყვის წარმოსათქმელადო. ცუდი რაღაც ნომელოდაო, ამბობდა ასათიანი, მაგრამ ამ დროს მოხდა სემინარიის რექტორის ჩუდუკის მოკვლა ლალიაშვილისაგან, ეგზარხოს პაულესაგან ქართველი ხალხის დაწყველა ამბიონიდან, რამაც გამოიწვია დიმიტრი ყიფიანის ეგზარხოსისადმი მიმართული წერილი. ატყდა ამ წერილზე დიდი აღთქოთი. დუნდუკოვმა ასათიანს თავი დანება და თავისი გამძლავრებული რისხვა ყიფიანზე გადიტანა; — უფრო დიდი თევზი დავიჭირო, — სიხარულით ამბობდა თურმე დუნდუკოვი. თავად-აზნაურობის წინამძღოლად მყოფი ყიფიანი, პეტერბურგიდან ბრძანების მოსვლით, თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნა და გაიგზავნა საცხოვრებლად სტავროპოლში, სადაც მოხუცებულს, სამოცდა თუთხმეტი წლის ადამიანს შეუბრალებლად თავი გაუხეთქეს. რასაკვირველია დანიშნული იყო გამოძიება; მაგრამ მკვლელი, რა თქმა უნდა, ვერ აღმოაჩინეს.

მოკვიფე მთავარმართველნი მუდამ მგზავრობაში იყო, ქეიფებსა და ლხინებში. სივანგებო მატარებლებს დაჰყავდა უგრძობლად მთერალი მართველი და გრანობაში არ მყოფი სადგურებზედ დამხედურ სხვადასხვა თხოვნებით დეპუტატებს ყველას ჰპირდებოდა ნათხოვნის ასრულებას და დაკმაყოფილებას, თუმცა არც კი იცოდა ვინ სთხოვდა, რას სთხოვდა და რას ჰპირდებოდა. ერთხელ აურუმე სურამის სადგურზედ დამხედურ დეპუტაციას ვაგონის ფანჯრიდან გადმოსძახა:

— ბუდეტ ვამ პორტ, ბუდეტ! (გვეყნებათ ნავთსადგურიო) და ჩაწვა ისევ. — თავი ისევ ფოთში ეგონა, საიდანაც მოდიოდა და სადაც საზეიმო სადილობამდე ნავთსადგურის შესახებ ჰქონდა ლაპარაკი.



1888 წელს საქართველოში ჩამოვიდა ალექსანდრე მესაქინი და მოვიდა ყოველი ღონე იხმარა, რომ მეფის მოგზაურობა საარაკო და უსაყურად და კიდევ მიადწვია მიზანს. სხვათა შორის მან შეადგინა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ახალგაზდობისაგან საპატიო-ყარაული, საუცხოვო რამ სანახავი; ამორჩეული იყო უწმინდესი ემაწვილები, საუცხოვოდ გამოწყობილნი ქულაჯებით, საუცხოვო ცხენებით და იარაღით. ეს საპატიო ყარაული მუდამ და ყველგან თან ახლდა მეფეს და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა მასზედ. ყველას წყალობის ნიშნად მიეცა პრაპორშჩიკობა, რამაც მეფის მეტი აღტაცება გამოიწვია არა თუ გაბედნიერებულებში, არამედ მეფის ერთგულთა შორისაც. მეფის მოგზაურობამ წინანდალისკენ თავის უცხო სანახავებით მოლოდინს გადააქარბა. საარაკო რამ იყო მეფის გართობა საბადურის მთაზედ, ისეთი რამ უნახავი, რომ ჩრდილოეთის, ყინულიც გალხევა და ერთი ბეწო აკლდა, რომ ღვეკური ეთამაშნა. წინანდალში ხომ მოხერხებულად შედგენილ გასართობებს დასასრული არ ჰქონდა.

აქ მოვიყვან ერთ უცნაურ ამბავს ჩემს წინანდალში ყოფნის დროს რომ მიამბეს ამას წინად. დღევანდელ სახალხო მამულის ეზოში შესასვლელ ჭიშკრის წინ კედელი იყო აშენებული; არასტერს ეს კედელი არ იფარავდა. ვიკითხე, რა საჭირო იყო ასეთი უსარგებლო კედლის აშენება და მითხრეს რომ, — როცა ალექსანდრე მესამე მოდიოდაო, ამ ჭიშკრის პირდაპირ ერთი გლეხის ქოხი იდგაო და სასახლის აიენიდან თვალში ეცემოდა აიენაზედ მყოფსაო. გლეხს შეაძლიეს ფული და წინადადება მისცეს, რომ აყრილიყო და თავისი ქოხი აქაურობისათვის მოეშორებინა, მაგრამ გლეხი ვერას გზით ვერ დაეყოლებინათ; — აქ ვავიზარდე, აქ უნდა მოვკვდეთ, ამბობდა გლეხი. ვერ აპყარეს ვერც მუქარით გლეხი და მამულის გამგემ ქოხს წინ კედელი აუშენა, რომ სასახლის ბალკონზედ მოსივრნე მეფე-დედოფალს არ შეჩხირებოდათ თვალში ჩაფეხვილი გლეხის ქოხი. არ ვიცი, არის თუ არა ეს კედელი დღეს, ქოხი ჩემსობას კი უკვე აღარ იყო.

მეფე ქუთაისსაც ეწვია. ქუთაისის თავად-აზნაურობამაც გამოაწყო საპატიო ყარაული; ამის გამოწყობაზედ ერთი შებეთქება იყო; მსურველები მოხუცნიც კი მრავალი გამოჩნდა; ყველას იტაცებდა პრაპორშჩიკობის შექენის სურვილი. უკანასკნელ ქონების ყიდდენ გამოსაწყობად, თავს არ იზოგავდენ ხარჯისათვის. მაგრამ დაბოლოს ბევრი იმედგაცრუებული დარჩა, რადგან ზოგს მისცეს პრაპორშჩიკობა, ზოგს კი მხოლოდ იუნკრობა. დიდი აღელვება და შეცილება იყო მანდილოსანთა შორისაც, მოხუცი კნინები ეცილებოდენ ერთმანეთს და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ დედოფლის წინაშე ღვეკურის მოთამაშეთა რიცხვში მოხვედრილიყვნენ. საქართველოდან მეფე მგზავრობით მეტად ნასიამოვნები წავიდა. დუნდუკოვიც ძლიერ გაბარებული იყო, რომ ყველაფერმა ზედმიწევნით ხელი შეუწყო მეფის სასურველად მიღებას და მის უზიფათოდ მოგზაურობას. რუსეთში გაბრუნებული მეფე რომ გემით გაისტუმრა ბათუმიდან დუნდუკოვმა, მხიარულმა პირჯვარი ვადისახა და მის მახლობლად მდგარ მღვდელს წაავლო ხელი და ხალისიანად მიმართა:

— აბა წამაო ვადიხანდოთ პარაკლისი, რომ ასე მშვიდობიანად ამოგზავრა



ქვემოთაჲს

ღმერთმა იმპერატორი და შევევედროთ მას, რომ კვლავაც ასევე დაგვადგინოს! აბა წამობრძანდით გკლესიაში! გადმოგვცხა იქ მდგომთ. პარაკლისი კი გადვიხადეთ, ღმერთს ეთხოვა მეფისათვის მშვიდობიანი მგზავრობა მიეცა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, საღვურ ბორკაზედ მეფის მატარებელი დაიშხვრა და მეფე დედოფალი ძლივს გადარჩენ სიკვდილს.

ვერ გაამართლა, დუნდუკოვმა მასზედ დამკარებული იმედი, ვერ გამოდგა სასურველი მართველი, ან კი როგორ შეიძლებოდა ეს იმისთანა პიროვნებისაგან, როგორც ის იყო. მოშრაველდა არეულ-დარეულობა, უწყესობა, ავაზაკობა და ყაჩაღობა.

დუნდუკოვი გაიწვიეს და წესიერების დასამყარებლად პეტერბურგიდან გამოგზავნეს თავადი გოლიცინი კაცი სასტიკი, თვითნება, დაუზოგველი, რომელს გადაწყვეტილი ჰქონდა მაგარი ხელით დაემორჩილებინა აქაურობა და რუსეთის სრული მონა მოჩილი გაეხადნა ქვეყანა. მაღალი, მუცელგამოსყერილი, თავ გადატლუპილი, ცისურთ თვალებით, მკაცრი კილოთი მოლაპარაკე შიშს ჰკვრიდა ყველას მის გარშემო მყოფთ, საბრძოლველები ყოველ ფეხის ნაბაჯზედ იმართებოდა ხალხის შესაშინებლად, — მაგრამ არა გამოდიოდა რა. მთავარმართებელი გამბრახებით ამრავლებდა საბრძოლველებს— აწით ფიქრობდა გვეყნის დამშვიდებას და დაწყნარებულ ხალხში წესიერების აღდგენას. წესიერება უფრო ირღვეოდა და გოლიცინის სისასტიკეს საზღვარი არ ჰქონდა.

მოიყვან აქ რაც პირადათ გამოიგონია თბილისის სამხედრო სასამართლოს თავჯდომარის ამხანაგის მოსამართლე გენერალ ივანენკოსაგან. ეს ივანენკო მეტად პატიოსანი კაცი იყო, იმდროინდელი ლიბერალი, თანამშრომლობდა ნიკო ნიკოლაძის „ნოვოე ობოზრენიეში“. აი იმისი ნაამბობი: ელიზავეტპოლის გუბერნიაში (დღეს ვანჯა) სხვებთან ერთად დათარეშობდა ბრბო ყაჩაღ აბუზარ-ოლის მეთაურობით. ვერას გზით ეს ბრბო ვერ მოსპო მთავრობამ. დაბოლოს იშოვეს ერთი გადავიარდნილი, სახელად სალიხა, რომელს შეჰპირდენ ყველაფრის პატივებს და დასაჩქერებასაც; თუ ის მოჰკლავდა აბუზარას, ან ხელს შეუწყობდა მის მოსაკლავად. სალიხა დათანხმდა, შევიდა აბუზარას ბრბოში და ერთ დღეს აბუზარა ღალატით მოკლა. ბრბოს შემადგენლობა დაიჭირეს და მათში სალიხაც. საჩქარო ბრძანება გაიცა, რომ სამხედრო სასამართლოს ვანჯაში გაერჩია დაქვრივების საქმე. სასამართლო გაემგზავრა ვანჯაში. ვანჯის გუბერნატორს კირეცს დეპეშით ბრძანება მისცა დაემზადებინა თერთმეტი საბრძოლველა დაქვრივ ყაჩაღთა ჩამოსახრობად. მან ეს წინდაწინ გადასწყვიტა და ექვი არ ჰქონდა, რომ სასამართლოც ასე გადასწყვეტდა. ბრძანება რასაკვირველია აღსრულებულ იქმნა, — კირეცმა დაამზადა თერთმეტი საბრძოლველა, მაგრამ საველე სასამართლომ ჩამოხრობა მხოლოდ ოთხ ყაჩაღს მიუსჯა, მათ შორის სალიხასაც, დანარჩენებს სხვა და სხვა სასჯელი. გუბერნატორი კირეცი შიშისაგან ქუჟაზე აღარ იყო. იგი დიდი ხნიდან მეგობარი იყო გოლიცინის, კაცი რბილი; გოლიცინმა გადამოიყვანა რუსეთიდან ვანჯაში. მეგობარი იყო გოლიცინის, მაგრამ ძლიერ ეშინოდა მისი და მუდამ თან უბით ატარებდა სამსახურიდან გადადგომის თხოვნას; რბილ გენერალს არ შეეძლო სასტიკი მეგობრის ნების აღსრულება; რამოდენი-



მეგერ კიდევ შეეცადა გაენთავისუფლებინა თავი სამსახურიდან და მიეცა მკაცრი უფროსი თხოვნის უკან უბრუნებდა და ეუბნებოდა: **გინჯაოქონიანი**

— სამსახურიდან გადადგომა კი არაა საკირო, საკიროა სამსახურის აღსრულება!

დამფრთხალმა კირევემა ახლაც გაამზადა სამსახურიდან გადადგომის თხოვნა, — ამით ფიქრობდა გოლიცინის რისხვის აცდენას. სასამართლოს თავმჯდომარე თბილისში ჩასვლის შუაგულს დადგინდა გოლიცინის საქმის მოსახსენებლად. გოლიცინმა უკვე იცოდა, რომ ჩამოსახარობი მხოლოდ ოთხი ყაჩაღი იყო თერთმეტის მაგივრად.

— მივედით, სიტვა გენერალმა იენენკომ, — მიგვიღო დამშვიდებულად და წყნარებულმა. დაგვაჯინა, დაჯდა და ხან-მოკლე სიჩუმის შემდეგ დაიწყო: თქვენ, ბატონებო, კანონის ხალხი ხართ, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ მეც კანონის კაცი ვარ (იგი სენატორი იყო), რომ მეც მესმის რაიმე კანონის და მსურს კანონიერება დაემაყრო ამ მხარეში, თქვენ კი ხელის შეწყობის მაგივრად ხელს მიშლათ და გიცხადებთ, რომ მე თქვენ ამის ნებას არ მოგცემთ და გაფრთხილებთ შემდეგისათვის. — იგი თან და თან ბრავდებოდა, — მე მოველოდი აერთმეტ სახარობელს, თქვენ კი დამცინეთ და ოთხ კაცს მაძღვეთ. ჩემი განზრახვები არ გადის თქვენთან. ტყვილია — მე ჩემსას ვიზამ, ჩემსას გაიყვან! თითქმის ყვირილით დაათვა თავისი ჩვენამდე მომართვა გოლიცინმა, რომელმაც ეტუბოდა დაეწყებას მისცა, რომ ჩვენ მოსამართლეთ წოდებას ვატარებდით.

სასამართლოს განაჩენი წარუდგინა დასამტკიცებლად. თავმჯდომარემ მოახსენა, რომ ჩამოსახარობ ოთხთა შორის არის სალიხა, რომელს მთავრობას შეჰპირდა ყველაფრის პატიებას. გოლიცინი მიუბრუნდა მოსამართლეს და ერთი წამოიყვირა:

— აბა სამი მრჩება!... მხოლოდ სამი?... სამსახრად მიხდით საქმეს?!... ყველა ჩამოსახრონ! არ ვიცი მე თქვენი დაპირება! და გაბრაზებით მოუსყა კალამი განაჩენს და ამრიგად სალიხაც სხვებთან ერთად, დასაჩუქრების ნაცვლად ჩამოსხრობილ იქნა.

ერთი კიდევ ამ მართველის ნამოქმედარი ყაჩაღი მეველუდას საქმეში. მეველუდა იყო აპარელი ყაჩაღი, რომლის ბრბოს დიდს ვასაკიროში ჰყავდა ჩაყენებული მთელი ადგილობრივი ადმინისტრაცია. ეს მეველუდა სიცოცხლით სავსე ზიკი ერთ დროს მსახურობდა მილიციონერად და დიდ პატივცემშიც იყო. ტყვილად თუ სამართლიანად ერთ დღეს მას დაბრალდა ვიღაც მოგზაურის გაძარცვაში მონაწილეობის მიღება და დაჭერილი იქნა. მეველუდა გამოძიების დროს გაიქცა, გადაეარდა და წავიდა ყაჩაღათ: ნალე ამხანაგებიც იშოვა, შეადგინა ბრბო და მოსვენებას არ აძლევდა ადმინისტრაციას თავის თამამი, გამბეული თარეშით. გოლიცინი გაბრაზებით გაიძახოდა:

— მომეცით, მეველუდა მომეცით, თორემ მთელ მხარეს ავიკლებო.

ერთ დღეს მთავრობამაც მიადწია თავის საწადელს — მეველუდა დაიპირეს. მისი საქმე ბათუმში ირჩეოდა ერთი კვირის განმავლობაში. რადგან თარეშებები უხვირონი გამოდგენ, ამის გამო თარეშებებთ სასამართლომ მოითხოვა სხვები



და დაგვნიშნეს მე და ერთი ვინმე პარულიკი პუჩინიანი; აქედანვე დასაქმების გარემოება.

სასამართლოს თავმჯდომარეს წინდაწინ ჰქონდა ნაბრძანები მეველუდასთვის ჩამობრძობა გადაეწყვიტათ. საქმის გარჩევა დამთავრდა სხვაწაიდად. მეველუდას დამცველმა, კაპიტანმა დუბროვსკიმ მშვენიერი დასაცავი სიტყვა სთქვა და მეველუდასაც ისეთი უკანასკნელი სიტყვით მიმართა სასამართლოს, ისეთი მძლავრი კილოთი და შინაარსით, რომ ვისაც ქართული ესმოდა (მეველუდა როგორც აპარელი მშვენიერად ლაპარაკობდა ქართულს) გული აუღულა და ატრია. დამცველმა მთხოვა, რომ რაც შეიძლებოდა სიტყვა სიტყვით გადაეცემა ბრალდებულის ნათქვამი მოსამართლეთათვის. შეხსიერება კარგი მქონდა და მეველუდას ნათქვამი საესებით, მისივე კილოს დაცვით გადავუთარგნე მოსამართლეებს. ორ მათგანს (ლომინგს და არვინტაისს) აუყურდა გული და თვალთავან კრემლი წამოუვიდათ. მიუხედავად ყველწაირ მუკადინეობისა თავმჯდომარის მხრივ, მეველუდას სასამართლომ ჩამობრძობის მაგიერ სამუდამო კატორღა მიუსაჯა. გოლიციინის შიშით აცხატახებულმა თავმჯდომარემ ვერა გზით განაჩენი ვერ შეაკვლევინა სასამართლოს წევრებს. ხალხი დიდად გახარებული დარჩა განაჩენით: გოლიციინი კი კინაღამ ჰკუდიან შეიცვალა და სასამართლოს განაჩენი გაგზავნა პეტერბურგში, უმაღლეს სამხედრო სასამართლოში და მოითხოვა, რომ განაჩენი, საქმის ხელშეორედ გაურჩეველად შეეცვალათ. მოთხოვნა შეწყნარებულ იქნა: განაჩენი ვადისერა და მეველუდას ჩამობრძობა მიუსაჯა! არც კასაცია, არც ახლად საქმის გარჩევა. ჩამოახრჩვეს მეველუდა! მოსამართლეებს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური. მკაცრმა მართველმა თავისი ქნა. კარგა ხანს განაგრძობდა ამგვარად კანონიერების გამტკიცებას გოლიციინი, სანამ თავი არ გაუბთქქეს კოჯრის გზაზე და დაავადმყოფებული იძულებული არ გახადეს თავი დაენებებინა კავკასიისათვის და ისევ პეტერბურგში დაბრუნებულიყო.

დავიწყებას ვერ მივცემ მეველუდას ამხანაგის საწყალ ილიასა ხელაძის ამბივს, რასაც ადგილი ჰქონდა გოლიციინის მთავარმართველობის დროს.

ილიასა იყო ახალგაზდა აპარელი. ოჯახში ოთხი ძმა იყო; ცხოვრობდნენ ერთგვარად, ძმურ სიყვარულში. ორი ჟფროსი—ცოლშვილიანები იყვნენ. მესამემაც ერთ დღეს გადასწყვიტა ცოლის შერთვა. საცოლეთ ამორჩეული ჰქავდა მისივე სოფლის მცხოვრების ქალიშვილი, საოცარი ლამაზი და მშვენიერი გოგო. ძმებს, რომელთ ეს ბიჭი განსხვავებულად უყვარდათ, დიდათ გაუხარდათ მისი გადაწყვეტილება და საქმის მოსაგვარებლად დატრიალდნენ. ქალის მამასაც ჯარი არ უთქვამს და საქმე ბოლოვდებოდა, მაგრამ უმაწვილ ბიქს განხრახვა მისმა ამხანაგმა შეაკვლევინა. გაიგო თუ არა ამ უკანასკნელმა, რომ ილიასას ძმა ირთავს იმ გოგოსო, მოვიდა და შევედრა იმის შერთვა გადაეფიქრა და გოგო მისთვის დაეთმო, რადგან მას კარგა ხანია იგი ჰქავდა ამორჩეული საცოლედ და მისი დაშორება მისთვის სიკვდილი იქნებოდა. დიდი ხეყწნის შემდეგ ილიასას ძმამ შეისმინა ამხანაგის ვედრება! დასთმო თავისი განხრახვა და საშუალება მისცა ამხანაგს შერთო სანატრელი არსება; დიდად უმძიმდა ილიასას ძმას ეს დასთობა; ერთხანახელ მეტად დამწუხრებული იყო, მაგრამ რამოდენიმე ხნის



შემდეგ ყმაწვილის გული ისევ აივსო სიყვარულის გრძნობით. განზრახვა დაყმაწვილქალდა დათმობილი, დაკარგული საცოლეს უნცროსი და. ბიჭმა მისი ქალი გოგოს; იგი თუ სჯობდა, თორემ არაფრით ჩამოუვარდებოდა უფროსს დას. ბიჭმა გადასწყვიტა ამის შერთვა. დატრიალდენ ძმები საყვარელი ძმის სურვილის სისრულეში მოსაყვანად. ძნელი არ იყო ამის აღსრულება, რადგან ბიჭს წუნს ვერაინ დასდებდა. საქმე ის იყო ბოლოვდებოდა, რომ ისევ ის ამხანაგი ჩაერთა. მან ისევ მიმართა ილიასას ძმას თავის განზრახვაზედ, მეორე დის შერთვაზედ ხელი აეღო. გაკვირვებულმა ბიჭმა ჰკითხა თავის ამხანაგს მიზეზი—რატომ უშლიდა იგი ამ უნცროს დასთან დაქორწინებულყო, მაგრამ ხვეწნის გარდა დაშლის მიზეზი ვერ გაიგონა. მოლაქ მიუგზავნა ილიასას ძმას, მაგრამ ამან აღარ შეისმინა უსაფუძვლო, გაუგებარი თხოვნა; უარი სთქვა საცოლეს დათმობაზედ და კიდევ შეერთა თავისი საყვარელი არსება.

ტკბილათ, მხიარულად სცხოვრობდენ დაქორწინებულნი და მთელი ოჯახი. მაგრამ ერთ დღეს, როცა ახლად დაქორწინებული ილიასას ძმა სახლის თავზედ ქარისაგან ანგრეულ კრამიტს ასწორებდა—გამოვარდა ტყვიი და სიცოცხლით საეცე მშენიერი ბიჭი სასიკვდილოთ დატრიალი სახურავიდან ჩამოვარდა მიწაზედ. ოჯახის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონია; ასე მოულოდნელად მოვლინებულმა საშინელმა უბედურებამ უკიდურესათ გაამწარა ყველანი—ძმებს ერთმანეთი ძლიერ უყვარდათ, მაგრამ ეს რალაქ გამორჩევით ჰყავდათ ძმობაში და განსხვავებულად ესიყვარულებოდენ. მოსაძებნი იყო მკვლელი. მთავრობამაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო და რამოდენიმე ხნის შემდეგ კიდევ მიავნეს მკვლელს, გაიგეს მისი ვინაობა. ეს იყო თექვსმეტი წლის ბიჭი ილიასას ძმის ქვისლის უნცროსი ძმა. დაკითხვაზედ მან განაცხადა, რომ იგი ნადირობდა და განასროლი მისი ტყვია უცაბედობით მოხვდა ილიასას ძმას. საპართალში მიცემულ ბიჭს მიესაჯა ორი წლის ციხე, მისი მცირე წლოვანობის გამო.

უხომო მწუხარებამ შეიპყრო მთელი ოჯახი. საყვარელი ძმის ასე უმიზეზოთ დაკარგვა დღითი დღე ამწარებდა ძმებს. მკვლელის დასჯას, მისი ციხეში გამომწყვდევის არავითარი დამამშვიდებელი გავლენა არ ჰქონებია; ეს ვერ აწყნარებდა აღუღებულ გულს; მოსვენება ყოვლად შეუძლებელი იყო—სანამ მოკლული საყვარელი ძმის სისხლი არ ამოიღებოდა. ძმებისათვის და მგობრებისათვის და მეზობლებისათვისაც აწკარა იყო, რომ ილიასას ძმა მოაკვლევინა მისმა ქვისლმა თავის ძმას. აქ უნდა ამოღებულყო სისხლი. ხალხური რწმენით მოკლულის სული, ჩიტად ქცეული, მუდამ მწუხარე საფლავს არ შორდება სანამ სისხლი ამოღებულა. ძმის სულის მოსვენება—ეს იყო ოჯახის დარდი და ყველაზედ უფრო ეს დარდი არ ასვენებდა ილიასას, რომელს გადამეტებით უყვარდა ასე უმიზეზოდ მოკლული ძმა. მოუსვენრობამ უფრო იმატა, როცა ციხიდან გამოვიდა მკვლელი და თავისუფლად დადიოდა. ველარ მოითმინა ილიასამ და გამხეცებული ერთ დღეს ჩაუსაფრდა ძმის ქვისლს და მოჰკლა იგი. სისხლი აღებული იყო, მისი ღრმა რწმენა, რომ მისი ძმის სული აწი მოისვენებდა,—დაკმაყოფილებული, მაგრამ მთავრობის კანონით სისხლის აღება ედრებოდა უბრალო მკვლელობას და სისხლის ამღები სასტიკით ისჯებოდა. ილიასა იძუ-





ლებული იყო სახლს-ოჯახს გაშორებოდა; ტყეს შეაფარა თავი და მისი ბრძანება გასცა დაეჭირათ იგი — წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელს სწრაფად აყრას და განადგურებას. მუხტარმა (მამასახლისმა) გამოიყვანა სოფელი და გარს შემოერტყუნ ტყეს, სადაც იმალებოდა ილიასა. ბიჭი ვერ დაიჭირეს, შეტაკებაში მიიმედ დაიჭრა რამოდენიმე კაცი. ილიასა გადაეფარდა; იმ დღიდან იგი უკვე ყაჩაღი შეიქნა და მან მიმართა შევლუდას — შეეიდა მის ბრბოში, გახდა მისი ამხანაგი. რამდენიმე წლის თარეშის შემდეგ შევლუდა დაიჭირეს, ჩამოახრჩვეს; ბრბო გაიბნა და ილიასაც მოკლე ხანში ჩაივდო მთავრობამ ხელში. ყაჩაღის გასასამართლებლად ბათუმში დანიშნა საეკლესიო სამხედრო სასამართლო მოსამართლე გენერალ ივანენკოს თავმჯდომარეობით. ეს ის ივანენკო იყო, რომელსაც ზენოთ მქონდა ნათქვამი. სასამართლოს წევრთა შორის მეც ეყვავი დანიშნული. ივანენკოს, რომელიც კარგათ იყო გაცნობილი საქმესთან, და წევრებს, გადაწყვეტილი ვეკონდა ყოველივე საშუალება გვეხმარა ილიასა სიკვდილს გადაგვერჩინა. მოწმეთა შორის იყო ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელი კაპიტანი ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი. ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ივანენკომ კითხვა მისცა: შეეძლო თუ არა ილიასას დაგვრებულყო იმით, რომ კანონმა დასაჯა მისი მისი მკვლეელი და სისხლი არ ეძია. ჯემალ-ბეგმა სთქვა: ხალხის რწმენით სისხლი უსათუოდ უნდა აღებულ იქნასო. ამგვარივე შეკითხვა მიეცა მეორე მოწმეს — ილიასას სოფლის მოლას: შეეძლო თუ არა ილიასას სისხლი არ აეღო, რაკი მისი მისი მკვლეელი მთავრობის კანონმა დასაჯა. შეკითხვამ ეტყობოდა მოლა შეაწუხა; ერთხანაზედ გაჭუმბული იდგა, მერე გადახედა ილიასას და მტკიცე გამოთქმით სთქვა:

— არა, არ შეეძლო!

— რატომ? ისევ შეეკითხა თავმჯდომარე.

— იმიტომ რომ მთავრობის კანონი თავისთავათ არი... ეს კი სულის საქმეა! ვერ გადავა!..

ორივეს განცხადება ოქმში იქნა შეტანილი; ახალგაზრდა დამცველმა დაიბეჯა ხელზე ასეთი ჩვენებები და ცხარე სიტყვაში სახადედა ილიასას, როგორც მსხვერპლს ხალხური ღრმა რწმენისას, რომელს იგი ვერ გადააბიჯებდა, ვერ გადალახებდა სანამ ისეთ განვითარებაში იმყოფებოდა ის და მისი მოძმენი, როგორც არიან და თხოულობდა სასჯელის შეწყობას.

სასამართლოს წევრთა თათბირის დროს ივანენკომაც ასეთი აზრი წარმოსთქვა: მასაც, ჩვენსავით სწადდა ილიასა სიკვდილს გადაერჩინა; მაგრამ აქ საჭირო იყო სხვანაირი მოქმედება.

— ამ საცოდავს, ბუნების შეიღს, ჩენი განაჩენით, რომელში არ იქნება მისი სიკვდილით დასაჯა, ჩვენ ვერასგზით ვერ ვუშველით — სთქვა ივანენკომ, — მთავარმართებელს გამოუბრუნებლად გავაჯავრებთ მხოლოდ; გოლიციანი ისე მოიტყევა, როგორც მოიტყა მევლუდას შესახებ, განაჩენს ვაგზავნის პეტრობურგში და გადაასწორებებს მისდა ნებისად ჩვენს მიერ გამოტანილ შელავათიან განჩინებას. ჩვენ ილიასას მხოლოდ დავლუპავთ. მე გთხოვთ გამოვიტანოთ სიკვდილით დასჯის განაჩენი და ამით მომეციოთ საშუალება ეიხსნა იგი უბედულ-



რბისაგან; გაძლევთ პატიოსან სიტყვას, მე მივიღო ყოველფერ მონაწილე გოლიციანი შევაჯერო, დაკვილიო ამ საცოდავ ყმაწვილს ააქედნისაჲსი სიტყვითი. მე დაწერილებით, საესებით დავუბატავ, გაეაცნობ ილიასას და იმედი მაქვს მივაღებინებ ჩვენ შუამდგომლობას—არც სულ მხეცია ის კაცი,—ოლონდნელა შეეცეთ, ნუ გაეაჯავრებთ!.. ეს ერთად ერთი გზა ილიასას გადასარჩენად!

ჩვენ დავთანხმდით; ივანენკომაც შეასრულა თავის დანაპირები, მაგრამ მხეცს სისხლი სწყუროდა და არაფერი შეისმინა. გოლიციანის ბრძანებით ბათუმის ოლქის უფროსმა ილიასა წაიყვანა აჭარაში; ქელაში შეჰყარეს მრავლად ქალი, კაცი, ბავშვებიც კი და საჯაროდ ჩამოაბრჩვეს.

— ასე დაისაჯება ყოველი, რომელიც კანონს დაარღვევს და სამართალს გადააბიჯებს! იცოდეთ ეს! თან გამოეცხადა ხალხს, რომელს გული უდღულდა, რომ მშვენიერი ბიჭი ძალღივიტ ჩამოჰკიდეს, უდანაშაულო, მართალი.

დაქაყოფილებული იქნა კაცის კანონი, კაცის სამართალი.—

## VII

აქ ნინდა მოვიყვანო ერთი შემთხვევის ამბავი, რომელს ადგილი ჰქონდა ამ ხანებში, რომელმა კინალამ სულ სხვა მიმდინარეობა მისცა ჩემს ცხოვრებას. მაგრამ უბედურებისაგან მიხსნა კეთილმა ადამიანმა. არ შემიძლია ეს შემთხვევა დავიწყებას მივსცე და ამიტომაც მომიავს იგი.

როგორც ორ წელიწადს სამხედრო სასწავლებელში ნამყოფს მე უნდა ვემსახურნა სამი წელიწადი, რის შემდეგ ვფიქრობდი სამხედრო სამსახურიდან გასვლას და სხვა დარგში მოწყობას; ვაპირებდი ჩემს გუნებაში საზღვარ ვარეთაც წასვლას. ამ სამ წელიწადში კი სინიღისიერად ვასრულებდი სამსახურს. ერთი ამხანაგი მყავდა ბესარიონ იოსელიანი; ეს ხშირად მეტყუოდა ხოლმე რაზედ იკლავ თავსო. არაფერი არა გამოეარაო, ტყვილა ღალავ შენს თავსო, დამახსოვნე ნათქვამიო: ნუნაიკა ლეიტ, ა ხნაიკა ბეიტ. ყველა იძახის ბესომ არაფერი იცისო და ქე ვარ ჩემთვის მოსვენებული, არაფერზედ არ მსჯიანო; შენც ასე მოიტყვიო, მარიგებდა და მირჩევდა ჩემი ბესო, მაგრამ მე ვერ შევითვისე მისი დარიგება და ბალისიანად ვეკიდებოდი საქმეს. მალე თანამდებობაზედ აღდამნიშნეს—ჩამაბარეს თაფ-იარაღის შესაკეთებელი საბელონსო. აქ სახალისო სამუშევარიც იყო და ის თუთხმეტი სალდათი მოხელე, საბელონსოში რომ მუშაობდენ, დიდად განირჩეოდენ გუნდის სალდათებიდან—ესენი იყვნენ უფრო განვითარებულნი მათზედ ვაცილებით. აქ საქნარის ხასიათის გამო ურთიერთობაც განსხვავებული იყო, უფრო სადა და ახლობლური. მე ძალიან გამოიტაცა აქ მუშაობამ და ხშირად მეც ვმუშაობდი—ვეჩვეოდი საბელონსოს მუშაობას. ნაწილის უფროსი ამ დროს გვყავდა მეთვის ამლის პოლკოვნიკი კოლენკო, წმ. გიორგის ჯვრის კავალერი. სამნეო ნაწილის ე. ი. ჩემი პირდაპირი, უახლოესი უფროსი კი მოხუცებული, დაღარიბებული, ერთ დროს მდიდარი შემამულ პოდოლკოვნიკი გუკოვი, კაცი უხეიროთ ნატარებ ცხოვრებისაგან დაბრუნებული, გულმავიწყი, დაზარალებული. სრულიად უმიზეზოდ ამიტყდა ეს კაცი და თავის შერიშესებით მოსვენებას არ მიძლევდა. იმის წინად, ვამოსტყდელი ყმაწვილი ისეთ ხაირად დამარიდა თუ როგორ მოვეტყუდიყავი ნაწილში თაფ-იარაღის საინსპექციოთ მოსულ ინსპექტორთან, რომ მეც სიოცხვილში ჩამაგდო და ინსპექტორმა, ახალგაზრდა არტილერიის კაპიტანმა მითხრა: ეს უსათუოდ თქვენს გასწავლათ თქვენმა პოდპოლკოვნიკმა—მიადურთხეთ მის გადმოღალაულ პირისაზეში! თქვენ ნუ სწუხართ, ოლონდ ნუ აყვებით მიაგათთანა ოხრებს, გამოტყინე-



ბულ ძველებს, — მაგნი ჩვეული არიან ყოველ სისიძეგულს — მერე ვხვდებით პოდპოლკოვნიკს მისი დარიგება, თუმცა მთელათ არ გადაიქცა ვაჭრებას სიტყვები. არ ვიცი ამისკამო, არ ვიცი სხვა რამ ეწყინა ჩემგან, როგორც ესთქვი, პირდაპირ გამბერა თავისი შინაშენებით. მე ვითმენდი, ვითმენდი რაც გამეწყობოდა. ერთ დღეს კი მოთმინებაც დაიკარგა და უფროს — უნტროსობაც დამავიწყდა. მისმა ბრიყველმა მომართებამ ისეთნაირად ამრია, რომ დამავიწყდა ყველაფერი და პოდპოლკოვნიკი გავლანძღუ საჯაროდ, დაუხოზავად. ჩემს აღელვებას საზღვარი არ ჰქონდა, ყველაფერი დამავიწყდა, აყვირებული კილამ ვეცი ხელით, თუმცა რას ვუხამდი მოსულ კაცს. მერე გავგრიადდი და მივიტყვი ნაწილის უფროსთან.

— პოდპოლკოვნიკი ისეთ რამეს აძლევს ნებას თავის თავს, რომ მე გონებაზედ აღარ ვარ და არ ვიცი რას არ ვუხამ! ვუთხარი ათაბთაბებულმა გაჯავრებისაგან.

— თქვენ ისე უყვირით უფროს, რომ მე აღარ ვიცი რა ექნა აქ არ შეიძლება მაგრე დაწყნარდით! მითხრა პოლკოვნიკმა, ადგა და მითხრა გავყოლოდი. წინიყვანა, შემომარონია კანცელარიის შორეული ნაწილები, გზა და გზა რას არ მელაპარაკებოდა, დამოლოს გაჩერდა, მომაჩერდა და მითხრა: ახლა ხომ დაწყნარდით, წადით სახელოსნოში, მაგრამ ვახსოვდეთ რომ უფროსს კი არ უყვირინ, ეს ყოველად დაუშვებელია.

დამშვიდებული, დაწყნარებული შევედი სახელოსნოში, მაგრამ საოკარი დანაშაულობა დისციპლინის წინაშე პასუხის საგებად წინ მჭონდა. ჩემი მზოუნველი, კეთილი კაპიტანი სამსონ ნემსაძე, რომელთან ერთ ბინაზედ ვიდექი, კილამ ჰქუიდან შეიშალა, რომ გაიგო რაც მომივიდა. სწუბუნ ყველანი, რადგან მომელოდა მძიმე სასჯელი. ორი დღის შემდეგ პოდპოლკოვნიკმა შეიტანა ჩემზედ პატაკი რომ გავლანძღუ. მეტად ცუდი რამ მომელოდა.

მაგრამ ხიფათს ვადავრჩი. ერთ დღეს ადიუტანტმა მიხმო და მომცა წასაკითხავად ვადაშლილი სამხედრო დებულებათა ოცდამეთხუე წიგნი, მუხლები 91, 92 და 93.

— პოლკოვნიკმა გიბრძანათ ეს მუხლები წაიკითხოთ და კარგათ დაიხსოვნოთ! მითხრა ადიუტანტმა. მოყვანილ მუხლებში ნათქვამი იყო, რომ პირდაპირი უფროსის ვაღანძღვისათვის დანაშაუფს ცრემიყვა ღირსება, ჩინი, გამოთრიცხება სამსახურიდან და მიესაჯება ციხე ერთი წლიდან სამ წლამდე. ეს მომელოდა მე.

— წაიკითხე! ვუთხარი. —

— დაიხსოვით კარგადო. — სხვა არაფერი!

— გუკოვის პატაკი? ვიკითხე.

— გუკოვს, გამზიმო ადიუტანტმა გვერდზედ — გუკოვს პატაკი უკან უბრუნდებო.

თორმე კოლენკოს დიდათ ეწყინა ეს პატაკი და პოდპოლკოვნიკს პატაკიც უკან დაუბრუნა და თან შეუთვალა ადიუტანტის პირით:

— სირცხვილია მოხუცებულმა ნამახურმა გამოუცდელი უმაწიელი მიიყვანო იმ ხომამდე, რომ გონება ეკარგებოდეს, ჰქუიდან იმლებოდეს და მოსაზრება აღარ ჰქონდეს, თუ რას სჩადის, და ილუპავდეს თავს.

დამეცალა ბოდიში მომხადა პოდპოლკოვნიკთან და ესეც ისე განიადვილეს, რომ უარი ანაზედ არ მითქვამს და ამრიგად კეთილი ადამიანის მოქცევით ვადავრჩი უბედურებას. —

(გაგრძელება იქნება).

## დიმიტრი ყაზბევის და ალექსანდრე ყაზბევის გიორგაფიის გასაღები.

თავი მესამეობა \*).

სანდრო ლაკეს პანსიონში 4—6 თვე იყო.

გახუებული ახლოვდებოდა და შინ წასვლაზე მოაზრება და ლაპარაკი ხშირდებოდა. ძალუა ჩემმა განიზრახა თავის სამშობლოში წასვლა, ბიძაჩემი დასთანხმდა, თუმცა თითონ კი უარი სთქვა წაყოლაზე. გარდასწყვიტეს, რომ როცა შკოლეზში სწავლა გათავდება, მაშინ ძალუა სანდროთი ს. ახალქალაქში წაეა ზაფხულობით და ბიძაჩემი და მე ყაზბევში. ამდროს პატარა ინცინდენტი მოხდა, რომელმაც სანდროს სწავლის გარემოება შეცვალა და მაშასადამე მთელის ოჯახობისაც.

ერთს დღეს იაღუბა პანსიონიდან უდროვით და მოულოდნელათ დაბრუნდა და ანბავი მოიტანა: „მე ერთი კარგი სილა მაჭამეს და პანსიონიდან დამითხოვესო. სანდროც ძალიან დატუქსეს და ტირისო!“ ადვილი წარმოსადგენია რაც ამ ანბით ოჯახში აღელვება და აღიაცოათი გაჩნდა... ძალუამ ორივე ხელი თავში შემოიკრა, გამდელმა ნინომ ღრიალი მორთო, ბიძა ჩემი ფერმიბდილი აქა იქა აწყდებოდა...

— ჩქარა წადი ბატონო, გაიგე რა ანბავია?!... ეუბნებოდა თვალტრემლიანი ძალუა—ხუმრობა არ არის არ დაგვიჩაგრონ... სანდრო მწუხარებას ვერ აიტანს მოგვედეს დედა!..

— ეხლავე, ეტლს ვაბმევინებ! წაეალ და თუ რომ მართლა დაუტუქსავთ—არ ვიცი რასა ვიქ!.. მამა არ წანიწყდება, მაშინვე წამოვიყვან... რათ მინდა მაგათი სწავლა, თუ კი შეილს დამიკლექებენ!?...

ბიძა ჩემი საჩქაროთ გაქანებული, ნახევარ საათის განმავლობაში კიდევ დაბრუნდა თავისი სანდროთი. ჩვენ ყველანი წინ მივეგებებით და მზიარულს, მოციწარეს სანდროსა—ელოშინდით! ძალუამ კოცნისა და აღერსის შემდეგ ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა და აი რა მიზეზი გამოიკვა სანდროს დატუქსეისა:

საბრალო კორბოს ტიტველა—მელოტს თავზე ორიოდ ბეწვი თმა ებადა

\*) „მნათობი“ № 3 (11).



და იმითი იმშვენებდა ხოლმე ტიტველს თავს: განგებ არ იტყვიან, აქა-  
იქ გარდაივარცხნიდა რომლითაც ჰფარავდა თავის ნაკლულ გვერდებს.  
ხომ იმის ოთახში იყო დაბინავებული და მაშასადამე ერთი საწოლი ჰქონდათ.  
კორბოს შეადლის ძილით თურმე ეძინა და ის ორიოდე ბუწუწი თმა ბალიშზე  
აბურძნული ეყარა. ჩვენმა ცელქმა და დაუღვარაშა სანდრომ შენიშნა და გა-  
მახუმრება მოიწადინა. მხლებელი იალუბა ყოველთვის ჩოხა-მასრებიტურთ გა-  
მოწყობილი დიაჩაებოდა, მასრებში თოფის წამალი ჰქონიყო. სანდროს ია-  
ლუბასთვის თოფის წამალი გამოერთვა, მიჰპარებიყო მძინარე კორბოს, იმ ბუ-  
წუწებზე დაეყარა და სპიჩკით აეფეთქებინა! საწყალი კორბო თავდაპურული,  
შეზინებული, გასტრებული წამოვარდნილიყო და მოცინარე სანდრო და ია-  
ლუბა რომ დაენახა, მაშინვე მიხედებოდა, რაღა თქვა უნდა, იმათ გიგურ ხუმ-  
რობას და გაჯაერებული დახტვრებიყო თავის პატარა მტრებსა სანდრო მარ-  
დათ გაუსხლტდა ხელიდან, მაგრამ იალუბას კი კარგი სილა მოხვდა, სილის შე-  
მდეგ მუჯღუგუნით და ქისტისკვრით გამოეგდოთ. სანდროს რაღა ჩიჩინი უნ-  
და, რომ გაუჯაერდებოდნენ.

— წარმოიდგინე კეკე, პანსიონში რომ მივედი, სანდრო კორბოს ოთა-  
ხში კუთხეში იდგა... დამინახა, თუ არა ღრიალი მორთო, წამიყვანე!.. კორ-  
ბოს სიცილებლე გაქვს, ჩემს შესვლაზე ფერი ეცვალა! მამაჩემი არ წამიწყდება,  
ძლივს შევიმაგრე თავი, კინალამ საცემრათ მივარდი. ბიძაჩემი ისეთი კილოთი  
უანბობდა თავის ცოლს ამ ანბავს, თითქოს კიდევ დაუბრუნდება კორბოს გა-  
სალახავათო.

— კარგათა ჰქენი რომ წამოიყვანე, განა შვილი დასატუქსავათ მივა-  
ბარე?!...

სანდრო აღარ დაბრუნებულა დაკეს პანსიონში და კორბოც ამ შემთხვე-  
ვის შემდეგ აღარ მინახავს და აღარც არა გამოგონია იმაზე.

სანდრო ამგვარ თავის გიჟობას შემდეგშიაც ბევრჯელ მოიგონებდა ხოლ-  
მე და სიცილით მიანბობდა თუ კორბოს როგორ მიეპარა და როცა თოფის  
წამალი უფეთქა—ის როგორ წამოვარდა.

— სანდროჯან, როგორ გაბედე მაგისთანა ხუმრობა: თოფის წამალი მე-  
ტი რომ მოგსვლიყო და თავის ქალა აგეგლიჯა?! ვკითხე მე.

— ცოტა დეფიარე: აქა იქ თითო მარცვლილი მოვყარე იმის ლამაზ ბუ-  
წებს და სპიჩკა რომ მივეცი, ისეთი ფეირფერკი იყო, რომ შენი მოსაწონი!  
—მეუბნებოდა სიცილით.

რადგანაც ბიძაჩემს სანდრო პანსიონში აღარ ეგულებოდა, ტფილისში  
აღარაფერი აპრკოლუნდა; ზაფხულიც მოახლოვდა და სოფელში წასვლა მოს-  
წყურდა.

ყველაფერი სანდროსთვის იყო და ყველაფერი სანდროზე იყო დამო-  
კიდებული: იმისმა პანსიონიდან უცრათ გამოსვლამ ყველაფერი შინაური დავ-  
თრები შესცვალა. ორის კვირის შემდეგ ავიყარენით, სტეფანწმინდას წავედით.

16-ს წლისა თავდახურული (თავდახურვა ნიშანი იყო სრული წლოვანე-  
ბისა) ქალი დაებრუნდი მამიჩემის სახლში. სიამოვნებით გული მიტეგრდა, რო-



დღესაც მივახლოვდით სტეფანწმინდის არე-მარეს. დავინახე უცხო ქვეყნის მკვიდრი ბიძი ჩემის მოსაგებებლათ, შორიდანვე ვიცანი მამაჩემი. მამაჩემი მამაჩემისაგან უფროსის შეგებება, ანუ ყველა პატივცემულის სტუმრისა, - მთაში უძვეველი, დაკანონებული ეტიკეტი იყო. ამ დღეს განსაკუთრებით მომეწონა ჩემი მალალი გალაგნის კედელი, შიგ თლილის ქვის თავისებური არხიტექტურით ნაშენი სახლი, თავისი გველი აივნით, დიდრონი თლილის ქვის სვეტებით. რამდენათაც გარეთი შეხედულება სახლისა მდიდრული იყო იმდენათ შიგნითი სანახაობა ლარიზი და უშნო; გაუღესავე კედლები ოთახებს ძალიან აბნელებდნენ, თითქოს განგებ იმისთვის, რომ თავის ლარიზი მოწყობილება დაჰკაროსო. მაგრამ მე ამ გარემოებას ყურადღება არ მივაქციე. როგორც ფეხი შევდგი ალტარებაში მოვედი! ჩემის საკუთარის კუთხის ლარიზი მოწყობილება (რომელიც კარგა ხანი აღარ მენახა) მდიდრულ პალატებათ მეჩვენა! ჩემმა ნორჩმა გულმა კვლავ ტკბილის ძვერით ფართო ალაგი მისცა სამშობლოს სიყვარულს; მშობლის ნახვამ გაათბო ჩემი არსება იმ ლეთიურის ძალით, რომელსაც მხოლოთ მშობელი და სამშობლო ქვეყანა ავრძნობინებს ადამიანს და წმინდათა-წმინდათ ჩაითვლება!.. ჩემმა ლარიზმა მამამ გულში ჩამიკრა და მე ამითი ის ტკბილი გრძნობა მაგება, რომელსაც ბედნიერებას უწოდებენ.

ბიძა ჩემი, ძალუ-სანდროთი თავის ორსართულიან სახლში შევიდნენ და მე კი მისვლის უძელ ძიძებმა და გამდელებმა კოცნა ხვეწნით მომიტაცეს და შემეყვანეს ჩემს ოთახში, რომელიც აშენების დროს მამამ მე შემოამკრდა.

— მადლობა ღმერთსა, რომ მშვიდობით მამიბვედი! — აღერსით მეუბნებოდა ჩემი ბიძა ათერა — რაია გენაცვალე, ამთენს ხანს შინ აღარ დაბრუნდი! ნულარ წაბოლ ჩემო ყველავე, ახლა დიდი ხარ და შინ იყავ!..

მე გახარებული ვტრიალებდი და ოთახს ვილაგებდი. მამაჩემს სიამოვნებით ლოკები ამოკვევრებიყო და დიდი შესვლა გასვლაში იყო: ცდილობდა რომ შეძლებინადაგვირად კარგათ მოვეწყე, წამდაუწუმ მკოცნიდა და მეაღერსებოდა.

ამისთანა ტკბილმა აღერსმა სრულებით შესცვალა ჩემი თვითცნობიერება: ბედნიერებამ უნარი მომიწატა, ვგრძნობდი რომ შინ მოვედი, ჩემს ოჯახში მეტი არ ვიყავ. ვიგრძენ ასაკში შესვლა და არა ბავშური სიმტკიცით გარდავეწყვიტე, რომ ბიძა-ძალუასთან აღარ წავალ და სამუდამოთ გვერდ ექვოლები ჩემს ტკბილს მამას.

ჩემი შინაური, სოფლური მოწყობილება და საოჯახო წეს-რიგი, ზნაოთ დავასურაოთ და მამასადამე გამეორება მოსაწყენი ოქნება; მხოლოთ მინდა ერთი რამ გარემოება ჩაუთოთ: ჩემი ხელზე-მოსამსახურები სულ ქალები იყვნენ და იმათი ვარჯიანი შეხედულება სრულებით არ მიემზგავსებოდა საზოგადოთ მოსამსახურების ტიპსა. მამა ჩემი იმათ ზნეობას და პატიოსნობას ისე იცავდა, ვითომც იმისი საკუთარი შეილები იყვნენ; თითონაც ისეთი ზდილნი და დაკრძალულნი იყვნენ, როგორც კარგის ოჯახის ვასათხოვარი ქალები, ხელზე სამსახურის გარდა ყველამ კარგი ხელსაქმე იცოდნენ: ზორნების ქსოვა, ჭრა და კერვა და სხ. კივილით და ხმაურობით ლაპარაკი იმათი წესი არ იყო და მამაჩემს ხომ ხმასაც უშალავდნენ (ძველ დროში უმცროსები უფროსს ხმას არ



გააგონებდნენ.) ასე რომ თუმცა ოთხი მოზდილი გოგო ჩვენი სტუდენტებისგან იღვწენ, მაინც ისეთი სიჩუმე იყო ხოლმე, ვითომც არაფერი მოხდებოდა. თვალ-ტანათ საერთოთ არა უჭირდათ რა, მაგრამ ერთი იმათგანი უფრო თვალსაჩინო იყო. რადგანაც დიმიტრის ცხოვრებაში ამ უკანასკნელმა საგრძნობელი კვალი გაიტანა, ამისათვის მხედველობაში უნდა ვიყოლოთ. ტასო იყო მაღალი ტანისა, ლაზათიანათ შეყრილი, ლურჯთვალეებიანი, ქერა, ფუნთუშა გოგო. ყველა მოსამსახურე გოგოებში ის უმცროსი იყო და ალბათ, ამის გამო მამაჩემს ის უფრო ებრალებოდა და უყვარდა. მამა ჩემი ნიშნათ თავისი იმისადმი წყალობისა—იმას უფრო ზწირათ იმსახურებდა და უფრო მეტჯერ აჯილდოვებდა.

ცოტა რომ დაეღაგდი და პირველმა შეყრის სიხარულის წუთებმა გაიარეს, მაშინ ჩემის ოჯახის შვილების ვარემოება გამოვიკვლიე და მამასაგან აირა გავიგე! დიმიტრი უნივერსიტეტში სწავლობდა, ვიორგი და გაბრიელ ვურონიეის კორპუსში სწავლობდნენ, ჩემი და ოლგა ბიძა ჩემს დუდაროვს წაეყვანა მოსკოვში გასაზღვლათ, ისე რომ ჩემი დედის შვილებთაგანი, მხოლოდ ფილო ტრიალებდა ჩემს გვერდით. გადაეხვიე ჩემს ძმას ფილოს ხელი და გავიქცეით ბანისაკენ. ჩვენი ბანი სოფელს გადაჰყურებდა და იქიდან სოფლის მოძრაობა მშვენიერათ მოსჩანდა. მამა ჩემს თავის ბანზე გათლილი ქვის შვანი დაედგა და თავისუფალს დროს, ჩიბუხით ხელში, იქ იჯდა ხოლმე. ეს ამორჩეული ალაკი მშვენიერი იყო სადარაჯოთ: მთელი არე მარე მშვენიერათ მოსჩანდა. ერთის მხრით გადაჰყურებდა მთელს სოფელს თავისი ყანებით და საძოვრებით, მეორეს მხრით ციმღენ ამალღებულს ყირიანის მთას (ყახბეგის მთას), რომელსაც დარაჯივით მისდგომია სამების ძველათ—ძველი გკლესია; ამ გკლესიის მთის ძირში, ჩიტის ბუდესავით გერგეტის სოფელი მიჰყვარია. თერვას თითქოს შუა გაუპია ორივე მხრით აწოწილი მთები და თითონ შირბის, ღრიალთ მიეშურება შორის ქვეყნისკენ... გაქანებულებმა მე და ფილომ მივალწიეთ მამა ჩვენი სავარძელთან და კასკასით, ვინ-ვის დაეასწრებდით თითქმის ერთათ ჩაეაწყდით. მე სიამოვნებით აქა იქა თვალებს ვაცუცუბდი და თითქოს პირველათ დავინახეო, მიკვირდა მშვენიერება ჩემის სამშობლო მთებისა! გაზაფხულზე, ყველამ ვიცით, რომ საქართველო მშვენიერია თავისი ზურმუხტის ფერი მინდვრებით, შეფოთილი ტყეებით, აყვავებული ბაღებით და იმათ მნახველს რათ უნდა მოაწონებოდა გახროკილი მთები, რომლებზედაც არამც თუ ხეხილი, უბრალო ტყეც კი ფესვს ვერ იკიდებს? ამ გვარი უნუგვმო სურათი პირველის მნახველს არ უნდა მოეწონოს: მაგრამ ვისაც თავის თავზე გამოუყვლია, ის მაინც დამეთანხმება, რომ ამ გახროკილს მთებს საკვირველი მრმზიბლაკი მოქმედება აქვს ადამიანზე! თუმცა სტეფანწმინდის არე-მარე თვალს არ უაღერებდა, ადამიანის ნერვებს არ ამშვიდებდა, მაგრამ მე კი გადაშლილ ედემათ მივიჩინე!.. მე განვიმეორებ ჩვენი პატრიცემულის პოეტის თ. ვახტანგ ორბელიანის სიტყვებს და ვიტყვი: „მე ჩემი ქოხი მიჩვენებდა შენს დიდს პალატასა, შენს ყვავილთ წალკოტს, მშვენიერსა და გულ წამტაცსა. მე აქ ვშობილვარ,



აქ გავზდილვარ, აქ უნდა მოვკვდე, ჩემი სამარე უნდა იყოს ჩემი კლდე“ (მთის ქალი და მოგზაური).

— რას გაშტერებულხარ?— ფიდომა მკითხა.

— ჩვენს მთებს შეგხარი...

— განა ქართლში მთები არ არის? სულ ტყეებიანია!.

მე გამეცინა ფიდოს ბავშურს კითხვაზე, მაგრამ მცის მომავლენა, რომ ათის წლისა იყო და სტეფანწმინდიდან ფეხი არსად გადაედგა და მანასიანამე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა ბუნების სხვა და სხვანაირს სანახაობაზე. ვილაყ რუსის ავიაციის ანბანს ასწავლიდა და საწყალს ზაშვსა, სოფლური, დავარდნილი პედაგოგები სტანჯავდნენ თავიანთი უვარჯისის მეტრადითა. გადაეხევე და აღერსით უთხარი:

— იმ დალოცვილს ქვეყანაში,— მთაც არის და ბარიცა, უბრალო ტყეც ბევრია და მსხმოიარე ბალებიცა.

### თავი მორცე.

მამი ჩემის მდგომარეობას დაუწყვე დაკვირვება და ცხადათ დაეინახე, რომ ქონებრივით ძალიან შევიწროვებული იყო: ხარჯი თანდათან ემატებოდა, შემოსავალი აკლდებოდა; შვილები ვეზდებოდით, ასაკში მოვდიოდით, რომელთაც ათასნაირი ხარჯი და ზრუნვა გვეკვირებოდა, ამითი მშობლის გული კი შეუძლებლობის გამო, მრავალნაირათ შფოთავდა, დაუკმაყოფილებელი სურვილები სჩაგრავდნენ... იმისი უპირველესი საგრძნობელი ხარჯი დიმიტრის უნივერსიტეტში შენახვა იყო და ხშირათ თავის ერთგულს ანდროის გაუზიარებდა ხოლმე მწუხარებას და ეტყოდა:

— რა ვქნა-ანდროავ, ჯაკურით აღარა ვარ, საწყალს დიმიტრისთვის სამი ოთხი თვეა კაპეკი არ გამიგზავნია! ველარას ვარჩენ ამოდენა ჯალაბის გამოკვებას. სამსახური მე არა მაქვს, მამულს იმთენი არა შემოაქვს რა, რომ კამას გარდავარჩინო რამე... არ ვიცი დიმიტრის საიდან რა მივაწოდო.. ლამის ჯავრით მოვკვდე: რამდენი ხანია იმის წერილი აღარ მომსვლია, იქნება მარკის ფულიც არა აქვს... ამ დროს თავჩაკიდული ჩიბუხის წევას მოუზნირებდა ხოლმე.

იმისი ერთგული თანშეხდელი ანდროია კარებთან კედელზე მიყუდებული, ფეხ გადაჯვარედინებული, ხანჯალზე ხელზე დაწყობილი, ყურს უდგებდა ბატონის კენესას და გულით და სულთ იმის მდგომარეობაში შედიოდა ცოტა დაფიქრების შემდეგ ნუგეშსა სცემდა:

— აბა რასა იქ? ლმერთია მოწყალე, შვილები ჩქარა მოგესწრობიან, თავიანთ თავსაც შეინახვენ და თქვენც გასიამოვნებენ.

— აი შენს ენას შაქარი! ნეტავ მეღირსებოდეს ჩემი ბალების შემოკრება.. მაგრამ ვინ მოესწრობა ამისთანა ბედნიერს დღეს?.. ფიდოც მამესწრო, სწავლის დრო აქვს, მაგრამ სავანე არცსაიდანა მაქვს, რომ სასწავლებელში მივაბარო. თუ გიორგი სწავლას შეეარსულეს და მომეშველება, ხომ კარგი, თუ არა და ჯავრით ავიტებ რასმე.





მართლა რომ შამა ჩემი, ანდრეასთან ლაპარაკის დროს თავის მხარეზე დადგინდა, დიმიტრის ქონებრივ შევიწროების გამო არ ამბავებდა, დიმიტრი თუ არა თვალსაჩინო ყმაწვილი კაცი დადგა, მაგრამ მეტის-მეტათ ნაკლები იყო. ვინც რუსეთიდან იმისი ამხანაგი ჩამოივლიდა, თავის მოვალეობათ ნიჟანდა მანაჩემი ენაბა, დიმიტრის სიკეთე ეტკვა და ბედნიერი მამობა მიელოცნა. ყველა იმათ-განი ამასაც დაუმატებდა ხოლმე:

— დიმიტრი თვალსაჩინო ყმაწვილი კაცია, დიდი ნიჭიანი, მაგრამ ძალიან ლარიბათ არის და ეს გარემოება იმის სწავლას აბრკოლებს. ძალიან ამაყი და თავის მოყვარულ არის და ამის გამო ამხანაგები ვერ უბედევნებენ ცოტა რითიმე შევიწინენ. იმდენი არა აქვს, რომ ჩექმები იყიდოს და ლექციებზე იაროს.

ამ გვარი ანბის მომტანი მამის ჩემის გულზე, ცეცხლში ერბოს ასხავდა: ის სიხარული და ბედნიერება, რომელსაც დიმიტრის ქების დროსა გრძნობდა, ექარწყლებოდა და ჯავრი და ვარამი ემატებოდა, მაგრამ რას იქმოდა? ფული არა ჰქონდა რომ გაეცხავნა... როგორც მთის კაცსა სტუმარი არ აკლდა, გამო-საკვები ჯალაბი ბლომათა ჰყვანდა და თანდათან როგორც შეილები ეხდებო: დნენ და ემატებოდნენ, ისე ხარჯიც ემატებოდა; იმის სიმდიდრეს შეარდგენდა-მეწველი ძროხები, კამბეჩები, რამდენიმე ასი სული ცხვარი, პატარა ცხენის ჯოჯი და ეს დასახლებული სიმდიდრე ჰამა-სამს უნდებოდა და დიმიტრისთვის გასაგზანი ფული ვერ მოკმარებინა. საბედნიეროთ მეორე და ნესამე ვაჯი სა-ხელმწიფო ხარჯზე კორპუსში ეხდებოდა, თორემ ძალიან ცუდათ იქნებოდა იმისი საქმე, წელიწადში ერთხელ ორჯელ 50-100 მინეთამდინ გაუგზავნიდა ხოლმე, მაგრამ უცხო ქვეყანაში, მოსწავლეს, ამ ცოტა ფულით როგორ უნდა ეცხოვრნა და კიდევ სწავლის ფულიც შეეტანა? ნაკლებათ იყო დიმიტრი, მაგ-რამ რას იქმოდა? იცოდა რომ იმის მამაც გაქირებანა იყო; მოთმინებით აღესილი იმისი მავარი რკინის ხასიათი ებრძოდა ბედს, არავის აწუხებდა, არავის აყვიდრებდა...

ერთი ჩვენი ნათესავი დედაროვი მოვიდა რუსეთიდან და აი რა უანბო მამას: დიმიტრი ბეერის ძეხნის შემდეგ ვიპოვნე და ენახე. ძალიან ლარი-ბათ არის, მაგრამ სწავლას არ ანებებს თავსა: მე ურჩიე რომ შინ დაბრუნე-ბულიყო ან სამხედრო სამაახტრში შესულიყო და ამ რჩევაზე სრული უარი მითხრა. მე ისა ე. ი. დიმიტრი, ენახე დეორნიკთან ერთს კუთხეში მდგომი ძალიან ლარიბათ: წალები დაგლეჯოდა და ფული არა ჰქონდა, რომ დასაკე-რებლათ მიეცა. სწავლის უასი უნივერსიტეტში ვერ შეუტანია და ლექციებზე-დაც ვეღარ დადის. მე ძლივს დაეაჯერე, რომ ჩემგან ცოტა ფული მიელო; არ მართმევდა: როდის უნდა გადავიხადო, რომ არა მაქვს რაო? მე შეფერყე რომ მამის შენისა მმართებს და იმას გაუქვითებ შეთქი. ისე უთხარი და დავარ-წმუნე, რომ ვითომ შენ მომწირე, რომ შიტკასთვის გარდამეცა შენი ვალი, თო-რემ არას გზით არ მართმევდა. ცოტა ექვი კი შეიტანა სიამართლებე და მით-ხრა: იქნება კიდევ მატლებო, მაგრამ რა ვქნა უნივერსიტეტში უნდა შევიტანო ლექციების სმენის ვალიო, თორემ მაინც არ გამოგართმევდიო. აი ასეთი ამაყია



შენი შვილი, მაგრამ უნდა სიმაართლით ვითხრა, კარგი რამეა ჩემთვის და ჩემთვისაა დღედაროვმა.

მამაჩემი ყურს უგდებდა, და კენესოდა, იმის გულის სიღრმეში რა ნაღვე-  
ლათ ჩაიწვეთებოდა ამგვარი ხმები, იმას ყველანი მიხვდებოთ.

**თავი მეოცდაათი.**

ძალუამ შიპო სოფელში მყუდრო ცხოვრებას ხელი: მურაბებსა ხარშავდა, ზორნებსა ქსოვდა, კითხულობდა და როცა შემთხვევა ხელს უწყობდა—მუსიკა-  
ფობდა. ძალუა კეკეს თავი მუდამ საცხე იყო სხვა და სხვა მოაზრებით, მაგრამ ერთს განსაკუთრებით დიდს დედა-ბოძზე კი ტრიალებდა იმისი მისწრაფება, იმისი ფიქრების მსვლელობა--ეს იყო სანდრო და იმისი ოჯახის დიდ გზაზე დაყენება. დიდ კაცობაზე იყო გადაარეული და ხშირათ იტყოდა ხოლმე:

— „ქალო, დიდკაცობა და სიმდიდრე სააქაო სამოთხეა!“...

დილით როგორც გაიღვიძებდა, მაშინვე სიზმრების თქმას და ახსნას—  
შეუდგებოდა. ყველა იმისი სიზმარი შესდგებოდა დიდკაცების ნახვით, რალც  
ჯილდოების ჩქებით და სხვა და სხვა ფანტაზიური მანქანებით. ამ გვარი დე-  
დის მიმართულება სანდროს კარგათა ჰქონდა შემჩნეული და ხშირად დასცი-  
ნებდა ხოლმე. სანდროს ბევრჯელ გაეუზოთივაროთ ლაზათიანის იტხულობით:  
ძალუან ხშირათ როცა მზიარულათ გაიღვიძებდა, მოჰყვებოდა ქვეშავებშივე  
დედის კილოთი ლაპარაკს. მაგალითს ვიტყვი:

— „ღმერთო შენ კეთილათ ამხდინე! წუხელის სიზმარში ვნახე, ვითომც  
ველიკი კნიაზი ჩვენსა მობრძანებულეყო და მე ხელზე ვაკოცე; იმან მიალერსა,  
კარგი ბრილიანტის ბეჭედი თითზე გამიკეთა და მოთხრა „შენ ჩემი ვაჟი უნდა  
იყოვო!“ ნეტა დედა, ამისთანა სიზმარი რასა ნიშნავს?“

— „შეილო, შენ გენაცვალოს დედა! მაგისთანა დიდკაცის საჩუქარი სიზმარ-  
შიაც და ცხადათაც—ბედნიერება არის!—გოგო, ნინო! ერთი კარაბადინი  
მამეცი, ვნახო ბრილიანტის ბეჭედი რას ნიშნავს.“

ძალუა რომ სიზმრის ასახსნელათ დაუბატურდებოდა, სანდრო კი ჩემ-ჩემ-  
მათ იცინოდა. თუ დედა შეამჩნევდა ამისთანა ქცევის, მაშინვე შესდგებოდა,  
გაჯავრებით შეხედავდა და ეტყოდა:

— ტყუილათ მოიკონე? საკვირულათ გიყვარს ჩემი გაჯავრება...  
— ტყუილათ კი არა მართლს ვამბობ! იმიტომ გამეცინა, რომ სხვა სიზ-  
მრებიც ბევრი ვნახე და ზოგი სასაცილო იყო.  
— რა ნახე, დედა გენაცვალოს?  
— ისა რომ, ვითომც დიდი წყალი იყო და შიგა ვცურობდი; მინდოდა ფონ-  
ში გამეტანა, მაგრამ ვერ გაეახწიე ვითომც ისეთი წმინდა, ანკარა წყალი იყო,  
რომ ქვიშაცა ჩნდა და თევზებიცა. ერთს ოქროს კალმასხ ხელი ვტაცე და და-  
ვიჭირე, წარმოიდგინე, ქალათ იქცა! მოვეხევი დედავ, მინდა მეკოცნა და ერ-  
თათ კი ჩაეყურე მელავდით... ღმერთო შენ კეთილათ ამხდინე! ნეტა ამისთანა  
სიზმარი, რას ნიშნავს დედავ?



ძალუა ამ დროს გულმოადგინეთ ყურს უკლებდა და კარგად მოეწყურ-  
კლებსა შლიდა.

— ანკარ წყალი შეილო, შენის დილის ლოცვა კურთხევა არის, რომელშიც შენა ცურავ და წინ მიდიხარ, ის ქეიშა სიმდიდრეა და ის ოკროს თევზი—შენა ბედია. მაგრამ შე გიეო, რათ ჩაყურყუმელადი? შენებურათ სიგივეს მოკვევობდი და იმიტომ ფონში ვერ გაატანე. მაინც ყველა ნახული კეთილია შეილო!

სანდროს მზიარულება ჩვენც ყველას გარდმოგვეცემოდა ზოლმე, და იმის ტიტინით ვსიამოვნებდით.

— რას ანბობ დედავ? ის პატარა ოკროს თევზი ისეთ ლამაზ გველ თმიან ქალათ იქცა, რომ გულმა ტოკვა დამიწყო. იმასთან ჩაყურყუმელობა სანატრელი იყო, სიამოვნებით კიდევ ვამეღვიძა. ახ, ნეტავი ჩემთან იყვეს ის ლამაზი ზღვის ქალი!..

ძალუა ჩემს და გამზღელს-ნინოს უხაროდათ, რომ იმათმა სიყვარულმა და სანატრელმა 13—14 წლის სანდრომ გოგოებზე ოხუნჯობა შეიძლო; სანდრო როცა მასხარობდა ყველას იმორჩილებდა, მასმენელს გარდასცემდა ზოლმე თავის მზიარულს ლაელანდარაობის კილოს. უნდა ისიც აღენიშნოთ, რომ სანდრო დედა-გამდელთან, უფრო მეტჯერ ავზნებდა და ამის გამო მეტის-მეტათ აფასებდნენ იმის კარგს და მზიარულს ქეიფზე ყოფნას. უფრო ხშირათ ბუტიაობდა, ყველაფერს რასაც მოუტანდნენ იწუნებდა, ჯაერობდა, თუ რასმე დაუშლიდნენ თინიანობდა. იშვიათი არ იყო იმისთანა დღეები, როცა მთელი ოჯახი აყალ-მაყალში და უსიამოვნოებაში ვარდებოდა: ნინოს ვაფწყებოდა, ბიჭსა სცემდა, დედას გააჯავრებდა, მამას გაებუტებოდა და სხ. და სხ. მიზეზებს არ მოიკლებდა გასაწყრომით. ერთს ამისთანა **დრუბლიანს** დღეს, როდესაც სანდრო ანგვარათ ავზნებდა და იმის დედასთან ზედი ზედ რამთენიმე საჩივარი შეიტანეს, მაშინ ძალუა წამოუხტა სანდროს ვითომც დასატუქსავეთ, ახლო მივიდა და გაჯავრებით უთხრა:

— რა ღმერთი ვაგწყრომია, რომ ქვეყანას ეჩხუბები? რა დავგმართვია, სწორეთ **მოჩხუბარიძე** ხარ!..

სანდროს ეს სახელი ძალიან მოეწონა და საჩქაროთ წამოიძახა:

— ჰო, მოჩხუბარიძე ვარ და აკაკიაც მქვიანი! ასე შესიამოვნება!

ამ დღიდან სანდროს მეტ სახელათ დაერქვა მოჩხუბარიძე და ბოლოს იმის ფსევდონიმიც აკაკია მოჩხუბარიძე გახდა.

ძალუას ყაზბეგში ცხოვრება მოსწყინდა და თავის ქმარს უთხრა:

— ბატონო! ამ უმაწვილმა რაც იცოდა ისიც დაივიწყა... ახლო რას უპირებ?

— რა ვქნა კვცე, ამ ზამთარს თბილისში ჩასვლის დროება არა მაქვს: ისევ შინ მოუყვანოთ ოსტატი.

მარტოველი

მოუყვანეს კაცებიდან ერთი სამსახურ თავიდანებულად და მხოლოდ ერთი წინააღმდეგობა გამოეხატა. (მგონი რაღაც მიზეზით სამართალში იყო მიცემული), ტომით შვედი, პატარა ტანისა, შუა ხნის კაცი, ისპანიოლკით, ცოცხალი, მოძრავი და მოლაპარაკე.

იმ ზამთარს ბიძა-ჩემი თავის სიხლობით უაზრებში დარჩნენ. გამეშტრენი გიშნაზისთვის სანდროს მუყაითათ ამზადებდა. პირველ ხანებში ჩემი ძმა ფილოც იმისთანა სწავლობდა, მაგრამ ძალუას ეს ანბავი არ ექაშნიკა და როგორც დრო გადიოდა თანდათან უსიამოვნოებას აცხადებდა და სულ იმისა სჩიოდა, რომ მასწავლებელი ფილოს უფრო გულთით ასწავლის და სანდროს კი ყურს სრულებითაც არ უგდებს.

— სულ იმათენა სძვრება სული— ეუბნებოდა გამდელს ნინოს— ჩემს ალექსანდრეს უგულოთ ეკიდება: ფილოც სწავლობს და სანდროს კი უსწავლელი მარჩება!.. ნეტავი ჩემს სიცოცხლეს, იმიტომ არა ვარ ხარჯში, რომ შავათ ვასწავლო?!..

ფილოც როცა თბილისში გავისტუმრეთ, მაშინ ძალუას თითქო მძიმე ტვირთი მოეხსნაო, სთქვა: „მადლობა ღმერთსა, ეხლა მარტოცა ალექსანდრეს ასწავლის და ოსტატი უფრო მუყაითათ იჭნება“. მაგრამ ეს ოსტატი რაღაც უბრალო მიზეზის გამო დაითხოვეს.

სანდროს თუმცა ნიჭიანი ემაწვილი იყო, მაგრამ მეტის მეტათ თავაწყვეტილი და თავისი ნება დადვა. თავის გარშემო იმდენს სიყალბესა ხედავდა, რომ ძალა უნებურათ იმისმა ნორჩმა ბუნებაშიც შეითვისა გარშემო ნახული და გაგონილი: ყურის ვდება, ტყუილის თქმა,— გადამდებ სენსაუთ გადაედო. ამასთან თავის ნებიერობას არ იშლიდა და თავის მდგომარეობით ისევ ისე ფართოთ სარგებლობდა, თუმცა ხანდახან კი თითქოს გრძნობდა ამ მიმართულების სისაძაველს.

1862 წ. ბიძა ჩემი თავის ცოლშვილით თბილისს მთელი ზამთრობით გადასახლდნენ.

— არ შეიძლება ბატონო, სანდროს ქალაქს უნდა წავეყვანოთ, გაუზდელს ზომ ვერ დაეტოვებთ?!..

ბიძაჩემი ამ დროს სამსახურში აღარ იყო, იმისი ღენერლის პენსია თბილისში საცხოვრებლათ აღბათ აღარა ჰყოფნიდა და მგონია ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ დამერა ისრე ძრიელ ეზარებოდა, ძალუა კეკეს კი ქრმის უქონლობა არა სჯეროდა და ეს საგანი სრულებით არ აწუხებდა: ფუფუნებაზე და მეტ ხარჯზე ხელს არ იღებდა და ხშირათ ჩხუბსაც ატყებდა ხოლმე.

ბიძაჩემს არა შურდა რა სანდროს—სწავლა— განათლებისთვის, მაგრამ არ იცოდა რისთვის მოეკიდნა ხელი, რა გზას დასდგომოდა: 1854 წ. პაეის კორპუსში ცდილობდა მიბარებას და ამაზე ოცნებობდა... უარი უთხრეს, კადეტის კორპუსში დაპირდნენ რუსეთში გაგზავნას— არ იკადრა, ვერ გამოიშეტა გასა-



მარკინაშვილი

გზავნათ, როგორც ზემოთა ვსთქვით ვერ ახერხებდა თავის შევლას. ვერც ვერც ერთს ვერც ახორციელებდა, იფანტებოდა! ტფილისში არჩია სანდროს აღზრდა, მაგრამ იმის მართო გავზავნას ვერა ჰბედავდა, ვერ იმეტებდა და მთელის სახლობით წასვლას კი ბევრი ფული უნდოდა. ბევრი იყოყმანა, მაგრამ ბოლოს მიინც წავიდა და წაიყვანა თავის ცოლშვილი.

ამ გზობით მე ყაზბევში დაერჩი, ანბავი ხმარად მამდიოდა. ვიცი რომ სანდრო კანანიჩის პანსიონში მიაბარეს (1862—1863) და უმადურები დარჩნენ რომლის შემდეგ გარდასწყვიტეს გინნაზიაში მიბარება.

1864 წ. სანდრო თბილისის I კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს მე 4 კლასში. გიმნაზიაში სანდრომ უკეთ დაიწყო სწავლა და დიდათ უხაროდა ფორმის ჩაცმა. თავისი სურათი გამოვიგზავნა და მწერდა: „აბა ნახე როგორ მიხედებო?“ ეხლაც თვალწინ მიდევს ეს სურათი და მაკონდება ჩემი საწყალი ღამაზი სანდრო...

გიმნაზიიდან ზატბულში რომ დაბრუნდა სანდროს ცვლილება ეტყობოდა: უფრო მუყაითი იყო სწავლაზე, რაღაც ლექსების წერა შევამჩნიე, მაგრამ კი არავის ვიკრძნებდა, როდესაც ლექსების წერაში შევასწრობდი და ესთხოვდი რომ ეტყევიანა, ის დამიმაღლავდა ხოლმე და მეტყობდა: „ამ გვარი ლექსები, ქალების წასაკითხათ არ ვარგაო“. საზოგადოთ უნდა ვსთქვა, რომ ჩემს ბიძა—ძალას ისე მიჰყვანდათ თავიანთი ყოველივე საქმე, საიდუმლოთ, თითქო არავს ენდობიანო და სანდროსაც ეს ხასიათი გარდასცეს: ბავშვივით გულ გაზსნილი არ იყო, ბავშური წრფელი გული, წრფელი ნდობა არავიზე ჰქონდა. ამ ხანებში სანდრო იმისთანა ყმაწვილათ გამოიყურებოდა, რომ რაც უნდა გამოცდილი და შორს მხედველი ადამიანი დაჰკვირვებოდა, გარდასწყვიტის აზრს ვერ წარმოსთქვამდა: როგორი და რა მიმართულების კაცი დადგებოდა? ბევრს ნაირს იმის ნიქსა და ღირსებას, შიგა-შიგ მოზღვედა შებენელი ნიშნები, ღვარძლიანი თესლი, რომელნიც იმის მდიდარს ბუნებაში ფესვს იღვამდნენ.

ღიმიტრი (კარგათ არ მახსოვს რომელს წელიწადს) მოსკოვის უნივერსიტეტიდან პეტერბურგისაში გადავიდა. ზემოთაც ვსთქვი, რომ იმის ამხანაგებს ცოლვით მიაჩნდათ, ჩვენ კარებზე ჩამოვლა და ღიმიტრის მამის უნახველობა: ღიმიტრის ქება-დიდება ყველა იმის ამხანაგებისაგან და ნაცნობისაგან გვესმოდა; მამაჩემი სიამოვნებით ისმენდა და კიდევ ამაყობდა, შვილის სიკეთით. მე—60 წლებში რუსეთში სტუდენტების არეულობა მოხდა, განსაკუთრებით პეტერბურგში; ბევრი სტუდენტი გამორიცხეს, ბევრი 24 საათში გამოისტუმრეს, რომლებიც ჩვენს კარებზე ტროიკებით ჯანდარმების ხლებით ჩამოივლიდნენ ხოლმე. მამაჩემი ხედავდა ამ მომავალ ყმაწვილებს და ძალიან შიშობდა ღიმიტრისთვის. როგორც ზემოთა ვსთქვი, ყველა მწუხარებას და სიხარულს ანდრიას უზიარებდა და ეხლაც, როგორც კვლავ-აავისი ერთგული მხლებელი თავს ადგა და შეწუხებულს მამას ნუგეშსა სცემდა:

— ღმერთია მოწყალე! ნუ გეშინია გადარჩება! შართლაც რომ თუმცა



დიდ მონაწილეობას იღებდა სტუდენტების მოძრაობაში, მაგრამ მონაწილეობა და სწავლისთვის თავი არ დაუნებებია:

1862—63 წლებში ერთის ამხანაგის შემწეობით დიმიტრი სამზღვარ გარეთ წაიდა. „მინამ შინ დაგებუნდები, მინდა ვნახო სამზღვარ გარეთ რა ანბები ხდება, ან როგორა ცხოვრობს იქ ხალხი“-ო მამასა სწერდა პარიიდან, სადაც 5—ნ თვე დარჩა, იქიდან გარდავიდა გეიდელბერგის უნივერსიტეტში, საიდანაც ისევ მამასვე სწერდა: „პარიიში ცხოვრება არ მომეწონა: შეტად მხიარული და ქვიფით გამტაცებელი ქალაქია, მე გერმანია ვარჩიე, რადგანაც სტუდენტობა უფრო დინჯათ იქცევა და დლაგებულეები არიან. საზოგადოთ ცოდნის შეძენისთვის გერმანია სჯობია“:

**თავი მეოცდამოკე.**

1865 მამა ჩემს ნანატრი თსრულდა: საზღვარ გარეთიდან დიმიტრი დაბრუნდა, დიმიტრის მოსვლამ მამაჩემი მეტისმეტათ გაახარა; დიმიტრი მამაჩემის პირშმო შვილი იყო (ოცი წლით იყო მამა შვილზე უფროსი) და ამის გამო ამხანაგათა სთვლიდა. როცა მამაჩემი თავის ვაჟებზე ლაპარაკს დაიწყებდა, მაშინ იტყოდა ხოლმე: „დიმიტრის უმცროსი ძმები გარუსებულეები არიან, ეს კი ნამდვილი მითის კაცია.“

დიმიტრი რომ შინ დაბრუნდა დიდი ნადიმი გაიმართა სოფელში: კაკაკვიდან ბერი თავაურის ყმაწვილ კაცები მოჰყვენენ ცხენებით, ჯერ თოფის სროლა და ჯირითი გაიმართა, ამას მოჰყვა სოფელში შემოღებული ტაშ-ფანდურა და გოგონა; დღესასწაული და ღზინი რამდენსამე დღეს არ შეწყვეტილა.

დიმიტრი შინ დაბრუნდა 26—27 წლის ყმაწვილი კაცი, შუა ტანისა იყო, წაბლისფერის თმით და წვერულვაშია, გამხდარი და ფერ მიხდილი. ლამაზ, გამომეტყველ თვალებს, შვილდევით წარბები უმშვენებდენ; იმისი მალალი, თეთრი ვადაშლილი შუბლი, იმის სახეს განსხვავებულს სასიამოვნო გამოთქმას აძლევდა, ხა.იათის სიმტიკეს და უნარს ამხელდა. მისრა-მოხრა ჰქონდა დინჯი, ლაპარაკი წყნარი და წყობილი. მთელი ჯალაბი გახარებულეები ვეტრფიალებოდით სანატრელს სტუმარს! თითონაც ბედნიერათ აღიარებდა თავის თავს, რადგანაც კვლავ ეღირსა მოსვლას თავის საყვარელს საშობლოში, იმისი ღრმათ გამომეტყველი, თითქოს ცრემლით სავსე, წყლიანი თვალები, —ყველას სიხარულით ეალერსებოდნენ, მაგრამ სიხარულის გამოთქმაც ისევე წყნარი და დინჯი ჰქონდა; შინაურებს ისე ეტყეოდა, რომ ყველანი დიმიტრისადმი ერთსა და იმავე დროს შიშსა და პატივისცემასა გრძნობდნენ. აღარავის არ უთამაშებოდა და ამითი სხეებსაც თითქოს თამაშობას უკრძალავდა; იმის ქცევას და ენერგიით სავსე სიტყვას იმისთანა ძალა ჰქონდა, რომ უნებურათ ადამიანი ემორჩილებოდა. უბრალო ხვევნა-ტყლოშნა, ხტომა-ცმულენი ეჯავრებოდა. განსაკუთრებით შორიდებული და პატივის მცემელი იყო მანდილოსნებისა და ამ შეთვისებულს ზდილობას თავის საყუთარ დებზედაც იჩენდა.



ხელები გადაგვხვია მე და ჩემს დას და დიდ ხანს დადრეკენ ჩვენთან აივანზე.

— როგორა ხართ? რას აკეთებთ? ერთმანერთს ხომ არ ეჩხუბებით?.. გვკითხვოდა და ამასთან გვიალერსებდა....

საზოგადოთ თუმცა 7—8 წელიწადი შინაობა არ ენახა, მაგრამ მაინც მთის ჩვეულება არ დავიწყებოდა და ისევ ძველებურათ ასრულებდა მთის ეტიკეტს: უფროსებს ისე დაკრძალვით ექცეოდა, როგორც ჩერქეზში (ჩერქეზები ძალიან ზდილნი არიან) გაზდილი ყმაწვილი კაცი; მამა-ბიძა რომ ისხდნენ, ის თავს ადგა, ისე როგორც სხვა სოფლელი კაცი; მინამ პაპიროზს არ უთავაზუნდნენ, თითონ არ მოსწევდა, უფროსების ლაპარაკს მოწიწებით ყურს უგდებდა, პირიდან სიყვირს წართმევა უზღველობა არისო იტყოდა ხოლმე. ხმამაღლა ლაპარაკი, ყვირილით ძალიან ეჯავრებოდა.

— საკვირველის წყაროს ქვევისა არის ჩვენი მიტკა, — გოგო ბიჭები თავიანთივე მსჯელობდნენ ხოლმე, — კაცმა რომ თვალყური აღევენოს მავის ქვევას, ისე იფიქრებს, რომ სრულებით რუსეთში (რუსობა სოფლელების აზრით თამამობა არას) არცკი ყოფილა, სტეფანწმინდას იქით თითქოს ფეხი არსად გარდაუდგამს..

— საყორელი ხარ მიტკა, შენმა დარჩენამა, ბარაქალა, რომ შენი მიწა-წყალი, ქოყნის ადათი არ დაგვიწყებია!.. გვიცოცხლოს ღმერთმა შენი თავი! — ეუბნებოდნენ სოფლელები, რომელთაც იმისი ქცევა შეტის-შეტათ მოსწონდათ და უბაროდათ.

დიმიტრის ხევში ბევრი ტოლ ამხანაგები ჰყავდა, რომელნიც აღარა შორდებოდნენ. იმათი ლაპარაკი და ბაასი სოფლის საქმეებს, ნადირობას და სხვა და სხვა მთის ხალხის ჩვეულებას შეეხებოდა ხოლმე. ლაქლანდარობის და გაყვრა-გამოკერით ლაპარაკის მტერი იყო. საზოგადოთ უნდა ესთქვა, რომ დიმიტრისთან ლაპარაკი არას დროს და არა ვისთვის მოსაწყენი არ იყო: ყველა მოსაუბრის ინტერესს, რა საფეხურზედაც უნდა მდგარიყო განვითარებით — საკვირველის სისწრაფით და სინამდვილით მიხედებოდა ხოლმე. ხასიათით დიმიტრი ისევ ძველებურათ მოუხეშავი გვეჩვენებოდა; ყმაწვილობაში ვინც როგორ უყვარდა, ეხლაც ისევ იმავე გრძნობათ უცხადებდა. ბიძა ჩემის ოჯახისადმი ძველი ანგარიშები ახსოვდა და იმათაც იმავე თვალით უყურებდა. ჩემი ბიძა-ძალუა დიმიტრის ზდილობიანით ექცეოდნენ, მაგრამ თითქოს ეშინიანთო ისე ერიდებოდნენ და ძველებურად არც ეხლა ენდობოდნენ. მე და დიმიტრიმ კი თითქოს წარსული წყენა დაფიფიწყით, ერთმანერთს სიყვარულით ვეტრფოდით და აღარც კი გვაგონდებოდა ძველებური ანგარიშები, ალბათ შინ რომ დაეხედი, — მამიტევა.

დიმიტრის შინ დაბრუნებამ ნათელი სხივები შემოაყენა ჩვენს მივარდნილს, მყუდრო დაეარდნილს ოჯახს, სოფლური მყუდრო ცხოვრება შეირყა, გაიღვიძა, გამხიარულდა და გამაყოცხლებელმა სიომ დაბერა!.. გაულესავს კედლებს, შეუულებავს იატაკებს, ჩვენ, ყმაწვილები სიციოცხლით სავსენი, აღარ ვამჩნევდით, და შორსულ პალატებთ გვეჩვენებოდნენ. გამოუთქმელს სიამოვნებას ვეძლეო-



დით! წაქითხულს წიგნებზე ბასი, ვონების ვასახნელი, სავარჯიშო ზეპირობა, აზრიანი მახვილობა, ლეკური, —ესენი წარმოადგენდნენ ჩემს სულიერ სიკეთეს, და ამითი ყმაწვილური იმედით საკეს აზრები იფურჩქნებოდნენ. ჩემთვის დიადი სასიამოვნო მოსაგონია ეს ნეტარი დრო!

დიმიტრიმ შესცვალა ჩვენი შინაური ცხოვრება! ჩვენ, დებს სხვა და სხვა წიგნებს ვაძლევდა საკითხავათ, წაქითხულს გვიხსნიდა, შინაარსს ვვირკვევდა, დობროღობის, ბელინსკის და კიდევ მრავალი სხვა რუსის გამოჩენილი მწერლების სახელები პირველად იჩისვან გაევიგონე, იმისი ამხანაგები ხშირათ თითო კვირაობითა ჩჩებოდნენ ჩვენთან და მაშინ დიმიტრის ლაპარაკი და სხვა და სხვა საგნებზე ბასი, —დაუშრეტელს წყაროთა ხდებოდა.

დიმიტრიმ მშვენიერის კილოთი იცოდა ხმამალა კითხვა და არა ერთხელ დაუტკბივართ შენმ წლების ქურნალ გაზეთების კითხვით. პირველად მაშინ აღიძრა ჩემში სურვილი წიგნების კითხვის და ჩემი შრომით სიცოცხლის სახსრის მოპოვნის; იმ დროს მისწრადებანი შეიქმნენ ჩემში მომჯადოებელნი. მაშასადამე დიმიტრის საუბარს და შენიშვნებს თავისი ნაყოფი მოჰქონდათ: აღზნებულს ცნობის მოყვარობას იმისი მამენელები მოვეყვანდით თვითცნობიერებაში, ვგრძნობდით, რომ ჯერ კიდევ ბევრი, ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ მისთვის, რომ ადამიანმა ადამიანურათ იცხოვროს. დიმიტრის ძალიან მოსწონდა მანდილოსანთ ცოდნა-განათლება და როგორც ეხლა მაგონდება, ძალიანა ცდილობდა, ჩვენც, იმის დებს, შეგვეგნო — შეგვეთვისებინა მესამოცე წლების იდეები. არშიყობაზე და ვასხოვებაზე ხომ დიმიტრისაგან გამოთქმული აზრები, ჩემთვის სრულებით ახალი ვასაგონი იყო; მამაკაცი და დედაკაცი ერთთრთის ზდილობიანათ და დაკრძალვით უნდა ექცეოდნენ, — იტყოდა ხოლმე დიმიტრი, — უბრალო ლაქიანდარობა, კუდის ქნევა, ალვირ აწყვეტილი არშიყობა, — სირცხვილია და სათაქილო. რამდენათ მეტათ უყვარს მამაკაცს დედაკაცი, იმდენათ უფრო მეტი პატივისცემელი და ზდილი უნდა იყოს, მამაკაცი უნდა უფრთხილდებოდეს თავის სატრფოს სახელი არ გაუტეხოს, ამგვარს აზრებს ბევრჯელ წარმოსთქვამდა ხოლმე და მაგალითებით დაგვისაბუთებდა. ეჯავრებოდა მანდილოსანთ თამამობა და ცუდ-უბრალოთ სიცილრუკა. «კარგს საზოგადოებაში ხმამალა, კვილით ლაპარაკი და სიტყვის — პირიდან წართმევა შეპოლებული არ არის და უზღელობათ ითვლება». «მარტო მწიგნობრობა არა კმარა, კაცი უნეობითაც სუფთა უნდა იყოს» და ბერს სხვა და სხვა ამ გვარს აზრებს გვიქადაგებდა ხოლმე; ამასთან მუდამ იმის ცდაში იყო, რომ იმისაგან წარმოთქმული აზრები ვასაგებმად, შესათვისებლათ გაეადვილებინა.

რომელს ოჯახშიაც ვასათხოვარი ქალებია, იმ ოჯახში სტუმრობა და ყრილობა ხშირია ხოლმე და ჩვენც თუმცა სოფელში ვიდგვით, მინც მიმსულელ — მომსულელი სტუმრები არ გვაკლდნენ. ყმაწვილობის დროს ხტომა ცეკვა და ამასთან არშიყობით გატაცებაც ხომ ადამიანის ბუნება არის, ჩვენც ვერ ავიციდნეთ ეს ქირი: სრულებით უანგარიშოთ დაუფიქრებლად ხან და ხან, ალბათ გადაეპარბებდით ხოლმე ხტომა-სიცილს და ეს დიმიტრის ძრიელ ეჯავრებოდა. დიმიტრი ამისთანა დროს ეკვიანი ხდებოდა: ვინც არ მოსწონდა იმ სტუმარს





ისე შეებასებოდა, აუტყდებოდა, თითქმის ვალანძლავდა, დაჟმენ უკლავდა კიდება ხომ ადვილი არ იყო! „უზღედლები, ბრიყვები არიან რუსებმა და ჩვენმა შვიკობა ხომ ჩვენში რუსობაა!), მაგათ თუ ადამიანი აპყვა,—კლდეზე გადასჩებენ!“ ნამეტნავათ ათვალისწინებული ჰყვანდა ერთი მოხეტიათიანი, რომელიც ჩვენსა ხშირით დაიარებოდა და გვართობდა ხოლმე სხვა და სხვა სასაცილო ყბედობით ჩვენც გვიხაროდა იმისი მოსვლა, რადგანაც ლაქათა იყო და ყბედი. ერთს საღამოს ძალიან გაემხიარულდით და ჩვენდა შეღმჩნეულად სიცილს და ხმა მალლა ლაპარაკს მოუმატეთ. ჩვენ მაშინ მივხედით ჩვენ გარდაქარბებულ თამამობას, როდესაც დიმიტრი დებს **გაგვებუთა** და სტუმართან კი ატეხილი ბაისი გამართა. სტუმრის წასვლის შემდეგ ჩვენც ე. ი. დებიც **გავებუთენით** და ამ გვარად ვაგრძობდით ერთმანეთს ურთი ერთ შორის უკმაყოფილება. ამ ჩვენმა ბუტი-ათბამ ორი დღე გასტანა, რომლის შემდეგ დიმიტრიმ ახალი საკითხი წიგნები მოგვცა, თავისებურათ, ტკბილად გვესაუბრა და როდესაც დარწმუნდა რომ **ბუტიოთბამ** გაიარა, მაშინ ფრთხილათ სიტყვა გაგვიტარა, რომ „ქალწს ხმა მალლა—კივილით ლაპარაკი უზღედლობას მოასწავებს“-ო. ამის შემდეგ რამდენიმე დღემ გაიარა: მთვარიანი ღამე იყო, სტანციისაკენ წავაციყვანა დიმიტრიმ გასასეირნებლად. შევიმჩინეთ გაჩაღებული დარბაზი, სადაც პურის საქმელს მაგიდას კარგა ბლომათ ხალხი შემოსხდომიყვნენ, ათიოდე ქალი და კაცი პურის ქამის ღროს მუსაიფობდნენ, ფანჯარა ღია იყო, მაგრამ ლაპარაკი ძლივს ისმოდა: ერთი ლაპარაკობდა, სხვები ყურს უგდებდნენ. ჩვენ გაგვიკვირდა ამგვარი წყნარი ბაისი. დიმიტრი ეშმაკურად იღიმებოდა, ვანზე იდგა და თურმე ჩვენ გვიცქეროდა თუ რა შთაბეჭდილებას გამოვიტანდით ნახულით და ვაგონილით, როდესაც მოცმინა ჩვენი სიამოვნება ნახულის და ვაგონილის შესახებ, მაშინ დიმილით გვითხრა: აბა შეხედეთ, ათს ადამიანთ შორის საერთო ლაპარაკია; ერთი ლაპარაკობს, სხვები ყურს უგდებენ. ერთმანეთს აცლიან ლაპარაკს, ამბობენ და სხვასაც ათქმეფინებენ! ესენი იქცევიან ისე, როგორც შეჭვერის ნამდვილით კარგათ აღზრდილს, კარგი საზოგადოების წევრს... ჩვენი იმ დღევანდელი სტუმარი აქ რომ ყოფილიყო, ერთს სიტყვასაც არავის ათქმეფინებდა, სულ თითონ ილაქლაქებდა!...

ის მგზავრები, შემდეგ შევიტყეთ, რომ ნამდვილი რუსის არისტოკრატები იყვნენ, დღესაც ექვში ვარ, რომ დიმიტრიმ იცოდა იმ ზდილი ხალხის იქ ყოფნა და ვანგებ იქით გაავატარა, მისთვის, რომ ეჩვენებინა ჩვენთვის თუ ნამდვილით ზდილი ხალხი როგორ იქცევა საზოგადოებაში, გვენაბა ზდილობიანი ლაპარაკის ნიმუში და ამით ჩვენი შეცდომა გვეგრძნო. მართლა, რომ ამ საუბრის ნიმუშის ნახვამ ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ დღესაც არ დამეფიყვბია. როდესაც ვნახავ, რომ ორი მესაუბრე ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლის, პირიდან სიტყვას ართმევს, ეს ჩემს სწენას ეჭოთირება და უთუთოთ საწყალი დიმიტრი მომაგონდება ხოლმე...

ამ გვარი წერიმანის მოგონება, იქნება სხვამ მეტათ მიიჩნიოს, მაგრამ მე ვფიქრობ, მეტი არ არის, რადგან ამ წერიმანებში ისახება დიმიტრის კულამი-მართულება.



თავის მომავალზე არას ანზობდა; თავის თავზე, იმედებზე, მუშაობაზე, ცხოვრებაზე ლაპარაკი ჩვეულებათ არა ჰქონდა; მხოლოდ თავის აზრზე, აზრებზე, რომელნიც თბილისს—ქუთაისში ჰყვანდა დაბნელებულნი: ზოგმა სამსახური იშოვნა, ზოგიც სხვა და სხვა საქმეს შეუდგა, იმათ ხშირათ იგონებდა და იმათკენ ილტოდა, მაგრამ რალაცა გარემოება აბრკოლებდა, რის კითხვაც ჩვენ აზრათ არ მოგვცვლია.

როდესაც პირველმა თვეებმა გაიარეს და ერთმანეთის ნახვის სიხარული ჩვეულებათ გარდაგვექცა, მაშინ შინაური მატერიალური ანგარიშები გამოგვერია, როგორც ზემოთა ვსთქვი: მამა დიმიტრის სწავლის დროს შეძლების და გვარად უგზავნიდა ფულსა, და რასაკვირველია ძველებური კაცი სამაგიეროს მოელოდა. ე. ი. სწავლის შესრულების შემდეგ იმედი ჰქონდა, რომ შეილი სამსახურში შევიდოდა, ჯამაგირს აიღებდა, თითონაც იცხოვრებდა და ოჯახსაც შემწეობას მისცემდა. იმ დროს, როდესაც მამას ეს იმედები დღე და დღე უცხოვლდებოდა და დაგვიანება უმაყოფილებას უათასებდა, დიმიტრი კი სამსახურზე სრულებით არას ანზობდა, თანაც სამსახურს სრულებით უარსა ჰყოფდა. მოსვლის პირველ ხანებში მამა ხედავდა, რომ დიმიტრი სუსტათ იყო, კუჭი მოშლილი ჰქონდა სტუდენტობის დროს იაფ-უვარგისის საქმლის მიღებით და მამა ზრუნვას უორკვეებდა, მისთვის რომ იმისი პირმშო შეილი ჯან-ლონით გამარებულიყო. მართლაც, მთის ჰაერმა, კარგმა და გემრიელმა შინაურმა სახლმ, მთის ანკარა წყალმა,— ისე ჩქარა გამოაკეთა დიმიტრი, რომ შინაურები ილტაკებაში მოჰყვანდა ამ გვარ გამოკეთებით! მამა ჩემი ამ მხრით, რომ დამეშვიდდა, მაშინ ხშირათ ხიტყვას გაუტარებდა ხოლმე: რომ თუ სამსახური არ იშოვნა ცხოვრება გაუჭირდება, შინ ჯდომა ხელს არ მისცემს და სხ. და სხ. ამ გვარს ზრუნვა—დაროგებას არ აკლებდა. დიმიტრის ეჯავრებოდა სამსახური და იმაზე ლაპარაკიც კი! ჩინოფნიკობა არ უნდოდა და მამის სურვილს ვერ ასრულებდა. „Служить хорошо, но прислуживаться тошно“ იტყოდა ხოლმე! ამისთანა აზრებს კიდევ სხვა გარემოებაც დაერთო, რომელიც არ შეიძლება უყურადღებოდ დავსტოვოთ; მაგრამ ცოტა შევჩერდეთ!

რადგანაც დიმიტრი და სანდრო არიან ჩემის მოთხრობის სათაურნი და იმათ ფარენასავით უნდა უარო, ამის გამო სხვა საოჯახო ანბებს სულ უარვეყოფ, თუმცა ბევრი რამ მაგონდება საყურადღებო.

მე დაუბრუნდები ისევ სანდროს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბიძა ჩემმა ერთს შემოდგომას თბილისში წასვლა ვეღარ მოახერხა; თითქმის ზამთრის პირამდენ ყაზხეგში დარჩნენ და თუმცა შემდეგ მიინც წაყიდნენ, მაგრამ ამ დაგვიანებამ სანდროს სწავლა ძალიან შეაფერხა: გენაზიდიან დაგვიანების გამო გამორიცხეს; შესვლისთვის ხელახლად ეგზამენი უნდა დაეჭირა და ეს კი ვერ შესძლო. ეს დაგვიანება მთლად დედამამის ბრალი იყო: სანდრო ძალიანა სწუხდა და თბილისისაკენ ილტოდა, მაგრამ ამოდ...

ამ ხანებში სანდროს სწავლაზე მუყაითობა ეტყობოდა; წერის ხალისიც შევამჩნიე. იმ დროს დაიწყო თავისი პირველი კომედია „აღმზრდებლები“ რომ-



მელსაც ეხლა იმის ქალღმერთებში გადაკეთებულებს და სათაყვარელ მშვენიერებებსა ვხედავ. კომედიაში თავისი დედამაა ჰყავს მიზანში ამოღებულნი ჩემსაჲს ჰესწავლელობა და უვარგისი ანტიპედაგოგიური მოქმედება. პირველი თავი როცა დაწერილი ჰქონდა, ყველას გვაჩვენებდა და გვაკითხებდა გარდა თავის დედ-მამისა. ერთს დღეს მთელი ოჯახობა ერთათ ვსადილობდით, კარგს გუნებაზედაც ვიყავით. სანდროს თავის დედ-მამამ შეურჩიეს იმისთანა მომენტი, როდესაც შესაძლებელათა სცნეს ვაბედვა: „აბა, რომ ამბობ კომედიასა ვსწერო, ჩვენ რომ არ გვაჩვენებ, ე ბიბა შენს და შენ ბიბაშვილებს მაინც წაუკითხე!“ სანდრომაც შევეცხრულა სურვილი: გამოიტანა თავისი რვეული და დიწყო კითხვა. პირველივე სტრიქონების წაკითხვაზე, სადაც დედ-მამამ თავიანთი სურათი იცნეს, — ძალუამ ღრიალი მორთო, „ვაი ჩვენი ბრალი, რომ შენი სასაცილონიც ვაგახდით! რაც შეეძლებოდა, არას ვიშურებდით: გასწავლიდით, გემუდარებოდით და შენ თუ გიგი და დამთხვეული ხარ, ვისი რა ბრალია?! ეგ არის შენმა მშემ, თუ ჩვენ სასაცილოთ ვაგვაცეთე, ქვეყანა მოგიწონებს!..“

ამ გვარის საყვედურებით აავსეს მშობლებმა სანდრო. სანდრომაც რამდენიმე მკვახე სიტყვა მიუგო და კინალამ კრივი გაიმართა. ამითი ვათავდა კომედისი კითხვა. საწყალი დიმიტრი ბევრს იცინოდა ამ მართლა და კომედიაზე. შემოთაც აღენიშნე, რომ სანდრომ სიყმაწვილიდგანვე შეისწავლა მშობლების ხასიათი, იმათ სუსტ მხარეებს აღლო აულო და იმათთან გამოხუმრებით, ხშირათ თავის წადილს ასრულებდა.

აი რა მოიქმ და: რადგანაც იმისი მშობლები თბილისს წასვლას აგვიანებდნენ და ამითი იმის სწავლას აფერხებდნენ, იმან ერთ დღეს თავის პატარა ჩამადანს ლაგება დაუწყო, თბილისს მიედივარო. მნახველებმა ისე მიიღეს, ვითომ წინათვე აღაგებს ბარგსა, და არაფერი ყურადღება არ მიიქციეს. როდესაც სადილათ მოიკითხეს სანდრო, მაშინ ველარც სანდრო იპოვეს და ველარც იმისი ჩამად-ნი ნახეს!... შეიქმნა ერთი აღიაცოთი: სანდრო თბილისს გაიპარაო!... შეატყობინეს მამა ჩემს და სთხოვეს: „არიქა, ნიკოლოზ, სანდრო თბილისს ვაგვეპარა და შენს მეტს არავის ვაუგონებს, გვიშველე, დააბრუნეო!“. მ-მა ჩემიც ცხენით გაიპრა, რადგანაც ეკონა იქნება შორს მომინდეს მიწვევო, მაგრამ იქვე ს-მ ციხისთან როგორცვე მივიდა, სანდრო ჩვენის დღქნის კედელთან ატუხული ნახა. როდესაც მამაჩემი გამოეხმაურა, მაშინ შეშრივლა: „რა ექნა სწავლა მინდა და არ მიუყვეარ და მეც მინდა შევაშინოვო.“ მამა ჩემი ი ჰპირდა: თუ მშობლები არ წაგვიყვანენ, მე თითონვე წაგვიყვანო და ამ რიგათ პატარა ყაჩაღი შინ დააბრუნა.

სანდრო არ შესცდა: ამ გამოხუმრების შემდეგ აღარ ვაიარა დიდმა დრომ, თბილისს წაიყვანეს.

### თავი მორცდახუთი.

1866 წ. ვახუშული იყო, როდესაც მამა ჩემს თბილისიდან ძალუას წერილი მოუვიდა: თქვენი ძმა ავით ვახდა და არ ვიცი, როგორ წამოგიყვანოვო. შემდეგ მეო-ე წერილი მოუვიდა, რომლითაც ატყობინებდა: „რადგანაც ძა-



ლიან მოისურვა თავის სამშობლო ქვეყანაში მოსვლა, წამოეღებო, მაგრამ ფასანაურში ძალიან შესწუხდა და ეჭიმმა გვიჩია აქ შესვენება... წველანი შეესწუხებით, მაგრამ მამა ჩემი შეწუხების გარდა ვეღარ ინდუნებდა, ვერა თაფისი ავთმყოფის ძმის სანახავათ, ერთის კვირის შემდეგ მამა დაბრუნდა და ანდრიას თვალცრემლიანი შესჩიოდა: „მინდოდა საწყალი მიხელი წამომეყვანა, ძალიან ცუდათ არის და ეჭიმებმა იმისი დაძვრა არ მირჩიეს“. ბიძა ჩემს სურვილი გამოეცხადებინა ჩვენის ნახვისა და ჩვენც ვინცკი შინ ვიყავით და-ძმანი დაუყოვნებლივ წავედით იმის სანახავათ. საწყალი ძია, ძალიან გამოცვლილი იყო!.. სახე და ხელები დასწვრილებიყო, სამაგიეროდ მუცელი და ფეხები რუმბივით გასიებოყო,—წყალმანკი გამხდარიყო. ბიძა ჩემმა ძრიელ ისიამოვნა ჩვენის ნახვით და რაც ხანი იქ ვიყავით აღარ გვიშორებდა; ძალუა ჩემი თითქმის უსაყვედურებდა; **მაგათთან** კარგათა ხარ და ჩემთან კი მუღამა კენესიო. ბეჩავი სანახავი იყო ბიძა ჩემი!.. იმოდენა ლომი კაცი ქვეშაგებად დაცემულიყო, გულზე ქოშინი მოსდიოდა და ვეღარ ინვენებდა.. სხვის მახვეწარი გამხდარიყო! ბიჭი თავს ადგავ: ის ატრიალებდა, ის იყო იმისი წადილის აღმსრულებელი. ძალუა კეკე სულ ებუზღუნებოდა და უბრალო საგანზედაც ეკამათებოდა. ათიოდე დღე დაეჩრით იმათთან და სწორე უნდა ესთქვა: შემაწრწუნებელის, მძიმე გრძობით დაეტოვეთ ავთმყოფი...

ცოლქმარის უსიამოვნოების მიზეზი ის იყო, რომ ბიძა ჩემი როგორც სხვებს, ისე ცოლსაც დიდი ფულის პატრონი ეგონა და ეხლა, როდესაც ქმარსა ხედავდა ამისთანა უნუგეშო მდგომარეობაში, იმაზე იყო ჩაცხებული, რომ რაც ფული გაქვს გარდმომეციო. ავადმყოფს ჩაცხებითა ჰკითხავდა: სადა გაქვს შენახული შენი ბანკის ბილეთებიო?.. ამ დროს შესახარი სანახავი იყო ძალუა კეკე: ფულის სიხარბით ყველაფერი მოვალეობა დაეწყებოყო!.. იმისი ქმარი, იმისი საყვარელის შეილის აღექსანდრეს მამა, რომელთანაც მრავალი წელიწადი სიამოვნებით ფუფუნებაში გაეტარებინა, ეხლა ის კაცი, იმისი მეუღლე, იმის თვალწინ ახდის საფლავს ჩასტკეროდა, ყოვლად უნუგეშო, სასიკვდილოთ განწირული... და ამ მანდილოსანში გარდა ფულის-ძიებისა, არაფერი გამოითქმოდა... იმ გულს, რომელიც როდისღაც იმის სიყვარულითა ფეთქავდა, ეხლა ხედავდა უმოძრაოს, უსიცოცხლოს და იმის დარუმბებულს გულზე მხოლოდ ფულს ეძიებოდა...

ადვილი მისახლომია, რომ ავთმყოფს ამ გვარი მოქცევა აშფოთებდა, საწამლავათ უბდებოდა, ისეთაც გაწყალებული სიცოცხლე უმოკლდებოდა... ეს მანდილოსანი მამაკედავის სარეცელთან გულქვაკათ იდგა, ნიღაბ ახდილი, გააფთრებული და ფული, ფულიო გასძახოდა!..

არა, ეს სურათი მე სიკვდილამდენ არ დამავიწყდება... ის ოთახი, რომელშიაც ჩვენ, ძმისწულები მოგვათავსეს, ბიძა ჩემის საწოლსა ჰქონდა გვერდ-მიკრული, ისე რომ იმათი ლაპარაკი ზედმიწევნით ისმოდა.

— ბატონო, ყველაფერი უნდა იფიქროს ადამიანმა... რა უყავ, ვის მიეც ის ბანკის ბილეთები, რომლებიც მუღამ გულზე გაცერა? შენ რომ კედები, მე



ულუქმა პუროთ რათა მტოვებ? რათ მიხბდი შვილთან ან ქვეყნის სკოლა-  
ლეთ საქმეს?..

— რა ვენა კევე,— ისმოდა ავათმყოფის სასოწარკვეთილების ხმა (ეხლაც ერუანტელი მიელის ტანში, როცა მაგონდება!)— რა ვენა, რაც მორჩება, სულ შენი არ არის? თან ხომ არას წაივლებ... ერთი შვილი მყავს და მეორეც შენა ხარ, რაც დარჩება სულ თქვენი არ არის?.. მე ჩემს შვილს ვერ უღალატებ და შენ დედა ხარ სანდროსია... რაც დაგრჩებათ იკმარეთ, იმითი იცხოვერეთ ..

— რათა, შვილის ხელში მაცურებლად, იმის შესანახათ, სახვეწრათ, რათ მიხბდი საქმეს?! ფული, ფული რომ გქონდა ვის მიეცი? რა უყავ? სულ იმათვიც გინდა და იმათ გარდაეცი?!

— რას ანბობ ქალო, ვის იმათ? მე ჩემს ალექსანდრეს ძმაზე და ძმისწულზე ზე ვაეცვლი?! რა ფული? რაცა მქონდა დაეხარჯე, ბანკის ბილეთები დაეახურდავე, თბილისში ცხოვრებას, ალექსანდრეს ოსტატებს ფული არ უნდოდათ?!.. შენ რა ვაქვს სამწუხარო; კარგს პენსიის გიტოვებ და სხვა რაც მამადია სანდროსია და რასაკვირველია შენიც, შენ იმისი დედა ხარ...

ძალუას ჩემზე დიდი ექვი ჰქონდა; იცოდა, რომ ძიას უყვარდი და ამის გამო მეტის მეტათა ცდილობდა, რომ იმის გვერდით მარტოცა არ დაგრჩენილიყავ.

ზაფხული იყო და ბუზის მოგვრება უნდოდა ავათმყოფს. მე როცა თავისუფალს დროს ვიპოვნიდი, გულ უბრყვილოთ მოვირბენდი ხოლმე ავათმყოფთან, ბიქს თხილის შტოს გამოვართმევდი და ბუზს უგვრებდი. ბიძაჩემს, ჩემი სარეცელთან დგომა იამებოდა ხოლმე; მძიმეთ ქშენის დროს, თვალებს რომ გაახელდა, გამიღიებდა... ერთხელ მარტოცა დავრჩი იმის კრაოტთან, ზურგი კარებისაკენა მქონდა მიქცეული და ბიძა ჩემს ნელ-ნელა ბუზს უგვრებდი. ავათმყოფმა თვალემა გაახილა, მომცა თავისი გამხმარი ხელი, მე საკოცნელათ ტუჩებთან მივიტანე; იმან მძიმე ქშენით გამხმარი, აქენცილი ტუჩები გამომიშვირა და თვალემა ცრემლით აემსო. მე ჯერ ხელზე ვაკოცე, მერე ტუჩებში, შუბლზე, რომელზედაც მარგალიტივით ოფლი დასხმოდა. «ვკედები! ჩავარდნილის ხმითა სთქვა. ნუ გეშინიან ძიავ!— მეც ნელის ხმით ჩაესძახე. ცრემლები მომერია, რამთენიმე წუთი ასე უხმოთ, უსიტყოთ ვესალმებოდით ერთმანეთს. ერთი ჩემი ხელი იმას ექირა, მეორეთი ბუზს უგვრებდი. ძიას სიბრაღული და იმისადმი მადლობა ადულებდა ჩემს გრძნობას და ნელ-ნელა, ღაბა-ღუბით ცრემლები ლოყებზე ჩამომდიოდა. ხელი არა მქონდა მოცილილი, რომ ხელსახოცი მიმეშველებინა და ცრემლი შემეხოცა. ამის გამო სახე სრულიათ სველი მქონდა, ამ დროს ვიღამაც ჩამომწორჩულა „მოიტა ევ რტო; ეხლა მე მოუგვრებო“. ნინო—გამდელმა აღარ მოიცადა ჩემგან პასუხი, ჩემდა უნებურათ გამამართვა რტო, და ჩემი ილაგი დაიქირა. როდესაც ძიას ჩემს ხელს ვართმევდი, იმან კიდევ თვალი გაახილა და „დაილალო“ მკითხა. მე რა მეთქმოდა? გავტრიალდი საჩქაროთ, მეორე ოთახში გავეშურე. კარებთან ძალუას შევევეთე— ატუხული იდგა... თითქო ჩემმა დანახვამ აზრები შეუფრთხობ მომატანა და მკითხა:



— ქალო, ბიძაშენი რას გეჭურჩულებოდა?

— საწყალი ძია, ძრიელ შეწუხებულა... მე ცრემლი ვეღარ შევიკავე და ტირილს მოუმატე;

— რას გეჭურჩულებოდა? კიდევ მკითხა უფრო მაღალის ხმით და ბიძანების კილოთი.

— არაფერს; რა ჩურჩულის თავი აქვს, ძლიერა სუნთქავს...

ჩემს პასუხშიაც ისმოდა გაჯავრების კილო. მე მსწრაფლათ მივხვდი ძალუას ქცევას და როგორც შემდეგ გავიგე არც მოგსტყუვდი: ძალუა ჩემი სულ განაზღვრული კარებთან თურმე იდგა, როდესაც მე და ბიძა ჩემი ერთმანეთს ვეალერსებოდით. „მელას რაც აგონდებოდა ის ესიზმრებოდაო“ ეს ანდაზა ასრულდა. ის ორი სიტყვა მე და ბიძა ჩემს შორის თქმული, კოცნა და განოსალმება, იმან ჩურჩულათ მიიღო და წარმოუდგა, რომ რაღაც მომცა და დამარიგა... ეს შემთხვევა ბოლოსაც ბევრჯერ მომავგონა ძალუამ და სიკვდილიმდენ არა სჯეროდა, რომ რაღაც ვეჭვილები მე არ ვარდმომცა ბიძა ჩემმა. მე ვარწმუნებდი ამისთანა ეჭვის უსაფუძლობას, მაგრამ, მაინც ის თავის კითხვას აითასებდა და თავისი იმეო, ეჭვილების და ბანკის ბილეთების გამო, მოსვენებას არ აძლევდა.

ამ ხეშო ხსენებულის სკენის შემდეგ, ბიძა ჩემთან მარტოკას აღარა მტოვებდნენ. როგორც მივიდოდი იმის სარეკლთან, მაშინვე დამითხოვდნენ. „დაილილებიო.“ უსიამოვნო სურათები, მამაკვდავთან ბუხლუნით ლაპარაკი, უფრო და უფრო ხშირდებოდა და არა ერთხელ შევიქენით უნებურ მოწმეთ ძალუა ჩემის გულგრილობისა, რომლებს თითო თითოთ აღენუსხვა შორს წაგვიყვანს; მაგრამ კიდევ ერთს გარემოებას აღვნიშნავ.

ავთანყოფის ცქერით დაილულეები სანდრო და ჩვენ ვეღვანი იქვე-მეორე ოთახში ვისხედით და ნელის ხმით ურთი-ერთ შორის ვლაპარაკობდით, რომელიც ჩვენდა შეუწინველათ ოხუნჯობით გარდაგვეტკა და დროებით დაგვაიწყადა კიდევ ავთანყოფის მძიმე მდგომარეობა. ბიძის ჩემის ოთახში, თურმე, ლაპარაკის ხმა თან და თან მაღლდებოდა, მაგრამ ჩვენ გართულები ჩვენის სასაცილოს ლაპარაკით—იმით ყურს არ უგდებდით. უცრათ შემოგვესმა ძალუას უცნაური სლოკინი, და ბიძის ჩემის დასუსტებულის ხმით ძახილი „უშველეთ, უშველეთ“ო ჩვენ ვეღვანი წამოვიტყერით და შევსცივდით უფრო, რასაკვირველია, ბიძის საშველათ, მაგრამ თურმე ძალუას ეცირებოდა ზველა!.. ბიძა ჩემი ქვეშაგებში წამომჯდარიყო, შეშინებულს თვალები დაეჭყიტა, სიტყვას ვეღარ იხერხებდა, მხოლოდ სასოწარკვეთილებით საცოდავათა ენაოდა. ძალუაჩემი ტახტზე მუთათაზე მიყუდებული იყო, ლოყები ამოკვერებიყო, თვალები დაეხუჭა და ღრმითა სუნთქავდა. კვირა დღე იყო და ძალუა ჩემი ლაზათიანათ იყო ჩამკული: კეკლუცათ თავი დაეხურა, ახალი ლეჩაქი მტყელ—არშია მოვლებული სახეს უმშვენებდა. ადვილი მისახდომი იყო, რომ ჩხუბის შემდეგ, ძალუას ისტერია მოუვიდა. დაუწყეთ აქა-იქა ნძრევა და წეწვა; ვაბრუნებდით მაგრამ თვალებს არ ახელდა, კნესოდა და თითქოს ასლოკინებდა. „წყალი, ჩქარა წყალიო!“ მოვრთეთ ხმა მაღლა ძახილი და მივარდით იქვე ცივი წყლით სავსე ლიტრას, რომელიც თავზე დაუპირდაპირეთ დასასხმელათ. ამ გარემოებამ საკვირვლათ იმოქმედა გულ



შემოყრილზე: უკებ თვალები აკვიტა და ხელი შეაშველა ამ სიტყვებით: „ქარგათა ვარ, გეთაყვა ლეჩაქი არ გამიფუტო, ახალია და ბრალია.“ ასე უცქრათ, მანქანებით იმოქმედა ცივი წყალის ხსენებამ და გულ შემოყრილი, ლეჩაქს გაუფრთხილდა!.. ამ გეარმა ძალუასაგან ავანტიურის შეუბრალებლობამ შეგვაზარა! ყველანი მივხედით, რომ გულ შემოყრილი არ იყო, მხოლოდ მამაკედანს ამინებდა თავის მიზანის მისახწევით. შიშმა ბიძა ჩემი ძრიელ შეაწუხა, შეაშფოთა და საღამოზე უარესად შეიქმნა...

მკითხველა უქვევლია მკითხავს: რატომ სანდროზე არას ანობო? რა მონაწილეობას იღებდა 18 წლის ყმაწვილი, როგორ იტყუოდა მამის ამისთანა მძიმე მდგომოიარობის დროს? ეს კითხვა თავის თავად იბადება ადამიანის აზრში. მე სიმართლით გიპასუხებთ, რომ არაფერს!

ეს ხომ პირველსავე სტრიქონებზე აღვიარე, რომ იმის ოჯახში რაც უნდა გარემოება შეცვლილიყო, გინდა უბედურებაც დაატრიალებულიყო, სანდრო თავის ნებიერობას და თავისნებობას არ იშლიდა. აქაც ისევე იტყუოდა: შთელი დღეები ფსანაურის ტყე-მინდვრებში დიარებოდა. მე ის არც ერთხელ არ მინახავს თავის თავად მამაკედავ მამასთან მისული, მოალერსე, ლმობიერი! ბიძა ჩემი კი თავის ნებიერს სანდროს ხშირათ უხმობდა ხოლმე, შესტკეროდა სიყვარულით, ჩვეულებისამებრ იმაზე ზრუნავდა... სანდრო უწინდებულათ არ ეკარებოდა! ცივით და გულგრილათ ეტყუოდა, თანაგრძობას არაფერში უცხადებდა. ზემოთ რომ აღვნიშნე ძალუა ჩემის ვითომდა გულშემოყრა, მამინ სანდროს განზე იდგა და იციზოდა. შეშინების წუთებმა როცა გაიარეს, ამ საგანზე ლაპარაკის დროს სანდროსა ვკითხე! როგორ შესძელ სიცილი მეთქი, როდესაც შენ დედ-მამას ამისთანა მდგომოიარებაში ხედავდი? იმან მიპასუხა: „შენ დედი ჩემის ჯადოქრობა კიდევაც ვერ შეგისწავლიათ“.

ესეთი იყო უკანასკნელი წუთები მიხეილ ყაზბეგის ცხოვრებისა, რომელსაც დიდი ხმა ჰქონდა, როგორც შთაში, ისე ბარშიაც. ამ საბით განჰკრა ის კაცი, რომელმაც თავისი სიცოცხლე მართლა რომ ბატონურათ გაატარა: სვა — კამა, ფუფუნებაში იცხოვრა; ამის გამო მნახველებს დიდათ მდიდარი ეგონათ. პიძა ჩემს ფულად არა დარჩარა გარდა გაწყობილის ოჯახისა: ვერცხლუფლით, სპილენძმუღლით, საფენით და სხვა და სხვა ნივთებით ვატენილი იყო ბიძა ჩემის ქუთხეები. აგრეთვე დარჩა: ცხერის ფარა, ცხენის ჯოგი, ძროხა — კამბეჩი, შემოსავლიანი დუქნები და შთის კვალობაზე რიგიანი მამული. ძალუაჩემს ეს ჩამოთვლილი საგნები არა რათ მიაჩნდა, რადგანაც ბევრის ძებნის შემდეგაც კი ფული ვერ აღმოაჩინა.

...მაგრამ სხვა სიმდიდრეს თავი დაეანებოთ: იმისი საუკეთესო სამკაული იყო ერთად ერთი ვაყი-შეილი, იმას თავი მოსწონდა თავისი მემკვიდრე სანდროთი! ეს იყო იმისი მომავალი იმედი და ძვირფასი გვირგვინი. „ვენაცვალე ჩემს აღუქსანდრეს, ოჯახს ეგ აღმიდგენს“ო იტყოდა ხოლმე ძალუა კეკე.

(გაგრძელება იქნება).

# მეცნიერება და კულტურისტიკა

ქართული  
ენისტიკა

ნიკო მარტი.

## ქართულ ენის კულტურული ფუძელი ენათმეცნიერების მიხედვით

წინასიტყვაობის მაგიერ.

1922 წელს შიდა ქართულ მეცნიერებათა კრებაზე წაკითხულს დღეს რასაკვირველია, სიძველეს ხასიათი აქვს. უკვე ბერლინში რომ გამეორებით წაუკითხე იქ მეცნიერებ ქართველებს, თან მაშინაც ეგრძობდნენ ზოგან თქმულის ხანშესრულებას. მას აქეთ კი მთელი მსოფლიო გადაგვეშალა წინ ამ ლექციის მოსახმარებლათ, მაგრამ რაც თქმულია შიგ, ბევრისთვის ჯერ ისიც მოუწოდებელი გამხდარა. ჯერ ჯერობით მისი შეთვისება თუ არა,—ეგ საძნელო საქმეთ შეემჩნევა უმრავლესობას,—მის აზრებთან შეჯვეც კმარა.

6. მარტი.

11 მაისს 1925  
ლენინგრადი



## ბერლინში მხროვნებე ქართველთადმი მიმართა.

აქჟორ, ბერლინის, ქართველობის წადილი მაცნობეს, ვითომცა ჩემს მოსწავნას ესწრაფვიანო. ოცდაათი წლის განმავლობაში თითქმის ცალიერ აუდიტორიაში ლექციების კითხვის ნაჩვევი, საფულისსმია, საჯარო ლექციისთვის მოწყობილი ეერ ვახლავარ, ეს კარგათ მესმის, მაგრამ ვარის თქმა მოუხერხებელი დამირჩა. სხვა მიზეზიც მაყოყმანებდა. საღლაჲ პოეტს Musset's უთქვამს ერთ მწერალზე: ton siècle était, dit-on, trop jeune pour te lire— „შენი საუკუნე ნამეტარი ახალგაზდა იყო, რომ შენი წაკითხვა შეძლებოდაო“. მე თუ მეათავაზებდა თვით-გამორკვევის უფლება, მკონია, აი, აგრე მეთქმება: „ჩვენი საუკუნე მეტის მეტი მეცნიერებით ნამეტარი დაბერებულა, რომ მასში მსმენელი ადვილათ მომეპოვოს“.

ამიტომაც მოსახსენებლათ ავირჩიე ერთწამს ბასკეთის-ლა შთაბჲქელილე-ბანი. ბასკების შესახებ უფრო ადვილ მოსანელელებდი—და გასართობიც—საუ-ბარი უნდა მომეწყო, მაგრამ ბასკებზე საუბარსაც მოკლა და ჩაუღიქრება სჭირია, მეცნიერი კი თანამედროვე ევროპაში, განსაკუთრებით რუსეთიდან, პეტრო-გრადიდან მოგზაური მეცნიერი, ისეთ პირობებშია ჩაყენებული, რომ...

„სხუვან ჰქრის მისი გონება, მისჲან თავისა წონამან“.

აგრე ძალაუნებურად ისეჲ პარიზში რომ ქართველებს ამ ორი თვის წი-ნეთ conferece'ი გაუმართე. მისი გამეორება გადავწყვიტე. იქნება ამ ჩემდა უნებურად გაკიანურებული მოხსენების ზოგიერთი ადგილი აზრის აღმძვრელი გამოდგეს. თუ ხანგძლივ მოსმენა გაგიკირდეთ, შუამდი მოითმინეთ და თუ ნას-მენით საკმაოდ მაძლარი იქნებით, შევწყვეტ და გავათავებ. „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია აჲად კარგი“-ო.

მეცნიერება ამ მხრით პოეზიას არ ჩამოუვარდებდა თავის გამომთქმელო-ბით, მაგრამ შაირი ზომით მოჭრილია და ტკბილსასმენელი ლექსებით ხაზლავს აღმვიანს, წინ უშლის მას დასანახ სურათებს. მეცნიერების ფორმულები კი გან-საკუთრებით მომზადებულობას თხოულაბენ. ჩემი სათქმელი ერთს თუ ორ გვერდ-ზე დაიტყვება, თუ ეს ასე არ გამოდის ბრალი განა ჩვენია? ჩემი ბრალი სხვა არის. მართალს ბრძანებენ მეცნიერები, რომ იაფეტმეტყველების თეორია ზღაპარი პრისო. ეს დარგი დასტურაც ზღაპრული ნამიჯებით მიდის წინ და ორი თვით ადრე წაკითხული დღეს ხანზე გადასულობას იჩენს. ბევრის უფრო დაბეჯითება და ჩაღრმავება შეგვეძლო ახლა, მაგრამ დროის უქონლობის გამო სრულებით ხელუხლებლათ მოგახსენებთ პარიზში წაკითხულს და ვახოვთ ანგარიში გაუ-წიოთ მას, რომ პარიზის ქართველებსათვის წამიკითხავს ის და თქვენ ვითომდა სტუმრად დასწრებოდეთ იქ პარიზში, მიმართოვაც და იქაურობაზე მითითებაც იქაურობას და შესაფერ მომენტს გულსხმობს.

„ავთანდილ სოქია: ესაა ჩემი  
გაეაცხადო ამა დღესსა  
შეიქნენული  
განსაკუთრებული.“

I

პარიზის ქართველთა პატივცემულ ახალშენმა სურვილი გამოიძიქვა ჩვენ-  
ნი ერის წარსლისაგან ერთ და ერთ საკითხზე მოხსენება წამეკითხა. მადლობას  
ვიხდით მომართვისათვის, თქვენ განსაცდელ ყურადღებისათვის. წინ და წინ მად-  
ლობასაც და ბოდიშსაც ვიხდით, რომ იქნება ძალზე მეტი მოსაბეზრებელი და-  
გირჩეთ მოსასმენელი. მოსასმენელათ, საგულისხმოა, ჩემი ცოდნის დარღვისგან  
ენათ-მეცნიერებისგან, უნდა ამომერჩია საგანი და იმ საგანზე ბაასით ჩემი ამ  
ჟამათ გამართობი სამეცნიერო საქმეც თუ ვისმე მართლაც აინტერესებს, გამოც-  
ხადდება. საბაასო საგანი გახლავსთ, მოგეხსენებათ, — „ქართველი ერის კულტურ-  
ული შუბლი ენათ-მეცნიერების მიხედვით“. ეს რაღა შუბლია ან ფრონტი?  
ნუ თუ ომს ვუცხადებ ვისმე და საბრძოლველ შუბლის მზადებაში ვარ?! რო-  
გორც მეცნიერი ომს არ ესაქიროებ არავისთან, არც მეცნიერებთან, რადგან  
ჩემი სხვათათვის საწინააღმდეგო მეცნიერული აზრები უამრავი მასალისგან იბა-  
დება და, ერთხელ რომ წარმოჩნტმულა, ჩემგან დამოუკიდებლათ იზრდება.  
როგორც ზღაპრული მრავალთავიანი ვეშაბი, რამდენს თავს მოსჭრიან, ორი  
იმდენი ახალი ამოუვა. უღეს ჩემდა დაუკითხავათ პეტროგრადში ცნობილი რუ-  
სეთის არქეოლოგი პროფ. ფარმაკოვსკია იაფეტურ ენათ-მეცნიერების მიწეფი-  
ლობაზე შეთანხმებულ ძველ ხელოვნების ღრმათ შეგნებულ ისტორიის კურსს  
კითხულობს, ახალგაზდა პროფ. ბოგავესკია ეგეტურ კულტურის ისტორიას სარ-  
ჩულათ უდებს იმავე ქართულის ენის შესწავლიდან აღმოცენილ იაფეტურ ენათ-  
მეცნიერებას, მის ბოძებულ ზოგად დებულებებს, იქავე ჰაბუკ და ხანში შესრულ  
მეცნიერების ჯგუფი ახალ დაარსებულ საიაფეტუმეტყვილო ინსტიტუტში მოხ-  
სენებას ისმენს ქართულ ენის ბგერათ შესახებ და მის მონათესავე ენების  
სხვადასხვა თვისებაზე იაფეტური სწავლის მიხედვით და ცხარე პაეჭარს სტებს.  
თავის ძალისამებრ მუშაობას განაგრძობენ იმ საგანზე უნივერსიტეტის პროფ.  
ალ. ნ. ვესელოვსკის სახელზე დაფუძნებულ აღმოსავლეთის და დასავლეთის ენათ  
და შერლობათ შედარებითი შესწავლის ინსტიტუტში გაორკეცებულ სიმზნევით  
დაინტერესებულნი რამოდენიმე წეერი ორი შეერთებული ფაკულტეტის — ფილო-  
ლოგიურის და აღმოსავლეთის ენების, რომლისთვისაც, მისდა დაუკითხავათ,  
წესი აუგიათ, როგორც განსვენებულისათვის. მე ერთს აქ უკვე დაბეჭდილ საჯარო  
სიტყვაში ვთქვი:

მე მარტო მეცნიერები მეგონა აგრე გაწრთენილი, რომ რასაც თვითონ  
აზრობენ, მხოლოთ იმის არსებობას სთამხმდებიან. რაც ჩენი ფაკულტეტის  
სიკედლის შეეხება: „არ თუ იცი, უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების.“ ნიეთიერ  
კულტურის ისტორიის აკადემიაში ერთი განყოფილება, — მხოლოთ „კავკასიის  
და იაფეტურ მსოფლიო პირვანდელ სიძველეთ“ მიმდევარი, განსაკუთრებით  
ეტანება ხელოვნებაში ცხოველთ მნიშვნელობის გამოკვლევას და თან დაიწ-

ყო თავის შრომების ახალი სერიის გამოცემა, სახელწოდებით „წიგნი“ სწორილ  
გეოგრაფის პროფ. ბერგს საგეოგრაფო ინსტიტუტში იქვე მსმენილად და თავის  
 ამხანაგთა გასაცნობად იათეტურ თეორიაზე მოხსენება წაუკითხავს. წიგნი სა-  
 განზე გეოგრაფიულ კრებულში დაბეჭდილი წერილით დაინტერესებული ახალ-  
 გაზრდა მცენარეთამკვლევარი პროფ. ვავილოვი ისწრაფის შემატყობინოს,  
 რომ პურის მცენარეთა ორი სახე ბასკებს მხოლოდ ზოგ კავკასიელ ერებთან  
 ჰქონია საერთო. ხვალ იგივე სწავლა ათიოდე სხვა ქვეყნების უნივერსიტეტში ან  
 სამკვლევრო დაწესებულებაში გზას გაიკაფავს. რასაკვირველია, ეგ იათეტურ  
 ენათ-მეცნიერების თავის საზეიმო „ხვალ“ არც ისე ჩქარა მოსაველენია. თუმცა უსიმო  
 ტელეგრაფით აზრის გაზიარებას და ფრენით ზღაპრული მგზავრობას მიწვენილა  
 კაცობრიობა, მაგრამ ეს მხოლოდ აღებ-ნიცემის და მრეწველობის, აგრეთვე  
 ომის და მასთან შეკავშირებულ მეცნიერებათ დარგში; ჰუმანიურ სწავლათათვის  
ჯერ ურმებია სამგზავრო იარაღი. ურმითაც იათეტურ ენათ-მეცნიერებას ჯერ  
მხოლოდ გერმანიაში გადმოუფრია ერთათ ერთი მეცნიერის, ისიც პეტრბურ-  
გელ პროფესორის Fr. Braun-ის მეთაველობით, რასაც მრავალ თანაგრძნობით  
 შედგენილ კერძოთ მომართულ ბარათების გარდა ჯერ ჯერობით გამოუწვევია  
 ბეჭდვით მხოლოდ უკიდურესი უვიცობისაგან წარმომდინარე მსჯელობა, თვით  
 დიახ, თავაზიანობასაც მოკლებული მსჯელობა. ეგრე სუფევს მეცნიერთა სამა-  
რისიული დუმილი. მაგრამ არავეითარი ჩაჩუმებით, არავეითარი დაკინებით, არა-  
 ვითარი კვანტის კერით ან მოულოდნელი მხრით (სიდანაც ხელის შეწყობას ვი-  
 მედოვნებდით) ფეხის გამოწლით ერთხელ აღმოჩენილი სამეცნიერო ჰუმანიტე-  
 ზის სანიადგავო დაბრკოლება, ჩაქრობა არ შეიძლება. აქ მეცნიერს სჭირია ომი  
 კი არა, შრომა, წყნარი, უხმაური, მაგრამ შეუწყნარებელი ცხარე, შანთსავით,  
 გახურებული შრომა: რაც დასაძნობია, დადნეს, რაც სიმტკიცეს შექონია, რკი-  
 ნულსავით ბრძმედში გამოვლილი ჰუმანიტეტებათ უნდა გაიქედოს.

ერთ ჩვენ წინანდელ კრებაზე მოვისმინე, რომ მთელი სამშობლო იკეთებს  
 ეროვნულ ფრონტსო, ამ ეროვნულ ფრონტის დასაცველათ ის იკრებს ძალ-ლო-  
 ნეს და ერთიანდებაო, ეროვნულ ფრონტის გაწყობას, უსათუოთ, არ ავენებს კულ-  
 ტურული შუბლის სინამდვილეთ გამოცხადებაც და თუ საზოგადოებრივ მოღვა-  
 წეს საბრძოლველათაც მართლაც დასჭირდა—იქნება კიდევაც სჭიროდეს—ქართ-  
 ველ ერის კულტურული შუბლი, მისი სინამდვილით გამოცხადება ხომ უფრო  
 მიუცილებელ მოთხოვნილებათ ხდება. ძველებური ჩიხტი-კოპით და ფერ-უმა-  
 რულით საკულტუროსნოთ ვერ მოიხვეჭება ჩვენ დროში ერის შუბლი. ვინც ნიე-  
 თიერ ძალაზე აფუძნებს თავის გამარჯვებას, რიცხვით დიდ ერებს, იქნება, ასე-  
 თი ნახელოვნები მოკაზმულობაც გამოადგეს რამეთ, მაგრამ მცირე რიცხოვანი  
 ერი თავს ღელატობს, აუ-თავის კულტურულს შუბლს მის ნამდვილს, მხოლოდ  
 მაშინ შეეწინიერს, ხასიათს ვერ უპოვის და მის ისტორიულ ბედისწერას გზას  
 უპაცვს. ბედისწერა ჩვენ გვესმის არა მისტიურათ, არამედ იმ ერთად ერთ  
 განხორციელებულ სინამდვილედ კაცობრიული საზისა, რომელსაც თავის ანაგუ-  
 ბაში ატარებს ერთი როგორც თავის გაელოლი წასრულის თავდაუზრუნველ შე-  
 დგეს. აბაზები რომ ბედის წერას atqintra-ს ეტყვიან, ესე იგი შუბლზე ნაწე-

რიო, სწორეთ ეგ ქართველი ერის შუბლზე ისტორიის ნაწერი რომ მის კულტურულ შუბლსა უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ ჯერ განა შეგვეფიქროვოთ „შუბლის-წერის“ წაკითხვა? ამდენათ განეითარებულია განსაკუთრებით ქვეყნებზე ენათ-მეცნიერება, გინდა იაფეტური ენათ-მეცნიერება, რომელიც არა სიტყვებს იკვლევს მხოლოდ, არამედ, სიტყვის ხელოვნებით განხორციელებას და განხორციელებული საზოგადოებრივი მოვლენის გასიტყვიერებას შეუძლებლობათ. რასაკვირველია ჯერ კიდევ საქმის დასაწყისში ვართ, მაგრამ მოწინამძღვრე მეთოდრ უკვე უფერი სხივებით შეიჭრება ზოლმე სიბნელით ბურულს ქართველ ერის წარსულში და მართლათ მიგნეულ გზაზე ამ სხივების შუქ მოფენით ზოგს ჩანსვე საინტერესოს დღესაც ვცნობილობთ და შოთას თქმულის არ იყოს:

„არცა ვიცი, მართლად გკადრებ, მრუდი არა არ გეცნების.“

ერთ ჩემ ნაცნობთაგანმა შემომჩივლა, —საკვირველი ადამიანები არიან ეგ ქართველებიო, რაღაც უსაზღვრო გაზვიადებით სჯიან თავის სარჩელს, სომხებიც იმავე ხასიათს იჩენენო, თითქო მათ ჩვეულებრივ ხელწასაკრავს შეუპოვრად ეტანებიან მსოფლიო საქმეებს და თავისი წილის მიჩნევაში წყლულმგრძნობიარებით ეპყრობიან სხვა ერის, დიდიც იყოს, თვალსაჩინო სივრცეს და ბუნებრივ მოთხოვნილებას, თითქოს ქვეყანამ არ იცოდეს, ვის რა სიდიადე შესწევსო, და ერთი სიტყვით, აგრე გამოდიოდა, „შუა უზის დიდი ზღვარი“ პატარა და დიდ ერსაო. დიხაც საკვირველი ადამიანი, რომელიც აგრე ნათლათ ხედავს ერების საზღვრებს და სომხებზე იქნება შეტკობმანდეს, სრულებითაც უარ ყოს ზოლმე მათთვის სადმე რაიმე საბინადრო ნიადაგის ცნობა, ქართველებს კი დიდის კმაყოფილებით და გულ დაჯერებით შემოუხაზავს სამზღვარს. „ა ბატონო, თქვენი სამზღვარი, აგერ ზღვა, აგერ ქვეყნიერათ განთქმული მთის ლიანდაგი, კავკასიის მთის, ამიერ თუ გამოღმა ჩვენ და იმიერ ან ვალმა თქვენ, მშვიდობით ბრძანდებოდეთო“. ასეთი სწორედ სანეტარო ქვეყნის მდგომარეობა და ბუდე-ბუდეში ჩალაგებული კაცობრიობის ბედ იღბალი, გულწრფელობითაც რომ ჩამოვართავთ ამ სამართლიან გამსაზღვრელს და ჰიპოკრიტობა არ დავსწამათ, იქნება დასტურაი საქირო იყოს მსოფლიოს საქმეების გაგებაში თუ არა, მოწყობაში მაინც; საზოგადოებრივ ისტორიის შექმნამდი წინდისწრებულ ხანებში კაცობრიობის ცხოვრება აგრე და მიმდინარებულა, როგორც ჰგავს, ცალკე ცალკე ბუდეში: არა თუ კაცობრიობის ერთ-ბუდობა პირველ დასაწყისში, თვით ევროპის ერების, აგრეთწოდებულ ინდოევროპეულ ერების ერთ-ბუდობა და ერთწყაროიდან, რომელიმე ერთ სახიდან წარმოშობა ბავშვების რომანტიული ზღაპარია.

ჯერც ერთი განსაზღვრული კაცთათესაური მხარე ვერ მიიჩნევა —ოჯახ-მოდემას თავი დაეანებოთ —რომელიმე ერისაც იყოს ჩასახვის და მისი წარმოშობის პირველყოფილ საბინადროთ. არა თუ თვით ერი წარმოადგენს კრებულს, მისი წარმოშობა და ჩასახეაც შარტივი არ გახლავს, ის კავშირთა და ელემენტების შედუღებულობას წარმოადგენს, როცა ადგილობრივი მასალა გვაქლია რომელიმე ქვეყნიდან, მაშინ რასაკვირველია ჩვენი, მეცნიერებისაც, ყურადღება იმ ქვეყნის ფარგალში ტრიალებს და თავის საკვებაეს ეძებს, მაგრამ რო-

ცა თვით ამ ქვეყნის ცხოვრება გვინტერესებს, მისი ისტორია, შეუღლებულია ამ საგნის მართებული შემუშავება, თუ მისი ტერიტორიალურ სექციურ შეწყვეტილი მსოფლიო ისტორიის ტალღების ძიებას დაესჯერდით, ქვეყნის ანუ რა ნაღალი კულტურით გაეღწათილი ქვეყანა ბრძანდებოდეს, ასეთი კვლევა-ძიება იმ საშუალებების ღვაწლ-მოსილ წმინდა მამების ყოფაქცევას დაემსგავსება, რომლებსაც ერთი ერთ სასიქადლო საქმეს საკუთარ კიპის ცმინ-რით დროს გატარება წარმოადგენდა.

აქ გასაფრთხილებელი მარტო მასალის ერთ მხრივობა არ გახლავს, უფრო გასაფრთხილებელია ჩვენი ძუძუსთან თანაშერდილი ან ნაანდერძევი ადგილობრივი თეოლასხარისის ერთმხრივობა.

როცა ქართველ ერის შექმნილ კულტურაზე საკითხი, ჩვენ არას გზით არ შეგვიძლია, საქართველოს რომელიმე საზღვარს გაღავანი მოვაკოლოთ და კარგ მკვეტილი შიგ ვეძიოთ, მისი სულიერი შენებულების წარმატება და ყიდვე მხოლოდ ჰყენ, მარტო ჩვენ.

ადგილობრივი შემუშავებულ ლეგენდამ, მანაც რომ იძულებული დაინახა თავის თავი, ერთი მხრით მთელი ქრისტიანობის შენობთან საქართველოში კაპადოკიიდან მოსრული მანდილოსნის, წმინდა ნინოს, ტვირთად გაეხადა, მეორე მხრით საქართველოს, ამ იმ დროს კერპთმსახურებით აღმათ მდიდარ ქვეყანას, მქადაგებლებისთვის ვრცელს, მუშაჲ მოკლებულს სამკალს მთელი წყება, ათზე მეტი, ასურელები მოეგლინა. ეს—ერთი მიმართულების ლეგენდოვან მოთხრობით. მეორე მიმართულების ლეგენდისდაბარა, რომელიც სინას მთაზე აღმოჩენილი პირველ წმინდა გრიგოლის ცხოვრების არაბული ვერსიიდან ცნობილ იქნა, ამ ბერძნების აღზრდილს, ახლა მხოლოდ სომხების განმანათლებლათ განთქმულ მოღვაწეს ევალება კავკასიის ოთხი ქვეყნის თუ ოთხი ერის ქრისტიანული განსწავლა, სომხების, აფხაზების, ალანების და ქართველების. აშკარაა, რომ ამ გადმოცემებში დიდი წილი უდევს ამა თუ იმ პოლიტიკურ ორიენტაციას, მაგრამ ცხადზე უცხადესია, საქართველოში ქრისტიანობის შეტანამი, როგორც შემდეგში მთელი ქრისტიანული ხანის ქართული კულტურის ზრდაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამა თუ იმ ერთან ქართველობის მჭიდრო განწყობილებას. აქედანაც, საქართველოდან, უცხო ქვეყნებში, მსოფლიო განათლების სარბიელზე, გაჰქონდა ხოლმე ამ მჭიდრო განწყობილებას ქართველ ერის ჰემ-მართების მწყურვალი, სიმართლის მაძიებელი სული, რომელსაც საფენელათ მარტო მისტიური ან რომანტიული ეროვნული აღფრთოვანება არ ჰქონია, არამედ თავისებური ადრინდელი კულტურის, დაწინაურებული კულტურის თანაშერდილი, თან დაყოლილი ძალა და სიმზნევე. ბერძნებთან დაახლოვებამ, ჯერ ქრისტიანობის იალონზე, საქართველოს ერთ მეფეს, ნაბარნუგს (ანუ ლაბარნუგს), შეილი მოაშორა და ჩაუგდო განაწინებულ იმ დროინდელ სამეცნიერო საკითხებზე ბეჭობით, კულტურული ცხოვრებით მაშინ აღწლებულ კპალესტინე-გვიპტეში, სადაც იგი ერთი მძლავრი ზარწმუნებრივი აზროვნების, მთელ განსაკუთრებით აღმოსავლეთის საქრისტიანოში გაბატონებული ეკლესიური მიმართულების თავგადადებულ მოთავეთ შეიქნა. სიტყვა პეტრე ივერიელს ან პე-

ტრე ქართველს, მაჲმელ ეპისკოპოსს, ებება. მართალია, საქართველოში მის ბედის მესვეურთ და მათ მატრიარქებში შემსხმელ-მადიდებელთ პეტრე ქართველის დიად კულტურულ ჰირნახულობაზე, მისი თუ მისი მამის ~~ან მამის~~ სახელიც დაიწყებას მიცემულა. შემდეგ ამ საინტერესო სახელის, ~~ან მამის~~ სახელი აღმოჩნდა, ნამდვილი ადგილობრივი სახელის, ნაბარნჯის, გამოთქმაც და თვისეულათ მიჩნევა გაძნელებათ უკვე საკმაოთ გვიან დაინტერესებულ ქართველობის ახალ მოდემას, როცა პეტრე ქართველის მოღვაწეობა გაიცნეს თვით პალესტინეში, და თან ქართლის ცხოვრებაშიც შეიტანეს.

იოანე პეტრიწონელს, როგორც მოგეხსენებათ, დაიწყებაც არ აკმარეს თანამემამულეებმა. ცხოვრების შემთხვევითი ტალღებით თუ მსოფლიო განათლების მოთხოვნილებით შეუწყნარებელი მიმდინარეობით წაღებული, მაკედონიაში ჩავარდნილა.

„სადაურსა სად წაიყენ, სად ჩააგდებ, სიდან სადა!?“

და აქ, ბერძნების მიდამოზე, ნეოპლატონური ფილოსოფიის მის გასაოცარ ხელოვნებით და სიღრმეთა განმსჭვირველ ზედმიწევნით ახსნას და გამოშუქებას, მთელ ფილოსოფიურ სწავლის განახლებაში თანამშრომლობას მისთვის მტრული მოპყრობა და დევნა გამოუწყევია ბერძნებში, და თან ქართველებიც არ ჩამორჩენიან მათ ამ თანამემამულის დევნაში, და გულნატკენი გაკვირვებით მიმართავს ქართველებს ქართველი ფილოსოფოსი იოანე: ბერძნები, ესთქვით, ჩემი სისხლი და ხორცი არ არიანო, მაგრამ თქვენ რაღას მერჩით, საფილოსოფიო ენაც არ გქონდათ, შეგიქენით, ქართულათ უძველესი განყენებული სიბრძნის-მეტყველო აზრის ზედმიწევნით გამოთქმა ვგრე გაადვილებულა ჩემი ცდილობითო, როგორც ბერძნულათაც ძნელია გამოითქვასო, და ვინ იცის რამდენი ფილოსოფიური ცდა ქართულათ შემითხზავს თუ ბერძნულისგან მითარგმნია, რამდენი საზოგადოთ სამწერლო დარგში ქართული ენისთვის დაუფიწყარი ძველი ამიპართავსო. ვერ რუსთველი არ იყო მოცლენილი, და მისი ამ სოფელურ სიბრძნის სწავლა ჩვენს ფილოსოფოსს წაიციხული ვერ გქნებოდა, რომ „ქარვი რამ მჭირდეს, მიკვირდეს, ცუდი რა საკვირველია!“

და თან იოანე ფილოსოფოსის ნათქვამი მაინც, ცოტა არბეის, შესწორებით და შეხლუდვით უნდა მივილოთ. ფილოსოფიური ენა, რასაკვირველია, მას განუვითარებია, მაგრამ შექმნით იგი უკვე შექმნილი იყო, როგორც არა თუ მართო შექმნილი, თვით უკიდურეს სიმშვენიერებზე მიწევნილიც და საუცხოვოთ ექვე განვითარებული გახლდათ ქართული სამწერლო ენა დიდი ხნით ადრე. ქართული მწერლობა შეათე—მეთერთმეტე საუკუნეში ხომ მდიდარ მსოფლიოთ საქონის-მოყვარო ძველების განის წარმოადგენდა. ექვთიმე მთაწმინდელს (ისიც არ დაივიწყოთ ექვთიმეც და მასთან ქართველ მწერლების მთელი ჯგუფი საზღვარ-გარეთელია)—ექვთიმე მთაწმინდელის ნაღვაწი აუარებელია; დღემდისაც ვეროვნათ გამოუკვლეველი, მარტო მისი ბერძნულისგან თარგმნილი თხზულებების ზეენამდი მოწვენილი სია გვიჩვენებს მის ცოდნის სიმწყურვალით. გატაცებული აზროვნების სიფართოვეს, მის დროში საველალთ სარწმუნოებრივი საკითხების ღრმით შეგნებას და მათ თავისებური ქართული კონცეპციისთვის გასამაგრებელი

ფილოსოფიური ნიადაგის შექმნის ლტოლვას. კმარა დავასაბელოთ ასეთი მკვლ  
 მისახვედრ მოაზრის თარგმნა, როგორც მაქსიმე აღმსარებელი არის. და სწორეთ  
 იმავე დროს ზოგ დარგში ღარიბი ბერძნული მწერლობა მდიდრულად შევირთვე  
 ქართველის წყალობით პირდაპირ მისი შრომით, ქართულიდან ხათარგმი აღმო-  
 საველეთის შესამჩნევი სამწერლო ძეგლებით. სიტყვა „აბუჯურაზე“ და ვარლამ  
 და იოსაფის „მოთხრობაზე“, ქართულათ რომ „სიბრძნე ბალაგარისა“ რქვია.  
 აბ. „ვარლამ და იოსაფის“ თარგმნის შესახებ ნამდვილი ბერძნული წარწერა  
 მოწმობს თვით მოთხრობის უძველეს ბერძნულ ხელნაწერშივე, მაგრამ დასავლეთ  
 ევროპამ, სადაც ქართულის შესწავლას ძირი ვერ მოუბამს, აბუჯათ აიგდო ეს  
 მშვენიერი დამატებითი მოწმობა. „ყვეს არ ჰქონდა, ბუს ვაჰქონდო“, თითქო  
 ამ ანდაზით მოხიბლული ცნობილი პარიზელი მეაღმოსავლეთე Zotenberg-ი თავის  
 მკითხველებს უმტკიცებს, რომ განა შესაძლოა ქართულ, ჯერ კიდევ იმ ხანაში  
 ბარბაროსულ გაუთლელ ენაზე „ვარლამ და იოსაფის მოთხრობა“ ვისმე დიე-  
 წეროსო, მისი აზრები მკაფიოთ და თავისუფლათ გამოთქმულიყოსო; ნახეთ, რა  
 ჩინებული, კაცობრიობის უღრმეს ღეთისმეტყველთა ჩვენდაც ძნელ გასაგები  
 აზრები, თან რა ძველი ხანების ქრისტიანობის დამცველთ საუკეთესო წერილებია  
 ნასარგებლო, განა მე-X-ე საუკუნის ქართულ ენისგან ვინმე მოელის ასეთ  
 ზედმიწევნით კულტურულ ნაწარმოებების გამოთქმასო? „ღიბ, მოველი და მეტსაც  
 ვფიქრობო“, მას უპასუხა პეტერბურგელ მეაღმოსავლეთემ, არაბულის მკოდნემ,  
 პროფ. ტოხენმა, და გამოაშუქა-რა მაშინ უხმარათ ვდებული ზოგი რომ უკვე  
 ყოფილი მასალა ქართული ენის და ქართული მწერლობის შესახებ, გზა გვიჩვენა  
 ჩვენც, სიდან უნდა წამოელოსთ ჩვენ წინაპრებს ინდოეთისგან მომავალი  
 მოთხრობა, —სახელდობრ არაბული წყარო, და წინ წამოგვიყენა ქართულ ენის  
 განვითარებულობის შემამოწმებელი და მის უხმარისობაზე Zotenberg-ის მსჯე-  
 ლობის, სწორედ მის შერ წარმოდგენილი მოსაზრების გამაქარწყლებელი საბუთი:  
 თქვენ უარყოფთ, ქართულ ენაზე თარგმნა შესაძლო ყოფილიყოს „ვარლამ და  
 იოსაფის მოთხრობაში“ შეტანილ სწორეთ იმ ბერძნულ მწერლებსიაო, რომელნიც  
 ღიბს თვითონ ექვთიმეს უთარგმნია გამოუკლებლათ, თითო თითო, და ჩვენამდეც  
 მოწვეულია უმრავლესი მათგანი, ყველა ხელოვნურათ შემუშავებული ენითო; და  
 იმ დროს აქ პარიზში ჯერ არ იყოდენ, რომ ოთხმოციან წლებში მეორე რუს  
 მეცნიერის გამოკვლევით გამოშუქებული იყო მეთაე, მეთერთმეტე საუკუნის  
 ბიზანტიელ ბერძენთა შორის წარმოებული ფილოსოფიური მოძრაობა, ნეოპლა-  
 ტონური, მთელ მოძრაობაში ეგრეთ წოდებულ ბარბაროსთა მეთაურობა და  
 მასში მონაწილე ვინმე იოანე აფხაზის შესამჩნევი როლი. მაშინ ჯერ სრულებით  
 არ იყო შემუშავებული, თუ რა დიდი ფილოსოფიური კვლევა-ძიება მიუზბოდა  
 წინ ქართველ წრეებში ისეთ გამოჩენილ სიბრძნისმეტყველ ქართველს, როგორც  
 გაბლაეს იოანე პეტრიწონელი. მეთაე —მეთერთმეტე საუკუნეში საზოგადოთ ფი-  
 ლოსოფიის საკამათო საგნები, მათ შორის ერთ და ორ ბუნებაზე, კაცის ნება-  
 მყოფლობაზე და მსოფლიო კანონებისგან ან შეუწყველ განგებისგან დამო-  
 კიდებულებაზე ცხარე ინტერესს ჰქვებავდენ ძველ საღვთისმეტყველო და ფილო-  
 სოფიურ წერილების მიმართ, ამისთვის გამოდის აბლა ისიც, რომ ქართველ

მწერალზე მთელი საშველ საუკუნო ევროპიელი საზოგადოება დაეილუბებოდა. სიკან ბერძნულათ შედგენილ თავისებურ თარგმანზე დაფუძნებული თითქმის ყველა, განსაკუთრებით ხალხშიც გავრცელებული ევროპულ ენებზე ნათარგმნი ნაწარმოებების და იოასაფისა აშბაეი, და ისიკ კიდევ, რაც Zotenberg-ის შემდეგ გამოიკვია, რომ ვარლამ და იოასაფის მოთხრობაშია შეტანილი ყოფილა გამოჩენილი აპოლოგეტი არისტიდეს დაკარგული თხზულების ნაწყვეტი; და ევროპიელ მეცნიერთა წრეს ევალემა ქართველ მოღვაწის ექვთიმე მთაწინდელის დამსახურება სკნან ძვირფასი ნაშთის ნაწილად მაინც გადარჩენაში. მაგრამ როგორ ვინ რა სკნას, როცა საქართველოს სიძველეთ სკოდნენი, მე მშვენიერათ მახსოვს დრო, საქმე იმაზედ იყო მიწვენილი იმის კმარობდენ, ქართული მწერლობის არსებობა დაემტკიცეთ დროთა სიღრმეში ათონელ მოღვაწეთ ხანამდი, მე-X-ე საუკუნემდი და თან დასტურ ძველათაც თვით ქართველი მე-XII-ე საუკუნის მწერალი, ეფრემ მცირე, მეათე საუკუნის ქართულ განათლების სიმალლეზე თითქო თავშეყავებით შეტყველობს; როცა თავის და ექვთიმე მთაწინდელის თარგმანს იოანე დამასკელის მოძღვრებისას ერთმანეთს ადარებს, ეკვთიმეს ნათარგმზე ბძანებს, მშვენიერი არის თავის და თეათ, მაგრამ შეფერებული მის დროინდელ ქართველობისო, რომელიც ჩვილს ჯერ ძუძუზე არ მოწყვეტილს უსუსურ ბალსავით მხოლოთ საბავშვო რძის მომწელებელი გახლდაო, სწორედ ისე უცნაურ რამეთ გამოდის ეგ ეფრემ მცირის აზრი, როცა მე-Xს-ის და მის წინანდელ ქართულ მწერლობას თვალს გადავავლებთ, რომ, ლამის, მის მწერალში გამოთქმული მკაცრი სასჯელის დასახასიათებლათ რუსთველის ერთი შაირი უნებლიეთ მოვიგონო:

„რა უთქვამს? რა მოუჩიბავენ? რა წიგნი მოუწერია?“ მაგრამ ისიც უნდა ვიჭონიოთ მხედველობაში, რომ ეფრემ მცირე ჩინებულათ განსწავლული მეცნიერი იყო და საფიქრალია, ქართველ საზოგადოების მოუმხადებლობა ეფრემ მცირის თქმით იმას ნიშნავდეს, რომ მეათე საუკუნეშიც ჯერ კიდევ სრულებით გამქრალი და ძირამდი მოსპობილი არ ყოფილა ძველი, ქრისტიანობაზე დასწრებული, ქართული ეროვნული კულტურა, და მასთან შეკავშირებული, საგულისხმოა, კერპთმსახურება ან კერპთმსახურული სარწმუნოებრივი აზროვნება და იმ დროინდელი მწერლები მაინც და მაინც არ უღრმავებდენ ზოგ საკითხების ქრისტიანულ გამოშუქებას, რადგან ერთდებოდენ საშიშარ პეკრის ატეხას; არა თუ ქართული ენა არ ყოფილიყოს იმ ხანებში საკმაოთ განვითარებული. ამ აზრს შეიძლება ცხოველი სინამდვილის მნიშვნელობა მივცეს, რადგან ქართველების ერთიანათ უცები გაქრისტიანება დიაბაც ჩმახი ზღაპარია, იმის წინააღმდეგ ერთი წყება ფაქტი მოწმობს. აქ მოვიხსენებ მარტო ერთ მოსაზრებას, ორ ანბანის არსებობას ქართველებში, ხუცურის და მხედრულის. პირველში ხუცური, როგორც სწანს, მარტო ქრისტიანული ყოფილა და მხედრული—საქრპთმსახურო. ხუცური სტრიქონული გამოთქმავებული საკრპთმსახურო ანბანის გაკვლების ქვეშ. შეფუძლებლია, კომპრომისული ანბანი, შემდეგ ჩვეულებრივ მხედრულათ განვითარებული, მე-X-ე ან მე-XI-ე საუკუნეში შექმნავებულიყო, როგორც ხუცურის და მხედრულის, სჯობს ვთქვათ—ქრისტიანულის და საკრპთმსახურის



შეთანხმება, რომ საკერპთმსახურო ანბანს არ მოეწია მე-X-ე საუკუნეში და, მაშასადამე, მის დაცვაში დაინტერესებული კერპთმსახურთ წრე, მკორეც იყოს, არ დარჩენილიყოს იმ დრომდე. ყოველ შემთხვევაში ორი ქრისტიანი, ხუცური და მხედრული, შემდეგში ორ წოდებაზე, სამღვდელთა წრეში მოხდა ახნაფრობაზე, მითვისებული, ორი საზოგადოებრივი აზროვნების განკალკებულნი სამეორლო იარაღი, ადრე ორი ეროვნული განათლების, ქრისტიანულის და საკერპთმსახუროს, თითო მარტო ერთი მათგანის, სახმარი იყო; ორი ქართული ანბანი საქართველოში ორი კულტურის მომასწავლებელი მოვლენა ვახლავს და არც ისე, რომ ერთი მეორეზე დასწრობილი და პირველი მეორეს გაჩენასთანვე მოსპობილი, და თუ თვითონ ჩარჩენილი საკერპთმსახურო კულტურის კვალს მერმეც შევხვდებით, აქ ანბანზე მიიწვ დავევამ საკითხს—განა ეს უდიდესი კულტურული მოხვეჭილება, ორი ანბანის შექმნა, შეიძლება მომხდარიყო რომ ეროვნული სულიერი შემოქმედება უკიდურეს სიმაღლეზე ატანილი არ ყოფილიყო თანადროულ მსოფლიო განათლების პირობაზე?

მაგრამ ქრისტიანული კულტურაც ქართველ ერის დიხს არ ყოფილა მე-X-ე საუკუნეში განვითარების საბავეში ხარისხზე მდგარი, კმარა მოვიხსენიოთ, კიდევ ქართველების საზღვარგარეთული შოლენწყობისაგან 864 თარიხით აღნიშნული ქართული ქრესტომატია, რომელიც სინას მთაზე დაკული, და მისი შინაარსი. ვასაოცარია მაშინდელი ფართო მსოფლიოს გვეშით ქართველების შოლენწყობა პალესტინეში და სინას მთაზე. მუწაობდენ, რასაკვირველია, მონასტრები, მაგრამ მონასტრები ხომ სამეცნიერო კვლევა-ძიების და სამწერლო გამჭრიახობის თავმესაფარი იყო.

ამ ერთმანეთზე დაშორებულ დაწესებულებათა ერთმანეთთან მიმოსვლაც მჭონდათ და საერთო ეროვნულ განათლების საქმეში თანამშრომლობის მოწესრიგებული განწყობილება. 864 წლის ქრესტომატია ან, როგორც დედანშია დარქმული, შრავალთავი პალესტინაშია დაწერილი საბა წმინდელ სავანეში და საჩუქრად ბოძებული სინას მონასტრისათვის. თავის ეროვნული კულტურული სიღიადის შეუგნებელი უბრალო მხრეკლნი, რალაც საშვალ საუკუნოს შენათხზების გადამწყობი გაუნათლებელი ბერ-მონაზონები არ გახლდენ სინა-პალესტინის ქართველი მოღვაწეები. თვით 864 წლის ქრესტომატიაში მინაწერია ქართულ ენის შესხმა. ეროვნულ ენის დამოუკიდებულ განვითარებით თავი მოქმონდათ მათ იქ მოღვაწე ქალსაც და კაცსაც, რადგან დედა ენის დრმა ცოდნას დაპატრონებული იყვნენ, და სამშობლოზე თუშცა მოშორებული, სამშობლოში განათლებაზე მზრუნველ თანამემამულეებზე არა ნაკლებს—ხან სინას, თითქოს მეტს—სამამულიშილო დეაწლს ასრულებდენ ეროვნული კულტურის აღსამაღლებლათ; აქ უცხოეთში შემდეგშიც მრავალ ენიან განათლებულ გელიშამოში იყო, რომ ქართველ ხალხური სიმღერების გაეკლესიურებაზე, სასულიერო გლომების გაქართულებაზე და საზოგადოთ მთელი საკუთარ თავისებურ კულტურის წერილმანი და ეროვნულ წარჩინებულებათ დაცვაზე, თვით ქართული განსხვავებული დღესასწაულების დაცვაზე და წარმატებაზე ცხარედ შრომობდენ და ზრუნავდენ. მაგრამ უკიდურესი უსამართლობა არის, ჩვენი ახლანდ-

ლი მეცნიერების უპატივებელი დაუდევრობა, როცა ყურადღებას არ აქცევენ მას, თუ რა უჭნიათ სხვაგანაც და იქაც იმავე ქართველ კულტურის მოღვაწეებს ბერძნული და არაბული ხელნაწერების გასამრავლებლად და დასაცავლად, საზოგადოთ ბერძნულ და არაბულ, მაშინ მსოფლიო განათლების გასამდიდრებლათ. ზოგი არაბული და ბერძნული ხელნაწერი ხომ, ახლაც ვიცი, მათი გადანაწერია. ზოგი სამწერლო ძეგლი ხომ, ახლაც ვიცი, მათი ნათარგმია ბერძნულათ და არაბულათაც—ქართველების შეტანილობა გახლავს პირდაპირი მსოფლიო კულტურის განძში:

„რასაცა ვასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

რა კულტურა არ დატაცებია ძველათ საქართველოს: ბერძნულ, ძველი, სპარსული ძველი, ბერძნული ბიზანტიური, სპარსული ზენდ-ავესტური და ფე-ჰლევიანური, არაბული, საზოგადოთ სპარსულ-არაბული ისლამური, და განსაკუთრებით ისლამის გავრცენების შემდეგ ერანში—ახალი სპარსული. და ახლა კი ამ სხვა და სხვა მსოფლიო თუ ეროვნულ კულტურათ ნაკვალევში ჩამდგარი მეცნიერებიც, თუ საქართველოს ყურადღებას ატყვევენ, მისი წარსული შენებულობის დასაცარიებლათ და უკან დასაბრუნებლათ მათგან მიჩნეულ შემოტანულ ერებისთვის, თითქო ამ უცხო ერების შემოტანილი იყოს, თუ გინდა ისიც, რაც მართლაც მათი განათლების შექმნილია, მით უმეტეს, რაც მათ ქართველებთან საერთო აქვს, თუნდაც ქართველთადმი ეს საერთო პირდაპირ მკვიდრი წინაპრებისგან მოვლენილი იყოს, როცა უცხოელებს იგი მიუღიათ ამ ქართველთა წინაპრებისგან ან მათ ნათესავეთაგან, თითქო უცხო კულტურის ნამოქმედარი ბევითონ ქართველებს არ შემოეტანოს საქართველოში მხოლოდ როგორც მასალა საკუთარი კულტურის მოსათავსებლათ, თითქოს თავისი არც კულტურული გარემოცემა, არც შემოქმედებრს ეროვნული ნიჭი და გაბედულება არ ჰქონოდათ. იმ უცხო ქვეყნებშიც ხომ თავისას ქართველები არ იშლიდენ, იქაც ქართველებს თავისთვის რომ უთარგმნიათ, კიდევაც შეუკეთებიათ, თვით სპარსეთში როსტომიანი თავისებურათ შეუქმნიათ თუ შეუქსიათ, საზღვარგარეთაც თავისი სიმღერა-გალობანი, თავისი ზურთთმოდერება, თავისი მხატვრობა თავისი მიწა-წყლის შემუშავება კიდევ უმეტეს სამშობლოში, და თავისებურობა ყოველ საგანში, თვით დაბადების თარგმანში, შემდეგ მრავალხელ ასრულებულ თარგმანში, და რა თავისებურობა? მის მარტო ჩარჩენილობათა ჯამში იხატება ძველი ქართველ ერის კერპთმსახურული რწმენა—განათლება, კულტურა—ერთი განსხვავებით თავის მაშინ დაბადების თარგმნის ხანაში მოძველ სომხებთან: ამათ შექმნეს საკუთარი განსხვავებული თავისებური სარწმუნოება, ქართველ ერის თავისებურება კი, როდესაც ქრისტიანობის საქმეში სომხები და ქართველები ერთმანეთს გამოუყენენ,—მათი მუდამ კულტურული მსოფლიობა იყო, სომხებთან დამოკიდებულებას განათლების საქმეებში შეუხებლათ ვტოვებ, როგორც მათ კრებაზე წაკითხულ ლექსიაზე განზე აფარე მათ კულტურის დამოკიდებულებას ქართველებთან. ეგ მძიმე და რთული საკითხია, დიდი და დიდათაც საინტერესო, არც მარტო ქართველ-სომხებისთვის. რა საცნობისმოყვრო სიდიადე შესწევს, ვთქვათ, მარტო ერთს ასეთ საზურათმოდერო საკითხს, რო-

*ქართული ენის კულტურა*

გორიც გახლავს სომეხთა ზოგართნოცის ენშიაძინთან, ანის ქალაქში <sup>გვერდის</sup> ეკლესიების და ბანაში ქართველთა ისტორიის გამოწვლილვა, მათთან ვალიის, არლესში (Arles) და ფრანკთა არემარის, ახენშიც იყოს, ზურთაშობა <sup>მარტო</sup> არა უარყოფით, პირიქით ნამდვილი წყაროების მეცნიერული შეგნებით <sup>მაგალითად</sup> ჩვენი თვალსაზრისით სომეხებთან განწყობილება, შედარებით ბერძენ-სპარს-არაბთა და სხვათა კულტურასთან, უფრო შინაურული საქმეა. ქართული და სომხური კულტურა ათთქმის ეგრეთ ერთეულს წარმოადგენს, როგორსაც თავის რიგზე ლათინთა მსოფლიოს კულტურული ერთეულობა. ეგ კულტურული ერთეულობა ქართველების და სომეხების მაშინაც არ სწყდება, როცა ამ ერთეულების თითო კერძო უფრო მეტს ძლიერ თავისებურობას იჩენს, ვიდრე ლათინელი ერები მათ ურთიერთობის პირობაზე. და მოვლენის ჩაყვირება ორს, ქართულს და სომხურს, თავისებურობაში გვახილავებს ორს, ერთმანერთისგან დაფარულ კერძოს, ხშირათ საწინააღმდეგოთ მისაღებს, ერ თი და იმავე ვაშლისას. ისტორიაზე წინდასწრებულ დროებში «სომეხთა» ან «ჰაე-ჰაეკთა» ნათესავს, მაშინ ქართველებთან ერთი მოვლენის ღვიძლს შეიღებს, ცოტა არ იყოს კიდევ შეეხებებით, ისტორიულ ხანებში კი მათ აქ ანგარიშს არ უწყვეთ. მხოლოთ ერთ საინტერესო წერილმანს მოვიყვან ანის ქალაქის ვათხრისგან, ისიც დამასურათებელია ჩვენი აზრის რომ საქართველოს კულტურის გამოსაკვლევათ მარტო საშიწაწყო ერთენული საზღვარი არ კმარა, მის ერცელს, სასიცოცხლოთ ერცელშენებულგმას, დაბადების დღიდანვე, უფრო ფართო, საქართველოზე გადაჭარბებული საძირკველი აქვს ჩადებული.

წერილმანი ეხება ანის ქალაქის ნაშთებს საქართველოს აღყვავების ხანაში. ანის ქალაქი საქართველოს საზღვარში იყო მოქცეული. თითონ ანის ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში ეს საუკეთესო აყვავების ხანა გახლავს, ზურთაშობა მასში განსაკუთრებით თავისებურობით განვითარება, სომხური ეროვნული სტილის გამოშვება. ქალაქიც დამოუკიდებლობის პირობაზე იყო მოწყობილი თავის მოღვაწეობაში: მონგოლების დროს ხახინჯუთ წოდებული ანის ქალაქის თვითმართეულობა მაშინ უკვე საცხებით მოხვეჭილი ჰქონდა ქალაქს, თავისუფლების იმოდენა უფლებებით ქალაქის ნიადაგზე, რომ სახელმწიფოში ახლანდელი ევროპიული გამოთქმითა გაბატონებული ეკლესიის მთავარი, მცხეთელი კათალიკოზი ქართველთა, ჩამობანდა ანისში თავის სამწყსოის საქმეების მოსაწყსრიგებლათ და მისი ეკლესიაში ქართულათ ნაქადაგები სიტყვა; ქართველ ეკლესიის მრევლისადმი მიმართული, ჯერ მიჩნეულ იქნა საჭეყნოთ დაბეჭდილიყო, მაშინდელ პირობებში ეკლესიის კედელზე გარე მხრით გამოქანდაკებულიყო, დასტურაც შესამჩნევი სიტყვიდან ამოღებულ ქართულ დედანს ადგილობრივ მთავრობის, თავისუფალი ქალაქის სომეხ ამირაის და სომეხთა არქეპისკოპოსის დათარიხებული სომხურათ ხელისმოწერა ესაქიროებოდა ამ სურვილის განსახორციელებლათ. ამას ეხედავთ ახლი თვით ქართული წარწერის დედნისგან, ქართულ კულტურის მრავალ მხრივ საინტერესო ნაშთისაგან, რომელიც ამოთხარა 53 ქვაზე ამოჭრილი. კმარა აქ მოვიხსენიოთ, რომ ანისში წარმგზავრებულ ან 1218 წელში წარწერილ ქადაგების ქართველთ



კათალიკოსზე სახელის მეტი არა ვიციოდით რა მის ნამოქმედარი ძეგლის აღ-  
მოჩენამდე სომხეთის მხარეში და მისი კათალიკოსობის დროს სახელად და გა-  
მოურყვეველი იყო.

ასეთ წერილმანებზე ვინ იღაიებს, ქარაოლი კულტურის თვით არსებითად  
მნიშვნელოვან ძეგლებს განა ჩვენამდე ნთლიანათ მოუწევია? წარმოიდგინეთ,  
საზღვარგარეთ გადაარჩენილ სამწერლო ნაშთების უკვლოთ გაქრობა, ასეთის  
ეთქვით, როგორც ვახლავს, გრადოლ სამთელის ცხოვრება, ამ ათონზე დარჩე-  
ნილი ერთად ერთი დამადების თავისებური თარგმანის და იქაუროვე სომეხ-  
ქართველობის ეკლესიური კავშირის დროის უბადლო სენაქსარის და სხვანი  
და სხვანი, ვაგინსნოთ თვით შატბერდის დაუფასებელი ხელნაწერი, რომლის  
შინაარსის სიმდიდრე ამ ჟამამდე ვერ ამოწურულა, დაცულ ძეგლებზე რომც ესდუმ-  
ნეთ, მსოფლიო მნიშვნელობის და ეროვნული ისტორიის მასში შექონი ნაშთე-  
ბი თუ რა დღეისდღეობითაც მცენიერებისთვის საინტერესო საკითხავეებს იძლე-  
ვიან! ერთის ქართული დედანი, პეტროვადში შესწავლილი, გერმანულათ გა-  
დითარგმნა და ბერლინის აკადემიამ დაბეჭდა, მეორე ახლა ბრიუსელში იბეჭ-  
დება, მანედ ამ წანს ამერიკაში მუშაობს ახალგაზდა ჩენი მოწივე ქრულებით  
შემთხვევით არიან ევ ფასდაუდებელი ეროვნული ძეგლები საქართველოს  
ათასგვარი დარბევისგან გადაარჩენილი. ერთ დროს მე ვფიქრობდი ქართველებს  
ნაანდერძეობით შერჩენიან ეროვნული კულტურის ცოცხალი გარდმოცემები,  
ტრადიციები, და ამით განირჩევიან სომხებისაგან, რომელთ გაქრისტიანების  
პირვანდელ ხანათ წერილ ძეგლებსგან თითქმის არა დაშთენიანთ რა, მიწაში  
დამარხული თუ არ აღმოჩნდა. ძალიან მცდარი აზრია! კმარა მოვიხსენო ის, რომ  
მეთორამეტე საუკუნის განათლებული ქართველი მოგზაური პალესტინეში, ტი-  
მთათ არქივისკოპოსი, გაკვირვებით ათვლიერებდა ძველი ქართველების ნამო-  
ქმედარს, ბიჭოს რა უყოფილეთათო, ჩვენ კი არა ვიციოდით რომ ამ მოვიხსენოთ,  
ჩაბრუბადისგული თამარ მეფის შესხმის თავ გადასავალი, მე-XIX საუკუნის დან-  
თაერებამდე ისე გვეგონა თითქოს ერთი მთელი თხზულება ყოფილიყოს, და არა  
ათიოდე და მეტ შესაბათო ამ ოდების მხოლოდ კრებული, იგიც მოწივნილ ხელნა-  
წერებში უთავბოლოთ დალაგებული და შესვრილი. რა ქართველების ტრადი-  
ციონალურ ცოდნაზე შეიძლება ამის შექმდე ვნის ამოღება, რომ მათი გარდმო-  
ცემებით და ჩვენდამი მოწივნილი ქართულ ხელნაწერებით ამოწურულად მივიჩ-  
ნიანთ ქართული ძეგლი კულტურის ნამდვილი სიდიადე და მსოფლიო მნიშვნე-  
ლობა? მაგრამ რასაც მოუწევია შემთხვევით ჩვენამდე, იგიც საკმარისათ და-  
ლადებს მის განსაკვიფრებელ გამტანელ ძალაზე რა ძალაზე!

ყოველ მხრით მოწივნილი და ერთი მეორეზედ მძლავრ მსოფლიო განათლე-  
ბის ტალღების უშიშრათ შინ მიღებით ქართველ ერს არა თუ არ დამკარგვა  
კულტურული დამოუკიდებლობა. პირიქით, რალიც უცნაური წყაროსაგან ძალა  
შეკრებულს, მის თითქოს ჩამყლაპავს, ვეებერსოფლა მენიერებებს და განათლების  
საგარჯიშობებში საკუთარი საფებუებები შეუქნია, უცხოეთში, თავის განებრივი  
განსაკვირვებლათ საშტალღების მოსახევეათ, თან უცხოელ ერებში თავის თუ  
სხვისგან შეთვისებული კულტურული განძამ შეტანით, და თავის ქვეყანაც გა-  
უწევია და თავისებური კულტურა შეუქნია ზოგჯერ ამდენად კრცლათ გადაშ-  
ლით მსოფლიო ხასიათის მქონს ეროვნული შემობის ძალად კამარების, რომ  
მის ქვეშ მოქცეულ სხვა და სხვა ნათესავეებს და ერებს ქართველებთან, დღე-  
საც ხანატრელ თავისუფალ განწყობილებით, საკულტურო ბოლქაწივობისთვის  
თავშესათარი უშოვიანთ და მათ საკუთარი თავისებური კულტურა აუყვავებიათ.

(გაგრძელება იქნება).

## აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტის შემადგენლობის განხილვის პირი ამოცანები.

აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტის შემადგენლობის განხილვის დროს, არ შეიძლება არ შეამჩნიოთ მისი შემადგენლობის ორმაგი ხასიათი. ეს უნივერსიტეტი აერთიანებს არა ნაკლებ 50 ეროვნებათა ეტნოგრაფიულ წრეების წარმომადგენელთ. უნივერსიტეტის მსმენელები—ყველანი აღმოსავლეთის შვილებია, მაგრამ ეს განმარტება კიდევ არ იძლევა რაიმე ნათელს და დამთავრებულს.

საქმე იმაშია, რომ უნივერსიტეტის მსმენელთა შორის არის ორი მთავარი ნაწილი, რომელიც განვითარების ორი სხვა და სხვა პირობებიდან წარმოდგებიან. პირველი ნაწილი—ეს ის ხალხია, რომელიც საბჭოთა აღმოსავლეთიდან მოსულა, ე. ი. ისეთ ქვეყნებიდან, სადაც ბურჟუაზია აღარ ხელისუფლობს, იმპერიალისტური შევიწროება უკუგდებულა, და ძალაუფლების სათავეში მუშები სდგანან. მსმენელთა მეორე ნაწილი—ეს ის ხალხია, რომელიც ჩვენთან კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებიდან მოსულა, იქ ჯერ კიდევ კაპიტალიზმი ბატონობს, იქ იმპერიალისტური ჩაგვრა და შევიწროება ჯერ კიდევ შენახულა, იქ საჭიროა დამოუკიდებლობის მოპოება, იმპერიალისტების განადგურება. ამრიგად ჩვენ წინ არსებობს ორი აღმოსავლეთი, თვითიველი მათგანი სხვა და სხვა ცხოვრებით სცხოვრობს და სხვა და სხვა პირობებში ვითარდება. რასაკვირველია, არ შეიძლება, რომ უნივერსიტეტის მსმენელთა შემადგენლობის ორმაგ ხასიათმა გააღწია არ მოახდინოს უნივერსიტეტის მუშაობაზე. მითვე აიხსნება ის გაგრძობა, რომ ეს უნივერსიტეტი ერთი ფეხით საბჭოთა ნიადაგზე სდგას, მეორეთი კი კოლონიათა და დამოკიდებულ ქვეყნების ნიადაგზე. აქედანვე გაპოინდინარეობს უნივერსიტეტის საქმიანობის ორი ხაზი: ერთი მიმართულებით საბჭოთა აღმოსავლეთისათვის საჭირო კადრები უნდა შეიქნეს; მეორეთი კი—მზადდება კადრები, რომლებმაც კოლონიალურ და დამოკიდებულ აღმოსავლეთის ქვეყნების მშრომელთა რევოლუციონურ მოთხოვნილებას უნდა ემსახურონ. აქედანვე გაპოინდინარეობს აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტის ამოცანების ორი რიგი.

ცალ-ცალკე განვიხილოთ თვითეული ეს ამოცანა. რაში მდებარეობს საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკების არსებობის და განვითარების პირობების თავისუფლება, რით განიხილეთ ისინი კოლონიალურ ქვეყნებიდან? უპირველეს ყოვლისა ეს რესპუბლიკები იმპერიალისტურ შევიწროებისაგან თავისუფალნი არიან. მეორე ის, რომ, ისინი ვითარდებიან და ნაკლებად ყალიბდებიან არა ბურჟუაზიული წყობილების ზეგავლენით, არამედ საბჭოთა წყობილების გავლენის ქვეშ. ისტორიაში ეს უმაგალითო ფაქტია, მაგრამ ეს არის ფაქტი. მესამე: რამდენად ისინი მრეწველობის მხრივ განვითარებულნი არიან, იმდენად თავის განვითარებაში საესეებით და მთლიანად საბჭოთა რესპუბლიკების სამრეწველო პროლეტარიატის დახმარებას დაეყრდნობიან; მეოთხე: ეს რესპუბლიკები კოლონიალურ შევიწროებისაგან თავისუფალნი არიან და პროლეტარიატის დიქტატურის მფარველობის ქვეშ და საბჭოთა კავშირის წევრებათ იმყოფებიან, ამიტომ მათ შეუძლიათ და უნდა კიდევაც მიიღონ მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში. სოციალისტურ აღმშენებლობაში მათი მონაწილეობის და თანამშრომლობისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ამ ქვეყნების მუშებისა და გლეხებისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ამ რესპუბლიკების არსებობის განსაკუთრებულ პირობებს შეეფუძვებიან, მათი თანამშრომლობის საქმეს გაანვითარებენ და წინ წასწევენ.

აქედან საბჭოთა აღმოსავლეთის აქტიურ მუშაკთათვის შემდეგი მორიგი ამოცანები გამოიძინარეობს: 1) საჭიროა საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკებისათვის სამრეწველო ცენტრების შექმნა, სადაც გლეხობა მუშათა კლასის გარშემო დაგროვდება და დაირაზმება. ეს საქმე უკვე დაწყებულია და ის, საბჭოთა ქვეყნების ეკონომიურ განვითარების ზრდასთან ერთად წინ წაევა. სხვა და სხვა ნედლი მასალა, რომელიც უხვად მოეპოვებათ ამ რესპუბლიკებს, თავდება იმისა, რომ ეს საქმე ბოლომდე იქნება მიყვანილი. 2) საჭიროა სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება, უპირველეს ყოვლისა კი მორწყვის საქმის. ეს საქმეც დაწყებულია, ამიერ-კავკასიასა და თურქესტანში ის წინ მიდის. 3) საჭიროა კოოპერაციის გაუმჯობესება და მასში მშრომელთა და ხელოსანთა ფართო მასების ჩაბმა. ამით აღმოსავლეთის რესპუბლიკები შეეღწევიან საბჭოთა ქვეყნების სამეურნეო აღმშენებლობის საერთო სისტემაში. 4) საჭიროა საბჭოების მასებთან დაახლოვება; საჭიროა მათი შემადგენლობის გაეროვნება და ასე ამ რიგად ნაციონალური საბჭოთა სახელმწიფოებრიობის საფუძველების ჩაყრა, ეს იქნება მშრომელი მასებისთვის ვასაგები და უაბლოესი. 5) საჭიროა ნაციონალური კულტურის განვითარება, საჭიროა ადგილობრივ ენებზე უამრავი სკოლებისა და კურსების მოწყობა, სადაც როგორც საბჭოთა, პარტიული, ისე პროლეტარიალურ-ტენნიკური ადგილობრივი კადრების მოსამზადებლად და ყველა ეს უნდა ხდებოდეს მშობლიურ ენაზე. ამ ამოცანების შესრულება—ეს ნიშნავს საბჭოთა აღმოსავლეთის ქვეყნებში სოციალისტური აღმშენებლობის დაწყების გაადვილებას.

საბჭოთა აღმოსავლეთის სანიმუშო რესპუბლიკების შესახებ ლაპარაკობენ. სანიმუშო რესპუბლიკა, — ეს ის რესპუბლიკა არის, რომელიც ყველა ამ ამოცანებს,



პარნათლიად და უნაკლოთ ასრულებს და ამით შეზობული ეყრდნობა ხალხების მუშეებსა და გლეხებს განმანათავისუფლებელ მოძრაობებში. მე უკვე ვილაპარაკე, საბჭოების ეროვნებათა მშრომელ მასებთან დაახლოებისა და საბჭოების გაეროვნების შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ასეთი დაახლოების ნიმუში გვაქვს ჩვენ თურქესტანში, სადაც ახლო წარსულში ნაციონალური გადამიჯნა დამთავრდა. ბურჟუაზიულმა პრესამ ამ გადამიჯნაში „ბოლშევიკობის ეშმაკობა“ დაინახა, სინამდვილეში ეს ეშმაკობა-კი არ ყოფილა, არამედ აქ თურქმენისტანის და უზბეკისტანის მშრომელი ხალხის ღრმა მისწრაფება იყო, რათა საკუთარი ხელისუფლები და მათთვის გასაცემი ორგანოები ყოლოდათ.

რევოლუციის წინა ეპოქაში ორივე ქვეყანა დაქუცმაცებული იყო რამოდენიმე სახანოებით და დიდ სახელმწიფოებს თავიანთი ექსპლოატაციისა და მტაცებლობისათვის სათარეშო მოედანი თავისუფალი ჰქონდათ. ახლა კი დიდ-ვა მომენტი, როცა შესაძლებელი შეიქმნა ამ დაქუცმაცებული ნაწიკვების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გაერთიანება, რათა უზბეკისტანის და თურქმენისტანის მშრომელი მასები საკუთარ ხელისუფლების ორგანოებთან დაახლოებულნიყვნენ. თურქესტანის გადამიჯნა, ამ ქვეყნის განცალკევებულ ნაწილების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღდგენას უდრის. და თუ ამ სახელმწიფოებმა შემდეგში საბჭოთა კავშირის სრულყოფილებიან წევრებად გახდომა მოისურვეს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ბოლშევიკებმა აღმოსავლეთის ხალხთა მასების მისწრაფებათა სიღრმის კლიტულს მიაგნეს. საბჭოთა კავშირი მთელ ქვეყანაზე სხვა და სხვა ერების მშრომელთა მასების თავისუფალ გაერთიანებას წარმოადგენს. პოლონეთის გაერთიანებისათვის ბურჟუაზიის რამოდენიმე ომი დასკირდა. თურქმენისტანის და უზბეკისტანის გაერთიანებისათვის კი, კომუნისტებს რამოდენიმე თვის უბრალო პრობავანდა დასკირდათ. აი, მაგალითი, თუ როგორ უნდა დაუახლოვოთ მართვა-გამგეობის ორგანოები სხვა და სხვა ეროვნებათა მშრომელ მასების მოთხოვნილებას. აი აქ არის იმის დამტკიცება, რომ ბოლშევიკების ნაციონალური პოლიტიკა ერთად ერთი სწორი პოლიტიკა არის.

მე ვილაპარაკე აგრეთვე საბჭოთა აღმოსავლეთის ნაციონალური კულტურის წინ წაწევის შესახებ. მაგრამ რა არის ნაციონალური კულტურა? როგორ შეიძლება მისი პროლეტარულ კულტურასთან მოთავსება და შეგუება? განა კიდევ ომის წინ არა ლაპარაკობდა ლენინი, რომ ჩვენ ორი კულტურა გვაქვს, ერთი ბურჟუაზიული, მეორე სოციალისტური, რომ ე. წ. ნაციონალური კულტურის ლოზუნგი ბურჟუაზიის რეაქციონური ლოზუნგი არის, რომელსაც სურს მშრომელი მასები ნაციონალიზმით მოსწამლოს? როგორ შევთავისოთ ნაციონალური კულტურის აღმშენებლობა, სკოლებისა და კურსების მშობლიურ ენაზე განვითარება, მუშათა კადრების მხოლოდ ადგილობრივი ხალხისგან მომზადება, სოციალიზმის აღმშენებლობის საქითხთან, პროლეტარულ კულტურის აღმშენებლობასთან? ნუ თუ არ არის აქ აუცილებელი წინააღმდეგობა? რასაკვირველია. არა. ჩვენ პროლეტარულ კულტურას ვაშენებთ. ეს სრული ჭეშმარიტება არის. მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ პროლეტარული კულტურა, თავისი შინაარსით



სოციალისტური, სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობაში სხვა ხალხებისაგან ღებულობს სხვა და სხვა ფორმებს და გამოხატულებებს და ეს სხვაობა ყოველთვის დამოკიდებულია ენისა და ყოფა-ცხოვრების სხვადასხვაობისაგან.

პროლეტარული თავისი შინაარსით და ნაციონალური ფორმით—ასეთია ის საკაცობრიო კულტურა, რომლისკენაც მიდის სოციალიზმი. პროლეტარული კულტურა არ უარყოფს ნაციონალურს, არამედ აძლევს მას შინაარსს, და პირიქით, ნაციონალური კულტურა არ უარყოფს პროლეტარულ კულტურას, არამედ აძლევს მას ფორმას.

ნაციონალური კულტურის ლოზუნგი მანამდე იყო ბურჟუაზიული ლოზუნგი, სანამდე ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზია იდგა და ნაციის კონსოლიდაცია-ბურჟუაზიული წესწყობილების ბეჭედს ქვეშ მიმდინარეობდა. ნაციონალური კულტურის ლოზუნგი შეიქმნა პროლეტარული ლოზუნგი იმ წამსვე, რა წამს პროლეტარიატი მოექცა ხელისუფლების სათავეში და ნაციის კონსოლიდაცია საბჭოთა ხელისუფლების ბეჭედს ქვეშ მიმდინარეობს.

ვისაც არ გაუგია ამ ორა გარემოების პრინციპიალური სხვაობა, ის ვერ გაიგებს ვერც ლენინიზმს და ვერც ნაციონალურ საკითხის შინაარსს ლენინიზმის თვალსაზრისით. ბკობენ (მაგ. კაუცკი) ერთ საკაცობრიო ენის შექმნის შესახებ, სხვა ენების სიკვდილის შესახებ და სხვ. მე არაფერი მრწამს ერთი მთლიანი ენის თეორიისა. ყოველ შემთხვევაში, გამოცდილება, ასეთი თეორიის სასარგებლოდ კი არა, არამედ მის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს. დღემდე სოციალისტური რევოლუციის მსვლელობას კი არ შეუწყრებია ენების რაოდენობა, არამედ გაამრავლა ის, მან შეარხია კაცობრიობის უმდაბლესი ფენები, გამოიყენა ისინი პოლიტიკურ ასპარეზზე, მან ახალი სიცოცხლისათვის გამოაღვიძა აქამდე უცნობი ახალი ერების მთელი რიგი. ვინ იფიქრებდა იმას, რომ ძველი მეფის რუსეთი წარმოადგენდა 50 ერთა და ეტნოგრაფიულ ერთეულთა კრებულს. ოქტომბრის რევოლუციამ კი, დაარღვია რა ძველი ჯერბი და დაგლიჯა ჯაჭვები, გამოიყენა ასპარეზზე დაიწყებულ ხალხთა მთელი რიგი, მისცა მათ ახალი სიცოცხლე და ახალი განვითარების დასაწყისი.

დღეს მაგ. ერთ მთლიან ინდოეთის შესახებ ლაპარაკობენ. მაგრამ არ შეიძლება იმაში ეკვის შეტანა, რომ ინდოეთში რევოლუციონურ შერყევის დაწყებისთანავე, სტენაზე გამოვა ათეული ჯერ უცნობი ეროვნება, თვითეულს ექნება თავისი კულტურა, თავისი ენა: და თუ საკითხი სხვა და სხვა ერების პროლეტარულ კულტურაში მონაწილეობას ეხება, ცხადია, რომ ეს მონაწილეობა ამ ერების ენასა და ყოფა-ცხოვრების ფორმებით უნდა მიმდინარეობდეს.

ამას წინად მე მივიღე წერილი ბურიატულ ამხანაგებისაგან, მთხოვდენ ამებსნა მათთვის სერიოზული და რთული საკითხები საკაცობრიო და ნაციონალური კულტურის პურიფიკაციის შესახებ. აი ის: „დაბეჯითებით გთხოვთ, გა-





გვიმართოთ ჩვენთვის შემდეგი რთული და სერიოზული საკითხების განმარტოების მიზანით—ერთი მთლიანი საკაცობრიო კულტურა არის. როგორ წარმოვიდგინოთ გადასვლა ნაციონალური კულტურიდან, რომელიც ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკების საზღვრებში ვითარდება, ერთი საერთო საკაცობრიო კულტურაზე. როგორ უნდა მოხდეს კერძო ნაციონალური კულტურის თავისებურობათა ასიმილიაცია (ენა და სხვ.).

მგონია, რომ ზემოთ თქმული ბურიატულ ამხანაგების საჭირობოროტო საკითხებსაც უპასუხებს. ბურიატულ ამხანაგები სეაშენ საკითხს კერძო ეროვნებათა ერთ მთლიან საკაცობრიო პროლეტარულ კულტურაში ასიმილიაციის შესახებ. უსათუოა, რომ ზოგი ერები განიციდიან ასიმილიაციის პროცესს. ასეთი პროცესები წინეთაც ყოფილა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი ერების ასიმილიაციის პროცესი კი არ უარყოფს, არამედ გულისხმობს საწინააღმდეგო პროცესს—ძლიერი ერების მთელი რიგის განმტკიცებას და განვითარებას, რადგანაც ასიმილიაციის კერძო პროცესი ეროვნებათა საერთო განვითარების პროცესის უბრალო შედეგია. სწორედ ამიტომ ზოგიერთი კერძო ეროვნებათა ასიმილიაცია კი არ ამცირებს, არამედ ამტკიცებს იმ მართალ დებულებას, რომ პროლეტარული საკაცობრიო კულტურა, ისე როგორც ნაციონალური კულტურა, კი არ უარყოფენ ერთი მეორეს, არამედ აყვებენ და ამდიდრებენ ერთ მთლიან საკაცობრიო პროლეტარულ კულტურას.

ასეთია საერთოთა ის შორივი საკითხები, რომლებიც აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების აქტიურ მომუშავეთა წინ სდგას. ასეთია ამ საკითხების შინაარსი და ბუნება.

სამეურნეო აღმშენებლობის გაცხოველებული და გლახობისადმი ახალი დათმობის პერიოდი, რომელიც ახლა დადგა, ამ ამოცანების სისრულეში მოყვანისთვის უნდა გამოვიყენოთ, ამით ჩვენ აღმოსავლეთის საბჭოთა ქვეყნებს, რომლებიც უმთავრესად გლახობა ქვეყნებს წარმოადგენენ, სოციალიზმის აღმშენებლობაში ჩაებაშთ, (მოკლე ვადიანი იჯარა, დაჭირავებულ შრომათ სარგებლობის ნების დართვა და სხ.). ამბობენ, რომ ახალი პოლიტიკა, რომელიც გლახებს ბევრ რაიმეს უთმობს, რამოდენიმეთ უკან დახვევას ნიშნავსო. მართალია მერე ეს დიას, მართალია. მაგრამ ეს უკან დახვევის ისეთი ელემენტები არის, რომლებიც ჩვენ დაუშვით, როცა ძალთა განწყობილების მთავარი ღერძი და სიძლიერე პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისაკენ არის გადაბრლი. მტკიცე ვალიუტა, დღითი-დღე წინსვლელი წარმოება, განვითარებული ტრანსპორტი და გამაგრებული საკრედიტო სისტემა, რომლის საშუალებით (ხელსაყრელი კრედიტებით) შესაძლებელია მოსახლეობის თვითეული ნაწილის შეუზღველად მალა აწევა და განადგურება—ყველა ეს პროლეტარული დიქტატურის ხელში ისეთი რეზერვებია, რომლებიც ფრონტის ერთ პატარა ნაწილზე უკან დახვევას მთელ ფრონტზე შეტევისათვის მომზადებად აქცევენ. სწორედ ამიტომ პარტიის მიერ დაშვებული ზოგიერთი დათმობანი ხელს კი არ შეუშლის გლახობის სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობის საკითხს, არამედ ხელს შეუწყობს მას.



რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკების ასეთ მდგომარეობას? მის მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ქვეყნების აქტიურ მუშაებს ახალ საშუალებას აძლევს, რომლითაც ისინი გადავიღებენ და დააჩქარებენ ამ ქვეყნების და საბჭოთა მეურნეობის დაახლოების საქმეს.

ასეთი კავშირია პარტიის პოლიტიკასა სოფელში და აქტიურ მუშაკების წინ მდგარ შორივ ამოცანათა შორის. ამასთან დაკავშირებული აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანებიც აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აღზარდოს და მოამზადოს მათში ხსენებულ ამოცანების სისრულეში მომეყვანი კადრი.

აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტს არ შეუძლია მოსწყდეს ცხოვრებას, ის არ არის და არც შეუძლია იყოს ისეთი დაწესებულება, რომელიც ცხოვრების მიღმა სდგას,— ის მთელი თავისი არსებობით რეალურ ცხოვრებასთან უნდა იყოს გადაჯაჭვული. მას არ შეუძლია განშორდეს იმ მორიგ ამოცანებს, რომლებიც აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების წინ სდგას. სწორედ ამიტომ აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის მთავარ ამოცანას საბჭოთა აღმოსავლეთის მორიგი ამოცანების გათვალისწინება და ამ ამოცანების გამტარებელი კადრების გამზადება შეადგენს, ამასთანავე კი აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ ის ორი გადაბრა, რომელიც შეჩინებულია აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებში მომუშავე აქტიურ ამხანაგების პრაქტიკაში, ამ ორ გადაბრასთან ბრძოლა ამ უნივერსიტეტის კედლებში აუცილებელია, ეს იქნება თავდები იმის, რომ აქ იზრდებოდა მომავალ მუშაკთა ნამდვილი კადრი.

პირველი გადაბრა გადავიღებაში მდგომარეობს, ე. ი. იმ ამოცანების გაუბრალოება, რომელზედაც მე ზემოდ ვილაპარაკე. ეს არის ცდა ცენტრში დაცდილი და შეგუებული სამეურნეო აღმშენებლობის უკრიტიკოდ და მექანიკურად პერიფერიებში გადატანისა. ის ხშირად ადგილობრივ პირობებს სავესებდთ არ შეეფერება და ამიტომ უფარგისი გამოდის. ამხანაგები, რომელნიც ამ გადაბრაში ვარდებიან, ვერ ერკვევიან ორ რაიმეში; იმათ ვერ გაუგიათ, რომ პირობები ცენტრში და პერიფერიებში სულ სხვა და სხვა არის. მათ ვერ გაუგიათ, რომ თვით აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებში ერთგვარობა არ არსებობს, ერთი მათგანი, მაგ. საქართველო, სომხეთი ნაციონალური ჩამოყალიბების უშუალოდ საფეხურზე დგანან, მეორენი კი მაგ. ჩრდილო და სხვა—უმდაბლესზე, შესამენი მაგ. კირგიზისტანი იმყოფება შუა დონეზე. ამ ამხანაგებს ვერ გაუგიათ, რომ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებლად და შესაძლებლობის გამოუანგარიშებლად რაიმე სერიოზულის აშენება შეუძლებელი საქმეა. ამ გადაბრის შედეგი არის წასებიდან დაშორება და მემარცხენე ფრაზურების გამოცოცხლება. აღმოსავ. ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანა არის ისეთი კადრის აღზრდა, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს ამ გადაბრის წინააღმდეგ.

მეორე გადაბრა ადგილობრივ თავისებურობათა გაზვიადებაში მდგომარეობს. ე. ი. იმ მთავარის დაეიწყებაში, რაიც აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკებს საბჭოთა კავშირის სამარწყველო ცენტრებთან აკავშირებს. ეს არის

სოციალისტური ამოცანების მივიწყება და ვიწრო, ხშირად კეთილშინაობით ნაციონალიზმთან შეგუება. ამხანაგები, რომლებიც ასეთ გადაწყვეტას ვადაცხადებენ, საესებით აღარ ზრუნავენ შინაურ აღმშენებლობაზე, ისინი ამ განვითარების წინ წაწევის ბუნებრივ მსვლელობას აბარებენ მოსაველედად. მათთვის მთავარი შინაური აღმშენებლობა კი არ არის, არამედ „საგარეო“ პოლიტიკა, საკუთარი რესპუბლიკის საზღვრების გაფართოება, კინკლაობა მეზობელ რესპუბლიკებთან, მეზობლებისგან პატიარა ნაჭერი მიწის წართმევის სურვილი და ამით თავიანთი ქვეყნის ბურჟუაზიულ ნაციონალისტების სიმპატიების მოპოება. ამ გადახრის შედეგი სოციალიზმის ჩამოშორება და ნაციონალისტად გახდომა არის. აღმოსავლეთის უნივერსიტეტის ამოცანა არის აღზარდას კადრები, რომელიც ამ მაღალ ნაციონალიზმს შეუბრძვებად შეებრძოდება. ასეთი აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის ამოცანები აღმოსავლეთის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ.

ასლა გადავიდეთ მეორე საკითხზე— ე. ი. უნივერსიტეტის ამოცანების შესახებ აღმოსავლეთის კოლონიალურ და დამოკიდებულ ხალხთა მიმართ. რაში მდგომარეობს ამ ქვეყნების არსებობისა და განვითარების თავისებურება, რითი განირჩევიან ისინი საბჭოთა აღმოსავლეთის რესპუბლიკებისაგან?

პირველი: ყველა ეს ქვეყნები არსებობენ და ვითარდებიან იმპერიალიზმის ბატონობის ქვეშ. მეორე: ორმაგი შევიწროების არსებობა (ერთი საკუთარი ბურჟუაზიისგან, მეორე იმპერიალისტური— უცხო ბურჟუაზიისგან) ამწვავებს და აღრმავებს ამ ქვეყნებში რევოლუციონურ კრიზისს. მესამე: ზოგიერთ ამ ქვეყნებში მაგ. ინდოეთში, კაპიტალიზმი აჩქარებული ტემპით ვითარდება, ამის გამო იბადება და ვითარდება ადგილობრივი პროლეტარიატის მრავალრიცხოვანი კლასი. მეოთხე: რევოლუციონური მოძრაობის ზრდასთან ამ ქვეყნების ნაციონალური ბურჟუაზია ორ ბანაკად იყოფა, რევოლუციონური (წვრილი ბურჟუაზია და შემთანხმებელი მსხვილი ბურჟუაზია), რომლებისგან პირველი აგრძელებს რევოლუციონურ ბრძოლას, მეორე კი უკავშირდება იმპერიალიზმს. მეხუთე: იმპერიალისტური კავშირის გვერდით ასეთ ქვეყნებში სხვა კავშირიც იქმნება, — მუშების და რევოლუციონურ წვრილ ბურჟუაზიის კავშირი. ეს კავშირი ანტი იმპერიალისტურია, მისი მიზანია იმპერიალისტების ხელიდან საბოლოოდ თავის დახწევა. მეექვსე: პროლეტარიატის გეგმონიის საკითხი და მშრომელთა მასის შემთანხმებელ ბურჟუაზიის ხელიდან განთავისუფლება იქცევა დღიდან-დღემდე ცხოველ-ყოფილ საქმედ. მეშვიდე: ეს გარემოება ძალიან აახლოვებს ამ ქვეყნების ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის მოძრაობასთან.

აქედან გამომდინარეობს სამი დასკვნა: 1) კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნების იმპერიალიზმის ხელიდან განთავისუფლება შეუძლებელია რევოლუციის გამარჯვების გარეშე, — დამოუკიდებლობას საჩქარად ვერ მიიღებთ; 2) რევოლუციის წინ წაწევა; კაპიტალისტურად განვითარებულ კოლონიების მიერ თავისუფლების მოპოება შეუძლებელია მანამდე, სანამ შემთანხმებელი ბურჟუაზიის იზოლიაცია, წვრილ ბურჟუაზიულ რევოლუციონურ მასების ამ ბურჟუაზიის ხელიდან განთავისუფლება, პროლეტარიატის გეგმონია და მუშათა

ქვეყნისათვის

კლასის მოწინავე ელემენტების კომუნისტური პარტიის სახელმძღვანელო მომხდარა. 3) კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებისათვის სრული დამტკიცე თავისუფლების მოპოება შეუძლებელია ამ ქვეყნების განმანათლებლებელი მოძრაობის, დასავლეთის მოწინავე ქვეყნების პროლეტარულ მოძრაობასთან შეთანხმების გარეშე.

კულტურულ და დამოკიდებულ ქვეყნების კომუნისტების მთავარი ამოცანა ამ დასვენების რევოლუციონური მუშაობის დროს სწორად გამოყენებაში მდგომარეობს.

რასი მდგომარეობს კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნების რევოლუციონური მოძრაობის შორის ამოცანები? კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნების თავისებურობა დღევანდელ მონეტში იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მთლიანი და განუყოფელი კოლონიალური აღმოსავლეთი ამ ქვეყნად აღარ არსებობს. უწინ კოლონიალური აღმოსავლეთი, როგორც მთლიანი და განუყოფელი წარმოედგინათ. დღეს ეს წარმოდგენა აღარ ეთანხმება სინამდვილეს. დღეს ჩვენ კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნების სამი კატეგორია გავიყვანეთ: პირველი: ქვეყნები, როგორც შავ. მაროკო, სადაც თითქმის სულ არ არსებობს შერეულობა და სამრეწველო პროლეტარიატი. მეორე: ქვეყნები, როგორც შავ. ჩინეთი და ეგვიპტე; ეს ქვეყნები შერეულობის შრივ მცირედ განვითარებული არიან და სამრეწველო პროლეტარიატიც მცირე რიცხოვანია. მესამე: ქვეყნები, როგორც შავ. ინდოეთი; ეს ქვეყნები კაპიტალისტურად უკვე განვითარებულია და ჰყავთ შესაფერი სამრეწველო პროლეტარიატი. ცხადია რომ ყველა ამ ქვეყნების ერთი საზომით გაზომვა შეუძლებელი საქმეა.

ქვეყნებში, როგორც მაროკო, სადაც ნაციონალური ბურჟუაზია ჯერ რევოლუციონურ და შემთანხმებულ პარტიებად არ არის დაყოფილი, კომუნისტური ელემენტები უნდა სცდილობდნენ, რათა შეიქმნენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული ერთი მთლიანი ნაციონალური ფრონტი. კომუნისტური ელემენტების ცალკე პარტიაში ჩამოყალიბება ამ ქვეყნებში მხოლოდ მას შემდეგ არის საჭირო, თუ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე აქტიურად მიმდინარეობს და ან კიდევ მას შემდეგ, რაც რევოლუციამ იმპერიალიზმში გაანადგურა ისეთი ქვეყნებში, როგორც არის ჩინეთი და ეგვიპტე, სადაც ნაციონალური ბურჟუაზია უკვე გაიყო რევოლუციონურ და შემთანხმებულ პარტიებად, მაგრამ ბურჟუაზიის შემთანხმებულ ნაწილს კიდევ ვერ შეუკრავს კავშირი იმპერიალიზმთან, კომუნისტები რასაკვირველია ვერ წამოაყენებენ ერთი მთლიანი ნაციონალური ფრონტის იდეას. ასეთი ქვეყნებში კომუნისტები ნაციონალური ფრონტის პოლიტიკიდან უნდა გადავიდნენ მუშათა კლასისა და წვრილ ბურჟუაზიის კავშირის პოლიტიკაზე. ასეთი კავშირის შეუძლია ერთიანი მუშურ-გლეხური პარტიის სახე მიიღოს, გომინდანის პარტიის მზგავსად, მთავარ პირობათ კი ის დარჩება, რომ ასეთი პარტია ორი ძალის, კომუნისტურისა და რევოლუციონურ წვრილ ბურჟუაზიის—კავშირზე უნდა გყრდნობოდეს. ამ კავშირის ამოცანა—ნაციონალური ბურჟუაზიის მაჩანჩალობის, მერყეობის მხილება



და იმპერიალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის წარმტყვეტე ნსტყფი ორ-  
მაგი შემადგენლობის პარტია საჭირო და მიზანშეწონილია მსშმწმსსსს კომ-  
პარტიას ხელებს არ შეუტრავს, თუ ის კომპარტიის საპროპაგანდო—სააგიტა-  
ციო მუშაობას ხელს არ შეუშლის და თუ ის არ შეაფერხებს მუშების კომპარ-  
ტიის დროშის ქვეშ შემოკრების პროცესს. ასეთი ორმაგი შემადგენლობის  
პარტია არაა საჭირო და მიზანშეწონილი, თუ ის ყველა დასახელებულ პირო-  
ბებს არ შეესაბამება, რადგან ამ შემთხვევაში კომუნისტური ელემენტები ბურ-  
ჟუაზიის რიგებში გაითქვიფებოდა და კომპარტია პროლეტარიატის არმიას  
დაჰკარგავდა.

ისეთ ქვეყნებში კი, როგორც ინდოეთში, მდგომარეობა სულ სხვა გვარია.  
ასეთი კოლონიების დამახასიათებელი თვისება მარტო ის კი არ არის, რომ ამ  
ქვეყნის ნაციონალური ბურჟუაზია უკვე ორ ბანაკად გაიყო, არამედ ის, რომ  
ბურჟუაზიის ერთმა ნაწილმა ძირითად საკითხებში უკვე მოასწრო შეთანხმება  
იმპერიალიზმთან. მომავალი რევოლუციით დამფრთხალი, თავისი ჯიბის ბედით  
უფრო დაინტერესებული, ვიდრე საკუთარი სამშობლოს ბედ-იღბლით, ბურჟუა-  
ზიის ეს ყველაზე უფრო შეძლებული და გავლენიანი ნაწილი ორივე ფეხებით  
სამშობლოს და რევოლუციის მტრების ბანაკში გადაედა; მან, საკუთარი ქვეყ-  
ნის მუშების და გლეხების წინააღმდეგ იმპერიალიზმთან შეტყრა კავშირი. ამ  
ბლოკის განადგურების გარეშე რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია. მაგ-  
რამ ამ ბლოკის გასანადგურებლად საჭიროა იერიშის შიტანა შემთანხმებელ ნა-  
ციონალურ ბურჟუაზიაზე. საჭიროა მისი გამცემლობის დღის სინათლეზე გამო-  
ტანა, მასებისათვის თვალების ახილვა და ამით პროლეტარიატის გეგემონიისა-  
თვის საჭირო პირობების სისტემატიურათ მზადება. სხვანიად რომ ვსთქვათ,  
ისეთ ქვეყნებში როგორც ინდოეთში, საჭიროა პროლეტარიატის მომზადება  
განმანათვისფლებელ მოძრაობის მეთაურობის როლისთვის. საჭიროა ანტი იმ-  
პერიალისტურ—რევოლუციონური ბლოკის შეკვრა და ამ ბლოკში პროლეტა-  
რიატის გეგემონიის უზრუნველყოფა. საჭირო არ არის ამ ბლოკს ერთი მთლი-  
ანი მუშერ-გლეხური პარტიის სახე ჰქონდეს, რომელიც ფორმალურად ერთი  
პლატფორმით იქნება შეკავშირებული. კომპარტიის დამოუკიდებლობა ასეთი  
ქვეყნების მოწინავე ელემენტების მთავარ ლოზუნგს უნდა შეადგენდეს. კომუ-  
ნიზმის მხარეზე გადმოყვანა, პროლეტარიატის გეგემონიის მომზადება და განხორ-  
ციელება მხოლოდ და მხოლოდ კომპარტიას შეუძლია. მაგრამ კომპარტია  
მოვალეა ბურჟუაზიის რევოლუციონურ ფრთას შეუკავშირდეს, რათა უწინამ-  
ძღვროს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ქალაქის და სოფლის წვრილ  
ბურჟუაზიის მილიონიან მასებს.

აქედან გამომდინარეობს კაპიტალისტურად განვითარებულ კოლონიალურ  
და დამოკიდებულ ქვეყნების რევოლუციონური მოძრაობის მორიგი ამოცანები:  
1) მუშათა კლასის საუკეთესო ელემენტების მომზადება და დამოუკიდებელი  
კომუნისტური პარტიების შექმნა. 2) იმპერიალიზმთან და შემთანხმებელ ბურ-  
ჟუაზიის საწინააღმდეგოდ მუშებისა, გლეხების და რევოლუციონური ინტელი-  
გენციის ნაციონალურ-რევოლუციონურ ბლოკის შექმნა. 3) ამ ბლოკში პრო-

სტრუქტურა

ლექტორი გეგმონის უზრუნველყოფა. 4) ბრძოლა ქვეყნის მთლიანად ბურჟუაზიის ხელიდან განთავისუფლებისათვის, 5) განმანათლებლურ მოძრაობის მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატის რევოლუციონერ მოძრაობასთან შეთანხმება.

ასეთი ამოცანები სდგას აღმოსავლეთის კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნების აქტიურ მუშაკების წინაშე. თუ ამ საკითხებს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ უკეთ დავინახავთ მათ რთულ და ერთობ მნიშვნელოვან ბუნებას. საერთაშორისო მდგომარეობა დღევანდელ მომენტში რევოლუციონერ მოძრაობის დროებით მოდუნებით დახასიათდება. მაგრამ რას ნიშნავს ეს მოდუნება, რა მნიშვნელობა აქვს მომენტისათვის. ის ნიშნავს დასავლეთის პროლეტარიატის შევიწროებას, აღმოსავლეთის კოლონიებზე დაწოლას და უპირველეს ყოვლისა მსოფლიოს რევოლუციონერი მებრძოლების საბჭოთა კავშირის შეწყობას. ეს ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დღეს კი არ დაუწყიათ იმპერიალისტებს, მას ამჟამებზე დიდი ხანია. ესტონეთის აჯანყებით გამოწვეული ათასგვარი ცილისწამებანი კომპარტიის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირის გაიძვრული ცილისწამება სოფიაში მომხდარ აუეთქების გამო და ბურჟუაზიული პრესის გამოლაშქრება ჩვენს წინააღმდეგ—აი როგორ ამჟამებზე შემოტევა, ეს არის საზოგადოებრივი კახის მომზადება არტილერიის ცეცხლის საშუალებით; ცილისწამებით და კოორდინირებულ უნდათ შექმნიან ისეთი მორალური ატმოსფერა, რომ შესაძლებელი გახდეს ინტერვენცია. თუ რა გამოვა ამ სიტუაციისა და ცილისწამების კომპანიიდან, გაბედვენ თუ არა იმპერიალისტები შემოტევას—ამას ჩვენ ვნახავთ. რომ ეს შემოტევა კოლონიებისათვის ხელსაყრელი არ იქნება, ეს კი ცხადია დღესვე. ამიტომ დღის წესრიგში გარდაუვალად სდგას საკითხი შეერთებულ რევოლუციონერი ძალებიდან კანტრ-შეტევის მომზადების და იმპერიალიზმის ანტიცილებელი შემოტევის დასახვედრათ. სწორედ ამიტომ კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებში მორიგ რევოლუციონერ ამოცანების გადაუხრელად შესრულება, ბედის გადაწყვეტი იქნება ამ ქვეყნების რევოლუციონერ მოძრაობისათვის.

ყველა ამ გარემოების გათვალისწინების შემდეგ, რაში მდგომარეობს აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის მისია კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნების მიმართ? ეს, მისია მდგომარეობს იმაში, რომ სისწორით გამოვიანგარიშოთ ამ ქვეყნების რევოლუციონერი მოძრაობის განვითარების თავისებურება და ამის მიხედვით მოვაშხალოთ ამ ქვეყნებიდან გამოსული კადრები, რომლებიც ცხოვრებაში გაატარებენ ზემოდ აღნიშნულ მორიგ ამოცანებს.

აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტში იმყოფება კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნებიდან მოსულ მსმენელთა 10 ჯგუფი. ყველამ უწყის, რომ ამ ამხანაგებს სწავლით განათლება და ცოდნა. უნივერსიტეტის ამოცანა არის შექმნას მათგან ნამდვილი რევოლუციონერები, შეაიარაღოს ისინი ლენინიზმის თეორიით, უზრუნველყოს ისინი ლენინიზმის პრაქტიკული გამოცდილებით, ყველა ეს ხელს შეუწყობს აღმოსავლეთის ხალხების განმანათლებლური მოძრაობის განვითარებას.



აუცილებელია ამ თავითვე გავითვალისწინოთ ორი გადახრის კოლონიალური აღმოსავლეთის აქტიურ მუშაკების პრაქტიკაში აღვლით აქვს, ნამდვილ რევოლუციონური კადრების აღსაზრდელად ბრძოლა ამ გადახრასთან აუცილებელია.

პირველი გადახრა რევოლუციონური მოძრაობის არა ჯეროვან დაფასებაში და ნაციონალური მოძრაობის ზედმეტად გადაფასებაში მდგომარეობს. ეს არის გადახრა მარჯვნივ, რაც რევოლუციონური მოძრაობის შესუსტების და კომუნისტური ელემენტების ბურჟუაზიულ ნაციონალისტების საერთო მასაში გათქვეფის საშიშროებას მოასწავებს. შეუპოვარი ბრძოლა ამ გადახრის წინააღმდეგ პირდაპირი ამოცანა არის აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტისა. მეორე გადახრა კი რევოლუციონური მოძრაობის ზედმეტად დაფასებაში და ადგილობრივი მუშათა კლასის წყრილ რევოლუციონურ ბურჟუაზიასთან კავშირის დაუფასებლობაში მდგომარეობს. ამ გადახრას, მგონია, იველი კომუნისტები სჩადიან, მათ თავიანთი ქვეყნისათვის ახლო წარსულში საბჭოთა სისტემის ლოზუნგი წამოაყენეს. ეს არის გადახრა მარცხნივ, რაც მასებიდან მოწყვეტის და კომპარტიის სექტად გადაქცევის საურთხეს წარმოადგენს. გადამწყვეტი ბრძოლა ამ გადახრასთან ერთ ერთი და მთავარი პირობა არის აღმოსავ. ხალხთა უნივერსიტეტში ნამდვილ რევოლუციონერების კადრის მომზადებისა.

ასეთია, საერთოდ აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანები კოლონიალურ და საბჭოთა აღმოსავ. ქვეყნების მიმართ, იმედი ვიტონიოთ, რომ აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტი სინდისიერათ შეასრულებს ამ ამოცანებს.

## ორი მიმდინარეობა გოლშავიჯის წინააღმდეგ.

კ. კაუცკის დაუწერია დიდი მოხსენება ბოლშევიზმის შესახებ. მოხსენებაში, როგორც ეტყობა, ახალი დაყენება აქვს ავტორს ამ საკითხის. ის ამბობს, — ბოლშევიკებთან ჩვენ — სოციალისტებს არ შეგვიძლია ვიჭონიოთ საერთო ენა, ბოლშევიზმი გადაიქცა სოციალიზმის უარყოფელ ძალად. ის შეიქნა უსაშინელესი სახე კონტრ-რევოლუციისა.

კაუცკის წინადაც განოთქევაშ ხოლმე თავისი აზრი, მაგრამ აქამდის არ იყო მის აზრებში ანაირი შეურიგებლობა. 1920 წელში ის მაგალითად, სწერდა: — რუსეთის ახლანდელი რევოლუცია დიდი ნაბიჯი იქნება წინ, თუმცა, შეიძლება მან ვერ დაამყაროს სოციალიზმი და ვერ გადააბიჯოს კაპიტალიზმს... რუსეთი ეკონომიურად ძალიან ჩამორჩენილია, სოციალიზმი კი უაღრესად განვითარებულ კაპიტალიზმთან შედარებითაც წინ წასული ფორმაა წარმოების, და ამ უორმისთვის რუსეთში ვერ ნიადაგი არ არის. მაგრამ დიდი ისტორიული მიღწევაა ის, რომ რუსეთის რევოლუციამ გაანთავისუფლა გლეხობა ფეოდალური ექსპლუატაციის ნაწილებიგან. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მთელი გვეყნის მუშათა კლასმა შეიგნო ახლა თავისი ძალა. უფრო დიდი გავლენა უნდა ექნეს ალბად რუსეთის რევოლუციას აღმოსავლეთზე, ევროპაზე იმდენათ არა. რუსეთს აქვს ორნაირი სახე, ის ევროპაც არის, აზიაც, ის არის უკან ჩამორჩენილი ნაწილი ევროპის და წინ წასულია აზიასთან შედარებით, მარქსმა შენიშნა ერთხელ ენგელსთან მიწერილ წერილში, რომ რუსეთი აფერხებს ევროპის პოლიტიკურ-სოციალურ განვითარებას, მაგრამ ის წინ მსულელობის ღერძია აზიისთვის. თუ ეს ითქმებოდა მეფის დროინდელი რუსეთის შესახებ, მით უფრო უნდა ითქვას რევოლუციონერ რუსეთზე. რაც უნდა შორს იყოს ეს რუსეთი სოციალიზმისგან ის წარმოადგენს მაინც დიდ პროგრესიულ ძალასო \*).

კაუცკის ახლანდელი მოხსენება მეორე ინტერნაციონალის საყურადღებოდ დაწერილი, არ არის პირდაპირი გაგრძელება მისი წინანდელი ნაწერების, წინადაც ამბობდა, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია რუსეთში, ეს იქნება სოციალი-

\*) „Der Kampf“, ივლისი, 1920 წ. კაუცკის წერილი „Ein Schritt über den Bolschewismus“ ორი ბაუერის წიგნი გამო დაწერილი.





სტორი რევოლუციის დასაწყისი მთელ ევროპაში. გლეხობას განსაკუთრებული ფეოდალიზმის ნაშთებისგან—ეს არის ბურჟუაზიული რევოლუციის ნაბიჯი. კაუცკი ვერ იტყვოდა, როცა ზემოთ მოყვანილ სტრიქონებს სწერდა, რომ ბოლშევიზმთან შეუძლებელია საერთო ენა. ის იცნობდა ბოლშევიზმის სახეს 1917—1920 წლების სამოქალაქო ომებში და ტერორში. ბოლშევიზმი იმას მიანიჭ მიაჩნდა იმ დროს წინმსვლელობის დერძად, პროგრესიულ ძალად.

კაუცკისგან ხშირად ვაგვიგონია, რომ ამა თუ იმ პარტიის დაფასებაში მნიშვნელობა აქვს უფრო ობიექტურ მომენტს, ვიდრე სუბიექტიურს. საქმე ის კი არ არის, რის ვაკეთება გინდა, საქმე იმაშია, რას ვაკეთებინებს ისტორიამ. მაკდონალდმა კი შენიშნა ერთხელ.—ბოლშევიზმის დაფასება არ შეიძლება იმით, რასაც ახლა ის აკეთებს პოლიტიკურად, არ შეიძლება იმის დაფასებაში გამოვდიოდეთ იქიდან, რომ ის არაჩვეულებრივი ზომებით ავიწროებს და სპობს ყოველნაირ თავისუფლებას (\*). მაკდონალდი უკიდურესი მემარჯვენეა საერთაშორისო სოციალიზმში და ისიც არ ამყარებდა ბოლშევიზმის სადღესო პოლიტიკაზე თავის დამოკიდებულებას ბოლშევიზმთან, ბოლშევიზმის საკითხს ისიც იღებდა ისტორიულ პერსპექტივებში.

ბოლშევიზმმა ოქტომბერში გააკეთა ის, რაც უნდა ვაკეთებია ბურჟუაზიულ რევოლუციას—გაანთავისუფლა გლეხობა ფეოდალური, ბატონმშობი დროის ნაშთებისგან, გააკეთა, მაშასადამე პროგრესიული საქმე. ასეთი დაფასება იყო ხოლმე კაუცკის წერილებში. ახლა კაუცკი აცხადებს ბოლშევიზმს მსოფლიო კონტრ-რევოლუციის მთავარ ბურჯად. მისი მოხსენება მე არ მაქვს ხელში, საზღვარ გარეთის პრესას მოჰყავს ადგილები ამ მოხსენებიდან და არ სჩანს დასაბუთება კაუცკის აზრის. რატომ შეიქნა მსაჯულიო რეაქციის ძალათ ის ბოლშევიზმი, რომელმაც, თითონ კაუცკის სიტყვით, გააკეთა დიდი პროგრესიული საქმე და მისი გაკლენის ქვეშ „მთელი ევროპის მუშათა კლასმა შეიგნო თავისი ძალა“?

იქნება კაუცკის მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ ბოლშევიზმი სამოქალაქო ომების შემდეგაც აგრძელებს დიქტატურას?

მაგრამ მარქსიზმი არც ერთ ისტორიულ მოვლენას არ აფასებს ცალკესხვა მოვლენებთან დაუკავშირებლად და დამოუკიდებლად, ბოლშევიზმის პოლიტიკა ვერ დაფასდება სწორად თუ სულ უარი ითქვა მისი მოპირდაპირე პოლიტიკის დაფასებაზე. იწვევს თუ არა, ან რამდენად იწვევს კაპიტალისტური ევროპის პოლიტიკა ბოლშევიზმის პოლიტიკას, არის თუ არა აქ მიზეზობრივი კავშირი? ეს საკითხი უნდა დაისვას, ამაზე უნდა მიეცეს ისეთი პასუხი, რომელიც დასაბუთებული იქნება საერთაშორისო პირობების მეცნიერული ანალიზით. ევროპაში დემოკრატიას არ უკავია მართვა-გამგეობის სადავე, და, იქნება, ევროპის მმართველი წრეები ისე მუშაობენ, რომ ახალი ინტერვენცია,—სამოქალაქო ომი; მოჰყვება ამ მუშაობას რუსეთში? იქნება, ბოლშევიზმის პოლიტიკა შედარებით სხვანაირი გამოვიდოდა, რომ ევროპის სახელმწიფოებს მოენდომებიათ მშვიდობიან ურთიერთობის დაწყება ბოლშევიკურ რუსეთთან! თუ ამისთანა

\*) R. Macdonald, — „Parliament and Revolution“.



კითხვები არ გამოვარკვეთ, ჩვენ უფროდ შეგვეშლება რამენაირად შვიანხის დაფასებაში.

კაუცკის ახლანდელი შეურიგებლობა, ცხადია, სავსებით ეთანხმება ბოლშევიზმის მოწინააღმდეგე წრეების სულიერ განწყობილებას. მაგრამ ეს არ კმარა ხელმძღვანელი იდეოლოგიისათვის და, საერთოდ ვერც ერთი იდეოლოგია ვერ დაჯერდება მარტო გულისწყრომას, მარტო ამა თუ იმ სულიერ განწყობილებას. პოლიტიკური ხელმძღვანელი ვერ იკმარებს იმის თქმას, რომ ბოლშევიზმი დემოკრატიას ანგრევს და ამიტომ არ შეიძლება ბოლშევიზმთან შერიგება პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა უნდა გამოარკვეოს, რატომ ვერ უშკლავდება დემოკრატია ბოლშევიზმს, რატომ ვერ ამბობს ვერსად დემოკრატია თავის გადაწყვეტ სიტყვას.

ლენინი სწერდა: „შეიდემანები, კაუცკეები, აუსტერლიცები, რენერები ჩვენ გვეუბნებიან, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ეს გამოვა „მთელი ხალხისა“— „წმინდა“ დემოკრატია უარყოფა და ერთი კლასის გაბატონება. ეს არ არის მართალი, ვამბობთ ჩვენ. ეს იქნება უარყოფა ბურჟუაზიული დიქტატურის, რომელიც ფარისევლურათ ეხვევა დემოკრატიული რესპუბლიკის საფარში, და აღიარება პროლეტარული დიქტატურის. ეს იქნება დემოკრატია ღარიბებისთვის, იმ დემოკრატია მკვირად, რომელიც არსებობს მდიდრებისთვის. ეს იქნება თავისუფლება კრების, ბეკვდის ხალხისთვის, ხალხის უმრავლესობისთვის, მშრომლებისთვის იმ თავისუფლების მკვირად, რომელიც არსებობს დღეს უმცირესობისთვის, ექსპლუატატორებისთვის. ეს იქნება უდიდესი, მსოფლიო-ისტორიული გაფართოება დემოკრატია, დემოკრატია დღეს სიყალბეა, მაშინ ის გადაიქცევა სინამდვილეო.“\*)

რაში შეედავება მარქსისტი ამ სტრიქონებს. დემოკრატია—თავისუფლება ხალხის უმრავლესობისთვის—ეს იყო ყოველთვის საერთაშორისო სოციალიზმის და მარქსიზმის პრინციპი. ლენინი უარყოფდა ბურჟუაზიულ დემოკრატია, არ უარყოფდა დემოკრატია და დემოკრატიაში საერთოდ, ის ფიქრობდა პირიქით, რომ დემოკრატია უნდა გაფართოვდეს, შეიქნეს ნამდვილი და არა ყალბი.

ვერც კაუცკი შეედავება ამ აზრს. თითონ მისი აზრი დემოკრატიაზე შეჩნებ იყო შემდეგი:—უნაკლულო დემოკრატია რასაკვირველია არსად არ არის. მაგრამ არ შეიძლება ამა თუ იმ დემოკრატიულ სახელმწიფოში ნაკლს ხედავდე და აქედან გამოგყავდეს ის დასკვნა, რომ დემოკრატია უვარგისია თავისთავად. ეს ნაკლულოვანება იმის მაჩვენებელია, რომ მუშათა კლასი აუცილებლად უნდა შეეცადოს დემოკრატია გაუმჯობესებას, ყველაზე უფრო დაინტერესებულია ამაში მუშათა კლასი, სხვაზე უფრო მისი ინტერესი მოითხოვს უნაკლულო დემოკრატიაში.“\*\*)

\*) Н. Ленин.—О „демократии“ и диктатуре. Ленинская хрестоматия, 102.

\*\*) Der Kampf 1920, ივნისი, კაუცკის წერილი—Demokratie und Diktatur.



გზა უნაკლულო დემოკრატიისკენ არის ეკონომიური წინსვლის მსაქმრო-  
ვო ძალების განვითარება. ეს არის ერთ-ერთი უდავო ჰერმარტივის, სქისრმა  
ისტორიის: დემოკრატია ფეხს იკიდებს ყოველთვის ეკონომიურ წინსვლასთან  
ერთად.

როცა ბოლშევიზმთან შერიგებაზე ან შეურიგებლობაზეა ლაპარაკი, მაშინ  
უნდა დაისუას საკითხი,—ხელს უწყობს, თუ ხელს უშლის ბოლშევიზმი ეკონო-  
მიურ წინსვლას, არის თუ არა ბოლშევიზმისთვის ისტორიული აუცილებლობა,  
რომ ის ხელს უწყობდეს საწარმოო ძალების განვითარებას, არის თუ არა, პირ-  
იქით, ბოლშევიზმისთვის ისტორიული აუცილებლობა, რომ ის ხელს უშლი-  
დეს ამ განვითარებას.

ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრაზეა დამოკიდებული სწორი პოლიტიკა  
ბოლშევიზმის დაფასებაში. შერიგება უნდა იყოს, თუ შეურიგებლობა ამ პო-  
ლიტიკის შინაარსი, ეს ჩვენ არ გვეცოდინება თუ გზა გაუკვლეველი დავრჩით  
ძირითად საკითხში.

კაუცკი, როგორც ეკონომისტი, ალბად ფიქრობს, რომ ბოლშევიზმი ვერ  
შეეგუება და ვერ შეიგუებს ეკონომიურ წინსვლას, მის თვალში, ალბად, ეკო-  
ნომიური ნგრევის მეთი არაფერი შეუძლია ბოლშევიზმს, და ამიტომ მიიჩნია  
ის რეაქციის მთავარ ძალად.

თეორიაში კაუცკი ვერ შეედავება ბოლშევიზმის ახლანდელ ეკონომიურ  
პოლიტიკას. რასაც ლენინი ამბობდა და სწერდა სახალხო მეურნეობის აღო-  
რძინების შესახებ, ის თავიდან ბოლომდის მისაღებია თითოეული მარქსისტის-  
თვის.

მაგრამ მარქსიზმი არ არის მარტო თეორეტიული წერა-ლაპარაკი, ის არის  
მოქმედებაც, არის შეთოდი მოქმედების, საქმიანობის, ის არის თეორეტიული  
ნათქვამ-ნალაპარაკევის გადაქცევა პრაქტიკად, ნამდვილ საქმედ.

ერთ დროს კაუცკი შეურიგებლად ებრძოდა ბერნშტეინს. ბერნშტეინმა, რო-  
გორც ვიცით, შეიტანა საერთაშორისო სოციალიზმში ოპორტიუნისმის, კლასთა  
ბრძოლის შერბილების თეორია. ის ასაბუთებდა იმ აზრს, რომ სოციალიზმის  
განხორციელება უნდა ხდებოდეს თანდათანობით, მორიდებით, სხვა კლასებთან  
უფრო მშვიდობიანი ურთიერთობით, ვიდრე ამას მოითხოვს რევოლიუციონუ-  
რი მარქსიზმი.

ამ წლის დამლევს დაიბეჭდა გერმანიის სოციალისტურ თეორეტიულ ჟურ-  
ნალში კაუცკის წერილი ბერნშტეინის შესახებ. ბერნშტეინს შეუსრულდა 75  
წელიწადი და ეს აღნიშნა კაუცკიმ თავის წერილში. კილო ისეთი აქვს, თით-  
ქო ენათირება ახლა წარსული დროის შეურიგებლობა ბერნშტეინთან.—არ ყო-  
ფილა ჩვენში ისეთი უთანხმოებაო, —სწერს.—ბერნშტეინი ამბობდა, ჩემთვის  
არაფერია საბოლოო მიზანი. ყველაფერია მოძრაობაო. ამაში ვხედავდით რე-  
ვოლიონისმს. მერე კი გამოჩნდა, რომ არ ვიყავით მართალი. ამ სიტყვების აზ-  
რი იკივია რაც მარქსიზმის დებულებაში: ერთი პრაქტიკული ნაბიჯი სჯობია  
თორმეტოდ თეორეტიულ პროგრამასო. \*)

§) Die Gesellschaft, № 1 1925 წ.



კაუტუკი ამ წერილში მოახდინა გადაფასება თავისი წინანდელი შეფასების, ამ წერილში კაუტუკი წინანდელათ აღარ უყურებს ბერნშტეინის წინააღმდეგობის გადახრა ბერნშტეინისკენ იდეოლოგიურად უკავშირდება იმ შეურიგებლობას, რომელსაც კაუტუკი ახლა იჩენს ბოლშევიზმთან. იქნება, იმას ახლა მართალი მიაჩნია ბერნშტეინის მეთოდი და აღარ სწამს ის, რაც, სხვათა შორის, თითონ კაუტუკის კალმით უპირდაპირდებოდა ამ მეთოდს.

ეს კითხვები მეტადება, როცა ვუკვირდები კაუტუკის ახლანდელ გამოსვლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ეს შემდეგისთვის ვიქონიოთ მხედველობაში, ჯერ არ შეეჩერდები ამ კითხვებზე. არ შეეჩერდები ჯერ არც ბოლშევიზმის მეთოდზე. შემდეგისთვის გადავდოთ გარჩევა ამ მეთოდის და ვნახოთ, თანდა-თანობა იმ გზაზე რომლითაც ბოლშევიზმი მიდის სოციალიზმისკენ, თუ არის მხოლოდ რევოლუციონური დაკვრა.

კაუტუკის ახლანდელ მიმდინარეობას მე ვუდგები ჯერ პოლიტიკურად. თუ ბოლშევიზმის მეთოდი მიუღებელია, თუ იმას სოციალიზმისკენ ვერ მივუყვებით და, პირიქით, ის მსოფლიო კონტრ-რევოლუციის ძალაა, თუ შეურიგებლობის მეტი არაფერი არ უნდა გვექნეს ბოლშევიზმთან, მაშინ ტაქტიკაც გარკვეული გვექნება. მაშინ უნდა ვეცადოთ ბოლშევიზმის ჩამოგდებას, უნდა ნავი-ლოთ ბრძოლის საშუალებად ინტერვენციაც, შეიარაღებული აჯანყებაც, უნდა ვიწამოთ ის, რაც არ სწამს პრაქტიკულად თითონ კაუტუკის.

რაც არ სწამს იმავე დროს. რუსეთის მენშევიზმს... „სოციალისტურმა ექ-სტნიკმა“, როგორც სახლვარჯარეთის პრესა გვაცხობინებს, არ დაბეჭდა კაუ-ტუკის მოხსენება, რუსეთის მენშევიზმი არ დაეთანხმა იმის დებულებებს, და შეი-ტანა მეორე ინტერნაციონალში თავისი აზრი; ეს აზრი დაახლოებით იგივეა, რაც ამ ხუთი-ექვსი წლის წინად იყო. რუსეთის მენშევიზმმა მიიღო საბჭოთა სისტემა, საჭიროდ აღიარა ბოლშევიზმთან თანამშრომლობა. დიდ ბანია აღიარა, რომ მსოფლიო რეაქციასთან ბრძოლაში ის გეგრაში ამოუდგება ბოლშევიზმს.

ახლაც ამას ამბობს რუსეთის მენშევიზმი. ის ებრძვის ბოლშევიზმს, უარ-კოუს იმის დღევანდელ პოლიტიკას, მაგრამ შეურიგებლობა მაინც არ აქვს თავისი ბრძოლის პრინციპიალურ ხაზათ. არ აქვს ისეთი შეურიგებლობა, რომე-ლიც მოითხოვს ბოლშევიზმის შეიარაღებულ ჩამოგდებას.

მაგრამ დავუვდოთ ყური თითონ რუსეთის მენშევიზმს, გავიყნოთ მისი მიმდინარეობა, როგორც გამოიხატა ის უკანასკნელ რეზოლიუციაში.

— „რვა წლის გამოცდილები ცხადზე უცხადესათ გვიმტკიცებს, რომ ახლანდელ ისტორიულ პირობებში პროლეტარიატი და დემოკრატიული კლასები, პოლიტიკურად ყველაზე უფრო მოწილილი, დასუსტებული, ვერ შეიძლებენ თავის ინტერესების დაცვას, ვერ მიაღწევენ დემოკრატიის გამარჯვებას ბოლშე-ვიზმის ჩამოგდებით. ჩამოგდებაში ვადაწყვეტი როლი ურგებათ შეიარაღებულ ძალებს და ძალაზე დაეყრდნობა ის ძალაუფლება, რომელიც მოვა ბოლშევიკური დიქტატურის ადგილას... ამ შეიარაღებულ ძალებს თან მოჰყვება კონტრ-რევოლუცი-



ცია, ამა თუ იმ ჯურის რეაქცია გამოიყენებს მათ, მით უფრო ადვილად გამოიყენებს რომ პროლეტარიატს, დემოკრატიულ კლასებს უარესათ გამოეყენებათ ღონე იმ აფცილებელ შეხლა-შემოხლაში, რომელიც უთუოდ მოჰყვება თან საბჭოთა წესწყობილების ჩამოგდებას. ეს წესწყობილება, რაც უნდა დამახინჯებული იყოს ახლა, ისტორიულად და რევოლუციონურად მაინც შეკავშირებულია რუსეთის და საერთაშორისო მუშათა კლასის ერთ ნაწილთან“.

ამ სტრიქონებიდან, ვითომ ისე გამოდის, რომ რუსეთის მენშევიზმი არ იზიარებს კაუცკის აზრს და არ არის იმდენად შეურიგებელი ბოლშევიზმთან. მაგრამ წაიციქითხოთ, რა სწერია ჭკვიანთ:

„რუსეთის სოციალისტური პარტიები უნდა ებრძოდნენ არა მარტო კომუნისტურ მოძღვრებებს, არამედ იმ მართვა-გამგეობას, რომელიც ცხოვრებაში ატარებს ამ მოძღვრებებს ძალადობის და ტერორის საშუალებით. ბრძოლის მიზანი უნდა იყოს, როგორც რევოლუცია ამბოხს, სისტემატიური ზეგავლენა (давление) ბოლშევიკურ მართვა-გამგეობაზე დათმობების გამოსაგლეჯად. რამდენადაც ეს დათმობები შექმნიან ქალაქის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის წინსვლის პირობებს, რამდენადაც ამ პირობებში გაისკვნება მტკიცე საძირკველი მუშათა კლასის, გლეხობის და ქალაქის დემოკრატიის მოძრაობისთვის, იმდენად მომზადდება ნიადაგი იმისთვის, რომ მოხდეს დემოკრატიული ლიკვიდაცია ბოლშევიკური დიქტატურის, რომ ტერორისტული მართვა-გამგეობა შეიცვალოს დემოკრატიული რესპუბლიკით და პოლიტიკური თავისუფლებით“.

მე მოვიყვანე ეს ორი ამონაწერი რუსული მენშევიზმის რევოლუციიდან იმის საჩვენებლად, თუ რა აზრთა არეგ-დარეგია მათში.

ბოლშევიზმი არ უნდა ჩამოვაგდოთ, რადგან ამას მოჰყვება მემარჯვენე დიქტატურა, მაგრამ ბოლშევიზმი ჩამოსაგდება ია და უნდა ჩამოვაგდოთ თანდათანობით, ჯერ დათმობები ჩამოველიჯოთ, შევარყიოთ, ... შეიარაღებული ბრძოლით კი არა, მშვიდობიანი გზით მოვახდინოთ მისი ლიკვიდაცია და ბოლშევიკური დიქტატურა გადავაქციოთ დემოკრატიულ რესპუბლიკად.

ასეთია რუსული მენშევიზმის აზრი, რამდენადაც ეს გამოიხატა ზემოთ ამონაწერ რევოლუციაში. ამ აზრში არ არის ერთი სწორი ხაზი, არის ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ხაზი.

თუ ბოლშევიზმის ჩამოგდება რომელიმე მემარჯვენე დიქტატურას მოიყვანს, რა საფუძველია ვიფიქროთ, რომ ასე არ მოხდება, როცა ზეგავლენას ვიქონიებთ ბოლშევიზმზე, როცა დავათმობიებთ თანდათანობით იმდენს, რომ თითონ ჩამოვარდება.

კაუცკი შეურიგებელია და მისი მოხსენებიდან პირდაპირი ხაზია შეიარაღებული ბრძოლისკენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რუსეთის მენშევიზმს არ აქვს ამისთანა მიუკარებელი კილო, იმას კიდევ იმედი აქვს ბოლშევიზმის „მორჯულების“. თუ მორჯულება არ მოხდა, მაშინ მენშევიზმი მიმართავს „სისტემატიურ და შეუპოვარ“ ბრძოლას, რომ შოაშადოს ნიადაგი ბოლშევიკური ლიკვიდაციისთვის და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისთვის.



ეს ორი მიმდინარეობა ერთნაირია არსებითად. კაუტსის მიხედვით მხოლოდ პირდაპირ, რუსეთის მენშევიზმი მიდის მიხევე-მოხვევით—სამხროსო მსჯანა კი ერთია: ორივე მიმდინარეობა აპირებს ბოლშევიზმის წაღვევას, ორივე მიმართულია რღვევისკენ. მაგრამ... როგორ უნდა მოეწყოს, რა საფუძველზე უნდა დამყარდეს პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება ბოლშევიზმის დარღვევა—ჩამოგდების შემდეგ? არ იკმარებს იმის თქმა, რომ დემოკრატიულ საფუძველზე უნდა დამყარდეს. ეს იქნება თეორია და თეორიაში, როგორც ზემოთ დავინახეთ, ბოლშევიზმი არ უარჰყოფს დემოკრატის საერთოდ. ის ამბობს ლენინის პირით, დემოკრატია უნდა გაფართოვდეს და გამტკიცდეს ხალხის უმრავლესობისთვის, არ უნდა იყოს ისეთი მდგომარეობა, რომ დემოკრატია არის მარტო უმცირესობისთვის, მარტო ბურჟუაზიისთვის და ექსპლუატატორებისთვისა.

თეორიაში, ვიმეორებ, არაფერი აქვს სათქმელი. ამაზე მეტი არც კაუტსის, არც რუსეთის მენშევიზმს. საკითხი დგას, მაშასადამე, არა მარტო თეორეტიულად.—რით აიხსნება, რომ ამ ისტორიულ ხანაში პრაქტიკა ვერ უღგება თეორიას, ვერ ტარდება სინამდვილეში ის, რაც მიღებულია პრინციპიალურად? რა შესაძლებლობა აქვს კაუტსის ან რუსეთის მენშევიზმის მიმდინარეობას, რომ ბოლშევიზმის შემდეგ ძალაუფლება მოიპოვონ და საესებით შეუთანხმონ ერთმანეთს თეორია და პრაქტიკა დემოკრატის საკითხში?

არც ერთ მიმდინარეობას არ აქვს პასუხი ამ კითხვებზე და მათი შედეგია მარტო რღვევა. მათში არ არის ამშენებლობითი პროცესი.

## საერთაშორისო მდგომარეობის საპითხავი.

გაგრძელება \*)

წარსული იმპერიალისტური ომი ზოგიერთი სახელმწიფოებისათვის და ქვეყნებისთვის გამდიდრების, კეთილდღეობის და საწარმოვო ძალთა განვითარების წყაროთ გადაიქცა, ზოგიერთებს კი მუხთალი ბედის საშინელებით დაატყდა თავზე და უმჯობესობის და აყუავების მაგიერ ეკონომიური დაერდომილება და დაკნინება არგუნა წილათ. რა იყო მსოფლიო ომი?

იგი იყო აფეთქება კაპიტალისტურ ცხოვრების და შეტრუნობის წიაღში ხანგრძლივი წლების განმავლობაში დაგროვებულ და მომწიფებულ მოწინააღმდეგეთა ძალთა, რომელთაც აუცილებლათ გამოსავალი უნდა ეპოვათ, უქვევლათ უნდა გაეპოთ თხელი და სუსტი აპკი კაპიტალისტური ზავისა და მსოფლიოს სიერცეში ცრემლის და სისხლის შადრევიანებით გადმონთხეულიყვნენ. და მართლაც ერთი ნამცეცი ტყვიის ნაჭერი, რომელიც სასიკვდილოთ შეიკრა ავსტრიის კრონპრინც ფრანც-ფერდინანდ გაბსბურგის გულში, გადაიქცა საქმარის სიმძიმეთ კაცობრიობის ბედის სასწორის ტაფაზე. ახალგაზრდა სერბიელ რევოლიუციონერის რევილვერი შეიქმნა იმ ზღაპრულ კლიტეთ, რომლითაც გაიღო თანამედროვე კაპიტალისტური პანდორის ყუთი, საიდანაც ამოიჭრა ომის საშინელების ქარიშხალი და მომაცდინებელი ძლიერებით დაიწყო ქროლვა და ტრიალი დედამიწის ზურგზე.

მსოფლიო ომმა ისეთი ვულკანიური ძალით შეარყია ქვეყნიერება, ისე ააფორიაქა მისი მდგომარეობა, ისე ასეარა და გათქვიფა ერთმანეთში ყველაფერი და ყოველივე და ისეთი გასაოცარი გადაფანება მოახდინა არსებულ ღირებულებათა, რომ საერთაშორისო ცხოვრების ხელახლა მოქცევა ნორმალურ მიმდინარეობის კალაპოტში ყოველათ უიმედო და დაუეგრებელი შეექმნა. თვით გამარჯვება გამარჯვებულთა წინაშე ალიმართა, როგორც საშიშროების არღილი და ძველდროინდელი ამბავი მეფე ჰიროსის შესახებ მოუფერებელ მოგონებათ გადაიქცა იღბლიან ფალაგანებისათვის. ომი გათავდა. დაიხურა ეს შეშხარავი წიგნი, დაწერილი ყველა ხალხების სისხლით და ცრემლით. ისტორიამ დაუსვა მას წერტილი და იგი წარსულის არქივს ჩააბარა, მაგრამ შედეგები

\*) იხ. „მნათობი“ № 3 (11)



მისი შინაგანადგომებზე მოქმედებას და წონათსწორების (ბალანსირების) უნარი-  
 რი საერთაშორისო მდგომარეობის და მეურნეობისა კელაქინდებში ხრბევა  
 და ქანაობს. ყველაზე უმნიშვნელოვანესი და უდიდესი ფაქტი, შექმნილი ომით,  
 არის ის, რომ ევროპის სახელმწიფოებს გაუსხლტათ ხელიდან ქვეყნიერების  
 ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრების ბერკეტი და მას დაეპატრონა შეერთებუ-  
 ლი შტატების კაპიტალისტური ოლიგარხია, რომელმაც დიდი ბრიტანეთის მო-  
 ხუცებულ ლომი მხოლოდ კომპანიონათ მოიწვია. მაგრამ ეს ძალთა გადაჯგუ-  
 ფება და მათ სათავეში შეერთებული შტატების მოქცევა სრულებით არ მოას-  
 წავებდა მსოფლიო მეურნეობის ნორმალურ ზრდა-განვითარების გზაზე დადგო-  
 მას და საერთაშორისო ცხოვრებაში მშვიდობიანობის დამყარებას. პირიქით  
 თვით ეს ფაქტი ახალგაზდა, უაღრესად კაპიტალისტური, უზომოთ გამდიდრე-  
 ბული, ქარბი სისხლით და ჯანღონით ალტკინებული, ქვეყნების და ხალხების  
 ცარცვა-გლეჯის სურვილით გამშაგებული-სახელმწიფოს გამოსვლა მსოფლიო ას-  
 პარეზზე თავისთავათ ნიშნავდა იმპერიალისტურ კონფლიქტების ახალ ეპოქის  
 დაწყებას. ამით გადაიშალა—შესაძლებელია, კიდევ უფრო მეტი უბედურების  
 და საშინელების ფურცელი კაცობრიობის ისტორიისა. შეერთებული შტატები  
 შეიქმნენ მედროშე ამ ახალი იმპერიალისტური ეპოქისა. ამ სახელმწიფოს ეკო-  
 ნომიკა, რომელიც უმთავრესათ ომიან წლებში გაიკედა,—გადაიქცა საძირკვლათ  
 მისი დღევანდელი პოლიტიკისა და ეკონომიურ—ფინანსიური გეგმონიის შე-  
 საძლებლობისა. ომის შედეგები, რომელნიც გამოისახენ მსოფლიო მეურნეობის  
 მერყეობაში და კრიზისებში, ეკონომიურ კონფიქტურის აწვე-დაწვევაში და ნაბ-  
 ტომებში, თუმცა შეერთებულ შტატებისთვის უმნიშვნელო და უზარალო არ  
 ყოფილან, მაგრამ მათ მიერ მიყენებულ დაბრკოლებებს იქ შექმნილი მდგომარე-  
 იება არსებითად არ შეუცვლიათ. ამბ. ვარგა ასე აბოლოცებს თავის წიგნს  
 შესახებ „მსოფლიო მეურნეობის და ეკონომიური პოლიტიკისა 1923 წელში:  
 „ჩვენ შეგვიძლია დაეასკვნათ, რომ ამერიკული კაპიტალიზმი აქამდე ძალიან ნაკ-  
 ლებათ განიცდიდა ევროპიელ კაპიტალიზმის კრიზისებს. ამ ორ უკანასკნელ  
 წლის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ამერიკის მეურნეობა ცოტათ, თუ  
 ბევრათ დამოუკიდებელია ევროპის ბედისაგან“. ეს სწორი შეხედულება  
 არ უნდა იქნეს გაგებული გადაჭარბებულათ. სახელდობრ ამნაირათ, ვითომც  
 შეერთებული შტატებისა და ევროპის შორის საურთიერთო ეკონომიური ზე-  
 გავლენა, ერთი შეორესაგან ორგანიული დამოკიდებულება, როგორც ერთი მთე-  
 ლის—მსოფლიო მეურნეობის ნაწილებისა, მოსპობილი იყოს. უაღრესათ განვი-  
 თარებულ კაპიტალისტურ წესწყობილებების დროს შექმლებელია დამოუკიდებე-  
 ლი არსებობა და განცალკევებული მსვლელობა რომელიმე ქვეყნის ან სახელ-  
 მწიფოსი, რომელიც კაპიტალისტურ ცხოვრების რკალშია მოქცეული. თანამედ-  
 როვე მსოფლიო—ერთი კაპიტალისტური სისტემის ქსელშია გახვეული და მი-  
 სი ხლართები დედამიწის სრულიათ მიყრუებულ და ველურ კუთხეებსაც—კი  
 სწვდებიან, ამათაც—კი უქვემდებარებენ ეკონომიურ ევოლიუციის ვარდაუფალ  
 კანონებს და უკავშირებენ მსოფლიო ბაზარს...

შესაძლებელია ერთ ქვეყანაში ეკონომიურ კრიზისს, საზოგადოებრივ გა-





ქირეებას, ვაჭრობის გაკოტრებას, მრეწველობის დაქვეითებას, დეფიციტს, ვაჭრობას ჰქონდეს ადგილი, მეორეში-კი სულ სხვანაირი სურათი იქნებოდა. ესე იგი სხვა სანახაობა გვევლინებოდა, სახელდობრ: ვაჭრობა-მრეწველობის აყვავება, წარმოებაში შრომის უკლებლივ დაბანდება, ახალ კულტურულ ღირებულებათა ზრდა, საზოგადოებრივ ცხოვრების და მდგომარეობის უმჯობესობა, როგორც მაგალითად ეს იმპერიალისტურ ომის დროს შეერთებულ შტატების და ევროპის შედარებიდან მელანდება, როდესაც პირველი-აღორძინების პროცესს განიცდიდა და მეორე-დაქვეითების და დეზორგანიზაციის. ამის ერთად ერთი და უმთავრესი მიზეზი, რასაკვირველია იყო სრულიად არანორმალური კატასტროფიული საერთაშორისო და საქვეყნო მდგომარეობა—ომით შექმნილი და გაერყელებული. მაგრამ მოხუცდავით ასეთი არაჩვეულებრივი მიზეზისა, ამ ორ მოვლენის შორის არსებობს ორგანიული კავშირი და დამოკიდებულება, რომელიც კაპიტალისტურ მეურნეობის აღგებრაში მოთხოვნილება—მიწოდების ფორმულით არის აღნიშნული. სწორეთ ევროპის ვაჭრობა—მრეწველობის დაქვეითება და მისი კაოტიური მდგომარეობა შეიქმნა მიზეზი შეერთებულ-შტატების წარმოების და აღებ-მიცემობის ასეთი სწრაფი განვითარებისა. ევროპის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ომის საპირობებათა უზრუნველყოფა შეუძლებელი იყო ევროპული პროდუქციით. და აი შეერთებულმა შტატებმააც გამაღებელი სიჩქარით და განუზომელი ენერჯით მიჰყვეს ხელი შესაფერი საგნების და ნივთების დამზადება-მიწოდებას. მაშინ როდესაც ევროპის ქვეყნები და ხალხები სისხლის ზღვებში ცურაობდენ, და გვირგვინოსანი მეფენი და იმპერატორები სახელითა დინასტიისა და კაპიტალისა მილიონობით ისროდენ მუშათა და გლეხთა მასებს ომის უფსკრულში, სწორეთ მაშინ შეერთებული შტატების კაპიტალი უხმაუროთ და შეუმჩნეველათ იპყრობდა და ატყვევებდა, როგორც გამარჯვებულთ, ისე დამარცხებულთ. მათი ტრესტები ფაქტიურათ გადაიქცენ მსოფლიო ომის შტაბებათ და ისინი განაგებდენ მის ბედ-იღბალს. უგვირგვინო მეფენი ამერიკული კაპიტალიზმისა—მორგანი, როკველერი, შვაბი, არმოური, ჯონსონი და სხ., რომელთა რიცხვი არ აღემატება ოთხასს, სწყვეტდენ ქვეყნიერების და კაცობრიობის საკითხებს. ისინი ბატონობდენ და ბატონობენ არამც თუ მარტო შეერთებულ შტატებში და ამერიკის მატერიკზე, არა მარტო ვაშინგტონში, არამედ ევროპის და აზიის ტერიტორიებზე და მათ სატახტო და დედა ქალაქებშიც. ცნობილი ამერიკელი ეურნალისტი ალან ბენსონი 1914 წელში სწერდა: „ვაშინგტონი სრულებითაც არ არის ჩვენი რესპუბლიკის სატახტო ქალაქი, არამედ ნიუ-იორკი, ბროდვეის ქუჩა, სახლი № 26“—აი სად არის რეზიდენცია ჩვენი მონარქისაო. ეს აღრესი ეკუთვნის კაპიტალისტური ოლიგარქიის უდიდეს და უზუნაეს ღმერთს—ჯონ როკველერს. აქ არის მისი საცხოვრებელი და სამუშაო ბინა, მისი მონარქის ციხე-სიმაგრე, მისი იმპერიალისტური პლანების და ავანტიურების ლაბორატორია.

„სრულებით არ არის მნიშვნელოვანი, ვინ იქნება დანიშნული ელჩათ ლონდონში ან პარიზში, რომში ან პეტერბურგში. ყოველ ადვოკატს, ეურნალისტს ან პროფესორს შეუძლია აასრულოს ელჩის მოვალეობანი.



გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ვინ იქნება დანიშნული პროდუქტის ქუჩაზე №-26 №—სახლში—ო, სწერდა ერთი ნიუიორკის ვაჭარი ვილსონის პრეზიდენტის არჩევის დროს (1912 წ.). და მართლაც პროდუქტის ქუჩაზე, Tjilt Avenue-ზე და უოლ-სტრიტზე მოთავსებულია თანამედროვე იმპერილისტური კაპიტალიზმის უძლიერესი აპარატი. აქ არ არსებობს არავითარი კანონი, არავითარი კონსტიტუცია, არავითარი უფლებრივი ნორმები, როგორც ესენი არ მოიპოვება ბანდიტთა ან პირატთა ბრბოებში. მორალური პრინციპები ან სხვა რაიმე განყენებული სულიერი ღირებულებანი აქ იმდენათ მიიღებიან, რამდენათ შიშველი ექსპლოატატორული ინსტინქტისათვის საჭირო მოკავშულობას და მისალას წარმოადგენენ. ერთად ერთი მრწამსი და სახარება, რომლის წინაშე მუხლომყრილი სასოებით და სიყვარულით ლოცულობენ ეს კაპიტალის ქურუმნი, არის პროცენტი და ზედმეტი ღირებულება. აქ მუშავდება ავაზაკური პლანები ხალხების ელექტის და ქვეყნების განადგურებისა. რესპუბლიკა, კონსტიტუცია, პრეზიდენტი, იუსტიცია—ეს მხოლოდ ამ ბნელი და ბოროტი საქმიანობის თვალთმაქცური საფარველია. აქედან მიიზარებოდა ევროპის ნავთსადგურებში უზარმაზარი ფლოტი დატვირთული ტყვია-წამლით, სურსათით, იარაღით, დინამიტით და ქიმიური საწამლეებით და იქიდან ბრუნდებოდა საცხე ოქროს ზოდებით, რომელნიც წარმოადგენდნენ თითქმის მთელი მსოფლიოს მშრომელთა გაცივებულ და გაქვავებულ სისხლსა და ოფლს. ომის დასაწყისში და შემდეგ—რაღაც წარმოდგენილი სტიქიონური სისწრაფით და ძლიერებით ჩნდებოდნენ ქარხნები, ფაბრიკები შენდებოდნენ თითქმის მთელი ქალაქები, ვეებერთელა ცენტრები კაპიტალის და პროდუქტარიატისა. ელვის სისწრაფით იფინებოდა შენობებით, რკინის გზებით, მილებით და მავთულებით ნიუ-იორკის, ბალტიმორას და ფილადელფიის მიდამოები, რომელთაც ლიგაის ველი ეწოდება. შტატები—პენსილვანია, დელავერი, ნიუ-ჯერდი და სხ. ვასაოცარ ტიტანიურ მშენებლობის სურათს წარმოადგენდნენ. მაგრამ შეერთებული შტატების] ვაშმაგებული კაპიტალი ამით არ დაკმაყოფილდა. მან გადისრაღა თვისი ამშენებლობითი ენერჯია თვისი დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე და აქ შეუდგა რკინის გზების, ფაბრიკა-ქარხნების, სადგურების და საწყობების შენებას. მთელი ეს კაპიტალისტური კორიანტელი გამოწვეული იყო ომის დაუშრეტელი მოთხოვნილებით, ომის გაუმძლარი ბაზრით...

მიუხედავით იმისა, რომ ევროპა ამ შემთხვევაში მომთხოვნელის და გაკირვებულის მდგომარეობაში იმყოფებოდა და შეერთებული შტატები-კი მიმწოდებლის და მდიდრის, გაელენა ორივე მხარის ეკონომიურ ცხოვრებაზე საერთოერთო იყო. როგორც ევროპის გაზვიადებული მოთხოვნილება იწვევდა მრეწველობის და ვაჭრობის აყვავებას შეერთებულ შტატებში, ისე ამ ლკანასკელთა მიწოდება გზას უხსნიდა და ნიადაგს უშხადებდა მათ ფინანსიურ-ეკონომიურ გეგმონიას ევროპაში. ერთი სიტყვით შეერთებული შტატების ეკონომიური ძლიერების და მნიშვნელობის ზრდა-განვითარება ხდებოდა ევროპის საბელმწიფოების ხარჯზე—თითქმის პროპორციონალური წინააღმდეგობის კა-



ნონით. აქ სწორედ ეს მოვლენაა უაღრესად აღსანიშნავი, რომელიც კონსტიტუციური კანონიერების ხასიათი ემჩნევა და რაც კონსტიტუციონის სხვადასხვაობაში გამოიხატება. მოკლედ—ერთი ქვეყნის, ან ერთი ჯგუფი ქვეყნების ეკონომიური დაწინაურება და ამაღლება სხვა ქვეყნის ან ქვეყნების ჩამორჩენასთან და დაქვეითებასთან არის დაკავშირებული. თუ ჩვენ შედარებით მშვიდობიან დროს (ომის მომყოლ წლებს) ავიღებთ აღნიშნულ საკითხის გასასინჯავათ, ამავე დასკვნებს მივიღებთ. რასაკვირველია ასეთ მშვიდობიანობის და ზავის ხანაში გათვალისწინებული მოვლენა არ იქნება ისე მწვავეთ, მკაფიოთ და აშკარად გამოსახული, როგორც ომის წლებში, როცა ქვეყნიერება ორ უზარმაზარ ბანაკად ვაიყო, რომელთაგან ერთი წარმოადგენდა ექსპლოატაციის სუბიექტს და მეორე—კი მის ობიექტს. მაგრამ პროცესი, რომელიც დაიწყო და რომელსაც საძირკველი ჩაეყარა მსოფლიო ომის დროს განუწყვეტილი თანდათანობით და შეურყველობით, მოხარდი ძლიერებით და მასშტაბით განაგრძობდა შემდეგ წლებში ვითარებას და ეხლაც განაგრძობს. ეს არის **ევროპის თანდათანობითი და აუცილებელი გადაქცევა შეერთებული შტატების კოლონიათ**, მათი კოლონიალური კაპიტალის და იმპერიალიზმის სარბიელათ. ეს თუ ასეა—და ეს რომ ასეა—ამას მოწმობს მთელი დღევანდელი ეკონომიური და პოლიტიკური სინამდვილე, მრავალზე უმრავლესი ფაქტები თანამედროვე ცხოვრებისა (დოუგისის პლანი, კონფერენციები და სხვა)—მაშინ აქედან ლოლიკური აუცილებლობით გამომდინარეობენ შემდეგი დასკვნები: რომელნიც ცხოვრებაშიც მართლდებიან და მტკიცდებიან: 1) შეერთებული შტატების სამეურნეო კეთილდღეობა არ მოასწავებს მასვე ევროპაში. ამის ფაქტურ დადასტურებას, როგორც ომის, ისე ზავის წლები იძლევიან. 2) შეერთებული შტატების კრიზისი დღევანდელი ევროპის პირობებში აუცილებლათ მოასწავებს ევროპის კრიზისსაც. 3) ევროპის კრიზისი არ ნიშნავს შეერთებულ შტატების კრიზისს. 4) ევროპის ეკონომიური კეთილდღეობა და ამავე დროს შეერთებული შტატების კრიზისი შეუძლებელია.

ეს დასკვნითი დებულებები დამყარებულია იმ მსოფლიო ეკონომიურ მდგომარეობაზე, რომელიც შეიქმნა ომის დროს და რომელიც თავისი არსებით და ძირითადი მხარეებით განაგრძობს არსებობას ომის შემდეგ. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ მდგომარეობას აქვს ხანგრძლივი უცვლელობის ხასიათი და შესაძლებელია იგი გაგრძელდეს მინამდი, ვიდრე მსოფლიო კაპიტალიზმის ბურჟებს არ შეარყევენ სოციალური კატაკლიზმები. რასაკვირველია დროულ და გარდამავალ ცვლილებებს, რომელნიც ყოველთვის მოსალოდნელია აღწერილ პირობებშიც, არ ექნებათ იმდენი ძალა და მნიშვნელობა, რომ მათ შესცვალონ თვით საფუძველი განმტკიცებულ ძალთა განწყობილების და დამოკიდებულებისა მსოფლიო ეკონომიკაში: სახელდობრ—შეერთებული შტატების უპირატესობა, გეგემონობა და მესვეურობა.

ზემოხანთქამიდან და აღწერილიდან თავის თავათ გამომდინარეობს და პასუხს ითხოვს საკითხი: როგორი ზეგავლენა მოახდინა შეერთებულ შტატების ეკონომიურ მდგომარეობაზე ომის შედეგებში, ე. ი. როგორ იმოქმედა მათ მა-



ლალ კონიუნქტურაზე და კეთილდღეობაზე იმ აფორიაქებულმა, ქრთვულმა მდგომარეობამ, რომელიც დასტოვა ომმა. თავის თავად ცხდია კრძალვების წლის განმავლობაში გამუდმებულმა რყევამ და ნგრევამ სასტიკი დალი დააჩინა მთელი ქვეყნის მეურნეობას. ეს დალი ღრმით ჩაეჭლო შეერთებულ შტატების სხულშიც და მისი განებივრებული ცხოვრება ხიფათის და შიშის წინაშე დააყენა. როგორც ზევით იყო აღნიშნული — თუმცა არსებითად არ შეცვლილა მათი მდგომარეობა, მაგრამ მათ მაინც დიდი რყევა და ბორბიკი განიცადეს. დიდი სიმწვავეით და ტკივილით აღინიშნა მსოფლიო კრიზისის შოლტები მათ ზღრზეც. განა შესაძლებელი და წარმოსადგენი იყო, რომ ომს, რომელმაც ძირიანბუდიანათ ააფორიაქა არსებული მდგომარეობა და რომელმაც შთანთქა და განადგურა განუხომელი სიმდიდრე და ძალა კაცობრიობისა, უკვალოთ ჩაეგდო რომელიმე ქვეყნის ან ხალხის ცხოვრებაში.

ომმა დაარღვია საეგებით მსოფლიო მეურნეობის წონათსწორობა, დაანგრია მსოფლიო ვაჭრობის ბაზრები და გზები, მოშალა საქონლის და ფულის ბრუნვა, განადგურა ქვეყნები და გააპარტახა მრავალი ტერიტორიები, მოსწყვიტა ევროპა ნედლეულობის წყაროებს და მისი საუკუნის განმავლობაში დაგროვებული სიმდიდრე ცეცხლის ქარს მისცა და გააცამტვერა.

მთელი რაოდენობა იმ ღირებულებათა, რომელნიც შთანთქა ომმა დაახლოვებითი გამოანგარიშებით უდრის 1.200 მილიარდ ოქროს ფრანკს \*) და დახოცილ-დასახიჩრებულთა რიცხვი-კი 27 მილიონ ადიმიანს, \*\*) რომელნიც საუკეთესო ფიზიკურ შემოქმედ ძალას წარმოადგენდენ. აქედან აშკარაა, თუ როგორი საშინელი ზარალი და ენება მიუყენებია ომს მსოფლიო მეურნეობის როგორც ფიზიკურ, ისე მატერიალურ საწარმოვო აპარატისთვის. აშკარაა აგრეთვე ისიც, რომ ამ უზარმაზარ დანაკლისის ანაზღაურება ყოველად შეუძლებელი იყო და ის აუცილებლათ უნდა გადაქცეულიყო მსოფლიო კრიზისის ერთ ერთ უმთავრეს მიზეზათ.

ამ ხარისხის მიზეზებს ეკუთვნის უკვე დასახელებული წონათსწორობის მოსპობა, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ ომმა ორ ნაწილათ გათიშა კაპიტალისტური ქვეყნები და სახელმწიფოები. ორ მოპირდაპირე და ეკონომიურათ განსხვავებულ ბანაკათ გადაჯგუფა ისინი.

ის საუქველი, რომელზედაც მოხდა ასეთი გადაჯგუფება, მდგომარეობდა იმაში, რომ ერთი რიგი ქვეყნებისა, რომელნიც დაშორებული იყვნენ ომის ასპარეზს, როგორც არიან ამერიკა, იაპონია და რამოდენიმეთ ინგლისიც, ვარდაიქვენ ზედმეტი წარმოების რაიონათ. (перепроизводство).

\*) იხ. „Известия“ № 106, 1921 წ.

\*\*) იხ. Флеровский — „Мировая война“: მოკლულთა რიცხვი — 8.850.000. დასახიჩრებულთა რიცხვი — 17.950.000. ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი კენინსი სწერს, რომ მხოლოდ ომი დაჯდა 24 მილიარდი გირვანქა სტერლინგით. იხ. მისი: „Экономические последствия мира“.

იტალიის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ფრანკესკო ნიტი ანობის: „თანამართლად უფრო სარწმუნო რეკონსტრუქციის გამოანგარიშებისა ომში მოკლულთა რიცხვი უდრის 8.000.000. ამაზე უნდა მოემატოს 20.000.000 დასახიჩრებული და 7.000.000 სახელო ტყვე და უზო-უკვლოთ დაკარგულნი. იხ. მისი „Вырождение Европы“.



ის ქვეყნები-კი, სადაც ომის ცეცხლი მიძინვარებდა (გერმანია, ჰუნგარი, პოლონეთი და სხ.) გადაიქცენ უკმარისი წარმოების რაიონებად (непроизводительные), რაც ჰქმნიდა სიმდიდრის და მატერიალურ საშუალებათა უთანასწორო განაწილებას და ეკონომიურ ურთიერთობათა სულ სხვა, ახალ ნიადაგზე გადატანას.

ასეთივე ძირითად მიზეზთა კათეგორიას ეკუთვნის აგრეთვე ის ფაქტი, რომ ომმა წარმოშვა გაუმაძღარი მილიტარისტული ბაზარი და ომის მოთხოვნილებანი გადაიქცენ ღერძათ მსოფლიო წარმოების და ვაჭრობისა. ამ უსაზღვრო და უძირო სამხედრო ბაზრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მოეწყო და ამუშავდა მთელი მექანიზმი მსოფლიო წარმოებისა, ე. ი. მოხდა საწარმოო მექანიზმის და ტექნიკის სამხედრო მოთხოვნილებათა ნიადაგზე გადაწეება (перестройка). თუ მანამდე წარმოებას სამოქალაქო ბაზრის მოთხოვნილება ედგა საფუძვლათ და მასზე ემყარებოდნენ ნორმები კაპიტალისტური მოგების და პროცენტისა; თუ მანამდე მშვიდობიანი, წყნარი მდგომარეობა საზოგადოებისა ახასიათებდა მის პროდუქციას, ომის დაწყებისთანავე მან სწრაფი თანდათანობით იცვალა სახე, იწყო გადასვლა სამხედრო ნიადაგზე და ჩვეულებრივი საქიროების საგნების მიგიერ შეუდგა საომარ საგნების დამუშავებას. ბრძოლის ასპარეზზე გამარჯვება და მისი ტექნიკური უზრუნველყოფა, გაადვილება შეიქმნა წარმოების უძლიერეს მამოძრავებელ ფაქტორათ. თვით სამხედრო წარმოება — კაპიტალის ზრდის და სარგებელ ანობის საუკეთესო ფორმათ. სამხედრო საქმეში კაპიტალი იგებდა პირდაპირ საზღაპრო პროცენტს და ერთი ათათ და ათასათ იქცეოდა. ამიტომ სრულიათ ბუნებრივია, რომ კაპიტალების გადასვლა და დაბანდვა სამხედრო წარმოებაში ომის დროს ღებულობს სტიქიურ და მასიურ ხასიათს. სამოქალაქო წარმოებაში კაპიტალები აღარ იცდიან და მიეშურებიან იქ, სადაც მეტი მოგებაა, ე. ი. იმ დარგებში, რომელნიც ომის ახლობელ, ან შორეულ მოთხოვნილებებს ემსახურებიან. რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ სამოქალაქო წარმოების დარგი ამავე დროს სრულებით ცარიელდება და დაღუპვის გზაზე თავდაყირა მიექანება. არა! ამ დარგში კონკურენცია მცირდება და აქ დაბანდულ კაპიტალისთვისაც შედარებით უკეთესი პირობები იქმნება. ეს გარემოება აჩერებს აქ ერთ გვარ minimum-ს კაპიტალებისა.

მთელი კომპლექსი ამ მიზეზების და მათ თანამხლებ მოვლენებისა უკვე ომის მიწურულში ჰქმნიან უტყუარ, წინა მობრედ ნიშნებს მოსალოდნელ შედეგებისა.

ჩვენ მოკლეთ განემარტავთ ომის მომყოლ ცვალებადობის მსოფლიო მეურნეობის სფეროში.

რაც უფრო გრძელდებოდა ომი და რაც უფრო ფართოდებოდა მისი ასპარეზი, მით უფრო მომეტებულათ სწარმოებდა კაპიტალების კონცენტრაცია საომარ მრეწველობის დარგებში, მით უფრო ძლიერი იყო საწარმოო ძალთა ინტენსიფიკაცია აქ, მით უფრო ჩვეულებრივ და საერთო ხასიათის ღებულობდა სამხედრო კონსტრუქცია კაპიტალისტური აპარატისა. ამაზე იყო დამყარებული



ომის დროინდელი მაღალი კონიუნქტურა მსოფლიო მეურნეობის მსხვილ ნაწილს კაპიტალი გააფთრებული ზვედა მოგებას და მოსალოდნელს მნიშვნელოვნად ამაღლებდა ან არ ფიქრობდა, ან უმლური იყო წინდახედულათ შეებოჭა თვისი გამგებებული ინსტინქტები. ეს მაღალი კონიუნქტურა, რასაკვირველია, არ იყო ნორმალური, ბუნებრივი და ჩვეულებრივი განვითარების გამომხატველი. იგი იყო ომის მომენტის სპეკულიაციებზე დამყარებული—და ამიტომ იგი აუცილებლათ უნდა დაეცემულიყო, როგორც ეს მომენტი—სამხედრო ბაზარი—გამოეცლებოდა ფეხქვეშ. ასეც მოხდა.

**1918 წლის ნოემბრიდან**, როცა გათავდა იმპერიალისტური ომი და ბოლო მოეღო სამხედრო მოქმედებას, შეწყდა სამხედრო დაკვეთები და დაიხურა წარმოებანი, რომელნიც მუშაობდნენ სამხედრო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ, დაიშალა უზარმაზარი არმიები და გაჩნდა ყველგან საშინელი უმუშევრობა—მაღალი კონიუნქტურა უცბათ ყირამალა ვადმოტრიალდა და ნისი ადგილი კრიზისმა და დეპრესიამ დაიკავა. სამხედრო ბაზრისთვის მორთული და მოწყობილი კაპიტალისტური წარმოების მექანიზმი და აპარატი გამოუსადეგარი და შეუფერებელი აღმოჩნდა სამოქალაქო ბაზრისა და მშვიდობიან ცხოვრების მოთხოვნილებებისთვის. ხალხებს და ქვეყნებს აღარ ესაჭიროებოდათ დინამიტი და იპერიტი\*) ყუმბარები და ტანკები, გელიანი მავთული და სხ. ამოდენა სამხედრო წარმოება მთელი მისი მილიტარისტულათ მოწყობილ ფაბრიკა-ქარხნებით აღარაფრის მაქნისი აღარ იყო. ამას უნდა დაერთოს ფრონტების ლიკვიდაცია, საიდანაც ბრუნდებოდნენ ჯარის კაცთა—მუშათა და გლეხთა—მილიონიანი მასსები გაბოროტებულნი მთავრობების და გაბატონებულ კლასების წინააღმდეგეგრობის ბურჟუაზიის წინაშე დადგა საბედისწერო საკითხი. მის წინაშე აღიმართა სოციალური რევოლუციის აჩრდილი. მას ყოველგვარი ღონე და ხერხი უნდა ეხმარა, მთელი თავისი ეკონომიური ძლიერება, მთელი თავისი ორგანიზაცია (სახელმწიფო ტრესტები და სხ.) უნდა იემუშაებთა მაქსიმალური სისწრაფით და ძალით, რომ კარზე მომდგარი კატასტროფა თავიდან აეცილებთა. საჭირო იყო მრეწველობის დემოზილიზაცია მეომარ და ჟომარ ქვეყნებში და ომის ცეცხლიდან გამოსულ და უმუშევრათ დარჩენილ მშრომელ მასების წარმოებაში ჩაბმა და დაბანდვა\* საერთაშორისო კაპიტალი გამალებული შეუდგა დამდგარი კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლას. მან ხელი მიჰყო თავის მილიტარისტულ მექანიზმის სამოქალაქო მოთხოვნილებათა ყაიდაზე გადაშენება—გადაქეთებას, მშვიდობიან დროის პირობებთან შეფარდებულ პროდუქციის და აღენიციეობის აღდგენას. კრიტიკულმა მდგომარეობამ ვასტანა მხოლოთ 5—6 თვე. ამ დროს განმავლობაში კაპიტალმა კვლავ აამუშავა მანქანები, ქარხნები, ფაბრიკები და—ხიფათისაგან თავდალწეული ისევე მედიდურათ გამოვიდა საქვეყნო ასპარეზზე.

\*) საშინელი საწამლავი ზახი, რომელსაც აქვეყნენ სითვთ და ჰაეროპლანებიდან იწყებენ ბიდამობს. მოქმედებს როგორც ცოცხალ არსებებზე, ისე უცხო საგნებზე. მოქმედება ვრცელდება 3—4 თვე.



ეხლა ის იყო განზანდობილი სისხლისაგან და ჯაყუნის მაგიერსა და კი-  
ლინდრში იყო გამოწყობილი. ის ისე გაიზარდა, გაძლიერდა და გასუსტა ომის  
დროს, მან ისე ვაამაგოა და განამტკიცა თავის კონცერნტრიული ორგანიზაცია,  
მას, ინდენი თავდაცვის, წინააღმდეგობის და ბრძოლის საშუალება მოგზავებო-  
და, რომ ადვილათ შესძლო 5—6 თვის რყევის შემდეგ პოზიციების შენარჩუ-  
ნება და გამაგრება.

ევგენი ვარგა ამბობს: „ასეთი წინააღმდეგობის ძალა კაპიტალისა და მუ-  
რებულის იყო იმაზე, რომ ომის დროს კაპიტალმა სავსებით დაამთავრა თავისი  
ორგანიზაცია. საწარმოთა ტრესტებში გაერთიანება და მათი თითქმის მთლი-  
ანათ მსხვილ ბანკების კონცერნებში მოქცევა ისეთი ჯაქვით აკავშირებდა ამ  
უკანასკნელთ ერთი მეორესთან, რომ ერთი რგოლის გამოვარდნა მთელი წინო-  
ბის დანგრევას მოასწავებდა“. — ამნაირათ სახელმწიფო აპარატი და ტრესტე-  
ბის და ბანკების ორგანიზაცია შეიქმნა ის იარაღი, რომლის საშუალები-  
თაც საერთაშორისო კაპიტალმა შედარებით ძალიან მკირე ვადის განზავლო-  
ბაში მოასწრო და მოახერხა თავის მექანიზმის რეკონსტრუქცია და ომის შედე-  
გების პირველი ტალღის მოგერიება. ჩვენ აქ აღარ გამოუვადებთ ომის აღწე-  
რას და განმარტებას, თუ როგორი დახმარება აღმოუჩინა საერთაშორისო სო-  
ციალ დემოკრატიათა გაბატონებულ კლასებს და მათ მთავრობებს ამ კრიტიკულ  
და საბედისწერო მომენტში.

**1919 წლის გაზაფხულამდე** გაგრძელდა აღნიშნული მდგომარეობა, რო-  
მელსაც სიტყვის ნაწიდილი მნიშვნელობით არც-კი შეიძლება უწოდო კრიზისი,  
არამედ მხოლოდ დროებითი დაბრკოლებანი. ამ დროიდან დაიწყო კონიუნქტურ-  
რის აწევა და საერთოთ მდგომარეობის გაუმჯობესება. ყველა ქვეყნის და  
სახელმწიფოს მცხოვრებთა დიდი მასები, რომელნიც ომიან წლებში მოკლე-  
ბულნი იყვნენ საჭირო სავნებს და ნიუთებს თავიანთი ცხოვრების ძირითადი  
და ელემენტარული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ, ეხლა ჰქმნიდენ  
უსაზღვრო ბაზრის პერსპექტივას ახალი პროდუქციის ჩასანთქავათ, თუმცა  
ამ პერსპექტივის განზორციელებას ეწინააღმდეგებოდა მათი მატერიალური  
უსაღსრულობა; ადგილობრივი მეურნეობა, რომლის საშუალებანი და იარაღნი  
ომის დროს ძალზე გაეცეთილიყვნენ და დაძველებულიყვნენ, თავის საწარმოო  
ტექნიკის აღსავლენათ და ასამუშაველათ აგრეთვე დიდ მოთხოვნილებას  
უდგენდა მსოფლიო კაპიტალის ცენტრებს. შინაური და გარეშე ბაზრები  
დაკარიელბულნი იყვნენ და სამხედრო სურსათ—მასალის და მოწყობილების  
გარდა იქ სამოქალაქო საჭიროების სავნები თითქმის არ მოიპოვებოდენ. ეს  
გარემოება უშლიდა დიდ, თვალუწევდენელ სარბიელს საერთაშორისო კაპიტალს.  
განსაკუთრებით-კი გამარჯვებულ სახელმწიფოების—ანტანტის—კაპიტალს, რო-  
მელსაც ეხლა ხელთ ეგდო დაშარტებულთა არსებითი წყაროები და საშუა-  
ლებანი. მის ხელში იყო ეხლა ავსტრო-გერმანიის თითქმის მთელი სავაჭრო  
ფლოტი, რაც ასე გამოსადეგი იყო სავაჭრო ვაჭრობის ქსელის ფართოთ გა-  
საშლელათ.

მის ხელში იყო ეხლა მათი კოლონიები, რომელნიც ნედლეულობის დაე-



შრეტელ აუზებს წარმოადგენდნენ, ერთი სიტყვით საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს და სამოქმედო შინ და გარეთ თავზე საყრელი მქონდა. მაშინდელს, ამ უნიუენტურის ზრდაში სპეკულიაციას დიდი ადგილი ექირა, ე. ი. ხშირათ იზრდებოდა ფასები და მოგება და არა თვით წარმოება, მაგრამ საერთოთ სრულებით უმეტესი იყო ეკონომიური უმჯობესობის პერიოდის დადგომა მსოფლიო მეურნეობაში. ეს უმჯობესობა რამოდენიმეთ დამარცხებულ და განადგურებულ გერმანიასაც-კი დაეტყო, მაგ. ქენახშირის წარმოებაში, მაგრამ ეს რასაკვირველია დამახასიათებელ ფაქტათ არ გამოდგება. ანტანტის ქვეყნების მრეწველობის მდგომარეობა მის ძირითად დარგებში გამოიხატება შემდეგნაირათ:

## საფრანგეთი.

წლები	ნახშირი	რკინა	ფოლადი
	(მილიონ ტონობით)		
1918	26,3	1,29	1,80
1919	22,0	2,41*	2,18*
1920	25,0	3,43*	3,00*

## ინგლისი

	ნახშირი	რკინა	ფოლადი
1918	231	9,2	9,5
1919	233	7,4	7,9
1920	229	8,1	9,0

## შერთებული შტატები.

	ნახშირი	რკინა	ნავთი
	(მილ. ტონ.)		
1918	615	3,95	356
1919	494	30,6	378
1920	600	31,4	442

მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ევროპულ სახელმწიფოების წავალიუტო და ფინანსიურ მდგომარეობას, მაშინ მათი წარმოების და პროდუქციის აწევა აღარ მოგვეჩვენება ნიშნათ ხანგრძლივი ჯანსაღობის და ზრდისა. ნიუიორკის ბირჟაზე ევროპული ვალიუტების დაცემა და მათ შორის სტერლინგისაც—სწარმოებდა უცვლელი თანდათანობით. თუ 1918 წლის ოქტომბრის დამლევში ერთი ვირუანქა სტერლინგი ღირდა 4,75 ამერიკული დოლარი \*\*, 1920 წლის მარტის მიწურულში ის ღირდა უკვე 3,87 სტერ. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოების ვალიუტას, ეს განსხვავება და დაცემა შედარებით ამერიკელ დოლართან უფრო თვალსაჩინოა. იმავე ხანებში დოლარი ღირდა: 5,47—

\*) ელზას-ლოტარინგით.

\*\*) პარიტეტი: 1 ვირ. სტერ. = 4,87 დლ., 1 დოლარი = 5,18 ფრანგულ ფრანკს; 1 დოლ. = 5,18 იტალ. ლირას; 23,83 ცენტი = 1 გერმანულ მარკას; 49,85 ცენტი = 1 იაპონ. იენას.





13,40 ფრანგ. ფრანკი; 6,36—19,60 იტალ. ლირა; გერმანული მარკა ლირა: 3,30—1,35 ცენტრი; იაპონურია იენა: 54,60—46,25 ცენტრი; ჩრდილოეთ გა-მარჯვებულ, ან დამარცხებულ ქვეყნების ვალიუტები, არამედ ნეიტრალური სა-ხელმწიფოების—და მათ შორის იაპონიის, რომელიც ამერიკული ტემპით გამ-დიდრდა ომის დროს, მოიხარენ და პირველ დაეშვენ დოლარის წინაშე. ყველა ევროპული ვალიუტების დაკემა დოლართან შედარებით აღნიშნულ დროს გან-მავლობაში გამოიხატებოდა 10%—40% აქ არ არის მიღებული მხედველობაში რასაკვირველია, პოლონეთი, გერმანია და სხვ. სადაც ნაციონალური ვალიუტის მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფულ სურათს წარმოადგენდა. თუ საზოგა-დოთ მიჩნეული და დამტკიცებულა, რომ ვალიუტის მდგომარეობა, საეალიუ-ტო კურსის დონე, უტყუარი მაჩვენებელია ქვეყნის ეკონომიური მდგომარეო-ბისა, მაშინ მოყვანილ ცნობებიდან თავისთავათ გამომდინარეობს ასეთი პირ-დაპირი დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ევროპამ ხანმოკლე დაბრკოლებების შემდეგ 1918 წლის ბოლოს და 1919 წლის დასაწყისში—ყველა მოიმარჯვა მე-ურნეობის ბერკეტი ხელში, მოახდინა რემონტი და რეკონსტრუქცია თავის მე-ქანიზმის და აპარატისა, და შეუდგა პროდუქციის გაძლიერებას, მან მაინც ვერ შეძლო თავის ვალიუტების გამაგრება, მათი სტაბილიზაცია და გაჯანსაღება-ამავე დროს შეერთებული შტატების ვალიუტა—დოლარი—ქვეყნის მბრძანებე-ლი ხდება და იგი მიუწდომელ სიმალღეზე ბრკვეილებს, როვორც ლერბი ამე-რიკული კაპიტალის გვეგმონიის და მეფობისა. ერთი მხრით ევროპა გვიჩვენებს მეურნეობის ორგანიზაციის და რამოდენიმეთ პროდუქციის გადიდების სურათს, მეორე მხრით—კი ვალიუტების დაკემას, უფულობას და ფინანსიურ კრიზისს.

რა თქმა უნდა, ასეთ მდგომარეობას არ შეიძლება ეწოდოს ნორმალური და ჯანსაღი განვითარების პროცესი. არც ის შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მდგომარეობა თავის თავათ არ შეიცავს ნიშნებს მოსალოდნელი რყევის და და კრიზისისა.

სამეურნეო ამაღლების ხანა მოკიდებული 1919 წლის გაზაფხულიდან გაგრ-ძელდა 1920 წლის გაზაფხულამდე, როდესაც უკვე აშკარა შეიქნენ პირველი ნიშნები კარზე მომდგარი მსოფლიო სამეურნეო კრიზისისა, მთელი მისი თან-მხლები უბედურებით განსაკუთრებით მუშათა კლასისთვის (უმუშევრობა, შიმ-შილი და სხ.) რა იყო ამის მიზეზი?

პირველ ყოვლისა რა არი თვით კრიზისი? ეს არის—შექმნილი პროდუქ-ციის მოუნელებლობა ბაზრის მიერ, ე. ი. როცა საქონლის მიწოდება ჰაერში გამოკიდებული რჩება და ის ვერ აღწევს მომხმარებელის მოთხოვნილებას—ან იმიტომ რომ ამ მომხმარებელს არ გააჩნდა მატერიალური შეძლება შეძენის, ან იმიტომ, რომ მას უკვე დაკმაყოფილებული აქვს თავის მოთხოვნილება და მეტი საგნების შეძენა აღარ ესაჭიროება, ამ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ისეთ კრიზისზე, რომელიც გამოწვეულია მომხმარებელ მასების მატერიალურ შეუძლებლობის, მათი გაღატაკების გამო. ანბანურ კტეშმარტებათ უნდა ჩაითვა-ლოს ის, რომ საზოგადოთ თანამედროვე ომი წარმოადგენს კაპიტალისტურ ინ-ტერესების ბრძოლას და თუ ერთ ჯგუფს კაპიტალისტებისა იგი დამარცხებას უქა-



დის, მეორეს—ყოველთვის გამიარჯვების და გამდიდრებას. მოკლედ რომ ვთქვათ, მდიდრდება და ჯიბეს ისტელებს კაპიტალისტური კლასი, მაშინ კარგად მოხდება მასებისთვის (პროლეტარიატისა და გლეხკაცობისათვის) ის დიდ გაჭირვებას, უბედურებას, ფიზიკურ და მატერიალურ განადგურებას მოასწავებს. შრომის ექსპლუატაცია ღებულობს უსასტიკეს ფორმებს, საქონლის და საარსებო საგნების ფასები სულ მალა და მალა იწვევენ, მათ ვერასოდეს ვერ ეწევა სამუშაო ღირსა, რასაც პირ და პირი აუცილებლობით მოჰყვება ფართო მასების სრული ეკონომიური უსალსრობა და შიმშილი. განა ასეთი საშინელი მდგომარეობის სურათს არ გვიშლის თვალ წინ ოთხი წლის იმპერიალისტური ომი და მისი მომყოლი წლებიც. და ამ სწორეთ მცხოვრებთა ფართო მასების მიერ შექმნილ უნარის და შეძლების დაკარგვა შეიქმნა ერთ უმთავრეს მიზეზათ მსოფლიო კრიზისისა 1920—1921 წლებში. მეორე გარემოება, რომელიც უნდა აღინიშნოს როგორც ისეთივე მნიშვნელობის და ხარისხის მიზეზი, მდგომარეობდა იმანი, რომ მსოფლიო ბაზარი ომის შემდეგ ძალზე შეკვეცილი და განსახლებული აღმოჩნდა. მსოფლიო სამეურნეო ბრუნვიდან გამოისხლიტა მთელი რიგი ქვეყნებისა, რომელნიც მანამდე მსოფლიო პროდუქციის გამსაღებელ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ერთი სიტყვით—აღდგენილი და ფართო სამოქალაქო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ განზადებული—საწარმოეო მექანიზმი და პროდუქცია დაუპირდაპირდა მასების უსალსრობას და გამსაღებელ ცენტრების დაკარგვას. კაპიტალმა მოასწრო რეკონსტრუქცია და ამუშავება სამეურნეო მექანიზმისა, მაგრამ მან ვერ შესძლო მსოფლიო ბაზრის ორგანიზაცია და ამიტომ გაუსაღებელი პროდუქცია დაიწვა მას ზურგზე საფლავის ლოდით. ეს იყო კარბი-წარმოების კრიზისი და რასაკვირველია ის უნდა დამწვებულიყო იქ, სადაც ყველაზე მეტი კარბი წარმოება და პროდუქცია არსებობდა, იმ ქვეყნებში, რომელნიც ომამდინაც და განსაკუთრებით-ი ომის დროს დიდათ განვითარდნენ და გამდიდრდნენ, რომელნიც მოცილებულნი იყვნენ საომარ რაიონებს და ამიტომ ომის განმანადგურებელი მოქმედება არ შეხებია მათ ტერიტორიებს. ასეთი ქვეყნები იყო პირველყოფლისა **შეერთებული შტატები** და **იაპონია** და შემდეგ **ინგლისი**. პირველათ დაიწყო კრიზისი იაპონიაში, შემდეგ ესტუმრა შეერთებულ შტატებს და ბოლოს მოედვა მთელ ევროპას ინგლისიდან. ინგლისს ამ დროს უკვე საესეებით აღდგენილი ჰქონდა თავის წინანდელი, ე. ი. ომამდე არსებული, მრეწველობა და პროდუქცია, გარდა ერთი დარგისა, სახელდობრ ნახშირის წარმოებისა. ამ ამ ქვეყნებში იყო დაზვავებული დიდძალი საქონელი, რომელიც გასაყვალს, გასაღებას, ბაზარს ითხოვდა, რომელიც ეძებდა მომხმარებელს. რასაკვირველია მათსავით მწვავეთ და აუტანელათ არც ერთი სხვა ქვეყანა არ განიცდიდა სისხლის და ქონის კარბობას ორგანიზმში, რაც მათ დამბლით ემუქრებოდა. სხვა ქვეყნებში (ევროპა) შედარებით უფრო სისხლნაკლულნი იყვნენ, მათ ისე არ აღჩნობდა აღდგენილი პროდუქციის რაოდენობა და მათ ამიტომ კრიზისის სენი რამოდენიმე თვით უფრო გვიან მოედვათ. პირველი ნიშნები კრიზისისა გაჩნდა იაპონიის საქსოვ მრეწველობაში. ბჭედან გავრცელდნენ დანარჩენ დარგებზე, მაგრამ ჯერ კრიზისს არ ჰქონდა იაპონიაში მიღებული საზოგადო ხასიათი, რომ



შეერთებულ შტატებში ის უკვე მთელ მეურნეობას მოედევანა, კერძოდ კი მთელ-ლობის და მიმართულების გამოსარკვევით საჭიროა მიემართოს საბითუმო ფასების სტატისტიკას. საბითუმო ფასების დონე და განსაკუთრებით კი მათი დროგამოშვებითი სისტემატიური რივი იძლევა სწორ წარმოდგენას არსებულ სამეურნეო კონიუნქტურის შესახებ. მაღალი ფასები მაჩვენებელია კარგი მდგომარეობის, როცა წარმოება იზრდება, კაპიტალი ივებს, პროდუქცია გასავალს პოულაბს, უმუშევრობა მცირდება. როცა ფასები ეცემა, ეს ნიშნავს საზოგადოთ მდგომარეობის გაუარესებას: მიწოდების კარბობას მოთხოვნილებაზე, პროდუქციის გაუსაღებლობას, უმუშევრობის მომატებას და სხ. ამიტომ საბითუმო ფასების სტატისტიკის განხილვა გვიჩვენებს კრიზისის დაწყების მომენტს სხვა და სხვა ქვეყნებში და მისი გაერკველების გზას.

ქვევით მოყვანილი ცნობები ყოველთვიური საშუალო საბითუმო ფასებისა გამომანგარიშებულია შედარებით 1913 წლის საშუალო ფასებთან, რომელთა დონე აღებულია, როგორც 100.

ხაზგასმული რიცხვები მაჩვენებელია ფასების აწევის უმაღლესი წერტილის, რომლის შემდეგაც იწყება მათი ქვევით დაქანება).

შეგრ. შტატ. ინგლ. იაპონ. საფრ. იტალ. პოლანდ. შვეიცია

**ფასების ინდექსები**

1920 წელი							
იანუარი . . .	227	288	301	487	507	287	319
თებერვალი . . .	226	303	313	522	556	283	342
მარტი . . . . .	225	<b>310</b>	<b>321</b>	554	602	286	354
აპრილი . . . . .	225	306	300	<b>587</b>	<b>664</b>	292	354
მაისი . . . . .	216	304	248	550	660	293	361
ივნისი . . . . .	210	291	255	<b>493</b>	632	294	<b>366</b>
ივლისი . . . . .	204	292	240	496	604	<b>296</b>	363
აგვისტო . . . . .	195	288	235	501	625	288	365
სექტემბერი . . . . .	184	284	231	526	655	285	362
ოქტომბერი . . . . .	170	266	226	502	659	282	346
ნოემბერი . . . . .	150	245	221	461	670	260	331
დეკემბერი . . . . .	137	220	206	435	655	233	299

ზოგიერთი სხვა სტატისტიკური წყაროები თუმცა რიცხვების მხრივ რამოდენიმეთ განსხვავდება იან აქ მოყვანილი ცხრილიდან, მაგრამ მოკლენას მაინც სწორათ აღნიშნავენ და არსებითათ იმასვე ადასტურებენ. ყველაზე მნიშვნელოვან განსხვავებათ შეიძლება მიჩნეულ იყოს ის, რომ ინგლისურ ფასების უმაღლესი წერტილი მოყვანილ ცხრილში აღნიშნულია მარტში, მაშინ როცა სხვა (მაგ. „Statist“) წყაროები აღნიშნავენ აპრილში. რასაკვირველია არსებითათ არც ეს ცვლის მოკლენის ხასიათს. ამნაირათ—კრიზისი პირველათ დაწყებულია ეკონომიურათ ყველაზე უფრო გამდიდრებულ და გაძლიერებულ

ეროვნული

სახელმწიფოებში — შერთებულ შტატებში და იაპონიაში, შემდეგ ჩინეთში, ინგლისს, აქედან მოდებია ევროპას და ბოლოს ნეიტრალური სახელმწიფოებიც ჩაუთრევია. რასაკვირველია ის ქვეყნებიც, რომელნიც აქ დასახლებული არ არიან, მოქცეული იყვნენ კრიზისის რკალში და მის მოქმედებას განიცდიდნენ, როგორც მაგალითად გერმანია, შვეიცია-ნორვეგია, შვეიცარია, კანადა და სხ.

საინტერესოა იმის შემდეგ რამოდენიმე წლის საშუალო წლიური ფასების დაპირდაპირება ერთმანეთთან, რომ მსოფლიო სამეურნეო კრიზისი უფრო მკაფიოთ გამოაწკარავდეს.

	ინგლისი	შვერ.	შტ.	საფრან.	იტალ.	იაპონ.	შვეიც.
1913 . საშ. ფასები	107	100	100	100	100	100	100
1918 .	229,226	203,2	339,2	409,1	195,9	339	
1919 .	253,242	202,7	355,6	365,8	239,5	331	
1920 .	295	197,2	509,3	624,3	257,9	347	
1921 .	182	122,3	344,9	577,5	200,5	211	

ეს რიცხვები, რომელნიც გამოყვანილია უნთავრესი საქონლების ფასებიდან, ანკლავებენ დიდ გარდატეხას, დიდ დეპრესიას მსოფლიო მეურნეობაში, რომელსაც შერთებულ შტატების ზურგზედაც საშინელის სიმწვავეით გადაუვლია. მაგრამ წინდაწინვე შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ქვეყანა ჯანსაღი კაპიტალიზმისა ყველაზე ადრე და ყველაზე ადვილათ გადაიტანდა დროებით ავთომოფობას და გამოვიდოდა კრიზისიდან კვლავინდებურათ ძლიერი და უბადლო.

მსოფლიო მეურნეობის უნთავრესი და უწინშენელოყენსდ დარგების განხილვა იძლევა იმავე დასკვნებს.

**ქვანახშირი**

(მილიონ ტონობით. თვიურ საშუალო რიცხვით).

წ. წ.	ინგლისი	შვერთ.	შტატები	საფრანგეთი	ბელგია
1913 . . . . .	24,3	43,1	3,4	1,9	
1918 . . . . .	19,2	51,8	2,2	1,9	
1919 . . . . .	19,5	41,2	1,8	1,5	
1920 . . . . .	19,4	48,8	3,0	1,9	
1921 . . . . .	13,8	36,3	3,2	1,8	

**თ უ ჯ ი**

(ათას ტონობით. თვიურ საშუალო რიცხვით)

წ. წ.	ინგლისი.	შვერთ.	შტატები	საფრანგეთი	ბელგია
1913 . . . . .	869	2693	437	207	
1918 . . . . .	768	3308	108	—	
1919 . . . . .	627	2627	201	21	
1920 . . . . .	680	3083	276	93	
1921 . . . . .	222	1401	280	73	



**ფოლადი**

(ათას ტონობით. თვიურ საშუალო რიცხვით).

წ. წ.	ინგლისი.	შვედთ.	შტატ.	საფრანგეთი	ბელგია
1913 . . . . .	659	2651	368	206	
1918 . . . . .	812	3766	150		
1919 . . . . .	669	2936	182	28	
1920 . . . . .	768	3461	241	104	
1921 . . . . .	314	1628	255	66	

აქედან აშკარაა, რომ თუმცა შვედთებულ შტატების მრეწველობას სასტიკი დეპრესია განუტლია, მაგრამ მისი დონე და პროდუქცია მაინც შეუდარებლად იღვწება სხვა ქვეყნებისას. ცხადია, რომ მათ პირველი ადგილი მსოფლიო მეურნეობაში არ დაუკარგავთ არც საერთო ეკონომიური უბედურების დროს და ძლიერების და ვეგემონიის პოზიცია საესვებით შეუნარჩუნებიათ. როგორც ომამდლი, ისე ომის დროს და ომის შემდეგაც შვედთებულ შტატები შეურყეველად იდგენ კაპიტალისტურ ქვეყნების სათავეში და—ყველაზე უფრო ძლიერნი და განვითარებულნი ამ უკანასკნელთა შორის ძალიან დიდ მანძილზე რჩებოდნენ მათ უკან. ინგლისი და გერმანია—დანარჩენებზე ლაპარაკიც მეტია—არამც თუ ვერ ეწეოდნენ, არამედ ვერც-კი უახლოვდებოდნენ შვედთებულ შტატებს. შედარებითი მისშტაბი მათი საწარმოო ძალთა მდგომარეობისა მათი პროდუქციული შეძლებულობისა, მათი ეკონომიკის განვითარებისა თითქმის ყოველთვის უცვლელი იყო, როგორც დაღბინების, ისე გაპირვების დროს, თუ რასაკვირველია არ მივიღებთ მხედველობაში ცოტაოდენ, უმნიშვნელო რყევას რაოდენობათა მეურნეობის ამა თუ იმ დარგში. ამიტომ საყურადღებოა შედარება შვედთებულ შტატების წარმოებისა ინგლის-გერმანიის და მსოფლიოს წარმოებისთან რამოდენიმე წლის განმავლობაში, რომელშიაც შევლენ კრიზისის წლებიც—1920—1921 წ. წ.

**თუჯი (ათას ტონობით)**

წ. წ.	შვედთებული შტ.	გერმანია	ინგლისი	მსოფლიო წარმოება
1913	31.462	12.891	10.650	80.000
1914	23.706	10.123	9.067	60.000
1915	30.395	8.372	8.934	60.000
1916	40.066	9.265	9.193	71.000
1917	39.239	9.580	9.571	70.000
1918	39.680	9.184	9.218	67.000
1919	31.512	5.654	7.516	52.000
1920	37.517	6.604	8.136	59.000
1921	17.018	7.620	2.743	36.000

**ფოლადი. (—)**

წ. წ.	შვედთებული შტ.	გერმანია	ინგლისი	მსოფლიო წარმოება
1913	31.802	15 313	8.786	75.000

1914	23.889	12.299	7.960	50.000
1915	32.665	11.101	8.687	65.000
1916	43.458	13.418	9.344	80.000
1917	45.174	12.958	9.961	81.000
1918	45.174	12.900	9.745	78.000
1919	35.226	6.877	8.020	57.000
1920	42.807	9.280	9.202	68.000
1921	20.422	10.440	3.756	41.400



ეს ცნობები საქმარისია იმ დასვენის დასადასტურებლათ, რომელიც ზევით იყო მოყვანილი, სახელდობრ, რომ შეერთებული შტატების როლი და ადგილი მსოფლიო მეურნეობაში სრულებითაც არ შეცვლილა, მიუხედავად მსოფლიო კრიზისის მძვინვარებისა. თითქმის წარმოების ერთნაირი პროპორცია არის დაცული მოყვანილ ათეულ წლების განმავლობაში შეერთებულ შტატებსა, ინგლის-გერმანიასა და მსოფლიოს შორის.

ერთ უმთავრეს-შიგნით აღნიშნული კრიზისისა (1920-21 წ. წ.) ჩვენ დავასახელებთ ფართო მომხმარებელ მასების გაღარბება, მატერიალური ხელმოკლეობა, ყიდვა-შეძენის უნარის დაკარგვა (неплатежеспособность). ამის რისკავიერველია თავის პირდაპირი მიზეზი აქვს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ კონტინენტალურ ევროპის ქვეყნებში რეალური სამუშაო ხელფასი დაცვა წარმოების შეწყობის და ფულის ნიშნების გაიფუჭების გამო და საზოგადოთ მუშათა კლასის მდგომარეობა დიდათ გაუარესდა. ასეთივე მატერიალური და-უძლეულება ახასიათებს აგრეთვე საზოგადოების სხვა ქვედა ფენებსაც.

ამ გარემოებამ მოახდინა შესაფერი ზეგავლენა შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის მიმართულებასა და რაიონებზე. ეხლა მათ თანდათან უფრო მეტი საჭონელი გაქონდათ სხვა ქვეყნებში, ვიდრე ევროპაში და თანდათან მეტი შემოაქონდათ სხვა ქვეყნებიდან, ვიდრე ევროპიდან. მაგალითად შეერთებულმა შტატებმა გაიტანა:

	1914 წ.	1919 წ.	1920 წ.
ევროპაში . . . . .	1.486 მილ. დოლ.	4.645 „	4.864 „
სხვა ქვეყნებში . . . . .	878 „	2.387 „	3.247 „
შემოიტანეს:			
ევროპიდან . . . . .	896 „	373 „	1.179 „
სხვა ქვეყნებიდან . . . . .	998 „	2.723 „	4.056 „

ამნაირათ ევროპასთან ვაჭრობა ნელის ნაბიჯით ვითარდება: ექსპორტი თითქმის ერთ დონეზე ჩერდება, იმპორტი შედარებით უფრო იზრდება. ამავ დროს სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა, როგორც ექსპორტი ისე იმპორტი, სულ სხვაგვარ სანახაობას წარმოადგენს. განვითარების პროცესი აქ შეურყეველი და სწრაფი თანდათანობით სწარმოებს. ეს ფაქტი კი იმის მომასწავებელია, რომ ევროპის მნიშვნელობა, როგორც გამსაღებელ ბაზრისა ამერიკულ პროდუქციისთვის, ძალიან შეშკირებულია და დიდათ გაძლიერებულია შეერთებული შტატების ლტოლვა არა ევროპიულ ბაზრისაკენ. ეს გარემოება მისაჩნვეია ძალიან საყურადღე-

ბოთ, რადგან იგი აღნიშნავს იმპერიალისტურ ტენდენციების გაძლიერებას კოლონიალურ და ნახევრათ კოლონიალურ ქვეყნებისკენ. შეერთებული შტატების პროდუქტთა აქეთ ნიმიართება, აქეთ პოულობს გასაყვას და კარგად მოწყობების და მიწების დაპყრობის პოლიტიკას. თავისთავათ ცხადია, რომ ეს არ ეწინააღმდეგება მეორე იმპერიალისტურ ტენდენციას შეერთებული შტატების კაპიტალისა, რაც ეხლა სრულიათ მკაფიო სახესღებულობს და გამოიხატება თანდათანობით თვით ევროპის მის საკუთარ კოლონიათ გადაქცევაში.

ჩვენ აღარ შევჩერდებით აგრარულ საკითხზე ევროპაში და განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, რომელიც აღწერილი კრიზისის კიდევ ერთ მიზეზს არკვევს. მხოლოდ მოკლეთ განვმარტავთ, რომ ეს მიზეზი მდგომარეობდა სოფლის მეურნეობის და მრეწველობის წინააღმდეგობაში და მათ შორის წონათ-სწორების დარღვევაში. შეერთებულ შტატებში სოფლის ნაწარმოების ფასები დაეკენ გაცილებით უფრო მეტათ, ვიდრე სამრეწველო ნაწარმოებისა. ეს ადვილი ასახსნელიც არის: ომის დროს მეომარ ქვეყნების განუზომელ მოთხოვნილებათა გამო სოფლის მეურნეობა შეერთებულ შტატებში დიდათ გაფართოვდა. ეს იყო ხანა ამერიკული ფერმერის დღესასწაულის და კეთილდღეობისა. მაგრამ იგი აღმოჩნდა წარმატალი და საბედისწერო, გათავდა ომი, ვაჭრა გაზვიადებული მოთხოვნილება ფერმერის კირნახულზე, დაიკეტა სამხედრო ბაზარი და სოფლის მეურნეობას დაუდგა შეზღუდვილი დღენი: დაიწყო სასტიკი დაეცმა ფასებისა. ამავე დროს მრეწველობაში მონოპოლისტურათ მოწყობილი კაპიტალი, ტრესტების და კარტელების ორგანიზაციის საშუალებით, მედგრათ ებრძოდა ფასების დაქანებას და რამოდენიმეთ კიდევ აღწევდა მიზანს. ყოველ შემთხვევაში ფასების ინდექსი მრეწველობაში გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე სოფლის მეურნეობაში და ფერმერი გალატაკების მოლიპულ გზაზე მისცურავდა. მას თავის კირნახულის რეალიზაციით აღარ შეეძლო შესაფერი ღირებულების სამრეწველო საგნების შექენა.

რაც შეეხება ევროპას, აქ სოფლის მწარმოებელი აღარ აწევიდა ქალაქს თავის პროდუქციას, რადგან ის ქალაქის ჩენში, რომელიც მას უნდა აეღო მასში, მისთვის გამოუსადეგარი და მოუხმარებელი იყო. მით სოფლის მწარმოებელი ვერ იძენდა ქალაქის მრეწველობის საჭირო საგნებს და ამიტომ მას ეკარგებოდა ინტერესი თავის მეურნეობის გაფართოებისა. სოფლის პროდუქციის რეალიზაცია ქალაქის ბაზარზე ძალიან შემცირდა და ამით დაირღვა ნორმალური ბრუნვა და წონათ-სწორობა ქალაქსა და სოფელს შუა. ეს საოცარი წინააღმდეგობა სოფელსა და ქალაქისა იყო სხვათა შორის ერთ ერთი გამოამწვევი და ხელის შემწყობი მიზეზი ადგილობრივი და მსოფლიო კრიზისისა. მოკვანილტ ცნობები საკმარისია დასმული საკითხის გასარკვევათ და ამიტომ აღარ მივმართავთ შრომის მდგომარეობის აღწერას აღებულ წლების განმავლობაში. საფულისხმოა მხოლოდ, რომ ამ დროს უმუშევრობამ, როგორც კრიზისის თანმსდევმა მოვლენამ უხარმახარი ზომები მიიღო ყველგან როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში და დიდ უბედურებათ დაატყდა თავზე მუშათა კლასს.

კრიზისის სიმწვავე გაგრძელდა 1921 წლის ნახევარში. ამ წლის მეორე ნახევარში იზინა თავი განუღებელი მომასწავებელმა ნიშნებმა. აქტიურად იქნა შექმნილი შეერთებულ შტატებს და იაპონიას, ე. ი. იმ ქვეყნებს, რომლებსაც აპირებდა შეიქმნენ შესავრები მსოფლიო სამეურნეო კრიზისისა.

შემდეგი ცხრილი საბითუმო ფასების ინდექსებისა, რომელნიც ნაანგარიშეა შედარებით 1913 წლის ფასების საშუალო დონესთან (100) აღნიშნავს უმჯობესობისკენ გადატების მომენტს უმოთაგრეს ქვეყნებში.

1921 წ. შვედ. შტატ.	ინგლისი	იაპონია	იტალია	საფრანგეთი	
იანვარი	134	209	201	642	406
თებერვალი	129	192	195	613	377
მარტი	123	189	191	604	360
აპრილი	117	184	<b>190</b>	584	347
მაისი	<b>115</b>	182	191	547	329
ივნისი	116	179	192	<b>509</b>	<b>325</b>
ივლისი	120	<b>178</b>	196	520	330
აგვისტო	121	179	199	542	331
სექტემბერი	121	183	207	580	342
ოქტომბერი	123	170	219	599	332
ნოემბერი	123	—	—	—	—
დეკემბერი	132	—	—	—	—

ფასების ზრდა, კრიზისის შესუსტება და კონიუნქტურის ამიღლება დაწყებულია სწორედ 1921 წლის შუაგულში. აქედამ მოკიდებული მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. ეს უმჯობესობის პროცესი გრძელდება მთელი 1922 და 1923 წლებში. რასაკვირველია მას ისეთი მკაფიო გამოხატულება არა აქვს ევროპის ქვეყნებში, როგორც შეერთებულ შტატებში, რომლის ნაღალი კონიუნქტურა მიუწლომელ სიმაღლეზე სდგას და სრულიათ განსაკუთრებული ადგილი უკავია, მაგრამ აქაც—ევროპაშიც—კრიზისის ლიკვიდაცია თვალსაჩინო ფაქტს წარმოადგენს. თუმცა აქ მდგომარეობის ართულებს და აძნელებს მოუწესრიგებელი შედეგები ომისა (რურის საკითხი და სხვ.), მაგრამ ფაქტი საერთოთ შინც ფაქტით რჩება. საერთაშორისო კაპიტალმა წლი-ნახევრის კრიზისის განმავლობაში გამოიმუშავა თავის ორგანიზმში, როგორც იმანენტურათ, ისე შეგნებულათაც, ძალა და საშუალება წინააღმდეგობის გასაწყვეთ და თავის გადასარჩენათ.

ვიმბოზთ—შეგნებულათ, რადგან ეხლანდელ მონოპოლისტურ—კაპიტალი-სტურ ორგანიზაციას (ტრესტები, კარტელები, კონცერნები) შეაქვს ერთგვარი რეგულიარობა სტიკიურ პროცესში. გარემოებისა და მიხედვით მას შეუძლია შეგნებულათ განსაზღვრა და გაფართოება წარმოებისა, რადგან ეხლა მისთვის მსოფლიო მეურნეობის მოვლენები და პერსპექტივები ფერო ადვილი გასათვალისწინებელია, ვიდრე ადრინდელი ფორმაციის კაპიტალისთვის, რომელიც იყო დაქსაქსული და უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მსოფლიო, ან შინაური ბაზრის ვიწრო კუთხეს ხედავდა. რასაკვირველია კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლა და ორ-



განიზაცია გამოიხატა უმთავრესათ წარმოების შეზღუდვაში იქ, სადაც გადა-  
 კარბებულ წარმოებას ჰქონდა ადგილი და წარმოების გაძლიერებაზე იქსკედაც  
 დაცემული პროდუქცია ვერ აესებდა საჭიროების და მოთხოვნების დამაკმატებელს,  
 რომ ამით რამოდენიმეთ აღდგენილიყო მსოფლიო მეურნეობის ნაწილების წო-  
 ნათსწორობა. ამავე მიზანს ემსახურებოდნენ ხელოვნური საშუალებანი, როგორც  
 მაგალითად სადამოვნო წესების შემოღება და იმპორტ-ექსპორტზე გადასახადე-  
 ბის მომატება. ამასვე ხელს უწყობდა კაპიტალების ექსპორტი და სხ.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებითი შედეგათი და შესვენება. კაპიტალის-  
 ტურ მეურნეობას არ ძალუძს საკუთარი ხელით ამოიტანოს თავი იმ წინააღმ-  
 დევობათა ჯურღმულიდან, რომელნიც მის არსებას და მის ბუნებას შეადგენენ.  
 კაპიტალს არ შეუძლია დასძლიოს ჭაოსი და ანარქია თავის არსებობისა და მათ  
 მაგიერ წესიერება და პლანი დაამყაროს. ამას შესძლებს მხოლოდ შემოქმენდი  
 და საზოგადოებრივი შრომის მწარმოებელი კლასი—პროლეტარიატი. ამიტომ  
 ყოველგვარი სტაბილიზაცია კაპიტალისტური მეურნეობის და საზოგადოებისა  
 უნდა ჩაითვალოს დროებით, გარდამავალ მოვლენათ. ამიტომაც 1922—23 წ.  
 ეკონომიური უმჯობესობა და აღორძინება მსოფლიო მეურნეობისა იყო მხოლოდ  
 შედარებით ხანგრძლივი პერიოდი კეთილდღეობისა, რომელსაც უცდიდა ახალი  
 კრიზისი შემდეგი წლებისა.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

V. 25. თბილისი.

იქვე წერილში „მნათობი“ № 3||| სხვათა შორის საჭიროა ვასწორება შემდეგი შეცდომე-  
 ბის:

გვ. 208, პწ. 8 უნდა იყოს: არა ისეთი მეთოდებით...

გვ. 208, პწ. 33 უნდა იყოს: გარდამავალი უმჯობესობა...



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

# ბიბლიოგრაფია

## მიხეილ ჯავახიშვილი. კვაკი კვაკანტირაძე და მისი თავგადასავალი.

შვიდკარიანი რომანი. გამომცემლობა „საბჭოთა კავისიონი“. ტფილისი—1925.

მოთხრობათა პირველი ტომი, — „ჯაყოს ხიზნები“, — „კვაკი კვაკანტირაძე“, აი „ჩანჩორას“ ავტორის გზა. პატარა მოთხრობიდან 480 გვერდიან რომანზე გადასვლა უკვე გარეგანი გამარჯვებაა, ჩვენში ეგრე იშვიათი ამ უკანასკნელ წლებში. ზოგიერთ ჩვენი ავტორების ნაყოფიერებაზე არა ერთხელ თქმულა. დასწერენ ერთ ტომს და გაუყვირდებათ თვითონვე; ეს რა დიდი საქმე გვაკეთეო. ამ მხრით არის, რასაკვირველია, გამონაკლისებიც, და მათში მიხეილ ჯავახიშვილი—ადამაშვილი მეტად სასიხარულო გამონაკლისია. უკვე აღნიშნეს, რომ ადამაშვილის მიერ გამოშვებული ათეული წლები ლიტერატურაში მეტად დასაინანებელია. მაგრამ მით უფრო მძაფრია ჩვენი ავტორის შემოქმედება და ენერჯია ამ ფაზად.

ამ მოკლე ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში მე ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ ჩვენში იშვიათია ასეთი ნაყოფიერი მწერალი ბელეტრისტებში, როგორც ადამაშვილია ამ უკანასკნელ წელში. პოეზიაში ალ. შანშიაშვილი თუ შეედრება მას ენერჯიით და ნაყოფიერებით.

ჩვენ ვიცით, რომ ენერჯიისა და ნაყოფიერებას თან უნდა ახლდეს ნიჭიც. მაგრამ ამ მხრით ჩამოთვლილ მწერლებზე და კერძოდ მ. ჯავახიშვილ-ადამაშვილზე, მკითხველ საზოგადოებაში ორი აზრი არ არსებობს.

ამის დასამტკიცებელია უკანასკნელ თვეებში არა მარტო „ჯაყოს ხიზნები“, არამედ „კვაკი კვაკანტირაძეც“. ამ შენიშვნაში შეუძლებელია რომანის შინაარსის მოყვანა ან მომქმედ პირობა უამრავი გალერეის დახასიათება. ვი-

ტყუით მხოლოდ, რომ ამიერიდან კვაკი კვაკანტირაძე ხორცშესხმული იულის ჩვენს სინამდვილეში, როგორც მთლიანი ტიპი, აშოიდიას ნათლული და ორეული. ავტორს კურთხეული ნიადაგი დახვდა რომანის შესაქმნელად. ვინ არ იცის, რომ ჩვენი ქვეყნის მდიდარი ისტორიული და რევოლუციონური წარსული მადლიანი ყაშირია, რომელიც არა ერთსა და ორს დაუდევარს ფანტაზიას განაყოფიერებდა. ამ მხრით შემთხვევითი არ არის ის მოვლენა, რომ კვაკი სამტრედიის მახლობლად ხონის გზაზე დაბადებული და ქუთაისში გაზრდილი, დასავლეთ საქართველოში 1905 წლის რევოლუცია ბევრსაივად გადატყდა. აქ ავტორს უამრავი შესაძლებლობა ეძლევა ტიპების შესაქმნელად. ამ მხრით ჩვენი ბელეტრისტების მიერ ძალიან ცოტაა გაკეთებული. მიხეილ ჯავახიშვილს მდიდარი ნიადაგი დახვდა.

რომანი შვიდი კარისაგან შესდგება. პირველში მოთხრობილია ამბები, რომლებიც კვაკის ცხოვრების პირველ ხანებს ეხება. მეორეში — კვაკი ოდესაში „მოქმედობს“. მესამეში მას ვხედავთ სატახტო ქალაქში, იმ დროის ამბების შუაგულში, რასპუტინთან. მე-IV კარში კვაკი კვაკანტირაძე პარიზშია. მსოფლიო ომში იფეთქა. კვაკი ამხანაგებთან ერთად რუსეთში ბრუნდება (V კარი) მე-VI კარში ჩვენ ვხედავთ კვაკის ოქტომბრის რევოლუციის ფონზე. მე-VII კარში კვაკი იხევ სამშობლოში ბრუნდება და არც აქეთ, არც იქითის პოლიტიკას აწარმოებს. შემდეგ მიდის ამბავი 25 თებერვლისა და კვაკის გაწითლებისა და სხვ. რომანი თავდება



„ამნაგვით ძველი სიყვარულის განაღდე-  
ბისა, კვაკის დაოჯახებისა და ამბავთა  
დასრულების“ შესახებ.

კვაკი კვაკანტირაძე მოდის შორი-  
დან, მაგრამ დღევანდელ თაობისთვის  
მეტად მახლობელ წარსულიდან. ეს არის  
პირველი რევოლუციის ხანა. ლიტე-  
რატურულმა ტიპმა გაიარა პირველი  
რევოლუციის, რეაქციისა, მეორე რე-  
ვოლუციისა, ოქტომბრის რევოლუცი-  
ისა და 25 თებერვლის ხანები. მასა-  
ლა უტყუარია. ყოველ კერძო შემთხვე-  
ვაში სახიერდება კვაკის არსება, კვაკის  
მისწრაფება.

რომანი ხალხით იკითხება. მით უმე-  
ტეს თვითული კარი შეიძლება დამო-  
უკიდებლად იქმნეს წაკითხული. კარებ  
შოლის მხოლოდ გარეგანი კავშირია. არ-  
სებნივად რომანმა არ წარმოადგენს ერთს  
მთელს. ამაზე თვით აქტორიც გვეუბნე-

ბა თავის წინასიტყვიანობაში. მაგრამ  
ამით, თუმცა მხატვრულ ენაში იხილება  
ირღვევა, რომანის სასოფარეობაში ლი-  
ტერატურული მნიშვნელობა მაინც არ  
იწრდილება.

კვაკი კვაკანტირაძე —მეტად მნიშვნე-  
ლოვანი რომანია და ჩვენი ახალგაზ-  
რდობისათვისაც იგი მეთად წარმტაც  
საკითხავ მასალას შეიცავს. რომანის  
პედაგოგიური მნიშვნელობაც არ არის  
მხედველობიდან გასაშვები.

რომანის ენარი თავისებურია. ავან-  
ტიურისტული რომანები ქართულს ლი-  
ტერატურაში ჩვენ მცირე გვეგულება.  
მათში მიხველი ჯგეფნიშვილის „კვაკი  
კვაკანტირაძე“ შეიძლება პირველად  
ხაითვალოს თავისი საერთო ლიტერა-  
ტურული ღირსებით და საზოგადოებ-  
რივი მნიშვნელობით.

**შეფედი**

**გ. პლებანოვი. ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება.  
თარგმანი.**

გ. პლებანოვი ზედმიწევნით იცნობდა  
მსოფლიო მხატვრულ იწერლობას. სა-  
ერთაშორისო სოციალიზმის წარმო-  
მადგენლებში ის იყო ერთად ერთი,  
რომელიც მარქსისტული თვალთ უდგე-  
ბოდა ხელოვნების კითხვებს. ის იყო  
საოცეთსო მხატვრული კრიტიკოსი.  
ძალიან ბევრი უწერია ამ დარგში  
რუსულ და ვერმანულ ენებზე... ქართულ  
ენაზე ეს პირველი წიგნია გ. პლებანო-  
ვის, როგორც კრიტიკოსის. აქ ის  
ხება ძველთა ძველ საკითხს, რომელიც  
არას დროს არ ჰკარგავს სიხალეს. ეს  
საკითხია რა დამოკიდებულება აქვს  
მხატვრულ მწერლობას საზოგადოებრივ  
ცხოვრებასთან. გ. პლებანოვი ორნებს  
ორ მიმართულებას ამ საკითხში. ხელოვ-  
ნება ხელოვნებისათვის—ეს ერთი მი-  
მართულებაა. ხელოვნება საზოგადოებ-  
რივი ცხოვრებისათვის—ეს მეორეა.

პლებანოვი შესანიშნავი სიღრმით და  
ყველასთვის გასაგებად არკვევს, რომ  
მწერლობაში ნიადაგი აქვს ორივე ნი-

მართულებას და ეს ნიადაგია საზო-  
გადოებრივი ცხოვრება. საზოგადოებ-  
რივ პირობებში იბადება ორივე. ხელოვ-  
ნება უნდა იყოს მართო ხელოვნების-  
თვის, არ ემსახურებოდეს საზოგადოებ-  
რივ ცხოვრებას—ეს მიმართულება  
ნაყოფია ანა თუ იმ საზოგადოებრივი  
პირობების, ამტკიცებს გ. პლებანოვი.

ეს დიდი მწერალი—მარქსისტი, რა-  
საკვირველია, წინააღმდეგია იმ მიმარ-  
თულების, რომელიც სარგებლობას  
ეძებს მხატვრულ შემოქმედებაში. არაფ-  
რად არ ვარბა; მისი აზრით, ის ნაწარ-  
მოები, რომელიც წინ და წინ ისახავს  
სარგებლობის მიხანს. რამდენადაც  
დამოუკიდებელია ამ მიზრე მხატვრული  
შემოქმედება, იმდენად უფრო დიდია  
მისი ღირებულება, იმდენად მეტია სა-  
ბოლოოთ მისი სარგებლობაც.

ამ პატარა წიგნაკში გ. პლებანოვს  
მოჰყავს აუარებელი მავალითობი მსოფ-  
ლიო მწერლობიდან და ისე მდამბით,  
მკაფიოთ არკვევს დასნულ კითხვებს,



რომ წიგნაკის გაცემა არ მოითხოვს წინასწარ მომზადდენას. უბრალო ცოდნა წერა-კითხვისა, ესეც კი საკმაო იმის ვასაგებად. ამაზე უკეთესათ დაწერილი მხატვრული მწერლობის საკითხებზე არაფერი მოიპოვება ქართულ ენაზე.

წიგნაკი უნდა შეიქმნეს ერთ ერთ დარბაზო სახმარებელ სახელმძღვანელოდ კი დარბაზებში, სადაც შესასწავლო საგნათ აქვთ ან ექნებათ ეს დარგი.

ს. დ.

### ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე.

წიგნი IV 1924 წ. ტფილისი. უნივერსიტეტის გამოცემა.

ამ სამეცნიერო კრებულის მეოთხე წიგნი უკვე წარსული სამოსწავლო წლის ბოლოში გამოვიდა. ეს კრებული დაახლოებითი წარმოდგენას იძლევა იმ მეცნიერული და აღმშენებლობითი მუშაობის შესახებ, რომელიც რევოლუციის მადლით აღორძინებულ საქართველოს უნივერსიტეტში სწარმოებს. საბჭოთა ხელისუფლებამ ყოველი ძალა იმზარა და ჩვენი უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში ჩაყენა: გადასცა მას მთელი რიგი შენობებისა, ძველი აქ არსებული მეცნიერული ინსტიტუტების ინვენტარი და საზღვარგარეთიდან გამოუწერა მის ახალი სამეცნიერო ინსტიტუტების მთელი კომპლექსები. უნივერსიტეტმაც თავის მხრივ მუშაობა გააჩაღა და დღეს ის ახალი საქართველოს ისეთივე განუყრელი და ორგანიული ნაწილია, როგორც ჰაერი და წყალი ცოცხალი არსებისთვის, დღეს აღარაგის ექვი აბარ ეპარება იმაში, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მეცნიერულ-კულტურული არსებობა შეუძლია და იმაში, რომ ის მეცნიერების ინტერნაციონალურ ოჯახში თავის წვლილს შეიტანს. გფრხალი „უნივერსიტეტის მოამბე“, როგორც უნივერსიტეტის მიმდინარე სამეცნიერო მუშაობის საპუბლიკაციო ორგანო საუკეთესო საშუალებაა ნათქვამის დასანახავად.— მოამბის მე-IV წიგნში მოთავსებულია 20 მეცნიერული ხასიათის წერილი.

ბას შეეხება. მეორე წერილი ისტორიული ხასიათისა არის, ის ეკუთვნის გ. ნათაძეს და ვანიხილავს კილონის აჯანყების საკითხს, ამ საკითხის შესახებ ავტორმა უკვე დამოუკიდებელი შრომა გამოსცა, რომლისათვის მან ისტორიის დოქტორის სახელწოდება მიიღო უნივერსიტეტისაგან.

მესამე და მეოთხე წერილები აღებულა დოსტაჰოვის ორი სხვა და სხვა დარგიდან: მესამე ეკუთვნის ვარაზაშვილს, მეოთხე კი ნალამბერიძეს.

ამას მოჰყვება ალ. ჯავახიშვილის ანტროპოლოგიური ნარკვევი: სომხები ანტროპოლოგიური თვალსაზრისით.

მეექვსე წერილი ეკუთვნის ლ. მკელიძე-ბეგს: ტფილისის ვანქის დარბაზების საკითხი.

მეშვიდე წერილის ავტორი არის ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერი ვ. ჟღენტო მის წერილს ჰქვია: პეტროტოპოლი გლიურა სიმსივნეები. მონათესავე საკითხების შესახებ ავტორმა ახლო წარსულში ტფილისი უნივერსიტეტის გამოქვეყნებულ საკითხებში მკვლევრობაში სქელ ტანიაბი მეცნიერული ნაშრომი გამოაქვეყნა.

გიორგი ჯავახიშვილის წერილი გერმანულ ენაზე; Ueber einige quernasse am Aften und Menschenschädel პირველ ხარისხიანი მეცნიერული ნარკვევია. ამ წერილს დიხაბრონი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების საერთაშორისო ოჯახისათვის, ის შეიცავს წამიშვნისა და დამამიანის თავის ქალის ზოგიერთი გაზომების და თვისებების სრულ შესწავლას. ავტორს ამ დარგში გამოქვეყნებული

პირველი ეკუთვნის მ. წინამძღვარიშვილს— ის რენტგენის დიდი აღმოჩენის ერთ-ერთ სამკურნალო გამოყენე-



აქვს სხვა შრომებიც. **წ. იოსელიანის წერილიც** ბუნების მეტყველებიდან არის. შემდეგი წერილი **აღ. წერეთელს** ეკუთვნის, ის ე. წ. ჰომეროსის საზოგადოების შესახებ სწერს. **სოფია წერეთლის** წერილს: წარმოსახვის როლი ჰიუმეს ფილოსოფიაში—ცოტათი რეფერატული იერი დაჰკრავს. ელიაშვილის წერილი, რომელიც ამას მოჰყვება. ერთი იმ წერილთაგანია, რომელიც არც მთლად შეიფერება ასეთ კრებულს. ის პრაქტიკული დოსტაქრობის დარგიდან არის.

ამას მოჰყვება ორი ფილოსოფიური ხასიათის წერილი. ერთი **ს. დანელიასი**: პარმენიდეს მეტაფიზიკისათვის. წერილი დაწერილია საქმის სრული ცოდნით და ჩვენი აზრით სწორი განმარტებითაც. მეორე ეკუთვნის **შალვა ნუცუბიძეს**. ის დაწერილია კანტის გარდაცვალებიდან ორასი წლის აღსანიშნავად. კანტი დაუშრეტელი თემა არის ფილოსოფიური კლავი-ძიებისათვის და ცხადია პროფ. ნუცუბიძეც ჯეროვნად გამოიყენებს მას. ნუცუბიძის წერილი დაწერილია გერმანულ ენაზე. ქართულად ის გამოქვეყნდა თურ. კავკასიონში.

**აღ. ჯანელიძის** წერილი: ოკეანების წარმოშობა უმთავრესად ცნობილ გერ-

მანელ მეცნიერის ვეგენერის აზრების განმარტებას და შემდეგ კრიტიკას და ავტორის საკუთარ შესახებ ექვსეული წერილი დაწერილია დიდი მეცნიერული მომზადებით. შემდეგი წერილები ეკუთვნიან: მათემატიკიდან არ. ხარაძეს, ფილოლოგია—ისტორიიდან ბენ. ჩიქობავას და ს. ყაუხჩიშვილს, ხოლო მედიცინიდან ი. ქუთათელაძეს და აღ. მაჭავარიანს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ამ კრებულის ერთი ნაკლი, რომლის გამოსწორება მომავალში უსათუოდ საქიროა. კრებულში ხშირად იბეჭდება წერილები ჩვენი კლინიკების პრაქტიკიდან, ასეთი წერილები საერთოდ საქიროა, მაგრამ მათი ასეთი ტიპის მიცნიერულ ჟურნალში დაბეჭვდა, ჩვენ მიხან შეწონილად არ მივგაჩნია. განსაკუთრებით გაუგებარია ის ამბავი, რომ წერილის ავტორები ხშირად ლიტერატურის დასაჯლებში დროსა და სივრცეს არ ზოგავენ და მეცნიერული ამბის სახელით მომეღებულ და ორმაჯ ნათარგმნ სახელმძღვანელოებს ასახელებენ. ეს შენიშვნა, რასაკვირველია, არ შეეხება „მოამბის“ მე-IV წიგნს, არამედ ჟურნალ „მოამბე“-ს საერთოდ.

2\*

### „ლიტერატურული ტრიბუნა“ № 1.

აპარისტანის მწ. კავშირის კვირეული ორგანო.

უკანასკნელ ხანებში პროლეტარული კულტურის და, კერძოდ, ლიტერატურის საკითხები—ქართული მწერლობის განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს. ამ საკითხის გარშემო ჩვენში დაიბეჭდა შედარებით მრავალი წიგნი და ლიტერატურული ჟურნალი.

აპარისტანის მწერალთა კავშირის ორგანო „ლიტერატურული ტრიბუნა“ თავის საპროგრამო წერილში მიზნად ისახავს: ერთის მხრით—გაამუშოს ლიტერატურული პრობლემები: მარქსისტული თეფსაზრისით, და—მეორე მხრით მისცეს შეითხველს რევოლუცი-

ციონურ შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები.

ასეთია ამ ორგანოს ფორმულა თეორიის საკითხში.

ენახით როგორია მისი პრაქტიკა. „ტრიბუნა“-ში მოთავსებული მასალა უმთავრესად წარმოადგენს თარგმანს, ან და ოუსულ ენაზე გამოსულ წიგნების რეცენზიებს, რომლებიც თავის შინაარსით მეტად ზერულე ხასიათის არიან. (მაგალითად: ტროცკის წიგნზე: „ლიტერატურა და რევოლუცია“ და სხვ.)

ბლუზ სანდარის „მე მოვეალი“-ს სა-



უკეთესო თარგმანი დაიბეჭდა „ახალ კავკასიონში“

მისი ხელმოკრეთ თარგმნა გაუმართლებელია.

კარგია ი. მ. ვას წერილი: „ექსპრესიონიზმი“. ავტორს შეეშლო უფრო ვრცლად გაეშალა სიტყვა საგანზე.

ლექსები არ ვარგა, საერთოდ „ტრიუმფალური“ ნომერი სუსტი.

ენახოთ როგორ უნდა შევხვედნენ „ტრიუმფალ“-ს შემდეგი ნომერი.

3-3

**წიგნის მეგობარი № 1 და 2. ტფილისი 1925 გვ. 172. დამატება: ტფილისის ბიბლიოთეკების ქართული წიგნების შეერთებული კატალოგი, ნაწილი პირველი (1921—1924), ტფილისი 1925, გვ. 120. ფასი კატალოგიტურთ 2 მან. 50 კაპ.**

ეს ვახლავს ერთ-ერთი ნაყოფი იმ მუშაობისა, რომელიც სწარმოებს სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლთან არსებულ საბიბლიოთეკო და საბიბლიოგრაფიო კაბინეტში.

ტურნალში მოთავსებულია მრავალი საყურადღებო წერილი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ხასიათისა, ანგარიშები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვანი, რეცენზიები და სხვა. ქართველი მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა: „ბიბლიოთეკონომიური ტერმინოლოგია (პროექტი)“ გ. ბაქრაძისა (გვ. 29—35), „როდის დაიბეჭდა პირველად ქართული წიგნი?“ დ. კარიჭაშვილისა (გვ. 36—40), „ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა“ დ. კარიჭაშვილისა (გვ. 93—113), აგრეთვე ანგარიშები პირველი ქართული ექსპერიმენტი საბიბლიოთეკო კურსების შესახებ (გვ. 58—63), ტფილისის ბიბლიოთეკების მდგომარეობისათვის და მრავალი სხვა, რომელიც დიდი სიამოვნებით იკითხება წიგნის ყოველი მკითხველის მიერ.

არა ნაკლებ სასიამოვნოა „ტფილისის ბიბლიოთეკების ქართული წიგნების შეერთებული კატალოგი“-ს გამოცემაც,

რომელშიაც, როგორც სათაურიდანაც სჩანს, აღნიშნულია ცალკე გამოცემანი ქართულს ენაზე გამოსული 1921—1924 წლების განმავლობაში. სამწუხაროდ, ეს კატალოგი სრული არ არის, ვინაიდან თვით კატალოგისათვის შესაფერი ქარტაკების წერა სწარმოებდა 1924 წლის განმავლობაში და დამთავრდა გაცილებით ადრე, ვიდრე თვით ეს წელი დასრულდებოდა; და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კატალოგში არ არის ნახევენები ყველა ის ლიტერატურა, რომელიც სათაურების ქარტაკებზე გადატანის შემდეგ გამოვიდა ანუ გვიან შემოვიდა თვით ბიბლიოთეკებში. აღარ ეჩერდები იმ მოვლენაზე, რომ აუარებელი წიგნი 1924 წლის თარიღით გამოქვეყნებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე წლის დასაწყისში და ეხლაც კი გამოდის.

ამ გარემოებაზე კაბინეტის ყურადღებას ვაკცევ, მით უმეტეს, რომ თვით რედაქციაც ივ. კიციანიშვილის სიტყვებით აღიარებს: „სამწუხაროდ ზოგიერი შემთხვევაში ვერ მოხერხდა ყველა წიგნის სრული ბიბლიოგრაფიული ცნობის მოპოვება“ (გვ. 4).

ლ. შ.—ბ.

სტატისტიკა, პროფ. ა. ა. კაუფმანი, „ზაკენიგა“ ტფილისი 1925 წ.

ყოველი მეცნიერული ხასიათის შრომა სტატისტიკაში, მით უმეტეს თუ ის პოპულიარული ენით არის დაწერილი, ნიადაგს უზაღებს და უმტკიცებს მარქსისტულ მსოფლმხედველობას. ეს იმიტომ, რომ სტატისტიკა როგორც ემპირიული მეცნიერება საზოგადოებრივი ცხოვრების კანონების აღმოჩენას ცდილობს და ამით ის იმგვარსავე სამსახურს უწევს მარქსისტულ სოციალოგიას, როგორსაც ბუნების მეტასველება მარქსისტულ ფილოსოფიას.

ასეთი ხასიათის შრომის წარმოადგენს „ზაკენიგის“ მიერ ქართულ ენაზე გამოცემული, ცნობილი მეცნიერის ა. ა. კაუფმანის „სტატისტიკა“. უკანასკნელი წარმოადგენს გადაუშავებულ ლექციებს, რომელსაც ავტორი მოსკოვის სახალხო უნივერსიტეტში კითხულობდა. ამით განისაზღვრება ამ წიგნის დანიშნულებაც, ის სტატისტიკის სფეროში მომუშავეთა ქვედა ფენებს და უნივერსიტეტის ვარიუმე დარჩენილ ფართე წრეების თვითგანვითარებას სიახურება. წიგნი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი სტატისტიკის ცნების და დიდ რიცხვთა კანონის განმარტებით ამოიწურება. სტატისტიკის კვლევის ობიექტად კაუფმანი აღიარებს არა ტიპურ (ინდივიდუალურ) მოვლენებს და აღნიშნავს რომ ასეთი ხასიათის მოვლენები არა მარტო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ ბუნებაშიაც არსებობს.

აქედან კაუფმანი დაასკვნის, რომ სტატისტიკის კვლევა-ძიების საგანი მარტო სოციალური ცხოვრებით არ ამოიწურება. უკანასკნელი მოსაზრებით ავტორი ეწინააღმდეგება მათ, ვინც სტატისტიკას მხოლოდ სოციალ მეცნიერებათ სთვლის. კაუფმანის შეხედულებით სტატისტიკა მეთოდოლოგიური და არა მატერიალური შინაარსის მეცნიერება არის. უფრო მოკლეთ — მისთვის სტატისტიკა მეთოდია და არა მეცნიერება. წიგნის მეორე ნაწილი სტატისტიკურ დაკვირვებას შეეხება.

კაუფმანი დაკვირვებებს დაკვირვებულ ნუსხების დროს ფართოდ საზოგადოებას რუსეთის სტატისტიკური პრაგტიკით. აქ აღსანიშნავია ერთი მომენტი: არჩევითი წესით წარმოებულ დაკვირვებას კაუფმანი ამომწურავ დაკვირვების თანასწორ ღირებულად სთვლის; ეს დებულება საკმაო თეორეტიულ დასაბუთებას ეურ პპოლობს წიგნში, რაც მისი პოპულიარული ხასიათით თუ აიხსნება, ყოველ შემთხვევაში აქ კაუფმანი ეწინააღმდეგება ისეთ ავტორიტეტს ამ დარგში, როგორც გეოოგ მაირი არის.

წიგნის მესამე ნაწილში კაუფმანი ეხება იმ საკითხს, თუ რამდენათ შეეფერება სინამდვილეს სტატისტიკური დაკვირვებით მიღებული რიცხვები. ეს ნაწილი განსაკუთრებით საყურადღებოა მკითხველთა ფართე წრისათვის; რომელთა წარმოდგენით სტატისტიკური რიცხვები სინამდვილეს არ შეესაბამება. კაუფმანი აღნიშნავს, თუ როგორ შექანიკურიდ ბათილდება დაკვირვების პროცესში სინამდვილისაგან გადახრა; თუ რა საშუალებები არსებობს სტატისტიკოსის განკარგულებაში შეცდომების წეგნებულად თავიდან ასაკილებლად, რის შედეგ დაასკვნის რომ „სტატისტიკური აღრიცხვა, ობსაკვირველია, არ იძლევა აბსოლუტურ შეწინააღმდეგებას, როგორც არ იძლევა მას სხვათა შორის, მეცნიერული კვლევის სხვა მეთოდებიც; მაგრამ ნორმალურ პირობებში სტატისტიკური აღრიცხვა გვაძლევს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა რამდენათ შეიძლება სინამდვილესთან დაახლოვებულ სურათს, როგორის მიღებაც კი შეიძლება შეწყვეტების თანამედროვე საშუალებათა მიხედვით“.

უკანასკნელ მე-IV ნაწილში კაუფმანი სტატისტიკურ მასალის თამოყრის და დამუშავების წესებს ეხება და აქაც თავისებურ შეხედულებას ატარებს. სტატისტიკური მჭკრივების მეცნიერულ ან.ლიხს ის აკუთვნებს სპეციალ

მეცნიერებით და ამით სტატისტიკა-  
საც მატერიალ შინაარს აცლის.

დასასრულს ორიოდ სიტყვა ტერ-  
მინოლოგიის შესახებ. ყოველ ტერმინს  
მოეთხოვება, რომ ის საყოველთაო,  
ენების ბუნების გამომატყველი და ამას-  
თანავე მარტივი იყოს. პირველ მოთ-  
ხოვნას ხელოვნურად შექმნილი ტერ-  
მინიც უნდა აკმაყოფილებდეს. აქ კი  
მთარგმნელი ხშირად ხმარობს ხელოვნურ  
ტერმინებს ცნებათა გამოსახატა-  
ვად, რომელთაც ქართულ ენაზე უკე-  
თესი სიტყვიერი გამოსახვა აქვთ. მაგ.,  
საყოველთაოდ მიღებულია შემდეგი ტერ-

მინები: Пожар—ხანძარი, მთარგმნელი  
კი ხმარობს: აფეცებული, Смерть—რევენა-  
რი—ნარევის მაგიერ, Иностранец—ნიშ-  
ნეული—ნიშანის მაგიერ, Сындромъ—  
Синдромъ—შემკრებლობითი, უფრო მარტივი  
იქნებოდა კრებითი და სხ. ეს გარემო-  
ება აიხსნება იმით, რომ საერთოდ  
მთარგმნელთა შემადგენლობას შემთ-  
ხვევითი ხასიათი აქვს.

სხვა მხრით ზემოხსენებული თარგმა-  
ნი დამაკმაყოფილებელია: წიგნი საშუ-  
ალო ზომისაა, შეიცავს 208 გვ. და  
ღირს 1 მან. 50 კ.



# შინაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

## საქართველო



1. კონსტანტინე ჰიჭინაძე—მაისში პოეტებს . . . . .	ქართულში	1
2. ვახო გორგაძე—პირველი მაისი . . . . .	ბიბლიოქოლოგია	2
3. რაფაელ გვეტაძე—მერკვილადის ტყვია . . . . .		3
4. ს. შანშიაშვილი—სოფელი . . . . .		4
5. პეტრე სამხონიძე—ელვისოს ქარი . . . . .		6
6. ვ. ბესოშვილი—წარმოკავშირის დღეგატი . . . . .		10
7. ი. ლიხაშვილი—გათენებამდის ქალაქში . . . . .		12
8. პოლიკარპ კაკაბაძე—ლისაბონის ტუსაღები . . . . .		13
9. მიხეილ ჯავახიშვილი—მუსუსი . . . . .		52

## რუსეთი

10. ზორის პილნიაკი—შიშველი წელი (გაგრძელება) (თარგ. დ. შენგელიასი) . . . . .		68
--	--	----

## დასავლეთი

11. ანატოლ ფრანსი—ღმერთებს სწყურიათ (გაგრძელება) (თარგ. ფრანგულით გ. ქ.) . . . . .		107
--	--	-----

## კრიტიკა, მხატვრობა და მემუარები

12. დავ. კლდიაშვილი—ჩემი ცხოვრების გზაზედ . . . . .		147
13. ელისაბედ ყაზბეგი—დმ. ყაზბეგის და ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიის მასალები (გაგრძელება) . . . . .		179

## მეცნიერება და პუბლიცისტიკა

14. ნიკო მარტი—ქართველ ერის კულტურული შუბლი ენათ-მეცნიერების მიხედვით . . . . .		199
15. ი. ხტალინი—აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანები . . . . .		212
16. ს. დეგდარიანი—ორი მიმდინარეობა ბოლშევიზმის წინააღმდეგ . . . . .		223
17. ს. ქავთარაძე—საერთაშორ. მდგომარ. საკითხები (გაგრძელება) . . . . .		230

## ბიბლიოგრაფია

18. მხეფელი—მიხეილ ჯავახიშვილი. კვაკი კვაკანტირაძე და მისი თავგადასავალი . . . . .		249
19. ს. დ.—გ. პლუზანოვი. ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება. თარგმანი . . . . .		250
20. გ.—ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. წიგნი IV, 1924 წ. . . . .		251
21. ვ. გ.—"ლიტერატურული ტრიბუნა" № 1. აკარისტანის მწ. კავშირის კვირ. ორგანო . . . . .		252
22. ლ. მ.—ბ.—წიგნის მეგობარი № 1 და 2. ტფილისი 1925 წ. . . . .		253
23. კ.—სტატისტიკა. ტფილისი. ა. ა. კალუშანი . . . . .		254

